ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

1(16)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“
ა-984

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი გაბისონია
ზურაბ გამეზარდაშვილი
გია გელაშვილი
ოთარ გოგოლიშვილი
ჰაჯი-მურად დონოგო
(მახაჩყალის უნივერსიტეტი)
შოთა ვადაჭკორია
ნუგზარ ზოსიძე
ვასილ კაჭარავა
იგორ კვესელავა
ვაჟა კიკნაძე
ალექსანდრე მოსიაშვილი
უჩა ოქროპირიძე
რიმვიდას პეტრაუსკასი
(ვილნიუსის უნივერსიტეტი)
ანჯეი პუქშტო
(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)
გელა საითიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ლელა სარალიძე
ავთანდილ სონღულაშვილი
(რედაქტორი)
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
აინარს ლერჰისი
(ლატვიის ისტორიის ინსტიტუტი)
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ნიკო ჯავახიშვილი
(რედაქტორის მოადგილე)

EDITORIAL BOARD:
Irakli Gabisonia
Zurab Gamezardashvili
Gia Gelashvili
Otar Gogolishvili
Hadji-Murad Donogo
(University of Makhachkala)
Shota Vadachkoria
Nugzar Zosidze
Vasil Kacharava
Igor Kveselava
Vazha Kiknadze
Aleksandre Mosiashvili
Ucha Okropiridze
Rimvydas Petrauskas
(Vilnius University)
Andžej Pukšto
(Vytautas Magnus University)
Gela Saitidze
(Deputy editor)
Lela Saralidze
Avtandil Songulashvili
(Editor)
Khatuna Kokrashvili
(Executive secretary)
Ainars Lerhis
(Institut of History of Latvia)
Dodo Chumburidze
(Deputy editor)
Niko Javakhishvili
(Deputy editor)

საგამომცემლო საბჭო:
ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.

PUBLISHING COUNCIL:
Irina Arabidze, Lela Mikiashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

შინაარსი
Contents

საქართველოს ისტორია
The History of the Georgia

დავით ჯავახიშვილი 11
ეტიუდები ქართლის დედოფალ ელენე-ბეგუმის ცხოვრებიდან
David Javakhishvili
The Etudes from the Life of Kartli Queen Elene-Begumi

ლელა მიქიაშვილი 22
ერეკლეს ანდერძის ავთენტურობის საკითხისათვის
Lela Mikiashvili
On the Authenticity of the Testament of Erekle

ალექსანდრე მოსიაშვილი 35
ახტალის კურორტად ჩამოყალიბების ისტორიიდან
Aleksandre Mosiashvili
From the History of Formation of the Health Resort „Akhtala"

ნინო ჯიჯიშვილი 40
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება ქართულ პუბლიცისტიკაში XX საუკუნის დასაწყისში
Nino Jijishvili
Assessing Georgian-Russian Relations in the Early 20th Century Publicism

ლელა სარალიძე 48
საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან
Lela Saralidze
From the History of Activities of the Georgian's Helsinki Committee

საქართველო და მსოფლიო
Georgia and the World

ოთარ გოგოლიშვილი 71
ინგლის-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1877-1878 წწ.)
Otar Gogolishvili
From the History of English-Turkish Relationship (1877-1878)

შოთა ვადაჭკორია 78
რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ (1920-1921 წწ.)
Shota Vadachkoria
Ottoman-Russian Alliance Against the Independent Georgia (1920)

ქართული სოციალური აზრის ისტორიიდან
From the History of the Georgian Social Thinking
ნიკო ჯავახიშვილი 94
ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ასახვა სოციალურ აზროვნებაში (ზოგიერთი ასპექტი)
Niko Javakhishvili
Reflection of the Activities in the Social Thinking of Vakhtang the VIth

ქართული ემიგრაციის ისტორიიდან
From the History of the Georgian Emigration
დოდო ჭუმბურიძე 107
ზოგიერთი დეტალი საზღვარგარეთ 1924 წლის აჯანყების გამოძახილისა და ქართული ემიგრაციის თვალსაზრისის შესახებ
Dodo Chumburidze
Some of the Details about the Recall from Abroad and the Viewpoint of Immigration on the Uprising in 1924

ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიიდან
From the History of the Georgian-Jewish Relations
გელა საითიძე 124
ზაქარია ჭიჭინაძე – ქართველ ებრაელთა ისტორიის პირველი მკვლევარი (დაბადების 160 წლის გამო)
Gela Saitidze
Zaqaria Chichinadze – The First Researcher of the History of Georgian Jews

კავკასიის ისტორია
The History of the Caucasus
მზია ტყავაშვილი 136
ქართველ საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე როინიშვილის დაღესტანში მოღვაწეობის ისტორიიდან
Mzia Tkavashvili
From the History of the Georgian Public Figure Alexander Roinishvili's Activity in Dagestan

მსოფლიო ისტორია

The History of the World

ავთანდილ სონღულაშვილი.....144
ჰონკონგის ისტორიიდან

Avtandil Songulashvili

From the History of Hong-Kong

არჩილ ჩაჩხიანი.....153
ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციისათვის

Archil Chachkhiani

To the Bolshevist Concept of the „World's Proletarian Revolution“

მიხეილ ბარნოვი.....168
რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა ჯერონიმოს მიერ შამანური ძალის გამოვლინების შესახებ

Mikheil Barnovi

Several Details Concerning Geronimo's Shamanic Abilities

ვასილ კაჭარავა.....172
რეიგანის ვიზიტი მოსკოვში 1988 წელს და ადამიანის უფლებათა საკითხი

Vasil Kacharava

Ronald Reagan's Visit to Moscow in 1988 and Human Rights

სამხედრო ისტორია

Military History

არჩილ ჩაჩხიანი.....187
პოლკოვნიკი ძაძუცა ჩოლოყაშვილი – „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...“

Archil Chachkhiani

Colonel Kakutsa Cholokashvili – „We Are not Guilty in the Face of Our Government and Our Country...“

დიპლომატიის ისტორიიდან

From the History of Diplomacy

მარიამ გაბუნია.....213
ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მიერ ევროპაში მოკავშირის ძიების მცდელობა

Mariam Gabunia

Searching for the Alley in West Europe By Kartl-Kakheti King Teimuraz I

არჩილ ჩაჩხიანი 226
მუდროსის ზავი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი
Archil Chachkhiani
Mudros Armistice – the Beginning of the End of the Ottoman Empire

პოლიტიკა
The Policy

ედიშერ გვენეტაძე 239
ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმი და უკრაინის უშიშროების საკითხები
Edisher Gvenetadze
1994 Years Budapest Memorandum and the Ukrainian Security Issues

თამარ დარჩია 248
აშშ-საბჭოთა კავშირის ორმხრივი მოლაპარაკებები ჟენევის სამიტზე
Tamar Darchia
The U.S. - Soviet Bilateral Talks at Geneva Summit

რელიგია. ეკლესიის ისტორია
Religion. History of the Church

ირინა არაბიძე 262
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი როდოსის სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე (1961-1964)
Irina Arabidze
Issue of the Autocephaly of the Georgian Church at the Meeting of All Orthodox in Rodos (1961-1964)

ნათია ლაცაბიძე 272
რომის კათოლიკურ ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის ისტორიიდან
Natia Lacabidze
From the History of Roman Catholic Church and Georgian Orthodox Church Relationship

წყაროთმცოდნეობა
Source Study

გია გელაშვილი 279
ინგლისელი მოგზაურის არტურ კანინგჰეიმის ცნობები თბილისის შესახებ
Gia Gelashvili
English Traveller Arthur Thurlow Cunynghame about Tbilisi

დოდო ჭუმბურიძე, ხათუნა ქოქრაშვილი 290
პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი
Dodo Chumburidze, Khatuna Kokrashvili
Two Documents Connected With the World War I
შორენა მურუსიძე 308
რადიოინტერვიუ გიორგი კვინიტაძესთან
Shorena Murusidze
Radio Interview with Giorgi Kvinitadze

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
Criticism and Bibliography

ავთანდილ სონღულაშვილი 316
„ჯაყოს სიზმრები“
Avtandil Songulashvili
„Jaqo's Dreams“

კოკა კუტუბიძე, მურად შონია 324
ფრიად საჭირო წიგნი
Koka Kutubidze, Murad Shonia
Very Needed Book

თვალსაზრისი
View Point

ზურაბ კვეტენაძე 331
ისტორიის ალტერნატივის რამდენიმე ასპექტი საქართველოს ისტორიიდან
Zurab Kvetenadze
Some Aspects of Alternative of History from History of Georgia

ბადრი ცხადაძე 348
თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის ლიტერა-ტურულ-მხატვრული ვარიაცია ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ (წერილი მეორე)
Badri Tskhadadze
A Literary and Art Variation Preceding the Present-day Georgian Parliament and Parliamentarism in the Novel „Data Tutashkhia“ by Ch. Amirejibi

გახსენება
In the Memory of Our Collegue

რამაზ ცუხიშვილი – 50 364
Ramaz Tsukhishvili – 50

კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული
ტელეფონი: 2 93 41 37

დავით ჯავახიშვილი
ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ეტიუდები ქართლის დედოფალ ელენე-ბეგუმის ცხოვრებიდან

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე ეტიუდი ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენლის, ქართლის დედოფალ ელენე-ბეგუმის (1687-1750) ცხოვრებიდან. კერძოდ, მოთხრობილია როგორც პირადად ამ დედოფლის შესახებ, ასევე, მისი მშობლების, და-ძმისა და ქმარ-შვილის თაობაზეც. აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორია მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი [1].

* * *

1. დედოფალ ელენე-ბეგუმის მშობლები და და-ძმანი

1687 წელს, მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილის, უფლისწულ ერეკლე დავითის ძე ბაგრატიონისა და ანა შერმაზანის ასულ ჩოლოყაშვილის ოჯახში დაიბადა ასული, რომელსაც სახელად – ელენე-ბეგუმი დაარქვეს.

აქვე დავსძენთ, რომ უფლისწული ერეკლე ჯერ კიდევ 1675 წელს ჩავიდა ისფაჰანში, სადაც შაჰინშაჰმა სულეიმან I (იგივე სეფი II) სეფიანმა (მეფობდა 1666-1694 წლებში) მას მეფობის ბოძების სანაცვლოდ გამაჰმადიანება მოსთხოვა. ცხრაწლიანი ყოყმანის შემდეგ, 1688 წელს ერეკლემ მიიღო ისლამი, რის შემდეგაც მას ეწოდა – „ნაზარ-ალი-ხანი“. ამის შემდეგ იგი 1703 წლამდე, ანუ 15 წლის განმავლობაში მეფობდა ქართლში. 1703-1709 წლებში ის ითვლებოდა კახეთის მეფედ, თუმცა იმ პერიოდში, ჰუსეინ I სეფიანის (მეფობდა 1694-1722 წლებში) მოთხოვნით, იმყოფებოდა სპარსეთში, სადაც, როგორც ყულარაღასი, შაჰინშაჰის პირად გვარდიას ხელმძღვანე-

ლობდა. გარდაიცვალა 1709 წელს, სპარსეთში [2, 197-198].

ელენე-ბეგუმს ჰყავდა როგორც დედმამიშვილები, ასევე ნახევარძმები და ნახევარდები. მისი ღვიძლი ძმები იყვნენ მომავალი მეფენი:

1) უფლისწული დავითი (1678-1722). ცნობილია როგორც კახეთის მეფე დავით II, იგივე „იმამ-ყული-ხანი", რომელიც 1709-1722 წლებში მეფობდა;

2) უფლისწული თეიმურაზი (1695-1762). ცნობილია როგორც მეფე თეიმურაზ II, რომელიც კახეთში ჯანიშინობდა 1703-1709 წლებში, ხოლო მეფობდა – 1732-1744 წლებში. 1744-1762 წლებში მეფობდა ქართლში.

გარდა გვირგვინოსანი ძმებისა, ელენე-ბეგუმს კიდევ ჰყავდა ორი ღვიძლი ძმა, კერძოდ, უფლისწულები გიორგი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1696-1698 წლებში), გურგასლანი (ჩანს 1697 წელს) და დები – მარიამი, იგივე მაკრინე (1696-1744) და ქეთევანი (გარდაიცვალა 1718 წელს).

ზემოხსენებულთა გარდა, ელენე-ბეგუმს ჰყავდა ნახევარი დაძმანი, რომლებიც მამამისს მხევალთაგან შეეძინა. მათ შორის იყვნენ: კონსტანტინე II, იგივე „მაჰმად-ყული-ხანი" (მეფობდა 1722-1732 წლებში), ანტონი (ჩანს 1690), რიზა-ყული-ხანი (ჩანს 1714-1722 წლებში), მუსტაფა-მირზა (ჩანს 1714-1720 წლებში), დემეტრე (ჩანს 1688-1701 წლებში), ისლამ-მირზა (ჩანს 1688-1701 წლებში), ერეკლე (1695-1757), ვახტანგი (ჩანს 1695 წელს), როსტომი (ჩანს 1693 წელს), ხორეშან (გარდაიცვალა 1756 წელს), დავით-მირზა, ქეთევანი (ჩანს 1742-1752 წლებში) [3, ნუსხა № 5].

2. დედოფალ ელენე-ბეგუმის ქმარ-შვილი

1715 წელს ბატონიშვილი ელენე-ბეგუმი ცოლად გაჰყვა მეფე იესე I-ს (1681/6-1727), რომელიც ქართლში 5 წელიწადს მეფობდა. კერძოდ, ის მეფობდა ჯერ ორ (1714-1716), ხოლო შემდეგ სამ (1724-1727) წელიწადს. იგი განეკუთვნებოდა ბაგრატიონთა ქართლის (მუხრანის) შტოს, კერძოდ, იყო შვილიშვილი ქართლის მეფისა ვახტანგ V „შაჰნავაზისა" (მეფობდა 1658-1675 წლებში) და ვაჟი უფლისწულ ლევან ვახტანგის ძე ბაგრატიონისა (გარდაიცვალა 1709 წელს) მეორე ქორწინებიდან, თინათინ გიორგის ასული ავალიშვილისაგან [4, 15].

უფლისწულ ვახუშტი ბაგრატიონის შეფასებით, იესე „იყო

მხნე, ახოანი, ჰაეროვანი, მოწყალე, უხვი, მაღალთა და მდაბალთა მიმცემი, ლხინ-სიხარულთა, შუება-განცხრომათა მოყუარე, სამღუდელოთა პატივისმცემელი... და იყო ესე ფრიად მიქცეულ მაჰმადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი" [5, 493-493].

1701 წელს, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში, შაჰინშაჰ ჰუსეინ I სეფიანთან ჩასულმა უფლისწულმა ლევანმა თან იახლა თავისი ჭაბუკი ვაჟი – იესე. 1705-1714 წლებში იესე ერთგულად ემსახურებოდა შაჰინშაჰს. გამაჰმადიანების შემდეგ იწოდა – „ალიყული-ხანად". მონაწილეობდა აჯანყებული ავღანელებისა და ბელუჯების წინააღმდეგ წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯერ იესეს გვირგვინოსანი ბიძა – გიორგი XI, ხოლო მისი მოკვლის (1709 წ.) შემდეგ, იესეს ნახევარი ძმა – მეფე ქაიხოსრო I, რომელიც 1711 წელს დაიღუპა.

1708 წელს ჰუსეინ I-მა ალიყული-ხანი დაადგინა ქირმანის მხარის ნაიბად, ხოლო მომდევნო წელს მას ბეგლარ-ბეგობა უბოძა. 1711 წელს იგი სპარსეთის არტილერიის უფროსად ანუ თოფჩიბაშად დანიშნეს.

მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე ქაიხოსრო I ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა, შაჰინშაჰმა თავისთან დაიბარა გარდაცვლილი გვირგვინოსნის მომდევნო ძმა, ქართლის ჯანიშინი, უფლისწული ვახტანგ ლევანის ძე (1675-1737), მომავალში – მეფე ვახტანგ VI. ვახტანგი ისფაჰანში ჩავიდა და შაჰინშაჰს ეახლა. ჰუსეინ I-მა, ვახტანგს, მეფობის ბოძების სანაცვლოდ, გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა რჯულის გამოცვლაზე უარი განაცხადა. ამის გამო, ის სპარსეთში, ფაქტობრივად პატიმრობაში დატოვეს.

ვახტანგის სპარსეთში ყოფნის პერიოდში ქართლს განაგებდნენ მისი უმცროსი ძმები – სვიმონი და იესე. კერძოდ, 1712-1714 წლებში ქართლში გამგებლობდა უფლისწული სვიმონი, ხოლო 1714-1716 წლებში მეფობდა იესე I, იგივე ალიყული-ხანი.

ოთხწლიანი ყოყმანის შემდეგ, 1716 წელს ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი და „ჰუსეინ ყული-ხანად" იწოდა. ამით მან ვალის ანუ გუბერნატორის წოდება კი მიიღო, თუმცა სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო. მანამდე ის იძულებული იყო, რომ სპასალარის რანგში ემსახურა სპარსეთში. ვახტანგის გამუსლიმების შემდეგ იესეს ჩამოართვეს ქართლის სამეფო და გადასცეს ბაქარ ვახტანგის ძეს, რომელიც მამის ჩამოსვლამდე მეფობდა. 1719 წელს სპარსეთიდან დაბრუნებული ვახტანგ VI ქართლში მეფობას შეუდგა. 1724 წელს ის იძულებული გახდა, რომ თავისი

ცოლ-შვილით რუსეთში გადახვეწილიყო. ქართლის სამეფო ოსმალეთის არმიამ დაიკავა.

იმხანად შექმნილ ვითარებაში იესემ პროოსმალური ორიენტაცია დაიკავა და სუნიტური ისლამი მიიღო [2, 200-204].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „იესე მიიქცა სჯულსა მათსა ზედა...და აწ ყო ესე, ვინაითგან იყო ხორცთმოყუარე. ამისთვის მიენდუნენ მას ურუმნი“ [5, 507].

მანანა ქიქოძის შეფასებით, „იესეს საბოლოო პოზიცია, მისი მოღვაწეობის ბოლოს ერთგვარად გამოიკვეთა. იგი წმინდა სოციალური სულისკვეთებით, ფეოდალური ფსიქიკის დაძლევის უუნარობით შეპყრობილი, ერთხელ მოპოვებული და შემდეგ დაკარგული ქართლის სამეფოს გამგებლობის უფლებების აღდგენაზე ფიქრს შეუდგა“ [6, 51].

ოსმალებმა ქართლის გამგებლობა მიანდვეს „მუსტაფა-ფაშად“ მონათლულ იესეს (ყოფილ ალიყული-ხანს), სადაც ის სამი წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე (1727 წელი) მეფობდა.

საგულისხმოა, რომ ელენე-ბეგუმზე დაქორწინებამდე იესეს ცოლად ჰყავდა მარიამ ვახუშტის ასული ყაფლანიშვილი (ქვემო ქართლის თავად ორბელიანთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება), რომელიც მან თავად ქაიხოსრო ამირეჯიბს წაართვა [7, 44].

მეორე მეუღლესთან, ელენე-ბეგუმთან იესეს შეეძინა ექვსი შვილი, მათგან ოთხი ვაჟი და ორი ასული, რომელთა შორისაც იყვნენ ბატონიშვილები: 1) **იოანე** (გარდაიცვალა 1717 წელს); 2) **ნიკოლოზი;** 3) **დავითი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1716-1735 წლებში); 4) **თეიმურაზი** (1720-1788); 5) **ანასტასია** (გარდაიცვალა 1731-1733 წლებში); 6) **მარიამი,** იგივე **ხორეშანი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1750-1754 წლებში).

იესეს და ელენე-ბეგუმის ვაჟები არ დაოჯახებულან და არც მემკვიდრე დაუტოვებიათ. მათგან ყველაზე სახელოვანი გამოდგა ნაბოლარა ვაჟი – თეიმურაზი, რომელიც ცნობილია, როგორც კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I.

ასე, რომ მეფე იესეს შთამომავლობა მეორე ქორწინებიდან, პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1788 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი ვაჟი – თეიმურაზი, იგივე ანტონ I [3, ნუსხა № 4].

მართალია, მეფე იესეს ჰყავდა შვილები როგორც პირველი ქორწინებიდან, ასევე მხევალთაგან, მაგრამ ეს საკითხი უკვე სცილდება ჩვენი წინამდებარე სტატიის ჩარჩოს.

3. დედოფალ ელენე-ბეგუმის პოზიცია თავისი ვაჟის ბერად აღკვეცის მიმართ

საგულისხმოა, რომ დედოფალ ელენე-ბეგუმს თავისი ვაჟი თეიმურაზი ქართლის მომავალ მეფედ ესახებოდა და უკმაყოფილო დარჩა, როცა ამ უკანასკნელმა სამოღვაწეო ასპარეზად სასულიერო ცხოვრება აირჩია. ყოველივე ამას წინ შემდეგი მოვლენები უძღვოდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგ VI-ისა და მისი ოჯახის რუსეთში გადასახლების (1724 წელი) შემდეგ, თავისი ცოლ-შვილით სამშობლოში დარჩა მისი ნახევარძმა იესე, რომელიც ქართლში გამეფდა.

1736 წელს, როცა სპარსეთის სამეფო ტახტზე ნადირ-შაჰი ავიდა, იესეს ვაჟთა შორის ქართლის მეფობის ყველაზე ანგარიშგასაწევ პრეტენდენტად ითვლებოდა უფლისწული თეიმურაზი, რომელიც უკვე 16 წლის ჭაბუკი იყო. მისი ლეგიტიმური უფლებები განმტკიცებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

1) იყო ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი პირდაპირი ხაზით (ანუ მამის მხრიდან);

2) გახლდათ იმ მეფის ძე, რომელიც თავისი შტოს წარმომადგენელთაგან უკანასკნელი განაგებდა ქართლის სამეფოს და ტახტის დაუკარგავად გარდაიცვალა;

3) იყო დედის მხრიდან შვილიშვილი ერეკლე I-ისა, რომელიც ქართლში თხუთმეტ წელიწადს მეფობდა.

ზემოთქმულის გარდა, უფლისწულ თეიმურაზის პოზიციას აძლიერებდა კიდევ ერთი ფაქტორი. ის დანიშნული იყო თავად გივი ანდუყაფარის ძე ამილახვრის (1689-1754) ასულზე. ვინაიდან გივი ამილახვარი ქართლის ფეოდალთა შორის განსაკუთრებული გავლენითა და ავტორიტეტით გამოირჩეოდა, მის ასულზე ქორწინებას თეიმურაზისათვის ქართლის მეფის გვირგვინი უნდა მოეტანა, მაგრამ, ეს გეგმა მოულოდნელად ჩაიშალა [8, 77].

1736 წელს ნადირ-შაჰთან მიწვეულ სტუმართა შორის იყვნენ კახეთის მეფე თეიმურაზ II და მისი მეუღლე, დედოფალი თამარი (ვახტანგ VI-ის ასული). აქვე დავსძენთ, რომ თამარი იყო ბიძაშვილი თეიმურაზ იესეს ძისა. კახეთის მეფე-დედოფალს, რომელთაც ქართლის დაპატრონების განზრახვა ჰქონდათ, აშფოთებდათ თეიმურაზ ბატონიშვილის მოსალოდნელი დანათესავება გივი ამილახვართან. ამის ჩასაშლელად, მათ ნადირს მოახსენეს: „ამილახვარს მეტად

ლამაზი ქალი ჰყავს, ღირსი შაჰის ცოლობისა და გამოითხოვეო". ამის შემდეგ, ნადირ-შაჰმა დაუყოვნებლივ მოსთხოვა ამილახვარს, რომ ასული მიეთხოვებინა [9, 508-510].

აღნიშნულის თაობაზე გერონტი ქიქოძე მოგვითხრობს, რომ ნადირ-შაჰი ამილახვარს „უპატიოდ მოეპყრა, დაიჭირა და აიძულა მისთვის თავისი ასული მიეთხოვებინა. გივი ამილახვრის ქალი ვახტანგ VI-ის ძმისწულ თეიმურაზზე იყო დანიშნული. როგორც ერთი იმდროინდელი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი ცნობიდან ჩანს, ახალგაზრდა დანიშნულნი ნარდს თამაშობდნენ სოფელ ჭალაში, ამილახვრების სასახლეში, როცა მათთან ნადირის მიერ გაგზავნილი ჩაფრები მივიდნენ და ახალგაზრდა ქალი ჰარამხანაში წაიყვანეს. ადვილი წარმოსადგენია, რა შემზარავ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ძალმომრეობა შეყვარებულ ქალ-ვაჟზე" [10, 31].

მომხდარმა ამბავმა მორალურად გატეხა ჭაბუკი უფლისწული, რომელიც გადასახლდა იმერეთში და ქუთათელი მიტროპოლიტის რჩევით, ანტონის სახელით ბერად შედგა.

იმხანად რუსეთში მყოფი დედოფალი ელენე-ბეგუმი შეაშფოთა თავისი ძის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ და ბერად აღკვეცილს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

„რად, შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებითა?...

ძმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა გამოიხსნის ღმერთი რუსთა ძალითა, რომელნიც მეცადინეობენ შეწევნასა განსადევნელად თურქთა" [9, 512-513].

ზემოთ მოყვანილი წერილიდან ჩანს, რომ მისი დაწერისას უფლისწულ თეიმურაზის ღვიძლი ძმები უკვე გარდაცვლილნი იყვნენ.

ჩრდილოეთში გადახვეწილი ქვრივი დედოფლის უკმაყოფილება თავისი ვაჟის ბერად შედგომის გამო იმით აიხსნება, რომ ფაქტობრივად ეს ნიშნავდა თეიმურაზ იესეს ძის მიერ ხელის აღებას ქართლის სამეფო ტახტზე და მის დათმობას ბიძის, ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენლის – მეფე თეიმურაზ II-ისა და მისი შთამომავლობისათვის. დედოფლის წერილიდან ირკვევა, რომ მას ერჩია ქართლის სამეფო ტახტი დაეკავებინა მისივე ვაჟს და არა გვირგვინოსან ძმას, რომელიც კახეთში მეფობდა.

1740 წელს ანტონი ხელდასხმულ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად, ხოლო 1743 წლიდან ის მოღვაწეობას შეუდგა დავით გარეჯის უდაბნოში. მომდევნო წელს, თეიმურაზ II-ისა და თამარ დედოფლის ჩარევით, ანტონი კათოლიკოს-პატრიარქი გახდა.

სავარაუდოა, რომ თამარ დედოფალს ამით „სურდა ანტონის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ოდნავ შერბილება მაინც... ანტონ კათალიკოსი, თავის მხრივ, ცდილობს ქართლის მეფის ავტორიტეტის ამაღლებას. 1745 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში თეიმურაზ II-ს ქართული საეკლესიო წესით მეფედ აკურთხებს“ [9, 512-513].

არსებული წესის მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობის დაკავება, მხოლოდ 30 წლის მამაკაცს შეეძლო. მართალია, იმხანად ანტონი მხოლოდ 24 წლისა იყო [11, 15], მაგრამ მეფე-დედოფლის სურვილის შესაბამისად, აღნიშნული წესი დაარღვიეს.

ამრიგად, დედოფალმა ელენე-ბეგუმმა უარყოფითი პოზიცია გამოხატა თავისი ვაჟის ბერად აღკვეცის გამო.

4. ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში მოხსენიებული „ბოგუნის“ იდენტიფიკაციისათვის

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას (1861-1915) მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში გვხვდება მშვენიერი მოთხრობა „თეკლა-ბიჭი“. ის 1902 წელს გამოქვეყნდა მეორე მოთხრობასთან („ხიმიკაურის ხმალი“) ერთად, საერთო სათაურით – „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“.

მოთხრობაში ვკითხულობთ: „მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმეს გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნებისა და ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირს კაცს არავითარი მზამზარეულად შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისავე მსგავსის უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი მოთხრობა.

აი, მაგალითად, ავიღოთ თუნდ მეფის ასულ თეკლა-ბიჭზე დარჩენილი ზეპირგადმოცემა. თეკლა-ბიჭს ფშაური თქმულება იცნობს „ბოგუნის“ სახელით...

ერთხელ ნასახელარმა, ლაშქრობიდგან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა...უბრძანა თეკლა-ბიჭს: „წადი, მერიქიფეს დოქი ჩამოართვი და ფშავლებს ღვინო შენის ხელით დაალეინე ყველას სათითაოდ“... შეზარხოშებულ ჯარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც; დაიწყეს ფშაურად მღერა.

მოაყოლეს კაფიების თქმა. სხვათა შორის, ერთმა მეორეს „შაუმღერა“:

„ღვინოს გვირიგებს ბოგუნი,
შამეჯინჭრება მე გული“.

თეკლა-ბიჭმა ეს ძალიან იწყინა, მერიქიფეობას თავი დაანება და მეფეს შესჩივლა: „შენმა საქებურმა ფშავლებმა შეურაცხმყვესო...“ უამბო ყველაფერი.

ერეკლეს „პირმა შასცინა“: – „ნუთუ ეგა გწყინს?“ – ჰკითხა მან ღიმილით, – „ჩემო თეკლავ, განა ეგ იმედი მაქვს შენი? ნუთუ ეგრე სულმოკლეცა ხარ? ფშავლები არიან. რა ვუყოთ, მაგათი წესი ეგ არის, დამშვიდდი!“...

დიახ, დიდებულმა გმირმა მეფემ იკისრა მწვერვალიდგან დაბლა ჩამოსვლა“ [12, 370-372].

ზემოთმოყვანილი ტექსტიდან, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველამ, ნათელი ხდება ერთ-ერთი ბაგრატოვანი ხელმწიფის თავმდაბლობისა და დიდსულოვნების დამადასტურებელი საყურადღებო ფაქტი, რომელიც ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდეგი დეტალი: ფშაურ თქმულებაში შემონახული მეფე ერეკლეს ასულის სახელი – „ბოგუნი“ მწერალმა მიიჩნია მეფე ერეკლე II-ის ასულის – თეკლა ბატონიშვილის (მეტსახელად – „თეკლა-ბიჭის“) ერთ-ერთ სახელად. არადა, ფაქტია, რომ ეს ბატონიშვილი არცერთ საისტორიო წყაროში არ იხსენიება „ბოგუნის“ სახელით.

ერეკლე II თავისი ზემოხსენებული ასულის თეკლასადმი (1776-1846) გაგზავნილ წერილებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში [13], ხოლო ნაწილობრივ გამოქვეყნებულიც არის, მას მხოლოდ „თეკლა-ბიჭად“ მოიხსენიებდა.

1780 წლის 14 ოქტომბერს, ერეკლე II-მ თავის 4 წლის ასულს შემდეგი შინაარსის სახუმარო სიგელი უბოძა: „გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს – თეკლა ბიჭს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებ ყველა შენს ძმებსა და დებს ამიერიდან გიწოდონ თეკლა-ბიჭი“ [14].

1781 წლის 29 მარტით დათარიღებულ წერილში მეფე თავის ასულს წერდა:

„თეკლა-ბიჭსა“. *თეკლას, მამისა და დედის სიხარულის მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ... თეკლანავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა... შენ ხომ იცი, და გონიერი ქალიცა ხარ, როგორ მიამებოდა და მაამებდა... ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ ღვთით კიდევ ბევრს შაქრის ყინულს, ნუღლს და შაქარს გამოგიგზავნი“* [15].

1785 წლის 1 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ერეკლე II თავის ასულს წერდა: *„ჩემო შინაგან გულის ნათელო თეკლავ... შენს ლამაზ პირს კოცნას მოგახსენებ... თუ ჩემი თეკლა ხარ, ყველანი ვინც შენნი იყვენ, მომიკითხე და კიდეც აკოცე ჩემს მაგიერ ყველას. და ამხანად ვერა გამოგიგზავნე რა, ნუ დამემდურები“* [16].

ზემოთ მოყვანილი წერილების ფრაგმენტები გამოქვეყნებულია სხვადასხვა წიგნებში [14, 7-8; 17, 128-152].

განსხვავებით ზემოხსენებულისაგან, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ მეფე ერეკლე I თავის ასულ ელენეს მოიხსენიებდა სახელით – „ბეგუმი“. მაგალითად მოვიყვანთ ხსენებული მეფის მიერ თავისი ამ ასულისადმი გაგზავნილ წერილს, რომელიც ასევე დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში [18]. წერილში, რომელიც დაწერილია რუხი ფერის ქაღალდზე, მხედრული შრიფტით, ვკითხულობთ: ***„ბეგუმ!*** *ქ. შენი ჭირი შეეყაროს მამაშენს, შვილო, ბატონო ბეგუმ. მერმე: მრავალი მოკითხვა და ჩემის დამტირებელის თვალებში კოცნა მომიხსენებია. მერმე: ბატონს დედათქვენს დედოფალს მოახსენე აქ ნინოწმინდლის წიგნები უნახოს და, თუ წმინდის ნინოს შეწირული ყოფილიყოს, გაშინჯეთ და თუ წმინდის ნინოსი იყოს და ჰქონოდეს, თქვენც უბოძეთ“* [19, 29].

ჩვენი ვარაუდით, ფშაურ თქმულებაში მოხსენიებულ ისტორიულ პიროვნებაში – **„მეფე ერეკლე“,** რომელსაც ჰყოლია ასული **„ბოგუნი“,** უნდა იგულისხმებოდეს **ერეკლე I,** რომელიც თავის ქალიშვილს იხსენიებდა სახელით – **„ბეგუმი“.** ანუ ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში ერეკლე I შეცდომით უნდა იყოს გაიგივებული თავისივე შვილიშვილთან – ერეკლე II-სთან, რაც ალბათ, განაპირობა ამ გვირგვინოსანთა სახელების იგივეობამ. ასევე ფაქტია, რომ სახელები „ბოგუნი“ და „ბეგუმი“ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მსგავსი ტიპის ცვლილებები არცთუ იშვიათად ფიქსირდება ზეპირსიტყვიერებაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დ. ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2011.
2. საქართველოს მეფეები, მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.
3. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.
4. დ. ჯავახიშვილი, ქართლის მეფე იესეს ოჯახური გარემო და პირდაპირი შთამომავლები, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2014, №1(14).
5. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, კრებულში: „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბილისი, 1973.
6. მ. ქიქოძე, ქართლის მეფე იესე „ალიყული ხან" ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727), კრებულში: ანალები, II, თბილისი, 2004.
7. Дворянские роды Российской империи, Князья, III, Под редакцией С. Думина, Москва, 1996.
8. ნ. ჯავახიშვილი, აფშართა დინასტიის წამომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან, კრებულში: საისტორიო კრებული, I, თბილისი, 2011.
9. კ. გაჩეჩილაძე, ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან, წელიწდეული: ქართული დიპლომატია, 11, თბილისი, 2004.
10. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1983.
11. ს. ავალიანი, ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბილისი, 1987.
12. ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, კრებულში: ქართული პროზა, XII, თბილისი, 1986.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საქმეები № 188-189.
14. ი. უთურაშვილი, თეკლა ბატონიშვილი, თბილისი, 1991.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საქმე № 189.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო

არქივი, ფონდი 1448, საქმე № 188.
17. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), ავტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე, თბილისი, 2008.
18. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საქმე № 1461.
19. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, ქართული ეპისტოლური წყაროები (XV-1762 წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბილისი, 1989.

David Javakhishvili
Doctor of History, Assistant-Professor of Jakob Gogebashvili Telavi State University

The Etudes From the Life of Kartli Queen Elene-Begumi

Summary

Presented paper reflects some etudes from the life of the Bagrations' millennial royal dynasty's Kakheti branch representative, Queen of Kartli (Kartalinia) – Elene-Begum (1687-1750).

Specifically, paper describes stories as personally about the Queen of Kartli (Kartalinia) – Elene-Begum, also about her parents, sister and brother, husband a

ლელა მიქიაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ერეკლეს ანდერძის ავთენტურობის საკითხისათვის

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში, ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფონიდან გამომდინარე, ცენტრალურ ხელისუფლებაში აშკარად გამოიკვეთა მძიმე კრიზისული ვითარება, რომლის ლოგიკურ შედეგიც სამეფო სახლის შიგნით არსებული განხეთქილება გახდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, არსებული პრობლემის შემდგომი გაღრმავების თავიდან ასაცილებლად 1791 წ. ხანდაზმულმა ერეკლე II-მ შეადგინა საგანგებო დოკუმენტი, რომელსაც ანდერძის დანიშნულება მიანიჭა, ისტორიაში კი ეს უკანასკნელი „განწესებათა“ სახელით მოიხსენიება [4, 738-739].

საგულისხმოა, რომ აღნიშნული დოკუმენტის დედანი დღემდე არ არის მიკვლეული. მისი ასლი პირველად გამოქვეყნებულ იქნა ე. თაყაიშვილის მიერ 1899 წ. (სათაურით „განწესებანი საქართუელოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი სამეფოსთვის საქართუ8ლოsსა“), თუმცა მკვლევარი იქვე აღნიშნავდა, რომ მან ვერ მოიპოვა დოკუმენტის დედანი და, შესაბამისად, აღნიშნულ ხელნაწერს ნაყალბევად მიიჩნევდა. მოგვიანებით, 1920 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ე. თაყაიშვილმა აზრი შეიცვალა, კერძოდ, იგი აღნიშნავდა: „დედანი ამ „განწესებანისა“ ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას და შემოწირულია იასონ ციციშვილის მიერ (№1487)... ხელნაწერი შეიცავს 27 ფურცელს... ქართული ტექსტის პირდაპირ მოყვანილია რუსული თარგმანი მეფის ძის მირიანის მიერ ნამუშაკევი. პირველ გამოცემაში ჩვენ ეჭვი გამოვთქვით ამ განწესების სინამდვილეში, მაგრამ ეს ეჭვი არ გამართლდა: მოსკოვის არქივში დაცული ყოფილა ამგვარი საბუთი“ [3, 200]. სამწუხაროდ, მეცნიერი კონკრეტულად არ უთითებს მოსკოვში დაცული საბუთის ატრიბუტებს, შესაბამისად, ამ ეტაპზე რთულია იმის მტკიცება, რომ ზემოაღნიშნული „ამგვარი საბუთი“ დოკუმენტის დედნად უნდა ვაღიაროთ.

ვფიქრობთ, ე. თაყაიშვილის პირვანდელი შეხედულების ცვლილება გარკვეულწილად განაპირობა თვით ამ დოკუმენტის ტექსტის მონაცემებმა, პირველ ყოვლისა ეს ეხება მის ე. წ. შესავალ ნაწილს. ამ საკითხზე შემდგომი მსჯელობის ნათელსაყოფად სასურველად ჩავთვალეთ დოკუმენტიდან რამდენიმე ამონარიდის მოყვანა:

„1791 წელი; პირი „განწესებათა“:

განწესებანი საქართველოს მეფისა ოჯახისათვის და ქვეყნისა ამის დადებული საუკუნოდ ნეტარ სახსოვარისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან, რომელნიცა ბრძანებითავე მისითა გამოცხადდა სახალხოთ ქართულსა ქკს **უოთ**, რომ იქნება საეკლესიოთა აღრიცხვითა **ჩღჟა** წელი და დაიბეჭდა იგი საქართველოსა შინა მყოფთა ჩინებულთა სამღუდელოთა და საეროთაგან და შენახულ იყო სამეფოსა პალატსა შინა ქალაქსა ტფილისს, ხოლო დროსა აღამამად-ხანისაგან ქალაქისა ამის დაქცევისასა სარწმუნო არს, რომელ განწესებაცა იგი მუნ დაკარგულ იყოს, რამეთუ **მიერ ჟამიდგან აღარსად იხილვება, გარნა ან ვპოეთ სარწმუნო პირი მისი,** რომელსაცა შინა მრავალსა ალაგსა თვით ზემოხსენებულის სანატრელის მეფის ჭელითაც არს ჩაწერილნი, რომელნიცა თითო-თითოდ მუნ დაინიშვნიან ესრედ: საცა ჯვარი ისხდეს, იქ დაიწყება სანატრელის მეფის ჭელი და საცა ნოლი ისხდეს, იქ კი დასრულდება. ხოლო პირი ესე თვით იმ სარწმუნო პირისაგან გარდმოიწერა და რუსულად ითარგმნა, რომელნიცა ნიშვნენ ამის ქვემო; [3, 203].

„დ) სამობითსა და ერთობითსა **ღთსა** ვფიცავ, რომ რაც ეს განწესება დამიწერია, არავის შეეტყოს, არცა ვისთვის მეკითხოს და არც ვისმე ერჩიოს და არავისიმე მეტობის მონდომობით, არცა ვისიმე დაკლებით მე ეს არ დამეწეროს და არც ჩემის გონების მეტი კაცი, ამისი მთქმელი და გამრჩეველი სხვა ამის დაწერადმდე არა მყოლოდეს და ამაზედ ცილი ან მე არავინ დამწამოს და ან სხვათ, რომ დიდი ცოდვა იქნება, და ეს ასე დამიჯერეთ შვილმაცა და ქვეყანამაც...

...თუ მე ასე არ გამესაჯა და ასე არ გამერიგებინა ჩემის შვილებისა და თქვენთვის ეს საბოლოო სიმტკიცე მშვიდობისა, სიყვარულისა და ერთობისა არ განმეწესებინა და თავთავისი წილი და რიგი ახლავ არ მიმეცა და არ გამეჩინა, ან ერთმანერთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი და ან დაკარგვისა სულით და ხორცით მიზეზად მე დავიდებოდი“ [3, 203].

„ლთ) †მეფობა0 პირველად უფროს ძმას, მეორეთ - მეორეს, მე-

სამედ მესამეს, მეოთხედ მეოთხეს, მეხუთედ მეხუთეს, მეექვსედ მეექვსეს და მასუკან კიდევ მეორედ უნდა მოუბრუნდეს პირველის ძმიდამ და კიდევ ისე უნდა ჩავიდეს მეექვსე ძმამდის. ყველამ ძმის შთამომავლობამ ასე უნდა ჩაირიგონ †მეფობა0 და, თუ ის ერთი ჩამომავლობისა არ ვარგოდეს ან სნეულობითა, ან სხვა რიგად შეუძლებელი იყოს, თუ იმასვე სახლისკაცი ჰყვანდეს თავის წილში, იმას დაანებონ ქვეყნის დამტკიცებით და თუ არა ჰყვანდეს თავისი უმცროსი ძმა და ნათესავი, იმ მეორეს სქესს იმის უქვემოეს მისცენ და ის მეფობდეს, სანამდის იცოცხლებდეს, და კიდევ, თუ გაუჩნდეს რამე და ბოლოს გაეზარდოს იმ დაწუნებულს თავის კერძს ოჯახში, ის გაამეფონ. მასუკან იმ დაწუნებულის მაგიერად რომ იჯდა მეფედ, იმის სქესს აღარ ერგება მეფობა, რადგან იმ დაწუნებულის მაგიერად იჯდა მეფედ; სხვას სქესს უნდა მისცენ, იმას უკან რომელიც იჯდა მეფედ, იმ სქესს; შემდგომად, რომელსაც ერგება რიგით, იმან მიიღოს მეფობა და ქვეყნის სამართლით და განსჯით და ძმების შემწეობით მიეცეს და როგორც დამიწერია, კიდევ ისე ქმნან, თუ უჩნდეს სახლში ხეირიანი, რომ ავი არ იყოს და სათაკილო ქვეყნისა, იმ დაწუნებულის კერძს სახლსა შინა ნურასდროს რიგს ნუ მოუშლიან. ჩემის ცოდვითამც განიკითხვის, თუ ეს მოშალოს ვინმე, ღმერთმან ის მოშალოს ყოვლის კეთილისაგან“ [3, 213].

„მე) საქართველოებში მეფედ სახლებშიაც და თავადების სახლებშიაც ასე ყოფილა, რომელნიც და რამდონიც ძმანიც ყოფილან, ხან ერთის ძმის სახლში ყოფილა უფროსობა და ბატონობა, ხან მეორეში და რამდენიც ძმანი ყოფილან, ისე რიგით ყოფილან, რომელნიც განუყრელნი ყოფილან, როგორადაც ჩემს მამეულთ და დედეულთში ყოფილან და იყვნენ, რომელიც მრავალთ ახსოვთ ეს საქმე და საქართველოს მოთხრობის წიგნებშიაც გვიწერია, და თვით მეც მახსოვს ჩემს დროებში ჩემი მამეულნი და დედეულნი როგორც იყვნენ და ბატონობდნენ, და მეფობდნენ, და განუყრელნიც იყვნენ. ხან ერთმა ძმამ მიიღის მეფობა და უფროსობა და ხან მეორემ და ეგრეთვე, რომელნიც პირველნი თავადნი იყვნენ და არიან და კიდევ მათგანიც უმცირესნი არიან, იმათ სახლებშიაც ჩვეულება და რიგია, რომ რამდენიც უნდა ძმანი იყვნენ, ხან ერთი იქნება უფროსი და ბატონი თავის ოჯახისა და ყმისა და ხან მეორე, და ხან მესამე ძმა, სანამდის გაიყრებიან; ეს არის რიგი და წესი, თვარემ, თუ ასე არ იყოს და სულ ერთის ძმის სახლში იყოს უფროსობა და ბატონობა, გინა მეფობა, ის სხვანი მას უკან იმის ყმანი შეიქნებიან და ეს დიდი უსამართლობა არის. თვით უნდა პირმშო იყოს, თუნდა შემდგომი, თუნდა

კიდევ შემდგომი, ყველანი თავის წილს დაჯერებულნი უნდა იყვნენ, და მე ჩემის შვილებისა თავთავისის წილების მიცემა და გარჩევა გაუყრელობისა და შეყრის ნიშნები ამ მიზეზებისთვის გავაჩინე, რომ არ აირივნენ და გაიყარნენ, რომ გაყრით არ წაიკიდნენ და სისხლი არ ჩამოუვარდესთ, და ქვეყანა ერთმანერთს არ შეახოცონ; და კიდევ მეორე მიზეზი – გაყრით ბატონობა, მეფობა და თავადობა არ დამდაბლდეს და არ დასუსტდეს, და ამ სახლშიაც ძმების შთამომავლობა ერთის ძმისა და მეორე ძმის ყმად არ გახდეს და არ გაგლახაკდეს, და მე ეს წესდებულება კიდევ ამისთვის დავდევ, რომლისათვის კიდევ სხვას მუხლებშიაც დამიწერია ისივ მიზეზები" [3, 217].

„ქართულიდან რუსულად ითარგმნა საქართველოს მეფის ძის მირიანისაგან ნოემბრის **ივ**, ქკს **უპზ**, რომ იქნება საეკლესიო რიცხვისამებრ **ჩღჟთ** წელი. ქალაქსა ტფილისს, სადედოფლოს ავლაბრის სასახლეში" [3, 221].

„განწესებათა" შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული; ცნობილია, რომ 1791 წლით დათარიღებული დოკუმენტის დედანი ინახებოდა თბილისში, სამეფო სასახლეში, თუმცა (ბატონიშვილების მოწმობით), აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას იგი განადგურებულა. ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული „სარწმუნო პირის" თაობაზე მკვლევარი ვ. გურული აღნიშნავს: „ცნობილი არ არის, ჰქონდა თუ არა ამ ასლს ერეკლე მეორის ხელრთვა და ბეჭდები. ბატონიშვილები მხოლოდ იმას იუწყებიან, რომ დოკუმენტი იყო „სარწმუნო პირი" (ასლი), რომელსაც ალაგ-ალაგ ჰქონდა ერეკლე მეორის ხელით შესრულებული დამატებები. რატომ გადაწყვიტა ერეკლემ უკვე დამტკიცებულ ანდერძში დამატებების შეტანა, ამის შესახებ ბატონიშვილები არაფერს იუწყებიან. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის ბატონიშვილების მიერ ნაპოვნი ის სარწმუნო პირიც (ასლიც) კი არ არის ცნობილი. ჩვენ მხოლოდ 1799 წელს ამ პირის (ასლის) საფუძველზე შედგენილი, უფრო ზუსტად – განახლებული ანდერძის ტექსტი მოგვეპოვება" [5].

ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ „განწესებანის" ჩვენთვის საინტერესო მუხლებში გადამწერს ერეკლეს ხელით ჩამატებული მხოლოდ ერთადერთი სიტყვა – „მეფობა" გამოუყვია (იხ. ზემოთ, მუხლი ***ლთ***), ხოლო რაც შეეხება მეფის ხელრთვასა და ბეჭდებს, როგორც წესი, მათი არსებობის შემთხვევაში, საბუთის პირის შედგენისას გადამწერები სათანადო ადგილას მიუთითებდნენ ხოლმე ამის თაობაზე, რაც ამ შემთხვევაში არ გაკეთებულა.

რაც შეეხება ერეკლეს მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესში ცვლილებების შეტანის მიზეზებს, ამის თაობაზე ისტორიკოსთა მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა: XX ს-ის 70-იან წლებში ოფიციალურ ვერსიად მიიჩნეოდა, რომ ამ წესის შეცვლაში „დარეჯან დედოფლის ხელი ერია", თუმცა აქვე იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ეს მოსაზრება ბუტკოვის ზეგავლენით ჩამოყალიბდა [4, 739]; კერძოდ, ბუტკოვის ნაშრომში ვკითხულობთ: „...А царица Дарья, в руках коей так сказать правление земли той тогда состояло, равнодушным оком взирала на приближение неприятеля (იგულისხმება აღა-მაჰმად-ხანი – ლ.მ.) ибо проча престол грузинский любимому сыну своему Юлону, а ища старшаго царевича Георгия, пасынка своего, лишить права наследия, уповала, что по подпадении Грузии под власть Ага-Магомет-хана, царевич Георгий отчужден будет от права наследства.

Бодрость духа царя Ираклия поколебалась. Поражаемый частыми переменами счастья, удрученный старостью, трудами, ранами, видимо начал он приходить год от году в безсилие и слабость, даже в самом правлении своем. Случай сей послужил поводом возиметь сильное влияние в дела супруге его по третьему браку - царице Дарии, которая начав входить в дела, как мы видели, с 1780 года, с 1792 года почти самовластно Грузиею управляла" [6, 336]. ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავო არ არის, რომ ხშირ შემთხვევაში ბუტკოვის მიერ გადმოცემული ფაქტები არაობიექტურობით გამოირჩევიან, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ იმპერიის ინტერესების დამცველი ავტორისათვის: იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი იყო ერეკლეს მმართველობისა და, ზოგადად – ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დაკნინებული სახით წარმოჩენა, რაც სამომავლოდ რუსეთს „ერთმორწმუნე" მეგობრისა და პატარა, დასუსტებული ქვეყნის „გადამრჩენელის" როლის მორგებაში დიდად წაადგებოდა. ამ შემთხვევაში ნაკლებად დამაჯერებელია, რომ 1791 წელს დარეჯან დედოფალი წინასწარ ჭვრეტდა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელ თავდასხმას და ამიტომაც აიძულა ერეკლე, შეედგინა და დაემტკიცებინა „განწესებანი".

დაახლოებით იგივე პათოსით მოგვითხრობს დარეჯანის აქტიურობის თაობაზე კიდევ ერთი რუსი ისტორიკოსი ნ. დუბროვინი, თუმცა ბუტკოვისაგან განსხვავებით, იგი აღნიშნავს, რომ ერეკლემ თავის ვაჟს გიორგის გაუმხილა, რომ ამ ახალ დოკუმენტს არ ეთანხმებოდა, მაგრამ „აიძულეს" მისი შედგენა და აღუთქვა, რომ პირვე-

ლივე შესაძლებლობისას მას გაანადგურებდა: „Ираклий оставил семь сыновей, из которых старший Георгий, был от первой его супруги. С древних времен в Грузии существовал обычай оставлять наследие престола старшему сыну, хотя никакого законоположения об этом не было. ... Царица Дарья, вторая жена Ираклия, имея огромную родню, старалась, чтобы престол перешел к ее детям, а не в роде пасынка Георгия. В последние годы царствования своего дряхлого супруга, царица Дарья управляля государством за его болезнью. Не смея сразу изменить постановления и правила о престолонаследии, она успела однакож собрать совет из лиц, ей приверженных, которые постановили, чтобы после смерти Георгия грузинский престол перешел не к детям Георгия, а к его братьям по старшинству рода. Престарелый и больной царь Грузии, видя несчастье и стоны подданных, не имел утешения в собственном семействе, которое не дало ему даже спокойно окончить последние дни жизни. Составленный царицею Дарьею акт о престолонаследии был поднесен Ираклию на утверждение, а он против воли своей, как сам сознался в письме к сыну, скрепил его своей печатью (письмо от 28 мая 1794 г.).

«Письмо утвердительное - писал Ираклий сыну своему Георгию - которое дали мы твоим братьям, правда, было так, что меня заставили оное запечатать (приложить печать). Без моего позволения однакож оно было написано: итак то письмо недействительно и ничтожно есть. Поверь мне и Богу, клянусь родителем моим Теймуразом, что на то письмо я не согласен. Когда сия военная экспедиция пройдет и окончится (нашествие Аги-Магомет-хана), тогда, как дело правильно есть, то так точно я его и совершу. В сем уверяю вас именем Божием, что ни по чьей причине и проискам права твоего не нарушу, а то прежнее письмо, данное братьям, уничтожу. Поверь мне, ни по какой причине я не буду преступать ни права твоего, ни права твоих братьев, и кто захочет поступить неправо, то поверь мне, что я на то не буду согласен“ (Константинов, ч. 2, стр. 189 (рукоп), Арх. главн. шт. в С.-Петербурге).

Вторжение Аги-Магомет-хана в Грузию, а потом болезнь и скорая смерть помешали Ираклию исполнить обещание и объявить прежний акт престолонаследия недействительным“ [2, 52-54]. ჩვენი აზრით, ნაკლებ სარწმუნოა, 1791 წ. შედგენილ „განწესებათა“ უარყოფა ერეკლეს ასე ხანგრძლივი დროით – აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის მომდევნო პერიოდისათვის გადაედო; გარდა ამისა, ასევე საეჭვოდ

ჟღერს ანდერძის დედნის დაკარგვა აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმისას, რადგან როგორც იმ პერიოდის წყაროები მოწმობენ, ხელისუფლებას საგანგებოდ უზრუნია მოსალოდნელი ბრძოლის წინ არა მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრების, არამედ უბრალო მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში გახიზვნა-დაბინავებაზე [12, 156-157], მით უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორც მეფის ანდერძი იყო, საიმედოდ არ შეენახათ. დაბოლოს, ზემოთ მოყვანილ ამონარიდში ყურადღებას იქცევს ნ. დუბროვინის მიერ ერეკლეს მისამართით სრულიად გამიზნულად გამოყენებული ფრაზები „Престарелый и больной царь Грузии", ან – „дряхлый супруг" (დარეჯან დედოფალზე საუბრისას), რითაც ავტორს სურს დაარწმუნოს მკითხველი ერეკლეს სრულ უძლურებაში, რაც რუსეთისათვის დიახაც რომ ხელსაყრელი იქნებოდა; თუმცა კრწანისის ომში ერეკლეს აქტიურობა სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაზე მეტყველებს [12, 135-2050].

ჩვენ ვერ მოვიძიეთ ნ. დუბროვინის მიერ მითითებული ერეკლეს წერილი გიორგისადმი, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა, დადასტურებულად მიგვეჩნია ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ 1791-1792 წლებში „დარეჯანმა და მისმა შვილებმა მოხუც მეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს ხელიდან: ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ... ეს კანონი ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი იყო და ერეკლემ ხელის მოწერის უმალვე უარყო ის" [7, 234]. საგულისხმოა, რომ თავის დროზე იგივე ვერსია გაახმოვანა პ. იოსელიანმა, რომელიც გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდგომ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრისას წერდა: „ერთი მეორესა ეწინააღმდეგებოდა... ვიეთთამე უნებდათ მეფედ იულონ, ვიეთთამე – დავით, ვიეთთამე სურდათ აღსრულებულიყო მეფისა ირაკლისა უგვანი ანდერძი დასაღუპავად ქვეყანისა შექმნილი... მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი; იმა ანდერძითა ირღვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან. ესე იყო მიზეზი, რომელმანცა დაბადა შფოთი ძმათა შორის..." [1, 222-223].

ამავე აზრს ემხრობა ს. კაკაბაძე, რომელიც მიიჩნევდა, რომ ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი ქვეყნისათვის დამღუპველი იყო: „ასეთ დებულებას და მის განხორციელებას შეიძლება მოჰყოლოდა მხოლოდ საშინელი არევ-დარევა. ასეც მოხდა, რადგანაც ბატონიშვილები ***ამ კანონის გაუქმების შემდეგაც*** (ხაზგასმა ჩვენია –

ლ.მ.) არ ამბობდნენ უარს ტახტის მემკვიდრეობის ასეთ წესზე. ამიტომაც ეს კანონი საფუძვლიანად ითვლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაქცევის მიზეზად“ [10, 36-37].

ვერსია ერეკლეს მიერ „განწესებათა“ გაუქმების შესახებ ნაკლებად დამაჯერებელია რამდენიმე მიზეზის გამო: უპირველეს ყოვლისა, ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ საბუთს ერთვის გიორგი XII-ის ე.წ. „პირობის წიგნი“ და „სიმტკიცის წერილი“, შედგენილი ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში, 1797 წელს:

„პირობის წიგნი მეფე გიორგი XIII-ისა მოქცეულია ზემომოყვანილ ირაკლის განწესების ბოლოში

1797 დეკემბრის 8. პირობები, რომელიც მიუცია აწინდელსა მეფესა საქართველოჲსასა გიორგის ძმებისათვის თჳსისა მეფის ძეთა იულონისა და ალმასხანისათვის:

ქ. ღვთით ჩვენ ბატონიშვილი გიორგი თქვენ ჩვენს ძმას ბატონიშვილს იულონს და ალმასხანს ამ პირობაებს გაძლევთ, რომელნიც ამას ქვეით სწერიან:

ა) პირველი, ესე ჩვენი ხელმწიფე მამა ღმერთმან მრავალს წელს გვიცოცხლოს, ყოვლითურთ მისის ბრძანების მორჩილნი და დამამტკიცებელნი ვიყვნეთ...

ბ) მეორე, ესე ღ(მერ)თ(მა)ნ დიდს ხანს აცოცხლოს ჩვენი ჴელმწიფე დედა, დედოფალი დარეჯან...

გ) მესამე, ესე, რომელიც დღეს ჩვენ მამულები გვიჭირავს მეფის ერეკლეს ბრძანებით, ეს საუკუნოდ და საშვილისშვილოდ მოუშლელად გუქონდეს.

დ) მეოთხე, ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ყველანი, მაგრამ საქართველოს მეფობა უფროს უმცროსობით ჩამორიგებით იყოს ძმებზედ.

ე) მეხუთე, ეს ჩვენი უმცროსი ძმები ჩვენთან მოვიყვანოთ, შემოვიერთოთ და თუ რამ აკლდესთ, სამართლიანის საქმით და შეძლებით შეუსრულოთ.

ვ) მეექვსე, ეს, რომელნიც ჩემი შვილები არიან, იმათგანაც ხათრიჯამნი იყავით, რომ ამ ჩვენს პირობაებს არ ეწინააღმდგომნენ, ყოვლისფრით თანმოკიდებულნი და დამამტკიცებელნი იყუნენ....

...ზ) მერვე, რომელმაც ჩვენის ოჯახის შვილმაც ამ პირობის დახსნა მოინდომოს, ჯერ დიდად ვეცადნეთ, რომ ისევ ამაზედ მოვიყუანოთ, თუ რომ არ იქნას და არ იქნას, მასუკან რაც შეგვეძლოს, ჩვენი ძალი იმაზედ მოვიხმაროთ...

ესე რომელიც პირობაები თქვენ ჩემმა ძმებმა მთხოვეთ, ამ პირობაებს ყოვლად ძლიერის ღვთის სახელით გაძლევ, რომ თუ თქვენ ჩემზედ არა იმტყუვნოთ რა, არცარა მე თქვენზედ ვიმტყუვნი და არც ეს პირობაები გაგიტეხო.

დეკენბრის **Ѳ**, ქკს **უპე**, რომ იქნება ეკლესიურის რიცხვისამებრ **ჩღუზ.**

ბეჭედი: გიორგი

სიმტკიცის წერილი, მიცემული გიორგი XIII-საგან იულონისათვის. (ეს წერილი მოქცეულია ზემო წერილის ბოლოში - ე. თაყაიშვილი, გვ. 223).

1797, დეკემბრის 8. სიმტკიცის წერილი, რომელიც მაუცია აწინდელსა მეფესა საქართველოსასა გიორგის ძმისა თვისისა იულონისათვის, დამტკიცებისათვის მისისა შემდგომად თჳსა საქართველოს სამეფოსა ზედა მემკვიდრედ.

ჩემო ძმავ, ბატონისშვილო იულონ! მე თქვენი ძმა გიორგი ამ წიგნს გაძლევ, რომ როდესაც მე გარდავიცვალო, ჩემ შემდგომ მეფობა შენ გქონდეს, შენი არის, ამას ჩემის ხელით გიმტკიცებ და ჩემის ბეჭდით.

დეკენბრის Ѳ, ქკს უპე, რომ იქნება ეკლესიურის რიცხვისამებრ ჩღუზ წელი.

ბეჭედი: გიორგი" [3, 223].

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ეს წერილებიც, „განწესებათა" მსგავსად, არ არიან დედნისეული და, შესაბამისად, მათი სანდოობაც ეჭვქვეშ დაგვეყენებინა, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გიორგი XII-ის საწინააღმდეგოდ მეტყველებს: ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი იოანე ბატონიშვილის (გიორგის ვაჟის) მიერ შედგენილი „სჯულდება" – ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობის რეფორმირების პროექტი [8]. ეს არის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მასალას შეიცავს: ძეგლში გვხვდება საინტერესო ცნობები სახელმწიფო და სამოქალაქო, აგრეთვე – სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ [8, 02-04]. ასევე საყურად-

ღებო მასალაა დაცული გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ვითარების, საფინანსო და სამხედრო სფეროების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის შესახებ. ამ ძეგლს იმთავითვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი [9, 125-127]; იოანე ბატონიშვილმა თავისი ნაშრომი 1799 წლის მაისში დაასრულა და გიორგი XII-ს წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი კანონად არ ქცეულა, მისი მნიშვნელობა განუზომელია ქართული სახელმწიფოებრივი წყობისა და სამართლის ინსტიტუტების ისტორიის შესწავლისათვის [8,081]. ჩვენთვის ნიშანდობლივია ამ პროექტის ერთ-ერთი მუხლი **„მეფის ძეთ მემკვიდრეობისათვის“** სადაც ვკითხულობთ: „თუმცა ღვთისადმი განსვენებულმან მამამან თქვენმან, მეფემან ირაკლი, განაწესა ძმებზედან მოდევნებით მეფობა, და ამას ზედნცა აიძულა ხალხი და დაიფიცეს, თუმცა არ იყო სჯულიერი სამართალი, მაგრამ ვჰგონებ მორჩილებისათვის ერთის-მეორის ინება ესე. და რადგან განწესება ესე ჰჩანს მიზეზ შფოთისა სახლსა შინა სამეფოსასა, თქვენცა იხმარეთ მეცნიერება და შესაერთებლად ძმათა თქვენთა ინებეთ ესრეთ: თქვენ შემდგომ, თუ ცოცხალი დაშთეს, იულონ იყოს მეფედ; იულონის შემდგომად იყოს დავით და დავითის შემდგომად ვახტანგ და ესრეთ მიმოგდებით ძმათა შვილებთა შორის, ვითარცა ხონთქრის გვარშიაცა არს ესე წესდება. გარნა ზემოხსენებულნი უკვე კანონნი და ქვემო მოხსენებულნიცა უნდა დაიცოს მეფემან და თუ არა მოუმატოს-რა კარგი, არღარა მოაკლოს-რა და ამ კანონით იაროს. მაშინ სამეფო ყოველთვის წარმატებაში იქმნების“ [8, 32]. ეს მუხლი სრულიად აბათილებს გიორგი XII-ს მიერ მხარდაჭერილ ვერსიას ერეკლე II-ისაგან „განწესებათა“ გაუქმების თაობაზე: მსგავსი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში იოანე ბატონიშვილი თავს უფლებას არ მისცემდა ზემოხსენებული მუხლი შეეტანა საკუთარ პროექტში, რომელიც პირადად წარუდგინა მეფეს.

უფრო მეტიც, ს. კაკაბაძეს თავის ნაშრომში მოჰყავს 1802 წ. 10 იანვრით დათარიღებული წერილი დავით ბატონიშვილისა იულონისადმი (ეს უკანასკნელი იმ დროს იმერეთში იყო გადახვეწილი). წერილში ვკითხულობთ: „... ოდეს მამამან თქუენმან და პაპამან ჩემმან ინება კანონისა დადებაჲ სახლისათვის თვისისა თანამოწმობითა ქართველთათა; და შ(ემდგომა)დ ძმისა თქვენისა დაგადგინათ მოსაყდრედ... ოდეს გარდაიცვალა მამა თქვენი და პაპა ჩემი, თქუენვე ხართ მოწამე და მხილველი, რომელ მე არა ვიყავ მამულსა ჩემსა და რაიცა აღთქუით აღთქმაჲ ურთიერთარს ძმათა, ოდეს მოვიქეც მუ-

ნით და ვსცან მითცა, არა ვიწყე რუდუნაჲ რისათვის ღ(მერ)თი მყავს მოწამედ და სინიდისი... ვირე გარსევან ჭავჭავაძესა არა მიერთმია ღრამატაი ძმისათვის თქუენისა, მუნ ჟამამდის არა რა მიცვნიეს, და ოდეს შევესწარ წარკითხვასა რომელთაც მხიარულითა პირითა ჰყვეს ჩემდამო მოლოცვაი... არა თუ მადლობისა მიმთვალველ ვიქმენ, ა(რამე)დ ვაჩვენეცა უსახური სახე, რომლისათვისცა ვიქმენ მთელსა თვესა კრიტიკასა შინა... ანდერძი საკვირველისა და სანატრელისა პაპისა ჩემისა მაქუნდა საგან დაბრკოლებისა, ვიდრე მოსულადმდე გიორგისა და ელიაზარისა, რომელთაცა წარმომიდგინეს აქტნი მინისტერიით სადღესასწაულოთა დღესასწაულებითა და მძლეს... არათუ მხოლოდ რჩევით, არამედ შიშითაცა, შიშნეულ მყვეს სახელითა პავლესათა, რომელსაცა ძრწოლად მოეყვანა ყოველი სოფელი; და გარდაასხეს გესლი სახლსა ჩვენსა, რ(ომელი)ცა მათ თვისისა მამისა ეშმაკისაგან რწმუნებოდათ. აწ დაუტევოთ ყოველივე ცუდ სიტყვაობაჲ, უგანათლებულესობა თქუენი დაშთა სახლსა ამას ნაცულად მეფისა ირაკლისა და გიორგისა, მამად და ერთა ქართლოსიანთა პატრონად. აწ შეიმოსე მამაკაცებრივი სიმხნე და აღადგინე დაცემად მიახლოებული სახლი ესე...“ [10, 62-63].

ამრიგად, იკვეთება ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიათა მთელი წყება: არ არსებობს „განწესებათა“ დედანი, ისევე, როგორც ამ დოკუმენტის გამაბათილებელი ერეკლეს წერილი გიორგისადმი; ანდერძი თითქოს დაიწერა დარეჯან დედოფლის ჩარევით, მაგრამ ტექსტიდან გამომდინარე, ერეკლემ იგი ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეადგინა; ამასთანავე (შესაძლოა სუბიექტურადაც), ჩნდება ლოგიკური მოსაზრება: აღა-მაჰმადის შემოსევისას სამეფო სახლის წევრები ორგანიზებულად გახიზნეს. საეჭვოა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორც „განწესებანი“ იყო, საიმედოდ არ დაებინავებინათ, რათა მისი განადგურება არ მომხდარიყო. მეორე მხრივ, თუკი გიორგი XII-ს მართლაც ჰქონდა ხელთ ნ. დუბროვინის მიერ მითითებული ერეკლეს წერილი, მას საგანგებოდ გაუფრთხილდებოდა და მისი გამეფებისას, ისევე როგორც მომდევნო პერიოდში შექმნილ ურთულეს ვითარებას იოლად დაარეგულირებდა, მაგრამ მისივე „პირობის წერილები“ ამ ვერსიას გამორიცხავენ.

ასევე საეჭვოდ გამოიყურება დარეჯანის და მისი შვილების პროტესტი პავლეს მანიფესტის გამოცხადებისას: „როდესაც დაიწერა გრამატა, მაშინ იმპერატორმან პავლემ არ იცოდა გარდაცვალება მეფისა გიორგისაო,... და არცა იყო ცნობილი ჯერეთ ანდერძი

განსვენებულისა ირაკლისა“ ... [1, 220]. ბუნებრივია, 1791 წ. დაწერილი ანდერძი 1800 წლისათვის უცნობი ვერ იქნებოდა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ი. შაიშმელაშვილს, რომელიც მიიჩნევს, რომ რადგანაც თავის დროზე „ერეკლეს მამამ და ბიძებმა მორიგეობით მიიღეს სამეფო ტახტი, სამივე მათგანმა საკმაოდ დიდხანს იმეფა, შემდეგ კი მეფობა ერეკლეზე გადავიდა. აღნიშნულისა და ძმებს შორის არსებული შუღლის გათვალისწინებით (შეუძლებელია, ერეკლეს ეს ვერ შეემჩნია საკუთარ ვაჟებში) მან შეცვალა მემკვიდრეობის გადასვლის წესი და იმედოვნებდა, ასე მაინც მოერიგებინა ბატონიშვილებს შორის ურთიერთობა“ [11]. ეს ვერსია, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად მისაღებია, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის განსხვავებული რეალობა, რა დროსაც ერეკლეს წინაპრების მორიგეობით გამეფება ხდებოდა (ამაზე დეტალური მსჯელობა ცალკე კვლევის საგანია, ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებთ).

დაბოლოს, საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ლევან ბატონიშვილის დაღუპვით ერეკლეს ძლიერი დასაყრდენი გამოეცალა; მის მრავალრიცხოვან შთამომავლებს შორის კი გიორგი XII ალბათ ყველაზე ნაკლებ მისაღებ კანდიდატურად მიაჩნდა (რაც მომავალმაც ნათლად დაადასტურა). არ არის გამორიცხული, რომ ერეკლეს მართლაც იძულებით, ოღონდ არა დედოფლის მხრიდან, არამედ „გარემოებათა გამო“ მიეღო ესოდენ მძიმე გადაწყვეტილება „განწესებათა“ შესაქმნელად. ვფიქრობთ, ამ საკითხის ამომწურავად შესწავლა მომავლის საქმეა, ამ ეტაპზე კი შევეცადეთ მოკლედ წარმოგვედგინა ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალის ანალიზი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. განერელიას რედაქციით, თბილისი, 1936.
2. Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, СПБ, 1897.
3. საქართველოს სიძველენი, ტ. I, წ. I, ტფილისი, 1920.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.
5. ვ. გურული, რა ქონება არ გაუნაწილა ერეკლე მეორემ უფლისწულებს და რატომ მიიჩნევდა ე. თაყაიშვილი ერეკლე II-ს ანდერძს ნაყალბევად, ჟურნალში: თბილისელები, 2011, 09. 06.

6. П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, II, СПБ, 1869.
7. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965.
8. იოანე ბაგრატიონი, „სჯულდება“, ივ. სურგულაძის გამოცემა, თბილისი, 1957.
9. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბილისი, 1928.
10. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბილისი, 2003.
11. ი. შაიშმელაშვილი, დაპირისპირება ქართლ-კახეთის სამეფო კარზე და მისი შედეგები (1798-1801), II, www.doctrina.ge/Geo/2013.
12. ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბილისი, 1969.

Lela Mikiashvili
Doctor of History, Ivane JavaxiShvili Tbilisi State University, Ivane Javaxishvili Institute of History and ethnology,Senior Researcher of the Department of Modern and Contemporary History

On the Authenticity of the Testament of Erekle

Summary

In the 1780s-1790s due to the internal and foreign political situation in the kingdoms of Kartli and Kakheti a serious crisis of the central government became obvious, which logically resulted in the split within the royal house.

According to the established view in Georgian historiography, in order to prevent further deepening of the problem, in 1791 Erekle II drew up an extraordinary document, to which he attached the significance of a testament. In the history it is known under the name of „Gantseseba“. Based on the analysis of the available documentary materials the article discusses the issues of authenticity and annulment of the „testament“.

ალექსანდრე მოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ახტალის კურორტად ჩამოყალიბების ისტორიიდან

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უამრავ კურორტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია „ახტალას". ტალახით სამკურნალო კურორტი კახეთში, ქ. გურჯაანის ცენტრში, თბილისიდან 122 კმ. მანძილზე, ზღვის დონიდან კი 412 მეტრზე მდებარეობს. აქ ჰავა ზომიერი კონტინენტურია: ზაფხული ცხელი, ზამთარი თბილი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 700 მილიმეტრია. კურორტის სამკურნალო ფაქტორია ფსევდოვულკანური ტალახი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისათვის, აპლიკაციებისა და ტამპონებისათვის [1]. სამკურნალო ტალახის საბადოს 4.5 ჰექტარი ტერიტორია უკავია. ტალახს აცხელებენ შესაბამის (36-38C) ტემპერატურამდე და იყენებენ აბაზანებისთვის საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და ზოგიერთი სხვა დაავადებების დროს [2].

თუ ძველ პერიოდს გადავავლებთ თვალს, ახტალის ტალახის შესახებ ცნობები მოჰყავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსსა და არქეოლოგ პლატონ იოსელიანს თავის „კახეთში მოგზაურობის წერილებში". 1846 წელს პირველად ახტალის ტალახს სამკურნალო მნიშვნელობის თვალსაზრისით ყურადღება მიაქცია სიღნაღის მაზრის ექიმმა ალექსი მესხიშვილმა. ამის შემდეგ ავადმყოფებს იქ სამკურნალოდ გზავნიდნენ სიღნაღის ექიმები: ლისიცევი და სააკოვი.

1903 წელს ახტალა აღწერა ნერვეჟიცკიმ, 1909 წელს დ. ახვლედიანმა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით კი დ. ვ. ჯავახიშვილმა, რომელმაც საბოლოოდ ჩაუყარა საძირკველი ამ კურორტს [3].

1915 წლის 11 ივლისს დაგეგმილი ყოფილა სპეციალური მატარებლით ახტალაში მეფისნაცვლის თანაშემწის (სამოქალაქო ნაწილში) ნ. ლ. პეტერსონის, თავადაზნაურობის წინამძღოლის საგუბერნიო მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის დ. ჩოლოყაშვილის, სხვა წინამძღოლების, დეპუტატების და ახლად დაარსებულ საკურორტო საზოგადოების წევრების [4] გამგზავრება განთქმული სამკურნალო ტალახის ადგილზე დასათვალიერებლად. განზრახუ-

ლი ყოფილა ახტალის საექსპლუატაციოდ გადაცემა კახეთის რკინიგზის გამგეობისათვის [5]. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, იმჟამინდელ ხელისუფლებას გამოუნახავს დრო და საშუალება ასეთი საკითხებით დაინტერესებულიყო.

მეორე დღეს ახტალაში წასული ოფიციალური პირები თბილისს დაბრუნებულან. მათ დაწვრილებით დაუთვალიერებიათ მთელი ტერიტორია, სურათებიც გადაუღიათ თან ტალახის ნიმუშები წამოუღიათ შესამოწმებლად. მისი შემადგენლობის შემოწმება დაუვალებიათ ქიმიკოსებისთვის: კუპცისის და ალიბეგოვისთვის. ქიმიური ანალიზის შემდეგ უნდა გადწყვეტილიყო თუ რა მნიშვნელობა მიენიჭებინათ ტალახისთვის: ადგილობრივი თუ ფართო საზოგადოებრივი. უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა მთავრობის გარანტიით დიდი სესხის აღება ამ სამკურნალო ადგილის მოსაწყობად [6].

გლეხების თქმით, ახტალა თავისი მიდამოებით სოფ. გურჯაანის კუთვნილება ყოფილა და შემდეგ თავადებს დარჩენიათ. მათ შორის შესაძლებელია იყვნენ ვაჩნაძეები [7], აფხაზები, ან ჯანდიერები [8]. გლეხებს უნდოდათ, რომ თავადების ხელში არ დარჩენილიყო ეს ადგილი და თვალყურს ადევნებდნენ ახტალის ბედს. უნდა ითქვას ისიც, რომ 12 ივლისს ადგილზე ჩასულ მთავრობის წარმომადგენლებს გამოუთქვამთ შემდეგი აზრი: თავად-აზნაურობას დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული ახტალა. მთავრობა საჭიროდ თვლიდა თვითონ ეზრუნა კურორტის კეთილმოწყობაზე, რადგანაც იმხანად გაჩნდა ტენდენცია რუსეთში მოეწყოთ ისეთი კურორტები, რომლებიც კონკურენციას გაუწევდნენ გერმანიის და სხვა სახელმწიფოების კურორტებს. თავადებმა თავიანთი უყურადღებობა მათსა და ხაზინას შორის არსებულ დავას დააბრალეს და რადგან ეს საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილა, ჰქონიათ სურვილი ახტალის კეთილმოწყობის და მაშინვე ენერგიულად შესდგომიან საქმეს, რათა მოლაპარაკებოდნენ კაპიტალისტებს დაფინანსების საკითხებზე [9].

კავკასიის საკურორტო საზოგადოებას ინჟინერ ლ. კ. კონიუშევსკის განკარგულებისათვის გადაუცია 600 მანეთი ახტალის ტალახის ფიზიკურ-გეოლოგიური გამოკვლევებისათვის. ეს ფაქტი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ზემოხსენებული საზოგადოების საქმიანობაზე, რომ ის არ ყოფილა უმოქმედო საზოგადოება, მას ქონია გარკვეული ფინანსური სახსრები, რომლითაც შეეძლო სასარგებლო საკითხების შესწავლა-დაფინანსება [10].

საინტერესოა ერთი ფაქტიც – ყოფილა სათანადო დაინტერესება არსებული გამხმარი ტალახის გამოსაკვლევად, რათა დადგენილიყო მისი ვარგისიანობა – მხოლოდ სააბაზანე პირობებისათვის იქნებოდა გამოსაყენებელი თუ შეიძლებოდა მისი ტრანსპორტირება და სამკურნალოდ მოხმრება: „ამის გამოკვლევას უკვე შეუდგნენ. საცდელად ამ ტალახით სწავლობენ მიხეილის საავადმყოფოში და ოლგას საბებიო ინსტიტუტში. ამის სწავლობას ამ დღეებში სცდიან არამიანცის სახელობის საქალაქო საავადმყოფოში“ [11]. საბოლოოდ ახტალის მესაკუთრეთა (თავადთა) წარმომადგენლებმა და საკურორტო საზოგადოების საგანგებო კომისიამ შეიმუშავეს საიჯარო პროექტი, რომლის მიხედვითაც საკურორტო საზოგადოება ახტალას იღებდა იჯარით სამი წლითა და რვა თვით. ამ ხნის განმავლობაში კისრულობდა ვალდებულებას – დაწვრილებით და მეცნიერულად გამოეკვლია ტალახი [12]. როგორც ჩანს თავადებმა პირობა მიიღეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს ინვესტორის მოძიება, რომელიც დაეხმარებოდათ კურორტის მოწყობაში. სამაგიეროდ საკურორტო საზოგადოების მიერ საგანგებოდ შექმნილი კომისია დაუყოვნებლივ შესდგომია ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ექიმ მალამას თავმჯდომარეობით [13].

უკვე 1916 წლის აპრილში საგანგებო მატარებლით ახტალაში გამგზავრება გადაწყვიტეს კავკასიის საკურორტო საზოგადოების თავმჯდომარემ თავადმა ვ. ნ. ორლოვმა, ახტალის ტალახის გამოსაკვლევად არჩეული საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ექიმმა ბ. ზ. მალამამ და ამავე კომისიის წევრთა ჯგუფმა, რათა აერჩიათ ის ადგილები, სადაც სამკურნალო ბარაკები ზაფხულშივე უნდა მოწყობილიყო [14]. ჯერ ის ფაქტი, რომ საგანგებო მატარებლით მიემგზავრებოდნენ უდავოდ მიანიშნებს მაშინდელი მთავრობის განსაკუთრებულ დაინტერესებას არსებული საკითხის მიმართ. ხოლო ახტალაში ჩასვლა სამკურნალო ბარაკებისთვის ადგილების შესარჩევად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ამ საქმისთვის სათანადო დაფინანსებაც დროულად გამოიძებნა.

1916 წლის ზაფხულში, რომ კურორტი ფუნქციონირებდა ამას მეტყველებს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილი, რომლის მიხედვითაც: „სამკურნალო ტალახ „ახტალაზედ“ 300-მდე ავადმყოფია. თვით ახტალა 80-მდე მონაწილეს ეკუთვნის და ერთმანეთში დავა ჯერაც არ მოუთავებიათ, ამიტომ ახტალა სრულებით მოუწყობელია...“ [15]. 80-მდე მონაწილეში საკურორტო საზოგადოების წარმომადგენელთა გარდა, ბუნებრივია, იგულისხმება

კახეთის თავადაზნაურთა ოჯახის წევრები. არც თუ ისე დალხენილი ცხოვრების პირობებში, რასაც პირველი მსოფლიო ომისგან გამოწვეული სირთულეები ემატებოდა, ასეთი შემოსავლიანი და მნიშვნელოვანი საქმის ხელიდან გაშვება შესაძლებელია ტრაგედიის ტოლფასად მიაჩნდათ ადგილობრივ თავადებს.

კურორტის დასრულებული სახე ახტალამ 1921 წლიდან მიიღო და მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა იგი დაექვემდებარა საქართველოს სსრ რესპუბლიკური კურორტების სამმართველოს [16].

მართლაც, კახეთის რეგიონის ცხოვრებაში „ახტალის" სამკურნალო კურორტის ჩამოყალიბების საკითხს დიდი ადგილი დაუჭერია. საკურორტო ადგილს თავდაპირველად საიმპერიო წრეების დიდი დაინტერესება გამოუწვევია. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის მიუხედავად მას მაინც ეთმობოდა სათანადო ყურადღება. საარქივო მასალების გარდა ქართული პრესაც გვაწვდის სათანადო ინფორმაციას ახტალის კურორტად ფორმირების ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

რაც მთავარია, კურორტი „ახტალა" დღესაც მწყობრშია. აქ შექმნილია ყველა პირობა ნორმალური მკურნალობისა და დასვენებისთვის. ბოლო პერიოდში კიდევ უფრო მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და პასუხობს თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნებს [17].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახტალა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. II, თბილისი, 1977.
2. ახტალა, ენციკლოპედია „საქართველო", ტ. I, თბილისი, 1997.
3. გურჯაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი 103, საქმე 11.
4. გაზეთი „საქართველო", 1915, №40;
5. გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1915, №329;
6. გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1915, №331;
7. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 2005.
8. იოანე ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა გვარებისა, თბილისი, 1997.
9. გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1915, №335.
10. გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1915, №341.

11. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915, №441.
12. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916, №495.
13. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916, №534.
14. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916, №538.
15. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916, №623.
16. გურჯაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი 103, საქმე 7.
17. ალექსანდრე მოსიაშვილი, კულტურული ვითარება კახეთის რეგიონში (1914-1918), თბილისი, 2009.

Aleksandre Mosiashvili
Associate Professor of Jakob Gogebashvili Telavi State University

From the History of Formation of the Health resort „Akhtala“

Summary

Formation of the health resort „Akhtala“ took great place in the life of Kakheti region. Firstly this place resort caused interest of the imperial circles. Despite of the World War I, big attention was dedicated to „Akhtala“. In addition to archival materialsGeorgian press gives us information about situation in „akhtala“ in several moments. The most important is that nowadays resort „akhtala“ is absolutely in order. There are all conditionsfor great treatment and relax. Later years greatly improved infrastructure and it meets the present requirements of the standard.

ნინო ჯიჯიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება ქართულ პუბლიცისტიკაში XX საუკუნის დასაწყისში

1801 წელს ქართლ-კახეთისსამეფო გაუქმდა და იქ რუსული ხელისუფლება დამყარდა. რუსეთი შეუდგა ჯერ მთელი საქართველოს, შემდეგ კი ამიერ და იმიერკავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლას, საკუთარი მოხელეებით რუსული პოლიტიკის განმტკიცებას დაპყრობილ მხარეში. ამავე წელსვე გენერალმა კნორინგმა დავით ბატონიშვილის დროებითი მმართველობა გააუქმა და შექმნა ახალი მმართველობის ორგანო, რომლის თავმჯდომარედ გენერალი ლაზარევი დანიშნა, წევრებად კი რამდენიმე ქართველი თავადი და ერთი სომეხი მოხელე, თბილისის ყოფილი მამასახლისი [1, 26].

რუსული კავკასიური პოლიტიკის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის სრული ასიმილაცია და იმპერიაში გათქვეფა. ამ მიზანს რუსი მოხელეები აღასრულებდნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა წარმოშობით ქართველი, ცნობიერებით ნამდვილი რუსი დამპყრობელი პავლე ციციანოვი. საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების დაპყრობაში მან დიდი სამსახური გაუწია რუსეთის ხელისუფლებას. მისი ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოდან ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ოჯახთა გასახლება რუსეთში. ციციანოვიდან მოყოლებული, რუსი მოხელეები საქართველოში არნახულ სისასტიკეს ჩადიოდნენ, რის გამოც ხდებოდა ანტირუსული აჯანყებები, ხალხის უკმაყოფილება სხვადასხვა სახით გამოიხატებოდა. თავად ციციანოვი არც ლაზარევზე უკეთესი იყო და არც რომელიმე სხვა რუს გენერალზე, რომელთა სისასტიკის დაღი განსაკუთრებით აღიბეჭდა ამაყი ქართველების სულზე. ლაშქრობაში მყოფი ციციანოვი, როდესაც გაიგო კახეთისა და თიანეთის გამოსვლები, ასეთ დირექტივას აძლევდა რუსულ ლაშქარს: „დაუნდობლად ჩეხეთ და აკუწეთ მეამბოხენი, გაანადგურეთ მათი სოფლები, მათ ბინებში შესვლის დროს ხელი უნდა აიღოთ შეწყალების ყოველგვარ აზრზე. მათ უნდა მოექცეთ როგორც ბოროტმოქმედებსა და ბარბაროსებს“ [1, 29].

XIX ქართველი ინტელიგენცია ძირითადად საიმპერიო-სახელმწიფო პოლიტიკას კი არ აკრიტიკებდა, მოხელეების უვარგისობას აბრალებდა შექმნილ მდგომარეობას. ზოგიერთი რუსი მოხელეც იზიარებდა ამ თვალსაზრისს და მოვლენას ობიექტური პირობებით ხსნიდა. მაგალითად, აკადემიკოსი ადოლფ ბერჟე წერდა, რომ რუსეთს უკეთესი შემსრულებლები არც ცენტრალურ გუბერნიებში ჰყავდა, მაგრამ, მისი აზრით, ეს ფაქტი „სულაც არ ამცირებდა კავკასიაში მოხელეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, რაიც ქვეყნის მოსახლეობას რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდა“ [2, 153].

კიდევ უფრო მძაფრი იყო რუსი ავტორის – ძიუბენკოს მიერ რუსი მოხელეების შეფასება: „მოხელენი უმთავრესად მსმელი ხალხი, ან თავაწყვეტილი ახლგაზრდობა იყო, რომლებიც ორმაგი სამგზავრო ფულისა და ნახევარი წლის ჯამაგირის წინასწარ მიღების შემდეგ, მთელი გზა არყისა და ღვინის სმას ანდომებდნენ და ძლიან ხშირად გეორგიევსკამდე ძლივს აღწევდნენ, სადაც ასეთი უმსგავსო საქციელის და ჰავის მკვეთრი ცვლილების შედეგად, ციებ-ცხელება ემართებოდათ და მრავალი მათგანი იქვე ჰპოვებდა თავის აღსასრულს“ [3, 69].

მიუხედავად იმ უამრავი გასაჭირისა, რაც ქართველმა ერმა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად გადაიტანა, რუსული პოლიტიკის შეფასება არ ყოფილა ერთგვაროვანი. ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ იმპერიული რუსული პოლიტიკა ან უარყოფითად ფასდებოდა, ან მთლიანად დადებითად: რუსეთთან ქვეყნის შეერთება საქართველოს ფიზიკური არსებობის გადამრჩენ ღონისძიებად მიიჩნეოდა.

ასე მოხდა 1901 წელსაც, როდესაც ამ მოვლენის დიდი საიუბილეო თარიღი აღინიშნა. „რუსეთთან შეერთების“ ასწლოვან იუბილეს ქართველი თავადაზნაურობა დიდი კმაყოფილებითა და იმპერატორისადმი გაგზავნილი მაამებლური წერილით შეეგება.

კრიტიკული მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილი, ეროვნული ინტერესებიდან გამოსული ახლგაზრდობა და პატრიოტულად განწყობილი ერის საუკეთესო შვილები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი აზრი,ფარულად თუ დაუფარავად, გამოხატეს იმ ასწლოვან პოლიტიკაზე, რასაც რუსეთი კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოში ატარებდა. სიტყვა „დაპყრობა“ არცერთ შემფასებელს არ უხმარია, რადგან მიიჩნეოდა, რომ ამ ყველაფერში ქართველი ერის სურვილი იყო ჩადებული. თუმცა, შინაგანად ყველამ იცოდა, რომ გეორგიევ-

სკის ტრაქტატით განსაზღვრული პოლიტიკური სტატუსი რუსეთს საქართველოსთვის არ მიუცია და ის იმპერიის ჩვეულებრივ ორ გუბერნიად აქცია.

ამ მცირე სტატიაში შეუძლებელია სრულად განვიხილოთ ყველა ის პუბლიკაცია, რაც საიუბილეო პერიოდში გამოქვეყნდა და რუსეთ-საქართველოს საუკუნოვან თანაცხოვრებას მიეძღვნა. შევეცდებით მხოლოდ ორ მათგანს შევეხოთ: პირველი, ესაა მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომი, მეორე კი დიდი ქართველი პოეტის – აკაკის სტატია – „სიმართლე“.

მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომი – „Вступление Грузиив составе Российской Империи“ – 1901 წელს ქუთაისში, ალ. არაბიძის სტამბაში დაიბეჭდა. ავტორი ცდილობს დაახასიათოს ძირითადი ტენდენციები, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობაში მიმდინარეობდა, დაწყებული მეფე თევდორე ივანეს ძის დროიდან. წიგნი ოფიციოზის ინტერესებიდან იხილავდა მოვლენებს, რასაც მოწმობდა მასზე წარწერაც: „ნებადართულია ცენზურის მიერ, მოსკოვი, 31 აგვისტო, 1901 წელი“. რუსული ცენზურა, რასაკვირველია, ანტირუსულ იდეებს, მითუმეტეს, ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, არ გაუშვებდა.

მიუხედავად იმისა, რომ კომიუნქტურის მოთხოვნები დიდად არ შეულახავს, ავტორი მაინც ცდილობს საკუთარი დამოკიდებულებაც გვიჩვენოს ზოგიერთი მოვლენის მიმართ და „დინების საწინააღმდეგოდ“ იაზროვნოს. ეს ეხება რუსეთის დამოკიდებულებას იმერეთის სამეფოსა და მეფე სოლომონ II-ისადმი, რომელსაც რუსული წყაროები, იმპერატორის ერთგული სამხედრო წრეები ხშირად ლანძღავდნენ და მოღალატედ,ან სულელ ადამიანად მოიხსენიებდნენ[9, 70-71]. ეს მაშინ, როდესაც ისეთი გამოჩენილი სწავლული, როგორიც ბერჟე იყო, მას კრიტიკის დროს მაკიაველის და ბისმარკის მოხერხებული დიპლომატიის იმიტირებაში დებდა ბრალს. ხელთუფლიშვილი სოლომონ მეფის საქციელს, ანტირუსულ გამოსვლებს, ამართლებს მთელი რიგი დარღვევების გამო, რაც რუსეთმა გამოიჩინა ე. წ. „მფარველობითი ხელშეკრულებების“ განხორციელებაში. ყველა ამგვარი ხელშეკრულება შედგებოდა მოთხოვნებისაგან, უფრო სწორად თხოვნებისაგან, რასაც ქართველი მეფეები უყენებდნენ საიმპერატორო კარს. ყველა მეფისა და მთავრის ამგვარი თხოვნები თავდებოდა იმით, რომ თუ რომელიმე პუნქტს არ შეასრულებდა რუსული მხარე, მაშინ ხელშეკრულება დარღვეულად ჩაითვლებოდა და რუსეთის მფარველობას არ ცნობდა ქართული

მხარე. იურიდიულად, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა, რა თქმა უნდა, დაცული არ იყო და ავტორის თქმით, ეს ასუსტებდა ამ დოკუმენტებს, მაგრამ მთავარი, რაც ორივე მხარეს უპირობოდ უნდა დაეცვა, მაინც დარღვეული იქნა. რუსეთმა ისე შეიერთა ეს პატარა ქართული ქვეყნები, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პუნქტების უმრავლესობა არ დაიცვა. ეს იწვევდა ქართველი ხალხის უკმაყოფილებას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კრიტიკულ შეფასებას [9, 73].

განსხვავებული, გაცილებით კრიტიკული სულისკვეთება იდო აკაკის მიერ 1901 წელს დაწერილ სტატიაში – „სიმართლე". სამწუხაროდ, ის ვერ გამოქვეყნდა სწორედ ამ სულისკვეთების გამო.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და ქართველი ერის ჩაგვრა აკაკიმ გადმოსცა ასევე პოემებში – „ვორონცოვი", „ასი წლის ამბავი" და „რაჭა-ლეჩხუმი". ყველა მათგანი ცალ-ცალკე ნაწარმოებად დაიწერა, მაგრამ ცენზურისთვის თვალის ასახვევად პოეტმა პოემების შერწყმაც სცადა, თუმცა მათი გამოქვეყნება მაინც ვერ მოახერხა (4, 218-223).

პუბლიცისტურ ნარკვევში – „სიმართლე" [8,280, 283] პოეტმა ყურადღება გაამახვილა პეტრეს დაპყრობით გეგმებზე, მისი მემკვიდრეების პოლიტიკაზე და მთელი ისტორია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა XVIII საუკუნის ბოლოს, მის მიერ საქართველოს დაპყრობა-დამონება, იმპერიული ბატონობის ხერხები თანმიმდევრობით გადმოსცა (5, 98-113).

„ეკატერინე II ... მიხვდა, რომ კავკასიაში ფეხის ჩასადგმელად კავკასიონის დაპყრობაა საჭირო. იმას კი ისე ვერ დაიპყრობს, თუ საქართველო ან მტრობით, ან მოყვრობით არ ჩაიგდო როგორმე ხელში. მაგრამ სამტრო მიზეზი რომ არა ჰქონდა რა, მელური მოყვრობა მოინდომა!...ღენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა ითხოვა მეფე ერეკლეს ქალი, ანასტასია ბატონიშვილი და პირობასა სდებდა, რომ დუშეთში დაესახლებოდა, ჩამოიყვანდა რუსის ჯარს და დარიალის ხეობას გაამაგრებდა, რომ მტერი ვეღარ შემოსულიყო. აქ განზრახვა სულ სხვა იყო: უნდოდა, რომ გახსნილი გზით შემოეყვანა რუსები საქართველოში, რაც ძალადობით შეუძლებელი იყო! – მეფე მიუხვდა ამ ვერაგულ განზრახვას თუ იუკადრისა: უბრალო გენერალი როგორ მიბედავს ქალის თხოვასო, უარი შეუთვალა და აღარ მოხდა საქმე. მაშინ რუსეთი სხვა გზას უნდა შედგომოდა, რომ განზრახული აზრი სისრულეში მოეყვანა და კიდევაც მალე მიეცა შემთხვევა"(5, 103).

ამას მოსდევდა ტოტლებენის ქმედების აღწერა. პოეტის აზრით, იმ დროს, როდესაც რუსეთმა (1768 წელი) ომი გამოუცხადა ოსმალეთს, „საქართველოს მდგომარეობა გამოვარგისებული იყო". აღმოსავლეთში ქართულ სამეფოს ჭკვიანი მეფე ერეკლე განაგებდა, დასავლეთს კი „სოლომონ დიდი, კაცი სახელგანთქმული და შორსმჭვრეტელი", რომელიც ერეკლე მეფეს მხარს უბამდა ყოველ ეროვნულ საქმეში. აქ ერეკლეს გადაწყვეტილებასაც ეხებოდა პოეტი და საკმაოდ სწორ კონცეფციას აყალიბებდა : „ამ დროს გარეგან მოუსვენრობას, შინაგან განხეთქილებას და ერეკლეს ღრმა მოხუცებულობას ზედ დაერთო სნეულებაც და ყოველივე ამან იქამდი მიიყვანა გმირი მეფე, რომ მოასურვა რუსეთთან შეერთება, **მაგრამ ისეთი კი არა,როგორსაც დღეს ვხედავთ. იმას უნდოდა, რომ სამეფო ხელშეუშლელი ყოფილიყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამორჩილებოდა რუსეთს".**

მე-19 საუკუნის ქართული ტრაგედია აკაკის შემოქმედებაში რელიეფურად დაიხატა. ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთმა მოატყუა საქართველო, დაარღვია ყველა დადებული პირობა, მოშალა მისი ადათ-წესები და ძალად მოახვია თავისი კანონები. ქართველი ინტელიგენციის თვალსაზრისი ორად გაიხლიჩა: ერთნი ბრძოლის იდეას აყენებდნენ, მეორენი მორჩილებასა და რუსეთის შეცვლა-განახლების ლოდინს ამჯობინებდნენ. ცხადი გახდა, რომ რუსეთს იარაღით ქართველები ვერ შეებრძოლებოდნენ, ქვეყნის დაპყრობიდან საუკუნის მთელი მესამედი აჯანყებული ქართველობა ამაოდ შეენარცხა იმპერიის პიტალო კედელს, ახლაც იგივე განმეორდებოდა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ პოეტს ხელის ჩაქნევისა ან დანებებისკენ მოეწოდებინა. პირიქით, თავისი უაღრესად ხალხური მოტივებით შექმნილი პოეზიით ის იმედსა და ბრძოლის წყურვილს აღვივებდა, საქართველოს უკეთესი მომავალის უეჭველობას ირწმუნებოდა[6, 157-170].

აკაკიმ 1901 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის დღესასწაული ფარსად გამოაცხადა და ამ ას წელს საკმაოდ მკაცრი და გაბედული შეფასებაც მისცა: „რუსობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ძალადობაზე დადგა...რა პირობა? რის პირობა? რაც ჩვენ გვსურს, ის უნდა მოხდესო. დაუწყეს ნგრევა საუკუნეობით დაწესებულ წეს-წყობილებას ჩვენში, რომ მათი სახსენებელიც აღარ ყოფილიყო და შეუდგენ ახალს, თავისას. მას აქეთ სწორეთ ერთი საუკუნეა და ხალხმაც იდღესასწაულა ვითომ ეს ბედნიერი მოვლენა, შეერთება, მაგრამ რას ვამბობ, როგორ თუ ხალხმა? ორმილიონიან

ხალხში მხოლოდ რამდენიმე ასმა კაცმა თუ იტლინკა და ისიც ღენერლებმა და გარუსებულებმა. ხალხს მონაწილეობა არ მიუღია! მაზრის უფროსებმა მოახსენეს მთავრობას, რომ ხალხს სიხარულში არ მიუღია მონაწილეობა, ერთი ზარიც არ დაკრულა, რომ პარაკლისი ვისმეს გადაეხადოსო! ასე...ის გული ხალხის მართალი იყო და ანკი რა მართებდა ქართველ ხალხს სასიხარულო, რომ ასი წლის განმავლობაში რუსების ხელში უკან-უკან მიდიოდა...რუსი ჰხედავდა, რომ ეს ხალხი ძნელი დასამონებელია, სანამ სარწმუნოება არ ჩამოერთმევა და ზნეობითად არ დაეცემაო. ეს განიზრახა და ხელი შეუწყო მის დაცემას, ცხოვრების ყოველგვარი სარბიელი დაიჭირეს რუსებმა ხელში და ხაფანგად მოუწყვეს ხალხს, რჯული, აღზრდა, სამსჯავრო და სხვა ყველაფერი მიტომ უნდოდათ, რომ ხალხში სული მოეკლათ და მერე უფრო ადვილათ გაერუსებიათ. და თუ ეს აღარ მოხერხდებოდა, ქართველობა ამოეფხვრათ და მათ ადგილზე რუსები დაესახლებიათ...“

აკაკი აკრიტიკებდა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში, მიაჩნდა, რომ ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობები დაქვეითდა, ეკლესია დაშორდა ხალხს. პოეტს მოჰქონდა მაგალითები კავკასიაში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ საქმიანობიდან, მათ მიერ ქართული ეკლესიების საგანძურის გაძარცვის, ერის ინტერესთა დამცველი ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან. აკაკი ზიზღით იხსენებდა ვოსტორგოვის რეაქციულ და შავრაზმულ პოლიტიკას ავტოკეფალისტებისა და, ზოგადად, ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ, რუსი შოვინისტი ეგზარქოსების საქმიანობას, გამოჰყოფდა ეპისკოპოსების – კირიონისა და ლეონიდეს ღვაწლს. პოეტის აზრით, იმან, რომ რუსულმა „ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ ქართულ ეკლესიებში დაცული ქონება გასაყიდად გაიტანა, ხალხის რწმენა დააქვეითა, ქართველობას გული გაუტეხა.

აკაკი წერეთლის რისხვას რუსული ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკაც იმსახურებდა. პოეტი წერდა, რომ ქართული სწავლა-აღზრდა გადაგვარდა და მისი მიზანი მხოლოდ ერის გარუსება გახდა. ის იგონებდა 1871 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტს საქართველოში, რუს მოხელეთა და ტახტის ერთგულ ქართველ ჩინოვნიკთა მიერ უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნის შეცვლას კადეტთა კორპუსის დაარსების მოთხოვნით. აკაკის აზრით, ახლადდაარსებულ კადეტთა კორპუსის კარიც მხოლოდ იმ ქართველებს ეღებოდა, „რომლის დედ-მამაც გადარჯულებულნი

იყვნენ". გარუსებას ემსახურებოდა მართლმსაჯულებაც, ადგილობრივი კანონები და ადათ-წესები დავიწყებას იყო მიცემული. 1901 წელს დაწერილ სტატიაში პოეტი წერდა: „ეკლესია უნდა დამოუკიდებელი იყოს და თვითონ მოუაროს თავის თავს, რომ ეს ასი წლის უკულმართობა გამოასწოროს. სწავლა-განათლება უნდა დავიწყოთ დედა-ენით, ისე როგორც პედაგოგიკა მოითხოვს და არა ენის ამოგლეჯით. ადგილობრივ კანონებს უნდა პატივი ედვას და სამსჯავროებიც მათ ხელში იყოს, რომ სამართალი და არა უკულმართობა შემოჰქონდეს ხალხში"...

აკაკის გული ტკიოდა, რომ ისტორიულად უშიშარი ქართველი ხალხი, რუსის ჩექმის ქვეშ მოქცეული, შიშით ელოდა უსამართლო განაჩენს, ძველებურად აღარ იბრძოდა და უსამართლობას არ აპროტესტებდა. მისი აზრით, რუსულმა ხელისუფლებამ შეძლო ერის გმირული სულის ჩაკვლა, ქართველების დაშინება. როდესაც რუსეთის ბატონობის პირველ ხანას იხსენებდა, პოეტი გულდაწყვეტით წერდა: „მაშინ ყველა გმირი იყოო".

აკაკი აკრიტიკებდა აღზრდა-განათლების რუსულ სისტემას, „მუნჯურ მეთოდს", საარაკოდ მიიჩნევდა იაკობ გოგებაშვილის დაპირისპირებას რუსების მიერ გატარებულ ანტიპედაგოგიურ მეთოდებთან. მან რუსეთის ბატონობის ყველა მანკი კარგად დაანახა ქართულ საზოგადოებას [7, 13].

დამოწმებული წყაროები და ლტერატურა:

1. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008.
2. Берже А. , Присоединение Грузии к России 1799-1801 г.г. ,Русская старина, XVIII-XIX, 1880.
3. Воспоминание В.А. Дзюбенко, Поллувековая гражданская служба в Закавказье 1829-1876, Русская старина, XXV, 1879, წიგნიდან – ეთერ ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბილისი, 1992.
4. ჯულიეტა გაბოძე, აკაკის თხზულებათა გამოცემები, თბილისი, 2009.
5. აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა, თბილისი, 2010.
6. დოდო ჭუმბურიძე, აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორი-

ის საკითხები, საიუბილეო კრებულში – აკაკი წერეთელი – 170, თბილისი, 2011.
7. ელისაბედ ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბილისი, 2005.
8. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტი, აკაკის ფონდი.
9. Михаил Хелтуфлишвили, „Вступление Грузии в составе Российской Империи", Кутаиси, 1901.

Nino JiJishvili
Doctoral Student of Iakob GoGebashvili Telavi State University

Assessing Georgian-Russian Relations in the Early 20th Century Publicism

Summary

In 1901, One hundred years have passed since Russia conquered Georgia. The authority and its loyal circles celebrated this date. There were only a few publicists who assessed this event objectively. They criticized Russia's imperial-colonial order as well as its chauvinistic attitude to the Georgian, its culture, history and traditions.

The article considers the two publications - Akaki Tsereteli 's article entitled „The Truth" And Mikhail kheltuplishvili's essay „The entrance of Georgia in the Russian Empire", which was released in 1901, in Kutaisi, in Russian language.

Akaki's article was published only in independent Georgia. At the time of strict censorship both publicistic essays were considered as bold and courageous step made by the authors.

ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან

1921 წლის თებერვალ-მარტში, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წითელი არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსია-ოკუპაციის შემდეგ, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის მოღვაწეობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილია.

1975 წლის 1 აგვისტოს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, 35 სახელმწიფოს – ევროპის ქვეყნების, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც საერთაშორისო ცხოვრებაში ახალ ერას ჩაუყარა საფუძველი. ჰელსინკის დეკლარაციას საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი, ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებდა. ჰელსინკის თათბირის ეპოქალურ დოკუმენტში ასახვა ჰპოვა თანამედროვე საზოგადოების ძირითადმა მოთხოვნებმა, როგორიცაა ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა [5, 145-160]. ეს ისტორიული აქტი, თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება. მისი ინიციატორები, აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც მსგავსი დოკუმენტის შექმნის ინიციატივით, ჯერ კიდევ, 1965 წელს გამოვიდნენ. ჰელსინკის დეკლარაციით, მსოფლიომ ცნო ევროპის დაყოფა დასავლურ და საბჭოთა გავლენის სფეროებად. დოკუმენტის მიხედვით, ჰელსინკის დეკლარაციის ხელმომწერნი, ევროპას ისეთს ცნობდნენ, როგორიც ის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იყო, რაც ნიშნავდა საბჭოთა კავშირის კონტროლს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის რესპუბ-

ლიკებზე. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯერალდ რუდოლფ ფორდმა (აშშ-ს 38-ე პრეზიდენტი 1974-1977 წწ. – ლ. ს.) ჰელსინკის დოკუმენტზე ხელმოწერამდე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ცნობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანექსიას.

დასავლეთის ქვეყნების მეთაურთა მიზანი ცივი ომის დაძაბულობის განმუხტვა იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის ლიდერებს საზღვრების განმტკიცების გარდა, ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდათ. დუბლინის ევროპის ინსტიტუტის დირექტორი, დენიელ ტომასი, რომელიც არის ავტორი წიგნისა ჰელსინკის დეკლარაციის ეფექტის შესახებ, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ლიდერი – ლეონიდ ბრეჟნევი, ჰელსინკის ხელშეკრულებით ბოლომდე კმაყოფილი არ ყოფილა [2, 48]. ჰელსინკის დეკლარაციამ, საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთპარტიული მმართველობის დასრულებას შეუწყო ხელი. ჰელსინკის დოკუმენტით განსაზღვრული ურთიერთობის პრინციპები 10 პუნქტს მოიცავს, მათ შორისაა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. მეშვიდე პუნქტით განისაზღვრა ადამიანის უფლებების, მათ შორის, სიტყვის, სინდისის და გადაადგილების თავისუფლება. საბჭოთა კავშირი, ადამიანის უფლებების მხრივ, არაფრის გამოსწორებას არ გეგმავდა, მაგრამ ჰელსინკის დეკლარაციის ხელმოწერას, დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება მოჰყვა. დენიელ ტომასი, 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებასა და 15 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაცემას შორის პირდაპირ კაშირზე მიუთითებს, რაც საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობამ განაპირობა.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასებში იდეოლოგიურ მუშაობას. 1974 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა სპეციალური ღონისძიება: „ლექტორის სიტყვა თითოეულ სოფელს“, რომლის დროსაც 1335 ლექცია ჩატარდა, რაც საზოგადოებრივი აზრის შესწავლას ისახავდა მიზნად [4, 823]. 1976 წლის იანვარში, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, ხელისუფლების მთავარ საზრუნავად მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა გამოაცხადა. მისი აზრით, საჭირო იყო პროპაგანდისა და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და უკეთ წარმართვა, იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრება, რაც მაღალ პრინციპულობას, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას და მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას გულისხმობდა.

საქართველოში არსებული ეროვნული ძალები აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. 1974 წელს, საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა. ჯგუფი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესწავლას და საქართველოში ადამიანის უფლებათა შესახებ დეკლარაციის განხორციელებას ისახავდა მიზნად. მათ ადამიანის უფლებათა დარღვევის და დაკნინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყვიტეს. ჯგუფის წევრები იყვნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვები [6, 4].

საბჭოთა კავშირში, ადამიანის უფლებათა დარღვევები, რეპრესიები და საკუთარი მრწამსის გამო დაპატიმრებები, განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც საბჭოთა მთავრობამ ჰელსინკის შეთანხმებას მოაწერა ხელი. სამოცდაათიანი წლების მიწურული და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევარი, საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰელსინკური მოქმედებით ხასიათდებოდა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, შენიღბულად მილიციის სახელით მოქმედებდა და სხვადასხვა პროვოკაციებს მიმართავდა: აპატიმრებდა, ხოლო შემდეგ შეთითხნილი ბრალდებებით, ვითომდა ხულიგნობის, ქურდობის გამო, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანაკებში გზავნიდა სინდისის პატიმრებს. საბჭოთა უფლებათა დამცველები თავისსავე მიღებულ კანონებს უგულვებელჰყოფდნენ.

70-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთში ადამიანის უფლებათა კავშირის საქმიანობა ახალ ფაზაში შევიდა. მოსკოვში დაარსდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, გამოიცა ჟურნალი „მიმდინარე ამბების ქრონიკა", რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში, განსაკუთრებით ინტელიგენციაში. ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ქართველები, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის უფლების დამცველთა წრეებთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მათ შორის ინტენსიური თანამშრომლობა და ინფორმაციების გაცვლა აქტიურად ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ როგორც რუსეთში, ასევე, ემიგრაციაში მყოფი რუსი უფლებისდამცველნი, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენას და მხილებას, ასევე, სინდისის პატიმრების, კულტურის

ძეგლთა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვას სუკ-ის (საქართველოს უშიშროების კომიტეტი) შემოტევისგან. ისინი ხელს უწყობდნენ სხვადასხვა უფლებრივი დოკუმენტების და აკრძალული წიგნების პოპულარიზაციას. მიზნად დაისახეს რა ჰელსინკის პროცესის წარმატებული განვითარების ხელშეწყობა, მოსკოველი უფლების დამცველნი სსრკ-ში ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობ ჯგუფში გაერთიანდნენ. იმ დროს ქართველი უფლების დამცველები თანამშრომლობდნენ და მჭიდრო კავშირში იყვნენ ჯგუფის დამაარსებელ ი. ორლოვთან, ასევე, ჯგუფის წევრთან ა. გინზბურგთან და სხვებთან. მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის კვალდაკვალ, ზ. გამსახურდიას ინიციატივით, საქართველოში ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობი ჯგუფი ჩამოყალიბდა.

1976 წელს საქართველოში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თაოსნობით, „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა". იმავე წელს, „ჰელსინკის ჯგუფი" ოფიციალურად დაარსდა. იგი პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია იყო საქართველოში. შემდგომში ჯგუფს „ჰელსინკის კავშირი ენოდა". საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელისმოწერის შემდეგ, საბჭოთა კავშირს უნდა შეეწყვიტა საქართველოს ანექსია და საოკუპაციო ჯარი ქვეყნიდან გაეყვანა. ჰელსინკის ჯგუფი თავიდანვე ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ამხელდა საქართველოში მიმდინარე ანტიეროვნულ პროცესებს. ჰელსინკის ჯგუფის საქმინაობამ, საბჭოთა ხელისუფლების და მისი მხარდამჭერი გუნდის მხრიდან, მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.

1974 წელს ცნობილი რუსი მწერლის, პუბლიცისტის და საბჭოთა დისიდენტის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1970 წელს მიიღო ლიტერატურის დარგში – ლ. ს.) ალექსანდრე სოლჟენიცინის (1918-2008 წ.წ.) საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ, საქართველოს უფლების დამცველთა მიერ, რუსულ ენაზე გამოიცა მისი ნაშრომი: „არქიპელაგი გულაგი" (I, II, III, IV ნაწილები). წიგნი მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა. ასევე, გამოიცა კრებულები: „ლოდების ქვემოდან" („Из под глыб"), „მშვიდობა და ძალადობა", წიგნი - „ა. სახაროვი მშვიდობისთვის ბრძოლაში", ასევე, სხვა დისიდენტების სტატიები და ინფორმაციები. მერაბ კოსტავამ დაწერა და გაავრცელა მოზრდილი სტატია: „მოსკოვისა და საქართველოს ურთიერთობა", რომელშიც შეეცადა გადმოეცა, ქართული სახელმწიფოებრიობის

წინააღმდეგ, რუსეთის ხელისუფლების მოქმედების სრული სურათი, პეტრე პირველიდან მოყოლებული [6, 4-5]. ავტორმა სტატია საზღვარგარეთ, თავისი გვარის გარეშე გამოაქვეყნა, რადგან მოსალოდნელი იყო მისი დაპატიმრება, რაც საქართველოს უფლების დამცველთა ჯგუფის ჩანაფიქრთა პრაქტიკულ განხორციელებას მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. მოსკოვის არალეგალურ გამოცემებში, ინტენსიურად ქვეყნდებოდა მასალები - საქართველოს უფლების დამცველთა მოძრაობის, ეროვნული პრობლემების, მორწმუნეთა დევნის, საქართველოს საგამომძიებლო ციხეებში წამების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი იყო – „მიმდინარე ამბების ქრონიკა", ასევე, ვ. ჭალიძის „ქრონიკა სსრკ-ში უფლებათა დაცვის შესახებ", რომელიც საქართველოში ოფსეტური წესით გამოდიოდა. იმავდროულად, საქართველოში ქართულ ენაზე ითარგმნებოდა და გამოიცემოდა რუსი დისიდენტების სტატიები და წიგნები.

ჰელსინკის ჯგუფის მოღვაწეობა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენდა. მათ მიზნად დაისახეს, ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის შესწავლა და თვალყურის დევნება, თუ როგორ ხორციელდებოდა საქართველოში მისი პუნქტები. ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, თ. ჯანელიძე, ვ. რცხილაძე, ბ. ბეჟუაშვილი, ი. კენჭოშვილი. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფში, ასევე, მიიღეს თბილისელი „ოტკაზნიკები": გ. და ი. გოლდშტეინები.

პირველი დოკუმენტი, რომელიც ჯგუფმა 1976 წელს გამოსცა, მიზნად ისახავდა ქართველი პატრიოტის - ვოვა ჟვანიას დაცვას. მთავრობის სახლთან საპროტესტო აქციების გამართვის, ასევე, ქვეყნის სუვერენიტეტის ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით, მას დახვრეტა მიესაჯა. დოკუმენტი გადაეცა ი. კალისტრატოვას და პ. გრიგორენკოს. წერილი მიმართული იყო, როგორც საბჭოთა მთავრობისადმი, ასევე, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციისადმი, რამდენადაც ვ. ჟვანიას საქმეში დაშვებული იქნა უხეში სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევები, თუმცა ვ. ჟვანია მაინც დახვრიტეს. მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფს გადაეცა დოკუმენტური წიგნი, რომელიც ზ. გამსახურდიამ შეადგინა, სახელწოდებით: „შსს და სუკი მიმართავენ წამებას". იგი დასავლეთში გამოვიდა სახელწოდებით: „წამებათა შესახებ საქართველოში".

1976 წელს, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა, საინფორმაციო ჟურნალი: „საქართველოს მოამბე" გამოსცა, რომლის რედაქ-

ტორი ზ. გამსახურდია იყო. ჟურნალი ადამიანის უფლებათა და ეროვნული კულტურის დაცვის სფეროში, ჰელსინკის ჯგუფის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს აშუქებდა. იმავე პერიოდში, გამოიცემოდა ჟურნალი „ოქროს საწმისი". ჟურნალი „საქართველოს მოამბე" ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში წერდა: „საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების არასასურველი ინფორმაციის დამალვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ჟურნალი „საქართველოს მოამბე" მიზნად ისახავს ქართველი ხალხისათვის ინფორმაციის მიწოდებას, როგორც საჭირბოროტო ეროვნული და სოციალური პრობლემების, ასევე, საბჭოთა კავშირში შექმნილი საერთო ვითარების გამო. ქვეყნდება საბჭოთა და საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები, აგრეთვე ისეთი მასალები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სწორი შეფასებისთვის, სასამართლოს და პროკურატურის დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცულია დედნის სტილი და ორთოგრაფიაც კი: ჟურნალი არ ღებულობს შემოწირულობებს პოლიტიკური მთავრობის და სხვა ორგანიზაციებისაგან" [6, 5]. ჟურნალის გამოსვლას მიესალმნენ ცნობილი რუსი დისიდენტები: აკადემიკოსი ა. სახაროვი და მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი ა. ამალრიკი. ა. სახაროვმა აღნიშნა, რომ ჟურნალის გამოსვლა უაღრესად დროული იყო, რადგან საქართველოში არსებული ვითარების შესახებ რეალური ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანი იყო მთელი მსოფლიოსთვის.

ჟურნალ „საქართველოს მოამბე"-ს პირველ ნომერში გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტის სრული ტექსტი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, 1948 წელს მიიღო, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პრინციპები, რომელიც დაარსდა მოსკოვში ა. სახაროვის, ა. ტვერდოხლებოვის და ვ. ჭალიძის მიერ. გამოქვეყნდა ინფორმაცია სსრკ-ში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რომლის წევრებიც იყვნენ: ს. კოვალიოვი, ვ. ბორისოვი, ტ. ველიკანოვა, ტ. ხოდოროვიჩი, ა. ლავუტი და სხვები. იმავე ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაციები: თბილისის უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის რუსიფიკაციის მცდელობის, საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ; ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწის დ. ქორიძის ცნობა საქართველოს საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ სუკ-ის თანამშრომ-

ლების მონაწილეობით, მ. კოსტავას ინფორმაცია აღდგომის დღესასწაულზე კომკავშირული რეიდების, თ. ჯანელიძის ინფორმაცია სვანეთში რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლის, ზ. გამსახურდიას ინფორმაცია საქართველოს საგამომძიებლო ციხეებში პატიმრების წამების, სსრკ-ში შრომის ანაზღაურების და ფასების შესახებ და სხვა.

დისიდენტურ ჟურნალებში გამოქვეყნებული წერილები მოითხოვდა: საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რელიგიურ უფლებათა აღდგენას, ეკლესიაში სიარულის გამო, ახალგაზრდების დევნის შეწყვეტას, ეკლესიიდან უღირსი მღვდელმსახურების, მასში შეგზავნილი აგენტების განკვეთას, სუკ-ის იმ თანამშრომლების დასჯას, რომლებიც, 1972 წელს, საპატრიარქოს გაძარცვაში მონაწილეობდნენ, ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის დ. ქორიძის დევნის შეწყვეტას, რომელმაც შეადგინა ოქმი საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ. ჰელსინკის ჯგუფის წევრები მოითხოვდნენ, ასევე, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის პატივისცემას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაციის მცდელობის შეწყვეტას, რაც ძირითადი საგნების რუსულ ენაზე წაკითხვას გულისხმობდა. ასევე, ითხოვდნენ: საქართველოს ისტორიის სწავლების აღდგენას ქართულ სკოლებში, საქართველოს ისტორიის ნიშნის შეტანას ატესტატში.

საბჭოთა ხელისუფლება ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობას კატეგორიულად უარყოფდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა (1894-1971 წწ.) განაცხადა: „დანაშაული საყოველთაოდ აღიარებული ქცევის ნორმებიდან გადახვევაა, რაც ძალიან ხშირად გამოწვეულია ადამიანის ფსიქიკის მოშლით; რომ საბჭოთა კავშირში აღარ არიან პოლიტპატიმრები, არ არიან საბჭოთა წყობით უკმაყოფილონი, ის ერთეულები კი, კომუნიზმის წინააღმდეგ რომ იბრძვიან, ან უკმაყოფილებას გამოთქვამენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ფსიქიკურად დაავადებულები არიან“ [10, 19-23].

უშიშროების ორგანოებმა, დისიდენტებთან საბრძოლველად სპეციალური დავალება მიიღეს. ექიმებთან ერთად, ახალი კონცეფცია შემუშავდა, რომელშიც მთავარი როლი შიზოფრენიის დიაგნოზს უნდა შეესრულებინა. გამონაკლისი არც ქართველი დისიდენტები იყვნენ. აღნიშნულ მეთოდს, საბჭოთა ხელისუფლება და ფსიქიატრია, XX საუკუნის 70-იან წლებში, ქართველ დისიდენტთა წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა. დისიდენტური საქმიანობის გამო,

1977 წელს, ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა დააპატიმრეს. დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში, დღის წერსრიგში, მათი ფსიქიატრიული გამოკვლევის საკითხი დადგა. ზ. გამსახურდია, გამოსაკვლევად, მოსკოვში, სერბსკის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში გაგზავნეს. მ. კოსტავა კი თბილისის ორთაჭალის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ სერბსკის ინსტიტუტი ადამიანების გიჟად მონათვლის ყველაზე ცნობილი დაწესებულება იყო. ინსტიტუტის საიდუმლო განყოფილების თანამშრომლები, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ატარებდნენ ექსპერტიზას. ისინი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან იყვნენ კავშირში და საგამოძიებო საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ზ. გამსახურდიას ფსიქიატრიულ შემოწმებაზე გაგზავნა, „კგბ"-ს საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილემ – ხაზალიამ, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად დაადგინა. მის ხელთ არსებული მონაცემებით, 1965-1968 წლებში ზ. გამსახურდია პასუხისგებაში იყო მიცემული ხულიგნობისა და არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის. დეპრესიული მდგომარეობის გამო, მას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა. გამოკვლევებისას ზ. გამსახურდია ამტკიცებდა, რომ მისი საჭმელი მოწამლული იყო, რომ მას უთვალთვალებდნენ პროკურატურის მიერ მიგზავნილი ადამიანები. სისხლის სამართლის საქმეში ჩადებული იყო ზ. გამსახურდიას 1956 წლის ავადმყოფობის ისტორია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ის ავლენდა უცნაურ ქცევებს და მკურნალობდა ფსიქიატრთან. 1958 წლის 2 დეკემბრიდან, 1959 წლის 27 იანვრამდე იგი სასამართლო-ფსიქიატრიულ სტაციონარულ ექსპერტიზას გადიოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ექსპერტ-ფსიქიატრებმა გააკეთეს დასკვნა, რომ გამსახურდია ღრმად ფსიქოპათიური პიროვნებაა და წარსულში გადატანილი ჰქონდა შიზოფრენია. სერბსკის სახელობის სასამართლო-ფსიქიატრიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, 1977 წლის 30 ნოემბრის, დასკვნის მიხედვით კი ზ. გამსახურდია ფსიქიკურად დაავადებული არ იყო. ის იყო „განდიდების მანიით" შეპყრობილი ფსიქოპათიური პიროვნება და ახასიათებდა ემოციური არამდგრადობა. მას არ დაუდასტურდა დროებითი ფსიქიკური აშლილობა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დაადგინეს, რომ ის ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო. დასკვნას ხელს აწერდა, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიული კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ჟარიკოვი. მსგავ-

სად მოექცნენ მ. კოსტავასაც. მან, 1977 წლის 29 სექტემბერს სპეციალური განცხადება გააკეთა: „1977 წლის 29 სექტემბერს შევიტყვე, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი აპირებს ჩემს გაგზავნას გამოკვლევაზე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ჩემთვის ცნობილია, რომ არა ერთი ჯანმრთელი დისიდენტი გაუგზავნიათ ამგვარ გამოკვლევაზე და შემდეგ ავადმყოფად შეურაცხიათ ისინი. მაგალითად, ლეონიდ პლიუშჩი, ა. გრიგორენკო, ვ. ფეინბერგი და ა. შ. პრიმიტიული ლოგიკაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, სახელდობრ სხვაგვარად მოაზროვნეებს რად ხვდენიათ ხოლმე ჩვენში ამგვარი ხვედრი. რატომ მაინცდამაინც დისიდენტები გამოდიან ფსიქიატრიულად დაავადებულები? რატომ ერთხელაც არ მოგსვლიათ აზრად, უშიშროების რომელიმე მუშაკი გაგეგზავნათ ექსპერიმენტისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? დისიდენტებს იმიტომ ეკერებათ ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყი, იდეოლოგიური სტანდარტიდან გადახვევას რომ ვერ იტანს ჩვენი ოფიციალობა. მე ვხედავ საშიშროებას, არც მე ამცდება ზემოთთქმულ პირთა ხვედრი. ჩემთან მჯდომი უშიშროების კომიტეტის პატიმრებიდან ჯერ არავინ გაუგზავნიათ ამგვარ ექსპერიმენტზე. ასეთ გადაწყვეტილებას უშიშროების კომიტეტისას პროტესტით ვპასუხობ, რადგან ზემოხსენებულ სამედიცინო პროცედურაში ვხედავ აშკარა ნეგატიურ მიკერძოებას დისიდენტების მიმართ“ [7, 40].

ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა, 1978 წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს პატიმრობისა და გადასახლების სხვადასხვა ვადები. ზ. გამსახურდიამ, გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებების გამო, აღიარა და მოინანია ზოგიერთი მასალის გავრცელება. ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დასაცავად გამოვიდნენ აკად. ა. სახაროვი, მღვდელი გლებ იაკუნინი, ვ. ჭალიძე, აშშ-ს პრეზიდენტი ჯ. კარტერი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯ. ანდრეოტი და სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. 1980 წლის მაისში მ. კოსტავა პერმის ბანაკიდან, გადასახლებაში ირკუტსკის ოლქის სოფელ კვიტოკში გაემგზავრა, სადაც იგი უკვე გათავისუფლებულმა ზ. გამსახურდიამ ინახულა. მ. კოსტავამ მას გადასცა ჩანაწერები პერმის პოლიტბანაკის პატიმართა მდგომარეობის შესახებ და ი. ორლოვის შრომა ფიზიკაში, რომელიც თავის მხრივ ზ. გამსახურდიამ საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წევრს – ი. გოლდშტეინის გადასცა მოსკოვში გასაგზავნად. შემდეგ, ეს მასალები დაიკარგა.

მიუხედავად დევნისა და დაპატიმრებებისა, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფს არასოდეს გამოუცხადებია თვითდაშლა. იგი გა-

ნაგრძობდა არსებობას და გამოსცემდა დოკუმენტებს, რომელსაც ზოგჯერ ერთი პიროვნება აწერდა ხელს, ჯგუფის დამაარსებელი ზ. გამსახურდია (გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ), ხოლო მ. კოსტავა, რომელიც პოლიტბანაკში იმყოფებოდა და რომელსაც ორჯერ გაუგრძელეს პატიმრობის ვადა, აგზავნიდა წერილებს და განცხადებებს და ხელს აწერდა, როგორც ჰელსინკის ჯგუფის წევრი. 1979 წელს, იგი პერმის პოლიტბანაკში პოლიტპატიმრის სტატუსზე გადავიდა და ჰელსინკის ჯგუფის ყველა წევრის გათავისუფლება მოითხოვა. შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე, პატიმრობის ვადის გაგრძელების შემდეგ, ქართველი და მსოფლიო საზოგადოებისთვის გაგზავნილ მიმართვაში, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანაკში გადაყვანილი მ. კოსტავა, ამხელდა საბჭოთა ხელისუფლების უკანონობას სინდისის პატიმართა მიმართ, ასევე, უპატივცემულობას თავისივე კანონებისადმი.

1980 წლის 20 ოქტომბერს, ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ედუარდ შევარდნაძეს შემდეგი წერილით მიმართა: „მსურს მივაპყრო თქვენი ყურადღება ჩვენს ზოგიერთ რაიონულ ცენტრში გამეფებულ დევნას რელიგიისას და უკანონობას. რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არად აგდებენ საბჭოური კონსტიტუციის 50-ე მუხლს სინდისის თავისუფლების შესახებ, ივიწყებენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1977 წლის 16 მარტს დამტკიცებულ დებულებას, რომლის თანახმად, მოქმედი ეკლესიის გახსნისათვის საკმარისია მის დამფუძნებელთა შუამდგომლობა (არა ნაკლებ 20 კაცის შემადგენლობით) ადგილობრივ საბჭოებში. ზუგდიდის რაიაღმასკომში უკვე დიდი ხანია წარდგენილია 120 მორწმუნის განცხადება სოფ. ცაიშში ეკლესიის გასახსნელად და 24 მორწმუნის განცხადება, ამავე რაიონის სოფ. აბასთუმანში ეკლესიის გასახსნელად. მიუხედავად ამისა, რაიაღმასკომი უარს ეუბნება მორწმუნეებს მათი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე... კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა საინგილოში, სადაც ქართული ქრისტიანული მოსახლეობა (20 ათას კაცზე მეტი) თითქმის ერთხმად მოითხოვს მცირე ალავერდის ეკლესიის გახსნას კახში, მაგრამ ამაოდ აგზავნის მრავალრიცხოვან განცხადებებს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის ა. ფ. ახადოვისა და საკავშირო მინისტრთა საბჭოს რელიგიურ საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ა. კურაედოვის სახელზე, ვინაიდან ადგილობრივი საბჭოე-

ბი მათაც უარს ეუბნებიან, მიუხედავად იმისა, რომ საინგილოში არ არსებობს არც ერთი მოქმედი ქრისტიანული ეკლესია, მეჩეთები კი მრავლად არის. გთხოვთ, მიუთითოთ ზუგდიდისა და საჩხერის რაიონის ხელმძღვანელებს, დააკმაყოფილონ მორწმუნეთა კანონიერი მოთხოვნები, გთხოვთ აგრეთვე იშუამდგომლოთ საკავშირო მთავრობის წინაშე, რათა აღიკვეთოს საინგილოში ქართული ქრისატიანული მოსახლეობის შევიწროება და დისკრიმინაცია და დაკმაყოფილდეს იქაურ მორწმუნეთა კანონიერი მოთხოვნა" [10; 11, 150-152].

1981 წლის 18 მაისს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 60 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე, თბილისში სსრკ კპ გენერალური მდივანი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე - ლ. ბრეჟნევი (1907-1982 წწ.) ჩამოვიდა. ლ. ბრეჟნევის, ასევე, ე. შევარდნაძის სახელზე, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა მოთხოვნათა სია შეადგინა, რომელიც ზ. გამსახურდიას ხელმოწერით საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მისაღებს გადაეცა. წერილში გადმოცემული მოთხოვნები შეეხებოდა: ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს, ქართველთა მდგომარეობას აფხაზეთის ასსრ-ში და საინგილოში (აზერბაიჯანის სსრ), მესხეთში, ჯავახეთში; სინდისის თავისუფლებას, რელიგიის დევნას და სხვა ზოგადეროვნულ პრობლემებს. 1983 წელს, მ. კოსტავას დასაცავად, ზ. გამსახურდიამ, ფრანგი კომუნისტების ლიდერს – ჟორჟ მარშეს წერილი-მიმართვა გაუგზავნა. წერილს იგი ხელს აწერდა, როგორც საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელი.

1985 წლის მაისში, ზ. გამსახურდიამ, კანადის დედაქალაქ – ოტავაში, ჰელსინკის თათბირის შესახებ გამართულ კონფერენციას, წერილი-მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა და საქართველოს ეროვნული კულტურის პრობლემები და მოუწოდა ოტავის კონფერენციას აღნიშნული პრობლემები განეხილა. 1985 წელს, ჰელსინკის ჯგუფს ახალი წევრები შეემატნენ: ძმები თენგიზ და ედუარდ გუდავები, ე. თვალაძე, რომლებიც მალევე დააპატიმრეს და პატიმრობის სხვადასხვა ვადები და გადასახლება მიუსაჯეს. გათავისუფლების შემდეგ, 1987 წლის ზაფხულში, თ. და ე. გუდავები ემიგრაციაში, აშშ-ში წავიდნენ, როგორც საზღვარგარეთ საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის პასუხისმგებელი წარმომადგენლები [6, 5].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ ქართველი ინტელიგენციის

და სტუდენტი-ახალგაზრდობის ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებებზე. ქართველ ერში პატრიოტული განწყობილების გამომხატველი იყო 1978 წლის აპრილის მოვლენები. 1978 წელს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევდა ეროვნული ბარიერების მოშლას, საბჭოთა იმპერიის სივრცეში მცხოვრები ერების ურთიერთშერწყმას. უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთო ეთნოსი, ანუ ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი. რეალურად ეს საბჭოთა კავშირის იმპერიაში შემავალი მცირე ერების გარუსებას ნიშნავდა. საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის აღმნიშვნელი მუხლი ამოიღეს. პროექტის 75-ე მუხლი ქართული ენისადმი ზრუნვის საჭიროებას, მხოლოდ, ფორმალურად სცნობდა, ქართული ენა მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. ეს ფაქტიურად, საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ეროვნულობას, არამედ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. იგი ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში უმცირესობების ენას ქართული ენის თანაბარ უფლებებს ანიჭებდა და მათ სრულ თანასწორუფლებიანობას აღიარებდა. ასეთ პირობებში, რესპუბლიკათა და შიდარესპუბლიკური ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენად მხოლოდ რუსული ენა ითვლებოდა. საქართველოს განათლების სამინისტროში უკვე მიღებული იყო დირექტივა, რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ლექციები ქართულის ნაცვლად ყველა ძირითად საგანში რუსულად წარმართულიყო [1, 181]. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად ქართველი სტუდენტები და ინტელიგენციის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი გამოვიდა. 1978 წლის 12 აპრილიდან, თბილისში საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო. მასში დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და საშუალო სკოლის უფროსკლასელები მონაწილეობდნენ. ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ სტუდენტების დასარაზმავად დიდი როლი ითამაშეს ჰელსინკის კავშირის წევრებმა.

დემონსტანტების მტკიცე მოთხოვნა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენა იყო. ენის დაცვის ლოზუნგმა საზოგადოების სხვადასხვა ფენა გააერთიანა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე დემონსტრანტებს შეხვდა და მათი მოთხოვნები მოისმინა. მან, ასევე, საბჭოთა იმპერიის მესვეურებს საქართვე-

ლოში შექმნილი მდგომარეობის სირთულე აუწყა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იგი პირადად შეხვდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს. ამჯერად, სამჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დათმობა ამჯობინა. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი შეიცვალა და ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი აღდგა. ეს ეროვნული ძალების დიდი გამარჯვება იყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ამ უჩვეულო დათმობამ თბილისში ემოციები დააცხრო, თუმცა დაძაბულობა გამოიწვია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აფხაზმა კომუნისტურმა ელიტამ ეს ნაბიჯი ქართული ნაციონალიზმის წინაშე დათმობად შეაფასა და აფხაზეთის ავტონომიის საქართველოდან რუსეთის ფედერაციის დაქვემდებარებაში გადატანა მოითხოვა. მათი ეს მოთხოვნა უარყვეს, თუმცა რამდენიმე პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დათმობა მაინც მოხდა. ამ მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან, 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება.

არალეგალური ლიტერატურის გავრცელების გამო, საქართველოს სსრ მთავრობის მიერ, ჰელსინკის ჯგუფის წევრთა წინააღმდეგ, დევნის უპრეცედენტო კამპანია დაიწყო, რასაც ზ. გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვა მოჰყვა. 1977 წელს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, მწერალთა კავშირს ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობასთან დაკავშირებით, სათანადო რეაგირებისთვის მიმართა. მას ბრალად ანტისაბჭოთა მოღვაწეობა ედებოდა. მის სახელს უკავშირდებოდა არალეგალურ გამოცემა – „საქართველოს მოამბეში“, გამოქვეყნებული ანტისაბჭოთა პროკლამაციები და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ფაშისტად და მოღალატედ მონათლული გენერალ შალვა მაღლაკელიძისადმი მიძღვნილი სტატია. 1977 წლის 1 აპრილს, მწერალთა კავშირის სხდომაზე, ერთხმად გადაწყდა ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი. არგუმენტი ასეთი იყო: „მწერალთა კავშირის წევრად ითვლებიან ისინი, ვინც მთლიანად დგანან საბჭოთა პოზიციებზე და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას ჩვენს, საბჭოთა პოზიციაზე“ [10, 44].

საბჭოთა კავშირი ე. წ. „რკინის ფარდით“ გაემიჯნა დანარჩენ მსოფლიოს და მაქსიმალურად შეზღუდა ინფორმაციის გავრცელების, ასევე, საზღვარგარეთ გადაადგილების თავისუფლება. ამგვარი შეუწყნარებლობის პირდაპირი შედეგი იყო რსფსრ სისხლის სამარ-

თლის კოდექსის 70, 190, 188, 227, 142 მუხლები, რომლებიც არა მხოლოდ კრძალავდნენ, არამედ სჯიდნენ კიდეც მოქალაქეებს, რელიგიური ან სხვა სახის პროპაგანდისათვის, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური იდეოლოგიისათვის შეუსაბამო აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ჰელსინკის ხელშეკრულების პრინციპები სასტიკად ირღვეოდა.

ჰელსინკის დეკლარაციის მუხლები, თითქმის მის ხელმომწერ ყველა ქვეყანაში ირღვეოდა. აღმოსავლეთ ევროპის, ასევე, სსრ კავშირის მოქალაქეებისთვის ჰელსინკის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების იმედს იძლეოდა. თავის მხრივ, ევროპული ჰელსინკის ორგანიზაციები აკონტროლებდნენ ჰელსინკის ხელშეკრულებათა დაცვას თავიანთ ქვეყნებში. ასეთი იყო ამერიკის სამართალდამცავი ორგანიზაცია, „Helsinki Watch" („ჰელსინკის გუშაგი"), რომელსაც ამერიკელი ქალბატონი ჯერი ლაიბერი ხელმძღვანელობდა [13, 5]. იგი, როგორც ჰელსინკის ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, აკონტროლებდა ჰელსინკის შეთანხმებებს, არა მარტო საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებმაც ჰელსინკის დასკვნით აქტს მოაწერეს ხელი. რადგან ადამიანის უფლებები უფრო მეტად საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ირღვეოდა, ამიტომ აღნიშნული ორგანიზაცია თავის საქმიანობას ამ მიმართულებით წარმართავდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, დასრულდა „ცივი ომი". ამასთანავე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჰეგემონიაც დამთავრდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა. 1990 წელს მიხეილ გორბაჩოვს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. იგი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის (რსფსრ) პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი (1931-2007 წწ) გახდა. იგი ქვეყანას 1991-1999 წლებში მართავდა. ბ. ელცინმა რუსეთში დემოკრატიის საფუძვლების მშენებლობაში დიდი როლი შეასრულა, რის გამოც რუსეთში მას ხშირად აკრიტიკებდნენ.

ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, კილის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის ქ. ალბრეხტის აზრით: „მ. გორბაჩოვის რეფორმების საბოლოო მიზანი არასოდეს არ ყოფილა დემოკრატია დასავლური გაგებით, თუმცა საბჭო-

თა პრეზიდენტის საყვარელ ტერმინად იქცა „დემოკრატიზაცია". რეფორმების მიზანი იყო სისტემის მაღალი ეფექტურობა, რათა საბჭოთა კავშირი ზესახელმწიფოდ დარჩენილიყო... გორბაჩოვმა იმიტომ კი არ თქვა უარი „ცივ ომზე", რომ მას „მშვიდობის ანგელოზმა გადაუფრინა თავზე", არამედ იმიტომ, რომ მას რესურსები აღარ ყოფნის თავის წინამორბედთა ექსპანსიონისტური კურსის გასაგრძელებლად. სწორედ უკანასკნელი ფაქტორით აიხსნება საბჭოთა კავშირის წასვლა ავღანეთიდან, კამბოჯიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ნიკარაგუიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. საბჭოთა კავშირი უკანასკნელი კოლონიური იმპერიაა. განსხვავება ის არის, რომ დასავლეთის კოლონიური იმპერიები იქმნებოდა საზღვაო გზების გამოყენებით, ხოლო რუსეთის არმია კი იმპერიის საზღვრებს აფართოებდა ოთხივე მიმართულებით. საბჭოთა კავშირი – ეს უკანასკნელი კოლონიური იმპერიაა და მისი დაშლა ნებისმიერი დემოკრატიის ვალია" [9, 54; 12, 40].

საქართველოში დატრიალებულმა, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა, გარდამტეხი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 9 აპრილის ტრაგედია იყო ის მიჯნა, როცა ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას თაოსნობით მთელი ქართველი ერი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ გამოვიდა. საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი. ჯუმბერ პატიაშვილის გადადგომის შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი გივი გუმბარიძემ დაიკავა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე დაკარგა მართვის სადავეები. ეროვნული მოძრაობის სათავეში რადიკალური პოლიტიკური ძალები მოექცნენ. სწორედ, ისინი მართავდნენ პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს. საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა. რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ეროვნული ხსნის კომიტეტი. მასში გაერთიანდნენ: ჰელსინკის კავშირი (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია); ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გიორგი ჭანტურია); სახალხო ფრონტი (ნოდარ ნათაძე); ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი); ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ტრადიციონალისტთა კავშირი (აკაკი ასათიანი) და სხვ. ეროვნული ხსნის კომიტეტის უმთავრესი მიზანი საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყვანა და დამოუკიდებლობის მოპოვება იყო, რაც ეტაპობ-

რივად უნდა განხორციელებულიყო. ეტაპობრივი ბრძოლა ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების თანდათანობით გაუქმებას, ბრძოლის საშუალებად საპროტესტო მშვიდობიანი მოძრაობა (გაფიცვები, მიტინგები, შიმშილობა) იქნა მიჩნეული. ეროვნული ხსნის კომიტეტის ინიციატივით 1989 წლის ოქტომბერში, თბილისში, სპორტის სასახლესთან, ქართველი ახალგაზრდების მჯდომარე აქცია მიმდინარეობდა. ისინი უარს აცხადებდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. ხელოვნების მუზეუმთან, აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები, მჯდომარე გაფიცვის გზით, რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვდნენ. 1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ეროვნული ხსნის კომიტეტის წევრები რამდენჯერმე შეხვდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, შემდეგი მოთხოვნებით: საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა; საერთაშორისო ფორუმებზე დასწრების უფლება; იმ წვევამდელების დაუსჯელობა, რომლებიც უარს ამბობდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე; სოხუმში 1989 წლის ივლისში მომხდარი სისხლიანი შეტაკების მოთავეების დასჯა; აფხაზეთის რამდენიმე რაიონში საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ნაცვლად ქართული მილიციის შეყვანა; ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელწოდების შეცვლა ცხინვალის ოლქით; როკის გვირაბის გაუქმება; გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რაიონებსა და ფონიჭალაში უკანონოდ მიტაცებული მიწების დაბრუნება კანონიერ მფლობელთათვის; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა და მათ მიერ მიკუთვნებული მიწების გლეხობის ხელში გადაცემა; საეთერო დრო ტელევიზიაში, რადიოში, ალტერნატიული ადგილი რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ა.შ.

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა საერთო-სახალხო რეფერენდუმის მოწყობის იდეა წამოაყენეს. ქართველ ერს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეისადმი. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ზეგავლენით, 1990 წლის მარტში, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც 1921 წლის თებერვალში, საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სამხედრო მოქმედება შეფასებული იყო, როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. ეროვნული მოძრაობის ზეგავლენით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის მარტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევ-

ნების ჩატარების შესახებ. არჩევნების მიმართ პოლიტიკურმა პარტიებმა არაერთგვაროვანი პოზიცია დაიკავეს. მას შემდეგ, რაც 1988 წლიდან ეროვნულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, საპროტესტო აქციებს პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ, ერთის მხრივ, ჰელსინკის კავშირი და მისი აღიარებული მეთაურები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მეორეს მხრივ – ეროვნულ-დემოკრატიული (გიორგი ჭანტურია) და ეროვნული დამოუკიდებლობის (ირაკლი წერეთელი) პარტიები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვა. ამ ვითარებაში გადამწვეტ როლს ასრულებდა მერაბ კოსტავას პიროვნული თვისებები, რომელიც ყოველთვის ახერხებდა ეროვნული მოძრაობის ორ ბანაკს შორის შეთანხმებას და კომპრომისის მიღწევას. 1989 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში მერაბ კოსტავას დაღუპვას ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება მოჰყვა. ეროვნული მოძრაობის სათავეში ორი თაობის პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ. მათ შორის თავიდანვე იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ეპიზოდური დაპირისპირების მიუხედავად, 1990 წლის გაზაფხულამდე ისინი მაინც ახერხებდნენ მშვიდობიან თანაარსებობას. 1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ, ჰელსინკის კავშირი და მისი მხარდამჭერი ძალები ეროვნული ფორუმიდან გავიდნენ და მაისის ბოლოს ჩამოაყალიბეს ახალი პოლიტიკური ბლოკი სახელწოდებით „მრგვალი მაგიდა". მასში შვიდი დამოუკიდებელი პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია გაერთიანდა: 1. საქართველოს ჰელსინკის კავშირი; 2. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება; 3. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება; 4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; 5. საქართველოს ეროვნული ფრონტი; 6. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი; 7. საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია. ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ხელისუფლების სათავეში 1992 წლამდე, სამოქალაქო ომამდე, იყო, ხოლო 1993 წელს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ დაიშალა. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა ძალებმა ეროვნული ყრილობა მოიწვიეს და ეროვნული კონგრესის არჩევა გადაწყვიტეს. ამრიგად, რადიკალური ეროვნული ძალები ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონობისათვის შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო.

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები გაიმართა. ეს იყო 1919 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები, რომელიც მრავალპარტიული სისტემის პირობებში ჩა-

ტარდა. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ, საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“, რომელმაც საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა – 62% მიიღო. საქართველოში ფაქტობრივად ხავერდოვანი რევოლუცია განხორციელდა. ერთპარტიულმა კომუნისტურმა დიქტატურამ საქართველოში არსებობის სამოცდაათწლიანი ისტორია დაასრულა. ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება აღმოჩნდა, რომელიც უკომპრომისოდ მოითხოვდა საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და საბჭოთა კავშირისაგან სრულ გამოყოფას. 1991 წლის 31 მარტს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობას უნდა გამოეხატა საკუთარი ნება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და ამით დაედასტურებინა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის საერთო ნებაც. საქართველოს მოსახლეობის 97%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას, 1921 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა და ზვიად გამსახურდია რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, რაც 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა. საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ზვიად გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების საუკუნოვან იდეას.

ამერიკელი ისტორიკოსი რიჩარდ ფაიფსი, 1991 წლის 26 მაისს, საქართველოში იმყოფებოდა და საარჩევნო პროცესს უშუალოდ აკვირდებოდა. ამერიკულ გაზეთში – „The Washington Post“ მან საქართველოს შესახებ სტატია გამოაქვეყნა, სადაც წერს: „კავკასიაში მდებარე საქართველოს რესპუბლიკა ამ დღეებში მძიმე დაწოლას განიცდის. მას სახავენ ქვეყნად, რომელსაც არყევს სოციალური და ეთნიკური ძალადობა, მართავს რადიკალი ნაციონალისტების ჯგუფი, რომელიც დევნის უმცირესობებს და მიმართავს ტოტალიტარულ პრაქტიკას. ვერც ერთი ეს ბრალდება ვერ უძლებს კრიტიკას. მათი ძირითადი წყაროა საბჭოთა მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც ცდილობს უცხოელთა თვალში დისკრედიტაცია მოახდინოს ქართველთა მისწრაფებისა დამოუკიდებლობისაკენ და შეინარჩუნოს თავისი გავლენა ამიერკავკასიაში. ახლახან დავბრუნდი საქართველოდან, სადაც მე თვალყურს ვადევნებდი

საპრეზიდენტო არჩევნებს. 26 მაისს – პირველად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამომრჩევლებს მიეცათ საშუალება არჩევანი გაეკეთებინათ სხვადასხვა კანდიდატს შორის. მე შემიძლია ვთქვა, რომ რესპუბლიკაში სიმშვიდე და წესრიგი სუფევს. 5 1/2 მილიონიანი ქვეყანა მოიცვა პატრიოტულმა გზნებამ, რომლის აღწერაც შეუძლებელია: ეს გვაგონებს ისრაელს თავისი ჩამოყალიბების ხანაში... ის ფაქტი, რომ გამარჯვებულმა კანდიდატმა, ზვიად გამსახურდიამ მოაგროვა ბიულეტენთა 80 პროცენტზე მეტი, ნაწილობრივ აიხსნება მისი სიმტკიცით კომუნიზმისადმი წინააღმდეგობაში, ხოლო ნაწილობრივ აიხსნება იმ ფაქტით, რომ საბჭოთა აგრესიის საფრთხემ ქართველები ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული ფიგურის გარშემო გააერთიანა; თუ საქართველო წარმატებას მიაღწევს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში, მაშინ გარკვეულად მას მოჰყვება პოლიტიკური განხეთქილება. უაზრობაა ველოდოთ, რომ საზოგადოება, რომელიც თავს ითავისუფლებს 70 წლიანი ტოტალიტარული უკანონობისაგან, განახორციელებს სრულიად უმტკივნეულო გადასვლას დემოკრატიაზე" [8, 5-6].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკუდებლობის აღდგენის შემდეგ, ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში, 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომში „საქართველოს ჰელსინკის კავშირის", სამართალმემკვიდრე, მისი საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი") გახდა.

1991 წლის 9 ნოემბერს, სრულიად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მეორე ყრილობა გაიმართა, სადაც სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდია. მან თქვა: „საგანგებო ყრილობა იმართება საგანგებო დროს. დღეს, როგორც არასდროს, უნდა დაირაზმონ ნამდვილი პატრიოტები, ჰელსინკის კავშირის წევრები და მოუწოდონ ქართველ ერს, გადაარჩინონ დემოკრატია, სააშკარაოზე გამოიყვანონ ცრუ პარტიები და ცრუ ორგანიზაციები. კავშირის მისიაა – დეზინფორმაციასთან შეუპოვარი ბრძოლა, მასობრივი მიტინგების, მანიფესტაციების, კრებების გამართვა, რათა ყველამ დაინახოს, რომ ოპოზიციის გზა განწირულია, დემოკრატია გაიმარჯვებს" [12]. ჰელსინკის კავშირის მუშაობის შესახებ, ანგარიშით გამოვიდნენ გამგეობის წევრები: თეიმურაზ ქორიძე და ავთანდილ რცხილაძე. ყრილო-

ბამ საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ზვიად გამსახურდია, თავმჯდომარის მოადგილედ ვახტანგ ჭითავა, გამგეობის წევრებად: თეიმურაზ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი. ყრილობაზე აღინიშნა: „დღეს ჰელსინკის კავშირის წევრობა საპატიოც არის და საამაყოც. რომელი ერის შვილს არ უნდა იბრძოლოს თავისი სამშობლოს პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, საკუთარი ბედის გამგებლობისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის. სწორედ, ამ ამოცანებს ემსახურება საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება, თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება. მაგრამ სულ ორიოდე წლის წინათ ჰელსინკის კავშირის წევრობაც კი თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, უმძიმესი გზა გაიარა საქართველოს ჰელსინკის კავშირმა – რეპრესიები, ხშირად საზოგადოების მტრული დამოკიდებულებაც კი. არაფერს არ შეუშინდნენ სულით სპეტაკი, ნებისყოფით უდრეკი კავშირის წევრები. მათ გზას უნათებდა სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ გაამარჯვებინა საქართველოში დემოკრატიას და განა მარტო საქართველოში. მან გარკვეული როლი შეასრულა მსოფლიო პროცესების შემდგომ განვითარებაში, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის ხალხების განთავისუფლებაში“ [3].

საქართველოს ჰელსინკის კავშირმა დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის დარაზმვის, სსრკ-ს დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ჯარს საოკუპაციო ჯარის სტატუსი მიენიჭა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ავთანდილ სონღულაშვილი, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა, თბილისი, 2012.
2. Deniel C. Thomas, The Helsinki effect international norms Human Rights and the Demise of Communism, Published by Princeton University Press, The United States of America, 2001.
3. „თავისუფლება და დამოუკიდებლობა – უპირველესი მიზანი“, სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების მეორე ყრილობა, გაზეთში: საქართველოს რესპუბლიკა, 1991 წლის 12 ნოემბერი, თბილისი.

4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VIII, თბილისი, 1980.
5. ლელა სარალიძე, საქართველოში ეუთოს მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (6), თბილისი, 2009.
6. მერაბ კოსტავა, ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში, გაზეთში: საქართველო, 1990 წლის 27 თებერვალი, №4 (9).
7. ნინო ყიფშიძე, საბჭოთა ფსიქიატრია და დისიდენტები, ჟურნალში: საარქივო მოამბე, №12, 2012, თბილისი.
8. რიჩარდ ფაიფსი, ქართველები იმსახურებენ ნაკლებ კრიტიკას და მეტ დახმარებას, ჟურნალში: პოლიტიკა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჟურნალი, 1991 წლის 8 აგვისტო, თბილისი,. რიჩარდ ფაიფსი (Richard Edgar Pipes), ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, მრავალრიცხოვანი ნაშრომების ავტორი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შესახებ. დაიბადა პოლონეთში 1923 წლის 11 ივლისს (92 წლის). 1940 წელს ემიგრაციაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1958-1996 წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტში ასწავლიდა. 1963-1973 წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი იყო. 1981-1982 წლებში, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს, ეროვნული უშიშროების საბჭოში აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის განყოფილების დირექტორი იყო. პროფესორ რ. ფაიფსის კალამს ეკუთვნის ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: „საბჭოთა კავშირის შექმნა“, „სოციალ-დემოკრატია და პეტერბურგის მუშათა მოძრაობა“, „რუსეთი ძველი რეჟიმის დროს“, „საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობანი დაძაბულობის შენელების პერიოდში“ და სხვა.
9. სოსო ცინცაძე, სსრკ: კრიზისის ანატომია, ჟურნალში: პოლიტიკა, 1991 წლის 8 აგვისტო, თბილისი.
10. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი №14, აღწერა 11, საქმე №658.
11. ლია კერესელიძე, ზვიად გამსახურდიას წერილი ამხ. ედუარდ შევარდნაძეს, ჟურნალში: საარქივო მოამბე, №8, თბილისი, 2010.
12. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი №6, საქმე №7726.
13. Helsinki Watch, გაზეთში: სახალხო განათლება, 5 ივლისი, 1990.

Lela Saralidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior researcher scientist of the Department of Modern and Contemporary History

From the History of Activities of the Georgian's Helsinki Committee

Summary

On the basis of the archive materials the history of creation and activities of the Georgian's Helsinki Union, discussed in the article. The work emphasizes that the activities of Helsinki's group is part of the national - liberation struggle for Georgia.

In this research there is also shown the work of Helsinki group during Communist regime, also there is said about Eoropean Helsinki groups which has played a big role about the protection of human rights in the countries, which have signed the Helsinki act. Between tham was the Soviet Union, which has signed about collaboration and safety with other Europian countries in Helsink in 1975 1st august. It was spreaded equally also on Georgia which was the part of Soviet Union at that time. In 1976, in Georgia, Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava headed the Human Rights Initiative Group. In the same year, was officially established the „Helsinki Group". It was the first legal organization in Georgia. Declaration of Helsinki Group noted that after the signing the final act of Helsinki, the Soviet Union was obliged to stop the occupation of Georgia. Helsinki group had a national position and denounced the anti-national processes in Georgia. Their work was a fierce critic from the Soviet Government. Soviet authorities persecuted them. Helsinki group leaders had an important influence on the views of Georgian intellectuals and youth group. In 1976, the Helsinki Group, published the Bulletin of Georgia. Zviad Gamsakhurdia was the editor. The magazine described the real situation and exposed the human rights violations in Georgia. The speech was greeted by well-known Russian dissidents, the Nobel Prize winner, academician A. Sakharov and the writer, publicist and historian A. Amalric. Since 1970, the members of the national movement in Georgia, were in close ties with Russian human rights defenders.

The georgian dissidents were strictly persecuted by the Soviet Authorities. The Helsinki Group of Georgia has played an important role in the collapse of the Soviet Union and In 1991, the restoration of state independence of Georgia.

ოთარ გოგოლიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი, სრული პროფესორი

ინგლის-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1877-1878 წწ.)

საქართველოს ისტორიაში რუსეთ-თურქეთის 1878-1878 წლეების ომი დიდმნიშველოვანი მოვლენა იყო. ბერლინის კონგრესზე, რომელმაც რუსეთ-თურქეთს შორის ამ ომში დაზავების პირობები გადაწყვიტა, დადებითად გადაწყდა აჭარის ბედიც. აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. ეს იყო კიდევ ერთი პროგრესული მოვლენა ქართველი ერის გამთლიანების გზაზე.

ინგლისი, ისე როგორც 1828-1829 წლეებისა და ყირიმის ომების დროს, ამ ომშიც თურქეთის ინტერესების დაცვის როლში გამოვიდა. ახლო აღმოსავლეთისა და ბათუმის ოლქის საკითხებით დაინტერესებულმა ინგლისის მთავრობამ, თურქეთისადმი ომის გამოცხადებისთანავე, დაგმო რუსეთის საგარეო პოლიტიკა: „რუსეთის ჯარების გადასვლამ პრუტზე – სწერდა თურქეთის სულთანს თურქეთში ლონდონელი დესპანი მუსურისი 1877 წლის აპრილის დასასრულს – რუსეთისათვის არაკეთილსასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე. გაზეთმა „დეილი ნიუსმა“ აღარ იცის როგორ დაამშვიდოს აღელვებული საზოგადოება“. ლონდონის საელჩო, სამხედრო სამინისტრო და გაზეთები ყოველნაირად აღვივებდნენ ინგლისის საზოგადოების მღელვარებას რუსეთისადმი, გამოხატავდნენ მხარდაჭერას თურქეთის ინტერესებისადმი.

შემდეგ, ომის მსვლელობაში და ბერლინის კონგრესზე, ინგლისმა აშკარად გამოავლინა თანაგრძნობა თურქეთისადმი და თანაც ფარულად თუ აშკარად ცდილობდა ბათუმის ოლქი არ გადასულიყო რუსეთის შემადგენლობაში, რადგან იცოდა, რომ კავკასიის მოსახლეობაში რუსეთის მიმართ არ იყო დადებითი განწყობილება. ინგლისური გაზეთები: „ტაიმსი“, „ბირჟის უწყებები“, „დეილი ნიუსი“, „დეილი ტელეგრაფი“, „სტანდარტი“ და სხვები არამარტო თა-

ნაუგრძნობდნენ თურქეთს, არამედ აშკარად იდგნენ რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციებზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთს ბათუმით სარგებლობა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ფლოტი ეყოლება, თორემ ახლა ბათუმის ნავსადგურით ინგლისი ისარგებლებსო. უფრო მეტიც, ინგლისისა და თურქეთის ერთი გარიგების თანახმად, თუ ბათუმი, ყარსი და არტაანი ან ერთ-ერთი მათგანი დარჩებოდა რუსეთს და ის მაინც შეეცდებოდა სხვა რომელიმე ტეროტორიის დაკავებას, მაშინ ინგლისი თურქეთს უერთებოდა რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან ინგლისი ორმაგ დიპლომატიას ატარებდა მთელი ომის განმავლობაში – თურქეთს სტყუებდა სამფლობელოებს, რუსეთს კი უპირისპირდებოდა.

ინგლისი რუსეთ-თურქეთის ამ ომის ფრონტებზე ჟურნალისტებად გზავნიდა გამოცდილ ოფიცრებს, რომლებიც კი არ კმაყოფილდებოდნენ საზოგადოებისათვის უბრალოდ, დიპლომატიური ამბების მიწოდებით, არამედ ფართოდ აშუქებდნენ მნიშვნელოვან ოპერაციებს, რომლებზედაც ზოგჯერ მეტნაკლებად ომის ბედი იყო დამოკიდებული, აკეთებდნენ მოწინააღმდეგეთა ჯარის ნაწილების ბრძოლისუნარიანობისა და ტაქტიკურ მოქმედებათა შედარებებს.

მაგალითად, გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აშუქებდა რა 1877 წლის 4-16 ივნისის ბრძოლებს, მოუთხრობდა აჯიმექის მთებთან მამუდ ფაშის მარცხზე და ამ პოზიციებზე თურქ ჯარისკაცთა დემორალიზაციაზე, რომელთა საბრძოლო სულისკვეთების განმტკიცებისათვის თურქი ოფიცრები მიმართავდნენ ყველა ღონისძიებას. ასევე, გაზეთი მოუთხრობდა მკითხველებს გენერალ კემბელის ცხენოსანი არმიის მარცხის შესახებ, რომელიც ძლივს გადაურჩა ტყვეობას. ინგლისის სამხედრო სამსახურის ოფიცერი, ჟურნალისტი ნორმანი ზუსტი ცნობების შეკრებისათვის ეწეოდა თურქი ოფიცრებისა და სამხედრო ექიმების დაკითხვას თვით სამხედრო ჰოსპიტლებშიც კი [1, 122-128]. ის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მოწინააღმდეგეთა ჯარების დანაკარგებით, დახოცილთა და ტყვეთა რაოდენობის სიზუსტით, არკვევდა რუსთა საარტილერიო და ცხენოსანთა ნაწილების შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლის თავისებურებებს და შემდგომ მოგროვებულ ცნობებს აწვდიდა ინგლისის ჯარების გენერალურ შტაბს [2, 104].

საყურადღებოა, რომ ომის მსვლელობაში ინგლისის პოზიციები უფრო სხვაგვარად გამოიკვეთა თურქეთის მიმართ, განსაკუთრებით ბათუმის ოლქის საკითხში, ვიდრე ამას თურქი დიპლომატები მოელოდნენ. ომის მეორე პერიოდში ინგლისის სარდლობა დაჟინე-

ბით ცდილობდა თურქეთის გზით აჭარაში შემოგზავნილი აგენტებისა და პროპაგანდისტების მეშვეობით გაეჭინაურებინა სან-სტეფანოს საზავო პირობების სისრულეში მოყვანა, რომელიც ხელსაყრელი იყო რუსეთის იმპერიისათვის. თურქეთის არმიის მეოთხე კორპუსის მეთაურის დევრიშ-ფაშის მეთაურობით, რომელიც ბათუმის ოლქს განაგებდა, ინგლისელებს სურდათ აქ მოეწყოთ რეფერენდუმი, რომ დაეთანხმებინათ აჭარა-ლაზეთისა და ართვინის ოლქის მოსახლეობა – ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ, თუ მათ წინააღმდეგ ომს წამოიწყებდა ინგლისი, რის სანაცვლოდაც ამ ოლქების მოსახლეობის მხარდაჭერასა და ცოცხალი ძალით დახმარებას მოითხოვდნენ. ინგლისის აგენტები აჭარის მოსახლეობას სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ დიდ ფულად სახსრებს. ნათელი იყო, რომ წარმატების შემღხვევაში შედეგებით ისარგებლებდა ინგლისი და არა თურქეთი. ამ მიზნით ისინი აჭარაში, ლაზეთში, ართვინში და სხვაგან აღვივებდნენ რელიგიურ ფანატიზმს, რომ გადაებირებინათ ხალხი და ართვინის ოლქის საკითხები გაეტანათ ბერლინის კონგრესზე, რათა დაემტკიცებინათ, რომ ამ მხარეთა მოსახლეობა მოითხოვს არა რუსეთის, არამედ დიდი ბრიტანეთის მფარველობას. ამ აზრის დასამტკიცებლად სურდათ მოეტანათ წერილობითი საბუთები და კონგრესისათვის ხელიდან გამოეგლიჯათ ამგვარივე გადაწყვეტილებაც.

ინგლისელები ამასთან ერთად პრაქტიკულად მონაწილეობდნენ ბათუმის მიდამოებში ციხე-სიმაგრეების აგების საქმეშიც. ამ მიზნების განხორციელებისათვის 1878 წლის ივნისში ართვინის მოსახლეობაში ეწეოდა მუშაობას და პოზიციებს ათვალიერებდა ინგლისელი მაიორი ვიკონტი დიუალ-გუე. მან შეკრიბა მოსახლეობა და ეკითხებოდა: იბრძოლებდნენ თუ არა ისინი ინგლისის მხარეზე, თუ ომში ჩაებმებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. დიუალ-გუემ ივნისის პირველ დეკადაში მუსტაფა-ფაშასთან ერთად დაათვალიერა ართვინის პოზიციები და ჩამოვიდა ბათუმში ანალოგიური სამუშაოს ჩასატარებლად. მასთან ერთად ბათუმის სანაპიროსთან მოვიდა აქ მყოფი ინგლისელი აგენტი, რომელმაც მას უჩვენა ადგილი ხმელეთიდან ბატერეის (ჩანს ინგლისური ბატარეის) ასაგებად. ინგლისელები ვარაუდობდნენ დევრიშ-ფაშის შემწეობით აჭარა-ახალციხე-ართვინში ინგლისის სამხედრო სამსახურისათვის დაექირავებინათ დაახლოებით 4 ათასი კაცი. ამ საიდუმლო გეგმის გამომზეურებისა და რუსეთის არმიის შტაბისათვის შესატყობინებლად ნაყოფიერი მუშაობა გასწია შერიფ ხიმშიაშვილმა.

დიდი ბრიტანეთის გეგმების გამოცნობაში თურქეთის ადგილობრივ ხელისუფლებას დიდად დაეხმარა „დეილი ნიუსისა“ და „სტანდარტის“ სპეციალური კორესპოდენტების შუვერისა და დონოვანის ჩამოსვლა და პრაქტიკული მოღვაწეობა ბათუმში, ქობულეთსა და აჭარის მთიანეთში. მათ უკანასკნელ ჩამოსვლას საფუძვლად დაედო აჭარის მოსახლეობაში დედოფალ ვიქტორიას მფარველობაში ოლქის შეყვანის სასარგებლოდ ხელმოწერების შეგროვების იდეა და ლონდონის საოგადოებრივი აზრის მომზადება, რომ სამხედრო სამინისტროს მეშვეობით ინგლისის მთავრობას ეკისრა ბათუმის ოლქის პროტექტორობა.

ინგლისი რუსეთისადმი მტრულ გამოხდომებს აკეთებდა ბერლინის კონგრესის მომზადების პერიოდშიც. ინგლისის მთავრობა – წერდა გაზეთი „გოლოსი“ – ცნობს თავის განცდილ წარუმატებლობას და სერიოზულად შეშფოთებულია მისი შედეგებით. სხვათა შორის ამით აიხსნება უხეში, მტრული გამოხდომები რუსეთის წინააღმდეგ, რომლებიც კვლავ არაჩვეულებრივი სიუხვით ჩნდება ლონდონურ გაზეთებში. „ინგლისის წარუმატებლობა გამოიხატება ბიკონსფილდის მარცხში, რომელიც დაჟინებით ესწრაფოდა კონგრესზე ბათუმი შეენარჩუნებინა თურქეთისათვის, ან ინგლისელებს ჩაეგდოთ ხელში. მაგრამ ინგლისის დაჟინებით პოლიტიკას ბათუმის საკითხებში წინ აღუდგა ბისმარკი, რომელსაც არ სურდა ინგლისის დამკვიდრება ბათუმის ოლქში“ [2, 95]. საინტერესოა ისიც, რომ ბისმარკის აზრი კრიტიკულ მომენტში გამოარკვია „ტაიმსის“ საკუთარმა კორესპოდენტმა ბლოვიცმა, რომელმაც დაუყოვნებლივ აცნობა ეს ინგლისის მთავრობას. საქმე ის იყო, რომ ბიკონსფილდი კონგრესზე წინადადებას აყენებდა იმის შესახებ, რომ ბათუმი კვლავ დარჩეს ოსმალეთსო, მაგრამ როცა ამას ვერ აღწევდა, მოითხოვდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას, რომ ინგლისს, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებ, შეენარჩუნებინათ უფლება ხელი ეფათურებინათ ოლქის პოლიტიკურ ცხოვრებისა და ეკონომიური განვითერების საქმეებში. საყურადღებოა, რომ ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადების მოთხოვნა სან-სტეფანოს წინასწარ ხელშეკრულებასა და ინგლისის მიერ რუსეთისადმი გაკეთებულ მემორანდუმებში არ ჩანს. ინგლისს იმედი ჰქონდა, რომ მიაღწევდა ბათუმი არ შეერთებოდა რუსეთს. მაგრამ კონგრესზე შეიცვალა ვითარება, თურქეთმა მიზანს ვერ მიაღწია, მარცხი განიცადა ინგლისმაც. ინგლისი ვერ შეელია აჭარის ბედის ამგვარ გადაწყვეტას, რამაც კონგრესზე დიდი დავა გამოიწვია. შეთანხმება ასე ჩამოყალიბ-

და – მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ მისი განზრახვაა – ბათუმი გახადოს პორტო-ფრანკოდ უმთავრესად კომერციულად [3].

1878 წლის ივლისში, ბათუმში შუვერისა და დონოვანის მოღვაწეობის დროს, აშკარა გახდა ინგლისელთა სწრაფვა ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდებისა. რის შემდეგაც თურქეთმა შეცვალა პოზიცია ინგლისისადმი.

მაინც რაში მდგომარეოდა მათი მისია? შუვერმა და დონოვანმა, რომლებიც სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ ლონდონიდან, კონსტანტინეპოლში ინგლისურ პასპორტზე რუსული ვიზა აიღეს იმისათვის, რომ დაწვრილებით გარკვეულიყვნენ აჭარაში შექმნილ ბოლოდროინდელ სიტუაციაში. გაიგეს რა საზოგადოების დიდი ნაწილის რუსეთის მფარველობაში შესვლის საწინააღმდეგო აზრის შესახებ, აქტიური საქმიანობა გააჩაღეს მოსახლეობის გადაბირებისა და ბათუმის ოლქის ინგლისის მფარველობაში შესვლის მსურველთა ხელმოწერის შეგროვებისათვის. დონოვანი თავის სტატიებში წერდა იმის შესახებ, რომ ბათუმში მას საუბრები ჰქონდა ზოგიერთ ადგილობრივ პირთან და გაიგო, რომ ისინი რუსეთთან შეერთების საქმეში არავითარ კომპრომისზე არ წავლენ. ის ლონდონის საზოგადოებრიობას აცნობებდა, რომ ბათუმიდან უკვე უდეპეშეს ლონდონის მთავრობას თხოვნა ბათუმის ოლქის დაკავების შესახებ.

გაზეთ „გოლოსის'" საკუთარი კორესპოდენტი გ. წერეთელი წერდა, რომ ბათუმში ხასან ბეგ ბეჟანოღლის სახლში გაცნობია ოსმან ფაშა თავდგირიძეს, რომელმაც მას თავად განუცხადა, რომ ის ნამდვილად ხელს უწერდა რომელიღაც ინგლისელს მასზედ, რომ არ სურდა რუსეთის ბატონობა ლაზეთში. გ. წერეთელი მიუთითებდა, რომ ეს იყო რომელიღაც ერთ-ერთი ინგლისელი ჟურნალისტი [3].

დონოვანის სტატიებში ნათლად ჩანდა სკეპტიკური განწყობილება ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ბათუმში. კორესპონდენტი წერდა დევრიშ-ფაშის სამუშაო კაბინეტის ღარიბულ, ცუდ მორთულობაზე, თურქული გემით უწესრიგო მგზავრობაზე, რომლითაც ბოსფორიდან ბათუმში ჩამოვიდა. დონოვანი არ ენდობოდა თურქეთის საფოსტო განყოფილებას ბათუმში, რის გამოც ზოგიერთ წერილებს ბათუმიდან მგზავრის ხელით გზავნიდა ინგლისის ტრაპიზონის საკონსულოში.

ინგლისელი ჟურნალისტები მკითხველებს მოუთხრობდნენ ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობაზე, ახასიათებდნენ მის ბუნებრივად მოხერხებულ მდებარეობას, „ბუხტას'" და მიუთითებდნენ, რომ

ბათუმის დაუფლებისათვის ღირდა ბრძოლა. დონოვანი პირდაპირ წერდა: „მე არ მიკვირს, რომ რუსეთი ძლიერ აფასებს თავის შენაძენშ“ [4, 35]. სხვათა შორის ამასვე ამბობდა ფრანგი ჟურნალისტი მიშელ ლემორე, როდესაც აღწერდა ბათუმის რუსეთის იმპერიის ხელში გადასვლის შესახებ.

საზოგადოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში ინგლისელები ისე იქცეოდნენ, როგორც თურქეთის ერთგული მოკავშირეები, მაგრამ ომის მეორე პერიოდში მკვეთრად ჩანდა, რომ ისინი ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდნენ. მიუხედავად წერილობითი და ზეპირი პროტესტებისა თურქეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ინგლისელი ჟურნალისტები ბათუმიდან გააძევა.

როდესაც ინგლისელებს ბათუმიდან აძევებდნენ, თურქი პოლიციელები მათ ეუბნებოდნენ, რომ ბათუმიდან მათ უშვებდნენ დევრიშ-ფაშის ბრძანებით.

ინგლისელები ბათუმიდან ტრაპიზონში წავიდნენ დიდი ბრიტანეთის კონსულთან, წარუდგინეს საპროტესტო წერილი თურქეთის ბათუმელი ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვეს საქმის ვითარება ეცნობებინათ ინგლისის კონსტანტინეპოლელი ელჩისათვის.

ბათუმში შუვერისა და დონოვანის პრაქტიკულ მოღვაწეობას წითელ ზოლივით გასდევს მათი შეუპოვრობა, რადაც უნდა დაჯდომოდათ არ დაეტოვებინათ ბათუმი. მათ უარყვეს ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანება ბათუმიდან მათი გაძევებისა და პოლიციის არაერთი წინადადება, დაეცალათ ბათუმში დაქირავებული ბინა. თანაც მათ ადგილობრივ ხელისუფლებას ორჯერ წარუდგინეს წერილობითი პროტესტი, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ უცხოეთის პასპორტი ამ მხარეში კონსულის ადგილზე არყოფნის პერიოდშიც უნარჩუნებს მათ ბინაში დარჩენის სრულ გარანტიას და თურქ ხელისუფალთაგან ხელშეუხებელს ხდის როგორც „ბრიტანეთის ტერიტორიას“ [4, 39-40].

ამრიგად, აქ მოტანილი ფაქტები ნათელს ჰფენს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს ინგლისისა და თურქეთის ურთიერთობას ბათუმის ოლქის საკითხის გადაწყვეტაში. ისინი ნათელყოფენ ამ ურთიერთობის გამწვავებას ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდებისათვის, მაგრამ ეს არ მოხდა და ბათუმის ოლქი დაუბრუნდა დედასაქართველოს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თურქული დოკუმენტების კრებული, სანკტ-პეტერბურგი, 1947.
2. ლ. ტაკმეევი, 1877-1878 წლეების რუსეთის-თურქეთის ომის მასალები (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1965.
3. გაზეთი გოლოსი, 1878, № 254.
4. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 106.

Otar Gogolishvili
Doctor of Historical Sciences,
Full Professor of Batumi Shota Rustaveli University

From the History of English-Turkish Relationship (1877-1878)

Summary

The Russian-Turkish war in 1878 was an important event in the Georgian history. The fortune of Adjara was positively decided at the congress of Berlin. Moreover the conditions for peace treaty in this war between Russia and Turkey were received. Adjara returned to the motherland. That was one more progressive event on the way of reunion of Georgian nationality.

England supported interests of Turkey in this war as it did in 1828-1829 and during Crimea war. The government of England interested in the issues of the Middle East and rejoin of Adjara condemned Russian foreign policy just before the declaration of the war. London embassy, military ministry and the newspapers kindled agitation of the English society against Russia using all the ways, however they supported the interests of Turkey.

შოთა ვადაჭკორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ (1920 წ.)

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხარჯზე ახალი მუსლიმანური (ყარსის) სახელმწიფოს შექმნის მცდელობის ჩავარდნამ, ოსმალეთის ხელისუფლებას პოლიტიკური კურსის შეცვლისკენ უბიძგა. იგი საქართველოს ტერიტორიის მიტაცებაში ხელშემწყობი პარტნიორის ძებნაში გამოვლინდა. ამ მიმართულებით პირველი წარმატებული ნაბიჯი ოსმალეთის მხრიდან 1920 წლის 26 აპრილს გადაიდგა. მხედველობაში მაქვს მუასტაფა ქემალის მიერ ვ. ლენინისადმი გაგზავნილი დეპეშა. ამ დოკუმენტის მიხედვით, მ. ქემალი საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებასა და იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მზადყოფნას აცხადებდა. რაც შეეხება რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარისადმი ოსმალეთის ეროვნული კრების სახელით 1920 წლის 12 ივლისს გაგზავნილ წერილს, მასში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ოსმალეთი მხარს უჭერდა „რუსეთის დიდი რევოლუციის ძირითად პრინციპებს". იმავე დოკუმენტით, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ოსმალეთის მოკავშირედ იყო მიჩნეული [1, 48]. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩრდილოეთის და სამხრეთის მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან (რუსეთ-ოსმალეთი) საერთო ენის გამოძებნამ, მათი მხრიდან იმპერიულ ამბიციებზე დამყარებული მიზნების განსახორციელებლად დაწყებული ბრძოლის სახელმწიფოებრივი ინტერესების ქვაკუთხედად გამოცხადებამ, საქართველოს პირველი რესპუბლიკა მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გარემოცვაში მოაქცია. ამ შემთხვევაში რუსეთისა და ოსმალეთის მიზნები იდენტური იყო. იგი არსებული ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობას, ქვეყნის გასაბჭოებას და მისი ტერიტორიების გადანაწილებას ითვალის-

წინებდა. თუკი მათი ძალისხმევა ამ მიმართულებით წარმატებული აღმოჩნდებოდა, დაპყრობილი საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების ხელშეწყობით, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს ოსმალეთი უპრობლემოდ მიისაკუთრებდა, და რაც მთავარია, საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის სამეზობლო საზღვარი საქართველოს მონაკვეთზე გაჩნდებოდა. იმ ეტაპზე შექმნილი ამ ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ გ. ლორთქიფანიძე სავსებით სამართლიანად წერდა: „საქართველოსთვის დადგა ისეთი ხანა, რომლის სრული მსგავსება არც კი იცის ჩვენმა ისტორიამ, სახელდობრ, რუსეთი და ოსმალეთი, რუსული ველიკოდერჟავნიკობა და თურქულ- სპარსული პანისლამიზმი საქართველოს განადგურების საქმეში შეიქნენ ერთი მეორის პირისპირი მოკავშირენი" [2, 148].

ოსმალეთის ხელისუფალთა ასეთი პოლიტიკური კურსი, მათი მხრიდან დაპყრობილი და გათავისებული ტერიტორიების შენარჩუნებაზე იყო გათვლილი. ამ ჩანაფიქრის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ანტანტის სახელმწიფოები დამარცხდებოდნენ და საბჭოთა რუსეთი მოკავშირეობას ოსმალეთს გაუწევდა. საქართველოს სახელმწიფოს საზიანოდ გათვლილი ეს პოლიტიკური კომბინაცია, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ და პრესის ფურცლებზე ამის შესახებ საგანგებო პუბლიკაციებიც იქნა გამოქვეყნებული. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილი მოწინავე წერილი „კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი" იქცევს. მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ პუბლიკაციაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლების ერთობლივი საქმიანობა. წინა პლანზეა წამოწეული და სწორი პოზიციიდანაა ახსნილი ბოლშევიკურ რუსეთთან ოსმალეთის დაკავშირების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზები. ამ ფონზე ოსმალეთის დაშლა-დანაწევრებისაგან გადარჩენის ერთადერთ საშუალებას, სტატიის ავტორი ანტანტის სახელმწიფოების დამარცხებაში ხედავდა. „ერთადერთი იმედი – ვკითხულობთ სტატიაში, – „ანტანტის" სახელმწიფოების დასუსტება-დამარცხებაშია. ეს კი შეუძლია მხოლოდ მის შეურიგებელ მტერს – საბჭოთა რუსეთს. ოსმალეთის იმპერიალისტები მზად არიან მოიპოვონ იმისთანა მოკავშირე, როგორიც რუსეთია და თავიდან ააცილოს ოსმალეთს დანაწილება" [3]. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ოსმალეთის ხელისუფალნი მაქ-

სიმუმს აკეთებდნენ. **მხედველობაში მაქვს ერთმორწმუნე აზერბაიჯანის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური პარტიის – „იტიხადის“ ლიდერის დ-რი კარაბეკოვის მოსყიდვის ფაქტი. ამ პიროვნების ამოცანას აზერბაიჯანის მთავრობის შემადგენლობაში ნური-ფაშასა და ხალილ-ფაშას მინვევა წარმოადგენდა. მეორე მხრივ, იგი საბჭოთა რუსეთთან აზერბაიჯანის ყოველმხრივ დაკავშირებას და მეგობრული კონტაქტების დამყარებას ცდილობდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკისათვის იმ ეტაპზე ორმაგი საფრთხე იკვეთებოდა: ა) ჩრდილოეთიდან საბჭოთა რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმა და ბ) საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი ოსმალეთის აგრესიის გარდუვალობა.** დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ აზერბაიჯანის ხელისუფალთა პოლიტიკური საქმიანობა საბჭოთა რუსეთის დახმარებით ოსმალეთის გაძლიერებაზე იყო გათვლილი. ქართული პოლიტიკური ელიტა ამ საფრთხეს კარგად ხედავდა. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“ წერდა: „კავკასიის მცხოვრებთა იმ ნაწილში, რომელშიაც დარჩენილია ოსმალეთისადმი სიმპათია, უნდა შეიგნონ, რომ ვინც დღეს ხელს შეუწყობს ოსმალეთის აღდგენას და გაძლიერებას, ის (შეგნებულად თუ შეუგნებლად) კავკასიისკენ რუსეთის ჯარს ეპატიჟება, რომელიც მთელი თავისი შემადგენლობით, ტრადიციებით და სულიერი განწყობით, იმ მიზნებით რომლებითაც იგი კავკასიაში მოდის, დიდად არ განსხვავდება ძველი რუსეთის ჯარისაგან, რომლის უღელქვეშ გმინავდა კავკასია ასი წლის განმავლობაში“. ამ შემთხვევაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური პარტიის პოზიცია სავსებით სწორი იყო და რეგიონის გარშემო მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ობიექტური თვალსაწიერიდან აფასებდა. **მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ ეტაპზე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მმართველი პოლიტიკური სპექტრის ორიენტაციას ენიჭებოდა. იმ შემთხვევაში თუკი სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფალნი (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შეთანხმებულად იმოქმედებდნენ, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეზობელი ქვეყნების იმპერიული ამბიციებისადმი დაპირისპირების გონივრულ კურსს შეიმუშავებდნენ, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების გადარჩენის დიდი ალბათობა შეიქმნებოდა. სამწუხაროდ, პოლიტიკური პროცესები სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. მხედველობაში მაქვს სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფალთა**

მმართველი წრეების მხრიდან მტაცებლური კურსის პრიორიტეტად გამოცხადება. თითოეული მათგანი საქართველოსთვის ზურგში გალესილი მახვილის ჩაცემით და მისი გაუბედურების ხარჯზე ცდილობდა წელში გამართვას. ასეთი ფაქტები არა მარტო ამიერკავკასიის რეგიონალურ, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებზეც მრავალგზის დადასტურდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველო იმ ეტაპზე საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა. ეს მომენტი საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წრეებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მის გამოყენებას მაქსიმალურად ცდილობდა. ამის ერთ-ერთ გამოვლინებას გ. ჩიჩერინის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი ნოტა წარმოადგენს. ამ დოკუმენტით საბჭოთა რუსეთი დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედების ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობდა საქართველოს მთავრობას. ეს წინადადება გარეგნულად მიმზიდველი ჩანდა, მაგრამ პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის დამღუპველი იყო. მხედველობაში მაქვს ანტანტის სახელმწიფოებისადმი დაპირისპირების ფონის შექმნა და მათი გაღიზიანების გარდუვალობა. მით უმეტეს, საქართველოს სახელმწიფოს de-faqto და de-iure აღიარება, ანტანტის ქვეყნებზე იყო დამოკიდებული. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საპასუხო ნოტაში ე. გეგეჭკორი დიპლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით, დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის შემოთავაზების მიღებაზე უარს აცხადებდა და ძირითად არგუმენტად შემდეგ ფაქტორს ასახელებდა: 1) ქვეყნის ნეიტრალიტეტის დაცვაზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას; 2) დენიკინთან მიმართებაში საქართველოს მხრიდან შეტევითი სამხედრო ოპერაციის განხორციელების შეუძლებლობას; 3) დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმის შემთხვევაში, რსფსრეს ტერიტორიაზე გადასვლის ალბათობიდან გამომდინარე საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის დაუშვებლობას. ასეთი ფორმით შედგენილმა პასუხმა, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი წონასწორობიდან გამოიყვანა, რაც საქართველოსთან მიმართებაში ღვარძლისა და ბოღმის ოფიციალურად წარმოჩენაში გამოვლინდა. ამის დადასტურებას 1920 წლის 19 თებერვალს ე. გეგეჭკორისადმი გამოგზავნილი ნოტა №432 წარმოადგენს. დაუსაბუთებელი ბრალდებების ახალ „სერიალთან" ერთად, ეს დოკუმენტი საქართველოსთან მიმართებაში საბჭოთა რუსეთის „რისხვის" განმაპირობებელ მიზეზებსაც ხსნის. „მიუხედა-

ვად ყველაფრისა, – ვკითხულობთ ნოტაში – რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა იმედოვნებდა, რომ გეგეჭკორის მთავრობა ვერ გაბედავდა უარი ეთქვა ერთად ბრძოლაზე რუსეთისა და საქართველოს მშრომელი მასის საერთო მტრის წინააღმდეგ“ [4]. ამ ამონაწერიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ჩრდილოელი მეზობლისაგან შემოთავაზებულ წინადადებაზე „უარის თქმის გაბედვა“ იქცევს. მეზობლებთან ურთიერთობაში საბჭოთა რუსეთი მბრძანებლური „ტრადიციული“ ფორმების შენარჩუნებას ცდილობდა. ეს მომენტი, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ და გ. ჩიჩერინის ზემოაღნიშნულ ნოტას დასაბუთებული პასუხი გასცეს. ამ მხრივ ყურადღებას გაზ. „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „ჩიჩერინის ახალი ნოტა“ იქცევს. „ჩვენი პოლიტიკის მიზანია – ვკითხულობთ წერილში – განამტკიცოს დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო,... დავამყაროთ კეთილმეზობლური განწყობილება ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც ჩვენზე თავდასხმას არ მოინდომებენ. ჩვენ მზათ ვართ მშვიდობიანი ურთიერთობა ჩამოვაგდოთ ყველასთან, ვინც ამ პოზიციას მიიღებს, ე. ი. ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას სცნობს, ჩვენი რესპუბლიკის ხელშეუხებლობას აღიარებს, ვინც ჩვენი ერის თვითგამორკვევის უფლებებს სცნობს.“ ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ იმ პერიოდის საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფალთა პრიორიტეტულ ამოცანას უცხო სახელმწიფოების მხრიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა წარმოადგენდა. ამას იგი საბჭოთა რუსეთისგანაც მოითხოვდა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ჩრდილოელი მეზობელი იმ ეტაპზე ამ „კომპრომისზე“ წასვლას არ აპატიებდა და საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავების ახალ საბრალდებო პროვოცირებულ მეთოდებს იყენებდა. მხედველობაში მაქვს „ოსმალეთის აგრესიულ იმპერიალიზმთან“ საქართველოს მთავრობის მეგობრული ურთიერთობის ბრალდებით დადანაშაულება. ეს ხდება იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი პოლიტიკური გარიგებების მიზნით, ოსმალეთთან საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავდა. ამის უდაო დადასტურებას ბოლშევიკებისა და ოსმალო აგენტების გაერთიანებული კომიტეტების სხდომის შესაბამისი ოქმი და მიღებული დადგენილება წარმოადგენს. ეს დოკუმენტები რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტს სახელმძღვანელოდ გადაეგზავნა. იგი დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებას ჩაუვარდა ხელში. ამ მასალებიდან ცნობილი ხდება, რომ **რუსეთ-ოსმალეთის წარმო-**

მადგენელთა შეთანხმების მიხედვით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედების გეგმის ორი ვარიანტი იქნა შემუშავებული: 1) მუშათა ორგანიზაციების მხრიდან მუსლიმანთა კომიტეტისადმი გაწეული დახმარების ფონზე, საქართველოში ინგლისელთა საქმიანობის დაგმობის პროპაგანდისათვის პერმანენტული სახე მეცათ და მაქსიმალურად მოეხდინათ აჭარლების „ეროვნული მისწრაფებების" წინ წამოწევა, „ეროვნული ნიშნით" მისი მანიპულირება; 2) საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარის რეგიონის მოსახლეობის ამხედრებისათვის მყარი საფეხურის მოსამზადებლად, ადგილობრივ მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა გამოეყენებინათ. დასახული გეგმის განსახორციელებლად, ბათუმის ოლქი 6 რაიონად იქნა დაყოფილი. თითოეული მათგანის ხელმძღვანელობა ცენტრიდან დანიშნულ პასუხისმგებელ პიროვნებას დაეკისრებოდა. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ცენტრი ქედაში განთავსდებოდა და მოსაზღვრე რაიონები მასთან მჭიდრო კავშირს დაამყარებდა. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ დაგეგმილ შეიარაღებულ გამოსვლებს, მისი პირველი ეტაპი საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის აგენტების მიერ ფულით მოსყიდულ ქრისტიან ქართველებს უნდა დაეწყო, ხოლო ორი დღის შემდეგ ამ პროცესს მუსლიმანი ქართველები (იგულისხმება აჭარლები) შეუერთდებოდა. იმავე გეგმის მიხედვით, აჯანყების დაწყებისთანავე, ორი სამთო ბატარეით და ერთი მოკლელულიანი ქვემეხით შეიარაღებული 10 ათასი ოსმალო ასკერი და 300 ცხენოსანი საქართველოს საზღვარს გადმოლახავდა და ბათუმისაკენ დაიძვროდა. მოსაზღვრე რაიონების ხელმძღვანელობას, აღნიშნული პროცესის დაწყებისთანავე, ქედას რაიონის აჯანყებულებისადმი იარაღი და ვაზნები უნდა მიეწოდებინა. მითუმეტეს, ოსმალეთის ჯართან ერთად აჯანყებული ქედელები ბათუმზე ერთობლივ შეტევას განახორციელებდნენ. რაც შეეხება ქობულეთში შექმნილ რაზმს, მის ამოცანას აჭარის რეგიონზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის სრული ლიკვიდაცია წარმოადგენდა. ამ მიზნით მას შემდეგი სახის ღონისძიებების განხორციელება ჰქონდა დაკისრებული: ა) უნდა აეფეთქებინა გვირაბი და ბ) მიმოსვლის შესაფერხებლად გაეფუჭებინა გზები. ზემოაღნიშნული დოკუმენტში მოტანილი მონაცემების მიხედვით, ბათუმის ოლქში იმ ეტაპზე აქტიურად მოქმედი 28 კომუნისტი და 2000 თანამგრძნობი იმყო-

ფებოდა. აქედან საიმედოდ მხოლოდ 40 ადამიანი მიაჩნდათ. რაც შეეხება უშუალოდ ბათუმს, კომუნისტთა რაოდენობა 252 კაცს შეადგენდა, ხოლო მხარდამჭერთა რაოდენობა 1400-ს. ბათუმის ოლქში მათდამი მხარდამჭერი ინტელიგენციის რაოდენობა 200-დან 300 კაცით იყო განსაზღვრული. აქედან, ქალაქ ბათუმში მისი რაოდენობა 50-დან 100 კაცსს წარმოადგენდა. მოქმედების დაწყების შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ბათუმის ოლქის 750 კომუნისტს, 300 საიმედოს და 300 თანამგრძნობს უნდა დაყრდნობოდა [5].

თუკი ჩემს მიერ მოტანილ მონაცემებს საფუძვლიანად გაანალიზებთ და პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გარშემო შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციასაც გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება: 1) საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, განსაკუთრებით ქართველი კომუნისტები ქვეყნისთვის მოღალატურ გზას ადგა და ოსმალეთის წარმომადგენლებთან შეთანხმების საფუძველზე ბათუმში შეიარაღებული ოსმალო ასკერების შემოყვანას გეგმავდა; 2) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად გამიზნული ზემოაღნიშნული ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება, საბჭოთა რუსეთის შესაბამისი უწყების დაფინანსებითა და ხელმძღვანელობით იყო გათვალისწინებული; 3) აღნიშნული აჯანყების არსებული გეგმის მიხედვით განხორციელება, ოსმალეთის პარლამენტის მიერ 1920 წლის 28 იანვარს მიღებული 6 მუხლიანი „ეროვნული ფიცის“ მეორე მუხლის შესასრულებლად შესაბამისი საფეხურის მომზადების მცდელობას წარმოადგენდა. მხედველობაში მაქვს, იმავე დოკუმენტით ყარსისა და ბათუმის ოლქების ოსმალეთის საზღვრებში მოქცევის ფაქტი. აქედან გამომდინარე, ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად კომუნისტების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოწყობილი აჯანყება და ქართული ჯარის ბათუმის ოლქში არშეშვების მიზნით გატარებული ღონისძიებები, ოსმალეთის მხრიდან ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაციის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა. ერის წინაშე ამ დანაშაულის ჩადენაზე ისინი „სიამოვნებით“ მიდიოდნენ მხოლოდ იმ პირობით, **რომ ბათუმის ოლქში დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია არ აღდგენილიყო.** დასახული მიზნის განსახორციელებლად ბოლშევიკი აგიტატორები ბათუმში მიტინგებს მართავდნენ ლოზუნგით – „არც ანტანტა, არც მისი ხასა საქართვე-

ლო!“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ წერილში „ბათუმი“ – ვკითხულობთ: „ეს ვაჟბატონები (კომუნისტები – შ. ვ.) არავითარ საშუალებას არ ერიდებიან საქართველოსადმი ხალხში სიძულვილის დასათესად. ეროვნული შუღლის გასაღვივებლად... რუს, ბერძენ და სხვა მცხოვრებთ იმ გარემოებებზე მიუთითებენ, რომ ბათუმში შემოსვლისთანავე საქართველოს მთავრობა დაწესებულებათა ნაციონალიზაციას მოახდენს და ვინც ქართული ენა არ იცის ადგილი უნდა დაკარგოს და ცარიელზე დარჩეს. ამნაირი „იდეური“ საშუალებებით კომუნისტები დევნილ ჩინოვნიკებს თავის მხარეზე იბირებენ.“ ეს ფაქტი იმის აშკარა დადასტურებაა, რომ საქართველოსთვის იმ ძნელბედობის ჟამს, ბათუმის ოლქში შიდა დაპირისპირების შექმნის საფეხურს ბოლშევიკები მიზანმიმართულად წინასწარ ამზადებდნენ. იგი, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ოლქში იურისდიქციის აღდგენისადმი ხელშეშლაზე იყო გათვლილი.

უცხო ქვეყნის დაფინანსებით დაბეჭდილი უამრავი პროკლამაციები, რომლებიც „საქართველოს ხალხისადმი“ და „საქართველოს მშრომელი ხალხისადმი“ მიმართვის ფორმით იყო შედგენილი, მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების ურთიერთდაპირისპირებას, რეგიონის საქართველოსგან ჩამოცილებას და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. ამ დოკუმენტების მიხედვით: ა) ბათუმის ოლქის მუსლიმანი ქართველების ხელოვნურად გაუცხოება ხდებოდა; ბ) რეგიონი საქართველოსგან განცალკევებულ უცხო ქვეყნად იყო წარმოდგენილი; გ) საქართველოს მთავრობა, ბათუმის ოლქის თითქოს ძალით „დასაპყრობად“ ემზადებოდა. ქართველი კომუნისტების მიერ ამ მიმართულებით გაწეული ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის დადასტურების მიზნით, თვალსაჩინოებისათვის ერთ-ერთი პროკლამაციიდან შესაბამის ამონაწერს მოვიტან და თავად მკითხველმა მოახდინოს მათი მხრიდან გაწეული იდეოლოგიური პროპაგანდის მიზანშეწონილობის სამართლებრივი შეფასება. „საქართველოს ხელისუფალნი – ვკითხულობთ დოკუმენტში – ახალ სისხლისღვრას ამზადებენ ორ მეზობელ ხალხთა შორის... ძირს სხვისი ქვეყნების და უცხო ხალხების ძალით შემოერთება.“ ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან მიმართებაში თვით ქართველი კომუნისტების მიერ გაწეული ასეთი მავნებლური იდეოლოგიური პროპაგანდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე და ოსმალეთის ხელისუფალთა ინტერესების გათვალისწინებაზე იყო გათვლი-

ლი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „ვის ემსახურებიან?“ ქართველი კომუნისტების მიზნები და ამოცანები სრულად იყო გაშიფრული და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი. „ნუთუ კომუნისტებმა – ვკითხულობთ წერილში – არ იციან, რომ აჭარლები იგივე ქართველებია? იციან მაგრამ კომუნისტები ხომ ოსმალეთის აგენტები არიან. იმ ოსმალეთის, რომელიც მცხოვრებლებს სარწმუნოების მიხედვით ანაწილებს და რაკი აჭარლები სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, ამიტომ მათ მოქცევას ოსმალეთის საზღვრებში ცდილობენ... კომუნისტები დღესაც იმას აკეთებენ, რასაც ორი წლის უკან შვრებოდნენ... მაშინ ბათუმის დაცვის წინააღმდეგ მოუწოდებდნენ ქართველ გლეხებს და მუშებს. დღეს კი კომუნიზმის და სოციალიზმის სახელით ცდილობენ ეს ოლქი ოსმალეთს გადაეცეს... კომუნისტების ორი წლის მოღვაწეობამ ჩვენს ხალხს დაანახა, რომ კომუნიზმის სამოსელში ოსმალეთის აგენტები მოღვაწეობენ“ [6]. ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ძნელბედობის ჟამს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოს შესანარჩუნებლად ბრძოლის ნაცვლად, ნაქართველარი ბოლშევიკები ქართველი ხალხის ისტორიული მტრების სამსახურში იდგნენ. მხოლოდ მათი ინტერესების პოზიციიდან განიხილავდნენ საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მომავალს. ქართველ ბოლშევიკთა და ოსმალო აგენტთა ერთობლივ საქმიანობას, კიდევ უფრო წარმატებულს ინგლისელთა ადგილობრივი წარმომადგენლების ხელშეწყობა ქმნიდა. მათი დახმარებით, ან უკიდურეს შემთხვევაში მიზანმიმართულად თვალის არიდებით ხდებოდა აჭარაში შეიარაღებული ოსმალო ასკერების შემოყვანა და დიდძალი იარაღის შემოტანა. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1920 წლის თებერვლისათვის ბათუმში ოსმალო ოფიცრების შტაბი ოფიციალურად ფუნქციონირებდა. მის მიზანს, ბათუმიდან ინგლისის ჯარის გასვლისთანავე ქალაქის სრულად დაპატრონება წარმოადგენდა. დასახული ამოცანის წარმატებით შესასრულებალდ, მათი სამოქმედო გეგმა შემდეგი სახის ღონისძიების გატარებას ითვალისწინებდა: 1) აჭარაში საიდუმლოდ შემოსულ შეიარაღებულ ოსმალო ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინა რკინიგზა და მის დაქვემდებარებაში მოექცია; 2) რკინიგზის ის ნაწილი აეფეთქებინა, საიდანაც აჭარაში საქართველოს ჯარის შესვლა იყო მოსალოდნელი; 3) ხიდების აფეთქების პარალელურად, გაემაგრებინა მთავარი საუღელტეხილო გზა. ამ ფართო-

მასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის წარმატებით დასასრულებლად, რიზა-ბეის სარდლობით ხოფაში დისლოცირებული 3000 ოსმალო ჯარისკაცი – შესაფერისი მომენტის დადგომისთანავე ბათუმში დაუყოვნებლივ უნდა შესულიყო.

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოსმალეთის ხელისუფალნი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მისატაცებლად (საოკუპაციოდ) მზად იყვნენ. ადგილობრივი მოსახლეობის მიმხრობის მიზნით, ბათუმის ოლქში შემოსული ოსმალო ემისრები, ანტიქართული იდეოლოგიური პროპაგანდის პარალელურად გავლენიანი პირების მოსყიდვის ფორმასაც მიმართავდნენ. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს ალი-ეფენდი ჯაფარიძის მიერ დაარასებული გაზეთის – „სედაი მილეთის“ სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ „სედაი მილეთის“ ძირითად მიზანს იმ ეტაპზე მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირება წარმოადგენდა. რამდენადაც რეგიონში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა ინგლისის წარმომადგენლობის მხრიდან მიზანმიმართულად ფერხდებოდა, შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, „სედაი მილეთის“ ორგანიზაციის გაძლიერებას, დენიკინელებისა და სომხების გავლენის გაფართოებას შეუწყო ხელი. ამ ფონზე, ქართული სახელმწიფოს დასანგრევად და ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად ბოლშევიკებისა და ოსმალო ნაციონალისტების ერთობლივი მოქმედება განსაკუთრებით იკვეთება. მართალია, საქართველოს ხელისუფლების შესაბამის უწყებებს რეგიონში მიმდინარე პროცესების შეჩერება გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო იმ ეტაპზე არ შეეძლო, მაგრამ ქვეყნის წინაშე აღმართულ მოახლოებულ უდიდეს საფრთხეს სწორად აღიქვამდა და ობიექტურ შეფასებასაც აძლევდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მონინავე სტატია „ევროპა თუ აზია ამიერკავკასიაში“? იქცევს. პუბლიკაციის ავტორი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას ბოლშევიკებისა და ოსმალეთის წარმომადგენელთა შეთანხმებაზე და მისგან გამომდინარე მოსალოდნელ საფრთხეებზე მიაპყრობდა. „ბოლშევიკების „ბლოკი“ ოსმალეთის ნაციონალისტებთან და ენვერ-ფაშას პარტიასთან – ვკითხულობთ პუბლიკაციაში – უტყუარი ფაქტია. ვინც ყურადღებით ადევნებს თვალყურს ბოლშევიკებისა და ოსმალეთის იმპერიალის-

ტების მოქმედებას ამიერკავკასიაში, მისთვის ყოველ ეჭვს გარეშე იქნება ამ ორი მიმართულების პოლიტიკური კონტაქტი. მათ შეთანხმებულ მოქმედებაში დაკვირვებულ ადამიანს შეუძლია ერთიანი სამოქმედო პროგრამაც კი დაინახოს." ამის რეალურ საფუძველს, საბჭოთა რუსეთის მიერ დაარსებული „ისლამის განთავისუფლების ლიგა" და ამ ორგანიზაციის ოქროს კურსით საბჭოთა რუსეთის ხაზინიდან 5 მილიონით დაფინანსების ფაქტი იძლევა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია მუსლიმანურ ქვეყნებში მომქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციებს აერთიანებდა. მათ შორის „ოსმალეთის ნაციონალისტებს" და „ერთობისა და პროგრესის პარტიას", რომელსაც ადრე „ახალგაზრდა თურქების პარტია ერქვა და ენვერ ფაშას მიერ იყო დაარსებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის ნათელი დადასტურებაა, რომ სამხრეთ- დასავლეთი საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. მხედველობაში მაქვს გარეშე ძალების მხრიდან საქართველოდან მისი რეალური ჩამოცილების მიზნით შესაბამისი საფეხურის მომზადების მცდელობა. თუკი იმ პერიოდის დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებს და პრესის მასალებს გავეცნობით, დავრწმუნდებით რომ მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული ის გარდუვალი საფრთხე, რომელიც მას ჩრდილოეთიდან – საბჭოთა რუსეთის, ხოლო სამხრეთიდან – ოსმალეთის სახით ემუქრებოდა. ამის შესახებ პრესის ფურცლებზე ოფიციალურად გამოქვეყნებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილი მოწინავე სტატია – „ბათუმი და ბოლშევიზმი" იქცევს. მასში საზოგადოების საყურადღებოდ ხაზგასმითაა მითითებული ბოლშევიკების, ოსმალებისა და დენიკინელების მჭიდრო კავშირურთიერთობაზე, იმ გეგმებზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, საქართველოსაგან ჩამოცილებას ითვალისწინებდა. შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავალ საშუალებად იმავე სტატიის ავტორს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უცხო სახელმწიფოსგან დაფინანსებული ორგანიზაციების თავისუფლად მოქმედების დაუყოვნებლივი ალაგმვა მიაჩნდა. ამ მიმართულებით წარმატების მიღწევის, რეალურ გარანტად ბათუმის საკითხის დროული გადაჭრა იყო დასახელებული. „ბათუმის საკითხის გადაჭრა – ვკითხულობთ იმავე წერილში – ბოლშევიკურ საფრთხესთან ბრძოლისათვის აუცილებლად საჭიროა. ბოლშევიზმი მოდის ჩრდილოეთიდან, პანისლამიზმი სამხრე-

თიდან და ამ ორმა ძალამ უკვე მისცა ერთმანეთს ხელი ბათუმში. ბათუმის შემოერთებას ჩვენთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან ამით ჩვენ გავწყვეტთ იმ რკინის ჯაჭვს, რომელიც ბოლშევიკ პანისლამისტებმა შემოარტყეს გარშემო ჩვენს რესპუბლიკას."

ამ შემთხვევაში, ქართული პოლიტიკური სპექტრის მესვეურნი არ ცდებოდნენ. მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამუშავებისა და სწორი ანალიზიდან გამომდინარე, მათ წინაშე მოსალოდნელი რეალური საფრთხის ის კონტურები იკვეთებოდა, რომელიც ოსმალეთიდან და რუსეთიდან ემუქრებოდა საქართველოს. მითუმეტეს, ამ ორ სახელმწიფოს შორის „მეგობრობის" ფორმატით ურთიერთობა და „იმპერიალიზმის წინააღმდეგ" ერთობლივი ბრძოლის მოტივით დაახლოება, საფეხურებრივად მიმდინარეობდა. ამის რეალურ დადასტურებას მუსტაფა ქემალ ფაშასადმი გ.ჩიჩერინის მიერ 1920 წლის ივნისში გაგზავნილი ნოტა წარმოადგენს. ამ დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ ოსმალეთის მხრიდან შეთავაზებულ წინადადებას საბჭოთა რუსეთი იწონებდა. იმავდროულად იგი ოსმალეთის ტერიტორიის უდაო ნაწილების ოსმალეთის ფარგლებში მოქცევას უჭერდა მხარს. ამ ფაქტთან დაკავშირებით იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „საბჭოთა ქვეყანა კმაყოფილებით აღნიშნავს ოსმალეთის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს... 1) ოსმალეთის დამოუკიდებლობას; 2) ოსმალეთის ფარგლებში ოსმალეთის ტერიტორიის უდაო ნაწილების მოქცევას." ამ შემთხვევაში დაკონკრეტებული არ იყო თუ რომელი ოლქი ან ოკრუგი უნდა ყოფილიყო აღიარებული ოსმალეთის უდაო ტერიტორიად. მითუმეტეს, ოსმალეთის პარლამენტის მიერ 1920 წლის 28 იანვარს მიღებული „ეროვნული ფიცის" მეორე მუხლი, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ყარსისა და ბათუმის ოლქებს ოსმალეთის უდაო ტერიტორიად აცხადებდა და საქართველო-ოსმალეთის საზღვარს მდინარე ჩოლოქზე ავლებდა. ამ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ნებსით თუ უნებლიედ ივიწყებდა საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის ერთი თვის წინად დადებულ ხელშეკრულებას (1920 წლის 7 მაისი), რომლის მეოთხე მუხლის თანახმად, რუსეთი ვალდებულებას იღებდა საქართველოს რესპუბლიკის უდაო შემადგენელ ნაწილებად ეღიარებინა „რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით."

ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საბჭოთა რუსეთის დიპლომატია ორმაგი სტანდარტების ფორმას იყენებდა და ოსმალეთის ხელისუფლებას საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების დასაწყებად განაწყობდა. მითუმეტეს, საბჭოთა რუსეთის ხელისუფალნი საქართველოს მთავრობას, – იმპერიალისტური სახელმწიფოების ერთერთ ქვემდებარე რგოლად განიხილავდა. რაც შეეხება ოსმალეთის მთავრობის მეთაურს მუსტაფა ქემალს, მის პირველ ამოცანას ოსმალეთის ტერიტორიიდან ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის გაერთიანებული სამხედრო ძალების გამოდევნა წარმოადგენდა. ამ ჩანაფიქრის აღსრულების ხელშემწყობად, მის მიერ საბჭოთა რუსეთი იქნა მიჩნეული. მუსტაფა ქემალმა გარკვეულ პოლიტიკურ ეშმაკობასაც მიმართა. მხედველობაში მაქვს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარისადმი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მიერ 1920 წლის 12 ივლისს გაგზავნილი წერილი, სადაც გაცხადებული იყო, რომ ოსმალეთის მთავრობის წევრები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს რუსეთის ხელისუფლებას. ამ ფონზე, პირობას დებდნენ რომ რუსეთის „დიდი რევოლუციის“ ძირითადი პრინციპები ოსმალეთის რელიგიურ და ეროვნულ ტრადიციებთან იქნებოდა შეფარდებული. ამ მიმართულებით პირველი საჩვენებელი ნაბიჯი მუსლიმანი ბოლშევიკების კომიტეტის შექმნით გადაიდგა. ეს ფაქტი გარკვეულ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა და საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა გულისმოგებაზე იყო გათვლილი. მუსტაფა ქემალმა შესანიშნავად იცოდა რასაც აკეთებდა. მის მთავარ ამოცანას იმ ეტაპზე ბოლშევიკური იდეოლოგიის გამტარებელი და განუზომლად დიდი პოტენციის მქონე ქვეყნის მხრიდან ნდობის მოპოვება წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული ღონისძიების პარალელურად, მოსკოვში ქემალ- ფაშას მეთაურობით საგანგებო დელეგაცია გაგზავნა. **ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს ფინანსური და სამხედრო შეიარაღების გადაცემითაც თანადგომა გამოუცხადა. მხედველობაში მაქვს 1920 წლის ზაფხულში ოსმალეთისადმი გადაცემული 6000 ათასი საბრძოლო შაშხანა, 5 მილიონზე მეტი ვაზნა, 18 ათასამდე საარტილერიო ჭურვი და რაც მთავარია ფულადი დახმარება (ოქროს კურსით 5 მილიონი მანეთი). იმავე წლის სექტემბერში საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის წარმომადგენელს ერზრუმში 200,6 კგ. ოქ-**

როს ზოდები გადასცა. ხოლო 1920 წლის 27 დეკემბრიდან 1921 წლის 9 იანვრამდე მონაკვეთში, კავკასიის ფრონტის სარდლობიდან ტუაფსეში ოსმალეთის მისიამ 6 ქვემეხი და 9 ათასი ჭურვი მიიღო. იმავე წლის 14 თებერვალს, ტვაფსედან ზღვით ოსმალეთში 3733 შაშხანა და 5 მილიონზე მეტი ვაზნა გაიგზავნა [1, 49].

ეს ფაქტები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საბჭოთა რუსეთი ოსმალეთის ხელისუფლებას სერიოზულ დახმარებას უწევდა და საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის დაწყების შემთხვევაში, მასში საიმედო პარტნიორს ხედავდა. საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე პოლიტიკური პროცესები დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საქართველოსადმი მოსალოდნელი საფრთხის გარდუვალობაზე საზოგადოებას აშკარად მიანიშნებდნენ. მითუმეტეს, ამიერკავკასიის რეგიონში განვითარებული მძიმე პოლიტიკური პროცესების – აზერბაიჯანის (1920 წლის 28 აპრილი) და სომხეთის (1920 წლის 29 ნოემბერი) გასაბჭოება ამის მყარ საფუძველს იძლეოდა. ძალთა ასეთი გადაჯგუფებით, საბჭოთა რუსეთმა აღმოსავლეთიდან საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის მიზნების სრულად განხორციელების ხელშემშლელ დაბრკოლებად ამიერკავკასიის რეგიონში იმ ეტაპზე მხოლოდ საქართველოს პირველი რესპუბლიკა შეიქმნა. მისი ატანა, რუსეთ-ოსმალეთის ხელისუფალთა მხრიდან შეუძლებელი ხდებოდა. ამის დადასტურებას, აღნიშნული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ ნოტების სახეით შექმნილი დოკუმენტური მასალები წარმოადგენს.

ამრიგად: 1) რუსეთ-ოსმალეთის ინტერესების ურთიერთ დამთხვევამ და ამიერკავკასიის რეგიონში გაბატონებისათვის სწრაფვამ, საქართველოს სახელმწიფოს არსებობა საფრთხის ქვეშ დააყენა. მოსალოდნელი კატასტროფისგან დამზღვევი მექანიზმის შექმნის მცდელობა (ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის სამხედრო ძალების გაერთიანების იდეა) იმ ეტაპზე უშედეგო აღმოჩნდა. ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციის არგათვალისწინებიდან გამომდინარე, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლობამ რეგიონალური დაპირისპირების გზა აირჩია და საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველოს ტერიტორიების მიტაცების მცდელობით იყვნენ დაკავებულნი. ამ ფონზე, გარეშე ძალების მხრიდან

მოსალოდნელ საფრთხეს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. 2) საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის დაფინანსებით საქართველოში მოქმედი ანტიქართული ორგანიზაციები, ახლადშექმნილი სახელმწიფოს წაქცევით და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით იყვნენ დაინტერესებულნი. შესაბამისი მასალებით დადასტურებულია, რომ „სამუსლიმანო საქართველოში" მათი მხრიდან დაგეგმილი გამოსვლები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩამოცილებაზე იყო გათვლილი. რამდენადაც საბჭოთა რუსეთი, საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ პარტნიორს ოსმალეთში ხედავდა, მისადმი ფულითა და იარაღით დახმარება პირველხარისხოვან ამოცანად ქონდა დასახული. ამ ფონზე, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახლოაღმოსავლური ნაჯექ-უკუჯექის „აბრუნდის" პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, საქართველო ჩრდილოეთისა და სამხრეთელი მტაცებლების– რუსეთ-ოსმალეთის პირისპირ მარტოდ- მარტო აღმოჩნდა. ინგლისის დიპლომატიური წრეების ძალისხმევით, ოსმალეთის სახელმწიფოს გადარჩენამ (სერვის ხელშეკრულება) და რუსეთ-ოსმალეთის „მეგობრულ" ფორმატში დაწყებულმა მოლაპარაკებებმა, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის არსებობა კითხვითი ნიშნის ქვეშ დააყენა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, 1991.
2. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995.
3. გაზეთი: ერთობა, 1920 წ. 1 თებერვალი, №24.
4. გაზეთი: ერთობა, 1920 წ. 16 მარტი, №61.
5. გაზეთი: ერთობა, 1920 წ. 7 მარტი, №54.
6. გაზეთი: ერთობა, 1920 წ. 2 მარტი, №49.

Shota Vadachkoria
Doctor of Historical Sciences, The Javakhishvili Institute of History and Ethnology of Tbilisi Javakhishvili State University, Main research scientist of the Department of Modern and Contemporary History

Ottoman-Russian Alliance Against the Independent Georgia (1920)

Summary

On the basis of the documentary materials it is stated that: 1) the coincidence of the Ottoman – Russian interests and the striving for the domination in the South Caucasus region put under the threat the independence of the Georgian state. An attempt to find a certain mechanism for avoiding the catastrophe (idea of uniting military forces of the three South Caucasian republics) had no result at that time. The representatives of Armenia and Azerbaijan, not taking into consideration the extremely difficult political situation in the South Caucasus region, have chosen the regional confrontation and at the international conferences were busily occupied to appropriate territories of Georgia. On this background they paid less attention to the possible threats. 2) The organizations which were carrying on activities against Georgia with the financial support of the Soviet Russia and Ottomans aimed to weaken newly formed state and disintegrate the unity of the country. The unrests in the „Muslim Georgia", organized by them, aimed separation of the south - western Georgia from the rest of the country. This is confirmed by the relevant materials. Assistance of the Ottoman Empire in arms and finances was a primary goal of Russia, as Russia saw the empire as a partner in the fight against Georgia. On the background of the political course of the western European countries, Georgia found itself face to face one in front of the northern and southern predatory countries – Russia and Ottomans. With the efforts of the Great Britain diplomatic circles the Ottoman's state was saved (Serve treaty). Russia and Ottomans in a „friendly" format began negotiations. These processes have called into question the independence of Georgia.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ასახვა საზოგადოებრივ აზროვნებაში (ზოგიერთი ასპექტი)

340 წლის წინათ – 1675 წლის 15 სექტემბერს, ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (იგივე „შაჰნავაზს") შეეძინა მორიგი შვილიშვილი, რომელსაც მისი სახელი – ვახტანგი დაარქვეს. მისი მამა გახლდათ ხსენებული მეფის რიგით მეოთხე ვაჟი – უფლისწული ლევანი, ხოლო დედა – თუთა ქაიხოსროს ასული გურიელი.

ვინაიდან უფლისწულ ლევან ვახტანგის ძე ბაგრატიონს ჰყავდა სამი უფროსი ძმა, არაერთი ძმისწული და უფროსი ვაჟი – ქაიხოსრო (გარდაიცვალა 1711 წელს), საქართველოში ძველთაგანვე არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, მის რიგით მეორე ვაჟს ქართლის სამეფო ტახტი არ უნდა რგებოდა. რეალურად კი, პროცესები იმგვარად განვითარდა, რომ გამეფდა სწორედ ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი, რომელიც ცნობილია სახელით – ვახტანგ VI (1675-1737).

ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის ამ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელ გვირგვინოსანს, როგორც მწიგნობარსა და სჯულმდებელს, თავისი კუთვნილი, ღირსეული ადგილი უკავია დიდ ქართველ ხელმწიფეთა გალერეაში.

ვახტანგ VI-ის ბობოქარი ცხოვრების, თავდაუზოგავი მოღვაწეობისა და ტრაგიკული დასასრულის შესახებ არსებობს მრავალი ნაშრომი, რომლებშიც მაღალ შეფასებას აძლევენ მის ღვაწლს, განსაკუთრებით კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. მათ შორის გამოირჩევა გიორგი პაიჭაძისა [1] და მანანა ქიქოძის [2] ნაშრო-

მები, რომლებშიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი ხსენებული მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სახელოვანი მეფის უდიდესი სამეცნიერო-კულტურული მოღვაწეობის მოკლედ დასახასიათებლად ზოგიერთი ძირითადი დეტალის გამოყოფაც კმარა: თბილისში პირველი ქართული სტამბის დაფუძნება და ქართული ნაბეჭდი წიგნების (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის") გამოცემა, ნაყოფიერი საკანონმდებლო საქმიანობა (საკუთარი სამართლის წიგნისა და „დასტურლამალის" შექმნა), ზრუნვა „ქართლის ცხოვრების" ტექსტის დადგენისა და რედაქტირებისათვის და ამ მიზნით სწავლულ კაცთა კომისიის (ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით) ჩამოყალიბება, რის შედეგადაც შეიქმნა „ახალი ქართლის ცხოვრება", ზრუნვა მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებისათვის, უცხო ენებიდან საყურადღებო თხზულებათა თარგმნა, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის, გაბრიელ გელოვანისა და სხვათა ხელშეწყობა, ტაძრების აღდგენა და სხვ.

საკითხი, თუ როგორ აისახა ხსენებული გვირგვინოსნის მოღვაწეობა თანადროულ და შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ აზროვნებაში, ყოვლისმომცველ, მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნარკვევში ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელთა გარკვეული ნაწილი ადრეც გავაანალიზეთ [3, 12-19].

* * *

1709 და 1711 წლებში ავღანეთში ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ ქართლის მეფენი და იმავდროულად სპარსეთის სპასალარები გიორგი XI და ქაიხოსრო I. მათგან პირველი იყო ბიძა (მამის ძმა), ხოლო მეორე – უფროსი ძმა ქართლის ჯანიშინ (გამგებელ) ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონისა, რომელიც ცნობილია ვახტანგ VI-ის სახელით.

სპარსეთის იმდროინდელმა შაჰინშაჰმა – ჰუსეინ I-მა ქართლის ჯანიშინი ვახტანგი ისპაჰანს დაიბარა. აქვე დავსძენთ, რომ ჰუსეინი გახლდათ სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი და შაჰაბას I-ის პირდაპირი შთამომავალი.

1712 წელს, ისპაჰანში ჩასულ ვახტანგს ჰუსეინ I-მა ვალის (ანუ გუბერნატორის) ტიტულის ბოძების სანაცვლოდ გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა უარი განაცხადა, რის გამოც შაჰინშაჰმა ურ-

ჩი ჯანიშინი ქირმანს გადაასახლა, ხოლო ქართლი უბოძა მის ნახევარძმას, გამუსლიმებულ უფლისწულს იესეს, იგივე „ალი ყულიხანს“.

ოთხწლიანი ტყვეობის შემდეგ, ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი, რის შემდეგაც შაჰმა მას ვალის ტიტული უბოძა, თუმცა 1719 წლამდე სპარსეთში დატოვა.

ვახტანგ VI-მ სრულყოფილად იცოდა სპარსული ენა და ლიტერატურა. მან სპარსეთში ყოფნის შვიდი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე თარგმნა მრავალი საყურადღებო ნაწარმოები, მათ შორის: „ულუღ-ბეგის ზიჯი“ (ვარსკვლავთმრიცხველობა), „ქილილა და დამანა“, „ამირნასარიანი“, „ათვეზირიანი“ და სხვა თხზულებები [4, 201].

იმ პერიოდში შეხვდა ვახტანგს ცნობილი პოლონელი მოგზაური, მისიონერი და მემატიანე იან თადეუშ კრუშინსკი (1675-1757), რომელიც იყო ისპაჰანის კათოლიკეთა ეპისკოპოსის პროკურატორი სპარსეთის სამეფო კარზე. მის კალამს ეკუთვნის იმდროინდელი სპარსეთის შესახებ დაწერილი ხუთი კაპიტალური ნაშრომი, რომლებშიც საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოსა და ქართველების შესახებაც [5, 210-212]. მათგან ყველაზე საყურადღებოა თხზულება – „Tragica vertentis belli Persici historia“, რომელიც 1740 წელს, ქალაქ ლვოვში წიგნად გამოიცა [6].

კრუშინსკის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ შვიდწლიანი განშორების შემდეგ სამშობლოსაკენ მიმავალი ვახტანგი გზად შეჩერდა ერევანში, სადაც იმხანად პოლონელი მისიონერი იმყოფებოდა. მეფემ მისიონერს გაუგზავნა თავადი ელიზბარი, ასევე, ჯორი მსახურთან ერთად და თავისთან დაიბარა. მათი შეხვედრა და მეგობრული მუსაიფი გათენებამდე გაგრძელებულა. ვახტანგს განუცხადებია: – **„უფალი იესო ქრისტე ფლობს ჩემს გულს, ხოლო მუჰამედი – ჩემი სხეულის იმ ნაწილს, რომელზედაც აღიბეჭდა ნიშანი მისი სარწმუნოებისა“** [5, 220].

კრუშინსკის ნაშრომში დაფიქსირებული ამ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებიდან კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ ვახტანგ VI-ის მიერ ისლამის მიღება განპირობებული იყო გარდაუვალი აუცილებლობით, ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და რომ ქართლის მეფე შინაგანად მტკიცე ქრისტიანად დარჩა.

საყურადღებოდ გვეჩვენება იმდროინდელი ქართველების კრუშინსკისეული შეფასება: „აღმოსავლეთ იბერიაში ცხოვრობს მთელს აღმოსავლეთში ყველაზე მებრძოლი ხალხი – ქართველები,

რომლებიც იმავდროულად, ძალზე ეტანება ღვინის სმას და ნადირობას... ქრისტიანობის მედგარი მიმდევრები არიან, მაგრამ არაერთი მათი თავადი, თავიანთი ამბიციურობიდან გამომდინარე, ისლამს იღებს... მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქართველი ქალები მტკიცე ქრისტიანები არიან და არასდროს ხდებიან მაჰმადიანები, იმ დროს, როდესაც თვით მეფეებიც კი იღებენ ისლამს. ქართველები გამოირჩევიან უდიდესი ნიჭით სამხედრო სფეროში, ფიზიკური წრთობითა და ხასიათის სიმტკიცით. იმავდროულად, ისინი ცუდი მეურნეები არიან და არა მხოლოდ სრულიად არ ეხერხებათ ვაჭრობა, არამედ მას დიდი ზიზღით უყურებენ... თავიანთი ახლობლებისადმი ისინი გულითად მზრუნველობას იჩენენ... განსხვავებით აზიელი არისტოკრატიისაგან, რომელიც ქალაქად ცხოვრებას ეტანება, ქართველ ფეოდალთა უმეტესობა ცხოვრობს მამაპაპისეულ სოფლებში, რათა მათი საბრძოლო შემართება არ წახდეს ქალაქური ფუფუნებით. ქართველი ყველაზე დიდ სიმდიდრედ მიიჩნევს ჯიშიან ბედაურს, მწევარს, შევარდენს და კარგ საბრძოლო იარაღს. ისინი მცირედით კმაყოფილდებიან, ხანგრძლივად ინახავენ მარხვას და გაჭირვებასაც იოლად იტანენ... ყოველივე ამას რომ ერთვოდეს განათლება, მაშინ ქართველები მსოფლიოს მოწინავე ერების გვერდით დადგებოდნენ" [5, 217-219].

თავისი ზეობის დასაწყისში ჰუსეინ I ფრიად მორწმუნე მუსლიმი და ჰუმანური ადამიანი ყოფილა. მან არ დაუშვა თავისი ახლობლების დასახიჩრება და სიკვდილით დასჯა. მანვე მკაცრად აკრძალა ალკოჰოლური სასმელების მიღება. მაგრამ, ერთხელაც, შაჰინშაჰს ღვინით სავსე თასი მიაწოდა მისმა დედამ და სთხოვა, რომ ეს „წამალი" დაელია. ჰუსეინმა ბოლომდე გამოსცალა თასი და აღნიშნა, რომ წამლად მიღებული სითხე ძალიან მოეწონა. ამის შემდეგ შაჰინშაჰი სულ სხვა ადამიანად იქცა. ღვინის სმა, დროსტარება და ქონების ფლანგვა მისთვის ყოველდღიურ საქმიანობად გადაიქცა. იგი ერიდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას. ამან ხელი შეუწყო კორუფციას და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მოშლას, რამაც ქვეყანა თანდათან დაასუსტა.

კრუშინსკი გვამცნობს, რომ სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ დაღესტნელთა სამაგალითოდ დასჯა შაჰინშაჰმა დაავალა ვახტანგ VI-ს, რომელმაც სათანადო სამზადისი ჩაატარა და 1720 წელს, 40-ათასკაციანი ჯარით სალაშქროდ გაეშურა. იგი დიდი მონდომებით აპირებდა ამ დამსჯელი ექსპედიციის განხორციელებას და დაღესტნელთა საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, ვინაიდან მათი გახში-

რებული თარეშისაგან ანუ „ლეკიანობისაგან“ ქართველი მოსახლეობაც დიდად შეწუხებული იყო.

ამ ექსპედიციის განხორციელებას ხელი შეუშალეს სპარსმა ვეზირებმა ჰაქიმ ფაშამ და მოლნა ფაშამ, რომლებმაც შაჰინშაჰს ჩაგონეს, რომ ეს ლაშქრობა სპარსეთისათვის საზიანო შედეგს გამოიღებდა. მათი რწმუნებით, დაღესტნელთა ალაგმვის შემდეგ, მათ ქვეყანას ქართველები დაეპატრონებოდნენ, უშუალოდ დაუმეზობლდებოდნენ რუსეთს და მათთან კავშირს განამტკიცებდნენ, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მათ მიერ მთელი სპარსეთის დაპყრობაც. შაჰინშაჰმა ვეზირებს დაუჯერა და ვახტანგისა და სრულიად საქართველოსათვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო.

სალაშქროდ შემართულ ვახტანგ VI-ს შაჰინშაჰის ელჩები ეახლნენ და შემდეგი შინაარსის ფირმანი გადასცეს: „თუ საბრძოლველად წასასვლელად ცხენზე ამხედრდი, დაუყოვნებლივ ჩამოქვეითდი, თუ უკვე დაეწიე ბრძოლის ველიდან გაქცეულ ლეკებს, შეჩერდი, თუ მათ შესამუსრად უკვე იშიშვლე მახვილი, ქარქაში ჩააგე!“

კრუშინსკი გვაუწყებს, რომ ვახტანგი იძულებული გახდა ამ ბრძანებას დამორჩილებოდა, მაგრამ ლაშქრობის ჩაშლით გამწარებულმა, სპარსი ელჩების წინაშე, ხმალშემართულმა დაიფიცა, რომ ამიერიდან, შაჰინშაჰის დასაცავად აღარასდროს იშიშვლებდა მახვილს [5, 214-222].

სწორედ ეს გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ვახტანგ VI-მ საბოლოოდ აიცრუა გული თავის მბრძანებელ შაჰინშაჰ ჰუსეინ I-ზე.

ინგლისელი ისტორიკოსი იონას ჰანვეი (1712-1786) თავის ოთხტომიან ნაშრომში ასევე აღნიშნავს, რომ მეფე ვახტანგს რეალურად „შეეძლო დაღესტნელთა გასრესა“, მაგრამ ის შაჰინშაჰისაგან წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა, რომ დაწყებული ლაშქრობა შეეწყვიტა [7].

კრუშინსკი მოგვითხრობს, რომ მომდევნო პერიოდში, როდესაც სპარსეთს ჩრდილოეთიდან შეესივნენ დაღესტნელები, ხოლო აღმოსავლეთიდან – ავღანელები, განსაცდელში ჩავარდნილი შაჰინშაჰი სასოწარკვეთილი სთხოვდა დახმარებას ვახტანგს, რომელიც თავისი ყოფილი მბრძანებლის უბედურებას სრულიად გულგრილად შეხვდა და მის დასახმარებლად არაფერი იღონა.

1722 წლის მარტში, სპარსეთში შეჭრილ ავღანელებთან ბრძოლაში, დაიღუპა ვახტანგ VI-ის ძმა – როსტომი, რომელიც შაჰინშაჰის პირად გვარდიას სარდლობდა. შაჰინშაჰმა თავისი პირადი გვარდიის სარდლად დანიშნა ქართლის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ბაქარ

ვახტანგის ძე, რომელიც სპარსეთში დაიბარა. ბაქარმა შაჰინშაჰის დასახმარებლად ოთხიათასკაციანი ლაშქარი შეკრიბა, მაგრამ სპარსეთში წასვლა უფლისწულს თავისმა მშობლებმა გადააფიქრებინეს.

ყოველივე ამის გამო, პოლონელი მისიონერი მიუთითებდა, რომ სპარსეთის სახელმწიფოში მომხდარი ყოველი უბედურების უმთავრეს მიზეზად იქცნენ სწორედ შაჰინშაჰზე გამწყრალი ქართველები, კერძოდ, მათი მეფე ვახტანგ VI, რომელმაც რუსეთის იმდროინდელ იმპერატორ პეტრე I-თან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრა და ბაქარის დახმარებით, სასტიკად დასაჯა ურჩი ფეოდალები, რომლებიც სპარსეთზე იყვნენ ორიენტირებულნი.

ავღანელთა მიერ სპარსეთის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებული ჰუსეინ I-ის ვაჟმა, შაჰინშაჰობის პრეტენდენტმა თაჰმასბ II-მ „ღალატისათვის" ვახტანგი დასაჯა, ქართლი ჩამოართვა და უბოძა გამაჰმადიანებულ კახთბატონს კონსტანტინე II-ს ანუ იგივე „მაჰმად ყული-ხანს", რომელმაც 1723 წლის მაისის დასაწყისში, კახელთა ჯარითა და ლეკთა დაქირავებული ლაშქრით თბილისი აიღო.

კრუშინსკის ცნობით, იმ ურთულეს ვითარებაში, ვახტანგს უღალატა მრავალმა ფეოდალმა, რომლებიც მაჰმად ყული-ხანმა სპარსელთა ოქროთი მოისყიდა. ამის გამო, ვახტანგი იძულებული გახდა, რომ თვალცრემლიანს დაეტოვებინა დედაქალაქი და თავის ოჯახთან ერთად გადასულიყო ჯერ გორში, ხოლო შემდეგ, რუსეთში გახიზნულიყო. საბოლოოდ, ქართლი ხელთ იგდო ოსმალთა ჯარმა, რომელმაც 10 ივნისს თბილისიც დაიკავა. ადგილობრივ მოქალაქეთა დაშინების მიზნით, ოსმალებმა დედაქალაქში შეიყვანეს ქართველთა მოჭრილი თავებით დატვირთული კამეჩშებმული ურმები და შემზარავი ძეგლი აღმართეს [5, 223-236].

როგორც ვხედავთ, კრუშინსკის თხზულებაში დაცული ზოგიერთი ცნობა ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდის შესახებ სრულიად უნიკალურია, ვინაიდან ანალოგიური ინფორმაცია იმდროინდელ ქართულ წყაროებში არ შემოგვრჩა.

სულხან-საბა ორბელიანი თავის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში" აღნიშნავს, რომ როცა ევროპაში მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებული ქართულმა სამღვდელოებამ დაუნდობლად გაკიცხა კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლის გამო, ეს ამბავი „ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყოველნი დაეტუქსა" [8, 296].

მიუხედავად თავისი მეფობის ტრაგიკული დასასრულისა,

ვახტანგ VI და მისი პირდაპირი შთამომავლობა ქართლში, ტრადიციულად, საფიცრად ჰყავდათ გამხდარი [9, 23]. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების უდიდეს პატივისცემას ბაგრატოვან ხელმწიფეთა შორის ინტელექტით გამორჩეული ამ მეფის მიმართ, რომელიც თავისი ეპოქის საქართველოში ყველაზე განათლებულ პიროვნებას წარმოადგენდა. ამის გამო, მისი განუზომელი ავტორიტეტი საქართველოში არასდროს გახუნებულა [10, 160].

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას ასე აფასებდა ახპატის მონასტრის წინამძღოლი, არქიელი მინას ვარდაპეტ ფერვაზიანი: „ახლა კი უფალმა წყალობის თვალით გადმოგვხედა და გამოუღვიძა ჩვენს ქრისტიანებს მწყემსი კეთილი და მძლე ქართველი ვალი, რომელმაც თავისი კეთილგონიერებითა და ნიჭით შეკრიბა დარჩენილი და გაფანტული სომეხი ერი, ადგილ-ადგილ გაამაგრა და მეურვეობა გაუწია... სომეხ-ქართველთა სამხედრო კავშირის იდეა შესანიშნავი მოვლენა იყო“ [11, 218; 12, 425-426].

მას შემდეგ, რაც ვახტანგ VI რუსეთს გადაიხვეწა, ღვთის ანაბარა დარჩენილი ქართლის არისტოკრატიის საერთო გულისტკივილს გამოხატავდა შამშე ქსნის ერისთავი, რომელიც წერილში თავის დევნილ მეფეს ეუბნებოდა: „შენი ვინმე ამ ქვეყანას რომ იყოს, ეგება ღმერთმან შენც მოგიმართოს ხელი და იმასაც. თორემ თუ შენი შვილიც ამ ქვეყანას არ არის, შენთვისაც დავიკარგებით და შენის შვილისთვისაც. ნუ გვიზამ, ბაქარ დააბრუნე, სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას. არ გიჯობთ, დამიჯერე, არც სამჯობინარო არს. თუ შენი შვილი ამ ქვეყანას არის, გინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოგიჩნდება. ამიტომ, რომ ღვთის ძალით ღონე მოსტყდა ამ თავსლაფიანსა ოსმალსა... მამეც ეგ თქვენი შვილი, ამ სოფელსაც მე მთხოვე და იმ სოფელსაც. შენც გიჯობს მაგის აქ ყოფნა და ჩვენცა. ეს დაგვიჯერეთ, სჯობს. ღმერთის მადლმა და შენი პურმარილის მადლმა, დამიჯერეთ. თუ არადა, თურმე, საქართველოზე შვილისშვილისადმი ხელ-აღებული ბრძანდებით“ [13, 134].

დავით გურამიშვილმა (1705-1792) თავის „დავითიანში“ მკაცრად გააკრიტიკა ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომლის შესახებაც მის თანადროულ საზოგადოების ზედაფენაში შექმნილი აზრი ასე წარმოგვიდგინა:

„ტიროდენ, ამას იტყოდენ: „ახლა არს ჩვენი დავსება!
ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა, ტმასება.
მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება.

სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?!"
მეფეს სძრახევდენ, იტყოდენ ეგევითარსა გმობასა:
„სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყეენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა"
[14, 81].

მიუხედავად ამისა, მეფის გარდაცვალებით შეძრწუნებული დ. გურამიშვილი მოსთქვამდა:

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო...
მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭყრტიალი;
მოგვწყდა წელ-გული, შევქენით ვით უმხროდ ჩიტმან
ფრტიალი,
დავიწყეთ, ვითა წიწილთა, უკრუხობითა წკრტიალი"
[14, 192-193].

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მაღალ შეფასებას აძლევდნენ როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მოგვიანებითაც.

ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, ვახტანგის მეფობის პერიოდი „სწორედ გასაოცარი ხანა იყო!.. ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომლესაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად... დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგ VI იყო" [15, 112].

ნიკო ბერძენიშვილი წერდა, რომ ვახტანგ VI-ის „მოღვაწეობა XVII საუკუნის ქართლის განვითარების ყოველმხრივი შეჯამება იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს... კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლისათვის შეადგინა, მაგრამ

ის ბუნებრივად გავრცელდა და ჩქარა მთელს ფეოდალურ საქართველოში მომქმედ სამართლის წიგნად იქცა... ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი – დასტურლამალი, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო... ქართლი ვახტანგის დროს ეკონომიურად კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრივ ენერგიულად მოღვაწეობდა... აღნიშნული წინსვლის შესაბამისი იყო ცხოველი საქმიანობა კულტურის დარგში. ვახტანგი ამ საქმეში მარტო არ იყო და მის წამოწყებებს მხარს უჭერდა კულტურულ მოღვაწეთა მთელი დასი... გარდა იმისა, რომ მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი იყო, ვახტანგი გვერდში უდგა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი" [16, 283-289].

ინგლისელი ქართველოლოგის უილიამ ედვარდ დევიდ ალენის (1901-1973) შეფასებით, ვახტანგ VI, „როგორც კაცი, ყველაზე სასიამოვნო იყო მუხრანბატონთა ნიჭიერი დინასტიის წარმომადგენელთაგან. დახვეწილი და მუყაითი, მოსიყვარულე და თავდაჭერილი, ის გახლდათ საუცხოო მეომარი, მშვენიერი ცხენოსანი, გონებამახვილი და მოწყალე სამეფო კარზე, მაგრამ ჩქარი და მეტისმეტად მგძნობიარე, აკლდა განსჯა და მოქნილობა, აგრეთვე ის განსაკუთრებული რამ, რასაც შურიანი ხალხი ბედს უწოდებს" [17, 186].

ასევე ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ მარშალ ლენგი (1924-1990) თვლიდა, რომ ავღანელთა მიერ სპარსეთის დამარცხება განაპირობა ვახტანგ VI-მ, რომელიც შეგნებულად არ დაეხმარა თავის ყოფილ სუზერენ შაჰინშაჰს [18, 126].

გიორგი პაიჭაძე შენიშნავდა: „გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩევა ვახტანგ VI-ის კოლორიტული ფიგურა. სამშობლოს საკეთილდღეოდ მან ტიტანური შრომა გასწია. ვახტანგის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ქართლის ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რის შედეგადაც ქვეყანა საგრძნობლად დაწინაურდა, ხოლო ქართულ სინამდვილეში მოხდა ისეთი ძვრები, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შემდგომი ეტაპისათვის სათანადო ნიადაგს ამზადებდა. ამდენად, ვახტანგის მოღვაწეობა საქართველოს პროგრესული განვითარების საქმეს ემსახურებოდა და ამიტომაც, ქართველი ერის ისტორიაში მან ღირსეული ადგილი დაიკავა... პროგრესული სახელმწიფო საქმიანობით და ქვეყნის კულტურულ განვითარებაში უდი-

დესი წვლილის შეტანით ვახტანგმა ჭეშმარიტად გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის სახელი მოიპოვა და ქართველი ხალხის მარადიული პატივისცემა დაიმსახურა“ [1, 3].

მანანა ქიქოძის დასკვნით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში „ვახტანგ VI ბაგრატიონთა შორის ყველაზე მოწინავე პიროვნება იყო, ენციკლოპედიური განათლებით აღჭურვილი და მრავალმხრივი მეცნიერული ნიჭით დაჯილდოებულიც“ [2, 195].

მამია დუმბაძე წერდა: „ვახტანგ მეფემ ყველაფერი თავისი სამეფოსადმი სიყვარულით გააკეთა, გააკეთა ისე, როგორც იმ დროის ერთპიროვნულ მმართველს შეეფერებოდა. მას ღრმად სწამდა, რომ იგი, სამი მოქიშპე სახელმწიფოთაგან ერთმორწმუნე, ძლიერ იმპერისთან კავშირში გაიმარჯვებდა და საქართველოს ბედნიერებას მოუტანდა... ისტორიაში ვახტანგ VI-მ ღრმა კვალი გაავლო. შთამომავლობამ დიდად დაუფასა განათლებულ მეფეს მისი მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა... ვახტანგი თავისი ავტორიტეტით პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს გარეგნულ მთლიანობას განასახიერებდა და ქვეყნის სრული გაერთიანებისათვის გეგმებს აწყობდა“ [12, 425].

რაულ ჩაგუნავამ, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ვახტანგ მეფის საბუნებისმეტყველო მოღვაწობა, დაასკვნა: „ხანგრძლივი უძრაობის შემდგომ, XVIII საუკუნის დასაწყისში, საქართველოში დაიწყო საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნის აღორძინების პროცესი და ამ საქმის ფუძემდებლად მეფე ვახტანგ VI მოგვევლინა“ [19, 301].

სახელოვანი მეფის ხატება ქართულ ლიტერატურაშიც აისახა.

1920 წელს, ჯერ კიდევ ჭაბუკი გიორგი ლეონიძე (1897-1966) წერდა: „რამდენი განწირულება და დაცემაა ხელმწიფის დიდებაში! ყველაზე ქაოტიურ ეპოქაში ის მოვიდა, როგორც დაგვიანებული ჰარუნ-ალ-რაშიდი. „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი და „დასტურლამას“ ბრძენი დამწერი იძულებულია შუბი ატრიალოს და წვრილთვალა რკინა ჩაიცვას. ძალაუნებურად გინდა აქ დაიჯერო ინდუსთა მითი „ავატარა“ – ტიპებისა და ხასიათების გაცხადებაზე, რომელსაც იგონებს სენ-ვიკტორიც, დასარწმუნებლად, რომ ვახტანგ VI თითქოს რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსია, რომელიც XVIII საუკუნის ცისკარზე გაება საქართველოში, რასაკვირველია, უფრო მცირე გამოცხადებით და უფრო ვიწრო წრეში, თუმცა იმავე სიწმინდის განკაცებით...

ვახტანგმა პირველმა უარყო აღმოსავლეთი და საშინელი

წყურვილით ეძებდა ევროპის ორიენტაციას. ბოლოს დაადგა კიდეც მას (რუსეთით). თუმცა მის პირველ მსხვერპლად შეიქმნა თვითონ, თავის ოჯახით. მან უპირველესმა განიცადა ის ცეცხლები და გრიგალები, რომლებშიც მერე ჩაიწვა ირაკლი II...

მან გააკეთა, რამდენიც შეეძლო. ის იყო წმინდა მოწამე საქართველოსთვის, თუმცა სწინამძღვრობდა იმ საუკუნეს, რომელსაც არ ეკუთვნოდა... საომარ კარვებში სწერდა წიგნებს, რომელნიც გვხიბლავენ დინჯი ოსტატობითა და მჭრელი ჭკუით... სიკვდილმა უსწრო მას შორეულ ასტრახანს. საქართველო არ იყო მისი ღირსი... ამ დროს, ის დაიწვა საქართველოთი, როგორც არავინ და საქართველომ მოაშთო იგი" [20].

1941 წელს ლადო ასათიანმა (1917-1943) შექმნა თავისი მორიგი, მშვენიერი ლექსი „ივანე ჯავახიშვილისადმი". ვფიქრობთ, სიმპტომატურია, რომ მარადისობაში გარდასული დიდი ქართველი მეცნიერი, მეფე ვახტანგ VI-ის ქვეშევრდომ ფეოდალთა პირდაპირი შთამომავალი – ივანე ჯავახიშვილი, თავისი დახვეწილი გარეგნობითა და მანერებით, ჭაბუკმა პოეტმა თვით ამ გვირგვინოსანს შეადარა. ეს ლექსი ასეთი სტროფით იწყება და თავდება:

„როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფო ტახტზე მჯდომარე" [21, 77].

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა სათანადოდ აისახა როგორც თანადროულ, ასევე შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ აზროვნებაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პაიჭაძე გიორგი, ვახტანგ მეექვსე, თბილისი, 1981.
2. ქიქოძე მანანა, ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა), თბილისი, 1983.
3. ჯავახიშვილი ნიკო, ვახტანგ VI – მეფის ღვაწლის ასახვა საზოგადოებრივ აზროვნებაში, ისტორიულ-შემეცნებით ჟურნალში: ისტორიანი, თბილისი, 2013, № 9.
4. საქართველოს მეფეები, აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.

5. ზედგინიძე გურამ, რა იცოდნენ ევროპელებმა XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წელიწდეული: ქართული დიპლომატია, III, თბილისი, 1996.
6. Krusinski Jan, Tragica vertentis belli Persici historiam, Lwow, 1740.
7. Hanway Jonas, Historical Account of British Trade over the Caspian Sea... To which are added, The Revolutions of Persia during the present century 4 vols., London, 1753.
8. ორბელიანი სულხან-საბა, მოგზაურობა ევროპაში, წიგნში: ქართული პროზა, წიგნი V, XVII-XVIII საუკუნეთა მწერლობა, თბილისი, 1983.
9. ტუხაშვილი ლოვარდ, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1983.
10. ჯავახიშვილი ნიკო, 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის, კრებულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი, 2013.
11. Эзов Г., Сношения Петра Великого с армянским народом, Санкт-Петербург, 1898, документ № 217-218.
12. დუმბაძე მამია, მდგომარეობის გართულება, აღმოსავლეთ კახეთის დაკარგვა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.
13. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 по 1770. Составитель М. Броссе, СПб., 1861.
14. გურამიშვილი დავით, დავითიანი, თბილისი, 2005.
15. ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი, VI, თბილისი, 1982.
16. ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1973.
17. Allen W. E. D., A history of the Georgian people, London, 1932.
18. ლენგი დევიდ, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თარგმნა მიხეილ გამყრელიძემ, თბილისი, 2003.
19. ჩაგუნავა რაულ, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა), თბილისი, 1990.
20. ლეონიძე გიორგი, ვახტანგ მეექვსე, გაზეთში: ნაციონალისტი, თბილისი, 1920, № 20.
21. ასათიანი ლადო, საქართველოში (ლექსები), შემდგენელი მანანა ასათიანი, თბილისი, 2005.

Niko Javakhishvili
Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Reflection of the Activities in the Social Thinking of Vakhtang the VIth (Some aspects)

Summary

King of Kartli (Kartaliania) – Vakhtang the VIth (1675-1737) is the distinguished representative of the Bagrations millennial dynasty, who holds its honored place among the prominent Georgian Kings' gallery. There are many researches about the above King's life and activity.

The represented work covers some aspects of how king Vakhtang the VIth merit has been reflected in the social thinking.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

ზოგიერთი დეტალი საზღვარგარეთ 1924 წლის აჯანყების გამოძახილისა და ქართული ემიგრაციის თვალსაზრისის შესახებ

როგორც ვიცით, საქართველოში ანტიბოლშევიკური გამოსვლები, საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა 1921 წელსვე დაიწყო. პირველი გამოსვლა სვანეთში მოხდა და 1922 წელსაც გაგრძელდა. ცნობები სვანეთის მოვლენებზე სისტემატურად იგზავნებოდა ევროპაში, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის პარიზის ოფისში, აქედან კი ეს ცნობები მიეწოდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, პოლიტიკოსებს, ევროპულ პრესას.

პოლიტიკურად 1921-1924 წლები, როდესაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ეროვნულ ძალთა მობილიზაცია ხდებოდა, რთული იყო რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოსთვისაც. ევროპაში მიმდინარეობდა დავა იმაზე, თუ რა პოზიცია უნდა ჰქონოდათ დიდ სახელმწიფოებს ბოლშევიკური რუსეთისა და იმ პატარა ქვეყნებისადმი, რომელნიც იმპერიის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლები გახდნენ, ხოლო ბოლშევიკთა მიერ ხელახალი დაპყრობის შემდეგაც გამოხატავდნენ პრეტენზიას – მიეღოთ ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერა დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. ევროპის დიდი სახელმწიფოებიდან თავიდანვე ამ ქეყნებისადმი კრიტიკულად იყო განწყობილი დიდი ბრიტანეთი, ასევე მერყევი პოზიცია ჰქონდათ სხვა ქვეყნებს. ქართველი პოლიტიკოსები იყენებდნენ ყველა დიპლომატიურ საშუალებას, რათა სა-

ქართველოს სასარგებლოდ განეწყოთ ევროპა, თუმცა ომისშემდგომი დაძაბული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ვითარება მათ ყველა ცდას გარკვეულად ხელს უშლიდა.

ყოფილი ხელისუფლება მანამდე, სანამ საქართველოში დაბანაკებული საოკუპაციო ჯარი არ გადავიდა სადამსჯელო ოპერაციებზე და ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ანტიქართული ღონისძიებების გატარება არ დაიწყო, გეგმავდა მხოლოდ მშვიდობიან ღონისძიებებს, კერძოდ, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას. 1921 წლის ზაფხულში მიღებულ რეზოლუციაში – „მიმდინარე მომენტი და სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა“ – მე-3-ე პუნქტი პირდაპირ აფრთხილებდა პარტიის წევრებს, რომ არ გამოეყენებინათ შეთქმულებითი მეთოდები და გადაჭრით მოუწოდებდა „თავის თანამგრძნობთ და მთელ ხალხს“, თავი შეეკავებინათ შეიარაღებული გამოსვლებისაგან [9, 43]. ეს გადაწყვეტილება ვერ განხორციელდა, ძალადობრივმა რეჟიმმა ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა.

სვანეთის ამბებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ როგორც ქართველი, ასევე საბჭოთა რუსეთის პოლიტიკოსები. სვანეთის აჯანყება 1922 წელსაც გაგრძელდა, ამას მოჰყვეა დამკომის შექმნა და აჯანყებისათვის მზადება, სამხედრო პირების დაკავება და დასჯა 1923 წლის მაისში, ჩეკას აქტიურობა საქართველოში. მართალია, გარეგნულად ჩანდა, რომ საოკუპაციო ხელისუფლება ადვილად ძლევდა სიძნელეებს, ამარცხებდა ოპოზიციურ ძალებს, მაგრამ სინამდვილეში რუსეთის ცენტრალური მთავრობა გარკვეულ ეჭვებსა და შიშში იყო, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ ისინი ევროპაში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას უგზავნიდნენ თავიანთ მსტოვრებს, დესპანებს, რომელთაც ევალებოდათ შეემსუბუქებინათ საბჭოთა ხელისუფლებასთან ოპოზიციის დამოკიდებულება. მთავარი, რისთვისაც ეს კეთდებოდა, იყო ინგლისისგან საჭირო კრედიტის მიღება, რაც საბჭოთა კავშირს სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა. კრედიტის მიღებაზე ხელშეკრულება გაფორმდა, მაგრამ რატიფიკაციას ლონდონი აჭიანურებდა.

ნოე ჟორდანიას წერილები, რომლებიც 1924 წლის ივნის-ივლისშია მიწერილი ჩხენკელისადმი, ნათლად მეტყველებს მოსკოვის შიშსა და მცდელობაზე, – მოეგვარებინა ურთიერთობა საქართველოსთან და საამისოდ ქართულ ემიგრაციასთან მოსალაპარაკებლად ალექსანდრე სვანიძე გაეშვა. სვანიძე ბერლინში ჩავიდა და იქაურ ქართული წარმომადგენლობის წევრებთან გამართა მოლაპარაკებები.

1924 წლის 18.VII

ნოე ჟორდანიას წერილი აკაკი ჩხენკელს

აკაკი, შენი წერილი 10 ივლისის თარიღით მივიღე. საყურადღებოა ის, რაც სუმბათაშვილს მოუწერია. ბოლდვინი როგორ შეთხზავდა ამ ამბავს. რაღაც მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ჩვენს შესახებ. – უეჭველათ მიმაჩნია მას შემდეგ, რაც ახმეტელმა ამ დღეებში მაცნობა. ის მწერს – ბერლინში ჩამოვიდა სვანიძე მოსკოვიდან, ყოფილი კომისარი ჩვენში, სტალინის ცოლისძმა. მას ორჯერ უნახავს ახმეტელი და მისთვის გადაუცია საიდუმლოთ შემდეგი: სტალინთან ლაპარაკისაგან გამოირკვა, რომ ბოლშევიკები საქართველოს საკითხში დათმობენ, თუ მაკდონალდი მტკიცედ მოითხოვს ამასო. მისივე სიტყვით, სესხის საკითხი მათთვის არსებობის საკითხია და მისი მიღებისათვის ყველაფერზე წავლენო. დღეს საქართველოს საკითხში ისეთ შეურიგებლობას არ იჩენენ, როგორც წინეთ, ოღონდ თუ მას მაკდონალდი, მეორე ინტერნაციონალი ან სხვა დიდი ძალა წამოაყენებს, თვითონ საქართველოს წარმომადგენელიც ლაპარაკს არ დაიწყებენ... აქ საყურადღებოა ის, რომ სტალინის ცნობით და იმათ დასტურითაც მოხდა სვანიძის მისვლა ახმეტელთან და ასეთი ცნობის მიცემა. ეს გავს არაოფიციალურათ შემოთვლას. რა მიზნით? ან თავის საქმეს იკეთებენ ჩვენთან მომავლისათვის, ან გვაფრთხილებენ და გზას გვიჩვენებენ, ანდა ეს საკითხი ყელზე ადგიათ და სურთ იქიდან წმინდათ გამოვიდნენ. სვანიძის აზრით, დღევანდელი მმართველები არა-რუსებია, არ სურთ ველიკორუსული პოლიტიკა აწარმოვონ, მარა ეშინიათ გავლენის დაკარგვის და საჭიროებენ მაგარ მოპირდაპირეს დამ.ბ-ის (დამოუკიდებლობის?) საკითხში ველიკოროსების წინაშე თავის გასამართლებლათო. ერთი ცხადია, მაკდონალდზე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს მოსკოვში, რომ მართლა ამ საგანზე სადმე ლაპარაკი არ იყოს. ეს სვანიძის მოტანილი ამბავი და მაკდონალდის ნათქვამი – თქვენი საქმე არც ისე ცუდათ არისო, – ერთმანეთს ეთანხმება. სამწუხაროთ ჩვენ კი არ ვართ საქმის კურსში. შეიძლება მივიღოთ რაიმე ზომა გასაგებათ? რადგან ბოლდვინი-შვილი ამოურჩევია თვით მაკდონალდს შუაკაცათ – შეიძლება მისი საშუალებით რამე გავიგოთ! ყოველ შემთხვევაში ბადე გადავისროლოთ იმით, რომ ეს სვანიძის ცნობა ვამცნოთ მაკდონალდს იგივე

ბოლდვინის საშუალებით. მისწერე შენ ან სუმბათოვს აცნობე მისთვის გადასაცემათ დაახლოებით ასეთი ვერსია: მოსკოვიდან ჩამოვიდა ამ დღეებში ერთი ცნობილი ბოლშევიკი და ჩვენს წარმომადგენელს ახმეტელს საიდუმლოთ გადასცა პირადათ, რომ მოსკოვი თანახმაა საქართველოს საკითხში დათმონ, თუ ამას მაკდონალდი მაგრათ მოითხოვს! ეს ცნობა მაკდონალდს გაამხნევებს და ეგება კიდევ რამე შემოთვალოს. სვანიძეს ნუ დაასახელებთ, თვარა რომ გახმაურდეს, მასაც ავნებს და ჩვენც. ირაკლი არ მიდის პარიჟში, შენ ინახულე ბლუმი და გამოკითხე ჩვენი საქმის. ჩემ მაგივრადაც გამოკითხე. მე სადღაც წავიკითხე, რომ ხოშტარიას სპარსეთის კონცესია ინგლისელებში შეიყიდა და მოსკოვთან აწარმოებენ მოლაპარაკებას კავკასიის გზით ამ კონცესიების ექსპლოატაცია მოახდინონო. თუ ეს მართალია, საქართველოს საკითხიც აქ იქნება მიკერებული. საჭიროა ამ ამბის კარგათ გაგება.

ჰერიო ალბათ ლონდონის შემდეგ გადაწყვეტს საქართველოს საკითხს. როგორც ჩამოვა, მაშინვე ინახულე, მისი მდივანიც.

საქართველოდან თუ რამე ცნობაა – გამაგებიეთ. ჟორესის ნეშტის გადატანა თუ მოხდება პანთეონში – საჭიროა ჩვენმა კოლონიამ და ს. დ. ჯგუფმა მონაწილეობა მიიღონ პროცესიაში თავის დროშებით.

იყავ გამარჯვებული
შენი ნ. ჟორდანია [1, 1-3]

მომდევნო წერილში ნოე ჟორდანია საუბრობდა იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი, თუმცა არ ეთანხმებოდა სახელმწიფოს ყოფილი თავმჯდომარე, მაინც წავიდა საქართველოში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და დაგეგმილ აგვისტოს აჯანყებაში ჩასართავად. ის საბჭოთა ცეკამ საზღვართანვე დააკავა, წაართვა აჯანყების ორგანიზატორებთან გამოგზავნილი ჟორდანიას სარეკომენდაციო წერილი. მასში ბევრი ისეთი ინფორმაცია იყო, რაც ბოლშევიკებმა გამოიყენეს და საქართველოს ემიგრაციული მთავრობა პროვოკაციასა და ხალხის მოტყუებაში დაადანაშაულეს. წერილი დაიბეჭდა საბჭოთა პრესაში, ხალხს აჩვენეს, რომ ყოფილი ხელისუფლება მეზობლების მიმართაც უსამართლო იყო: ლანძღავდა მუსავატს და ბოლშევიკური რუსეთის ამიერკავკასიაში შემოყვანაში დებდა

ბრალს. აზერბაიჯანელები საკმაოდ კარგი პარტნიორები იყვნენ ემიგრაციაშიც, რაც ჩხენკელს აფიქრებინებდა, რომ ამ წერილის ავტორობაზე ჟორდანიას უარი რომ ეთქვა, აჯობებდა. მან ასეთი რამ უაზრობად ჩათვალა და დაიცვა თავისი პოზიცია.

წერილში საუბარია სხვა თემებზეც, მაგრამ ძირითადი აგვისტოს მოვლენებია.

20. VII, 1924 წელი.

აკაკი. გუშინწინ წერილი გამოგიგზავნე. გუშინ შენი წერილი მივიღე 18 ივლისის. ბენიამ ჩემი არ დაიჯერა. მაინც წავიდა. თავისი თავიც დაიღუპა და ჩემი წერილიც ჩააგდო. თქვენ ტყუილათ შეწუხებულხართ, ისეთი არაფერი დამინერია, რომ საჯაროდ თქმა არ შეიძლებოდეს. მეზობლებზე რამდენიმეთ გადავკრავ სრულათ საბუთიანათ. შეურაცმყოფელი აქ არაფერია. მაშ ის მერჩია ც.კ-სთვის, რომ რაც მათ უთხრან, მათ ეს ჭეშმარიტებათ მიიღონ. მე ვსწერ, რომ საქართველო მარტო ვერ გამოვა, გამოვა სხვებთან და ესეც მაშინ, როცა პირველათ ისინი გამოვლენ. ჯერ თქვენ გამოდით, მერე ჩვენო, – არ არის მისაღები (წერილის პირი აქ არ მაქვს). საინტერესოა ბატონებმა რა ადგილები დაბეჭდეს, შეიძლება კიდევაც გადაამახინჯეს. თქვენი წინადადება, რომ უარი ვთქვათ, არ მოგვიწერიაო, მიუღებელია. რაც მიწერილია, მიწერილია. ჩემს წერილზე მე უარს არ ვამბობ. ეს არ არის ჩემი ჩვეულება. შინაურ მიწერ-მოწერაშიც თუ არ ვარ თავისუფალი, თუ ერთმანეთსაც მართალს ვერ ვეტყვით, მაშინ რა საჭიროა რამე ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა. დიპლომატია არ არის თავზე ხელის მოსმა, დაყვავების პოლიტიკის წარმოება. თუ დღეს მუსავატს არ მოსწონს მისი ისტორიის გახსენება, მისი ორგზის ღალატი, ეს მისი საქმეა. მაგრამ ისტორიას ხომ ვერ წაშლის და ვერც ჩვენ დავიფარებთ თავზე ხელებს. მათ ბაქოს კარები არ გაეღოთ – ჩვენ ახლა იქ ვიქნებოდით. სომეხს ამის მზგავსი ღალატი ჩვენთან არ ჩაუდენიათ, არც შეეძლოთ ჩაედინათ. აი ამ დიდ ფაქტს ვახსენებ მე ც.კ.-ს და ვურჩევ ფრთხილათ იყვენ მათთან და რომ ჩემი ეჭვი მართალი გამოდგა, იქიდან სჩანს, რომ მათ მერე მოიწერეს, აზერბეიჯანში პროვოკაციების ქსელში კინაღამ გავეხვიეთო. თქვენ ნამეტან მნიშვნელობას აძლევთ პარიჟის მეზობელთ. ძალა და გავლენა არა აქვთ არც კავკასიაში, არც სხვაგან. ეს საკმაოდ გამორკვეული ფაქტია. პირადი თავაზიანობისათვის პოლიტიკას ვერ გავამრუდებთ. რაც შეეხება თუმანიშ-

ვილს, მე იმ აზრის ვარ ახლაც, რაც წინეთ ვიყავი. ჩვენს წარმომადგენლათ ვერ დავნიშნავ, რატომ? გარანტია არ გვაქვს, რომ კრიტიკის დროს თავის ნაცნობ რუსის მონარხისტებთან ისევ კავშირს არ გააბამს და ჩვენს ნდობას თავის საქმეების მოსაგვარებლათ არ გამოიყენებს. პოლონეთს ალბათ ალმაცერად უყურებთ, როცა ასეთ კანდიდატებს ასახელებთ. რასაკვირველია, ყურულიშვილიც მიუღებელია. ის მხოლოთ პროპაგანდისტად უნდა გამოიყენოთ, წერა იცის და ლაპარაკი პოლონურათ. პოლონეთში მცხოვრებთა შორის მე მხოლოდ ზაქარიაძე მიმაჩნია სანდოთ, რომელიც ჩვენ დავალებებს შეასრულებს. ყოველ შემთხვევაში სირცხვილს არ გვაჭმევს. სალაყაიას ნებართვით მოხდა უჩემოდ, არც კი ვიცოდი. ვინ გამოიწვია არ ვიცი. თუ ყველამ ასე დაამტკიცა თავისი პოსტი, არავითარი საქმე არ გაკეთდება. მე მირჩევნია წარმომადგენელი არ გვყავდეს პოლონეთში, ვინემ ისეთი, რომელსაც ვერ ვენდობი სავსებით. რენოდელის წერილი კარგათ დაწერილია, არა მგონია ამის შემდეგ ერიომ ჩვენ დაგვივიწყოს. „კომუნისტი“ არ მიმიღია, გამომიგზავნე.

იყავი გამარჯვებით ნ. ჟორდანია [2, 4-6]

24. VII. 1924 წელს, ნოე ჟორდანია ჩხენკელთან გაგზავნილ წერილში ისევ ახსენებს სვანიძეს. **„რაც სათქმელი ჰქონდა სვანიძეს, ყველაფერი ნათქვამი აქვს. ისიც იცის, რომ ახმეტელი ჩვენ გვაცნობებდა, ჩემი დასკვნა ამ ცნობიდან ასეთია: თუ არ ავჩქარდებით და მომენტებს ხელიდან არ გავუშვებთ – საქმეს მოვიგებთ. საჭიროა მხოლოდ რომელიმე გავლენიანი წრეები დავაინტერესოთ ჩვენი საქმით. ბ. მ. ფულისათვის, ე. ი. მათი ბატონობის გახანგრძლივებისათვის ბევრ რამეს დათმობენ. თუ მაკდონალდმა ვერაფერი მისცა და იქ, მოსკოვში მართლა ეშინიათ ინგლისის, შეიძლება საფრანგეთში გააწყონ რამე. მაგრამ ასეთი დიდი კამპანიისათვის ერიო არ გამოდგება. მხოლოდ ბრიანს შეუძლია ასეთი ფართო და გამსცვლელი პოლიტიკა აწარმოვოს. ინგლისში სავაჭრო ხელშეკრულება შეუკრავთ. შიგ არაფერი არ არის, როგორც სჩანს არც ინგლისისათვის, არც ამ ბ.-სათვის. აქ ალბათ მსხვილ დიდი კომბინაციაზეა ლაპარაკი და ეს უნდა გავიგოთ რამენაირათ. მივიღე „კომუნისტი“. ჩემს წერილს იყენებენ რეპრესიებისათვის, ეს ყველაზე უფრო სამწუხაროა. ამის შესახებ მე ვსწერ ნოეს. ძალიან აჩქარებულათ მოხდა იმ ხალხის გაგზავნა და იმდენი ფულის დახარჯვა. მაზნიაშვილის წერილი გადავეცი**

კონიას მთავრობისათვის. მე რომ მწერს აქ, იქ მთავრობას ვერ მიაგნო? ადრესი მე გამოვგზავნე შენ და მთავრობისათვის.

ნ. ჟორდანია [3, 4-7].

23 VII. 24 ფ 11-13.
ჟორდანია აკაკი ჩხენკელს

საუბარია ჟენევაში აკაკი ჩხენკელის წასვლაზე, იქ სოციალისტები იქნებიან და ჩვენს პრობლემებზე მოელაპარაკებიო. რუსეთს მოეთხოვოს პასუხი თუნდაც მაშინ, როდესაც ის შემოვა ლიგაშიო. პოლ ბონკური ნახე (საფრანგეთიდან სოციალისტი) პარიზშიო. პალატაში სოციალისტებმა მაღალი ტონი აიღეს მოსკოვის წინააღმდეგ. **„მათ პირველყოვლისა, უნდა ჩააგონოთ, რომ მოსკოვი მოტეხილია, ერთი მაგარი დაძახება და იარაღს დააყრევინებს“.** რუსულ ლიტერატურას არ იცნობთ, რაც დიდი ნაკლია, გაეცანითო. ამასთანავე, ურჩევს ითანამშრომლოს ზოგიერთ ევროპულ პრესასთან [5, 11-13].

მოსკოვი რომ „მოტეხილი“ არ იყო და არც რაიმე დათმობაზე წამომსვლელი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა მიმართ ერთხელ კიდევ კარგად გამოჩნდა 1924 წლის აგვისტოს მოვლენების დროს.

სვანეთისა და მომდევნო მოვლენებმა კარგად აჩვენეს, რომ ევროპა ამ რთულ ვითარებაში ქართველი ხალხის ინტერესებს დეკლარაციულად თუ დაიცავდა, თორემ რეალურად, პრაქტიკული დახმარების გაწევას არ აპირებდა. ეს აფიქრებინებდა ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს, რომ სასურველ შედეგს ეს გამოსვლა ვერ მოიტანდა: საკუთარი ძალით ქართველი ხალხი ვერ დაამარცხებდა რუსულ საოკუპაციო ჯარს, ქართული ძალების გაერთიანებაც ვერ მოხდებოდა, რადგან ეს ადვილი საქმე არ იყო. აკაკი ჩხენკელი ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული ევროპელ პოლიტიკოსთა დამოკიდებულებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის მიმართ, ამიტომ ის ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა მოვლენების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, მის ინფორმირებას მსოფლიოში, თანაც ისე, როგორც ეს საქართველოდან ხდებოდა: მოვლენები გადაჭარბებულად ფასდებოდა, რაშიც წვლილი ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს მიუძღოდა. ერთ-ერთი იყო კონსტანტინე გვარჯალაძე, დიპლომატი, რომელიც 1921 წლიდან მუშაობდა ოსმალეთში სა-

ქართველოს წარმომადგენლობაში.

როგორც ვიცით, 1922 წლის დასაწყისში, საქართველოში (სვანეთში) დაწყებული ანტირუსული გამოსვლების გამო, ნოე ხომერიკი წამოვიდა პარიზიდან, რათა ეხელმძღვანელა ამ პროცესებისათვის. თავდაპირველად ის კონსტანტინოპოლში დარჩა და იქ მოღვაწეობდა იქაურ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად საქართველოში მიმდინარე მოვლენების მხარდასაჭერად და გასაღრმავებლად, დასავლეთის ყურადღების მისქცევად. აქ მისი სტატუსი იყო – პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე.

29 აპრილი 1922 წელი. ის პარიზში წერილით აკაკი ჩხენკელსა და ევგენი გეგეჭკორს ატყობინებდა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ჩხენკელი ამ დროს იტალიაში,კერძოდ, გენუაში იმყოფებოდა და დელეგაციამ მას დეპეშა (ფრანგულ ენაზე) და ქვემოთ მოტანილი წერილი იქ გადაუგზავნა.

წერილი მოკლე და ნახევრად დაშიფრული იყო. მასში ჩანს, რომ ჩხენკელი და გეგეჭკორი ამ აჯანყებისათვის ევროპიდან ვინმეს მხარდაჭერას არ ვარაუდობდნენ და ამას ატყობინებდნენ კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კომისიას, რათა მათ ამის შესახებ რაიმე ილუზიები არ მიეცათ აჯანყებულებისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიებისათვის.

„ძმაო აკაკი და ევგენი!

დღეს თქვენი დეპეშა მივიღეთ. ცნობების შესახებ დროზე რომ შეგეტყობინებიათ, რასაკვირველია, უკეთესი იყო. თავის დროზე თადარიგს დავიჭერდით. საერთო ინფორმაცია რომ ეგზავნება, ძველი მას მოსთხოვეთ, ხოლო ახალი, რაც მექნება, ამიერიდან თქვენც გადმოგიგზავნით. საერთო ინფორმაციის გარდა, ჩვენ გვაქვს სამხედრო. გვგონია მაგასაც გამოიყენებთ. დღეს გიგზავნით ერთ წყაროს. რაც შეეხება დეპეშებს, თუ დარჩა ასეთი რამ, ამიერიდან არც ამას მოგაკლებთ.

საქართველოში ხალხი ძალიან მაგრათ არის.

თქვენი დეპეშის ერთი ადგილი ვერ გავშიფრეთ. იქ ნათქვამია, მტრები ცდილობენ დაუშვან – და ამას მოსდევს სიტყვა „მიაღწევენ“. ნუთუ ჩვენი საქმე აქამდი მივიდა?

გისურვებთ კარგად ყოფნას“

ნოე ხომერიკი [6, 2].

კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად და დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ მოძრაობას სათა-

ვეში ედგა საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში კონსტანტინე გვარჯალაძის მეთაურობით. ის ცდილობდა ყველა ძალა მოესინჯა და ჩაერთო თავის მუშაობაში, ხვდებოდა თურქეთის მაშინდელ მოწინავე სამხედრო და პოლიტიკურ პირებს. ამას მოწმობს მისი 1922 წლის ჩანაწერები [7, 1-7].

კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969) იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ყველაზე პროევროპული ამ პარტიის წევრებში. განათლება მიიღო შვეიცარიაში, იდეურად ახლოს იდგა და მეგობრობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1917 წლის ნოემბერში გვარჯალაძე ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. ნოე ჟორდანიას ხელით შედგენილ ერ. საბჭოს სიაში ის მე-10 ადგილს იკავებდა [4, 1-4].

1919-1921 წლებში ის იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი. 1921 წლიდამ ემიგრაციაში წავიდა, ჯერ ლონდონში ცხოვრობდა, იმავე წლის ბოლოდან კი – პარიზში. 1935-1940 წლებში კონსტანტინე გვარჯალაძე რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს – „ბრძოლის ხმა". მან მოგვიანებით გამოცემულ წიგნში კარგად ასახა 20-იანი წლების ანტირუსული გამოსვლები საქართველოში, ემიგრაციული ხელისუფლების წევრთა დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი.

ქვემოთ მოტანილ დოკუმენტში კარგად ჩანს ის შეუთანხმებლობა, რაც არამარტო საქართველოში იყო პროცესში მონაწილე პოლიტიკოსთა და მეომართა შორის, არამედ ემიგრანტულ წრეებშიც. ჩანს, რომ აჯანყებას ემხრობოდა მთავრობის ყოფილი მეთაური – ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი კი – არა. მან კარგად იცოდა, რომ ევროპა არავითარ დახმარებას არ გაუწევდა საქართველოს, აჯანყებას საკუთარი ძალებით ქართველი პატრიოტები ვერ მოიგებდნენ და ამაოდ შეეწირებოდნენ რუსულ აგრესიას. ჩხენკელს არც გვარჯალაძე ეთანხმებოდა. პოლიტიკოსთა შორის არსებული დაპირისპირება, პირადი უთანხმოებანი და ამბიციები კარგად იკვეთება მოტანილ დოკუმენტში.

21.2.924 წელი

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის – კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი სტამბოლიდან პარიზში აკაკი ჩხენკელისადმი აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების შესახებ

საქართველოს წარმომადგენელს პარიზში

დიდი ხანია მივიღე თქვენი წერილი (15. XI. 24). დღემდე ვერ გიპასუხეთ: არ მქონდა მოცალება. ისედაც თქვენი წერილი საქმეს არ

შეეხებოდა, ის უფრო პირადული ხასიათისა იყო და ამიტომ მასზე პასუხის გაცემა არც ისე საშური იყო. თან ვერ გავიგე კარგათ, რათ დაგჭირდათ თქვენ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერის გადმოტანა ოფიციალური წერილების ფურცლებზე. არ მგონია, რომ ეს მიზანშეწონილი იყოს. მაგრამ რომ მართლაც ბოლო მოეღოს ასეთი წერილების წერას, საჭიროთ მიმაჩნია მოგცეთ ზოგიერთი კონტრგანმარტებანი. თქვენ ალბათ გეხსომებათ, რომ ჩემი 11 სექტემბრის წერილი თქვენდამი იყო პასუხი თქვენი 5 სექტემბრის წერილისა ჟენევიდან. 2 სექტემბერს საზღვრიდგან, პუნქტში მყოფ ჩვენი კაცისაგან მივიღეთ დეპეშა: „საქართველო და აზერბაიჯანი ხუთი დღეა რაც აჯანყებულია, საქართველოს ნახევარი ტერიტორია აჯანყებულთა ხელშია. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. ბრძოლაა ბათომის ქუჩებში, რკინისგზის და ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილია". კიდევ ამის წინეთ, 31 აგვისტოს, საზღვრიდგან მივიღე მოკლე დეპეშა: „29 ამ თვეს დაიწყო აჯანყება საქართველოში და აზერბაიჯანში". 31 აგვისტოსვე მთელ ევროპაში ყველგან „როსტის" საშუალებით გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს ერთ პატარა ქალაქში – ჭიათურაში მენშევიკების ბანდებმა მოაწყვეს ავანტიურა, მაგრამ რამდენიმე საათში ყველაფერი ჩავაქრეთო. მაგრამ იმავე დეპეშიდან ნათლად სჩანდა, რომ ბოლშევიკები რაღაცას მალავდნენ და მდგომარეობა სერიოზული იყო. ცხადი იყო აგრეთვე, რომ ბოლშევიკებს მიღებული ქონდათ ყოველნაირი ზომა, რომ საქართველოდან არავითარი ცნობა არ გამოსულიყო ევროპისკენ და ჩვენი ერის მოძრაობა კი მათ სისხლში ჩაეხშოთ. რამდენად შესაძლებელი იყო ჩვენს პირობებში მომუშავეთათვის, ჩვენ აქ შევამოწმეთ 2 სექტემბრის დეპეშა, ჩვენზე მეტი ცნობა აქ არავის ქონდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თურქულ პრესას, ევროპის და ამერიკის კორესპონდენტების გაზვიადებულ ცნობებს. სტამბოლში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირმა დაადგინა, სენსაციებს არ ავყოლოდით და მიგვეწოდებინა ჩვენებისათვის ევროპაში და აგრეთვე ამერიკისა და ევროპის პრესისათვის ის ცნობები, რომელნიც ჩვენს საზღვრიდან მოგვდიოდა. ჩვენ ვიყავით დაინტერესებული მხარე და როცა ყველას თავდაჭერილათ მოვაჩვენებდით თავს, გაცილებით მეტ ნდობას მოვიპოვებდით მათ თვალში. ასეც მოხდა. საინფორმაციოთ ყველა ჩვენთან მოდიოდა და ყველას ჩვენი განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა. მომენტის სრული შეგნებით იყო, რომ 2 სექტემბრის დეპეშა გამოგეგზავნათ თქვენ ჟენევაში. ჟენევაში ამ დროს იყო ნაციათა ლიგის სხდომა. იქ იყვნენ **ზოგი ჩემი კარგი პირადი ნაცნობები,**

როგორც მაკდონალდი, დებრუკერი და ბრანტინგი. აქ გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს პირებიც მიიღებდნენ ჩვენში მომხდარ ამბებზე ცნობას პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან. ამის შემდეგ მე მათაც გავუგზავნე იგივე დეპეშა. როგორ შეხვდით თქვენ ჩვენ დეპეშას? 5 სექტემბრის თქვენ წერილში მწერდით: „თქვენ დეპეშაში მოყვანილი ცნობები ერთობ გაბედულათ მოგვეჩვენა: ნახევარი საქართველო თავისუფალია და სხვ. მე არ ვიცი, რა წყაროს ემყარებოდი შენ. დიდი შეცდომა იყო დებრიუკერისათვის დეპეშის გამოგზავნა, ჯერ ჩვენთვისაც არ უნდა გამოგეგზავნა მსგავსი, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყო. დებრიუკერმა პირდაპირ განაცხადა, არ მჯერაო, ვისაც ვაჩვენე, იმათაც არ დაიჯერესო, ქართველებმა ასე იციანო". ამაზე მე თქვენ შემდეგი გიპასუხეთ: თავი და თავი ის არის, რომ შენ ცნობას არ დაუჯერე. წყაროს ჩვენება დეპეშით არ შეიძლებოდა, ეს არც იყო საჭირო, შენ უნდა გცოდნოდა, რომ მე გადამეტება და ფანტაზიები არ მიყვარს და ისეთ ცნობებს და ისეთ წყაროდან მოგაწოდებდი, რაც საჭირო და აუცილებელი იყო. როდის ნახე შენ, რომ კაცმა ომის დროს აბსოლუტურად სწორი ცნობები მოითხოვოს? ჩვენთვის არ უნდა გამოგეგზავნა ეს ცნობა, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყოო. საკვირველი რამ არის! ვიმეორებ, აბსოლუტურათ სანდო წყარო ომის დროს არ არსებობს! რამდენადაც კი შეიძლებოდა ჩვენ პირობებში მომუშავეთათვის, ეს ცნობა სარწმუნო წყაროდან იყო. დებრიუკერს რატომ გაუგზავნეო. მიტომ რომ ჩვენში დიდი ამბები ხდება და მე მინდოდა, რომ დებრიუკერს, მაკდონალდს და სხვებს პირდაპირ სტამბოლიდან ქონებოდათ ეს ცნობები, მეტ გავლენას მოახდენდა მათზე. შენ თვითონ არ გჯერა მომხდარი ამბები ჩვენში და რათ გიკვირს, თუ ასე ნაკლებად სჯერათ ის დებრიუკერს და სხვებს. **იმის მაგივრათ, რომ მთელს ქვეყანას მიახტეთ და იყვიროთ, ასეთ ამბებს აქვს ადგილი ჩვენში და დაარწმუნოთ ყველანი, თქვენ გეშინიათ ამ ამბებზე ლაპარაკი.** ამ დროს კი ბოლშევიკებმა ცრუ და გაიძვერა დოკუმენტებით ევროპის გაზეთები გაავსეს. ვთქვათ, თუ გინდა, ჩვენს ხელში ნახევარი საქართველო არ ყოფილიყო, განა უსათუოთ ხელში მეტრით უნდა ზომო, ჩვენ გვიკავია მეტი ტერიტორია თუ ბოლშევიკებს? ეხლა საკმაო დროა გასული, რომ ასე თუ ისე ერთნაირი შეფასება მოხდეს. ფაქტია ის, რომ ჩვენი ცნობები, თუმცა ყოველი მხრივ არ იყო სწორი, ეს, როგორც ზემოთ ვამბობდი, შეუძლებელიც იყო, სხვების გაბერილ-გაზვიადებულ ცნობებთან შედარებით, სინამდვილესთან უფრო ახლოს იყო. ფაქტია ისიც, **სტამბოლში მოღვაწე პოლიტიკურ**

მოღვაწეთ რომ თქვენი ფსიხოლოგია ჰქონებოდათ და ჩვენში მომხდარი ამბებისადმი თქვენებრ უნდობლობა გამოეჩინათ, მაშინ ჩვენ ევროპას ორ-სამ ცნობასაც კი ვერ მივაწვდიდით. ამის შედეგი იქნებოდა ის, რომ ჩვენი მთავრობა ვერ გააკეთებდა იმის მეათედსაც კი, რისი გაკეთებაც მან შესძლო. 5 სექტემბრის წერილში თქვენ იმ აზრს გამოთქვამდით, რომ ამ უკანასკნელ დროისკენ ჩვენ ტაქტიკას თქვენ ვითომ კარგად არ იცნობდით, ვიღაცეები თქვენს ზურგს უკან რაღაცეებს აკეთებდნენ, ამაში ვითომ მეც ვერიე და დაასკვნიდით, რომ ამ გზით ქვეყნის შველა არ შეიძლებაო. ამაზე მე თქვენ 11 სექტემბერს გიპასუხეთ: „რაც შეეხება იმას, რომ ჩვენს ზურგს უკან კეთდებოდა რაღაცეები და შენც ერიე ამაშიო, ამაზე ლაპარაკის დრო არ არის ეხლა, გაცილებით უფრო სერიოზული საქმეები გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე ამაების ჩხრეკას გამოვუდგეთ და სტრატეგიულ უკანდახევებს შევეცადოთ. ოღონდ აქედანვე და ეხლავე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ შენი ასეთი ჩემდამი დაუმსახურებელი გამოლაშქრების წინააღმდეგ. თავის დროზე შენ მიიღებ შესაფერ პასუხს!“ თქვენი 15 ნოემბრის წერილში კი ჩემდა განსაცვიფრებლად შემდეგს მწერთ: „ჩემი კერძო წერილი ჟენევიდან უასლო იყო, ამიტომ ვერ გავიხსენებ მის სიტყა-სიტყვით შინაარსს, ერთი კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: თქვენ ცდებით, როცა იწერებით, რომ „უკანასკნელ ამბების მიზეზად სხვებთან ერთად მეც მასახელებდით“. მიზეზად თქვენ არ დამისახელებიხართ, ეს ხომ მეტი ტვირთი იქნებოდა თქვენთვის..“! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ თავზე არასდროს დიდი წარმოდგენის არ ვყოფილვარ და არასდროს არ განმიცხადებია პრეტენზიები, რომ უთუოთ დიდი ტვირთი უნდა ვატარო-თქო. საკმარისი და თავმოსაბეზრებელია ისიც, რომ ასეთი გადაჭარბებული წარმოდგენა თავის თავზე და ამოდენა პრეტენზიები სხვებს აქვს. შემდეგ თქვენ ამბობთ თქვენ წერილში: „საზოგადოთ უფრო პასუხისმგებლებსაც არ ვასახელებდი მე ამ ამბების მიზეზათ“. ესე იგი თქვენ არც მე და არც სხვებს არ ასახელებდით ამ ამბების მიზეზათ. 5 სექტემბრის წერილში კი თქვენ შემდეგს მწერთ: „მე არ ვეხები ჩვენს ტაქტიკას ამ უკანასკნელათ, არ ვიცი იგი ხეირიანათ, ჩვენს ზურგსუკან კეთდებოდა რაღაცეები, შენც ერიე ამაში სამწუხაროთ... მაგრამ ეს ერთობ მძიმე ჭრილობაა, არ ვახლებ ხელს. ერთი კია, ასე ქვეყნის შველა არ შეიძლება!“ ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცეები თქვენს ზურგს უკან მუშაობდნენ, უკანასკნელ დროის ჩვენს ტაქტიკასაც არ გაცნობდნენ, ამ ვიღაცეებში, თქვენდა სამწუხაროდ, მეც ვერიე, როგორც ამას თქვენ ამბობთ და თქვენის აზრით

კი, ასე ქვეყნის შველა არ შეიძლება. როგორც თქვენ ძლიერ კარგად მოგეხსენებათ, „ჩვენს ტაქტიკას“ ჩვენში ყოველთვის თქვენზე და განსაკუთრებით ჩემზე უფრო პასუხისმგებელნი აწარმოებდნენ. და თუ ეს ასეა, მაშინ ვერ ამიხსნია, რათ დაგჭირდათ თქვენ 5 სექტემბრის წერილში მოგეწერათ ერთი, ხოლო 15 ნოემბრის წერილში უკან დაგეხიათ და ის, რასაც 5 სექტ. წერილში (ეს წერილი მე მეხება სხვათაშორის) იწერებოდით, უარგეყოთ. „თქვენ მე უმეტეს შემთხვევაში არ მწერდით თქვენს მუშაობაზე და მოქმედებაზე“, – იწერებით თქვენ. ეს არ არის მართალი. მთავრობას აქ, უცხოეთში არ ქონდა სათანადოთ კარგად მოწყობილი აპარატი. ამავე დროს საელჩო კი არსებობდა პარიზში საკმაო პერსონალით, ამიტომ, ტეხნიკურათ რომ საქმე გაადვილებულიყო, მე, როგორც ბერლინში, ვარშავაში თუ სხვაგან მყოფ მთავრობის წარმომადგენლებს, გვქონდა მთავრობასთან კავშირი თქვენი შემწეობით, ჩვენ დიპლომატიურ ნაბიჯებზე თქვენთვის უნდა მოგვეწერა, თქვენ მერმედ ამას მთავრობას მოახსენებდით და მისგან ჩვენდა გადმოსაგზავნათ შესაფერ ინსტრუქციებს მაცნობებდით. ამ სამი წლინახევრის განმავლობაში თვითეულ ჩემს დიპლომატიურ ნაბიჯზე მთავრობისათვის მოსახსენებლათ თქვენ გწერდით და თქვენ ამიტომ ყველაფერი იცოდით. მაგრამ, გარდა დიპლომატიური მუშაობისა, მე მქონდა მთავრობისაგან მინდობილი აგრეთვე წმინდა პოლიტიკური ხასიათის დავალება – **საქართველოსთან კავშირი.** ამის შესახებ კი მე პირდაპირ მთავრობასა და მის თავმჯდომარესთან მქონდა მიწერ-მოწერა. ეს თქვენ პირდაპირ არ შეგეხებოდათ და ამიტომ არ გწერდით ამის შესახებ, თქვენ კი ყველაფრის გაგება მთავრობისაგან შეგეძლოთ. „ზურგს უკან“ სამოქმედო მე არაფერი მქონდა და არც გახლავართ ამას ჩვეული. **„მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი წერილი სხვადასხვა დროს სწვდებოდა სამშობლოს, განსაკუთრებით გაფრთხილებანი ილუზიის წინააღმდეგ“**, – განაგრძობთ თქვენ. თქვენ ამ სამი წლის განმავლობაში ორი თუ სამი კორესპონდენცია გამოგზავნეთ საქართველოსთვის. თქვენ იცით, რომ ეს თქვენი კორესპონდენციები ყველა დაიბეჭდა იქაურ გაზეთებში. თქვენ მწერდით აგრეთვე წერილებს, სადაც მაწვდიდით ინფორმაციებს თქვენი დიპლომატიური მუშაობის შესახებ. ასეთ ინფორმაციებს ვიღებდი მე ბერლინის და ვარშავის ჩვენი წარმომადგენლებისგანაც. საჭირო ცნობებს ყველა ამ წერილებიდან ჩვენ აქ ვკრებდით და საქართველოს ვაწოდებდით. ჩემთან ინფორმაციის საქმეზე მუშაობდა **დამფუძნებელი კრების წევრი დ. შარაშიძე** და მანაც იცის ყველაფერი.

რაც შეეხება საქართველოში გადასაგზავნ სხვადასხვა სახის გაფრთხილებებს და ინსტრუქციებს, ეს არ შეადგენდა არც თქვენ და არც ჩემს , თუ რომელიმე სხვა წარმომადგენლის კომპეტენციას. ეს იყო მთავრობის საქმე და ასეთ რამეებს ის გზავნიდა საქართველოში. **„მე ვშიშობდი, ვაითუ სტამბოლიდან არ მიაწვდინეთ სრულიათ კატეგორიული გაფრთხილება, რომ იმედი დახმარებისა გარედან არ იყო. ჩვენი ხალხი არ გამოვიდოდა მარტო , თუ ასეთი იმედი არ ჰქონდა!!"** – ამბობთ თქვენ თქვენს 15 ნოემბრის წერილში. ესე იგი თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სტამბოლიდან იყო მიწოდებული ცნობა, რომ გარედან იქნება დახმარება და მიტომ გამოვიდა მარტო ჩვენი ხალხიო. ვიმეორებ, რომ მე არ მქონია ჩვეულებათ თქვენი, მეტადრე ჩემი პირადი აზრები მეგზავნა ინსტრუქციებათ საქართველოში. ოფიციალურ სახელმძღვანელო აზრათ საქართველოში მიდიოდა მხოლოდ მთავრობის აზრი. ხოლო მთავრობის აზრათ არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ხალხის ილუზიებით კვება და უთანასწორო ბრძოლაში მისი მარტოთ ჩაბმა. ყველაფერი, რაც აქედან თუ პარიზიდან იწერებოდა სქართველოში, ჩვენ აქ გვენახება. მთელი არქივი აქ არის. ყველა წერილები, საქართველოდან მოსული და საქართველოში გაგზავნილი, გაიშიფრებოდა, თუ დაიშიფრებოდა ყოველთვის ხოლმე **დამფუძნებელი კრების წევრის – ვასო წულაძის მიერ, რომელსაც ეხმარებოდა დ. შარაშიძე. ყველა ჩვენს საქმეში ახლოს არის ჩახედული ასევე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი – სიმონ მდივანი.** ჩვენ აქ სრულიად კოლეგიალურათ ვმუშაობდით და „ზურგს უკან სამოქმედო" არაფერი გვქონდა. თქვენი 15 ნოემბრის წერილი ახდენს შემდეგ შთაბეჭდილებას: თქვენ ცდილობთ ოფიციალურ წერილში ფიქსაცია უყოთ იმ შეხედულებას, რომ თქვენ ვითომ ყველას ყველაფერში აფრთხილებდით, ილუზიების წინააღმდეგი იყავით, ჩვენ ხალხს ამაზე სწერდით, მაგრამ ვერ მიაწვდინეთ თქვენი ხმა, რადგან ამაში ხელს გიშლიდნენ. მისწერეს კი წინააღმდეგი და ჩვენი ხალხი საბრძოლველათ მარტო გამოიყვანეს. „თქვენს ზურგს" უკან ვიღაცეები ვითომ რაღაცეებს აკეთებდნენ, თქვენ კი არაფერში ბრალი არ გიდევსთ. არ მგონია, რომ ვინმეს ამან ასიამოვნოს, ან საზოგადოებრივი ინტერესების მხრივ ასეთი რამ მიზანშეწონილი იყოს.

მე გწერდით თქვენ ჩემ კერძო წერილში, რომ თქვენმა წერილმა გამოიწვია საერთო უკმაყოფილება და აღშფოთება იმ ვიწრო წრეში, რომელიც ჩემს ირგვლივ მუშაობს აქ-თქო. თქვენ მიპასუხებთ, რომ მე თავიდან ბოლომდე ვცდები. მე კიდევ ერთხელ გიმეო-

რებთ თქვენ, რომ თქვენმა 5 სექტემბრის წერილმა ყველაზე მეტათ არასასიამოვნოთ იმოქმედა. რაც შეეხება თქვენი 15 ნოემბრის წერილს, მან კი ყველაზე უაღრესათ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა.

არ იყო სასურველი, რომ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერა ოფიციალური წერილების ფურცლებზე გადმოტანილიყო. მაგრამ თქვენ ეს ინებეთ. მე ძლიერ ვსწუხვარ, რომ იძულებული გავხდი თქვენთვის მეპასუხნა.

კ. გვარჯალაძე [8, 1-7].

მიუხედავად ამ წერილის მკაცრი ტონისა, ურთიერთობა ორ პოლიტიკოსს შორის შემდეგში გამოსწორდა. ამას კარგად აჩვენებს აკაკი ჩხენკელისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო ფონდებში დაცული მათი მიმოწერა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, 1831, აღწერა 2, საქმე 422.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, 1831, აღწერა 2, საქმე 422.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, 1831, აღწერა 2, საქმე 422.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 72.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, 1831, აღწერა 2, საქმე 422.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 111.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, საქმე 110.
8. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 125.
9. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 609.

Dodo Chumburidze
Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Some of the Details about the Recall from Abroad and the Viewpoint of Immigration on the Uprising in 1924

Summary

The fight against the occupation army in Georgia started immediately in 1921. The first action took place in Svaneti and continued in 1922 as well. News about the events of Svaneti systematically were sent abroad in the Paris office of the Georgian government in exile. The news from Paris were sent to various international organizations, politicians and the European press.

1921 – 1924, years when the national forces for the national - liberation movement and against the occupation government were mobilized in Georgia, were politically difficult for the government of Bolshevik Russia as well. Europe was discussing what position the major countries should have in relation to Russia and those small countries that became independent after the collapse of the empire, and which, after the reoccupation of the Bolshevik Russia, expressed claims to have support from the civilized world for restoring their lost statehood and independence. From the very beginning among the major countries Great Britain was critical towards the countries which were within the ex-empire of Russian. Other European countries had vacillating position. Georgian politicians used all diplomatic means to set up the Europe for the benefit of Georgia. But the after war tense political and socio – economic situation hindered all their efforts.

Before the occupation army began punitive operations and repressions against the Georgian nation, the government of the independent Georgia in exile planed only peaceful measures against Bolsheviks, mainly replace the power with elections. The 3rd paragraph of the resolution received in summer, 1921 – "Current moment and the tactics of the Social - Democrats", warned straightly the members of the party about not to use conspirational methods and strictly appealed to "their supporters and the whole people" forbear from armed manifestations. This decision was unable to be fulfilled. Violent regime exasperated people.

The violence of the Russian army in Georgia, which became well known for the whole Europe, hindered signing economic agreement with the

Soviet Russia. The agreement was signed but London was procrastinated its ratification.

Letters of Noe Zhordania and other party leaders, which are sent to the ambassador of Georgia, Akaki Chkhnkeli in Europe in Jun – July, 1924 obviously show that Moscow was scared and tried to deal with ex-government of Georgia that would help him to improve its relation with the European countries and reach its goals. For this, to negotiate with the Georgian emigration, they sent famous Bolshevik and Stalin's brother in law Aleksandre Svanidze. Svanidze arrived in Berlin and with the help of the native Georgian representatives conduct negotiations with the politicians in Paris.

The article deals with the correspondence between the leaders of the ex-government and diplomats about the matter. The given archive materials will provide the future studies of the 1924 events with novelties.

გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,

ზაქარია ჭიჭინაძე – ქართველ ებრაელთა ისტორიის პირველი მკვლევარი (დაბადების 160 წლის გამო)

ებრაულ-ქართული ურთიერთობის წარმოჩენის საქმეში განსაკუთრებული დამსახურება და ამაგი მიუძღვის ზაქარია ჭიჭინაძეს (1854-1931). XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ შეშვებია ამ თემის ირგვლივ თავდაუზოგავ საქმიანობას. ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ 1876 წლის სექტემბერში გაზ. „დროებაში“ დასტამბა, მცირე მოცულობის წერილი – „ურიების თორა და მათი დღესასწაული“ იყო. ავტორი დაკვირვებული მკითხველის თვალით აღწერდა იმ ურთიერთობებს, რაც სინაგოგაში ხდებოდა არა მხოლოდ ხახამ-რაბინებს, არამედ მორწმუნე მრევლის წევრთა შორის. პუბლიცისტის მიერ ყურადღებაგამახვილებული ყველა პასაჟიდან იგრძნობოდა პატივცემლური დამოკიდებულება ებრაელი ხალხის ტრადიციებისადმი და უდიდესი სიმპათიები სალოცავში მისული მრევლისადმი. მათი საოცარი მოკრძალებულობისადმი თავიანთი უპირველესი წიგნის „დაბადების“ მიმართ და სხვ.

წერილში შთამბეჭდავადაა აღწერილი სალოცავში მიმდინარე მთელი პროცესი: „რაბმა დაიწყო თუ არა ლოცვა წინასწარ ერთბაშად შესძახა ებრაულს ენაზედ – „ბარუნ ადოთე!“ („ღმერთო ჩვენო“). ამ შეძახილზე ურიები წამოდგნენ სკამებიდან და გადაშალეს წიგნები და დაიწყეს ყველამ მაღალის ხმით კითხვა და თავის კვრა წიგნზე; შემდეგ დაჩუმდნენ. რაბმა გააღო კიდობანი, გადმოიღო დაბადება და დაიდო წინ. ტახტზე მდგომმა ახალგაზრდა ხახამმაც დაიწყო ათი მცნების წარმოთქმა. შემდეგ რაბინმა გაშალა დაბადება და დაიწყო ლოცვა და თავის კვრა წიგნზე და აჰყვნენ მას ურიებიც...

ბოლოს, რომ კარგად დაბინდდა, ძლივს რაბინი მოშორდა კიდობანს, დაბადება აიღო ხელში და გამობრუნდა კარებისკენ. მას გამოჰყვნენ ხახმები და ხახმებს ხალხი; გამოვიდნენ ეზოში, დადგა რაბი, შემოეხვივნენ გარს ურიები და დაიწყეს ლოცვა...

კარგა დაღამებული იყო, როდესაც ხალხი დაჩუმდა, მოშორდნენ რაბინს და ხახმებს და დაიშალნენ შინ წასასვლელად; რაბი და ხახმები შევიდნენ ბოლოს თავიანთ ოთახებში.

ასე, ამ წესებით გათავდა მათი თაყვანისცემა უფალთან" [1, 3].

წერილის დასასრულს ზ. ჭიჭინაძე ერთ ნიშანდობლივ და საინტერესო ფაქტზე მიაქცევს მკითხველის ყურადღებას და აღნიშნავს: „ქართველ ებრაელთ ერთი საკვირველი ჩვეულება ჰქონდათ კიდევ: არასოდეს ევროპის ურიების თორაში არ შევლენ და არც მათისაში ესენი (ე. ი. ქართველი ებრაელები – გ. ს.). მთელი წელიწადი ულოცველად რომ დარჩნენ" [1, 3].

მომდევნო, 1877 წელს ზ. ჭიჭინაძე იმავე „დროებაში" ბეჭდავს წერილს – „ურიების დაბადება და ამაღლება", სადაც ავტორი ამჯერად ებრაელთა დღესასწაულ „ქოხობის" აღნიშვნის რიტუალზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებში იწყებოდა, ცხრა დღე გრძელდებოდა და ბოლო დღეს კი თორის დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

ზ. ჭიჭინაძე წერილის დასაწყისშივე მიუთითებს: „ამ დღესასწაულისათვის ყოველი ურია თავის სახლის ეზოში გააკეთებს ხოლმე პატარა სალოცავსა, რომელსაც შემოსავენ ნაირ-ნაირის მწვანე ხეხილებით და ფოთლებით და მთელი კვირა სხედან აქა და ასრულებენ თავიანთ წესსა.

ამაღლების უკანასკნელ დღეს მოდის მათი დაბადება, რომელსაც უფრო დიდის მომზადებით უნდა დაუხვდნენ.

დაბადებისთვის ისინი დიდი თუ პატარა ემზადებიან თორაში წასასვლელად. თორას რთავენ ბალახ-ბულახებით და იქ ასრულებენ თავიანთ დაბადებასა.

ურიების თორა ამჯერად იმ სახლში არის გამართული, სადაც წარსულის საუკუნეში ერთი ჩვენი ბატონიშვილი სცხოვრობდა (გულისხმობს იულონ ბატონიშვილს – გ. ს.). ამ უკანასკნელს დროს კი სომხების ხელში ვნახე და სახელიც სხვა დაურქმევიათ დარბაზისთვის – „მუნთუანთ დარბაზი". დარბაზი მშვენიერი რამ არის თავისის შინაგანი შენობით და სენაკებითა. სასიამოვნო სანახავია ჩვენი წარსული საუკუნეების მოყვარებისთვისა ეს დარბაზი. დანიშნულ დროს მოვიდნენ ურიები. ხახამ-რაბებმა გააღეს კიდობანი და გამო-

იღეს ოთხი მშვენიერი კუბო ხავერდით მორთული და მრავალი ყვავილებითა. თითო კუბოში თითო დაბადება იდო.

გამოსვენების შემდეგ ხახმებმა თორაში შვიდჯერ შემოატარეს და მერე დაასვენეს. და დაიწყეს ლოცვა და შემდეგ თამაშა (ხტომა).

ერთ ჩემ გვერდით მდგომ ურიასა ვკითხე – თუ რისთვის შემოატარეს ეს კუბოები-მეთქი, ან გესმით ურიული, რომ კითხულობთ? მან შემოტარებისა კი არაფერი მიპასუხა და ურიულის წიგნებზე კი ბევრი:

– ბარე არ გვესმის, მაგრამ რა ვქნათ!

– რატომ ქართულად არ სთარგმნით?

– ქართულს ენაზე თარგმნის ნებას ჩვენი რაბინი არ გვაძლევს, რადგან ჩვენი დიდი რაბინი რუსის ურია არის და გვეუბნება, რომ ჩვენი სჯული ერთი არისო და ენაც უნდა ერთი იყოსო, მოშალეთ ქართულს ენაზე ლოცვაცა და ერთმანეთში წიგნის მიწერ-მოწერაცაო! და აბა, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენ რა შეგვიძლიან...". თუმცა ჩვენს ურიებში ძველათ ნათარგმნი ლოცვის წიგნებიცა გვაქვს, რომლებიც ადრე ჩვენ მამა-პაპებს ქართულად უთარგმნიათ, მაგრამ ისინი ყველა უქმად აწყვია... ამ დღეს ჩვენში ადრე ქართულად ლხინობდა ხალხი, – განაგრძო ჩემმა ურიამ. როცა დაბადებას გამოიტანდნენ, ქართულად დაიწყებდნენ ძახილსა: „დაბადებას მოვესწარით, ნეტაი ჩვენს გახარებასაო!", მაგრამ ეხლა კი უყურეთ... ადრე ამ ქალაქში ქადაგებაც შეგვეძლო ქართულს ენაზე და ქადაგებდნენ კიდეც ჩვენი ხახამ-რაბები, მაგრამ ახლა ესენიც აღგვიკრძალეს.

სხვა ქვეყნებშიც იმ ენაზე ლოცულობენ ურიებიო, – მითხრა ბოლოს იმან, რა ენაც ესმითო – ფრანცუზების ურიები ფრანციზულის ენაზედ, ნემეცის – ნემცურზედაო და სხვ. და ჩვენ კი ასე გამოსხლეტილნი ვართო.

ამ გვარად ჩვენს ლაპარაკში გაათავეს კიდეც ლხინი. შემდეგ დაბადებას დაუწყეს კოცნა, ჩააწყეს კიდობანში, დაკეტეს და გამოვიდნენ თორიდამა ლოცვით, ყვირილით და ჟღავი-ჟღუვილითა" [2, 2].

ამ ხანებიდან მოყოლებული, ზაქ. ჭიჭინაძე არაერთგზის მიაქცევდა ქართული საზოგადოების ყურადღებას მათ გვერდით მცხოვრები ხალხის ჭირ-ვარამს, ერთად განვლილ მრავალსაუკუნოვან ცხოვრების გზას... იგი არა მხოლოდ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებით შემოიფარგლებოდა, არამედ გულმოდგინედ იკვლევდა და მოგვიანებით წიგნის სახით მიაწოდა კიდეც ქართველ მკითხველს მშვენიერი ნაშრომი, რომელსაც „ქართველთ ებრაელნი საქართველოში" ჰქვია.

მოვიტანთ ზოგიერთ ამონარიდს დასახელებული წიგნიდან, საიდანაც ნათლად სჩანს, თუ რაოდენ კარგად იცნობდა ზ. ჭიჭინაძე ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიას და იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც იმჟამად ქართველ ებრაელთა წინაშე იდგა და, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება, მისი აზრით, ქართველთა ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა...

ზ. ჭიჭინაძის თქმით: „ქართველთა და ქართველ ებრაელთა შორის ძველთაგანვე დიდი სიყვარული ვრცელდებოდა, ქართველნი ებრაელთ დიდად სცემდნენ პატივს. მათ ასე უმზერდნენ, როგორც საქართველოს შვილებს და არა ისე, როგორც შემოხიზნულთ, გარე-დამ მოსულთ და დასახლებულთ ერთ ლუკმა პურის შოვნის გულის-თვის. ქართველთა ურიების დიდი სიბრალული ჰქონდათ, იგინი ამათ მფარველობდნენ ყოველნაირის მხრით და ცხოვრების საქმეე-ბით. ძველთაგანვე ურიები სარგებლობდნენ ისეთის სრულის თავი-სუფლებით, როგორც თვით ქართველნი“... [3, 26-27].

მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატიონე-ბი ავიდნენ, რომელნიც ურიებს თავის შთამომავლად მიაჩნდათ, ქართველნი ზნეობრივ მოვალეობად თვლიდნენ დიდის პატივით მოპყრობოდნენ მათ. ანგარიშგასაწევია ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოთ-ქმული შემდეგი მოსაზრებაც: „ქართველთ კარგად ესმოდათ ის ღირსებაც, რომ ურიების საკუთრებას შეადგენდა მოსე, თვით იესო, მისი დედა და ყველა მისი მოციქულნიც ყველა ურიები იყვნენ... ამ ღირსებას ბაგრატიონებიც, რასაკვირველია, უფრო ადიდებდნენ, რომლებმაც კარგად იცოდნენ თავიანთი შთამომავლობის ისტორია, თავიანი თავი დაბადების და სახარების მეოხებით თვით ღვთის-მშობლის ნათესავადაც მიაჩნდათ... [3, 20-26].

ზ. ჭიჭინაძე, რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე ამახვილებს იმდროინდელი მკითხველის ყურადღებას, კერძოდ, თუ როგორ ემ-სახურებოდნენ იუდეველი ებრაელები ქართულ მართლმადიდებ-ლურ ეკლესიას, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე...

„X საუკუნის შემდეგიდამ ქართველი ურიები ყმათ ეძლევიან მცხეთის დედა ეკლესიას, გელათს, ალავერდს, სიონს და ბევრსაც სხვა წვრილმან ეკლესიებს, – წერს იგი, – ურიები ქართველ მღვდელმთავარს და დედა ეკლესიასაც კარგად ემსახურებოდნენ... ძველად ქართველი ურია ეკლესიის ხარკს ხალისით ცდილობდა. იგი ხარკად აძლევდა პურს, სიმინდს, ღვინოს, წმინდა სანთელს, თაფლს, საკმელს, ძაფს ანუ ნართს, ფულს, ფართალს და ყველა იმ ნივთეუ-ლობას, რაც კი მათ გააჩნდათ... ურია ქართულ ეკლესიას, ანუ სა-

ლოცავს, ისე უმზერდა, როგორც მოსეს და დავითის ტაძარს... მიზეზი ურიათა უზადო და უეშმაკო ცხოვრებისა იყო, რომ იგინი სამხედრო ბეგარისაგან ძველთაგანვე იყვნენ განთავისუფლებულნი, მათი სამხედრო ბეგარის გადასახადი ქართული ეკლესიის ხარკით ისაზღვრებოდა... [3, 22-23].

სხვა დამსახურებათა შორის, რომლებიც ქართველ ებრაელებს მიუძღოდათ საქართველოს წინაშე, ზ. ჭიჭინაძე ხაზგასმით გამოყოფდა მათ სიყვარულს და დიდ ერთგულებას ქართული ენის მიმართ... ამასთან დაკავშირებით იგი გაზეთ „ცნობის ფურცელში" დასტამბულ ერთ წერილში მიუთითებდა:

„ებრაელნი საქართველოში ქართულ ენას სრულიად ძველთაგანვე შესჩვევიან: მათ სამშობლო ენას ძველი დროიდან ქართული ენა შეადგენდა, ისინი ერთობ ადვილად ითვისებდნენ ამ ენას... საქართველოდან ებრაელნი სადაც კი სახლდებოდნენ, ყველგან თან მიჰქონდათ ქართული ენა, ქართველი ერის ტანსაცმელი და თვის წერილების წერასაც კი ქართულად მოეწყვნენ" [„ცნობის ფურცელი", 1902 წლის ოქტომბერი], ხოლო ზემოთ დასახელებულ თავის ისტორიულ ნარკვევში ზ. ჭიჭინაძე მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა: „როგორც ძველად, დღესაც ქართველი ებრაელი ყველგან თავის დედა ენათ ქართულს ენას ხმარობს. არც ძველად და არც დღევანდელ ებრაელს ქართული ენის მტრობა არა ჰქონია და არც აქვს; ნაცვლად მტრობის, მათ უაღრესად აქვთ ჩაქსოვილი ამ ენის სიყვარული საქართველოს წინაშე, სადაც უნდა წავიდეს ქართველი ებრაელი, იგი ქართულს ენას არსად არ დასტოვებს, მათ ყველგან ამ ენაზედ ეხერხება ლაპარაკი".

აქ პირველ რიგში იგი ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ებრაელებს გულისხმობდა, რომლებიც „უშიშრად შინ და გარეთ ქართულ ენაზე საუბრობენო" [3, 36].

ზ. ჭიჭინაძე დიდი პატივისცემით აღნიშნავდა იმასაც, რომ ჩვენს მიწაზე მოსულ ებრაელობას, რომლებიც ასევე დაახლოებულნი გახდნენ ქართველობასთან, მის ენასთან, თუ ტრადიციებთან, არასდროს დავიწყნიათ „თავიანთი გულჩამწვარ, დატყვევებულ სამშობლოს ხსოვნა. შორს იყვნენ, მაგრამ გული კი ყოველთვის სამშობლოსკენ მიელტვოდათ; ურიასტანის ყოველ მოვლენას, ყოველ შინაგან საქმეს და მოძრაობას ესენი ჯეროვნად ყურადღებას აპყრობდნენ, ამისთვის მათ ჰქონდათ გაბმული ერთობა, წერილების განუწვეტლივი მიწერ-მოწერა..." [3, 8].

ასეთი ურთიერთგაგებისა და პატივისმცემლური დამოკიდე-

ბულების ვითარებაში მიმდინარეობდა ქართველთა და ქართველ ებრაელთა ცხოვრება მანამ, ვიდრე „საქართველო რუსეთს დაუკავშირდა და ურიებსაც გარემოება შეეცვალათ"; სხვა რომ არაფერი, ზაქარიას თქმით: „ქართველ ურიათა შვილებთაგანს არც ერთს არ გაუთავებია არც დაბალი სასწავლებელი, არც საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის ხომ კარიც არ დაუნახავსთ" [3, 53].

ზ. ჭიჭინაძემ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს იყო მეფის რუსეთის თვითმპყრობლური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხალხების სიბნელესა და უმეცრებაში ყოფნას ითვალისწინებდა, რასაც ხელი უნდა შეეწყო არარუსი ხალხების ძალდატანებით ასიმილაციისა და ეროვნული თვითშეგნების დავიწყებისათვის... საბედნიეროდ, ქართველი ხალხი არასდროს შეგუებია ცარიზმის ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას; მათი შეგნებული წარმომადგენლების საზრუნავი იყო, ქართველ ებრაელთა ამ სიბნელიდან გამოყვანაც...

„ერთი ჩვენი მწუხარება ის არის, რომ ქართველთ ებრაელნი ახალ სწავლა-განათლებას სულ არ ელტვიან, არც ახალ სკოლების გახსნა სურთ, რომ იქ ბავშვებმა ძველის ებრაულის გარდა ახალი საგნებიც შეისწავლონ. მთელს საქართველოში, არამც თუ სოფლის ალაგას, არამედ ქალაქ ალაგას მცხოვრებ ებრაელთაც კი არ შეისმინეს და შვილებს არ გაუხსნეს განვითარების კარები. ეს მეტის მეტი უბედურება არის და ამაზედ ჩვენც ვემდურით ჩვენს მოძმე ებრაელთ და მათზედ გული გვწყდება, რომ ასე იქცევიან შვილების წინაშე, ასეთ დაბნელებულს ძილში არიან შთაცვივნულნი – წერდა ზ. ჭიჭინაძე და ძმური გულშემატკივრობით მიუთითებდა – ამჟამად, ქართველ ებრაელთა შორის ერთი ნასწავლი კაციც არ მოიძებნება, რომელიც მათ საჭიროებებზე ილაპარაკებს; არა ჰყავთ შესაფერისად მომზადებული სასულიერო პირნი; მათ არა აქვსთ საკუთარი კარგი სასწავლებლები და არც სხვებისას ეტანებიან... სამწუხაროდ, ამ ნაკლს თვითონ არ გრძნობენ, არც ცდილობენ, რომ შემდეგი თაობა მაინც დაიხსნან უმეცრებისა და უბედურებისაგან. მათი ბავშვები იზრდებიან ღვთის ანაბარად, მოუვლელნი, უპატრონონი და უმფარველონი..." [3, 52-53]. ზ. ჭიჭინაძის თქმით, კიდევ უფრო მძიმე იყო ქართველ ებრაელ ქალთა მდგომარეობა: „ქალების მდგომარეობა ხომ უფრო უბედურია და თან სატირალიც: მთელს ქართველ ებრაელებში ვერ ნახავთ ერთს ნასწავლ ქალს, ერთს განათლებულს დედას; განათლება კი არა და, სამწუხაროდ, მათში ერთი ისეთი ქალიც არ მოიპოვება, რომ თუნდ მას ქართულს ენაზედ რიგიანად წიგნის

კითხვა შეეძლოსო. ეს გარემოება ებრაელთა, ჩვენ დიდად გვწყინს და **ამ წიგნით მათ ჩვენ სრულს პროტესტს ვუცხადებთ** (ხაზგასმა ჩემია – გ. ს.). დროა უკვე, რომ მათაც თვალი გაახილონ და განვითარების ასპარეზზე გამოვიდნენ. დროა უკვე რომ შეხედონ სხვებს და სხვების მაგალითით ძველი უმეცრება გაიბერტყონ და ახალი ცხოვრების გზას დაადგნენ, თორემ ვარწმუნებთ ჩვენს მოძმეებს, რომ იგინი მომავალში ებრაელთა მოზრდილი თაობის წინაშე დიდად გასაკიცხნი გახდებიან...“ [3, 74].

შემდეგ, მოყვარეს პირში უძრახეს პოზიციიდან ცდილობს ზ. ჭიჭინაძე შეაგნებინოს მათ, სხვა თვალით შეხედონ სინამდვილეს: „აუჭინიათ ქართველთ ებრაელთ, რომ ჩვენზე კარგი ნასწავლი არავინ არისო. ჩვენა ვართ, რაცა ვართ, მოსეს ძველი ურიებიო. იმას კი არ ფიქრობენ ეს დალოცვილები, რომ მათ ერთი ნასწავლი კაციც არა ჰყავთ... სულ სხვების ხელთ შემყურებელნი არიან და მასთანვე მაინც არ ტყდებიან, რომ იგინი დღეს არამცთუ წინ არიან სხვებზე წასულნი, არამედ დაცემულნი არიან და მათთან ერთობ სასტიკათაც. ამის შეგნება რომ ექნესთ ქართველთ ურიებს, მაშინ, ვგონებთ, გული ბოღმით აევსოთ. ქართველი საზოგადოება რომ ამათ კარგად ძმურად ექცევა, ეს ამათ რაღაც სარჯულავ მანქანებად მიაჩნიათ, ის კი არ იციან, რომ ჩვენ თუ მათ პატივს ვსცემთ და სიბრალული გვაქვს, ეს არის ჩვენი ისტორიული ცოდნის პატივისცემა და არა სხვა რამ სჯულის პოლიტიკანობა“ [3, 75].

მაშ, სად იყო საშველი? როგორ უნდა დაეღწია თავი სიბნელისათვის ქართველ ებრაელთ და ცხოვრების ნათელ ასპარეზზე გამოსულიყვნენ?..

ზ. ჭიჭინაძის აზრით, „კაპიკების დაზოგვა, მომჭირნეობა, ცოტა ჭამა, ცოტას ხარჯვა და ა. შ. არ კმაროდა. ყველა ამაზე უარეს ძალას მათთვის სწავლა შეადგენდა, უამისოდ კი რამდენიც არ უნდა ეცადონ, იშრომონ და კაპიკები აგროვონ, იცოდნენ, რომ მათ დროის შესაფერად წინ ვერ წავლენ და ყოველთვის ცხოვრებაში სიბნელით იქნებიან მოცულნი“ [3, 78].

აღსანიშნავია, რომ იქვე, იმავე ნაშრომში, ზ. ჭიჭინაძე პირველი აკეთებს მოკლე, მაგრამ ძალზე ღირებულ მომოხილვას საქართველოს პრესაში იმ დროისათვის ებრაულ თემატიკაზე დასტამბული მასალებისას და მისეულ შეფასებას აძლევს ცალკეულ ავტორთა დამსახურებას ამ საქმეში.

ზ. ჭიჭინაძის თქმით: „ქართველ ებრაელთ ცხოვრებას და მდგომარეობას ქართველმა მწერლობამ იმავ თავიდგანვე შესაფერისი სამ-

სახური გაუწია, ყოველთვის კი მეგობრობას და მფარველობას უწევდა. ებრაელთა მომხრე და მფარველი იყო გაზეთი „დროება“, „შრომა“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“ და თითქმის ყველა ის გამოცემანი, რაც კი ქართულს ენაზე ისტამბებოდა.

მაგალითად „დროება“ ხმამაღლა ჰქადაგებდა ებრაელთა სიბრალულს, მათ მფარველობას და იმასაც აუწყებდა მკითხველს, რომ ყმაწვილების სისხლის ხმარება მათზე მტრობით იყო მოგონებული თვით ქრისტიან მტრებთაგანო.

„ივერიაშიც“ მრავალგზის დაიბეჭდა წერილები ებრაელთა ცხოვრების შესახებ. ეს გაზეთი ყოველთვის ეხმაურებოდა ებრაელთა კითხვებს. იგი დიდი მოსარჩლე იყო მათი, დიდი მფარველი. აქ ყოველთვის მკაცრად იცავდნენ ებრაელთა პიროვნებას, მნიშვნელობას და ამაგს კაცობრიობის წინაშე. გაზეთი ვალდებულად ხდიდა მთელს განათლებულს საქრისტიანო საზოგადოებას, რომ ებრაელთა მფარველნი უნდა ვიქმნეთ, მათი მფარველობა ჩვენს საღმრთო ვალს შეადგენსო, რადგანაც ეს ხალხი ღირსეულია მფარველობის და პატივისცემისო. დღესაც ასევე ჰქადაგებს ეს გაზეთი ებრაელთა ცხოვრებაზედ“ [3, 70-71].

„ცნობის ფურცელი“ ისეთსავე შეხედულების არის ებრაელობაზედ, როგორც რიგი და წესია, რაც მოეთხოვება განათლებულს კაცს და გაზეთს. „ცნობის ფურცელშიც“ არაერთხელ დაისტამბა წერილები თუ თარგმანები ებრაელთა და, კერძოდ, ქართველ ურიათა ცხოვრებაზედ. აქ ყოველი წერილი და ცნობა დიდს სამსახურს და ამაგს უწევს ებრაელთა ცხოვრების პიროვნებას. ყოველთვის სიმართლით და მაღალის მფარველობით ეხებოდნენ და ეხებიან კიდეც როგორც საზოგადოდ ურიების ცხოვრებას, ისევე ქართველთ ებრაელთა გარემოებასაც“ [3, 71].

ასევე იქცეოდნენ გაზეთები „შრომაც“ და „კვალიც“, რომელნიც ცნობილის კილოთი ეხებოდნენ ამ ხალხთა წარმომადგენელთ და აქებდნენ მათ. დასასრულს დასკვნის სახით აღნიშნავდა: მოკლედ უნდა ითქვას, რომ ქართულს ენაზედ თუ სადმე რამე დაწერილა ებრაელთა შესახებ, ყველგან ისინი მაღალის სიბრალულით აუწერიათ, ძმურის პატივისცემით და თავაზით მოუხსენიებიათ. საზოგადოდ ქართული მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმალათა მდგარა ებრაელთა შესახებ, ერთს მაგალითს ვერ მაჩვენებთ, რომ ქართველ ებრაელებზედ და, ან საზოგადოთ ურიებზედ, სადმე ვინმეს რაიმე ცუდი დაეწეროს, არა გვგონია. ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა წინაშე ვალმოხდილია და ამაგდარი [3].

დასაფასებელია ზ. ჭიჭინაძის ის გარჯილობაც, რომელიც მან მომავალ მკვლევართათვის გასწია და დაგვიტოვა მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი მინიშნებანი იმ ქართველ მწერალთა და პუბლიცისტთა შესახებ, ვისაც კი იმ დროისათვის, ანუ XX საუკუნის დასაწყისამდე, რაიმე ჰქონდათ დაწერილი და დასტამბული ქართველ ებრაელთა შესახებ. მათ შორის ასახელებს ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ნიკო ხიზანიშვილის, ლუკა ისარლოვის და სხვათა ნაწერებს.

იქვე თავის მოკრძალებულ წვლილზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს: „მე დავბეჭდე ერთი წერილი 1877 წელს „დროებაში" (სინამდვილეში მან პირველი წერილი 1876 წლის 26 სექტემბერს გამოაქვეყნა ხსენებულ საკითხზე – გ. ს.), რომელიც ამ წიგნში შევიტანე და მეორე წერილი დავბეჭდე „ცნობის ფურცელში" 1902 წ. ეს წერილი ისტორიულის შინაარსის გახლავთ და ამიტომ ამავ წიგნში მოვათავსე" [3, 75]. მე ვიცი, რომ სხვადასხვა დროს ებრაელთა შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვებსაც უწერიათ, მაგრამ ჩვენ ყველა მათ ვერ მოვიგონებთ, ვიტყვით კი, რომ ყველას კალამი სიტყვა-კაზმულის მწერლობით, პუბლიცისტიკით თუ ისტორიული მიმოხილვით ყოველთვის ებრაელთა პატივისცემით ყოფილა გამსჭვალული. თუმცა ქართველი განათლებული საზოგადოება და მწერლობა ასე ეპყრობა ებრაელთა საქმეს, მაგრამ ისინი არ იქმნა და ვერ გამოვიდნენ ღრმა ძილიდგან. არც ქართველთ აკვირდებიან, რომ ამათ მათთვის გული დიდად შესტკივათ" [3].

დასასრულს ზ. ჭიჭინაძე იმედს გამოთქვამდა: მართალია, დღეს მათი საქმე ასეა მოწყობილი, მაგრამ იმედია, მათ რომ წამახალისებელი გაუჩნდეს ვინმე, მაშინ არც ესენი დაშთებიან დაძინებულნი, ესენიც გაახელენ თვალებს და გამოვლენ საღათას ძილიდამ. ამათი ერთი წახალისება არის საჭირო, თორემ მერე თვით გაირკვევენ გზას და კვალს. ევროპის ებრაელნი წახალისდნენ წინეთ და მიტომ მათ ევროპას აჩუქეს შესანიშნავი ფილოსოფოსნი, ეკონომისტნი, მეისტორიენი, პუბლიცისტნი, მუსიკის მცოდნენი, მომღერალნი, მექანდაკენი, ხელოვანი მოთამაშენი და სხვ. ... დღეს ქართველთ ებრაელნი მოვალენი არიან, რომ თავიანთ თანამერჯულე ებრაელთ მიჰბაძონ და თავათაც შეუდგნენ განვითარების გზას, ხომ ხედავენ, თუ ევროპის ებრაელნი როგორ მაღლა სდგანან მათზედ. ევროპიელთ ებრაელთა მიმბაძვობა მათ ვაჭრობასაც გამოცვლის და წვრილმან-რაღაცაებით მოვაჭრეთაც და გაუფართოვდებათ კარგის, ანუ დიდი აღებ-მიცემისაკენ. იგინი მით ბევრ რამეს მიხვდებიან [3, 73].

ვფიქრობთ, ზ. ჭიჭინაძის მიერ ქართულ-ებრაულ თემაზე დაწერილი ამ მცირე მასალის გაცნობაც კი საკმარისი უნდა იყოს. იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად იცნობდა და გულშემატკივრობდა იგი საქართველოში ჩამოსახლებულ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას და როგორ აფასებდა მათ ერთგულებას ქართული მიწისა და ქართველებისადმი.

ზ. ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საქართველოს მწერალთა კავშირის მიმართვაში ნათქვამი იყო: მან „პირველმა დასწერა ქართველი ისრაელების ისტორია..." [4], ხოლო გალაკტიონ ტაბიძე „ნ. ნ." – ხელმოწერით გამოქვეყნებულ სტატიაში, სხვა დამსახურებებთან ერთად, აღნიშნავდა: „ქართველ ისრაელთა ცხოვრებამაც და მათმა ქართული ენის ხმარებამაც გაიტაცა ზაქარია. მან საქართველოს ისტორიაში მოსძებნა ისრაელის შესახებ მასალები და დაბეჭდა „ისტორია ქართველ ისრაელთა საქართველოში". ამ საკითხის შესახებ მას გაზეთებშიდაც აქვს წერილები. მან დაასაბუთა, რომ საშუალო საუკუნეებში, როდესაც ევროპასა და რუსეთში ასე სასტიკად იდევნებოდნენ ებრაელები, საქართველოში ისინი ცხოვრობდნენ სრულიად უვნებლად და სარგებლობდნენ საქართველოს მეფეთა დიდი მფარველობით. ამ წიგნის დაბეჭდვის გამო დიდი მადლობის წერილები მოდიოდა ზაქარიას ქართველ ისრაელთა რაბინებისაგან. დღეს ეს ისტორია ერთობ იშვიათი საშოვნელია" [5, 43-44].

მკვლევარ ვახ. ჩიქოვანის თქმით: „ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწერილი ნარკვევი, ქართველი 60-იანელების მიერ წამოწყებული საქმის თავისებური გაგრძელება იყო..." [6, 94].

თანამედროვე ქართველი ებრაელი მკვლევრის, აბონ ციციაშვილის აზრით: ზ. ჭიჭინაძემ თავის წიგნით „ხელი შეუწყო ქართველ ებრაელთა მდგომარეობის, მათი ცხოვრების პირობების შედარებით ზუსტი სურათის დახატვას. წიგნში აშკარად იგრძნობა ქართველი ებრაელებისადმი ავტორის დიდი სითბო და პატივისცემა... ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წიგნის გამოცემის დროს ევროპაში ანტისემიტიზმი მძვინვარებდა, რუსეთში ანტიებრაული დარბევები იყო და ამ დროს საქართველოში ებრაელების მიმართ დიდი სითბო და სიყვარულით დაწერილი წიგნები და სტატიები ქვეყნდებოდა. ეს მაჩვენებელია იმ დიდი სხვაობისა, რაც არსებობდა, ერთი მხრივ, საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა და, მეორე მხრივ, ევროპასა და რუსეთში მცხოვრებ ებრაელთა მიმართ დამოკიდებულებაში" [7, 198].

აკადემიკოს როინ მეტრეველის თქმით, თბილისში, 1902 წელს

„ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული წიგნის – „ქართველი ებრაელნი საქართველოში“, – მნიშვნელოვან ნაშრომად მიიჩნევს და ყველას პატივისცემით მოხსენიებას, რომლებმაც „ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების, მათი ისტორიის შესწავლას ამაგი დასდეს“. მათ შორის გამოჰყოფს თანამედროვე ქართველ ებრაელებს – ნისან ბაბალიკაშვილს, გურამ ბათიაშვილს, ნათან ბააზოვს და სხვ. განსაკუთრებით აღნიშნავს იცხაკ დავიდის ფუნდამენტურ გამოკვლევას – „История евреев на Кавказе“ (ორტომეული) [8, 13].

ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალი გურამ ბათიაშვილი, აკად. როინ მეტრეველის აღნიშნული წიგნის წინათქმაში აღნიშნავს: „სამშობლოდან დევნილმა ებრაელებმა აი ამ მიწაზე, აი ამ ხალხში მოვიტანეთ მტრობით, სისხლისღვრით, სიცოცხლის წართმევის მუქარით აფორიაქებული სული. მტერი მოგვდევდა და თავშესაფარს ვეძებდით. სამშობლონართმეულთ თვალთაგან ცრემლი გვდიოდა და ფეხთაგან – სისხლი. აქამდე მოვაღწიეთ და ქართველებმა მოგვცეს ის, რაც მთავარია ადამიანისათვის – არსებობისა და შრომის უფლება“ [8, 7]. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიტყვებში არა მხოლოდ ერთი პიროვნების, მწერლისა და მოღვაწის, გურამ ბათიაშვილის ნაფიქრ-ნააზრევია გაცხადებული, არამედ ყველა იმ გულმართალი და პატიოსანი ქართველი ებრაელისა, რომლებშიც ისტორიული მახსოვრობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მტერ-მოყვარის გარჩევაც არასდროს შეშლიათ...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“ №103, 1876 წლის 26 სექტემბერი.
2. გაზეთი „დროება №208, 1877 წლის 3 ქრისტეშობისთვე.
3. ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ ებრაელნი საქართველოში, თბილისი, 1904.
4. გაზეთი „ბახტრიონი“ №1, 1922 წლის 3 ივლისი.
5. გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1975.
6. ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ ებრაელნი საქართველოში, ბოლოსიტყვა. თბილისი, 1990.
7. ა. ციციაშვილი, ებრაელები და საქართველო. 2600 წელი ერთად. თბილისი, 2003.
8. რ. მეტრეველი, ებრაელები საქართველოში, თბილისი, 2002.

Gela Saitidze

Doctor of History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Heard scientist of the Departament of Modern and Contemporary History

Zaqaria Chichinadze – The First Researcher of the History of Georgian Jews

Summary

Zaqaria Chichinadze (1854-1931), a prolific writer and an honoured worker, made an important contribution to the of studies of history of Georgian Jews. His First article on the subject was published in the newspaper „Droeba" in September 1876. After that he returned to the subject several times and turned the attention of Georgian readers to the adversities of the people who had lived among us for centuries. He investigated Georgian-Jewish relationship and delivered the results of his investigation in the form of book to the readers (See. Z. Chichinadze, „Georgian Jews in Georgia", Tbilisi 1940).

The publication deserved a big appreciation from many experts. One *oi"* them, Galaktion Tabidze. a great Georgian poet, wrote about a century ago: Z. Chichinadze „found material about Israel and published „The History of Georgian Jews in Georgia"... He proved that in the mid centuries, while in Europe and Russia the Jews were severely persecuted, they lived in total safety in Georgia. Z. Chichinadze received a lot of letters of appreciation from the Rabis of Georgian Jews because of the publication of this book".

In the opinion of the contemporary Georgian Jew researcher Abon Tsitsiashvili. in the book of Z. Chichinadze one can clearly sense the warmth and respect the author has towards the Geortiian Jews.

მზია ტყავაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე როინიშვილის დაღესტანში მოღვაწეობის ისტორიიდან

საქართველოსა და დაღესტნის მრავალსაუკუნოვან კულტურულ ურთიერთობებში ქართველ საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე როინიშვილს განსაკუთრებული და ყველასგან გამორჩეული ადგილი უჭირავს.

ალექსანდრე როინიშვილი დაიბადა 1846 წელს დუშეთის მაზრაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მან დაწყებითი განათლება ანანურში, ქართველთა 27-ე ბატალიონის შტაბ-ბინასთან არსებულ სამხედრო აღსაზრდელთა სკოლაში მიიღო. XIX საუკუნის 50-იან წლებში ის ქალაქ ტფილისში, ნათესავთან, არქიმანდრიტ ცამციშვილთან, ჩაიყვანეს. სწორედ ამ უკანასკნელმა მიაბარა ალექსანდრე სასწავლებლად ფერმწერ და ფოტოგრაფ ხლამოვს, რომელმაც იგი ფერწერას, ფოტოგრაფიასა და სიძველეთა სიყვარულს აზიარა [15, 3].

მალე როინიშვილმა ტფილისის ცენტრში გახსნა საკუთარი ფოტოსტუდია, რომელსაც „სასურათხატე" უწოდა. აქ თავს იყრიდა იმ პერიოდის მოწინავე ქართული საზოგადოება. სწორედ როინიშვილის სახელოსნო იყო ერთერთი იმ ადგილთაგანი, სადაც მიმდინარეობდა ქვეყნის სვე-ბედზე გამუდმებული მსჯელობა და დაიბადა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის იდეა [2, 4]. 1879 წელს აღნიშნული საზოგადოება ოფიციალურად გაფორმდა, რომლის ერთერთი აქტიური წევრი ალექსანდრე როინიშვილიც იყო. ამ დღიდან როინიშვილის ცხოვრება მჭიდროდ გადაეჯაჭვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

1880 წელს ალექსანდრე როინიშვილმა დატოვა ტფილისი და თელავში გადავიდა საცხოვრებლად. იმდროინდელი პრესა და საარქივო საბუთები იუწყებოდნენ, რომ მან მეუღლესთან დაშორების შემდეგ დედაქალაქში არსებულ მითქმა-მოთქმას გაარიდა თავი (ალექსანდრე როინიშვილი დაქორწინებული იყო თავისი მასწავლებლის ხლამოვის ახლო ნათესავ რუს ქალზე).

როინიშვილმა თელავიც მალე დატოვა და დაღესტანში გაემგზავრა. 1881 წლის დასაწყისში ის დაღესტანში „სამხრეთიდან შევიდა". მან სურათები გადაუღო ქალაქ დერბენტს [5, 3], თუმცა ამ ფოტოსურათებს ვერ მივაკვლიეთ. სავარაუდოდ, მათ ჩვენამდე სხვა ფოტოგრაფის სახელით მოაღწიეს.

1882 წელს სახელოვანი ქართველი ფოტოგრაფი დაღესტნის ადმინისტრაციულ ცენტრ – თემირ-ხან-შურაში გადავიდა საცხოვრებლად. ზამთრობით როინიშვილი ამ ქალაქსა და მის შემოგარენში მოღვაწეობდა, ზაფხულობით კი, გზების გახსნასთან ერთად, მიდიოდა დაღესტნის მთებში, სადაც ცდილობდა ქართველთა კულტურის კვალი ეპოვა. ინტენსიური მუშაობისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ხუნძეთში, მან მართლაც მიაკვლია ქართულ წარწერებს, ქრისტიანულ სიძველეებს და ნუმიზმატიკურ მასალას, რომელთა მეშვეობითაც დაამტკიცა, რომ ძველად დაღესტანი შედიოდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის სფეროში და, რომ „მაჰმადიანობის გავრცელებამდე, აქ არსებობდა ქრისტიანობა" [5, 3].

არქეოლოგიისა და სხვადასხვა სახის სიძველეთა შეგროვებისადმი ალექსანდრე როინიშვილი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, თუმცა დაღესტანში ყოფნის დროს ამ მიმართულებით მისი საქმიანობა უფრო ინტენსიური გახდა. დაღესტნიდან მან ურთიერთობა დაამყარა რუსეთის არქეოლოგიურ საზოგადოებასთან, სადაც, შესწავლის მიზნით, თავისი კოლექციიდან სისტემატიურად გზავნიდა ექსპონატებს. XIX საუკუნის 80-იან წლებში ალექსანდრე როინიშვილი უკვე არქეოლოგიური და ისტორიული ნივთების იმდენად მნიშვნელოვან კოლექციას ფლობდა, რომ იგი აირჩიეს პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად [1, 36]. აღნიშნულ ორგანიზაციას როინიშვილი ხშირად უგზავნიდა მის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებსაც [7, 374; 8, 2]. მან რუსეთის იმპერატორსაც გაუგზავნა დაღესტნის ბუნების პეიზაჟების ფოტოალბომი, რისთვისაც საჩუქრად იმპერატორისგან ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიიღო [2, 188; 10, 3].

ალექსანდრე როინიშვილი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებთან აქტიურად თანამშრომლობდა და მათ სურათებით ამარაგებდა [12, 2]. მის მიერ გადაღებული დაღესტნის ბუნების ფოტოები დიდი მოწონებით სარგებლობდა საზოგადოების ფართო წრეებში და მათზე მრავალი შეკვეთა მოსდიოდა იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან [13, 24].

ალექსანდრე როინიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დაღესტნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. ამ პერიოდში როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეები შეშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებული ომისა და მის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული და მიგრაციულ-დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად დაიკარგა კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის ამსახველი მნიშვნელოვანი მასალა, რითაც „მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა“ [11, 12-13]. სამეცნიერო საზოგადოებები ექსპედიციას ექსპედიციაზე გზავნიდნენ იმის შესასწავლად და გადასარჩენად, რაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. დაღესტანში მყოფი ალ. როინიშვილი მაქსიმალურად იყენებდა იმ შესაძლებლობას, რასაც მას პროფესია – ფოტოგრაფია აძლევდა. ის სურათებს უღებდა დაღესტნის ბუნებას, სიძველეებს და სხვადასხვა კუთხის მოსახლეობას [5, 3] და ცდილობდა აესახა მათი ანთროპოლოგიური ტიპი და ჩასაცმელისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურებები.

დაღესტნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში როინიშვილი არ შემოიფარგლებოდა ფოტოგრაფიითა და არქეოლოგიით. დაღესტნელთა ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ მან დღიურების სახით ასევე დატოვა წერილობითი წყაროები: „სოფელი სოგრატლი“, „სოფელი ჩოხი“, „საქორწილო ჩვეულებები ჩაწერილი კაზიკუმუხის რაიონში“, „ერთი არქეოლოგიის მოყვარულ არაგველ ალექსის მოგზაურობა“ და ა. შ. [1, 104-117]. მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მისი ჩანაწერები დაღესტნის აჯანყების (1877 წ.) შესახებ, რომელიც შესრულებულია დიალოგის სტილში და კავკასიის ამ კუთხეში 1877 წელს განვითარებულ მოვლენებს სრულიად განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს. კერძოდ კი, აღწერილია: აჯანყების მიმდინარეობა, დაღესტნელთა დამოკიდებულება რუსული მმართველობის მიმართ, რუსეთის ხელისუფლების მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ განხორციელებული დამსჯელი ღონისძიებები და ა. შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალექსანდრე როინიშვილის დაუღალავი მოღვაწეობა „კავკასიის მუზეუმის" შესაქმნელად, რომელიც მან დაარსა თემირ-ხან-შურაში [3, 75-76; 6, 2; 7, 374]. აღნიშნულ მუზეუმს როინიშვილი „კავკასიის სიძველეების გამოფენას" უწოდებდა [1, 47]. მუზეუმის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ როინიშვილი შემდეგს წერდა: „მუზეუმი – ეს სარკეა, რომელშიც ჩაიხედები, შემდეგ წახვალ, ხოლო შენი სახე, აჩრდილი იქ დარჩება. გაივლის რამდენიმე ათასწლეული და მომავალი თაობა დაინახავს როგორი იყო მისი წინაპარი, რას აკეთებდა და რას მიაღწია. მუზეუმი უმაღლესი სასწავლებელივითაა [1, 67] ... ერი ჰქვია ხალხს, რომელიც ამაყობს თავისი წარსულით და ამით ცხოვრობს, ცოცხლდება" [1, 75]. ვფიქრობთ, რომ როინიშვილს მუზეუმის დაარსებაში ხელი შეუწყვეს და დიდი დახმარება გაუწიეს იმ პერიოდში დაღესტნის მმართველობის უმაღლეს ეშელონებში მომსახურე ქართული წარმოშობის პირებმა [5, 3], რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე [1, 32; 3, 46-54].

მუზეუმს თემირ-ხან-შურაში მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა და მას როგორც შემეცნებითი, ასევე უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში დაღესტნის კასპიისპირეთში დროებით და მუდმივ საცხოვრებლად რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან სხვადასხვა ეროვნების მრავალი ადამიანი ჩადიოდა, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ ქვეყანაზე, სადაც სახლდებოდნენ და ეს ტერიტორია რუსების ისტორიულ სამშობლოდ მიაჩნდათ. ისინი არც დაღესტნელთა ისტორიას, ყოფაცხოვრებასა და კულტურას იცნობდნენ. „კავკასიის მუზეუმი" იყო საუკეთესო საშუალება ყოველივე ამაში მათ გასარკვევად.

არ დაკმაყოფილდა რა მიღწეულით, როინიშვილმა მუზეუმის შექმნიდან ერთი წლის შემდეგ შექმნა მოძრავი მუზეუმი, რომლის ექსპონატების დათვალიერება ერთდროულად შეეძლო 32 ადამიანს. როინიშვილმა საზღვარგარეთიდან საკუთარი სახსრებით გამოიწერა სტეროსკოპები და გრაფოსკოპები, რომელში ჩახედვის შემდეგ მნახველებს ჰქონდათ საშუალება დაეთვალიერებინათ როინიშვილის მიერ გადაღებული კავკასიის პეიზაჟები, ისტორიული ძეგლები, მოსახლეობის ტიპები გადიდებული ზომებით. 1886 წელს როინიშვილმა თავისი მუზეუმით მოგზაურობა დაიწყო რუსეთის ქალაქებში. მუზეუმის ექსპონატები მან გამოფინა ქალაქებში: ასტრახანში, სამარაში, მოსკოვსა და პეტერბურგში. მუზეუმს მრავალი დამთვა-

ლიერებელი ჰყავდა და მნახველებზე გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა [7, 374].

„კავკასიის მოძრავი მუზეუმის“ შექმნით როინიშვილი რუსეთის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებისათვის კავკასიის ისტორიისა და კულტურის გაცნობასთან ერთად რუსეთის ხელისუფლების მიერ შექმნილი იმ სტერეოტიპის დამსხვრევასაც ისახავდა მიზნად, რომლის მიხედვითაც კავკასიელები გამოყვანილნი იყვნენ უკულტურო, ველურ და პირველყოფილ ხალხად.

დაღესტანში როინიშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის დაუღალავი ძალისხმევა, რასაც იგი იჩენდა დაღესტნის საგანძურის გადასარჩენად. XIX საუკუნეში უცხოელები უმოწყალოდ იტაცებდნენ კავკასიელთა ეროვნულ სიმდიდრეს. ამ მხრივ არც დაღესტანი იყო გამონაკლისი. ქვეყნიდან საზღვარგარეთ გამუდმებით გაჰქონდათ დაღესტნელების მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი უნიკალური ხელოვნების ნიმუშები, რომელთა უმეტესობა მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებს წარმოადგენდა [4, 51-52]. რუსეთის ხელისუფლება ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევდა. არ ხდებოდა მათი დაცვა და აღრიცხვა. ალ. როინიშვილი როგორც კი გაიგებდა დაღესტნის ხელოვნების ნიმუშის შესაძლო გაყიდვისა და ქვეყნიდან გატანის შესახებ, ცდილობდა ის თვითონ ეყიდა, ხოლო თუ შეძენას უსახსრობის გამო ვერ შეძლებდა, ცდილობდა მისთვის სურათი მაინც გადაეღო. ასეთი გზით როინიშვილი ცდილობდა დაეტოვებინა ინფორმაცია აღნიშნულ ნივთზე, რათა შემდგომში მომავალ თაობას შესაძლებლობა ჰქონოდა ამ სურათების მეშვეობით მოეძებნა თავისი კულტურული მემკვიდრეობა.

მაშინ როდესაც ალექსანდრე როინიშვილი გულმხურვალედ ზრუნავდა კავკასიის ისტორიასა და კულტურაზე, დანანებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი შემოქმედების მიმართ არ იქნა გამოჩენილი შესაფერისი მზრუნველობა და ყურადღება. როინიშვილის სიკვდილის შემდეგ (1898 წლის 11 მაისი) მის მიერ გადაღებული ფოტოსურათების მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის დაღესტნის თემატიკაზე შექმნილი ფოტოები) გაიფანტა სხვადასხვა არქივებსა და კოლექციებში და დღევანდლამდე მიიჩნევა სხვა ფოტოგრაფთა ნამუშევრებად [1, 97]. მიუხედავად იმისა, რომ ბ. ტაბიძემ და ლ. მამაცაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ალექსანდრე როინიშვილის შემოქმედების შესწავლის საქმეში, ჯერ კიდევ მრავალი რამ შეუსწავლელი, გასააზრებელი და დასაზუსტებელია. ვფიქრობთ, რომ ჭეშმარიტების დადგენაში და ალექსანდრე როინიშვილის შემოქმე-

დების სრულყოფილ შესწავლაში დაღესტნელმა ისტორიკოსებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

ვეხებით რა ქართულ-დაღესტნურ ურთიერთობებს და ვახასიათებს მასში ალ. როინიშვილის მიერ შეტანილ ღვაწლს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ როინიშვილის დაკრძალვაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ალექსანდრე როინაშვილი თავის თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავის ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია... აქ გამოსაკითხი ის კი არ არის, ბევრი შესწირა თავისს ქვეყანას, თუ ცოტა. საქმე იმაშია, რომ რაც ჰქონდა, სულ მთლად თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესანირად [9, 428, 430].

ეს სიტყვები მთლიანად მიესადაგება ალექსანდრე როინიშვილის დაღესტანში მოღვაწეობასაც. როინიშვილმა დაღესტნელთა მწარე ხვედრი მაშინ მიიტანა ახლო გულთან, როდესაც ეს ხალხი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან უმძიმეს ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა [1, 109]. ამით ცნობილმა ფოტოგრაფმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უმნიშვნელოვანეს საქმეს – ქართველებსა და დაღესტნელებს და ზოგადად კავკასიელებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაღრმავებას. ის ამით ცდილობდა გაემთელებინა ის ბზარი, რომელიც ამ ორ ხალხს შორის ძნელბედობის პერიოდში არსებული მტრული დამოკიდებულების დროს წარმოიშვა და რომლის გაღრმავებას ასე ცდილობდა რუსეთის ხელისუფლება.

ალექსანდრე როინიშვილის მოღვაწეობა იყო გზა, რომელიც, მოწინავე ქართული საზოგადოების აზრით, გულისხმობდა ქართველების მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გაშლაგაფართოვებითა და გაღრმავებით კავკასიელების კონსოლიდაციას და მიიჩნეოდა მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრიდან თავის დახსნისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ საშუალებად.

მოგვიანებით, 1919 წლის გაზაფხულზე, სწორედ ამ გზაზე მიანიშნა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თავისი ლექციის წაკითხვისას: „ქართველებმა ისევ ჩვენს წინაპრების მაგალითს უნდა მივბაძოდ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სამოქმედო იარაღი დროის შესაფერისად შევცვალოთ. თუ რუსები და თურქები მათ (კავკასიელების – ავტორის შენიშვნა) გარუსებასა და გათურქებას ელტვოდნენ, ჩვენ კი სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ. არც რუსების, არც ოსმალთა გზა ჩვენ ქართველებს არ გამოგვად-

გება. მთიულთა ეროვნულ გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს. მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველ-მხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი" [14, 25]. „თვით ჩვენივე მომავალი პოლიტიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გადამგვარებელი პანთურქული. . . რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი უნდა ნაყოფიერი იყოს და ჩვენი და მთეულ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას" [14, 26].

როგორც ისტორიკოსი დავით სართანია წერს: „ივანე ჯავახიშვილის მსჯელობა დიდად სცდება სამეცნიერო ინტერესების ფარგლებს და იგი სამოქმედოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას გვთავაზობს" [14, 26].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბ. ტაბიძე, ალექსანდრე როინიშვილი, თბილისი, 1962.
2. ლ. მამაცაშვილი, ალექსანდრე როინიშვილი, თბილისი, 2007.
3. მ. ტყავაშვილი, ქართველები დაღესტანში, თბილისი, 2000.
4. Пиралов А. С., Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, Санк-Петербург, 1913.
5. გაზეთი დროება, ტფილისი, 1883 წლის 19 იანვარი, №12.
6. გაზეთი დროება, 1885 წლის 12 მარტი, №54.
7. მ. ტყავაშვილი, დაღესტნის (თემირ-ხან-შურისა და პეტროვსკის) ქართველობა და ქართული საზოგადოებრიობა 1832-1900 წლებში, კრებულში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI, თბილისი, 2004.
8. გაზეთი დროება, ტფილისი, 1884, №32.
9. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად. პუბლიცისტური წერილები, IV, თბილისი, 1987.
10. გაზეთი ივერია, ტფილისი, 1889 წლის 14 ივლისი, №124.
11. Берже А. П., Этнографическое обозрение Кавказа, Санк-Петербург, 1879.
12. გაზეთი დროება, ტფილისი, 1883 წლის 23 იანვარი, №16.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №481, საქმე №20.
14. დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბილისი, 2010.

15. გაზეთი Кавказ, 1898, №125.

Mzia Tkavashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

From the History of the Georgian Public Figure Alexander Roinishvili's Activity in Dagestan

Summary

Alexander Roinishvili has a special place in the history of the Georgian - Dagestan relations.

Roinishvili visited Dagestan in 1881 and stayed there eight years. On the topic of Dagestan he created quite a rich photo collection. He carried on the archeological excavations in the mountains of Dagestan as well. There he found Georgian inscriptions, Christian antiquities and numismatic material. With the help of all these he stated that Dagestan used to be under political, economic and cultural influence of Georgia and „before the spread of Islam, there was Christianity here".

Alexander Roinishvili contributed greatly in studying history and ethnography of Dagestan. He left written sources which are in the form of diaries. The worth to be mentioned is that in 1885 Alexander Roinishvili founded „Museum of the Caucasus" in Temir – Khan – Shura. A year later it transformed into mobile museum. In 1886 together with his museum he traveled in: Astrakhan, Kazan, Moscow and Petersburg. Creating „Mobile Museum of the Caucasus" Roinishvili aimed to introduce the history and cultures of the Caucasus to the citizens of different nationalities of Russia as well as to ruin the stereotype that the Caucasians were savage people. After his death (May 11, 1898) the significant amount of his photos (among them those in which Dagestan was represented) were scattered in different archives and collections and are believed as the works of other photographers.

Alexander Roinishvili with his activity in Dagestan laid a firm foundation of deepening relations between Georgians and Daghestanians and generally between the Caucasian peoples.

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

ჰონკონგის ისტორიიდან

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა – ზოგადად ჩინეთი – მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა. ბოლო მონაცემებით ჩინეთში ცხოვრობს 1, 3 მილიარდზე მეტი ადამიანი.

ჩინეთი მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველობას ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია. ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე (პეკინი, ტიანძინი, შანხაი და ჩუნცინი). ასევე, ორ მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე (ჰონკონგი და მაკაო). ქვეყნის დედაქალაქია პეკინი.

ჩინეთს აღმოსავლეთიდან აკრავს ყვითელი, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვები (წყნარი ოკეანე). სანაპიროსთან ბევრი კუნძულია, რომელთაგან უდიდესია ტაივანი და ჰაინანი. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მონღოლეთი და რუსეთი, დასავლეთიდან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი. სამხრეთით ნეპალი, ინდოეთი, ბჰუტანი, მიანმარი, ლაოსი, ვიეტნამი. ჩრდილოეთით ჩრდილოეთ კორეა. ოფიციალური ენაა ჩინური. ეროვნული დღესასწულია 1 ოქტომბერი – რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1949 წ.)

ჩინეთის ისტორია უძველესი ხელნაწერების მიხედვით 3 500 წლის წინ დაიწყო. კუს ბაკანზე ნაპოვნი ძველი წარწერები ძველ ჩინურ დამწერლობას წააგავს, რომლის მიხედვით კი ჩინური ცივილიზაცია სათავეს იღებს 5000 წლის წინ, როდესაც ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პირველი ქალაქ-სახელმწიფოები.

თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრშია ჩინეთის შემადგენელი ნაწილის – ჰონკონგის ფენომენი: „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“.

სახელწოდება „ჰონკონგი“ ნიშნავს „სურნელოვან ნავსადგურს“. 1842 წლამდე ამ სახელით მოიხსენიებოდა პატარა უბე კუნძულ აბერდინსა და კუნძულ ჰონკონგის სამხრეთ ნაწილს შორის. ეს ადგილი ბრიტანელი მეზღვაურებისა და ადგილობრივი მეთევზეების თავდაპირველი შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა.

ჰონკონგი ანუ ს ი ა ნ გ ა ნ ი – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი, აზიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო ცენტრია. კუნძული მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში, სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე. უჭირავს კუნძულ სიანგანის და ძიულუნის ნახევარკუნძული. მისი ფართობი 1060 კმ^2. მოსახლეობა 7 მილიონამდე. აქედან 98%-ზე მეტი ჩინელია. ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი სიანგანი (ვიქტორია). კუნძულის მოსახლეობის ოფიციალური ენებია ინგლისური და ჩინური. ოფიციალური კალენდარი გრიგორიანული. ფულის ერთეულია ჰონკონგის დოლარი.

გაზიარებული შეხედულების თანახმად ჰონკონგი სამ ნაწილად იყოფა: თავად ჰონკონგის ნახევარკუნძული, კოულუნი და ახალი ტერიტორიები. მთლიანობაში ჰონკონგს მიეკუთვნება სამხრეთ ჩინეთის ზღვის 262 კუნძული. სიდიდით მეორე და მოსახლეობით პირველი არის კუნძული ჰონკონგი.

არქეოლოგიური გათხრების თანახმად თანამედროვე ჰონკონგის ტერიტორიაზე მოსახლეობა 30 ათასზე მეტი წლის წინ გაჩნდა. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ცინის დინასტიის მმართველობის პერიოდში რეგიონი ჩინეთის შემადგენლობაში შევიდა. აქ იმდენად მძიმე საარსებო პირობები იყო, რომ გამრავლებული ჩინელი მიწათმოქმედი მოსახლეობა მხოლოდ XI საუკუნეში დასახლდა. ტიან-ის დინასტიის დროს ჰონკონგი – ოთხიდან ერთ-ერთი რაიონი ტ ი უ ნ მ უ ნ ი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ახალ ტერიტორიებად ითვლება, წარმოადგენდა სამხედრო-საზღვაო ბაზას, ნავსადგურს, მარილის წარმოების ცენტრს. ასევე, ბრილიანტის დამუშავების ადგილს.

პირველი ევროპელი, რომლის ვიზიტი ჰონკონგში დოკუმენტურად არის დადასტურებული 1513 წლით თარიღდება. ეს იყო პორტუგალიელი ჟ ო რ ჟ ა ლ ვ ა რ ე შ ი. ბრიტანეთის „ოსტ-ინდოეთის“ სავაჭრო წარმომადგენლობის კომპანიის გახსნის შემდეგ 1711 წელს ჰონკონგის ტერიტორიაზე გაიზარდა ბრიტანელთა რაოდენობა. ამ პერიოდში აბორიგენი მოსახლეობა მხოლოდ 5000 სულს ითვლიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად ინგლისელთა გამო-

ჩენით იწყება ჰონკონგის ცალკე ისტორია. სწორედ ბრიტანელები გახდნენ ის მამოძრავებელი ძალა, რომელთა მეშვეობითაც რეგიონის განვითარებამ უჩვეულო ტემპებს მიაღწია. მრავალი წლის განმავლობაში ეს ადგილები გაველურებულ და ჩამორჩენილ მხარედ ითვლებოდა. XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ჰონკონგის ნახევარკუნძული წარმოადგენდა ზღვაში განცალკევებულ ტყით დაფარულ მთას, სადაც მეწვრილმანეები ცხოვრობდნენ; ნახევარკუნძულზე იყო მხოლოდ მეთევზეთა ერთი პატარა სოფელი, ხოლო ზღვისპირა მთები მეკობრეთა თავშესაფარს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები (პორტუგალია, ჰოლანდია, საფრანგეთი) ამაოდ ცდილობდნენ დაემყარებინათ ჩინეთთან ოფიციალური ურთიერთობა და შეეღწიათ მის საზღვრებში. მათ მხოლოდ სამხრეთში, გუანჯოუში (კანტონი) მიეცათ ვაჭრობის უფლება. ეს ფაქტი კარგად გამოიყენა ინგლისმა.

ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის საწყის ეტაპზე ჩინეთის ექსპორტი მნიშვნელოვნად ჭარბობდა სავაჭრო ბალანსში. თავიდან ბრიტანელებმა ვერ შეძლეს მოეძებნათ ისეთი საქონელი, რომელიც დააინტერესებდა პარტნიორებს. და მაინც ცოტა ხანში ასეთი საქონელი „აღმოჩნდა". ბრიტანელმა და ჰოლანდიელმა კომერსანტებმა დაიწყეს ინდოეთში მოყვანილი ოპიუმის გაყიდვა გუანდუნში (მაშინ იგი ცნობილი იყო კანტონის სახელით), რომელიც ამ დროისათვის გახლდათ ერთადერთი ღია სავაჭრო პორტი ჩინეთში. ოც წელიწადში, 1839 წლისთვის, „ფუფუნების" ამ საგნის იმპორტი ისე გაიზარდა, რომ იმპერატორმა ქ ი ნ გ მ ა მისი შემოტანა საერთოდ აკრძალა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლორდ პ ა ლ მ ე რ ს ტ ო ნ ი ს პასუხი ისეთი იყო, როგორიც ნებისმიერ ღირსეულ უფროსს შეეფერება – ძალის გამოყენება საკუთარი ბიზნესის დასაცავად და გასაფართოებლად [1, 128].

1840 წლის ივნისში გუანჯოუს რაიონში ჩინეთზე ინგლისელთა თავდასხმის საბაბი გახდა 1839 წელს ჩინეთის მთავრობის კომისრის ლ ი ნ ძ ე-ს ი უ ს მიერ ოპიუმის დიდი მარაგის განადგურება, რითაც კონტრაბანდულად ვაჭრობდნენ ინგლისელები. ამავე წლის ბოლოს დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები ინგლისურ და ჩინურ სამხედრო გემებს შორის. აღნიშნულ დაპირისპირებას (1840-1842 წწ.) ეწოდა „ოპიუმის პირველი ომი". 1842 წლის შუა ხანებში ინგლისელებმა მიიტაცეს კუნძული სიანგანი (ჰონკონგი). ქვემეხიანი ნავების საშუა-

ლებით სამეფო ფლოტმა ჩაკეტა მდინარე პერლი და ჩაძირა ათობით ჩინური გემი. ინგლისელებმა დაიკავეს ქალაქები: დინხაი, ნინბო, სიამინი, შანხაი, ჯენძიანი და 1842 წლის აგვისტოში მიუახლოვდნენ ნანკინს. ჩინელი ხალხი წინ აღუდგა აგრესორებს, მაგრამ ცინის დინასტიის მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა [2, 132]. იმპერატორი იძულებული გახდა გაეხსნა შანხაი და სხვა რამდენიმე პორტი უცხოელი ვაჭრებისათვის. 29 აგვისტოს ხელი მოაწერეს ჩინეთისათვის პირველ არათანასწორუფლებიან ნანკინის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ჩინეთი ვალდებულებას კისრულობდა გაეხსნა ინგლისთან ვაჭრობისათვის ხუთი ნავსადგური, გადაეცა მისთვის კუნძული სიანგანი (ჰონკონგი), გადაეხადა კონტრიბუცია, დაეწესებინა შეღავათიანი საბაჟო ტარიფები და სხვა.

1843 წელს დამატებითი ოქმით ინგლისმა მოიპოვა ექსტერიტორიულობისა და იურიდიული შეუვალობის უფლება ჩინეთის ტერიტორიაზე. ამავე წელს ჰონკონგის ნახევარკუნძულზე დაარსდა ქალაქი ვიქტორია, ტერიტორიამ კი მონარქიის კოლონიის სტატუსი მიიღო. ჩინეთისათვის „ოპიუმის პირველი ომის" წაგება ნიშნავდა კარბონის – კაპიტალის ძალაუფლების უხეშ შემოსვლას. უძველესი ცივილიზაცია ამ შოკიდან სრულად აღარასოდეს გამოსულა.

1844 წელს ჩინეთმა ხელშეკრულებები დადო აშშ-სა და საფრანგეთთან, რომლითაც ამ ქვეყნებმა მიიღეს ინგლისის ანალოგიური პრივილეგიები. აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა სათავე დაუდეს ჩინეთის ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადაქცევას. ომის შედეგები მეტად მძიმე აღმოჩნდა ჩინეთის მოსახლეობისათვის. გაიზარდა გადასახადები, შრომითი ვალდებულებები. უცხოური საქონლის მოზიდვამ ძირი გამოუთხარა ხელოსნობასა და შინამრეწველობას. ამის საპასუხოდ გაძლიერდა სახალხო წინააღმდეგობა. მხოლოდ 1841-1849 წლებში ადგილი ჰქონდა 110 აჯანყებასა და მღელვარებას.

1850 წელს ტაიპინელთა რელიგიურმა სექტამ ხ უ ნ ს ი უ ც ი უ ა ნ ის მეთაურობით გუანძის პროვინციაში მოაწყო აჯანყება მანჯურიელთა წინააღმდეგ. ტაიპინელთა რაზმებმა 1853 წელს აიღეს ნანკინი და თავის დედაქალაქად გამოაცხადეს. 1856 წელს ტაიპინელთა თავკაცებს შორის მოხდა განხეთქილება, რამაც სერიოზულად დაასუსტა აჯანყებულები.

ინგლისმა ისარგებლა ჩინეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომით და 1856 წლის ოქტომბერში ქალაქ გუანჯოუს რაიონში საომარი მოქმედება დაიწყო ჩინეთის წინააღმდეგ. 1857 წლის დასაწყისში მას შეუერთდა საფრანგეთი. ასე დაიწყო „ოპიუმის მეორე ომი". ამავე წლის

ბოლოს ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს გუანჯოუ. 1858 წლის გაზაფხულზე ბრძოლის ველმა გადაინაცვლა დედაქალაქის პროვინცია ჯილის ტერიტორიაზე. მაისის თვეში ინგლის-საფრანგეთის არმიამ მიიტაცა ნავსადგური დ ა გ უ და თიანძინზე და პეკინზე შეტევის მუქარით აიძულა ჩინეთის მთავრობა ხელი მოეწერა თიანძინის კაბალურ ხელშეკრულებაზე. ერთი წლის შემდეგ ორივე აგრესორმა განაახლა საომარი მოქმედება. 1860 წლის აგვისტოში მათ მიიტაცეს თიანძინი, ოქტომბერში – პეკინი და ჩინეთის მთავრობას თავს მოახვიეს ახალი კაბალური ხელშეკრულება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ჩინეთის ნახევრად კოლონიად გადაქცევის გზაზე [2, 131]. ამავე დროს ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააძლიერეს დახმარება პეკინის მთავრობისადმი ტაიპინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. პეკინმა ამის შემდეგ შეძლო ტაიპინელთა აჯანყების ჩაქრობა.

„ოპიუმის მეორე ომში" ჩინეთის დამარცხების შემდეგ, პეკინის შეთანხმებიდან გამომდინარე, ბრიტანეთს გადაეცა ასევე კოულუნის ნახევარკუნძულის ტერიტორია და „ქვისმთლელთა" კუნძული.

1865 წელს სიანგანში გაიხსნა ბრიტანეთის ჰონკონგ-შანხაის ბანკი. 1898 წლის ივნისში ჩინეთისათვის თავს მოხვეული კონვენციით დიდმა ბრიტანეთმა 99 წლის ვადით იჯარით მიიღო ძიულუნის ნახევარკუნძულის კიდევ ერთი ნაწილი მომიჯნავე კუნძულებით (ე. წ. „ახალი ტერიტორიები"). ჰონკონგი პ ო რ ტ ო-ფ რ ა ნ კ ო დ გამოცხადდა. კოლონიაში დაფუძნდა ბრიტანული განათლების სისტემა.

XX საუკუნის დამდეგისათვის ჰონკონგი გახდა შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი კომერციული ცენტრი და ნავსადგური, ინგლისის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ჩინეთში. 1922 წლის 12 იანვარს აქ დაიწყო ჩინელ მეზღვაურთა გაფიცვა, რომელიც ორგანიზებული იყო 1921 წელს შექმნილი პროფკავშირების მიერ. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ს უ ჯ ა ო ჯ ე ნ ი. მეზღვაურები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სამუშაო ძალის დაქირავებასა და განაწილებაში პროფკავშირების მონაწილეობას. მას შემდეგ, რაც სიანგანის ინგლისურმა ხელისუფლებამ აკრძალა მეზღვაურთა პროფკავშირი, ამბოხება საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა. 100 ათასზე მეტმა მუშამ დატოვა სიანგანი და გადავიდა გუანჯოუში, სადაც სუნ იატსენის მთავრობა იმყოფებოდა. გაფიცვა დამთავრდა 1922 წლის 8 მარტს მეზღვაურთა გამარჯვებით [3, 319].

1924 წლიდან გუანჯოუში ფინანსურ დახმარებას იღებდნენ ჩინელი ვაჭრები – კომპრადორები, რომლებმაც ამბოხება მოაწყეს სუნ

იატსენის მთავრობის წინააღმდეგ. ამავე წლის ივნისის დასაწყისში გუანჯოუში აჯანყებამ იფეთქა, რომლის ცენტრში ვაჭართა რაზმები ან, როგორც ხალხში უწოდებდნენ, „ქაღალდის ვეფხვები“ აღმოჩნდნენ. აჯანყების დასაწყისში ქალაქში იმყოფებოდა 12 ათასი „ქაღალდის ვეფხვი“. მათ მფარველობას უწევდა ჰონკონგის ინგლისური ადმინისტრაცია. „ქაღალდის ვეფხვების“ ლიდერი იყო ჰონკონგის კომპრადორების წარმომადგენელი ჩ ე ნ ლ ი ა ნ ბ ო, რომელმაც ჰონკონგში დიდი რაოდენობის იარაღი შეიძინა გერმანული ფირმებისაგან [4, 44].

1925 წლის 1-2 ივნისს შანხაიში გამოსვლები დაიწყო, რომელსაც ჰონკონგ-გუანჯოუს 16 თვიანი გაფიცვა მოყვა. მთავრობამ კონფლიქტში უცხოელთა ჩარევის საწინააღმდეგო ზომები გაატარა. შეიზღუდა ეკონომიკური კავშირები ინგლისთან. გაფიცვა მიზნად ისახავდა ინგლისის კოლონია ჰონკონგში სასიცოცხლო მნიშვნელობის წარმოებათა პარალიზებას. ამ პერიოდში ჰონკონგი ათასობით მუშამ მიატოვა და მატერიკზე დაიწყეს გადასვლა. კოლონიის მოსახლეობა 40%-ით შემცირდა [4, 49].

ოპიუმის რეალიზაცია ჰონკონგიდან ჩინეთის სხვა პროვინციებშიც გავრცელდა; განსაკუთრებით XX საუკუნის 20-იან წლებში. აღნიშნულ ბიზნესში ჩინური მაფიაც ჩაერთო. უფრო მეტიც, მრავალი ჩინოვნიკი აიძულებდა გლეხებს ოპიუმის წარმოებას, ამყარებდნენ მონოპოლიას მის რეალიზაციაზე.

1928 წელს ჩან კაიში, როგორც სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, ნარკომანიის საწინააღმდეგო ზომებს ღებულობს. გომინდანის ოფიციალური პირები და მთავრობა თუ შემჩნეული იქნებოდნენ ნარკოტიკების მოხმარებაში (ასეთები კი ბევრი იყო), ეძლეოდათ სამი წლის ვადა სამკურნალოდ. მიღებული იქნა სპეციალური კანონები ოპიუმის მოწევის საწინააღმდეგოდ. ვინც უარს იტყოდა ნებაყოფლობით მკურნალობაზე, მას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. ამ საწამლავის ტრანსპორტირებაში და რეალიზაციაში შემჩნეულ პირებს ხვრეტდნენ, მათი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა [4, 119].

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჰონკონგი იაპონელებმა დაიპყრეს. იაპონელთა ოკუპაციას ხანმოკლე, მაგრამ მძიმე გამოდგა რეგიონის ისტორიაში. ჰიპერინფლაციისა და საკვები პროდუქტების პრობლემის გამო ჰონკონგის მოსახლეობა შემცირდა 1, 6 მილიონი ადამიანიდან 600 ათასამდე. 1945 წლის 15 აგვისტოს იაპონიამ დამარცხება აღიარა. დიდმა ბრიტანეთმა აღადგინა სუვერენიტეტი ჰონკონგზე.

ომის დამთავრების შემდეგ რეგიონის მოსახლეობა სწრაფად დაუბრუნდა ომამდელ დონეს და გადააჭარბა კიდეც.

ემიგრანტების პირველი ტალღა ჰონკონგში შემოვიდა სამოქალაქო ომის შემდეგ; მეორე – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებას მოჰყვა. ჩინეთის იზოლაციონისტური პოლიტიკის შედეგად, ჰონკონგი გახდა ჩინეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის ერთადერთი არხი იმიტომ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ჰონკონგი უპირატესად ჩინეთის ნაწილი იყო და შუამავლის როლს ასრულებდა ჩინეთის ვაჭრობაში კაპიტალისტურ სამყაროსთან [6. 13].

მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ძალის გამო, რეგიონის ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებული იყო საგარეო ბაზრის ექსპორტზე, სწრაფად განვითარდა. ამავე დროს ეკონომიკურად გაძლიერდა გუანდუნის პროვინცია. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოვლინდა, როდესაც კონტინენტის ძველმოდურ კომუნიზმსა და მეზობელი ჰონკონგის კაპიტალიზმს შორის არსებული იდეოლოგიური ზღვარი გადაილახა [1, 133].

შემოსავლებში შეუსაბამობანი აქ უფრო მეტად თვალსაჩინოა, ვიდრე ჩინეთის რომელიმე მხარეში. ერთი მხრივ, მას ესაზღვრება ჰონკონგი (პლანეტაზე მეათე ადგილი ყველაზე მდიდარი მოსახლეობით) და, მეორე მხრივ გ უ ა ნ ქ ს ი, ჩინეთის ყველაზე ღარიბი პროვინცია, სადაც საშუალო შემოსავალი ოცჯერ უფრო დაბალია. ამ ორ უკიდურესობას შორის მდებარე გუანდუნი დაძაბულობის, კრიმინალისა და კორუფციის ბუდეა. „შავი საზოგადოების" ბრიგადები, მაგალითად, „ტრიადები" ყოველთვის ძლიერი იყო ამ რეგიონში. ალბათ ნაწილობრივ კანტონის ტომების დაბალი კულტურის გამო. გარდა ამისა, მაკაოს აზარტული თამაშების ბუნაგები და ჰონკონგში იატაკქვეშა ბიზნესის შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ რეგიონში კრიმინალური სამუშაოს ასაყვავებლად [1, 134].

1967 წელს მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა კოლონიური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო, როგორც მუშათა გაფიცვა.

ჩინეთში გატარებული რეფორმების შემდეგ ჰონკონგი გახდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მთავარი წყარო. მოკლე ხანში ჰონკონგის ჩრდილოეთის საზღვართან შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონა – შ ე ნ ჩ ჟ ე ნ ი. ჰონკონგის საფინანსო და საბანკო სექტორი გახდა ეკონომიკის მთავარი ღერძი. შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1950 წლის მაისში ჩან კაიშის თანამებრძოლებმა ჰონკონგში, როგორც საიმედო ადგილზე, 50 მილიონი ჰონკონგური დოლარი გადარიცხეს [1, 310].

„ახალი ტერიტორიების“ საარენდო ვადის გასვლის მიწურულს, 1984 წელს დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომლის თანახმად 1997 წელს მოხდებოდა ჰონკონგის მთელი ტერიტორიის ჩინეთისათვის გადაცემა. ჰონკონგს უნდა მიეღო განსაკუთრებული ადმინისტრაციული ტერიტორიის სტატუსი ჩსრ-ს შემადგენლობაში. ჩინეთი მას უფლებას მისცემდა ჰქონოდა საკუთარი კანონები და ავტონომიის მაღალი დონე, როგორც მინიმუმ 50 წლის განმავლობაში.

მართლაც, 1997 წლის 1 ივლისს ჰონკონგის მრავალი ემიგრირებული მცხოვრების საწინააღმდეგო მოლოდინის მიუხედავად, დაპირება შესრულებული იქნა და შუაღამისას საზეიმო ვითარებაში ჩინეთს გადაეცა სუვერენიტეტი ჰონკონგზე [5].

დღეს რეგიონს გააჩნია უნიკალური სუვერენული სტატუსი და წარმოადგენს ბრიტანული წესრიგისა და ჩინეთის ისტორიის სიმბიოზს. დეკლარაციიდან გამომდინარე, ჩინეთის მთავრობა თავის თავზე იღებს საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის პასუხისმგებლობას. ამავე დროს ჰონკონგი იტოვებს კონტროლს კანონმდებლობაზე, პოლიციურ ძალებზე, ფულად სისტემაზე, საბაჟო და იმიგრაციულ პოლიტიკაზე. ასევე ინარჩუნებს წარმომადგენლობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ღონისძიებებში.

ჰონკონგის ჩინეთში დაბრუნება მშვიდობიანად მოხდა, ასეთი პრეცედენტები კი მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება. თუმცა შეუთავსებლობისა და დაპირისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად, დაპირისპირებული ორი სისტემის – ერთი მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმისა და მეორე მხრივ – ჰონკონგში კაპიტალიზმის არსებობა. ეს წინააღმდეგობა გადაილახა ძირითადად ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკური ნებით [7, 19-20].

1997 წლის 30 ივლისს ჰონკონგში მთავრობის სახლზე აღმართული დიდი ბრიტანეთის დროშა დაუშვეს, რაც იმას მიანიშნებდა, რომ 155 წლის წინ დათმობილ ჰონკონგზე აღდგა ჩინეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ამ ხნის განმავლობაში ჰონკონგმა მოახდინა სასწაული. სოფლები, რომელთა მოსახლეობა ძირითადად მეთევზეობას მისდევდა, გადაიქცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმნიშვნელოვანეს მსოფლიო საფინანსო ცენტრად, ერთ-ერთ ულამაზეს მეგაპოლისად თავისი 7 მილიონიანი მოსახლეობით [7, 23].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჯონათან უოტსი, ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში, თბილისი, 2012.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბილისი, 1980.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბილისი, 1985.
4. В. Воронцов, Судъба китайского Бонапарта, Москва, 1989.
5. http://www.art-offshore.ru.
6. ლი კუან იუ, მესამე სამყაროდან პირველში, თბილისი, 2012.
7. ჯ. გახოკიძე, ს. მიდელაშვილი, ჰონკონგი, ჩინეთი 1997 განსჯისათვის, თბილისი, 2014.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the Head of the Department of Modern and Contemporary History of the Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology

From the History of Hong-Kong

Summary

In the centre of attention of the modern society opinion there is the part of China – Hong-Kong phenomenon: „one country, two systems". The name „Hong-Kong" means „fragrant harbor" and it's an administrational region of PRC. Population is under 6 million where above 98% is Chinese. The peninsula became a colony of England after „The First Opium War" by the treaty of Nanking in 1842, 29 August.

In 1997, 1 July according to the England-China declaration Hong-Kong was passed to China on 50 years term. The government of Chine assumes the foreign policy and defence responsibility. Hong-Kong takes control over the legislation, police force, fund system, custom and immigration policy. Also it keeps the representation in various organizations and arrangements.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის სტრატეგიებისა და ომების ევოლუციის კურსის უფროსი ინსტრუქტორი

ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციისათვის

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამ ლენინსა და მის თანამებრძოლებს „ოქტომბრის მონაპოვრების“ განმტკიცებისა და განვრცობისათვის ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. რუსეთი და მისი მოსახლეობა კი, სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის ღრმა წყვდიადისათვის იქნა გაწირული. თუმცა, ბოლშევიკთა შეიარაღებული აქტივობისათვის იდეოლოგიური სამზადისი არც მხოლოდ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერით დაწყებულა და არც მისით არ დასრულებულა.

I მსოფლიო ომის დაწყებამ ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია მარქსისტული მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი დებულება კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მშვიდობიანი გზის შესახებ. კაცობრიობამ შეძლო თავი დაეღწია „მატერიალისტური წუმპისათვის“, როგორც ამას თავის დროზე დიდი პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე წინასწარმეტყველებდა... და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი“ დამყარდა. დაიწყო I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწევდა. აკი სწორედ ფონ მოლტკე შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული სამხედრო აზრის მთავარ აპოლოგეტად, როცა სტრატეგიული გარშემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციას უყრიდა საფუძვლებს. და ამავე დროს, კაცთა მოდგმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს: „ომი ღმერთისგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე. სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობის ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა“ [1, 256].

„ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ I მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოწყობის გზა კი ნამდვილად შეიცვალა. და ამ ცვლილებების პიონერებად რუსეთი და რუსი ბოლშევიკები იქცნენ. ევროპაში კი, ნაციონალური სიამაყის გრძნობამ გვერდზე გადასწია მარქსისტული ინტერნაციონალიზმის იდეები, რომლისადმი ერთგულების შენარჩუნებაც რადიკალურად განწყობილი სოციალისტების მხოლოდ მცირე ჯგუფმა შეძლო. ევროპის მუშათა მოძრაობა კი, II ინტერნაციონალის დაარსებიდან ყველაზე დიდი განხეთქილების ფაზაში შევიდა. II ინტერნაციონალი I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიშალა, როდესაც მასში გაერთიანებულმა ყველა წამყვანმა პარტიამ, ბოლშევიკების გამოკლებით, მხარი თავიანთი ქვეყნების მთავრობებს დაუჭირა. ასე გაჩნდა რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მარგინალური იდეოლოგიის განმსაზღვრელი ტერმინები – „პორაჟენცები“ და „ობორონცები“. „პორაჟენცებად“ რუსი ბოლშევიკები ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც I მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის დამარცხება და მსოფლიო ომის რუსეთის სამოქალაქო ომად გადაქცევა დაისახეს მიზნად. რუსეთის სხვა სოციალისტური ტიპის პარტიები, და პირველ რიგში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მენშევიკური ფრთის წევრები კი, რომლებიც ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანას უჭერდნენ მხარს, „ობორონცებად“ ჩამოყალიბდნენ. „პორაჟენცების“ ლიდერს ვლადიმერ ლენინი წარმოადგენდა, „ობორონცებისას“ კი – გიორგი პლეხანოვი და ქართველი ორთოდოქსი სოციალ-დემოკრატები.

I მსოფლიო ომთან დამოკიდებულება და რუსული სოციალ-დემოკრატიის სტრატეგიის შემუშავება ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის საწყის ეტაპზე დაიწყეს. რევოლუციური მარქსიზმი ბოლშევიკებს საერთაშორისო პრინციპებისადმი ერთგულებას ავალდებულებდა. რუსმა ბოლშევიკებმა, ვ. ლენინისა და ი. სტალინის ხელმძღვანელობით, ომში მონაწილე ყველა ქვეყნის „მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანების“ იდეა წამოაყენეს, რაც მსოფლო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას გულისხმობდა. მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის მთავრობების დამარცხება კი, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების წინაპირობად იქნა დასახული.

ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყების საწყის ეტაპზე, 1914 წლის სექტემბერში შვეიცარიაში, ბერნში გამართულ ბოლშევიკთა შეხვედრაზე, შემდეგ კი ცეკას ისტორიულ მანიფესტში „ომი და რუ-

სული სოციალ-დემოკრატია", რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის ცნობილი „თეზისები ომის შესახებ", ბოლშევიკებმა ნათლად ჩამოაყალიბეს თავისი პოზიციები და მოქმედებების ტაქტიკა ომთან, მშვიდობასთან და რევოლუციასთან მიმართებაში.

1. იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად და საკუთარი ქვეყნის მთავრობის დამხობა;

2. მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანება, შოვინიზმის ნებისმიერი სახის წინააღმდეგ გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება, კოლონიათა ხალხების გათავისუფლება იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან;

3. ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექმნა. და მისი ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნგის „გერმანული, პოლონური, რუსული და ა. შ. რესპუბლიკების" პროპაგანდა. ამასთან ერთად, ევროპის თითოეული სახელმწიფოს გადაქცევა ევროპის რესპუბლიკურ შეერთებულ შტატებად" [2, 4].

უკვე 1915 წელს, I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ვ. ლენინმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სტრატეგიული ინტერესების არეალიც გააფართოვა. ამჯერად მის სამიზნეში არა მხოლოდ ევროპა, არამედ მთელი მსოფლიო აღმოჩნდა – „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ლოზუნგი „მსოფლიოს შეერთებული შტატები" მართალი იქნება იმიტომ რომ, პირველ რიგში ის სოციალიზმს ერწყმის; მეორე კი ისაა, რომ მან შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ამ ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში" [3].

უმძიმესი და დამღლელი, გამანადგურებელი ომის მესამე წლის თავზე რუსი ჯარისკაცისათვის ბრეტ-ლიტოვსკის ზავით ომიდან რევოლუციური გამოსვლის პერსპექტივა რეალობად იქცა. ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი, ისარგებლა რა მემარცხენეთა გამოსვლებით, ლენინმა III ინტენაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის, ანუ „კომინტერნის" შექმნა დაისახა მიზნად, რომლის ამოცანასაც მსოფლიოს ყველა სოციალისტური პარტიის გაერთიანება და რევოლუციური მოძრაობის განვრცობა წარმოადგენდა [4].

და მაინც რა გზით უნდა ებრძოლათ ბოლშევიკებს „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ? როგორ ესმოდათ და რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული ცნება – რევოლუცია?

ახალი თეორიებისა და კონცეფციების ჩამოყალიბებას არ შევუდგებით, რადგან ამ საკითხების შესახებ ათწლეულების განმავლობაში ასობით „ჭკვიან თავებს“ უმუშავიათ და ველოსიპედის მეორედ გამოგონებაც არაა საჭირო. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ „მეცნიერული კომუნიზმის“ ერთ-ერთ ფუძემდებელს, ფრიდრიხ ენგელსს დავესესხებით.

მაშ ასე – რა არის რევოლუცია?

ენგელსისეული განმარტება ასეთია: „რევოლუცია ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ყველაზე ავტორიტარული რამაა, რაც კი შესაძლებელია რომ წარმოვიდგინოთ. რევოლუცია აქტია, რომელშიც მოსახლეობის ნაწილი თავის ნებას ახვევს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს თოფების, ხიშტებისა და ზარბაზნების, ანუ განსაკუთრებით ავტორიტეტული საშუალებების მეშვეობით. და თუ გამარჯვებულ პარტიას არ სურს დაკარგოს თავისი ძალისხმევის ნაყოფი, მან თავისი ბატონობა უნდა შეინარჩუნოს იმ შიშის დანერგვით, რომელსაც რეაქციონერებს ჩაუნერგავს ეს იარაღი“ [5, 305].

ძალიან გაურანდავი და პროზაული განმარტებაა, მაგრამ დედაზრი ნათლადაა ჩამოყალიბებული. უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ: „რევოლუცია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ დანარჩენ ნაწილზე თავს მოხვეული ტერორი, ძალადობა და თვითნებობაა“. და აქ უკვე ყველაფერი ნათელია, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. დიახ, ბოლშევიზმი და რევოლუცია სხვა არაფერია, თუ არა ძალადობის, ტერორისა და თვითნებობის იდეოლოგია, რომლის ერთგული მიმდევრებიც იყვნენ ლენინიც და მისი თანამებრძოლებიც. ხოლო რაც შეეხება იმპერიალიზმის განმარტებას, იგი ლენინის ცნობილ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია“ შეგვიძლია მოვძებნოთ – „პოლიტიკურად, იმპერიალიზმი არის ძალადობისა და რეაქციისაკენ სწრაფვა“ [6, 388].

ვერაფერს ვერ ვიტყვით, გულწრფელი აღიარებაა. ყოველივე ამას კი ძალიან საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. ფაქტია, რომ ერთის მხრივ გვაქვს ტრიადა – „რევოლუცია, ბოლშევიზმი, იმპერიალიზმი“. და მეორეს მხრივ ისმება კითხვა – რა კავშირია ტრიადის ამ ელემენტებს შორის? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა ცარისტული იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე სამოქალაქო ომის სისხლიანი კალო გალეწეს, რასაც

ათასობით და ათასობით თანამემამულის სიცოცხლე შეეწირა, საომარი მოქმედებები გააჩაღეს პოლონეთის წინააღმდეგ, ძალის გამოყენებით მოახდინეს უკრაინის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია, ორგანიზება გაუკეთეს შეიარაღებულ გამოსვლებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში (უნგრეთი, ბავარია, სპარსეთი), მაშინ ძალიან სამართლიანი იქნება თუ რევოლუციას, ბოლშევიზმსა და იმპერიალიზმს შორის ტოლობის ნიშანსაც დავსვამთ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბოლშევიკებმა გლობალური პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა იგრძნეს. ბევრ მათგანს სჯეროდა, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება უახლოესი მომავლის საკითხი იყო. ბოლშევიკური გადატრიალების მეორე დღესვე, 1917 წლის 26 ოქტომბერს გამართულ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე, ლევ ტროცკი დიდი შთაგონებით აცხადებდა, რომ „ევროპული რევოლუციის გაღვივების საქმეში, ჩვენი რევოლუციის იმედები გვაქვს. თუ ევროპის აჯანყებული ხალხები არ გასრესენ იმპერიალიზმს, მაშინ ჩვენ თვითონ გაგვსრესენ – ეს უდავოა. ან რუსული რევოლუცია ააგორებს ბრძოლის ქარიშხალს დასავლეთში, ან თავად ჩვენ დაგვახრჩობენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები“ [7, 272]. 1918 წლის 1 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში კი, ლენინი სვერდლოვსა და ტროცკის სწერდა: „...საერთაშორისო რევოლუცია ისე მოგვიახლოვდა... რომ იგი უახლოესი დღეების საკითხია“ [8, 185].

ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. უკვე 1918 წლის 7 მარტს რკპ(ბ) VII საგანგებო ყრილობაზე გამოსვლისას ვ. ლენინი ცეკას მიერ ჩატარებული სამუშოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, პოლიტიკური ანგარიშით წარდგა: „რადგან ჩვენი რევოლუცია მოხდა ამ ბედნიერ მომენტში, როდესაც მტაცებელთა ვერც ერთმა გიგანტურმა ჯგუფმა ვერ შეძლო ვერც დაუყოვნებლივ დასხმოდა ერთმანეთს თავს და ვერც ჩვენს წინააღმდეგ მოახერხეს გაერთიანება – მხოლოდ ამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტით შეეძლო ესარგებლა და ისარგებლა კიდეც ჩვენმა რევოლუციამ, რათა განეხორციელებინა თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლა ევროპულ რუსეთში, გავრცელებულიყო ფინეთში, დაიწყოს კავკასიის, რუმინეთის დაპყრობა“ [9, 9]. დიახ, ზუსტად ეს სიტყვა არის ნახმარი – „დაპყრობა!“ (Завоёвывать – ა. ჩ.).

ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა არა მხოლოდ ომიდან გამოიყვანა რუსეთი, არამედ საშუალება მისცა მას, რომ საერთაშორისო იზოლაციისთვისაც დაეღწია თავი. და კრემლშიც იმაზე დაიწყეს ფიქრი, თუ რა მიმართულებით, რომელ ქვეყანაში და რა სქემით დაეწყოთ „პროლეტარული რევოლუციის" ექსპორტი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები (ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი, განეცკი, სვერდლოვი, რადეკი, იოფე და ა.შ.) გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს უთმობდნენ. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1918 წლის მაისიდან, ბერლინში, ადოლფ იოფეს ხელმძღვანელობით, ფუნქციონირება დაიწყო რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ, რომელიც ბოლშევიკთა რევოლუციური გამოცდილების გაზიარებისა და პროპაგანდის მთავარ ცენტრად იქცა. ამ ცენტრის მუშაობაში ავსტრო-უნგრეთის ქალაქ ლემბერგში (დღევანდელი ლვოვი) დაბადებული ბოლშევიკი რევოლუციონერი, კაროლ სობელზონი – კარლ რადეკიც იქნა ჩართული. რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ამ წარმომადგენლობის წინაშე მარტივი და ნათელი ამოცანა იქნა დასახული: „ჩვენებმა საზღვარგარეთ უნდა იბრძოლონ იმ მოსაზრებების წინააღმდეგ, რომ მხეცებად და ბოროტმოქმედებად არ ჩაგვთვალონ" [10].

ბერლინის, ბერნისა და ვენის წარმომადგენლობების მეშვეობით დაიწყო ომის შედეგად დარღვეული პოლიტიკური კავშირების აღდგენა თანამოაზრეებთან. რეალურად კი, მოსკოვის გათვლა შემდეგში მდგომარეობდა: დაფუძნებულ რეზიდენტურებსა და დიპლომატიურ სტატუსს ამოფარებულ კრემლის ემისრებს, იოფესა და რადეკს, აგიტაციებითა და პირდაპირი მოსყიდვებით „რევოლუციური კოცონი" უნდა აეგიზგიზებინათ გერმანიასა და ავსტრიაში. დიდი თანხები იხარჯებოდა „ოთხთა კავშირის" ქვეყნებში სააგიტაციო მასალების გასავრცელებლად, სადაც ამ ქვეყნების „მუშათა კლასს" გადამჭრელი მოქმედებებისაკენ, საბჭოთა რუსეთის მიბაძვისა და ხელისუფლების ძალით მიტაცებისაკენ მოუწოდებდნენ.მიმდინარე ომის ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში ერთობ პოპულარული შეიქმნა რევოლუციური ლოზუნგი – „გავაკეთოთ როგორც რუსეთში!"

ზუსტად ასეთი სქემით ხორციელდებოდა ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1920 წლიდან, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებიც, როდესაც თბილისში დაფუძნებული ე.წ. „საბჭოთა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური წარმომადგენლობა" რეალურად ბოლშევიკთა სადაზვერვო-ძირგამომ-

თხრელი მუშაობის ცენტრსა და რუსეთის ГРУ-ს (მთავარი სამხედრო-სადაზვერვო სამმართველო) რეზიდენტურას წარმოადგენდა. გერმანიაში (ისევე როგორც შემდგომ საქართველოშიც) კრემლის ემისართა აგენტურული და ძირგამომთხრელი მუშაობა იმდენად აშკარად და ღიად მიმდინარეობდა, რომ მალე მათმა საქმიანობამ თვით გერმანიის საიმპერატორი ჯარების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ერიხ ლუდენდორფის ყურამდეც კი მიაღწია. ლუდენდორფმა გააკრიტიკა მთავრობა, რომელიც: „მშვიდად უყურებდა იმას, თუ როგორ არიგებდა ბერლინში იოფე ფულებს და ავრცელებდა მოწოდებებს რევოლუციის მოსამზადებლად“ [11, 296]. ბოლოს და ბოლოს, 1918 წლის ნოემბრისათვის, ანტისახელმწიფოებრივი და ძირგამომთხრელი აგენტურული მუშაობისათვის გერმანიის ხელისუფლებმა რადეკი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, ხოლო „დიპლომატი“ იოფე ქვეყნიდან გააძევეს.

რუს ბოლშევიკებსა და მათ თანამოაზრეებს აღაფრთოვანებდათ ის აზრი, რომ ომის დასრულებისთანავე იმპერიალიზმის კრახს თან მიჰყვებოდნენ ევროპის ზომიერი სოციალისტური პარტიების ლიდერებიც, რადგან ბოლშევიკების მიერ ისინი მუშათა კლასზე ბურჟუაზიის იდეების გამტარებელ ინსტრუმენტად განიხილებოდნენ. მაგრამ ბოლშევიკებმა მალე აღმოაჩინეს, რომ „II ინტერნაციონალის აყროლებულმა ლეშმა“ (Смердящий труп – ვ. ლენინის ტერმინოლოგიაა – ა. ჩ.) ძალების მოკრება დაიწყო. ბოლშევიკებმაც არ მოადუნეს „რევოლუციური სიფხიზლე“ და შესაბამისი კონტრზომების გატარება დაიწყეს. II ინტერნაციონალის რეანიმაციის პროცესებთან დასაპირისპირებლად და მემარცხენე ალტერნატივის ჩამოსაყალიბებლად, 1918 წლის დეკემბრიდან მოსკოვში ახალი ინტერნაციონალური გაერთიანების – „III ინტერნაციონალის“, „კომუნისტური ინტერნაციონალის“, ანუ „კომინტერნის“ შექმნისაკენ მოწოდებები გაისმა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 1917 წლის დასაწყისში საუბრობდა ლენინი თავის ცნობილ „აპრილის თეზისებში“ – „ზუსტადაც ჩვენ, ზუსტადაც ახლა, და დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი, რევოლუციური, პროლეტარული ინტერნაციონალი“ [12, 177]. და აი, ახლა დადგა დრო, რომ თეზისებში გაჟღერებული იდეები რეალობად უნდა ქცეულიყო.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მის წინაშე მდგარი საგარეო პოლიტიკურ ამოცანათა გადაჭრა მარქსისტულ-ლენინური სწავლების იდეოლოგიური ხაზის შესაბამისად წარიმართა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბოლშევიკები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ

რუსეთის რევოლუცია ბიძგს მისცემდა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც ჯერ ევროპას, შემდეგ კი, მთელ მსოფლიოს გადაწვდებოდა. ამ პროცესებზე გავლენის მოპოვებისა და მოქმედებების კოორდინირებისათვის კი, სწორედ „კომინტერნის" სასწრაფოდ შექმნა იყო საჭირო. რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციამ მოიწონა ლენინის ეს იდეა და დაავალა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს "დაუყოვნებლივ გადაედგა ნაბიჯები III ინტერნაციონალის დასაარსებლად" [13, 9].

გათვლები პირველ რიგში გერმანიის პროლეტარიატზე გაკეთდა, რადგან ბოლშევიკთა ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ მათ დიდი საბრძოლო პოტენციალი გააჩნდათ, ამავე დროს, გერმანია განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ამ რეზოლუციამ რეალურად ფრთების შესხმა და მოქმედებების დაწყება მხოლოდ ნოემბრის თვეში, გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ შეძლო. უკვე ოქტომბერში, გერმანიაში დაწყებული მღელვარებებით აღტაცებული ბოლშევიკთა ლიდერი წერდა: „კრიზისი გერმანიაში სულ ახლახანს დაიწყო. და იგი გარდაუვლად გერმანიის პროლეტარიატის ხელში ხელისუფლების გადასვლით დასრულდება... ახლა სხვა ქვეყნების ყველაზე დაბრმავებული მუშებიც დაინახავენ, რა მართლები იყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც მთელ თავის ტაქტიკას მსოფლიოს მუშათა რევოლუციის მხარდაჭერაზე აგებდნენ და არ უშინდებოდნენ სხვადასხვა უმძიმესი მსხვერპლის გაღებას" [14, 97-98].

კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი, დამფუძნებელი კონგრესი სასწრაფოდ იქნა მოწვეული მოსკოვში 1919 წლის 2 მარტს. ამ აჩქარებას თავისი მიზეზები ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკებს ხელში უნდა ეგდოთ ევროპელი სოციალ-დემოკრატების ინიციატივა, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას თებერვალში აპირებდნენ ბერნში, რომლის ამოცანასაც ომის დროს დაშლილი II ინტერნაციონალის აღდგენა წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიით, კომინტერნის დამფუძნებელი I კონგრესი საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთ გრანდიოზულ აქტადაა შეფასებული. რეალობაში კი კონგრესის მასშტაბები ძალიან მოკრძალებული იყო. მასში სულ 52 დელეგატი მონაწილეობდა. ბუნებრივია ყველაზე მეტი დელეგატი რსდმპ(ბ)-ს წევრებზე მოდიოდა. ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებთან მიმართებაში კი შემდეგი სურათი იყო: საქართველოს დელეგატს თენგიზ ჟღენტი წარმოადგენდა, სწორედ ის თენგიზ ჟღენტი, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1921 წლის მარტში, აჭარის რევკომის წევ-

რად მოევლინა საქართველოს, აზერბაიჯანისას – მირ ჯაფარ ბაგიროვი, სომხეთისას – გურგენ აიკუნი, ხოლო თურქეთისას – მეჰმედ მუსტაფა სუფი, რუსეთში მოღვაწე თურქი კომუნისტების ლიდერი. კონგრესის მისასალმებელი სიტყვა ცხადია ლენინმა წაიკითხა, აღმასკომის ბიურო კი შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა: გრიგორი ზინოვიევი – თავმჯდომარე; ლენინი, ტროცკი, რაკოვსკი და პლატენი – წევრები.

კონგრესმა მიიღო მანიფესტი, რომელიც ტროცკის მიერ იყო დაწერილი: „უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლის ეპოქა უფრო მოგვიანებით დადგა, ვიდრე ამას სოციალური რევოლუციის მოციქულები წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ იგი მაინც დადგა. ჩვენ, კომუნისტები, ევროპის, ამერიკისა და აზიის რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვში შევიკრიბეთ, იმ საქმის მემკვიდრეებად და შემსრულებლებად ვთვლით თავს, რომლის პროგრამაც 72 წლის წინ იქნა გაცხადებული. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობა, რომ განვაზოგადოთ მუშათა კლასის რევოლუციური გამოცდილება, გავწმინდოთ მოძრაობა სოციალ-პატრიოტიზმისა და ოპორტუნიზმის ხრწნადი მინარევებისაგან, გავაერთიანოთ მსოფლიო პროლეტარაიტის ჭეშმარიტად რევოლუციური პარტიები და ამით გავაიოლოთ და დავაჩქაროთ კომუნისტური რევოლუციის მთელს მსოფლიოში გამარჯვება. თუ I ინტერნაციონალი აღგვაფრთოვანებდა შემდგომი განვითარებით და ამის გზებს სახავდა, თუ II ინტენაციონალი მილიონობით პროლეტარს კრებდა და ორგანიზებას უკეთებდა მათ, III ინტერნაციონალი ღია მასიური მოქმედების ინტერნაციონალია, რევოლუციური აღსრულების ინტერნაციონალია, საქმის კეთების ინტერნაციონალია“ [15].

III ინტერნაციონალის უმაღლესი ორგანო, კონგრესი, ირჩევდა კონგრესებს შორის კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის პირველ თავმჯდომარედ გრიგორი ზინოვიევი იქნა არჩეული, ხოლო 1920 წლიდან აღმასაკომის წევრებს წარმოადგენდნენ: ნ. ბუხარინი, კ. რადეკი, მ. კობეცკი, მ. ტომსკი, გ. ციპეროვიჩი. კანდიდატებს: ვ. ლენინი, ი. სტალინი, ი. ბერზინი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად III ინტერნაციონალის ეროვნული სექციები თანაბარუფლებიანები იყვნენ, რეალურად, რუსეთის კომპარტიის წარმომადგენლები დომინირებდნენ ორგანიზაციის მუშაობაში და გადაწყვეტილებების მიღებაშიც მთავარ როლს ისინი ასრულებდნენ.

III ინტერნაციონალი ცენტრალიზებული ორგანიზაცია იყო,

რომელიც ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების კომუნისტური პარტიების გაეთიანებას და ამავ დროს ერთიან მსოფლიო კომუნისტურ პარტიას წარმოადგნდა, რომელთა ე.წ. „ნაციონალური სექციებიც" ვალდებულნი იყვნენ კომინტერნის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებები შეესრულებინათ. სრულად რომ გავიაზროთ თუ რას წარმოადგენდნენ ნაციონალური სექციები III ინტერნაციონალში და როგორი იყო ის როლი, რასაც მათ რუსი ბოლშევიკები ანიჭებდნენ, ბუხარინის გამოსვლიდან მოვიტანთ ნაწყვეტს, რომელიც მან აღმასკომის III პლენუმზე წარმოთქვა: „ახალი ინტერნაციონალი უნდა წარმოადგენდეს ერთიან ორგანიზაციას, რომელშიც ნაციონალური მომენტი სრულად იქნება დამოკიდებული ინტერნაციონალურზე. აქედან გამომდინარე, ნაციონალური გადაწყვეტილებები სრულად დაემორჩილება პროლეტარიატის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო გადაწყვეტილებებს" [16, 55]. სულ მალე „პროლეტარიატის მსოფლიო ორგანიზაციის" მიერ „საერთაშორისო გადაწყვეტილებების" მიღების დროც დადგა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლშევიკთა მოლოდინები მართლდებოდა. მართლაც, 1918 წლის ნოემბერში რევოლუციები მოხდა გერმანიასა და ესტონეთში, იმავე წლის დეკემბერში – ლიტვასა და ლატვიაში. 1919 წლის მარტში – უნგრეთში, აპრილში – ბავარიაში, ხოლო ივნისში საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნა ჩეხოსლოვაკიაში.

„პროლეტარული მსოფლიო რევოლუციისაკენ" მიმავალ დიად გზაზე, რუსი ბოლშევიკების მიერ მხოლოდ აგიტაციასა და უხვ ფინანსებზე არ იქნა ცხადია გათვლები გაკეთებული. ბოლშევიკთა მიერ საქმეში უფრო წონადი არგუმენტიც – „ოქტომბრის რევოლუციის პირმშო" – „მუშურ-გლეხური წითელი არმიაც" (РККА – Рабоче-крестьянская Красная армия) იქნა ჩართული. ბოლშევიკი ინტერნაციონალისტები ისე იყვნენ აღტაცებულები და ისე ჩქარობდნენ დიადი მისიის აღსრულებას, რომ კომინტერნის ფორმალურ დაფუძნებასაც კი არ დალოდებიან, ისე გადავიდნენ აქტიურ მოქმედებებზე. კომინტერნის დამფუძნებელი კონგრესი 1919 წლის 2-4 მარტს გაიმართა მოსკოვში, მაშინ როცა, „მუშურ-გლეხური წითელი არმიის" შენაერთებმა შეტევითი სამხედრო მოქმედებები დასავლეთით, პოლონეთისა და გერმანიის მიმართულებით უკვე 1918 წლის ბოლოდან დაიწყეს. დასმული იქნა სამხედრო-პოლიტიკური ამოცანაც – „პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის" გზით „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნა. იდეა და ამოცანა მართალია, ძალიან ბუნდოვანი, ძალიან სათუო და ამორფული იყო, მაგრამ სამაგიეროდ ძალი-

ან რევოლუციური და ძალიან გაბედული. კრემლის იდეოლოგთა აზრით, საერთო ჯამში, პოლონეთისა და გერმანიის გასაბჭოების შემდეგ, რუს ბოლშევიკთა მიერ დაწყებული შეიარაღებული ექსპანსია „მსოფლიო რევოლუციაში“ უნდა გადაზრდილიყო. და სწორედ კომინტერნს უნდა ეტვირთა ამ დიადი მისიის დამგეგმავი და მმართველი ორგანოს როლი, იგი უნდა გამხდარიყო „მსოფლიო რევოლუციის გენერალური შტაბი“.

ლევ ტროცკიმ, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, ვორონეჟში გამოსვლისას თავის მოხსენებაში – „მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე“ – განაცხადა: „...თავისუფალი ლატვია, თავისუფალი პოლონეთი და ლიტვა, თავისუფალი ფინეთი, ისევე როგორც თავისუფალი უკრაინა, არ შეიქმნებიან დაბრკოლებად, არამედ შემაერთებელ რგოლად იქცევიან საბჭოთა რუსეთსა და მომავალ საბჭოთა გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთს შორის. ეს ფედერაციის, ევროპული კომუნისტური ფედერაციის, ევროპული პროლეტარული რესპუბლიკების კავშირის საწყისი იქნება“ [17, 45]. ძალიან მალე ტროცკი თავისი იდეოლოგიის გავრცელებისა და რეალური ქმედებების არეალს აფართოებს და III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას უკვე დასავლეთ ევროპასა და მთელ მსოფლიოშიც გეგმავდა. იგი ღრმად იყო იმაში დარწმუნებული, რომ დადგებოდა დრო, როცა რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა: „თუ დღეს III ინტერნაციონალის ცენტრს მოსკოვი წარმოადგენს, – ჩვენ ამაში ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, – ხვალ ეს ცენტრი დასავლეთისაკენ გადავა: ბერლინში, პარიზში, ლონდონში... და საერთაშორისო კომუნისტური კონგრესის გამართვა ბერლინში ან პარიზში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მაუწყებელი იქნება ევროპაში, და ესე იგი მთელ მსოფლიოშიც“ [18, 39]. რკპ(ბ)-ს VIII ყრილობის პროტოკოლში, რომელიც 1919 წლის 18-23 მარტს მიმდინარეობდა, ვკითხულობთ: „მხოლოდ პროლეტარულ, კომუნისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შექმნა იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომმა... პაციფიზმი, კაპიტალიზმის დროს საყოველთაო განიარაღებისა და მომრიგებელი სასამართლოების გამართვის ლოზუნგები წარმოადგენს არა მარტო რეაქციულ უტოპიას, არამედ მშრომელთა პირდაპირ მოტყუებას... საჭიროა პრინციპული, გადამწყვეტი გამიჯვნა და დანდობელი ბრძოლა სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ გარყვნილებათა (Извращенцы – ა. ჩ.) წინააღმდეგ, რომლებმაც ოფიციალური სოციალ-დემოკრატი-

ული და სოციალისტური პარტიების მმართველობაში მიაღწიეს გამარჯვებას“ [19, 46].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალისტური პარტიის კომინტერნში მიღებისათვის 1920 წლის 30 ივლისს ლენინის მიერ შემუშავებულ იქნა 21 აუცილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წამოადგენდა „თავიანთი იმპერიალისტების მიერ კოლონიებში განხორციელებული ქმედებების დაუნდობელი მხილება საქმით და არა სიტყვით, განმათავისუფლებელი ბრძოლების მხარდაჭერა და თავიანთი იმპერიალისტების გამოდევნა კოლონიური ქვეყნებიდან...“ [20, 14]

1921 წელს, როგორც კომინტერნის ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულება, ჩამოყალიბებულ იქნა – „აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტი“ (ამკუ) („Коммунистический университет трудящихся Востока“ (КУТВ). მოგვიანებით მას ი. ბ. სტალინის სახელიც მიენიჭა. სხვადასხვა წლებში ამ უნივერსიტეტში სწავლობდნენ ათეულობით ქვეყნის 73 ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის: დენ სიაო პინი და ხო ში მინი. საბოლოოდ, 1938 წელს, ახალი რეალობებიდან გამომდინარე, ეს უნივერსიტეტი დაიხურა [21, 127-128]. როდესაც 1919 წლის 13 აპრილს მიუნხენში კომუნისტმა ექსტრემისტებმა პუტჩი მოაწყვეს, ისარგებლეს რა ქალაქის ძალოვანი სტრუქტურების სისუსტით და ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს, ტროცკი ზეიმობდა. ბავარიის მოვლენებმა მას იმედები ჩაუსახა, რომ მსოფლიო რევოლუციის კოცონმა უკვე დაიწყო გიზგიზი და მას ველარაფერი ველარ ჩააქრობდა. ბავარიიდან მოსულმა ამბებმა ტროცკიზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან ასეთი ნაჩქარევი პოლიტიკური პროგნოზიც კი დადო: „საბჭოთა გერმანია, – განაცხადა მან, – საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებული, ყველა ერთად აღებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება“ [22, 90]. ხოლო კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარე, გრიგორი ზინოვიევი, უკვე 1919 წლის ოქტომბერში აცხადებდა, რომ ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო რევოლუციამ მთელი ევროპა მოიცვა. II კონგრესზე მანვე განაცხადა, რომ „კომინტერნის III კონგრესი, რომელიც 1920 წლის აგვისტოში უნდა გაიმართოს, უკვე ბერლინში, შემდეგ კი, პარიზსა და ლონდონში ჩატარდება...“ [23], მაგრამ კომინტერნის ხელმძღვანელთა წინასწარმეტყველება არ გამართლდა...

დღეს ალბათ ღიმილის მომგვრელია ამ მასალების გაცნობა. მსგავსი ჰიპერბოლების წარმოდგენა ფერწერასა და პოეზიაშიც კი

ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბოდვითი იდეების რეალიზაციისათვის ბრძოლამ ათასობით და ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა და საბოლოოდ ისეთი მახინჯი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნით დასრულდა, როგორიც საბჭოთა იმპერია იყო. ამ სახელმწიფომ 70 წელი იარსება, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ეპოქა და სულ სხვა ისტორიაა...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Makers of Modern Strategy from Machiavelli to the Nuclear Age. By Peter Paret (Editor). Gordon A. Craig, Felix Gilbert. Hajo Holborn. Prussian-*German School*: Moltke and the Rise of the General Staff. Princeton University Press, New-Jersey, 1986.
2. В. И. Ленин, Полн. Собр. Соч., 21.
3. В. И. Ленин. О лозунге Соединенные Штаты Европы, Социал-Демократ, № 44, 23 августа 1915 г. Печатается по тексту газеты: „Социал-демократ“: http://www.marxists.Org/russkij/lenin/1915/08/10a.htmH.
4. Резников А. Б., О восточной политике Коминтерна. В книге: Коминтерн и Восток. Критика критики, Москва, 1978.
5. Маркс К., Энгельс Ф., Соч., т. 18.
6. Ленин В. И. ПСС, т. 27.
7. Соловьев О. Ф., Русские масоны. От Романовых до Березовского, Москва, 2004.
8. Ленин В. И. ПСС, Изд-е 5-е. – т. 50. – М.: Политиздат, 1970.
9. Аким Александрович Арутюнов, Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства, Москва, 1999, BN 5-7838-0530-0. Ленин. В. И. ПСС, т. 36.
10. А. Ю. Ватлин, Архив внешней политики МИД РФ, Фонд 04, опись 13, папка 70, дело 993.
11. Людендорф Э., Мои воспоминания о войне 1914-1918, 2, Москва, 1924.
12. Ленин В. И. Полн. Собр. Соч. т. 31.
13. 10 лет Коминтерна в решениях и цифрах., Москва-Ленинград, Госиздат, 1929.
14. Ленин В. И. Полн. Собр. Соч. т. 37.
15. 10 лет Коминтерна в решениях и цифрах. С. 16. http://magister.msk.ru/library/ trotsky/trotl514. htm.

16. Прокопов А. Ю., Коммунистический Интернационал в 1920-е годы: Британское направление деятельности. К 90-летию основания Коминтерна. Ундансынов И. Н. Яхимович З. П. Коммунистический Интернационал: достижения, просчёты, уроки, Москва, 1990.
17. И. И. Вацетис, Н. Е. Какурин, Гражданская война 1918-1921.
18. Аким Александрович Арутюнов, Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства, Москва, 1999; ISBN 5-7838-0530-0. Троцкий Л. Д., Пять лет Коминтерна, Москва-Ленинград, 1925.
19. Доктор экономических наук Г. Попов, Программа, которой руководствовался Сталин, Наука и жизнь, 1989, №7, VIII съезд РКП(б). Протоколы.
20. Густерин П. В., научный сотрудник Института востоковедения РАН. Политика Советского государства на мусульманском Востоке в 1917-1921 гг. // Вопросы истории. № 1, Январь 2010. Цит. По кн.: Васильев А. М., Россия на Ближнем и Среднем Востоке: от мессианства к прагматизму, Москва, 1993.
21. РГАСПИ (Российский государственный архив социально-политической истории), ф. 532; См. Также: Адибеков Г. М., Шахназарова Э. Н., Шириня К. К., Организационная структура Коминтерна. 1919-1943, Москва, 1997.
22. Аким Александрович Арутюнов, Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. Москва: Вече, 1999, ISBN 5-7838-0530-0. Троцкий Л. Д., Пять лет Коминтерна, Москва-Ленинград, 1925.
23. Платонов О. А., Под властью зверя, Москва, 2004.

Archil Chachkhiani

Doctor of History, Colonel, David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

To the Bolshevist Concept of the „World's Proletarian Revolution"

Summary

The bolshevist concept of the world's proletarian revolution and its genesis, also the directions of its development during the World War I and after it, are discussed in the given article. To oppose the processes of reanimation of the II Internationale and to form the left-wing alternative, in 1918, the appeals were heard in Moscow to form a new international organization – the III Internationale or the Communist Internationale, that is briefed as „Comintern". Lenin had discussed this issue in his „April Thesises" as early as in the beginning of 1917.

This article mentions the expectations and opinions of the classic authors of the Marxism-Leninism which formed the political-ideological premises of the „Comintern". The issues are discussed concerning the 1st Founding Congress of the „Comintern" and its manifest which was elaborated and written by one of its leaders, the people's comissar of Russia for Military and for Navy, the Head of the Russian Military-Revolutionary Board, Lev Trotsky.

მიხეილ ბარნოვი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

Dedicated to: Marciann Ortiz, Kaiden Rice, Winter Garcia, Connie Rice , Corey Pinto, Joey Padilla, Calista Chico and William Rice

რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა ჯერონიმოს მიერ შამანური ძალის გამოვლინების შესახებ

აპაჩების ტომის წევრთა შორის შემონახული ცნობები ჯერონიმოს პიროვნების შესახებ საკმაოდ წინააღმდეგობრივი და მრავალფეროვანია. ამერიკელ მეცნიერთა მიერ ჩაწერილ ინტერვიუებში აპაჩი რესპოდენტები არა ერთხელ საუბრობდნენ ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების შესახებ [1].

წინამდებარე სტატიაში ჩემი მიზანია: 1. წარმოვადგინო ორი საყურადღებო ცნობა, რომელიც საინტერესო კუთხით წარმოაჩენს თანატომელთა მიერ ჯერონიმოს პიროვნების აღქმას; 2. განვიხილო შემდეგი საკითხი: ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების ფაქტორი რამდენად ახდენდა მის თანამებრძოლთა გადაწყვეტილებების დეტერმინიზაციას?

ანთროპოლოგ-მკვლევარების მიერ ჩაწერილ ინტერვიუებში საინტერესო ცნობებია დაცული ჯერონიმოს მიერ შამანური ძალის კონკრეტული გამოვლინების შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფაქტი შეეხება ჯერონიმოს შესაძლებლობას შეაჩეროს მზის ამოსვლა. ამის შესახებ ანთროპოლოგ მორის ოპლერს 1930-ანი წლების დასაწყისში უამბო ჯერონიმოს ერთ-ერთმა თანამებრძოლმა. 1882 წელს სან-საიმონის ფართედ გაშლილი ხეობის გადაკვეთისას ჯერონიმოს სურდა, მის რაზმს გათენებამდე მიეღწია მთებამდე. ხანგრძლივი ღამის მარშის მიუხედავად, აპაჩები ვერ ასწრებდნენ მისულიყვნენ დანიშნულების ადგილზე. ინდიელების კვალს მიყვებოდა მრავალრიცხოვანი ამერიკული კავალერია ვიცეპოლკოვნიკ ჯორჯ ფორსაითის მეთაურობით. დარჩენილი მონაკვეთის მტრისგან შეუმჩნევლად გასავლელად ჯერონიმოს კვლავ ჭირ-

დებოდა ღამის საფარი და ამ მიზნით მან თავის შამანურ შესაძლებლობებს მიმართა [2].

ზოგადად, ჩირიკაუა აპაჩების ტრადიციულ კულტურაში დღისა და ღამის ხანგრძლივობის კონტორლი შესაძლებელი იყო შამანის მიერ. ოპლერისამდი მიცემულ ინტერვიუში ვკითხულობთ: „როდესაც იგი იყო ბრძოლის ბილიკზე, მან შეძლო, შეეჩერებინა განთიადი. მან ეს შეძლო სიმღერის[1] მეშვეობით. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენ მივემართებოდით განსაზღვრული ადგილისკენ, ხოლო ჯერონიმოს არ სურდა გათენებულიყო, სანამ არ მივაღწევდით დანიშნულების ადგილს. მან დაბლობზე დაინახა მტერი და არ სურდა, მათ ჩვენ დავენახეთ. მას სურდა, გათენებულიყო მას შემდეგ, რაც გადავლხავადით მთას და მტერი ვერ დაგვინახავდა. ამიტომ ჯერონიმომ იმღერა და ღამე ორი ან სამი საათით გახანგრძლივდა. მე ამას თავად შევესწარი“ [3, 216].

ამ შემთხვევის დამადასტურებელი ზეპირსიტყვიერი ცნობა ასევე შემოინახა ნორსისეს დაფი გეიტონის[2] ოჯახმა. აღსანიშნავია, რომ მის მიერ უფროსი თაობისგან ჯერონიმოზე მოსმენილი მოგონებების უდიდესი ნაწილი დადებითად არ აისახებოდა აპაჩი შამანის რეპუტაციაზე. ნორსისეს გეიტონი ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების შესახებ საკუთარი ვერსიის მოყოლისას თავის მხრივ ეფუძნებოდა ჯერონიმოს თანამედროვეების, აპაჩი მეომრების – ჩატოსა და ჯასპერ კანსეას მონათხრობს: „მე მახსოვს, ერთხელ, ჯერონიმო და მისი ხალხი იყვნენ სასურველ ადგილთან ძალიან ახლოს. ჯერ კიდევ საკმაოდ ბნელოდა, თუმცა ახლოვდებოდა განთიადი. მეომრებს ესაჭიროებოდათ სიბნელე, რომ მტერს ისინი არ შეემჩნია. მტერს ძალიან ბევრი მზვერავი ყავდა.

ასე, რომ იმ მოხუცმა ჯერონიმომ დაიწყო სიმღერა. ის დიდხანს მღეროდა. მეომრებმა განაგრძეს გადაადგილება ვიდრე მიაღწევდნენ მთაში იმ ადგილს, სადაც იყო ბევრი ლოდი. მათ შეძლოთ იქ უსაფრთხოდ დამალულიყვნენ.

ასე, რომ იცით, მზე არ ამოდიდოდა სანამ ისინი უსაფრთხოდ არ იქნებოდნენ! ის არ ამოვიდა ჩვეულ დროს. ის ამოვიდა ორი ან სამი საათით გვიან“ [4, 78].

ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების შესახებ აპაჩების მიერ მოყოლილ ისტორიებს შორის ამ შემთხვევას განსაკუთრებით

---

[1] იგულისხმება შამანის რიტუალური სიმღერა.

[2] ცნობილი აპაჩი სამხედრო ლიდერის – ვიქტორიოს შთამომავალი.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ერთი მხრივ ეს ცხადყოფს ჩირიკაუას კულტურაში არსებულ რეალიებს, რომ შამანს ზებუნებრივი ძალების მოშველიებითა და ცერემონიალით შეეძლო გავლენა მოეხდინა ამინდსა და ზოგადად ბუნებრივ მოვლენებზე. მეორე მხრივ, ეს ფაქტი საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ჯერონიმოს პიროვნების მნიშვნელობას ჩირიკაუების ტომში. ინტერვიუები, როგორც პირველწყარო, საშუალებას გვაძლევს, ჩირიკაუას პერსპექტივიდან დავინახოთ ჯეორინმო და ვიმსჯელოთ მის ავტორიტეტზე საკუთარ ხალხში.

მეორე საკითხი შეეხება ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების გავლენას თანატომელთა გადაწყვეტილებებზე ებრძოლათ თუ არა ამერიკელების წინააღდმეგ. ჯერონიმოსადმი კრიტიკულად განწყობილი ინდიელები თვლიდნენ, რომ იგი აიძულებდა მათ ებრძოლათ მასთან ერთად. ამ მოსაზრების საპირწონედ საინტერესოდ ჩანს ჯეორნიმოს რაზმის ყველაზე ახალგაზრდა მეომრის კანსეას შეფასება: „მამაჩემის დაღუპვის შემდეგ მე წავყევი ჯერონიმოს, რადგან ის ზრუნავდა საკუთარ ხალხზე... არ არის მართალი, რომ ჯერონიმო [აიძულებდა ხალხს ებრძოლა მასთან ერთად]. ამას არ ამბობდნენ ისინი ვინც მასთანე ერთად იბრძოდა“ [5, 56-57].

ივ. ბოლის ერთ-ერთი აპაჩი რესპოდენტი – ეის დაკლუგი[3] ჯერონიმოს შესახებ ერთ საინტერესო დეტალს ყვება: „ჯერონიმოს არ უთქვამს მათთვის[4], რომ ტყვიას არ შეეძლო მისთვის ზიანი მიეყენებინა... მას, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, ჰქონდა ძვლები და ხორცი, თუმცა მას ჰქონდა სხვაზე მეტი სიმამცე“ [5, 56]. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ ჩირიკაუას მეომრებმა არ იცოდნენ ის ფაქტი, რომ ზებუნებრივი ძალა მფარველობდა ჯერონიმოს მტრის ტყვიებისგან და ისრებისგან, რაც საყურადღებო გარემოებაა. ჯერონიმოს ბიოგრაფიის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი თანატომელთათვის დაფარული იყო. იმ ეტაპზე ჯერონიმო არ საუბრობდა ამაზე.

ამგვარად, აღნიშნული ავთენტური ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანია. ჯერონიმოს შესახებ აპაჩებში არსებული წინააღმდეგობრივი, არა ერთ შემთხვევაში კრიტიკული და ნეგატიური შეფასებების ფონზე, ზემოთხსენებული ფაქტების გათვალისწინება აუცილებელია ჩირიკაუების პერსპექტივის ობიექტური ჩამოყალიბებისთვის.

---

[3] ჯერონიმოს დის შვილი

4 თანატომელებისთვის

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Angie Debo, Geronimo, Norman, 1976; Eve Ball, Indeh, An Apache Odyssey, Norman, 1988; Sherry Robinson, Apache Voices, Their Stories of Survival as Told to Eve Ball, Albuquerque, 2000; William M. Clements, Imagining Geronimo, An Apache Icon in Popular Culture, Albuquerque, 2013.
2. Angie Debo, Geronimo, Norman, 1976.
3. Morris Opler, An Apache Life-way, Chicago and London, 1941.
4. William M. Clements, Imagining Geronimo, An Apache Icon in Popular Culture, Albuquerque, 2013.
5. Sherry Robinson, Apache Voices, Their Stories of Survival as Told to Eve Ball, Albuquerque, 2000.

Mikheil Barnovi

Doctoral Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

Several Details Concerning Geronimo's Shamanic Abilities

Summary

In this article, based mainly on Apache consultants of Morris Opler and Eve Ball I am focused on several episodes that reflect Geronimo's shamanic abilities through his contact with spiritual power.

In first part of article I discuss how Geronimo summoned to his power to delay the morning. In last part of article I put forward and analyze the importance of one interesting information about Geronimo's supernatural power that was protecting him from bullets. Ace Daklugie, son of Geronimo's sister in interview with Eve ball mentioned that: „Geronimo did not tell them he could not be hurt by a bullet…"

The purpose of this article is to underlain the importance of these details about Geronimo, told by his contemporary tribal members. These details are pivotal to build up impersonal Chiricahua perspective of Geronimo's person, because among his people he was same time legend and pariah, hero and person who was blame for the troubles. So, Apache opinions regarding Geronimo aren't as easy as they seem to be from first view. He was and is controversial person for Apaches and that's why we must take in consideration all details of his life that were told by himself and his people.

ვასილ კაჭარავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

რეიგანის ვიზიტი მოსკოვში 1988 წელს და ადამიანის უფლებათა საკითხი

რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს დაწყებული იდეოლგიური შეტევა საბჭოთა კავშირზე მისი პრეზიდენტობის მეორე ვადის წლებში საბჭოთა კავშირის ახალ ლიდერთან ინტენსიური მოლაპარაკებების სერიით შეიცვალა. წარმოდგენილი სტატია ამ სერიის დამაგვირვინებელი აკორდის, მოსკოვის სამიტის ცალკეულ საკითხებს ეხება, კერძოთ კი, ადამიანის უფლებათა საკითხს, რომელიც რეიგანმა ამ ვიზიტის მთავარ თემად აქცია.

1984 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ოპონენტები საყვედურობდნენ რეიგანს, რომ საბჭოეთის ამდენ ლანძღვას მის ლიდერებთან შეხვედრა აჯობებდა. ამაზე რეიგანი სრულიად გულწრფელად პასუხობდა, რომ მას ადრეც უნდოდა საბჭოეთთან დიალოგი, მაგრამ მისი ლიდერები ზედიზედ კვდებოდნენ [9, 282]. და მართლაც, სულ რამოდენიმე წელინადში გარდაიცვლნენ ლეონიდ ბრეჟნევი, იური ანდროპოვი, ანატოლი ჩერნენკო.

მაგრამ მას შემდეგ, რაც გორბაჩოვი მოვიდა ხელისუფლებაში, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გორბაჩოვი და რეიგანი ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ქვეყნის ლიდერთა რანგში. ამდენჯერ ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი არ შეხვედრია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რომელიმე სხვა გენერალურ მდივანს. სხვათა შორის, როცა რეიგანი აღარ იყო პრეზუდენტი, იგი და გორბაჩოვი 1999 წელს კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს სან-ფრანცისკოში და მოსკოვში. უკანასკნელი შეხვედრის დროს რეიგანმა ძალზე ხატოვნად შეაფასა ამ შეხვედრების საბოლოო შედეგი – „ვინ იფიქრებდა რომ ჟენევის (პირველი შეხვედრა 1984 წელს ჟენევაში მოხდა) ბუხრის ცეცხლის სითბო ცივი ომის ყინულს დაადნობდა“ [9, 710].

მაგრამ ამ ყინულის ლღობას ურთულესი გზა უძღვოდა წინ. რეიგანის ე. წ. ორატორულმა იდეოლგიურმა შეტევამ და ამერიკუ-

ლი სამხედრო ძლიერების აღორძინებამ კარგი ნიადაგი მოამზადა ამ გზის დასაწყისისთვის და მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1980-ანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. როგორც თავად ამერიკაში, ასევე საერთოდ დანარჩენი თავისუფალი სამყაროს ქვეყნებში, გაიზარდა რწმენა ამერიკის ლიდერებისადმი. დიდი გავლენა მოახდინა ამ მოქმედებამ ე. წ. საბჭოთა ბლოკის ქვეყნებზე, სადაც პროტესტის გრძნობა საბჭოთა კავშირის მიმართ ისედაც დიდი იყო. რეიგანმა გარკვეული ოპტიმიზმი და იმედები გააღვივა აგრეთვე საბჭოთა დისიდენტების წრეშიც და, რაც მთავარია, რეიგანმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ გავლენიან კომუნისტურ იდეოლოგიას.

ბუნებრივია, რეიგანის რიტორიკა რეალური ქმედებებით იყო გამაგრებული, რაც ყველაზე კარგად სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაში გამოიხატა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი რადიკლური და აგრესიული რიტორიკისა რეიგანს საკმაო საღი გონება და სიფრთხილე აღმოაჩნდა, რათა კრიტიკულ ზღვარს არ გასცდენოდა და საბჭოეთთან ურთიერთობა უმართავ პროცესებში არ გადაზრდილყო.

გარკვეულწილად ამერიკის ასეთმა შემტევმა პოლიტიკამ საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აიძულა, ახალი ლიდერის ძიებისას ქვეყნის მეთაურად უფრო ახალგაზრდა, მოქნილი და ნაკლებად ორთოდოქსული კომუნისტი წამოეყენებინა.

და აი, სწორედ ამ ახალგაზრდა და ნაკლებად ორთოდოქსულ პოლიტიკოსთან – მიხეილ გორბაჩოვთან – ჩატარდა პირველი შეხვედრა ჟენევაში 1985 წელს. როგორც ერთობლივ კომუნიკეში იყო განცხადებული, მიუხედავად ორ სისტემას შორის არსებული განსხვავებისა და განსხვავებული მიდგომებისა საერთაშორისო საკითხებში, ორ ლიდერს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთგაგება ჩამოყალიბდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ ურთიერთობა აშშ-სა და სსრკ-ს შორის უნდა გამოსწორდეს და უნდა გამოსწორდეს საერთოდ არსებული საერთაშორისო ვითარება. ისინი არ ეცდებიან სამხედრო უპირატესობის მოპოვებას. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ იმუშავებდნენ წყალბადის იარღის 50 პროცენტით შემცირებასა და ასევე ხელშეკრულებაზე საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ [4].

1986 წლის ოქტომბერში პატარა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შედგა რონალდ რეიგანისა და მიხეილ გორბაჩოვის ყველაზე დინამიური, დრამატული და ექსტრაორდინალური შეხვედრა,

რომელზეც საბჭოთა კავშირი უპრეცენდენტო დათმობებზე მიდიოდა ამერიკის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის გაუქმების ფასად. რაზეც რეიგანმა კატეგორიული უარი განაცხადა. მიუხედავად ასეთი დრამატული ფინალისა რეკიავიკს მაინც მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგი. კერძოდ კი, მოხდა შეთანხმება, რომ გაგრძელდებოდა მუშაობა ხელშეკრულებაზე საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

1987 წლის 8-10 დეკემბერს შედგა სამიტი ვაშინგტონში, რომლის ისტორიული მნიშვნელობის კონკრეტული შედეგი იყო ხელშეკრულება საშუალო რადიუსის წყალბადის რაკეტების შესახებ (Intermediate-Range Nuclear Forces (INF) Treaty). იგი ითვალისწინებდა სამი წლის მანძილზე ყველა რაკეტის განადგურებას, რომელსაც 500-დან 5.500 კილომეტრი მანძილის დაფარვა შეეძლო, მათ გამშვებ და სხვა სახის დამხმარე საშუალებებთან ერთად. საბოლოოდ დადგინდა, რომ განადგურდებოდა 859 ამერიკული და 1752 საბჭოთა რაკეტა. პირველად ისტორიაში სიტყვა – შეირაღების კონტროლი – შეცვალა სიტყვამ – შეიარაღების შემცირება და გაუქმებულ იქნა წყალბადის რაკეტების მთელი კლასი ორივე მხრიდან. ამიტომაც რეიგანი არ აზვიადებდა, როდესაც აფასებდა რა გორბაჩოვისა და საკუთარ ნამოქმედარს, განაცხადა, რომ „ჩვენ შევქმენით ისტორია" [1, 282].

ბუნებრივია, სხვა საკითხებიც განიხილეს, მათ შორის ადამიანის უფლებები (1987 წელს მოსკოვმა ნება დართო 9000 ებრაელს დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი და 200 დისიდენტი ციხიდან გაათავისუფლა), ავღანეთიდან ჯარის გაყვანის თარიღები და მრავალი სხვა. ხელი მოეწერა გაცვლით პროგრამებს სტუდენტებისთვის.

აი, ასეთი უმნიშვნელოვანესი მიღწევებით და კვლავ მრავალი საკამათო პრობლემით მიუახლოვდნენ ლიდერები რეიგანის საპასუხო ვიზიტს მოსკოვში 1988 წლის მაისში.

ვიზიტის მოსამზადებელ წინა დღეებში ამერიკის სახელმწიფო მდივნმა ჯორჯ შულცმა კიევში და თბილისში გაფრენა მოინდომა, რათა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც ენახა სახელმწიფო მდივნის რანგში. საბჭოთა მთავრობა ჯერ წინააღმდეგი იყო, რომ შულცი საკუთარი თვითმფრინავით გაფრენილიყო, თუმცა ბოლოს შევარდნაძემ დაითანხმა ამ იდეის მოწინააღმდეგენი – „გაუშვით მისი თვითმფრინავით, თან ფულსაც დავზოგავთო". შულცი თავის მოგონებებში იუმორით აღნიშნავდა, რომ ეს ახლებური აზროვნების კარგი მაგალითი იყო.

თბილისში შულცს მოეჩვენა რომ საბჭოთა ხელისუფლებასა და ქართველებს შორის დაძაბულობა იგრძნობოდა. გაიხსენა, რომ ის და მისი მეუღლე ძველ ქართულ ეკლესიაში შევიდნენ, სადაც როგორც სამღვდელოებამ, ასევე მრევლმაც დიდი პატივით მიიღეს და შულცმა მათ მოკლე სიტყვითაც კი მიმართა რელიგის მნიშვნელობის შესახებ. როგორც შულცი იხსენებდა კიევში და თბილისში მოსკოვისგან განსხვავებული ვითარება იყო და სხვა სულისკვეთება იგრძნობოდა [14, 1100-1101].

სწორედ მოსკოვის სამიტის წინ მოხდა საშუალო სიშორის რაკეტების ხელშეკრულების რატიფიცირება სენატში 93 ხმით 5-ის წინააღმდეგ. ასე რომ, რეიგანი მოსკოვში ხელცარიელი არ ჩასულა. ამ რატიფიცირებული დოკუმენტების გაცვლის ცერემონიალი, ისევე როგორც მრავალი სხვა შეხვედრა, დიდი პომპეზურობით აღინიშნა, მაგრამ კაცობრიობის მეხსიერებაში დარჩა ერთი თითქოსდა შემთხვევითი და არაოფიციალური მოვლენა, რომელიც გარკვეულწილად ცივი ომის დასასრულადაც კი იყო აღქმული. 1988 წლის 31 მაისს, როდესაც ძალზე კარგ განწყობაზე მყოფი რეგიანი გორბაჩოვთან ერთად მისეირნობდა წითელ მოედანზე და მოსკოველებს ხვდებოდა, ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა სემ დონალდსონმა ჰკითხა მას – „კიდევ თვლით საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერიად?“ მცირე ხნის დუმილის შემდეგ რეიგანმა უპასუხა – „არა, მე ვსაუბრობდი სხვა დროის შესახებ, სხვა ეპოქის შესახებ“ [16]. რეიგანის ცნობილი ბიოგრაფი ლუ კენონიც თვლდა, რომ მოსკოვის სამიტი იმის სიმბოლო იყო, რომ ამერიკა და საბჭოთა კავშირი საბოლოოდ გამოვიდნენ ცივი ომიდან [9, 703].

სეირნობის თემას თუ გავაგრძელებთ, მოსკოვში ნაკლებად სასიამოვნო, მაგრამ ასევე ნიშანდობლივი მოვლენაც მოხდა. 29 მაისს, როდესაც ნენსი და რონალდ რეიგანი არბატზე სეირნობდნენ, მათ დიდი კეთილგანწყობილი ბრბო შემოეხვია. ამ დროს საბჭოთა უშიშროების სამსახურმა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ეს ხალხი საკმაოდ უხეშად და ძალის გამოყენებით დაშალა. მათ შორის ამერიკელ ჟურნალისტებსაც მოხვდათ. აღშფოთებული რეიგანი თავის ავტობიოგრაფიაში ხაზს უსვამდა, რომ არ წარმოედგინა თუ შეიძლებოდა საკუთარ ხალხთან ასეთი მოპყრობა. ბოლოს ისიც დასძინა – „არ ვიცი ეს „პერესტროიკაა“ თუ არა, მაგრამ რაღაც მომენტები არ შეცვლილა“ [5, 709].

საინტერესოა, რომ როგორც ერთი წლის წინ ამერიკის ფართო საზოგადოება იყო მოხიბლული გორბაჩოვით და ვაშინგტონში ნამ-

დვილი „გორბიმანია“ გამეფდა, ასევე მოსკოვშიაც რეიგანს უბრალო ხალხი ძალიან კეთილგანწყობილად ხვდებოდა. რეიგანი შემდგომში იხსენებდა, რომ „საბჭოთა მოქალაქეებთან შეხვედრის დროს ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ის იყო, რომ ისინი არაფრით განსხვავედებობდნენ იმ ხალხისგან რომელსაც მე ვხდებოდი მთელი ცხოვრების მანძილზე ამერიკის უამრავ ქუჩაში“.

მოსკოვის სამიტის ცენტრალურ საკითხად ითვლებოდა განიარაღების საკითხები – ხელშეკრულების მომზადება სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შესახებ (Strategic Arms Reduction Treaty). თუმცა, სინამდვილეში, ამ ვიზიტის დროს ამ მიმართულებით სერიოზული წინსვლა არ ყოფილა. გორბაჩოვს უნდოდა, რომ ამ ხელშეკრულებისთვის რეიგანის პრეზიდენტობის დროსვე მოეწრათ ხელი, მაგრამ ეს მხოლოდ მოგვიანებით, 1991 წელს მოხდა. ამ ხელშეკრულების თანახმად აშშ-ს და საბჭოთა კავშირს 7 წლის მანძილზე ისე უნდა შეემცირებინათ საკუთარი წყალბადის იარაღის არსენალები, რომ ყოველ მხარეს 6 ათას ერთეულზე მეტი აღარ დარჩენოდა.

ამ სამიტის დროს განიხილებოდა აგრეთვე, და უკვე მერამდენედ, ამერიკის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა, რომელზეც ტრადიციულად ვერ შეთანხმდნენ და „შეთანხმდნენ იმაზე, რომ ვერ შეთანხმდნენ“. არის დიპლომატიაში ასეთი მიდგომაც (მაგალითად, საქართველოს საკითხი 2008 წლის რუსული სამხედრო აგრესიის შემდეგ. ამერიკელები შეთანხმდენენ რუსებთან, რომ საქართველოს საკითხზე მათთან ვერ შეთანხმდებოდნენ, მაგრამ სხვა საქმიან ურთიერთობას მაინც განაგრძობდნენ). გორბაჩოვი შეუპოვრად ამტკიცებდა, რომ თავდაცვითი ინიციატივა არა მარტო კოსმოსური თავდაცვაა, არამედ ამ სისტემას კოსმოსიდან რაკეტის გამოშვებაც შეეძლო დედამიწისკენ. შესაბამისად, ის საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისთვის.

ბუნებრივია, განიხილებოდა ორმხრივი ურთიერთობები და რეგიონალური პრობლემები. ამ შეხვედრაზე რეიგანმა და გორბაჩოვმა გაცვალეს ვაშინგტონში ხელმოწერილი საშუალო რადიუსის რაკეტების გაუქმების ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები. ხელი მოეწერა შეთანხმებას იმის შესახებ, რომ აშშ და სსრკ შეატყობინებდნენ ერთმანეთს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ან წყალქვეშა ნავებიდან ბალისტიკური რაკეტების გაშვების შესახებ. ხელი მოაწერეს ასევე რიგ სამთავრობათშორისო შეთანხმებებს, მათ შორის სტუდენტთა გაცვლისა და თევზჭერის საკითხებზე.

ავღნეთის პრობლემის მოგვარებაშიც ითანამშრომლეს. ამართლებდა რა თავის კარგ ურთიერთობებს გორბაჩოვთან, რეიგანმა ისიც აღნიშნა, რომ გორბაჩოვი არ იყო პირადად პასუხისმგებელი ავღანეთში ჯარების შეყვანაზე [15, 337]. როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი აცხადებდა, საბჭოთა კავშირი 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის შემდეგ იძულებული იყო, პირველად ეთქვა უარი ე. წ. ბრეჟნევის დოქტრინაზე, რომელიც გულისხმობდა, რომ სადაც საბჭოეთი შედიოდა, იქ უკვე სამუდამოდ მკვიდრდებოდა. ავღანეთიდან გამოსვლა ამ პრინციპის დარღვევის უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი იქნებოდა და მეტად ყურადსაღები, როგორც აღმოსავლეთ ევროპისთვის, ასევე, ვინ იცის, იქნებ თავად საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვისაც [14, 1086].

თანამედროვე რუსი მეცნიერი პოლენოვი თუმცა საკმაოდ პოზიტიურად ახასიათებს ამ ვიზიტს, მაგრამ, როგორც ამერიკის მთავარი მოწინააღმდეგე ქვეყნის წარმომადგელი, თვლის, რომ განიარაღებისა და სსრკ-აშშ-ს ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე გორბაჩოვი მეტისმეტად დიდ დათმობებზე მიდიოდა და ამერიკისგან ადეკვატურ დათმობებს არ იღებდა. პოლინოვის აზრით, ეს პოლიტიკა სასარგებლო იყო ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის, ვინაიდან, როცა საბჭოეთი ტოვებდა ამა თუ იმ ქვეყანას, ამით ფაქტობრივად ამცირებდა საკუთარი გავლენის სფეროს [17].

მიუხედავად ასეთი ურთულესი საკითხებისა, თავად ვიზიტის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადამიანის უფლებათა საკითხმა და სწორედ ამ თემაზე გვინდა ყურადღების გამახვილება.

მოსკოვში მიმავალი რეიგანი ფინეთში გაჩერდა და ჰელსინკში სიტყვით გამოსვლისას, სადაც ფინელთა ვაჟკაცობაც აქო აგრესიულ მეზობელთან ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნა – „არ არსებობს რეალური საერთაშორისო უსაფრთხოება ადამინის უფლებათა პატივისცემის გარეშე" [14, 1101].

ალბათ, სწორედ ამ მოსაზრებეზე დაყრდნობით, რეიგანმა ეს თემა განსაკუთრებული სიმძაფრით წამოწია მოსკოვის სამიტზე და გორბაჩოვს დისიდენტების სიაც გადასცა, რომელთა ციხიდან გათავისუფლებასაც მოითხოვდა. იყო აგრეთვე ებრაელთა საკითხი და მათი ისრაელში გაშვების თემა. გორბაჩოვი გარკვეული ადამიანების არგაშვებას იმით ხსნიდა, რომ ბევრმა მათგანმა სახელმწიფო და სამეცნიერო საიდუმლოებანი იცოდა და სახელმწიფოს, საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეეძლო ამის გა-

კეთება. თუმცა ამერიკელები თვლიდნენ, რომ გასაიდუმლოების ვადა კარგა ხანია გასული იყო და ის, რაც ამ ადამინებმა იცოდნენ, უკვე არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს.

ამერიკელთა ამ მოთხოვნების საპასუხოდ გორბაჩოვმა პირველივე პირად შეხვედრაზე ამერიკაში არსებულ რასობრივ დისკრიმინაციასა და სიღატაკეზე გაამახვილა ყურადღება, როგორც ეს სხვა დროსაც უთქვამს. ისიც აღინიშნა, რომ სწორედ იმ დღეებში მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკელ ინდიელთა ჯგუფი, რომელიც შევიწროებაზე ჩიოდა [8, 348].

თუმცა, როგორც მათი საუბრის ჩანაწერის დასკვნაში ეწერა, ეს არ იყო ნოტაცია და საბჭოთა პრეზიდენტი არ ასწავლიდა ამერიკის პრეზიდენტს, როგორ ემართა საკუთარი ქვეყანა, მას უბრალოდ უნდოდა ეთქვა, რომ თუ რეიგანს ქონდა მოსაზრებები საბჭოთა კავშირის შესახებ, თავის მხრივ საბჭოთა ხელმძღვანელობასაც, გააჩნდა საკუთარი მოსაზრებები ამერიკის შესახებ... მას მიაჩნდა, რომ რეიგანის მემკვიდრენი უფრო თვითკრიტიკულნი იქნებოდნენ ვიდრე იგი [12, 607].

თავის მხრივ, როგორც შულცი აღნიშნავდა, რეიგანს კარგად ესმოდა, რომ არ ღირდა ამხელა ქვეყნის ლიდერის საჯაროდ კუთხეში მიმწყვდევა და ეუბნებოდა კიდევაც გორბაჩოვს, რომ ამას არც აპირებდა, მაგრამ თავად ადამიანის უფლებები მისთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო და მათთვის იბრძოლებდა [14, 1095].

მას შემდეგ, რაც ორშაბათს რეიგანი დისიდენტთა ჯგუფს შეხვდა, გაღიზიანებულმა გორბაჩოვმა თავის პრეს-კონფერენციაზე ისიც კი განაცხადა, რომ რეიგანი პროპაგანდისტული გამბიტით იყო დაკავებული და ყველანაირ სპექტაკლსა და შოუს მიმართავდა. „მე არ ვარ აღტაცებული ვიზიტის ამ მხარითო" – განაცხადა მან. გორბაჩოვს ისიც ახსოვდა, რომ თებერვალში, როცა შულცი მოსკოვში იყო ვიზიტის დეტალების განსახილველად, მან ჯერ გორბაჩოვის მიერ ნაპატიები და ქალაქ გორკიდან მოსკოვში დაბრუნებული ცნობილი მეცნიერი და დისიდენტი ანდრეი სახაროვი მოინახულა და მხოლოდ ამის შემდეგ შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძეს. ეს მაშინ ძალიან არ მოეწონათ და შულცისგან დაპირებაც კი მიიღეს, რომ რეიგანი ასეთ ესკაპადებს არ ჩაიდენდა მოსკოვში ვიზიტის დროს. ვაშინგტონში კოლინ პაუელი (რომელიც ამ დროს პრეზიდენტის მრჩეველი იყო უსაფრთხოების საკითხებში და სამი თვე ამზადებდა ამ ვიზიტს) დაპირდა ახალ საბჭოთა ელჩს – იური დუბინინს, რომ რეიგანი მოსკოვში კონფრონტაციას არ აპირებდა

და ისეთს არაფერს იზამდა, რომ გორბაჩოვი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა... „შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ რეიგანი თავაზიანი სტუმარი იქნება“ [12, 606].

მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე არ მოხდა და რეიგანმა კრემლის ისტებლიშმენტისთვის ბევრი არც თუ სასიამოვნო ნაბიჯი გადადგა სწორედ ამ მიმართულებით. მაგალითად, თავისი ცოლის მოთხოვნით რეიგანი მოსკოვში პირადად აპირებდა ებრაელების იური და ტანია ზიმანების ოჯახის მონახულებას, რომელთაც 12 წლის უნიჭირესი პიანისტი ქალიშვილი ჰყავდათ. რეიგანებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ საბჭოეთიდან გაიყვანდნენ. ეს საბჭოთა მასპინძლებს იმდენად არ მოწეონათ, რომ შევარდნაძის მოადგილემ პირადპირ უთხრა პაუელს, რომ თუ რეიგანები ეწვევიან ამ ოჯხს, ზიმანებს საერთოდ აღარ გაუშვებენ საბჭოთა კავშირიდან [9, 704].

30 მაისს რეიგანი ამერიკის ელჩის რეზიდენციაში „სპასო ჰაუსში“ 96 დისიდენტს შეხვდა, სადაც განაცხადა თავისი მოსაზრებანი ადამიანის უფლებათა თაობაზე. ეს იყო რელიგიის, სიტყვის და მოგზაურობის თავისუფლება საბჭოთა ადამიანებისთვის. იგი ხაზგასმით აღნიშნვდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა იყო სრულიად ფუნდამენტური და აუცილებელი წინაპირობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას. „ჩვენი ადმინისტრაციის მტკიცე პოზიციაა და ჩვენ ხაზს ვუსვმათ ამას, რომ ურთიერთობების გამოსწორებისთვის აშშ-სა და სსრკ-ს შორის აუცილებელი პირობა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხია“. თანაც ისიც აღნიშნა, რომ დამაიმედებელ ნიშნებს ხედავდა ამ მიმართულებით [3].

ბუნებრივია, ასევე ადამიანის უფლებათა რაკურსში განიხილავდა რეიგანი თავსუფალი აღმსარებლობის საკითხსაც, რომელსაც ამ ვიზიტის დროს დიდი ყურადღება დაუთმო. თავის გამოსვლებს მოსკოვში რეიგანი ხშირად ასრულებდა სიტყვებით. „ღმერთმა დაგლოცოთ“ (God bless you), რაც სრულიად ნორმალური იყო ამერიკელებისთვის და კატეგორიულად მიუღებელი მაშინდელი საბჭოთა ნომენკლატურისთვის. ეს სადღაც მათი პროტოკოლის დარღვევაც კი იყო, მაგრამ რას იზამდნენ. როდესაც რეიგანმა ეს კრემლში, წმინდა გიორგის დარბაზში წარმოთქვა, ბევრმა კომუნისტმა პოლიტიკოსმა ფერი დაკარგაო – იხსენებდნენ იქ მყოფნი [10, 272].

ძალიან მნიშვნელოვანი იყო რეიგანის შეხვედრა დანილოვის მონასტერში, რომელიც გორბაჩოვის დროს იყო აღდგენილი და რესტავრირებული. აქ რეიგანმა ბევრი იასუბრა რელიგიურ თემაზე და აღნიშნა, რომ ამერიკელები იმოდევნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირ-

ში რელიგიის თავისუფლების ეპოქა დადგებოდა და ლოცულობდნენ კიდევაც ამისთვის.

ასევე რელიგიის თავისუფლებაზე ისაუბრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამოსვლისას. მან სტუდენტებს ასე მიმართა: „ალბათ, გაინტერესებთ, რატომ არიან ამერიკელები რელიგიური ხალხი. იმიტომ რომ მათ იციან, რომ თავისუფლება ისევე, როგორც თვით ცხოვრება, ჩვენ კი არ მოვიძიეთ ან დავიმსახურეთ, არამედ ეს ღვთის საჩუქარია". ამას იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ამბობდა. მის უკან იყო უზარმაზარი ბიუსტი ლენინის, რომელმაც თავის დროზე თქვა, რომ „არაფერია რელიგიაზე საზიზღარი" და ათასობით მღვდელი დაახვრეტინა. მოგვიანებით რეიგანი ხუმრობდა, რომ ჩემი სიტყვების შემდეგ, როცა სტუდენტები ფეხზე ადგომით მიწყობდნენ ოვაციას, მივიხედე უკან და დავინახე, რომ ლენინის ბიუსტი ტიროდაო. ეს ეპიზოდი ამერკულ ჟურნალში „ქრიტიანობა დღეს" აღნიშნა ჟურნალისტმა პაულ კენგორმა, რომელიც, ალბათ სამართლიანად, თვლიდა, რომ გორბაჩოვიმა რეიგანის ვიზიტამდეც ბევრი გააკეთა რელიგიის ასაღორძინებლად საბჭოთა კავშირში, მაგრამ იმასაც უსვამდა ხაზს, რომ რეიგანის ვიზიტმა კიდევ უფრო დააჩქარა რელიგიური თავისუფლების გაფართოება. ამ ვიზიტის შემდეგ რუსულმა ეკლესიამ 2000 ეკლესია გახსნა. საქმე იქამდე მისულა, რომ საბჭოთა კავშირში მღვდლებიც კი დააკლადათო.

საინტერსოა, რომ იმავე სტატიაში ავტორი ამბობს, რომ გირბაჩოვს არასოდეს უღიარებია, რომ რეიგანმა რაიმე როლი ითამაშა ამ საქმეში, ხოლო რეიგანი თავის მოგონებებში კი პირიქით თვლიდა, რომ სწორედ მან მოახდინა გარკევული გავლენა ამ პროცესზე. მაგრამ ისიც დაამატა, რომ რეიგანმა ძალიან კარგად იცოდა გორბაჩოვის წვლილი რელიგიური თავისუფელბის აღორძინებაში და, რომ მან ამ მხრივ საბჭოთა ისტორიაში ყველაზე მეტი გააკეთა [6].

განსკუთრებული გულისყურით მოემზადა რეიგანი მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების წინაშე გამოსვლისთვის. ამერიკულ დელეგაციას მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა კავშირის ეს წამყვანი უნივერსიტეტი საბჭოთა იდეოლოგიის მთავარ ბურჯს წარმოადგენდა და სწორედ იქ იყო შეკრებილი საბჭოთა კავშირის მეცნიერთა და სტუდენტობის ელიტა. ელიტარობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორედ იქ იყო შეკრებილი ყველაზე ინფორმირებული და განათლებული ხალხი, რომელიც სწორედ ამის გამო სკეპტიკურად იყო გან-

წყობილი საბჭოთა კავშირის უკვე საკმაოდ მოძველებული იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პოსტულატების მიმართ.

შეიძლება ითქვას, აქ რეიგანმა მასირებულად გამოიყენა ამერიკული პროპაგანდის ყველაზე ეფექტური პასაჟები, კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ორატორული ნიჭი და თავისი გამოსვლა მამაშვილური შეგონების სტილში განავითარა.

მან თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრესის გასაღები აზროვნების თავისუფლებაში, ინფორმაციის თავისუფლებასა და თავისუფალ კომუნიკაციაში მდგომარეობდა. მისმა სპიჩრაიტერებმა თვით მიხეილ ლომონოსოვის სიტყვებიც კი იპოვეს თავისუფლებაზე, რომელსაც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბატონყმურ რუსეთში უთქვამს „საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მეცნიერების მიღწევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სწრაფია მაშინ, როდესაც მონობის უღელი მოცილებულია და ფილოსოფიის თავისუფლებითაა ჩანაცვლებული“.

რეიგანმა სიამაყით განაცხადა, რომ ამერიკში იყო: დაახლებით 1000 ადგილობროვი ტელეარხი, 8500 რადიოსადგური, 1700 ყოველდღიური გაზეთი და ყოველი მათგანი დამოუკიდებელ, კერძო საქმინობას აწარმოებდა და კატეგორიულად იყო გამიჯნული მთავრობისგან. 12 მსაჯულისგან შემდგარ სასამართლოზეც ისაუბრა, რომელთა გადაწყვეტილებებსაც ვერავინ აკონტროლებდა და ეს სისტემა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად მიაჩნდა.

ისიც დასძინა, რომ ზოგიერთების აზრით, „თავისუფლება ადამიანებს ეგოისტებად და მატერიალისტებად აქცევსო, მაგრამ ამერიკელები დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო რელიგიური ხალხია“, სიმართლის უდიდეს ძალაზეც ისაუბრა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებებიც მოიწონა. გამოსვლაში ისიც აღნიშნა, რომ სკოლის მოწაფეთა გაცვლითი პროგრამების ზრდასაც სთავაზობდა საბჭოთა მთავრობას და ცნობილი ანდაზაც გაიხსენა – ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო.

„ხშირად მითქვამს, რომ ერებს ერთმანეთის მიმართ უნდობლობა იმიტომ კი არ გააჩნიათ, რომ შეიარაღებულნი არიან, არამედ შეირაღბულნი იმიტომ არიან, რომ არ ენდობიან ერთმანეთს... მშვიდობა ერებს შორის უნდა იყოს საბოლოო მიზანი და არა ტაქტიკური ეტაპი გაჭიანურებულ კონფლიქტში“...

„ადამიანები კი არ იწყებენ ომებს, არამედ მთავრობანი. და არც ერთი დედა არ გაწირავს თავის შვილს ტერიტორიული შენაძე-

ნის ან ეკონომიკური მოგებისთვის ან იდეოლოგიისთვის. როდესაც ადამიანებს არჩევანის უფლება აქვთ, ისინი ყოველთვის მშვიდობას ირჩევენ“.

ხაზი გაუსვა მოგზაურობის თავისუფლებას და საბჭოთა სტუდენტებს უსურვა, რომ მათი თანატოლების მსგავსად, ევროპაში თავისუფლად მგზავრობის საშუალება ჰქონოდათ. – „ეს ახლა ოცნებას გავს, მაგრამ ჩვენ ხელთაა ის რეალობად ვაქციოთ“ – დაასკვნა მან. რეიგანმა თავისი გამოსვლა რუსულ ენაზე დაასრულა – ღმერთმა დაგლოცოთო.

ძირითადი გამოსვლის შემდეგ ერთ-ერთ შეკითხვაზე პასუხისას ამერიკული ოცნების მნიშვნელოვანი თეზაც გააჟღერა – „თქვენ შეგიძლიათ საფრანგეთში წახვიდეთ საცხოვრებლად, მაგრამ ფრანგი ვერ გახდებით, შეგიძლიათ იცხოვროთ გერმანიაში, მაგრამ გერმანელი ვერ გახდებით, ან თურქი ან ბერძენი ვერ გახდებით თურქეთსა და საბერძნეთში, მაგრამ ნებისმიერ ადაიმანს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შეუძლია, საცხოვრებლად ჩამოვიდეს ამერიკაში და გახდეს ამერიკელი“ [2].

როგორც ვხედავთ, ამ გამოსვლაშიც ძალზე ბევრი და დამაჯერებლად ისაუბრა დასავლური სამყაროს ფასეულობებზე, რომელთა ქვაკუთხედად სწორედ ადამიანის უფლებები მიაჩნდა.

საერთოდ, ამ ვიზიტის რიტორიკამ მართლაც დიდი გავლენა იქონია საბჭოთა ხალხზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე და ამის უარყოფა, ალბათ ძნელია. ეს შემიძლია ჩემი პირადი შთაბეჭდილებებითაც დავადასტურო, ვინაიდან, როგორც მილიონობით საბჭოთა მოქალაქე, მეც უდიდესი გულისყურით ვადევნებდი თვალს მოსკოვში განვითარებულ მომვლენებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეიგანის გამოსვლების დიდი ნაწილი ტელევიზიით არ იყო ტრანსლირებული.

სამიტის შეფასება პრინციპში ორივე მხრიდან ძალიან დადებითი იყო, თუმცა, როგორც იმ დღეების „ნიუ-იორკ თაიმსში“ ეწერა, გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ეს იყო დაკარგული შესაძლებლობების სამიტი, თუმცა იქვე დაამატა, რომ ვიზიტი მთავარი მოვლენა იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში და ისინი ერთი ან ორი საფუხურით ზევით ასწია. თუმცა სტატიის ავტორის აზრით, გორბაჩოვის პრეს-კონფერენციაზე ისიც ჩანდა, რომ ის მოთმინებას კარგავდა რეიგანთან ურთიერთოებებში და ახალი პრეზიდენტის არჩევას ელოდა [7].

უნდა ვივარაუდოთ, რომ გორბაჩოვის ეს განწყობილება ადა-

მიანის უფლებების საკითში რეიგანის, მისი აზრით, მეტისმეტმა აქტურობამ განაპირობა. დასუსტებული ეკონომიკის პატრონს უფრო შეარაღებაში შეჯიბრის შეჩერება აინტერესებდა, ვიდრე, მისთვის წამგებიანი იდეოლგიური დებატები.

ძალიან საინტერესოდ ახასიათებს ამ სამიტს ამერიკელი მკვლევარი პიტერ შვეიცერი. „ცოტა რამ იყო მიღწეული დიპლომატიის ასპექტში. არ ყოფილა რაიმე გარღვევა შეიარაღების კონტროლის საქმეში. მაგრამ რეიგანი მოსკოვში განსაკუთრებული მიზნით ჩავიდა, კერძოდ კი, რომ თავისულებისთვის ელოცა საბჭოთა იმპერიის შუაგულში. და ახლა მას შეუძლია უკან მოიხედოს და თქვას, რომ მან მისია შეასრულა“ [10, 276].

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დამაგვირგვინებელი შეხვედრა, რომლის დროსაც თითქოსდა დასრულდა ცივი ომი. ორმა ზესახელმწიფომ 1984 წლის შემდეგ დრამატულად გამოასწორა ურთიერთობანი და, რაც მთავარია, მთელ მსოფლიოს მისცა მშვიდობიანი მომავლის განცდის იმედი. მოსკოვის სამიტი, მიუხედავად პერიოდულად უაღრესად კრიტიკული გამონათქვამებისა, განსაკუთრებით გორბაჩოვის მხრიდან და რეიგანის, მასპინძლებისთვის არც თუ სასიამოვნო დღის წესრიგის და რიტორიკისა, საბოლოო ჯამში, ალბათ, იყო კეთილი ნების სულისკვეთების სამიტი. ახლანდელ თაობას, რომელიც მიუხედავად რუსეთის აგრესიული პოლიტიკსა, ასე თუ ისე გარანტირებულად იღებს წყალბადის არმაგედონის საშიშროების არარსებობას, ალბათ არ ესმის თუ რაოდენ თავსუფლად ამოისუნთქა მსოფლიომ ამ შეხვედრის შემდეგ.

რეიგანით მოხიბლული კონსერვატორი ამერიკელი ისტორიკოსები ლ. შვეიკარტი და მ. ალენი აფასებენ რა რეიგანის საგარეო პოლიტიკის შედეგებს, წერენ, რომ 1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ლოზუნგი იყო – „ამერიკაში კვლავ დილაა“ და, როცა მისი პრეზიდენტობა დასრულდა, ისე ჩანდა, რომ ეს დილა მსოფლიოს უდიდეს ნაწილსაც მოედო. ამაში რეიგანს არც თუ მცირე წვლილი მიუძღვოდა [13, 762].

რასაკვირველია ეს, თუნდაც ბევრისთვის საკამათო შეფასება, მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ რეიგანის ბრძოლა მოსკოვში ადამიანის უფლებებისთვის მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ინტეგრალური ნაწილია.

ადამიანის უფლებათა საკითხი საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყო თავისუფალ სამყაროსა და ტოტალიტარულ რეჟიმს შორის ურთი-

ერთობებში. ახალ რეალობებში მას განსაკუთრებული ბიძგი ჯიმი კარტერმაც მისცა. მაგრამ ჯერ არასდროს ეს თემა ასეთი მნიშვნელოვანი არ გამხდარა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში, როგორც მოსკოვის სამიტის დროს.

ამერიკელი მკვლევარი სტივენ ჰაიარდი აღნიშნავდა, რომ ბევრის აზრით, მიუხედავად დისკუსიებისა და ზოგჯერ ცხარე დისკუსიებისა, ეს ვიზიტი უფრო ცერმონიალურ ხასიათს ატარებადა [12, 607]. რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკის სპეციალისტი კოლინ დეკიც აღნიშვდა, რომ მიუხედავად რეიგანის ზეწოლისა გორბაჩოვზე ადამიანის უფლებათა საკითხში, სამიტმა ძალიან თბილ დიპლომატიურ ატმოსფეროში ჩაიარა. თუმცა ხელი არც ერთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებისთვის არ მოუწერიათ [11, 225].

ამ „ცერემონიებისა და თბილი დიპლომატიური ატმოსფეროს" მიღმა დიდი და დაძაბული ბრძოლა წარიმართა, სწორედაც რომ ადამიანის უფლებათა საკითხის გარშემო. რეიგანის და გორბაჩოვის ყველა შეხვედრის, რეიგანის ყველა გამოსვლისა თუ პრეს-კონფერენციის დროს, განიარაღებისა და ზესახელმწიფოების თანამშრომლობის თემასთან ერთად, მთავარი ყურადღება სწორედ ამ საკითხს ეხებოდა. და ეს ხდებოდა ჯერ კიდევ ტოტალიტარული იმპერიის შუაგულში და, რაც მთავრია, რეიგანის ამ გზავნილს დიდი გულისყურით უსმენდა საბჭოთა საზოგადოება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გორბაჩოვის არიერგარდული ბრძოლებისა ამ ფრონტზე და ზოგჯერ საკმაოდ უკმეხი ფორმითაც (ალბათ უფრო ორთოდოქსი კომუნისტების დასამშვიდებლად), ისიც გრძნობდა რეიგანის სიტყვების სამართლიანობას და რეალურად არც თუ სერიოზულად ეწინააღმდეგებოდა მათ. სხვა დრო რომ დადგა ამას გორბაჩოვიც კარგად გრძნობდა, მით უმეტეს, რომ ნაწილობრივ სწორედ მის მიერ ინიცირებულმა „პრესეტროიკამ" და „გლასნოსტმა" მოიყვანა ეს დრო. შეიძლება ითქვას, რომ ამ სამიტმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კომუნისტური იდეოლოგიის დასამარების პროცესში. ეს სულ მალე დაადასტურა 1989 წლის მოვლენებმა თბილისში და 1991 წლის პროტესტმა ვილნიუსში. რასაკვირველია, მთავარი შედეგი თავად საბჭოთა კავშირის დაშლა იყო, რომელსაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტებთან ერთად იდეოლოგიური საფუძველიც გამოეცალა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Address to the Soviert and American Peoples Following the Signing of the INF Treaty, from *President Ronald Reagan: The Quest for Peace. The Cause of Freedom,* United States Information Agency, 1988.
2. Ronald Reagan's Address at Moscow State University (May 31, 1988) http://millercenter.org/president/speeches/speech-3416.
3. Remarks to Soviet Dissidents at Spaso House in Moscow May 30, 1988 https://chnm.gmu.edu/1989/archive/files/reagan-speech-5-30-88–81685301b8.pdf.
4. Joint Soviet-United States Statement on the Summit Meeting in Geneva November 21, 1985. *http://www.reagan.utexas.edu/archives/speeches/1985/112185a.htm.*
5. Ronald Reagan, *An American Life*, New York, Simon and Shuster1990.
6. Paul Kengor, *Ronald Reagan's Mission Trip to Moscow,* Christianity Today. http://www.christianitytoday.com/ch/bytopic/socialissuespolitics/reagan moscowtrip.html.
7. Philip Taubman, Moscow Summit, New York Times, June 1988. http://www.nytimes.com/1988/06/02/us/moscow-summit-gorbachev-criticizes-reagan-seeing-missed-opportunities-but-calls.html.
8. Stephen E. Ambrose, *Rise to Globalism. American Roreign Policy Since 1939.* Penguin Books, 1993.
9. Lou Cannon, *President Reagan, The Role of a lifetime,* Public Affairs , New-York, 2000.
10. Peter Schweizer, *Reagan's War,* Doubleday, New York, London, 2002.
11. Colin Dueck, *Hard Line, The Republican Party and US Foreign Policy Since World War II,* Princeton University Press, 2010.
12. Steven F. Hayard, *The Age of Reagan, The Conservative Counter-revlution 1980-1989,* Three Rivers Press, New-York, 2009.
13. Larry Schweikart and Michael Allen, *A Patriots History of the United States,* Sentinel, 2004.
14. George P. Shultz, *Turmoil and Triumph, Diplmacy, Power, and the Victory of the American Ideal,* Charles Scribner's Sons, New-York, 1993.
15. Robert D, Schulzinger, *US Diplomacy Since 1900*, Oxford University Press, New-York, Oxford, 2002.
16. The Moscow Summit 20 years later. From the Secret US and Soviet Files, National Security Archive, George Washington University, nsarchive.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB251/index.htm.

17. Полынов Матвей Фёдорович. Советско-Американские отношения во внешней политике М. С. Горбачёва, , *1985-1988.* http://cyberleninka.ru/article/n/sovetsko-amerikanskie-otnosheniya-vo-vneshney-politike-m-s-gorbachyova-1985-1988-gg.

Vasil Kacharava
Doctor of Histrorical Sciences, Head of the Institute of American Studies at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

Ronald Reagan's Visit to Moscow in 1988 and Human Rights

Summary

This paper is an attempt to describe the role and place of human rights issues at the Moscow Summit of 1988. It was the final the summit of Ronald Regan and Michael Gorbachev, after three previous ones. Unlike the Summit of 1987 when the Intermediate-Range Nuclear Forces (INF) Treaty was signed in Moscow, there was no signature of any important treaty between two superpowers. According to most analysts it was more of a ceremonial meeting which in some way could be seen as a final stage of Cold War. Certainly, many topics of bilateral relations and international cooperation were discussed, but the most important case was human rights problem strongly and persistently aroused by Ronald Reagan in almost every meeting, address or press conference. The most impressive was Reagan's Address at Moscow State University and also, his meetings with Soviet dissidents at Spaso House in Moscow, and the monks of the Danilov Monastery. Brilliantly advertized western democracy values to Soviet citizens, he highlighted the importance of human rights for the further developments of *Perestroika*. At the same time, he stressed importance of respect and defense of human rights, as an absolutely mandatory precondition of good Soviet – American relations. The most important fact was that he held this human rights defense company in the heartland of Soviet Empire and in spite of many obstacles it really influenced Soviet society. It could be said that Reagan's remarkable attack on communist ideology played an important role in final degradation of this totalitarian spirit, which in its turn played one of the core roles in disintegration of Soviet Union.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო საშტაბო კოლეჯის თავდაცვის სტრატეგიებისა და ომების ევოლუციის კურსის უფროსი ინსტრუქტორი

პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...“

ამიერკავკასიის გვარდიის შექმნის თარიღად 1917 წლის 12 დეკემბერი ითვლება, მას შემდეგ რაც ორი ლეგენდარული ქართველის, თბილისის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების წევრების, ვალიკო ჯუღელისა და ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით, თბილისის მუშათა რაზმის მიერ კავკასიის ფრონტის სამხედრო მარაგების სტრატეგიული ბაზა – არსენალი იქნა აღებული. თავდაპირველად ამ ორგანიზაციას „საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისია“ ეწოდებოდა, მოგვიანებით, 1918 წლის 10 აპრილიდან – ამიერკავკასიის წითელი გვარდია, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 წლის 2 ივლისს, ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი გვარდიის შესახებ, რომლის ძალითაც „წითელ გვარდიას“ „სახალხო გვარდია“ ეწოდა [1, 2-3].

სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო შენაერთი, ნომინალურად შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში შედიოდა, მაგრამ იგი სამხედრო სამინისტროს საუწყებო დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდა. გვარდია უშუალოდ ამიერკავკასიის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების თავმჯდომარის, შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. გვარდიის მთავარი შტაბის უფროსსა და წევრებსაც მთავრობის თავმჯდომარე ამტკიცებდა. ასევე, გვარდიის ნაწილების გაწვევას მთავრობის თავმჯდომარე ახორციელებდა „მხოლოდ მთავარი შტაბის მეშვეობით“ [2, 61]. უფრო მეტიც, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის საპატიო თავ-

მჯდომარესაც ისევ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია წარმოადგენდა. გვარდიის მთავარი შტაბის პირველ შემადგენლობას კი, შემდეგი სახე ჰქონდა: ვ. ჯუღელი (თავმჯდომარე), ალ. დგებუაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ალ. მაისურაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ს. ჯიბლაძე (საპატიო წევრი), ვლ. ჯიბლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ან. ჭიაბრიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), დ. საღირაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), რ. აუშტროვი (მდივანი), გ. ფაღავა (მდივანი), ალ. ფარნიევი, ი. ქარცივაძე, ზ. გურული, ვ. გოგეშვილი, ემ. სირბილაძე, ი. ხარაში, თ. შენგელია, მ. ვარდოიანი, ტ. ფარქოსაძე, ლ. რუხაძე, ვ. მუხარინსკი [3, 3]. როგორც ვხედავთ, ეროვნული შემადგენლობით გვარდიის მთავარი შტაბი მართლაც ინტერნაციონალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

საერთო ჯამში, სახალხო გვარდია პოლიტიზირებულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომელიც ქართველ სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელ პარტიულ ჯარს, შეიძლება ითქვას, პარტიის პრეტორიანულ შენაერთს წარმოადგენდა, რომელიც მმართველი პარტიის წევრებით იყო დაკომპლექტებული [4, 220].

წარმოდგენილი სტატია არ ითვალისწინებს სახალხო გვარდიის შექმნის პოლიტიკური და ისტორიული წანამძღვრების შესწავლა-განხილვას, არც გვარდიისა და რეგულარული არმიის ურთიერთდამოკიდებულების წარმოდგენას, არც სახალხო გვარდიის რაზმებისა და შენაერთების მიერ წარმოებული საომარი კამპანიებისა თუ საბრძოლო მოქმედებების განხილვას. ამჯერად ჩვენ მხოლოდ გვარდიასთან დაკავშირებული ერთი კონკრეტული ასპექტის წარმოდგენით შემოვიფარგლებით, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოს ეროვნული გმირის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პერსონასთან და ჯარების მართვის იმ მანკიერ სისტემასთან, რასაც პირველ ქართულ რესპუბლიკასა და სახალხო გვარდიის სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ნიშანდობლივია, რომ თემაში წარმოდგენილი საკითხი, კერძოდ, სამხედრო უწყებების წმინდათ პროფესიულ-საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტისა და ოპერატიული მართვის პროცესებში არაპროფესიონალთა ჩარევის იმდროინდელი მანკიერი პრაქტიკა არც თანამედროვე ქართული პოლიტიკისათვის აღმოჩნდა უცხო ხილი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი სტატია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ისტორიულ რაკურსში. აქ გარკვეული პარალელების გავლებაცაა შესაძლებელი – ისტორია ხომ მიმდინარე მოვლენების სწორად წარმართვისა და შეფასების

საქმეში საუკეთესო მასწავლებელია...

პირველ რიგში, იმ მეტად საინტერესო ფენომენს უნდა გაესვას ხაზი, რომ პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში საქართველოს სამხედრო მინისტრის თანამდებობა სამოქალაქო პირს ეკავა. საქართველოში არსებული რუსულის იდენტური შეიარაღებული ძალების მართვის უმაღლესი სტრუქტურისათვის აუცილებელი იყო, რომ სამხედრო სამინისტროს სათავეში სამხედრო პირი ყოფილიყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შეიარაღებული ძალების მთავარი საბრძოლო-დაგეგმვითი ორგანო – „არმიის ტვინი", ანუ, გენერალური შტაბი, სტრუქტურულად უშუალოდ სამხედრო სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა მისი ერთ-ერთი განყოფილების სახით. აქ სამხედრო მინისტრი იყო მთავარი განმკარგველი და პირველი პირი წმინდათ სამხედრო პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ევროპის მოწინავე ქვეყნებში კი, უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან, სამხედრო სამინისტრო და გენერალური შტაბი გაყოფილი იყო და მათი ფუნქციებიც მკვეთრად იყო გამიჯნული. აქ სწორედ გენერალური შტაბის უფროსი იყო ჯარების საბრძოლო მზადყოფნაზე პასუხისმგებელი და შესაბამის ბრძანებებსა და განკარგულებებსაც ის გასცემდა ერთპიროვნულად. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მინისტრი წმინდათ პოლიტიკური ფიგურა იყო და იგი თავისი უწყების მხოლოდ ძირითად სტრატეგიულ-პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდა [5, 124-125]. სხვათა შორის, მეზობელ ამიერკავკასიურ რესპუბლიკებშიც, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სამხედრო უწყებებს სამხედრო პირები, გენერლები ედგნენ სათავეში. მსოფლიოში კი ისეთი უნიკალურო მდგომარეობა, სადაც სამხედრო უწყების ხელმძღვანელს სამოქალაქო პირი წარმოადგენდა, მხოლოდ ორ ქვეყანაში, საქართველოსა და რუსეთში იყო. საქართველოში მას სამხედრო მინისტრი ერქვა, რუსეთში კი – სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი. ისმის კითხვა – რატომ იყო ასეთი უნიკალური მდგომარეობა მხოლოდ რუსეთსა და საქართველოში? პასუხი მარტივია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ასევე საბჭოთა რუსეთის სინამდვილეში, სოციალ-დემოკრატთა მარქსისტული, რევოლუციური და კლასთა ბრძოლის ყოვლისმომცველი იდეოლოგიიდან გამომდინარე, სამხედრო უწყების პირველი პირები ღრმად პოლიტიზირებული პერსონები, ე. ი. მართველი პოლიტიკური პარტიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. საქართველოში ეს თანამდებობა მორიგეობით ეკავათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებს გრიგოლ გიორგაძეს, ნოე რა-

მიშვილს, გრიგოლ ლორთქიფანიძესა და პარმენ ჭიჭინაძეს. რუსეთში კი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობა 1918-1925 წლებში უწყვეტად ეკავა ცნობილ საბჭოთა და პარტიულ მოღვაწეს, ლევ ტროცკის.

მთავარი კი ის იყო, რომ რუსი ბოლშევიკების მსგავსად, არც ქართველი სოციალ-დემოკრატები ენდობოდნენ მეფის არმიის ყოფილ ოფიცრებსა და გენერლებს არა პროფესიული თვისებების ან ეროვნული თვითშეგნების, არამედ იდეოლოგიური არათავსებადობის გამო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ქართულ არისტოკრატულ წრეებს მიეკუთვნებოდნენ და ქართველი ორთოდოქსი მარქსისტებისათვის ისინი „კლასობრივ მტრებად" მოიაზრებოდნენ [5, 137]. ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც ცალსახად მეტყველებს ამაზე. ახალციხისა და ახალქალქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდალი, გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი[5], თავის ფაქსიმილეს, როგორც წესი, წინ ურთავდა თავადურ ტიტულს – „Князь", რაც ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან ძალიან მძიმედ აღიქმებოდა.

ახალციხე. №5409. გენერალ მაკაევს
ასლი მთავრობის რწმუნებულს ლეო რუხაძეს,
ასლი სამაზრო კომისარს.
სამხედრო სამინისტროდან, №116.
18. 12. 19. 14 საათი და 10 წუთი.

...უნდა გაგაფრთხილოთ თქვენ და გელოვანი, რომ განცხადებებსა და მოწოდებებში თქვენი თავადური ტიტულის განუყოფლად

---

[5] აბელ (ბალო) მაყაშვილი (1860-1920) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე.დაამთავრა ყაზანის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. 1910 წლიდან პოლკის მეთაურია, პოლკოვნიკი. 1914 წლიდან გენერალ-მაიორი, მე-16 გრენადერთა პოლკის მეთაური. I მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე გენერალ ბრუსილოვის არმიის შემადგენლობაში. 1918 წლიდან საქართველოშია. 1918 წლის ბოლოდან ინიშნება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდლად. სომხეთ-საქართველოს ომის წარმატებული სარდალი. 1919 წლის დასაწყისიდან იდეოლოგიური არათავსებადობის გამო, საქართველოს დემოკრატიული რსპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და ჩამოშორებულ იქნა აქტიურ სამხედრო სამსახურს. 1919 წლის ბოლოდან აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით სათავეში უდგება განჯის სამხედრო სკოლას. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის მაისში დაკავებულ იქნა ბოლშევიკთა მიერ და დახრჩობილ იქნა კასპიის ზღვაში.

მოხსენიება, ხელს აძლევთ მათ, ვინც საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ეწევა აგიტაციას ბნელი ძალებისა და ბეგების წინაშე.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე [6].

ხოლო ერთი წლის შემდეგ, რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 29 მაისის №2366 დადგენილებით წერილობით დოკუმენტებზე აიკრძალა ყოველგვარი წარმომავლობითი ტიტულის მინიშნებაც. ამონაწერი მთავრობის სხდომის ჟურნალიდან:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის
სხდომის ჟურნალი
ოქმი №2366
1920 წლის 29 მაისი

მე-6 პუნქტი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განცხადება საქართველოში მოქალაქეთა მიერ ტიტულის ხმარების შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს მოქალაქეთა გვარებს არ უნდა ეწერებოდეს ძველი წოდებრივი სახელი: აზნაური, თავადი და სხვა [7].

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის წითელი და მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდია რუსული წითელი გვარდიის ანალოგიური სქემით შეიქმნა, რუსეთისაგან განსხვავებით მისი ჩართვა რეგულარული ჯარების სტრუქტურაში არ მომხდარა. ასე რომ, რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ქართულ შეიარაღებულ ძალებში ერთდროულად არსებობდა როგორც არმია (ჯარი), ასევე სახალხო გვარდია. რუსეთში კი, წითელი გვარდიის ნაწილების შეყვანა „მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში" (РККА – Рабоче-Крестьянская Красная Армия) 1918 წლის იანვრიდან დაიწყო. ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა და 1919 წლისათვის დასრულდა კიდეც. ბოლო წითელგვარდიული რაზმები წითელ არმიას 1919 წლის ოქტომბერში გადაეცა, რომლებიც თურქესტანში იყო განლაგებული [8, 28].

უფრო შემაშფოთებელია ის დამოკიდებულება, რასაც სამხედრო სამინისტრო და ზოგადად რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენდა ქართული რეგულარული ჯარის შექმნის საქმეში. ისტორიული რეალობაა, რომ გერმანული საოკუპაციო ჯარების საქართველოში შემოსვლის შემდეგ, 1918 წლის ივნისიდან, გერმანული მისიის დიპლომატიური და სამხედრო ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში, არტილერიის გენერალი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი

ქართულ მხარეს ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში დახმარების გაწევას შეპირდა და ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობაც დაიწყო: „საქართველოში თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო ორი ქვეითი დივიზია, საზღვრის დაცვის დივიზია, რუსული ნიმუშის მიხედვით, კავალერია – დივიზია 3 პოლკად, საჭირო დამატებითი იარაღით და დამოუკიდებელი საარტილერიო ბრიგადა, მშვიდობიან პერიოდში საერთო რაოდენობით დაახლოებით 30-40000 კაცით", – იხსენებს გერმანელი გენერალი, და შემდეგ აგრძელებს, – „თავდაცვის მინისტრმა შეარჩია გენერალ გედევანოვის[6] პერსონა, ძალიან მოწესრიგებული და სიმპათიური დამხმარე, რომელთანაც ჩვენ სიამოვნებით და ნდობით ვმუშაობდით. მე მას განკარგულებაში გადავეცი მაიორი გრაფი ვოლფსკელი და რამდენიმე ოფიცერი. მე დავამუშავე ჩამოსაყალიბებელი ქვედანაყოფის საშტატო განრიგი, ასევე თავდაცვის სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა" [9, 12].

საერთო ჯამში, გერმანული გეგმის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალები ტრიანგულარული სისტემის საარმიო კორპუსად უნდა ჩამოყალიბებულიყო, მშვიდობიანი პერიოდისათვის ქვეითი ჯარის ორი-სამი ბრიგადისა და ერთი საკავალერიო ბრიგადის შემადგენლობით, რომელიც ომის შემთხვევაში სამ დივიზიად გაიშლებოდა. მაგრამ რეალურად, დასახული ამოცანა ვერ შესრულდა, შესაბამისი ნაწილები და შენაერთები ვერ ჩამოყალიბდა. გერმანული პროექტი ჩაიშალა, რადგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აქცენტები და მთელი ძალისხმევა სახალხო გვარდიის შექ-

---

[6] გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი (1870-1937) – პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. 1917 წელს დასავლეთის ფრონტზე მოქმედი ქვეითი დივიზიის მეთაური. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. მონაწილეობს ქართული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში. 1918 წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის გამაგრებული რაიონისა და ციხე-სიმაგრის კომენდანტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე (ამხანაგი) სამწყობრო-ოპერატიულ დარგში და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი 1918 წლის ივლისი – 1919 წლის აპრილის პერიოდში. გენერალ იოსებ გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში.

მნისა და გაძლიერებისაკენ მიმართეს. პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სწორედ სახალხო გვარდიას თვლიდნენ ნოე ჟორდანია და მისი თანაპარტიელები რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო და ძალოვან სტრუქტურად, და არა რეგულარულ არმიას. რეალობაში, არმია გერის როლში აღმოჩნდა. ყველაზე უფრო საინტერესო კი ის ფაქტია, რომ არმიის სტრუქტურიდან საკავალერიო დივიზია სრულად ამოიღეს და იგი სახალხო გვარდიაში ჩართეს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ცალსახად უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია – ქართული მაღალორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების არშექმნის მთავარი მიზეზი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების იდეოლოგიური პოზიცია და შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი გაპარტიულების პრინციპი იყო. სწორედ ამის გამო არ იქნა მიღებული ამიერკავკასიაში გერმანელთა საიმპერატორო ჯარების სარდლის, გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის რჩევა ქართული ჯარის სტრუქტურისა და კომპლექტაციის საკითხების შესახებ. „გერმანელების დროს მიღებული სამხედრო პროექტები – ორი ქვეითთა და ერთი ცხენოსანი დივიზიის შექმნა მოხდა ნაწილობრივ და არა სრული შემადგენლობით და ცხენოსანი დივიზიის სრული გამოკლებით. ამის მიზეზი განმარტა ცნობილმა მენშევიკმა ზაქარია გურულმა: „ცხენოსანი დივიზია გადაიქცევა თავად-აზნაურთა საჯირითო სარბიელად და ჩვენ არ გვესაჭიროებაო“, – ციტატა მოტანილია ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, პოლკოვნიკ დათა ვაჩნაძის მემუარებიდან [10, 71].

კავალერიის არშექმნის გამაოგნებელი არგუმენტია წარმოდგენილი მემუარში. აქ კომენტარების გაკეთებაც კი ზედმეტია. ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, დავით (დათა) ვაჩნაძის მოსაზრებებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ იგი პროფესიონალი სამხედრო იყო: ს.-დ. (იგულისხმება სოციალ-დემოკრატთა – ა. ჩ.) მთავრობა თავიდან ცივად და უნდობლად დახვდა გენერალ ფონ კრესის წინადადება-რჩევას ერთი მთლიანი ეროვნული ჯარის საჩქაროდ შედგენისათვის, ნაცვლად საომრად უვარგისი პარტიული გვარდიისა.

– ჩვენ ვართ მოსულნი დროებით და ალბათ მოგვიხდება უკან დაბრუნება. უჯაროდ თქვენი სამშობლო ადვილად წაილეკება მეზობლებისაგან. ისარგებლეთ ჩვენი აქ ყოფნით, გამოცდილებით, ყოველგვარი დახმარებით და შეადგინეთ წესიერი, მაგარი ქართული

ჯარი და გაიმაგრეთ თქვენი ქვეყანაო – მოუწოდებდნენ გერმანელი მრჩევლები ს.-დემოკრატების მეთაურებს პარლამენტის სამხედრო კომისიაში, მაგრამ ამაოდ. ს.-დემოკრატები უარით დახვდნენ მათ წარმოდგენილ სამხედრო გეგმას, რომელიც მოითხოვდა ერთგვაროვანი მუდმივი ქართული ეროვნული ჯარის მოწყობას (როგორც მთავარ ძალოვან ნაწილს მომავალი საერთო კავკასიის ჯარისა) და პარტიული გვარდიის გაუქმებას... მიზეზი ასეთი გახელებული წინააღმდეგობისა ყველასათვის ნათელი იყო: პარტიული გვარდია მათ ესაჭიროებოდათ დაწყებული მიწების კონფისკაციის საქმის უზრუნველყოფისათვის და მომავალ დამფუძნებელ კრებაში სოფლის ხალხის უმრავლესობის ხმის მიღებისათვის თავისი პარტიული დიქტატურის განმტკიცებისათვის. ამასთანავე მათ ეშინოდათ და ამას არც მალავდნენ, რომ ეროვნულ ჯარს სათავეში, მათი აზრით, „რეაქციონერი“ ოფიცრები, თავადაზნაურობის ჩამომავლობისა ჩაუდგებოდნენ“ [10, 61-62.] რა თქმა უნდა, მოყვანილ ციტატაში ავტორის გერმანოფილური განწყობები იგრძნობა, (გაგახსენებთ, რომ მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გერმანიაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1962 წელს) მაგრამ ფაქტია, რომ ციტატაში მოყვანილი მოსაზრება დოკუმენტურად და რაც მთავარია, ფაქტობრივად დადასტურებულია.

ისევ გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი: „თვალშისაცემ ჯიუტ წინააღმდეგობას შევხვდი საქართველოს მთავრობის მხრიდან ჩემს მცდელობაზე შემეგულიანებინა ისინი, რომ ჩამოეყალიბებინათ ვარგისი, რეგულარული ჯარი. აქ იგრძნობოდა განსაკუთრებით მარქსისტული უტოპიის, მინისტრის პარტიაზე მიჯაჭვულობისა და წითელი არმიისადმი შიშის ზეგავლენა. ბოლოს ზეწოლის საშუალებებს მივმართე. მოვახსენე პრემიერ-მინისტრს თავიდან სიტყვიერად და შემდეგ ნოტის გაგზავნით, რომ საქართველოს მთავრობა დიდხანს ვერ იქნებოდა დამოკიდებული გერმანიაზე, თუ ისინი საკმარისად ძლიერი ჯარის ჩამოყალიბების საშუალებით არ შექმნიდნენ საჭირო გარანტიას...

ქართველების მიერ განსახილველად წარმოდგენილი ამ სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა ითვალისწინებდა ძალიან პატარა ჯარისთვის ნამდვილ აღმოსავლურ ბევრად დიდ და ძვირადღირებულ აპარატს. ჯარის ორგანიზების სამუშაოები შედარებით ნელა მიიწევდა წინ, რადგან ქართველი ოფიცრების ნაწილი – სათავეში

გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი თავადი ანდრონიკოვი[7] – რომელთაც სჯეროდათ, რომ უკეთ ესმოდათ საქმისა, ვიდრე ჩვენ, გერმანელებს, წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს სამუშაოებს. ყოველ შემთხვევაში, ჯარების ორგანიზაცია წლის ბოლომდე იმდენად წარმატებული იყო, რომ ქართველებს ჰქონდათ უნარი საკუთარი ძალებით სომხებისთვის მიეყენებინათ საპასუხო დარტყმა, როცა მათ თბილისიდან გერმანული ქვედანაყოფის გაყვანის შემდეგ დღეს გამცემლური ხერხით საქართველოს საზღვარი გადაკვეთეს და მიუახლოვდნენ თბილისს ერთი დღის სავალ მანძილზე" [9, 18-19].

საერთო ჯამში, 1918 წლის შემოდგომამდე ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში – არც არმიაში და არც სახალხო გვარდიაში, ჯარების საკავალერიო გვარეობა არ არსებობდა. ასე, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში როგორც სახალხო გვარდიას, ასევე რეგულარული არმიის ჩანასახოვან ქვედანაყოფებს საბრძოლო მოქმედებების წარმოება ოსმალური აგრესიისა და ბოლშევიკური გამოსვლების ჩასაქრობად, ცხენოსანი ჯარის მონაწილეობის გარეშე მოუწიათ. ხოლო 1918 წლის ზაფხულიდან აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ დაწყებულ საომარ კამპანიაში, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთში აფხაზური კავალერია იქნა ჩართული. და ეს მაშინ, როდესაც ქართული ნაციონა-

---

[7] ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1871-1923) – რუსეთის არმიის ქართველი ოფიცერი და გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი. გიორგის ჯვრის კავალერი. რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. I მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე, 1913-17 წლებში ალექსეევის სამხედრო სასწავლებლის მასწავლებელი. 1917 წლის ივნისიდან საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1917 წლის ბოლოს ბრუნდება საქართველოში, მონაწილეობს ეროვნული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში. 1918 წლის შემოდგომიდან 1919 წლის ზაფხულამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი. რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. 1920 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე. 1921 წლის თებერვალში კოჯორი-ტაბახმელას ფრონტის სარდალი, 1921 წლის მარტში დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდალი. ბოლშევიკთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1921-1923 წლებში ანტიბოლშევიკური შეთქმულებისა და „სამხედრო ცენტრის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი საქართველოში. 1923 წელს, ბოლშევიკთა მიერ შეთქმულების გახსნის შემდეგ „სამხედრო ცენტრის" სხვა წევრებთან ერთად დახვრეტილ იქნა იმავე წლის მაისში.

ლური საკავალერიო ნაწილი ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას არსებობდა. აქ ირანში გადასროლილ გენერალ ბარათოვის[8] საექსპედიციო კორპუსში ჩართულ ქართულ საკავალერიო პოლკსა და მის წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებზეა საუბარი.

აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში წარმოებული საომარი კამპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე, 1918 წლის შემოდგომისათვის სახალხო გვარდიის სტრუქტურაში საკავალერიო დივიზიონი იქნა ფორმირებული, სადაც ქართული ცხენოსანი პოლკის ოფიცერთა პირადი შემადგენლობის ერთი ნაწილიც იქნა ჩართული. დივიზიონის მეთაურად პოლკოვნიკი გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი[9] დაინიშნა, დივიზიონის ოფიცერთა ბირთვს კი წარმოადგენ-

---

[8] ნიკოლაი ნოკოლაევიჩ ბარათოვი (ბარათაშვილი) (1865-1932) – ჩრდილოეთ კავკასიაში დაბადებული და გაზრდილი ქართული წარმოშობის რუსი მხედართმთავარი, კაზაკთა ჯარების მეთაური და სარდალი, კავალერიის გენერალი, იდეოლოგიურად დაჯერებული მონარქისტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე და წარმატებული სარდალი. 1900 წლიდან პოლკოვნიკი, სუნჟის 1-ლი პოლკის მეთაური, 1905-1906 წლებში შერეული საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1906 წლიდან გენერალ-მაიორი, საკავალერიო დივიზიის მეთაური. 1907 წლის ივლისიდან მე-2 კავკასიური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1912 წლის დასაწყისიდან გენერალ-ლეიტენანტი. 1912 წლის ნოემბრიდან 1-ლი კავკასიური კაზაკთა დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. 1916 წლის აპრილიდან ირანში შეყვანილი კავკასიის არმიის საკავალერიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის მაისიდან კავკასიის მე-5 საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის სექტემბრიდან კავალერიის გენერალი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას და ტოვებს სარდლის თანამდებობას. დაუყოვნებლივ გადადის ბრიტანული სარდლობის დაქვემდებარებაში. 1918 წლიდან ბრუნდება რუსეთში და უერთდება ალექსეევის ორგანიზაციას. თეთრგვარდიული მოძრობის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. 1919 წლიდან გენერალ დენიკინის სპეციალური სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. გიორგის ჯვრის კავალერი. რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინელთა დამარცხების შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან ემიგრაციაშია.

[9] გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი – მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი და ქართული არმიის პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1916-1917 წლებში გენერალ ბარათოვის ირანის საექსპედიციო კორპუსის ქართული ცხენოსანი პოლკის ოფიცერი. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. სახალხო გვარდიის ცალკეული საკავალერიო დივიზიონის წარმატებული მეთაური. მის პოლკში ირიცხებოდა კაპიტანი, და შემდგომში პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, საქართველოს ეროვნული გმირი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ, პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი ემიგრაციაში არ წასულა, იგი სამშობლოში დარჩა. 1921-

დნენ: ქ. ჩოლოყაშვილი, მ. დადიანი, ს. წერეთელი, ყანჩელი, გელოვანი, მიქელაძე, ამილახვარი, მხეიძე, ციციანოვი, ფავლენოვი და სხვ. ყურადღება მივაქციოთ ოფიცერთა არისტოკრატულ წარმომავლობას. ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოდგენილი თემის ძირითადი თეზისის გაშლაში.

დივიზიონმა საბრძოლო ნათლობა სომხეთ-საქართველოს ომში მიიღო, სადაც მისმა ქვედანაყოფებმა ვორონცოვკის, ეკატერინენფელდის, დაღეთ-ხაჩინისა და ბოლნის-ხაჩინის ბრძოლებში პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული საბრძოლო ამოცანა. ცალკე გამოყოფის ღირსია ეკატერინენფელდის ბრძოლა, სადაც დივიზიონის ერთ-ერთმა ასეულმა, პოდპოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის მეთაურობით განსაკუთრებით ისახელა თავი. მთელი 1919 წლის განმავლობაში და 1920 წლის დასაწყისშიც, გვარდიის ეს ნაწილი პრაქტიკულად უწყვეტად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მაგრამ 1920 წლის აპრილიდან მდგომარეობა იცვლება, დივიზიონის ოფიცერთა პირადი შემადგენლობა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბთან იდეოლოგიურ დაპირისპირებასა და ინტრიგების ქსელში აღმოჩნდა გახვეული. საქმის ვითარება ქვემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში იკითხება, რომელსაც საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ე.წ. „ლევილისა და ჰარვარდის“ ფონდებში მივაკვლიეთ. დოკუმენტი ორიგინალია, რუსულ ენაზე შესრულებული მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
საიდუმლო
1920 წლის 11 აპრილი

ცხენოსან დივიზიონში მოვალეობის ბოროტად გამოყენების გამო, მთავარი შტაბის დადგენილებით დათხოვნილ იქნა ცხენოსანი დივიზიონის მოლარე ყიფიანი, რის შემდეგაც მთავარი შტაბის წინაშე დივიზიონის ოფიცრების მიერ აღძრულ იქნა შუამდგომლობა ყიფიანის სამსახურში დატოვების შესახებ. დანიშნულ იქნა სპეციალუ-

---

1923 წლებში ანტიბოლშევიკური შეთქმულებისა და „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია საქართველოში. სხვა პატრიოტებთან ერთად (გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, გენერალი კოტე აფხაზი და სხვ.) დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ 1923 წლის მაისში.

რი კომისია აღმოჩენილ ბოროტმოქმედებებში ყიფიანის მონაწილეობის შესახებ. ***თუმცა კომისიამ ვერ შეძლო ამ ბოროტმოქმედებებში უშუალოდ ყიფიანის მონაწილეობის ჩვენება, მაგრამ შეგროვებული მასალების საფუძველზე და საქმის ყველა ვითარებიდან გამომდინარე, შტაბი მყარად მივიდა იმ რწმენამდე (пришел к твердому убъждению), რომ ყიფიანის დატოვება დივიზიონში შეუძლებელი იყო.*** (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) ამით ოფიცრების შუამდგომლობა უარყოფილ იქნა. დაინახეს ამაში რა, მათდამი უნდობლობის გარკვეული აქტი და ჩათვალეს თავი ნაწყენად, მათ განცხადებები დაწერეს დათხოვნაზე. დივიზიონის მეთაური ხიმშიევი, რომელიც იმჟამად მთავარი შტაბის საქმეებზე იმყოფებოდა ვლადიკავკაზში, თბილისში დაბრუნებისას, გაერკვა რა საქმის ვითარებაში, როგორც წესრიგზე პასუხისმგებელმა პირმა, პატაკი დაწერა გადადგომაზე.

მთავარმა შტაბმა ამ საკითხთან დაკავშირებით 6 აპრილს იმსჯელა და დაადგინა:

1. თუმცა გადადგომაზე განცხადებები თითოეული ოფიცრის მიერ ცალ-ცალკეა დაწერილი, მიღებულ იქნა მხედველობაში გადადგომის მიზეზები, თარიღი, განცხადების ფორმა და ხასიათი – ოფიცერთა გადადგომის განცხადება ჩაითვალოს კოლექტიურად.

2. ვთვლით, რომ განცხადებები დაწერილ იქნა სახელმწიფოსათვის სერიოზულ დროს, როცა იგი იმყოფებოდა ფაქტიურად ომის მდგომარეობაში ვლადიკავკაზსა და სოჭის ოკრუგში, მოხალისეთა დამარცხებისა და ბოლშევიკების მოახლოებით, ჩვენი ნაწილების მათთან მიახლოებით და ამით ინგლისელებთან დამოკიდებულების გამწვავებით.

3. დათხოვნილ იქნან გვარდიიდან ოფიცრები: ქ. ჩელოკაევი (ჩოლოყაშვილი – ა. ჩ.), კუსტაშვილი, მ. დადიანი, ს. წერეთელი, მამულაიშვილი, ბერელაშვილი, მაჭიტაძე და ფავლენოვი. ამ ექვსთან დაკავშირებით – ჩელოკაევი, კუსტაშვილი, მ. დადიანი, ს. წერეთელი, მამულაიშვილი და ბერელაშვილი – აღძრულ იქნას შუამდგომლობა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რომ მათ ჩამოერთვათ არმიასა და გვარდიაში სამსახურის უფლება.

ოფიცრების – დ. წერეთლის, ყანჩელის, გელოვანის, მიქელაძის, ამილახვარის, დ. მხეიძის, ო. დადიანის, შენგელიას, ლოლუას, პ. მხეიძისა და ციციანოვის მიმართ გამოყენებულ იქნას დისციპლინარული სასჯელი ჰაუპტვახტში ჩასმით. შენგელიას და დ. წერეთელს – ორი კვირით, ხოლო დანარჩენებს: ყანჩელი, გელოვანი, მიქელაძე,

ამილახვარი, დ. მხეიძე, ო. დადიანი, პ. მხეიძე და ციციანოვი – ერთი კვირით...

თავმჯდომარის მოადგილე: ა. ჭიაბეროვი;

მდივანი: რ. აუშტროვი [11, 122]

წარმოდგენილი მიმართვა მის აღსრულებით ნაწილში მეტად მძიმე დოკუმენტს წარმოადგენს. პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესიონალი სამხედროსათვის, ოფიცრისათვის, პროფესიული მოვალეობის შესრულების აკრძალვა, ანუ, „არმიასა და გვარდიაში სამსახურის უფლების ჩამორთმევა“ უმძიმესი სასჯელია მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით. მიმართვას გვარდიის მთავარი შტაბის უფვროსის მოადგილე, ანდრო ჭიაბრიშვილი აწერს ხელს და არა შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი. საქმე იმაშია, რომ ვალიკო ჯუღელი და დივიზიონის მეთაური პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი ამ მომენტისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში, ვლადიკავკაზში იმყოფებოდნენ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზების სამუშაოებს ატარებდნენ მოახლოებული ბოლშევიკური აგრესიის აღსაკვეთად. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ე.წ. „მთიელთა რესპუბლიკის“ არმიის აღჭურვისათვის ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს საქართველომ გამოყო გარკვეული შეიარაღება, საბრძოლო მასალები და ტექნიკური აღჭურვილობა. „მთიელთა რესპუბლიკის“ ამ არმიის მთავარსარდლად კი, ცნობილი ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, გენერალი ლეო კერესელიძე დაინიშნა. ქვემოთ მოყვანილ ქართულენოვან დოკუმენტში დეტალურადაა მოყვანილი მთელი ჩამონათვალი.

მოთხოვნა

კავაკსიელ მთიელთა რესპუბლიკის არმიის აღჭურვისათვის

(დოკუმენტში ადრესატი გადაშლილია – ა. ჩ.)

1919 წლის 15 დეკემბერი. ქ. თფილისი

1. ნახევარქურქი – 1200;
2. ჩექმა – 1200;
3. ბერდანკა – 300;
4. ვაზნები – 300000;
5. ტყვიამფრქვევი – 4;
6. ნიჩაბი – 200;
7. კირკა – 150;
8. ნაჯახი – 50;
9 ტელეგა – 5;

10 სამზარეულო – 4;
11. პატრონნიხ დვუკოლოკ – 4;
12. ტელეფონი – 7;
13. კაბელი – 70;
14. კოჭა – 7;
15. კომუტატორი – 1;
16. ტელეფონის ჩანთა – 3;
17. დინამიტი – 25 ფუთი;
18. შნურები მისთვის – ?
19. ხმალი – 100;
20. პოროხი – 5 ფუთი;
21. ბომბომიოტი – 4;
22. მათთვის ჭურვები – 500;
23. ნასოსი – 1;

მთავარსარდალი: ხელმოწერა – გენერალი ლეო კერესელიძე.

მომარაგების უფროსი: პოლკოვნიკი ხელმოწერილია (გაუგებრად – ა. ჩ.) [12, 182].

უკვე 1920 წლის დასაწყისისათვის კი, „მთიელთა რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის დამატებითი ზომები იქნა გატარებული. კერძოდ, იქ ოსმალო ოფიცერ-ინსტრუქტორთა და ჯარისკაცთა მცირე ჯგუფი იქნა მივლინებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. გარეშე საქმეთა სამინისტრო

20 თებერვალი, 1920 წ. №1106. ქ. თფილისი. საიდუმლო

გენერალური შტაბის უფროსს

მინისტრის მინდობილობით ამასთანავე გიგზავნით ცნობისათვის კონსტანტინეპოლში საქართველოს წარმომადგენლის 6 თებერვლის №807 მომართვის ასლს და სიას ათ ოსმალოს ოფიცრის და ათი ჯარისკაცისა, რომელნიც ფოთით გაემგზავრებიან მთიულეთის ჯარების ინსტრუქტორათ.

კანცელარიის დირექტორი: ხელმოწერა (ალბათ ზ. მაჩაბელი – ა. ჩ.)

დიპლომატიური განყოფილების უფროსი: ნ. მაჭავარიანი.

საქმის მწარმოებელი: ს. სვანიძე.

მეორე (ფურცელი 4) ფურცელზე:

Téfik Chirik, Hadgimok digh, Emin Berzek, Moustapha Mowt, Ismail Berkouk, Djudi Mamsir, Aboubekir Plif, Mouzapher Kchlu

---

Ainsi que 10 soldats [13, 3-4].

მეორე – მკითხველის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობდა ის გარემოება, რომ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში დივიზიონის არც ერთი ოფიცრის სამხედრო წოდება მინიშნებული არ არის. საქმე იმაშია, რომ 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ჩატარებული „რეფორმების“ შედეგად არა მხოლოდ სახალხო გვარდიაში, არამედ რეგულარულ ჯარშიც კი, სამხედრო წოდებები გაუქმდა. ამიერიდან სამხედრო მოსამსახურე მოიხსენიებოდა იმ დაკავებული თანამდებობრივი კატეგორიის ჩვენებით, რომელიც მას მოცემულ მომენტში ეკავა, და არა სამხედრო კარიერის განმავლობაში მიღწეული სამხედრო წოდებით. მაგალითად, თუ გენერალს დანიშნავდნენ ბატალიონის მეთაურად, მას პოდპოლკოვნიკად მოიხსენიებდნენ და არა გენერლად. ასევე, თუ დავუშვათ პორუჩიკს (ლეიტენანტს) დანიშნავდნენ პოლკის მეთაურად, მას უკვე პოლკოვნიკად მოიხსენიებდნენ და არა პორუჩიკად. გასაგებია თუ რას ემსახურებოდა მთავრობის მიერ მიღებული ესოდენ ინფანტილური და პროფესიონალ სამხედროთა წინააღმდეგ მიმართული უღირსი „რეფორმა“. ამ გზით მოხდებოდა სამთავრობო ელიტისათვის მისაღები იმ სამხედრო მოსამსახურეთა წინ წამოწევა, რომლებიც „ქართული დემოკრატიისათვის“ მისაღებ პერსონებს წარმოადგენდნენ, ხოლო მათთვის მიუღებელ პროფესიონალ სამხედროებს გარიყავდნენ და დაამცირებდნენ. სრული იდეოლოგიური მარგინალიზაციის ფაქტი სახეზეა. ამ საკითხთან დაკავშირებით გავეცნოთ კიდევ ერთ მეტად საინტერესო სამთავრობო ცირკულარს.

რესპუბლიკის მთავრობა. სამხედრო სამინისტრო
პიროვნული შემადგენლობის განყოფილების უფროსი
1919 წლის 12 ნოემბერი. №2949
სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსს – ცირკულიარად.

1. გაცნობებთ, რომ სამხედრო მინისტრის მოადგილემ, გენერალ ოდიშელიძემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი ჯარის ზოგიერთი ოფიცრები თავის გვარს წერენ რუსული დაბოლოვებით, რაიც ოფიცრებს ამიერიდგან სასტიკად ეკრძალებათ და თხოულობს, რომ საზოგადოდ გვარების გამოთქმაში დაცული იყოს ეროვნული ხასიათი: ქართული გვარები უნდა გამოითქვას უსათუ-

ოდ ქართული დაბოლოებით, რუსული – რუსულით, სომხური – სომ-ხურით და სხვა...

2. ზოგიერთ სამხედრო პირებს ჯერაც ვერ შეუთვისებიათ, რომ ჩვენ ჯარში ხარისხები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ თანამდებობათა სახელწოდება და მაშასადამე ყველა ყოფილი გენერლები, შტაბ და ობერ ოფიცრები უსათუოდ უნდა იწოდებოდნენ მათ მიერ დაჭერილი თანამდებობის სახელწოდების მიხედვით. ასე მაგალითად, ყოფილი გენერალი, რომელსაც ნაწილის უფროსის თანამდებობა უჭირავს, უნდა იწოდებოდეს უსათუოდ პოლკოვნიკად და არა გენერლად და სხვა...

პოლკოვნიკი: ბაქრაძე; საინსპექციო-საჯილდო ნაწილის უფროსი: ხომერიკი [14, 36]

აქ ისევ ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს ქართული ჯარის „რეფორმატორები". თუ ყურადღებით გადავიკითხავთ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტს გვარდიის საკავალერიო დივიზიონის ოფიცერთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ადვილად შევამჩნევთ, რომ თავად „ხელისუფალნი" არღვევდნენ მათ მიერვე მიღებულ კანონს. კერძოდ, მთავრობის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილში მოხსენიებული პირველივე ოფიცრის, დღევანდელი საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვარი „ჩელოკაევად" არის მოხსენიებული. ასეთივე სურათია „ფავლენოვის", „ციციანოვის", და თავად გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის მოადგილის შემთხვევაშიც, სადაც ანდრო ჭიაბრიშვილი თავადვე არღვევს ცირკულარის მოთხოვნებს და მისი გამოცემიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგაც კი, ხელს ისევ „ჭიაბეროვად" აწერს.

მესამე და მთავარი – მთავრობის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ საიდუმლო წერილში სიტყვაც კი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა სახის „ბოროტმოქმედებები" იქნა ჩადენილი დივიზიონში, რომლის მთავარ მოქმედ პირად მოლარე ყიფიანია დასახელებული. არა გვგონია, რომ ფინანსური დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ძნელი გამხდარიყო დანაშაულისათვის ზუსტი კვალიფიკაციის მიცემა და არა მეტად ბუნდოვანი და იდუმალი „ბოროტმოქმედებებით" აპელირება. მსგავსი გამოცდილება საქართველოს მთავრობას, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს საკმარისზე მეტი ჰქონდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკის ხელისუფალნი არათუ რომელიღაც დივიზიონის უბრალო მოლარის, არამედ თვით საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის, ან თუნდაც მე-2 ქვეითი დი-

ვიზიის მეთაურის, გენერალ მაზნიაშვილის ავტორიტეტსა და სახელსაც არ მოერიდნენ და ისინი სახელმწიფო ქონების დატაცებაში დააადანაშაულეს. ცხადია, ამ ბრალდებებს არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნდა და საბოლოოდ თავად მთავრობის თავმჯდომარეს მოუწია მათთვის ბოდიშის მოხდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში, 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე, გენერალი მაზნიაშვილი იძულებით ჩამოაშორეს სამხედრო სამსახურს, მთელი ამ ხნის განმავლობაში კი მისი საქმე „ძიებაში" იმყოფებოდა. გენერალმა კვინიტაძემ კი უსაფუძვლო ბრალდებებზე პროტესტის ნიშნად რამდენჯერმე დატოვა მთავარსარდლის თანამდებობა. როგორც ჩანს, აქაც, გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის შემთხვევაში, არავითარ გამოკვეთილ დანაშაულს არ ჰქონია ადგილი. ჩვენს მიერ ტექსტში ხაზგასმული ფრაზა კი, მთლიანად ხსნის საქმის ვითარების არსს. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ ***„ვერ შეძლო ამ ბოროტმოქმედებებში უშუალოდ ყიფიანის მონაწილეობის ჩვენება",*** კომისია მაინც ***„пришел к твердому убъжденію"***, რომ ყიფიანის დივიზიონში დატოვება შეუძლებელი იყო. აი ასე. მთავარი არა „ბოროტმოქმედებების" არსებობა და მასში რეალურად ვინმეს მხილება, არამედ ქართველი სოციალ-დემოკრატების თავგადაკლული ***„убъждені"***-ები იყო. ეს ***„убъждені"***-ები კი, ცახდია, მათი იდელოგიური კრედოთი სულდგმულობდა და არა საქმეების ფაქტობრივი არსიდან გამომდინარე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი მოთხოვნის საპასუხოდ პოლკოვნიკმა ჩოლოყაშვილმა და დივიზიონის ოფიცრებმა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს მიმართეს განცხადებით, სადაც ისინი საქმის არსში საფუძვლიანად გარკვევასა და სამართლიანობის აღდგენას ითხოვდნენ. ეს დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში მოკლედაა გადმოცემული ცხენოსანი დივიზიონის მიერ გავლილი საბრძოლო გზა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ განცხადებაში კარგად იკითხება მთელი ამ სკანდალის არსი, მისი რეალური მიზეზები და დივიზიონის ოფიცერთა ის დიდი გულისტკივილი, რომელიც მათდამი უღირსი მოპყრობით იყო განპირობებული.

დოკუმენტი ორიგინალია, რომელიც მანქანაზე ნაბეჭდ ქართულენოვან ტექსტს წარმოადგენს. სამწუხაროდ, თარიღი არაა მითითებული, მაგრამ ფაქტია, რომ იგი 1920 წლის აპრილის პირველ რიცხვებში უნდა იყოს შედგენილი. ამ დოკუმენტს სრულად წარმოვადგენთ.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს
გვარდიის ცხენოსან დივიზიონის ყოფილ აფიცერთა

განცხადება

ბატონო თავმჯდომარე, ამით გვაქვს პატივი გაგაცნოთ ყველა ის გარემოება, რომელიც წინ უძღოდა და თან სდევდა სამსახურიდგან ჩვენ დათხოვნას. ამას გვაბედინებს ის მოსაზრება, რომ გვარდიის მთავარი შტაბის დადგენილებაში ჩვენი დათხოვნის შესახებ არ არის აღნიშნული, თუ რამ შეჰქმნა და რამ გამოიწვია ის არა ნორმალური მდგომარეობა, რომელმაც იძულებულ გვჰყო ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ სამსახურზედ აგვეღო ხელი. ამ დადგენილებაში მოხსენიებულია მხოლოდ და მარტო შიშველი ფაქტი ჩვენის მხრივ პატაკების შეტანისა სამსახურიდგან დათხოვნის შესახებ, რასაც შეუძლია ჩრდილი მიაყენოს აფიცერთა პიროვნებას, თუ განხილული და განსჯილი არ იქნება საქმის მთელი ვითარება.

სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი არსებობს 1918 წ. 20 აგვისტოდან.

1918 წ. 29 ოქტომბერს გაგზვნილ იქნა სოფ. ვორონცოვკაში 2 ასეული და ტყვიის მფრქვეველ რაზმის ერთი გუნდი.

1918 წ. 3 დეკემბერს დაბრუნდა ვორონცოვკიდან ერთი ასეული და ხსენებული გუნდი.

1918 წ. 15 დეკემბერს დივიზიონმა გაილაშქრა ბორჩალოს მაზრაში სომხეთის ფრონტზედ, სადაც მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში ეკატერინენფელდთან, დაგეტ-ხაჩინთან და ბოლნის-ხაჩინთან.

1919 წ. 3 თებერვალს დივიზიონი დაბრუნდა სომხეთის ფრონტიდგან.

1919 წ. 8 თებერვალს დივიზიონმა გაილაშქრა სოჭის ფრონტზედ და 16-17 აპრილს გავიდა მდ. ბზიბზედ გაგრის დასაჭერად.

1919 წ. 18 აპრილს დივიზიონმა დაიჭირა საზღვრები და უკუ აქცია მტერი მდ. მზიმთამდის.

1919 წ. 29 ოქტომბერს დივიზიონი დაბრუნდა სოჭის ფრონტიდგან.

1919 წ. 8 ნოემბერს დივიზიონი გაგზავნილ იქნა ამბოხების ჩასაქრობად გორის მაზრაში, საიდანაც დაბრუნდა 1919 წ. 20 დეკემბერს.

1920 წ. 22 თებერვალს დივიზიონმა გაილაშქრა ბათომის ოლქში, საიდანაც დაბრუნდა ამ წლის 11 მარტს.

აი, მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი მატიანე ცხენოსან დივიზიონის მოღვაწეობისა თითქმის სამი წლის განმავლობაში, ყველა ის საქმე, რომელიც მთავრობისა და სამშობლოს მიერ დაკისრებულ ჰქონდა დივიზიონს, პირნათლად შეუსრულებია მას საერთოდ და მის ხელმძღვანელ უფროს თუ უმცროს აფიცრებს კერძოდ. თითოეული ნაბიჯი და საქმე ჩვენი დივიზიონისა გაცისკროვნებული იყო სამშობლოსადმი სიყვარულით, მის მეფეურ მთავრობისადმი ერთგულებით და თვისი მაღალი ვალის შეგნებით, და დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსად შემდრკალა დივიზიონის მხედრობა, არსად შებღალულა და დაჩრდილულა ამ მხედრობის იარაღის პატივი და არ შეფერხებულა მისი წინსვლა ბრძოლის ველზედ. ასეთი იყო დივიზიონი და მისი აფიცრობა ომში და ასეთივე იყო შინაობაში, ყაზარმაში მტკიცე და სასტიკი დისციპლინა, ბეჯითი ვარჯიშობა და საომარი სამზადისი, გულითადი ურთიერთობა უფროს-უმცროსებს შორის – აი რა ახასიათებდა დივიზიონის მშვიდობიან ცხოვრებას.

მაგრამ იმთავითვე დივიზიონის აფიცერთა საზოგადოებასა და მთავარ შტაბს შორის დამყარდა საუბედუროდ და სამწუხაროდ ის არა ნორმალური ურთიერთობა, რომელმაც შეჰქმნა აფიცრებისათვის აუტანელი მდგომარეობა. ამ ურთიერთობის ნიშანდობლივი თვისება იყო სრული უნდობლობა მთავარი შტაბის მხრივ აფიცერთა საზოგადოებისადმი. ეს უნდობლობა ედვა სარჩულად ამა თუ იმ აფიცრის დათხოვნას სამსახურიდგან მისი ბრალის და დათხოვნის მიზეზების აფიცერთა საზოგადოების მიერ განუხილველად განუსჯელად. იმავე უნდობლობას იჩენდა მთავარი შტაბი, როდესაც უარს ეუბნებოდა აფიცრებს დივიზიონში მათ არჩევით მხედრების მიღებაზედ, რომელთათვისაც სამხედრო აღზრდისა და მომზადების მხრივ ერთად ერთი პასუხის მგებელი აფიცრობა იყო. იმავ უნდობლობით მთავარი შტაბი უგულებელ ჰყოფდა საერთოდ აფიცერთა თხოვნებს და ყურად არ ღებულობდა მათ ნივთიერ მდგომარეობას და სხ. და სხ. (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.)

ყველა ამ გარემოებამ შეჰქმნა ისეთი ურთიერთობა მთავარ შტაბსა და დივიზიონის აფიცრებს შორის, რომ სამსახური შეუძლებელი შეიქმნა. ძნელი და ფრიად სამძიმო იყო აფიცრებისათვის ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მეტი გზა არ იყო და აფიცრებიც იძულებულნი იყვნენ სათითაოდ მიემართათ თავისი უფროსისათვის პატაკებით სამსახურითგან დათხოვნის შესახებ. ამასთანავე აფიცრებმა სთხოვეს უფროსს მთავარ შტაბისთვის მოსახსენებლად, რომ რადგანაც

აფიცრებს უყვართ დივიზიონი, ვითარცა თავისი ღვიძლი შვილი ქმნილება, ვითარცა სამხედრო ნაწილი შექმნილი ორი წლის მეცადინეობით და მუყაითობით აფიცერთა საზოგადოებისა, რომელმაც ამ ნაწილის შექმნას შეალია დიდი ენერგია და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით და ერთგულებით მართლაც შეჰქმნა სამხედრო ნაწილი ყოველმხრივ სამაგალითო და რომ აფიცრებს არ ჰსურთ დაირღვეს დივიზიონის მთლიანობა და კარგად აქვთ შეგნებული, რომ ამჟამად მიმდინარე მომენტის პოლიტიკურ პირობების გამო და ტექნიკურადაც შეუძლებელია ოფიცერთა ერთდროული გასვლა სამსახურითგან, მთავარმა შტაბმა, წესი აფიცერთა დათხოვნისა მიანდოს დივიზიონის უფროსს და უკანასკნელმა კი დაითხოვოს აფიცრები თანდათანობით ახალ აფიცერთა სამსახურში ჩარიცხვის თანაბარ. აფიცრებმა აგრეთვე განუცხადეს უფროსს მთავარი შტაბისათვის მოსახსენებლად, რომ თუ გარემოება მოითხოვს დივიზიონის ფრონტზედ გალაშქრებას, მთელი აფიცრობა, როგორც ერთი კაცი, გავა ლაშქრად და შეასრულებს კვლავ სამსახურის მოვალეობას სამშობლოს წინაშე და იმ დრომდე არ დაეთხოვება სამსახურს, ვიდრე მშვიდობიანი დროის პირობებში შესაძლებელი არ იქნება უმტკივნეულოდ შეცვლა ძველი აფიცრებისა ახლებით. ამასთანავე დათხოვნამდე ყველა აფიცერი ვალდებულია პირნათლად და სინდისიერად შეასრულოს სამსახური და მუდამ მტკიცედ ახსოვდეს, რომ სამშობლოს სამსახური მის წინაშე პასუხის მგებლობას აკისრებს მას.

ამის პასუხი იყო დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი დადგენილება მთავარი შტაბისა. ჩვენის მხრივ პატაკების უფროსისადმი მირთმევა არ იყო გაფიცვა ან პირის შეკვრა. ცხენოსან დივიზიონის აფიცრობა თავის დღეში არ დაეცემოდა ზნეობით ისე, რომ გაფიცვით ან სხვა რამე უმზგავსობით საფრთხეში ჩაეგდო მთავრობა, ეღალატნა სამშობლოსათვის და მთელი ქვეყნის თვალში თავს ლაფი დაესხა. მაგრამ მთავარმა შტაბმა, სჩანს, სწორედ ასე შეხედა ჩვენგნით სამსახურიდგან დათხოვნის სურვილის განცხადებას და ყურად არ იღო ჩვენი განცხადებანი დივიზიონის უფროსის მიერ მოხსენებული. გარდა ამისა, მთავარ შტაბს დაუდგენია, როგორც ჩვენ ეს გამოგვეცხადა, რომ მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა მთავრობამ გვარდიიდგან დათხოვნილ აფიცრებს ჯარში სამსახური აუკრძალოს. ეს არის უმძიმესი სასჯელი, რომელიც უდრის სისხლის სამართლის კანონებით გათვალისწინებულ მოქალაქეობრივ უფლების აყრას და ასეთი სასჯელის გაჩენა დამნაშავისათვის შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

თუ ჩვენ მთავარ შტაბს მივაჩნივართ ასეთი სასჯელის ღირსად, მაშინ სამართლიანობა და სამშობლოს ინტერესი მოითხოვს, რომ დამნაშავენი მიცემულ იქნენ სამართალში, და მათ თავს დააატყდეთ სამართლიანი რისხვა კანონისა. ორში ერთი – ან ჩვენ დამნაშავე ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე, ჩვენ რაღაც მძიმე ბრალი გვედება და მაშინ ჩვენ, როგორც სამხედრო პირნი უნდა გაგვასამართლონ სამხედრო სასამართლოს კანონების მთელი სისატიკით და სიმკაცრით, ან და ჩვენ ასეთი ბრალი არ მიგვიძღვის სამშობლოსა და მთავრობის წინაშე და მაშინ ჩვენ არაფრით დაგვიმსახურებია ის ზომა, რომლითაც გვიპასუხა მთავარმა შტაბმა.

ჩვენ უმორჩილესად მთხოვნელი ვართ, რომ ჩვენი საქმე ყოველ მხრივ იქმნეს განხილულ-გამოძიებული და მიეცეს მას კანონიერი მსვლელობა, რათა ან გავმართლდეთ კანონის წინაშე და გავფანტოთ ის ჩრდილი, რომელიც მოგვაყენა მთავარი შტაბის ზემოთ ხსენებულმა დადგენილებამ ან და მოვიხადოთ სამართლიანი და კანონიერი სასჯელი სასამართლოს მიერ ჩვენთვის გაჩენილი.

ხელმონერები: ქ. ჩოლოყაშვილი; მ. დადიანი; ნ. წერეთელი; დ. ბერელაშვილი; შ. ფავლენიშვილი [15, 125-126].

განცხადების შინაარსთან დაკავშირებით არავითარ კომენტარს არ გავაკეთებთ, ისედაც ყველაფერი ნათელია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ესოდენ ბრძოლისუნარიანი და წარმატებული შენაერთის დემორალიზაცია და მისი ფაქტობრივი დაშლა იმ დროს მოხდა, როცა ბოლშევიკური მე-11 არმია უკვე ამიერკავკასიას იყო მომდგარი და რამდენიმე დღეში აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის 1 მაისს, საომარი მოქმედებები დაიწყო პირველი ქართული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ ეტაპზე ქართულმა სახელმწიფომ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს ბოლშევიკთა აგრესიის აღკვეთა და თავისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. მაგრამ უკვე ცხრა თვის შემდეგ ისტორიამ სხვანაირად განსაჯა. 1921 წლის მარტში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და მისმა „მეფეურმა მთავრობამ“ დე-ფაქტო არსებობა შეწყვიტეს.

დავუბრუნდეთ ისევ 1920 წელს, საკავალერიო დივიზიონსა და პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილს. დივიზიონის ოფიცერთა ზემოთ მოყვანილი განცხადების პასუხად, 10 აპრილს სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილების ურყეობა და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიას შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი
1920 წლის 10 აპრილი. საიდუმლო. №41
დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიას

ცხენოსანი დივიზიონის ოფიცერთა საქმესთან დაკავშირებით შტაბმა ისევ განიხილა საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება.

თავმჯდომარის ამხანაგი: ა. ჭიაბეროვი; მდივანი: რ. აუშტროვი [16, 194].

1920 წლის 3 ივლისს კი, ოფიცერთა საქმე „ტფილისის მე-2 უბნის გამომძიებელს", თარხნიშვილს და სამხედრო პროკურატურას გადაეცა [17, 13].

ახლა კი პასუხი მთავარ კითხვაზე, თუ რამდენად გამართლებული იყო გვარდიის მთავარი შტაბის გადაწყვეტილება ოფიცერთა „კოლექტიური" განცხადების პასუხად ესოდენ მძიმე გადაწყვეტილების მიღებაზე. აქ ყველაფერი ნათელია – ინდივიდები სისტემას დაუპირისპირდნენ და ამით თავიდანვე განსაზღვრეს ამ დაპირისპირების შედეგი. პოლიტიზირებული ჰომოგენური სისტემა გამორჩეულებს ვერ ეგუება, შედეგები კი, პროგნოზირებადია. აქვე დადებითად უნდა შევაფასოთ პოლკოვნიკ ხიმშიაშვილის მიერ გადადგომაზე დაწერილი პატაკი, რაც უდაოდ ღირსეული საქციელი იყო.

ფორმალური თვალსაზრისით, ნამდვილად სწორი იყო შტაბის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სტატუსის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტებით, სამხედრო მოსამსახურეებს მაშინაც ეკრძალებოდათ და ახლაც ეკრძალებათ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, კოლექტიური განცხადებების გაკეთება, გაფიცვებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება ან მათი მოწყობა, აგრეთვე ნებისმიერი ტიპის პარტიის წევრობა. აქ გასაკვირი არაფერია და დამატებითი კითხვებიც არ უნდა გაჩნდეს. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები მკაცრად აპოლოტიკურ ინსტიტუციას უნდა წარმოადგენდეს. უფრო მეტიც – სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა სამხედრო მოსამსახურეებს ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობაც ეკრძალებათ. მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ცალსახად ჩანს, რომ დივიზიონის ოფიცერთა მიერ პატაკები ცალ-ცალკე და უშუალო მეთაურების სახელზე იქნა დაწერილი, შესაბამისად, კოლექტიურ მოთხოვნასთან მას არაფერი საერთო არ ჰქონდა. მაგრამ მთავარი საკითხი აქ არშემდგარი „ბოროტმოქმედების" ჩადენა, სახალხო გვარდიის პოლიტიზირება

და ზოგადად, იმ იდეოლოგიური არათავსებადობის არსებობაა, რაც პირველი ქართული რესპუბლიკის პოლიტიკური ისთებლიშმენტის მხრიდან არსებობდა არისტოკრატული წარმომავლობის ოფიცრებთან მიმართებაში.

პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სახალხო გვარდიის საკავალერიო დივიზიონის ოფიცერთა პირადი შემადგენლობის სამსახურიდან დათხოვნამ და დივიზიონის ბრძოლისუნარიანობის მოშლამ, მოგვიანებით, უკვე 1921 წლის თებერვალ-მარტში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობაზე. ამ ომში ქართული შეიარაღებული ძალების ყველაზე სუსტი სეგმენტი, სუსტი გვარეობა სწორედ კავალერია, საკავალერიო ნაწილების უკმარისობა იყო. ბედის ირონიაა ალბათ ისიც, რომ რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის შენაერთებს, რომლებიც თბილისის დაცვის ბრძოლებში ნავთლუღსა და კოჯორ-ტაბახმელას ფრონტებზე იყვნენ გაშლილნი, ცხენოსანი ნაწილები საერთოდ არ გააჩნდა. 1921 წლის თებერვალში თბილისის მისადგომებთან მიმდინარე ინტენსიური საომარი მოქმედებების დროს კი, ქართველ კავალერისტთა ერთი ჯგუფი, რომელშიც პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილიც იყო ჩართული, დასავლეთ საქართველოში მართავდა უშედეგო ვოიაჟებს ცხენებისა და საკავალერიო აღჭურვილობის რეკვიზიციების მიზნით, მაგრამ უშდეგოდ. საერთო ჯამში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921 წლის რუსეთ-სქართველოს ომში, სხვა მიზეზებთან ერთად, ქართული მხარის მარცხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, სწორედ კავალერიის უქონლობა წარმოადგენდა.

ჩვენ შორს ვდგავართ იმ მოსაზრებისაგან, რომ ვალიკო ჯუღელისა და გოგი ხიმშიაშვილის თბილისში ყოფნის შემთხვევაში, მოვლენები სხვანაირად განვითარდებოდა და ცხენოსანი დივიზიონის ოფიცერთა წინააღმდეგ დაწყებული ეს რეპრესიები არ განხორციელდებოდა. პირიქით, ჯუღელის უკომპრომისო ხასიათიდან, და აგრეთვე მისი მყარად განსაზღვრული რევოლუციური და მარქსისტული იდეოლოგიიდან გამომდინარე, შედეგები შეიძლება უფრო მძიმეც კი ყოფილიყო. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში არსებული ეს ორი გამორჩეული პიროვნება, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი და მისი შტაბი ერთის მხრივ, და გვარდიის საკავალერიო დივიზიონის წარმატებული ოფიცერი, პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და დივიზიონის ოფიცერ-

თა შემადგენლობა მეორეს მხრივ, იდეოლოგიურად დაპირისპირებულთა ბანაკებში აღმოჩნდნენ ჩართულნი. ბედის ირონიად უნდა ჩავთვალოთ ის ფაქტიც, რომ საერთო ჯამში, ბოლშევიკების წინააღმდეგ მათ მაინც ერთად მოუწიათ ბრძოლაში ჩართვა, მაგრამ არა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში, არამედ უკვე საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების დროს. ვალიკო ჯუღელი ამ ბრძოლას შეეწირა. ემიგრაციიდან სამშობლოში ჩამოსული, იგი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და 1924 წლის აგვისტოში დახვრიტეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი ბოლშევიკთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შემდეგ იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში გადახვენილიყო, სადაც 42 წლის ასაკში აღესრულა კიდეც მძიმე სენით შეპყრობილი. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

თემას კი იმ ფრაზით დავასრულებთ, რაც კრებულის – „ახალი და უახლესი ისტორიის“ მე-14 ნომერში დაბეჭდილ ჩემს სტატიას – „ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ...“ რეფრენად გასდევდა: „ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა მხოლოდ პათეტიკური ტონით აღწერილი ჰეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალიების ზუსტი აღწერა და ანალიზია, ან უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობა...“ [18, 243]

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული, თბილისი, 1919.
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ კანონის პროექტი; გიორგი კვინიტაძე, მოგონებები: საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921, ნაწილი I, თბილისი, 1998.
3. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო, 1920 წლის 12 დეკემბერი, №1.
4. არჩილ ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), თბილისი, 2014.

5. არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა), ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 253.
7. სცსსა, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 27, ფურცელი 169.
8. Конев А. М, Организация первых отрядов Красной гвардии и их вооружение. Красная гвардия на защите Октября, Отв. редактор Н. Н. Азовцев, 2-е изд. Москва, 1989.
9. General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München, 1943.
10. დავით ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, თბილისი, 2004.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი 122.
12. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 32, ფურცელი 182.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 18, ფურცელი 3-4.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 54, ფურცელი 36.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი 125-126.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 32, ფურცელი 194.
17. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1970. ანაწერი 3, საქმე 18, ფურცელი 13.
18. არჩილ ჩაჩხიანი, ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ..., კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2014, 1 (14).

Archil Chachkhiani
Doctor of History, Colonel David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

Colonel Kakutsa Cholokashvili - „We Are not Guilty in the Face of Our Government and Our Country..."

Summary

This article deals with vicious relatioinship actually existing in the armed forces of the first Republic of Georgia, between the representatives of the social-democratic party and the leadership of the National Guard from one hand, and Georgian officers who were the former officers of the czarist army and were from the aristocratic families by origin - on the other. The main issue of the article has to do with the events which took place in the Cavalry Division of the People's Guard in spring 1920. Namely, at that time, on the basis of ideological inconsistency, the essential part of the Georgian officers, and among them colonel Kakutsa Cholokashvili, now recognized as the Georgian national hero, were ousted from their places and expelled from the army.

Those repressions, in fact, disrupted fighting efficiency of this unit, known for its rich fighting experience and traditions. The most interesting is that demoralization of the successful military unit occured right at the time, when the 11th Bolshevik Army nearly approached Trans-Caucasus. In literally some days, on May 1, 1920, after that Army had capured Azerbaijan, they began the military operations against the First Republic of Georgia. At this stage the Georgian armed forces managed to deter the Bolshevik aggression and preserve the territorial integrity of their country, but nine months later, the History judged differently. In March 1921, the Democratic Republic of Georgia ceased to exist.

მარიამ გაბუნია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს მიერ ევროპაში მოკავშირის ძიების მცდელობა

ყოველი ქვეყნის ისტორიაში არის პერიოდები, რომელთაც მისი შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უმთავრესი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის პრობლემა იყო. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ევროპა ჩვენი ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მოკავშირედ არასოდეს ქცეულა, მაგრამ აგრესორ სახელმწიფოებთან პირისპირ დარჩენილი საქართველო მუდამ რჩებოდა დასავლეთის პოლიტიკური თვალთახედვის არეალში.

შუა საუკუნეების პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ორიენტაცია სწორედ ამის უტყუარი დასტურია. საქართველო, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, არათუ მუდმივად ორიენტირებული იყო ევროპული სამყაროსაკენ, არამედ ამ სამყაროს წევრს წარმოადგენდა. ამ პერიოდის ქართული სახელმწიფო და მისი საზოგადოება, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, ქრისტიანულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. საუკუნეთა მანძილზე ქართული სახელმწიფოს საგარეო ორიენტაცია პროდასავლური იყო. ქართველი ხალხი საკუთარი თვითმყოფადობის შეარჩუნებას დასავლური ცივილიზაციის ათვისებისა და ქვეყნის ევროპეიზაციის საშუალებით ესწრაფვოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ქართველი მეფე-მთავრები ცდილობდნენ, დაკავშირებოდნენ დასავლეთის კათოლიკურ ქვეყნებს და მათთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებით ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარება მიეღოთ. მართალია, ასეთი დაახლოება თითქმის ყველა შემთხვევაში უშედეგო გეგმებსა და დაპირებებს არ გასცილებია, მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნისათვის მრავალი სასარგებლო შე-

დეგი მოუტანია: დასავლეთის კათოლიკურ ქვეყნებთან (უპ. ყოვლისა, იტალიასა და ესპანეთთან) კავშირები გარკვეულ იმედებს უსახავდა განსაცდელში მყოფ საქართველოს, რომელიც იმთავითვე მკაცრად ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს, რომლის შუაგულშიც იყო მოქცეული. ქართველთათვის ევროპული ცივილიზაცია უფრო ბუნებრივი, მშობლიური და სავსებით მისაღები იყო, ვიდრე მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების ცხოვრების წესი. ქართველი მეფე-მთავრების მიერ დასავლეთის პოლიტიკური მესვეურებთან დადებულ კავშირებს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური სარჩული ედო.

XV-XVII საუკუნეების საქართველო-ესპანეთის პოლიტიკური, რელიგიური, დიპლომატიური ამოცანების, მიზნებისა და შედეგების შესწავლა მნიშვნელოვან, აქტუალურ თემათა რიცხვს განეკუთვნება, მით უფრო, რომ აღნიშნულ პერიოდში განვითარებული მოვლენების შეფასების შედეგად ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ერთიანი აზრი არ ჩამოყალიბებულა.

სტატიაში მიზნად დავისახეთ თეიმურაზ I-ის ევროპული პოლიტიკისა და ნიკიფორე ირბახის ელჩობის ზოგიერთი დეტალის გარკვევა-დაზუსტება.

ნიკიფორე ირბახის ევროპული მისია საქართველოს დასავლური ორიენტაციის პრაქტიკული გამოვლინების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო. სამწუხაროდ, თავის პრობლემაში ჩაფლულმა ევროპამ საქართველოსათვის ვერ მოიცალა და მეფე თეიმურაზ I იძულებული გახდა ქვეყნის გადარჩენის სხვა გზები ეძებნა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ I-ის მმართველობა (1606-1648) და ნიკოფორე ირბახის მადრიდსა და რომში ელჩობა (1626-1628) მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. მიუხედავად ამისა, ამ საკითხთა ზოგიერთი დეტალი ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველია და, რაც მთავარია, ქართული ევროპული დიპლომატიის თვალსაზრისით, ეს პრობლემა სრულყოფილად შეუსწავლელია. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მთელი რიგი უცხოური და ქართული დოკუმენტების გაანალიზება და მათი ახალი, დღემდე უცნობი კუთხით წარმოჩენა.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში XVII საუკუნის I ნახევარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით გამოირჩევა. ძნელბედობის ჟამს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ყურადღება დასავლეთ ევროპას მიაპყრო, სადაც საგანგებო პოლი-

ტიკური მისიით აღჭურვილი ქართული ელჩობა გაგზავნა ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და დესპანის ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლაყაშვილი) ხელმძღვანელობით. აღნიშნული ელჩობა ქართული დიპლომატიის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიგს განეკუთვნება და ჩვენი ქვეყნის წარსულის განსაცდელით აღსავსე პერიოდს უკავშირდება. თეიმურაზ I-ს სურდა დასავლეთ ევროპაში ძლიერი მოკავშირე ჰყოლოდა ესპანეთის მეფე ფელიპ IV-ის სახით, თუნდაც მის მიმართ ვასალური დამოკიდებულების აღიარების ფასად. ქართველი დესპანის მიერ შეთავაზებული წინადადება ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ ორმხრივ დაინტერესებას ითვალისწინებდა იმ სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, რომელსაც სპარსეთის ასალაგმავად თეიმურაზ I ესპანეთისაგან მოელოდა. ამ მიზნით იგი ფელიპ IV-ს თავის ქმედით მოკავშირეობას სთავაზობდა საერთო მტრის წინააღმდეგ აზიის იმ რეგიონში, სადაც ამ ორი ქრისტიანული ქვეყნის საბრძოლო თანამეგობრობის განხორციელება სავსებით რეალური ჩანდა.

ნიკიფორე ირბახის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ელჩობას ზედმიწევნით საიდუმლო ხასიათი ჰქონდა. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რომის არქივებში მიკვლეული სათანადო დოკუმენტური მასალის შინაარსი სრულად არ განმარტავდა თუ რა კონკრეტული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა ქართველი მეფის ელჩს ესპანეთსა და ვატიკანის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას. სრულიად აშკარა ტენდენცია მკაცრი კონსპირაციისადმი ქართული ელჩობის მიზნების უკიდურესი გასაიდუმლოების შედეგი იყო, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ნ. ირბახის მოთხოვნათა საფუძველზე შედგენილი იმ საიდუმლო ბარათიდან ჩანს, რომლის შინაარსი საგანგებოდ მოხსენდა ესპანეთის მეფე ფელიპ IV-ს.

1625-1628 წლების ქართული ელჩობა ღრმად გააზრებული, საფუძვლიანად მომზადებული პოლიტიკური ღონისძიება იყო. ჩვენს მიერ შესწავლილი საარქივო საბუთებიდან კარგად ჩანს ირბახის დიპლომატიური მისიის ძირითადი მონახაზი. საბუთების შინაარსის გაცნობა-შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, როგორი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქართული ელჩობის პოლიტიკური დედააზრი. იგი არ უნდა განვიხილოთ, როგორც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქრისტიანი მეფის თხოვნა-მუდარა შველა-დახსნის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, ქართველი ელჩი შეეცდებოდა სხვა, უფრო ახლოს მდებარე, არანაკლებ ძლიერ ქრისტია-

ნულ სახელმწიფოსთან დაკავშირებას. მაგრამ მას თავისი ხელისუფლისაგან საგანგებოდ ჰქონდა დავალებული სწორედ ესპანეთთან და რომთან ეწარმოებინა მოლაპარაკება და სპარსეთთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობით გამოწვეული ქვეყნის პოლიტიკური სიდუხჭირე უშუალოდ დაეკავშირებინა პორტუგალია-სპარსეთის კონფლიქტურ სიტუაციასთან ორმუზის სრუტის რეგიონში.

საარქივო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ესპანეთის ინტერესები აღმოსავლეთ ინდოეთში ძირეულად უპირისპირდებოდა სპარსეთისას. ამასვე ადასტურებს იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს წერილი ფელიპ IV-სადმი, სადაც ხაზგასმული იყო ორმუზის რეგიონში იმხანად არსებული პოლიტიკური ვითარების ქართლ-კახეთის სამეფო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობა. იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს წერილიდან ნათლად ჩანდა თეიმურაზ მეფის მისწრაფება – ესპანეთის მეფე ფელიპ IV-ის სახით დასავლეთ ევროპაში ძლიერი მოკავშირე გაეჩინა.

დასავლეთ ევროპის უძლიერესი კათოლიკური სახელმწიფოები რომის პაპის მეთაურობით ოსმალეთთან მომავალ დაპირისპირებაში სპარსეთს თავიანთ პოტენციურ მოკავშირედ განიხილავდნენ და, ცხადია, ახლო აღმოსავლეთში თავიანთ ამ გლობალურ პოლიტიკას საქართველოს ინტერესებს ვერ დაუქვემდებარებდნენ. ასეთ ვითარებაში ქართველი ელჩი იძულებული ხდებოდა, აჰყოლოდა დასავლური პოლიტიკური სამყაროს ლიდერებს და მხარი აება მომავალი ერთობლივი გალაშქრების გეგმისთვის (რაც მისთვისაც მისაღები იყო) ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოსთვის იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში სპარსეთთან შედარებით ნაკლებ საშიში იყო.

სტატიაში განვიხილავთ ნიკიფორე ირბახის ვიზიტს [1] რომში პაპ ურბან VIII-თან, შევეცდებით დავადგინოთ რისი მიღწევა სურდა პაპისაგან ქართველ ელჩს, გავარკვიოთ, როგორ და რის ფასად მოხერხდა პაპთან აუდიენციის მიღწევა, გავაანალიზოთ ირბახის მიერ წარდგენილი ოთხ პუნქტიანი სურვილები, შევაფასოთ პაპთან მისი აუდენციის შედეგები, შევისწავლოთ ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილობითი და ეპისტოლარული მასალა, მოვახდინოთ მათი სათანადო შეფასება-გაანალიზება.

საინტერესოა ირბახი მადრიდიდან პირდაპირ რომს გაემგზავრა, თუ ჯერ ნეაპოლში ჩავიდა ნეაპოლიტანიის ჰერცოგ ალბასთან მოსალაპარაკებლად. ვფიქრობთ მართებულად აღნიშნავს მ. თამარაშვილი, რომ ირბახი ესპანელ ხელისუფალთა მერ „დიდი პატივით

იქნა გამგზავრებული რომს [2, 93], რაც შეეხება საკითხს, თუ როდის ჩავიდა იგი რომში, მკვლევარ ი. ტაბაღუას მოჰყავს ორი თარიღი: 1628 წლის გაზაფხულზე და 1628 წლის იანვრის ბოლოს [3, 142, 179, 194]. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის დასაზუსტებლად უნდა მოვიშველიოთ ანტიოქიის პატრიარქ ჯულიანოს მადრიდიდან რომში გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილი, წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე"-ს წევრ კარდინალ ბანდინისადმი, რომელიც 1628 წლის 11 მარტითაა დათარიღებული და პატრიარქი ეხება ნიკიფორე ირბახის რომში ვიზიტის საკითხს (აღნიშნული წერილი ქართულად პირველად გამოქვეყნდა კრებულში „ევროპული კვლევები", თბილისი, 2013, გვ. 12-13). მკვლევარი ჯ. ვათეიშვილი ვარაუდობს, რომ რომში ირბახი ჩავიდა 1628 წლის მარტში. ჯულიანო პაპის კარზე გაგზავნილი წერილის მიხედვით ქართველი ელჩის მფარველად და რეკომენდატორად გვევლინება [4, 175, 4].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფესორების გ. ჟორდანიასა და ზ. გამეზარდაშვილის ვერსიას იმის შესახებ, რომ ანტიოქიის პატრიარქ ჯულიანოს მიერ გაგზავნილი წერილის ადრესატია არა კარდინალი ბანდინი, არამედ „მისი უწმინდესობა" რომის პაპი ურბან VIII [6, 107]. ჩვენ ვიზიარებთ პროფ. მურმან პაპაშვილის მოსაზრებას, რომ პატრიარქ ჯულიანოს წერილის ადრესატი იყო კარდინალი ბანდინი [12, 12-13].

კარდინალმა ბანდინიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველი ელჩის მოლაპარაკებებში: წმინდა კონგრეგაციის სხდომა, რომელზედაც უნდა განეხილათ ირბახის ელჩობასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გამართულიყო რომის კვირინალის ბორცვზე მდებარე კარდინალ ბანდინის სასახლეში.

ირბახი რომში ყოფნის პერიოდში იმყოფებოდა თეატიანელთა ორდენის მეთაურის ე. ი. გენერლის რეზიდენცია – სან-სილვესტროში [6, 108] ნიკიფორეს თხოვნის საფუძველზე ანტიოქიის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურმაც მხარი დაუჭირა ირბახის კანდიდატურას და მას გადასცა სარეკომენდაციო წერილი. ნიკიფორეს მხარდამჭერად მოევლინა ცნობილი იტალიელი მოგზაური და ქართველთა მეგობარი პიეტრო დელა ვალე (1586-1652) [6, დოკ. 12], რომლის თანადგომამაც განაპირობა ქართველი ელჩის სათანადო პატივით მიღება რომში [6, 11-12]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პაპის კურია როდი ჩქარობდა ირბახთან შეხვედრას. წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე", რომელსაც დაევალა ელჩთან შეხვედრის მომზადება, საქმის წარმოებას შეუდგა 1628 წლის ივნისში,

ე. ი. ირბახის რომში ჩამოსვლიდან სამი თვის შემდეგ, რაზეც მიგვანიშნებს ერთი დოკუმენტი, რომელიც აღმოაჩინა ჯ. ვათეიშვილმა წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს" არქივში და რომელიც თარიღდება 1628 წლის 20 ივნისით. სხდომაზე პირველად იქნა განხილული მეფე თეიმურაზის 1625 წლის 25 ნოემბრით დათარიღებული წერილი 1628 წლის 20 ივნისის სხდომაზე ასევე განიხილეს ნიკიფორე ირბახის „სურვილები". ჯ. ვათეიშვილის ვარაუდით, წმინდა კონგრეგაციის მდივანმა ფრანჩესკო ინგოლამ [5, 134-135] მოხსენებით ჩანაწერს დაურთო დასკვნა იმის შესახებ, რომ სასურველი იქნებოდა ირბახს მიეღო რომაულ-კათოლიკური სარწმუნოება. ერთი თვის შემდეგ (1628 წლის 21 ივლისი) კონგრეგაციამ კვლავ განიხილა ირბახის საკითხი და დაადგინა, რომ ქართველმა ელჩმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს კათოლიკური სარწმუნოება [3, 13]. 1628 წლის ივლისის დამლევს ან 20 აგვისტოს შემდეგ ნიკიფორემ მიიღო რომაულ-კათოლიკური რწმენა... მ. თამარაშვილი აღნიშნავს ნიკიფორეს მიერ რწმენის შეცვლის საკითხს, მაგრამ არ ხსნის ქართველი ელჩის ამ ქმედებას. ვერ დავეთანხმებით პროფ. გ. აკოფაშვილის მოსაზრებას, რომ ქართველმა ელჩმა შედარებით იოლად განაცხადა თანხმობა რწმენის შეცვლის თაობაზე [9, 41]. ახალგაზრდობისას, რომში სწავლის დროს, ნიკიფორე არ იყო ვალდებული მიეღო რომაულ-კათოლიკური სარწმუნოება. იგი სწავლობდა ბერძნულ კოლეჯში და იყო მართლმადიდებელი რწმენის მიმდევარი. XVI-ის 10-იანი წლებიდან მოყოლებული XVII ს-ის დასაწყისისათვის კათოლიციზმი არ იყო „ევროპული კულტურის" ერთადერთი რელიგიური გამოხატულება. სავარაუდოდ, ნიკიფორესათვის უცხო როდი იყო პროტესტანტული სარწმუნოება. დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქრისტიანი ქვეყნის წარმომადგენელი ნიკიფორე ირბახი მადრიდსა და რომში ჩავიდა პოლიტიკური კავშირის დამყარების წინადადებით, მაგრამ მისმა ვიზიტმა გარკვეული უნდობლობა და ეჭვი აღძრა. ნიკიფორემ სარწმუნოების შეცვლამდე ვერ შეძლო რომის პაპისა და კარდინალების ნდობის მოპოვება. ისინი მართლმორწმუნე „ეკლესიად", ბუნებრივია, მხოლოდ რომაულ-კათოლიკური ეკლესიას მიიჩნევდნენ და არ სურდათ, ქართველები და მათი მეფე ეღიარებინათ „მართლმორწმუნე ქრისტიანებად" იმ დრომდე, სანამ მათი მეფე არ მიიღებდა რომაულ კათოლიკობას, ხოლო ხალხი არ აღიარებდა რომაულ-კათოლიკური ღვთისმსახურების უპირატესობას, თუნდაც ფლორენციის საეკლესიო კრების მიერ გამოცხადებული საეკლესიო უნიის საფუძველზე. ნიკიფორე ირბახი დარწმუნებული იყო, რომ არც თეი-

მურაზ მეფე და არც ქართველი ხალხი არ შეიცვლიდნენ თავიანთ რწმენას, რომელიც მათთვის დამოუკიდებლობის, თვითმყობადობის და მათი ეროვნული კულტურის გამოხატულებას წარმოადგენდა. რომში თეიმურაზ მეფის „მართლმორწმუნე კათოლიკურ ხელისუფლად" არცნობამ შეუძლებელი გახადა ესპანეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარება. 1628 წლის 20 ივნისის სხდომის შემდეგ შედგენილ ჩანაწერში აღნიშნულია: „არ უნდა გაუკვირდეს სენიორ ნიჩეფოროს... თუ სამოციქულო ტახტი მოლაპარაკების დაწყებამდე მისგან მოითხოვს [კათოლიკური] რწმენის აღიარებას". 20 ივლისს კონგრეგაციამ ქართველი ელჩისაგან უკვე კატეგორიული ფორმით მოითხოვა რომაულ-კათოლიკური რწმენის აღიარება.

განვიხილოთ, როგორ შეფასებას აძლევს ამ საკითხს პროფ. ილია ტაბაღუა. იგი მიიჩნევს, რომ რომის პაპსა და ესპანეთის ელჩს პაპის კარზე გრაფ დე ონიატს შორის „პირადი მოტივების" საფუძველზე არ იყო კარგი ურთიერთობა, რის გამოც ელჩმა უარი განაცხადა დასწრებოდა პაპისა და ქართველი ელჩის აუდიენციას. ი. ტაბაღუას მიერ მოყვანილი წყაროს თანახმად „პაპისა და ნიკიფორეს შეხვედრა იყო ცივი, პაპმა არ მიიჩნია საჭიროდ მიეგო მისთვის კუთვნილი პატივი, ეს ვიზიტი რომ წინასწარ სხვა სახით შეთანხმებული ყოფილიყო ესპანეთის ელჩთან, იგი იზრუნებდა მფარველობა გაეწია ნიკიფორესათვის" [3, 286-287].

პროფესორების გივი ჟორდანიასა და ზურაბ გამეზარდაშვილის აზრით, „ესპანეთის ელჩს გრაფ დე ონიატს და რომის პაპ ურბან VIII-ს შორის დაძაბულ ურთიერთობას უფრო ღრმა ფესვები გააჩნდა, ვიდრე პირადი მოტივებია". იმხანად პაპი ურბან VIII აწარმოებდა ესპანეთის ხელისუფლებისათვის არასასურველ პოლიტიკას. პაპს შეგნებულად აშინებდა ესპანელ და ავსტრიელ ჰაბსბურგთა „უნივერსალური მონარქიული" მისწრაფებანი, რაც საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის როგორც პროტესტანტულ, ასევე კათოლიკურ სახელმწიფოებს. ასევე, გარკვეულწილად საფრთხის ქვეშ დგებოდა პაპის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხიც. სწორედ ამიტომ, რომის პაპი მხარს უჭერდა საფრანგეთის პირველი მინისტრის კარდინალ რიშელიეს პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ესპანელ და ავსტრიელ ჰაბსბურგთა წინააღმდეგ [3, 185; 6, 234-235].

მოგვიანებით, პაპი ურბან VIII სრულიად მშვიდად შეხვდა ოცდაათწლიან ომში პროტესტანტული შვედეთის ჩაბმას, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა პროტესტანტული ბანაკი და მისი მხარდამ-

ჭერი ესპანეთის მთავარი მეტოქის საფრანგეთის პოზიციები. ბუნებრივია, პაპის ამგვარი პოლიტიკა მიუღებელი იქნებოდა ფელიპ IV-სა და მისი ელჩის გრაფ დე ონიატისათვის. პროფ. ი. ტაბაღუა აღნიშნავს, რომ პაპმა ურბან VIII-მ არ ისურვა ნიკიფორე ირბახის მიღება მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებამდე. მაშინ გაუგებარია, იმავე მკვლევრის ზემოაღნიშნული მოსაზრება

პაპისა და ქართველი ელჩის არასათანადო პატივით მიღების თაობაზე. იბადება კითხვა – შედგა თუ არა შეხვედრა რომის პაპთან ირბახის მიერ კათოლიკური სარწმუნეობის მიღებამდე და თუ შედგა სარწმუნოების მიღების შემდეგ, რით უნდა აიხსნას პაპის მხრიდან ელჩის ცუდად მიღების ფაქტი? ჩვენი ვარაუდით, პაპთან ირბახის აუდიენცია შედგა მხოლოდ ქართველი ელჩის მიერ უნიატობის მიღების, ვფიქრობთ, 1628 წლის 21 ივნისის შემდეგ. აუდენციის დროს ნიკიფორემ მას გადასცა თეიმურაზ მეფის წერილი, სადაც ქართველი მეფე რომის პაპს აცნობდა, რომ იგი ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე აწარმოებდა ბრძოლას „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ და სთხოვდა ეცნობებინა ესპანეთის მონარქისათვის, რომ შეეკრა კავშირი ქართველ მეფესთან... ჩვენ ძმები ვართ და საერთოა ჩვენი ღმერთი... „გაერთიანებული ძალებით შევებრძოლოთ ურწმუნოებს“, „იესო ქრისტეს სახელით“ და აღვგავოთ ისინი პირისაგან მიწისა“ [6, დოკ. 19] თეიმურაზ მეფის წერილის შინაარსი წმინდა კონგრეგაციის კარდინალთათვის წინასწარ იყო ცნობილი. წერილი განხილულ იქნა 1628 წლის 20 ივნისის სხდომაზე. ნიკიფორეს სურდა, მოლაპარაკებები ეწარმოებინა თავისი ოთხი პუნქტისაგან შემდგარი „სურვილების“ საფუძველზე. ეს „წინადადებების“ წმინდა კონგრეგაციას გადასცა ქართველი ელჩის თარჯიმანმა, ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე ბერძენმა უნიატმა იოანე-მათე კარიოფილემ. აღნიშნული სურვილები გამოაქვეყნეს მ. თამარაშვილმა, ი. ტაბაღუამ, გ. აკოფაშვილმა და სხვ.

ნიკიფორე ირბახის „სურვილები“-ს ოთხი პუნქტიდან პირველი სამი ეხებოდა მეფე თეიმურაზს, მეოთხე კი – ქართველ ელჩს. თეიმურაზი ელჩის მეშვეობით პაპს სთხოვდა ორი სურვილის შესრულებას: ეცნო იგი კანონიერ და მართლმორწმუნე კათოლიკურ ხელისუფლად და მეორე – რეკომენდაცია გაეწია მისთვის, როგორც „პაპის შვილისათვის“ ესპანეთის მონარქთან. პაპის მხრიდან, ამ ორი წინადადების შესრულება ნიშნავდა თეიმურაზის მიერ ჩაფიქრებული უმთავრესი მიზნის ქართლ-კახეთის სამეფოს კავშირის დამყარებას დასავლეთის რომაულ-კათოლიკურ სამყაროსთან. პაპის

მხრიდან ამ წინადადების უარყოფით ირბახის მისიას კრახი ემუქრებოდა. თეიმურაზის და მისი ელჩის სურვილის თანახმად, კოალიცია უნდა ყოფილიყო დასავლეთ ევროპის კათოლიკური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დასავლეთის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურს რომის პაპს; რაც შეეხება ქართლ-კახეთის მეფე ამ კავშირის წევრად ჩაითვლებოდა მხოლოდ პაპის მიერ „მართლმორწმუნე კათოლიკედ" ცნობისა და აღიარების შემთხვევაში. ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბახისა და ესპანეთის სამეფო მრჩევლების მოლაპარაკების დროს, მათ ესპანეთ-საქართველოს კავშირის დამყარების აუცილებელ პირობად მიიჩნიეს თეიმურაზის მხრიდან კათოლიკური სარწმუნეობის მიღება. ქართველმა ელჩმა დიპლომატიურად მოახერხა ამ „მწვავე საკითხის" გვერდის ავლა და მრჩეველთა დარწმუნება, თეიმურაზ მეფის მართლმორწმუნეობაში „კათოლიკური სამყაროს მსოფლიო ეკლესიად მოხსენიების მეშვეობით".

გადაწყდა – თეიმურაზის სამეფოში გაეგზავნა ესპანეთის ელჩი მოლაპარაკების დასრულების მისაღწევად. ყველაფერი უკვე რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურის „უკანასკნელ სიტყვაზე" იყო დამოკიდებული. თუ იგი თეიმურაზს მიიჩნევდა „მართლმორწმუნე კათოლიკე ხელისუფლად" და თავის „შვილად" ესპანეთთან ნანატრი პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმება იქნებოდა გარანტირებული, პაპის თანხმობა ანტიოსმალურ კოალიციაში მის მონაწილეობაზე კი, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო ამ კოალიციის შექმნაზე. სამომავლოდ კოალიცია, რომელიც კათოლიკე სახელმწიფოების კავშირის სახით უნდა შექმნილიყო, ანტიოსმალური ლაშქრობის დროს, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო, როგორც „მართლმორწმუნე, ასევე „უცხო რჯულის" და თვით „ურწმუნოთა" (მაგ., აბაზ-ფაშა, ირანის შაჰი...) მიმართ. პარალელურად მუშავდებოდა თეიმურაზთან შემდგომი მოლაპარაკების წარმოების გეგმა. ესპანეთის ხელისუფლებაში უკვე მზადდებოდა ირანის შაჰთან კათოლიკე მონარქის წერილი, რომელშიც ნახსენები იქნებოდა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზთან ფელიპ IV-ის მეგობრობის შესახებ, მაგრამ ეს ყვლაფერი განხორციელდებოდა ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების შემდგომ; ამ კავშირის შეკვრა და ირბახის მხრიდან მადრიდის მოლაპარაკების წარმატებით დასრულება კი რომის პაპზე იყო დამოკიდებული. ასეთი იყო არსი ირბახის „წინადადებებისა", რომლითაც მან მიმართა პაპს. თავისთვის კი ქართველი ელჩი ითხოვდა ე. წ. „საყოველთაო

პასპორტს“, რომელიც გამოადგებოდა ყველა რომაულ-კათოლიკურ ქვეყანაში. ასევე, მას სურდა სარეკომენდაციო წერილები „საღვთო რომის იმპერატორთან“, ე. ი. ავსტრიის მონარქ ფერდინანდ II ჰაბსბურგთან, აგრეთვე პოლონეთის მეფე – სიგიზმუნდ III-თან და ნეაპოლიტანიის ჰერცოგ ალბასთან, რომელთა სამფლობელოების გავლით იგი აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას. მათგან, ნეაპოლიტანიის ვიცე-მეფეს უკვე ჰქონდა თავისი ხელისუფალის ესპანეთის მონარქისაგან მითითება, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ქართველი ელჩისათვის და არ შეეფერხებინა სამშობლოსაკენ მიმავალ გზაზე.

პროფესორები გივი ჟორდანია და ზურაბ გამეზარდაშვილი არ ეთანხმებიან მკვლევარ გულჩინა აკოფაშვილის მოსაზრებას და აღნიშნავენ, რომ თეიმურაზ I-ის 1625 წლის 20 ნოემბრით დათარიღებულ პაპისადმი მიწერილ ბარათში, მეფე გაკვრითაც კი არ ახსენებს, რომ მას აქვს რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილი. მკვლევართა აზრით, მართალია ის პაპს მოიხსენიებს, როგორც „უდიდეს მზეს, რომელიც ამოვიდა რომში, გაანათა მთელი სამყარო“, და, რომ ის არის „შუქურა, რომელიც ნათელს გვფენს ყველას“ და ა. შ. [3, დოკ. 2], მაგრამ პაპისადმი მიმართული ეს ეპითეტები, მათი აზრით, სრულიადაც არ ნიშნავს თეიმურაზის მხრიდან რწმენის შეცვლის გადაწყვეტილებას. თეიმურაზ I-ის მიერ პაპისა და ესპანეთის მონარქისადმი გაგზავნილ ბარათებში საუბარია მხოლოდ „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირის დამყარების თაობაზე. რაც შეხება ქართველი ელჩის წინადადებას, მიეღოთ თეიმურაზ მეფე „წმინდა რომის ეკლესიის წიაღში“, როგორც „კათოლიკე ხელისუფალი“ მკვლევართა მოსაზრებით, არ ნიშნავს, რომ თეიმურაზი მზად იყო მიეღო კათოლიკური სარწმუნოება. მათი აზრით, „კათოლიკობა“ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მთელი „სამყაროს ქრისტიანულ ეკლესიას“ ნიშნავდა, რომელშიც მოიაზრებოდა როგორც აღმოსავლეთის-ბერძნულ-კათოლიკური, მართლმადიდებლური, ასევე, დასავლეთის – რომაულ-კათოლიკური ეკლესიები. თეიმურაზ მეფე ვერ წარმოიდგენდა, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ კავშირის შეკვრისათვის პაპი მისგან, როგორც მომავალი მოკავშირისგან მოითხოვდა სარწმუნოების შეცვლას. მით უფრო, რომ თეიმურაზისათვის კარგად იყო ცნობილი, როგორ ცდილობდნენ დასავლეთის რომაულ-კათოლიკური სახელმწიფოების ხელისუფალნი თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად პოლიტიკური კავშირები შეკრათ თვით „ურწმუნოებთან“ და „ერეტიკოსებ-

თან". მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „საფრანგეთის „ქრისტიან მეფეს" დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ოსმალთა სულთანთან, გერმანელ და ნიდერლანდელ პროტესტანტებთან. ესპანეთის „კათოლიკე მეფე" ცდილობდა, კავშირი დაემყარებინა ირანის შაჰთან, თან ფიქრობდა ფრანგი ჰუგენოტების თავისი ინტერესების მიზნით გამოყენებას...

თეიმურაზი არ ელოდა, რომ მისგან წინაპართა რწმენის შეცვლას მოითხოვდნენ. მაგრამ რომში სხვაგვარად ფიქრობდნენ. პაპის კურია დაინტერესებული იყო რომაულ-კათოლიკური ხელისუფალთა რიცხვის ზრდით, რამეთუ დასავლეთში სხვადასხვა პროტესტანტული მოძღვრების გავრცელებამ ერთგვარად მათი მომხრეთა რიცხვის შემცირება გამოიწვია.

მიგვაჩნია, რომ: სასურველი იქნებოდა ნიკიფორე ირბახის ჯერ რომში პაპთან აუდიენცია, ხოლო შემდეგ მადრიდში პაპის სარეკომენდაციო წერილით აღჭურვილი ჩასვლა, მით უფრო, რომ თეატინელ მისიონერთა ჩამობრძანება საქართველოში, სავარაუდოდ, განაპირობებდა პაპის მიერ ქართველი ელჩის კარგად მიღებას.

ირბახის რომში ჩასვლა დაგეგმილი იყო თავად მადრიდის სამეფო კარზე; ამით ესპანეთის მონარქი ფელიპ IV ურბან VIII-სთან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებას სწორედ ქართველი ელჩის მეშვეობით ფიქრობდა, რამეთუ, ირბახის მშობლიური ქვეყნის სახით, კათოლიკურ ეკლესიას უფრო მჭიდროდ დააკავშირებდა რომის პაპის მიერ საქართველოში ახლად გაგზავნილ თეატინელთა მისიასთან.

სავარაუდოდ, ნიკიფორე ირბახი უნიატ კათოლიკობას იღებს, პოლიტიკური მოსაზრებით, დიპლომატიური ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად. სწორედ პოლიტიკური მოტივებით აიხსნება მისი ვიზიტი ჯერ მადრიდში, რომის პაპთან დაგეგმილი აუდიენციის ნაცვლად და შემდეგ რომში.

ქალაქ სიმანკას გენერალურ საისტორიო აქივში დაცული და ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა, ერთი მხრივ, ადასტურებს სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტში მოხსენიებული ცნობებისა და ფაქტების უტყუარობას, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს მოვლენათა მსვლელობის ცალკეულ დეტალებს. ხსენებული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმ დიდ მხარდაჭერაზე, რომელსაც იმხანად საქართველოს მიმართ იჩენდნენ რომის პაპი და დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Luis Gil Fernandez, Ilia M. Tabagua, Fuetes para La Istoria de Georgia, En Bibliotecas y archives espanoles (iglos XV-XVII) Madrid, luis xili fernandesi, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1993.
2. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902.
3. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. II (1600-1628), თბილისი, 1986.
4. ჯუანშერ ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, გაზეთში: კომუნისტი, №175 (18.717), 177(18.719), 178(18.720) 31 ივლისი-4 აგვისტო, 1983.
5. ჯუანშერ ვათეიშვილი, საქართველო და დასავლეთ ევროპა, XIII-XVII სს., თბილისი, 2001 (რუსულ ენაზე).
6. Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и Грузия, Тбилиси, 1994.
7. ელდარ მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011.
8. მურმან პაპაშვილი, უნიის საკითხი ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მოგზაურობის დროს, საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-პოლონურ რელიგიურ ურთიერთობათა შესახებ, 2 ეკლესიის პირისპირ", თბილისი, 2002.
9. გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბილისი, 1977.
10. მარიამ გაბუნია, ნიკიფორე ირბახი და ორი იბერიის ნათესაობის საკითხი ქართულ-ესპანურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში (1626-1627 წწ.), კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", თბილისი, 1(14) 2014.
11. მარიამ გაბუნია, ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან, საისტორიო ვერტიკალები №30, თბილისი, 2014.

Mariam Gabunia
Doctoral Student of the Technical University of Georgia

Searching for the alley in west Europe By Kartl-Kakheti King Teimuraz I

Summary

The ambessadors sent by Teimuraz I and led by Nikipore Irbakhi (Nikoloz Cholokashvili) are being in the centre of researchers' attention for a long time. Nearly every researcher declares that the aim of these ambassadors was the creation of anti Ossmalian coalition. To our mind, this fact contradicts historical sources and even there is no logical reality. The king Teimuraz aimed to find anti Iranian and anti Ossmalian force in Europe (this interest drove him to Spain royality. Teimuraz and his partners supposed that Spain had anti Iranian course but later they found out that the opposition was not strong enough to create anti Iranian coalition. That's why Nikipore Irbaki and Spanish guards instead of creating anti Iranian coalition worked out the plan of anti Ossmalian coalition). Diplomatic relation between Kartl-Kakheti and Spain did not continue any more.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის სტრატეგიებისა და ომების ევოლუციის კურსის უფროსი ინსტრუქტორი

მუდროსის ზავი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი

1918 წლის ზაფხულის პერიოდში I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე მიუხედავად გერმანული არმიების მიერ მიღწეული ოპერატიული უპირატესობისა, მალე მათ სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების რესურსები ეწურებათ და ისინი სტატიკურ თავდაცვაზე გადადიან. ასევე, გერმანულ-ოსმალური არმიების მდგომარეობა სირია-პალესტინისა და მესოპოტამიის ფრონტებზე ნელ-ნელა მძიმდება და ისინიც კარგავენ იმ ოპერატიულ უპირატესობას, რაც 1916-1917 წლების საომარ კამპანიებში ჰქონდათ მოპოვებული. მოკლედ, ქრონოლოგიურად განვიხილოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ I მსოფლიო ომში განხორციელებული ძირითადი სამხედრო ოპერაციები და მნიშვნელოვანი მოვლენები.

11 მარტი – მესოპოტამიის ფრონტზე ბრიტანელები იკავებენ ბაღდადს;

21 მარტი – დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა პირველი დიდი შეტევითი ოპერაცია ბრიტანელთა წინააღმდეგ;

9 აპრილი – გერმანელთა მეორე შეტევა ბრიტანულ სექტორზე;

27 მაისი – გერმანელთა შეტევის მესამე ფაზა;

9 ივნისი – შეტევის მეოთხე ფაზა;

15 ივლისი – გერმანელთა შეტევის ბოლო ფაზა (მეორე ბრძოლა მარნასთან);

8 აგვისტო – ამიენის ბრძოლა. ლუდენდორფის არმიის „შავი დღე“.

10 აგვისტო – ამერიკული საექსპედიციო არმიის ფორმირება გენერალ პერშინგის სარდლობით;

4 სექტემბერი – ამერიკელების გადმოსხდომა არხანგელსკში;

19 სექტემბერი – ბრიტანული ჯარების სრულმასშტაბიანი შე-

ტევითი მოქმედებები პალესტინის ფრონტზე – „არმაგედონის ოპერაცია“;

29 სექტემბერს ბულგარეთი წყვეტს წინააღმდეგობას – „ოთხთა კავშირი“ იშლება. 1 ოქტომბერს სირია-პალესტინის ფრონტზე ბრიტანელები იკავებენ დამასკოს.

7 ოქტომბერს ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატი გადადგა. ოსმალეთის მთავრობის სათავეში კი მარშალი აჰმედ იზეთ ფაშა დაინიშნა. იგი დიდი ვეზირის თანამდებობას იკავებს.

27 ოქტომბერს, ფრონტებზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსმალთა იმპერია წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს. საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში შედგა, ამიტომ იგი ისტორიაში მუდროსის ზავის სახელით შევიდა. საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის ადგილობრივი დროით 1918 წლის 31 ოქტომბრის 24^{00} საათზე შეწყდა [1, 11].

მოლაპარაკებები ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „HMS Forsyth“-ის ბორტზე დაიწყო და „HMS Agamemnon“-ზე გაგრძელდა. ოსმალთა მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჰუსეინ რაუბ ორბეი – იმპერიის იმჟამინდელი საზღვაო მინისტრი, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხარეს – ადმირალი სომერსეტ არტურ კელტორფი (S. A. Calthorpe), დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალი.

მუდროსის ზავის ძირითად პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები იხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს ეძლევათ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება;

2. დაუყოვნებლივ მოხდეს თურქეთის შეიარაღებული ძალების დაშლა. დაშვებულია მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შიდა წესრიგის დაცვისთვის საჭირო ძალების არსებობა;

3. დაუყოვნებლივ მოხდეს კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქების საოკუპაციო ჯარების გამოყვანა;

4. ანტანტის წევრი ქვეყნები იღებენ სრულ კონტროლს თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე;

5. აუცილებლობის შემთხვევაში, ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ უფლებას მოახდინონ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპირება;

6. საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტან-

ტის ქვეყნებს შორის შეწყდეს 1918 წლის 31 ოქტომბრის 24^{00} საათზე, ადგილობრივი დროით.

არსებული ვალდებულებების გასაკონტროლებლად თურქეთის მთელ ტერიტორიაზე ანტანტის წევრი ქვეყნების სამხედრო მისიები და წარმომადგნლობები დაფუძნდნენ. დანიშნული ზედამხედველი ინსპექტორები პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლება-მოსილებებით აღიჭურვნენ.

ზავის მე-11 და მე-15 მუხლები უშუალოდ კავკასიას ეხებოდა. ამ მუხლების მიხედვით ოსმალურ შენაერთებს უნდა დაეტოვებინათ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი) ოკუპირებული ტერიტორიები, ხოლო ამიერკავკასიაში ბრიტანული შენაერთები უნდა შემოსულიყვნენ, რომელთაც პირველ რიგში ბაქო და ბათუმი უნდა დაეკავებინათ. 1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა ფლოტილია კონსტანტინოპოლში შევიდა. მოკავშირეთა ჯარები – 2616 ბრიტანელი, 540 ფრანგი და 470 იტალიელი ჯარისკაცის ოდენობით და დაიკავეს ყაზარმები, სასტუმროები, იტალიური და ფრანგული სკოლები, ჰოსპიტლები [2, 99].

ბერძნები, სომხები, ებრაელები და სხვა ეროვნული უმცირესობები ზეიმობდნენ. თავის აღტაცებას განსაკუთრებული პომპეზურობით იმპერიის ბერძნული მოსახლეობა გამოხატავდა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად მასიურ დემონსტრაციებს მართავდა. თავიდან რომ აეცილებინათ ინცინდენტები და მთავრობის საპასუხი რეაქცია, ბრიტანულ-ფრანგულმა სარდლობამ ბერძნული ეკლესიის პატრიარქსაც კი მიმართა თხოვნით, შეეზღუდათ მსგავსი დემონსტრაციები.

იტიჰადისტ-იუნიონისტები დამარცხდნენ, იმპერის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის" პარტია დაშლილ იქნა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა... ახალი სულთნის, ვაჰიდედინის მიერ, რომელმაც თავისი გარდაცვლილი ძმა, მეჰმედ V 1918 წლის 28 ივნისს შეცვალა, იტიჰადისტთა პარტიის ლიდერები კანონგარეშედ და დამნაშავეებად გამოცხადდნენ. ვაჰიდედინმა შესაბამისად მეჰმედ VI-ის ზედსახელი მიიღო.

მუდროსის ზავმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა თურქული სახელმწიფო. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს იყო უსიტყვო კაპიტულაციის აქტი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი. ამ აქტით წერტილი უნდა დასმოდა „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის" „ახალგაზრდა თურქთა" მმართველობასა და ოტომანთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ანტანტის უმაღლესი საბჭოს

გადაწყვეტილებით მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა და ბრიტანული ჯარების სარდლობაც რეგიონის მართვის შესაბამისი მანდატით აღიჭურვა.

რაც შეეხება ოსმალთა იმპერიას და მის ტერიტორიებს. აქ, „მოუნადირებელი დათვის" ტყავის განანილება ჯერ კიდე I მსოფლიო ომის მსვლელობისას დაიწო. კერძოდ, 1916 წელს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ომის დასრულებისას ამ ქვეყნებს შორის ოსმალთა იმპერიის აზიური ტერიტორიები უნდა გადანაწილებულიყო. ხელშეკრულების პირობები 1915 წლის ბოლოს ფრანგი დიპლომატის ფრანსუა ჟორჟ-პიკოსა (François Georges-Picot) და ბრიტანელი დიპლომატის მარკ საიქსის (Mark Sykes) მიერ იქნა შემუშავებული. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებამაც საიქს – ჟორჟ-პიკოს ხელშეკრულების სახელი მიიღო. ამ დიპლომატიურ გარიგებას გაეცნო რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი საზონოვი და შეთანხმებას რუსეთის იმპერიის მთავრობაც შეუერთდა. ამის გამო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის დარგში, დევიდ ფრომკინი (David Fromkin) თავის ფუნდამენტურ მონოგარფიაში, „A Peace to End of All Peace: Creating the Modern Middle East 1914-1922", ახსენებს „საიქს – ჟორჟ-პიკო – საზონოვის შეთანხმებას", თუმცა ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა [3, 97]. 1916 წლის 19 ნოემბერს ამ პოლიტიკურ გარიგებას იტალიაც შეუერთდა, რომელთანაც ხელშეკრულება 1917 წლის 19 აპრილს სენ-ჟანდე მორიენის კონფერენციაზე გაფორმდა [4, 266]. საინტერესოა, რომ I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919-1920 წლებში სწორედ ჟორჟ პიკო წარმოადგენდა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს სირიასა და სომხეთში. „საიქს – ჟორჟ-პიკოს" დასახელებასთან დაკავშირებული ერთი საკითხიც უნდა დავაზუსტოთ. რატომღაც ქართულ, რუსულ და უცხოურ ისტორიოგარფიაში ხსნებული ხელშეკრულება „საიქს – პიკოს" ხელშეკრულების სახელს ატარებს, რაც არასწორია. ფრანგი დიპლომატის გვარი ჟორჟ-პიკოა და არა უბრალოდ პიკო, სახელი კი, ფრანსუა (François Georges-Picot). ბრიტანელ დიპლომატს, საიქსს კი, მარკი ერქვა – Mark Sykes. ამიტომ ამ ხელშეკრულების სწორი ფორმულირება იქნება – „საიქს – ჟორჟ-პიკოს შეთანხმება". აქ დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც დევიდ

ლოიდ ჯორჯის შემთხვევაში. მრავალ ავტორთან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯადაა მოხსენიებული, სადაც სახელი ლოიდია, ხოლო გვარი – ჯორჯი, რაც ასევე არასწორია. ლოიდ-ჯორჯი გვარია. ამ პერსონის შესახებ საუბრისას კი უნდა დაიწეროს ან ლოიდ-ჯორჯი ან სრულად – დევიდ ლოიდ-ჯორჯი (David Lloyd-George).

ოსმალეთის იმპერიის აზიური ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ე.წ. „ფერად ზონებად" დაიყო და თითოეული ზონა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებზე გადანაწილდა. ხელშეკრულების მიხედვით ბრიტანეთი მიიღებდა ტერიტორიებს, რომელიც შეესაბამება დღევანდელ იორდანიას, ერაყს და პალესტინის ნაწილს. საფრანგეთი იღებდა სამხრეთ და ცენტრალურ ანატოლიას, ჩრდილოეთ ერაყს, სირიასა და ლიბანს. რუსეთს უნდა გადასცემოდა კონსტანტინოპოლი და სრუტეების რაიონი, აგრეთვე აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიები – არზრუმის, ტრაპიზონის, ვანის, ბითლისის პროვინციები და ქურთისტანის ნაწილი; იტალიას კი – დასავლეთი და ცენტრალური ანატოლიის ნაწილი [5]. საიქს – ჟორჟ -პიკოს საიდუმლო ხელშეკრულების ტექსტი 1917 წლის ბოლოს გამოქვეყნდა უკვე საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ, რომელიც მის მიერ ანულირებულად გამოცხადდა. რუსეთის I მსოფლიო ომიდან გათიშვის შემდეგ, ანტანტის ქვეყნებს შორის ძალთა ახალი გადანაწილების შედეგად, საიქს – ჟორჟ -პიკოს ხელშეკრულებამ რევიზია განიცადა დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ [6].

თურქი მეცნიერის, ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორის, ნერსინ ერსოი მაკმიკენის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით, ბოლშევიკთა მიერ „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმისადმი" გაკეთებული პირველი მიმართვა 1917 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთებში „Правда" და „Известия": „რუსეთის მუსლიმებო, ვოლგისა და ყირიმის თათრებო, თურქესტანისა და ციმბირის ყირგიზებო და სარტებო, ამიერკავკასიის თურქებო და თათრებო, ჩეჩნებო და მთიელო კაზაკებო!... ამიერიდან სარწმუნოება და წესები, თქვენი ნაციონალური და კულტურული ინსტიტუციები თავისუფლად და ხელუხლებლად ცხადდება!... ვაცხადებთ, რომ დამხობილი მეფის ეს საიდუმლო ხელშეკრულება კონსტანტინოპოლის ანექსიის შესახებ, რომელსაც გაძევებული კერენსკიც ეთანხმებოდა, ამიერიდან გაუქმებულია. კონსტანტინოპოლი უნდა დარჩეს მუსლიმთა საკუთრებაში. ვაცხადებთ, რომ თურქეთის დანაწილების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთის ტერიტორიების

ნაწილი სომხეთს უნდა გადასცემოდა, გაუქმებულია“ [7, 13]. აქ აშკარა უზუსტობასთან გვაქვს საქმე, ავტორი ცდება – „საიქს ჟორჟ-პიკოს“ ხელშეკრულებაში ოსმალთა ტერიტორიების სომხეთისათვის გადაცემის საკითხი არ განიხილებოდა. უფრო მეტიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, იმ დროისათვის სომხური სახელმწიფოს ცნება, როგორც ასეთი, უბრალოდ არც არსებობდა.

1918 წლის 8 ნოემბერს ბრიტანლები იკავებენ მოსულს, შემდეგ კი – ურფას, მარაშს, ანტეპს. სამსუნი, ბაღდადი და სირია მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ I მსოფლიო ომის მსვლელობისას. ფრანგები ქილიკიასა და ადანაში 25 ნოემბერს გამოჩნდნენ, ხოლო 1918 წლის 17 დეკემბერს ფრანგული ქვედანაყოფები ვიცე-პოლკოვნიკ რომიოს მეთაურობით მერსინში შევიდნენ. 1500 კაციან შენაერთში მხოლოდ 150 მებრძოლი იყო ეროვნებით ფრანგი, დანარჩენები სომეხი ლეგიონერები იყვნენ. 1918 წლის 18 დეკემბერს კი, გენერალი მორის გამელინი (Maurice Gamelin), სირიაში ფრანგული საოკუპაციო ჯარების სარდალი, დიდი პომპეზურობით შევიდა ადანაში. 1919 წლის 29 აპრილს მოკავშირეებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულების საფუძველზე, იტალიელებმა ანტალია და კონია დაიკავეს.

ფრანგულ ქვედანაყოფებთან ერთად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსულმა სომეხმა ლეგიონერებმა I მსოფლიო ომის დროს ამ ტერიტორიებიდან გასახლებული სომეხი მოსახლეობის დაბრუნებისათვის დაიწყეს ბრძოლა, რამაც ადგილობრივი მუსლიმი და სომეხი მოსახლეობის დაპირისპირებები გამოიწვია [8, 256]. „ოკუპირებულ რაიონებში ტერორის რეჟიმი მყარდება. ფრანგების მიერ დაშნაკთა შემადგენლობიდან დგება ჟანდარმერიის რაზმები, რომლებიც თურქი მოსახლეობის მასიურ ჟლეტვას ანარმოებენ... ზოგიერთ შემთხვევაში დაშნაკურმა რაზმებმა მთელი სოფლები გაწყვიტეს. თურქი მოსახლეობის ფიზიკური განადგურების ეს პროგრამა სრულიად შეგნებულდ წარმოებდა ოკუპანტების ხელმძღვანელობით...“ – წერდა თურქეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილი რუსი სპეციალისტი, ვლადიმერ ოსეტროვი „ირანდუსტის“ ფსევდონიმით [9, 167].

1918 წლის 8 დეკემბერს კონსტანტინოპოლში მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაცია ფუძნდება. სულთან მეჰმედ VI-მ მეჯლისი (პარლამენტი) დაითხოვა, ხოლო დიდი ვეზირის თანამდებობაზე თავისი სიძე (ცოლისძმა) დამათ ფერიდ ფაშა დანიშნა (ზედწოდება „დამათ“ ოსმალთა იმპერიაში სულთნის ოჯახის სიძეებს ენიჭებოდათ). ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნისა და თურქოლოგის,

სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფის, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორის, ალექსანდრ ჟევახოვის (ჯავახიშვილი) მიხედვით „იგი ქედმაღალი, სამოცი წლის კაცი იყო, „ინგლისელი ჯენტლმენის კარგი ასლი – როგორც მას იტალიური საოკუპაციო ჯარების სარდალი, გრაფი სფორცა ახასიათებდა – იგი ძველი თაობისა და ძველი შეხედულებების წარმომადგენელი იყო, რომელიც ერთი ათი წლით უკან შეეცადა დაებრუნებინა ქვეყანა. დამათ ფერიდ ფაშა სულთნის ოჯახის სიძე იყო და აქედან გამომდინარე, სისტემასთან მყარად იყო დაკავშირებული. იგი ჭკვიანი, მაგრამ უაღრესად კონსერვატიული შეხედულებების კაცი იყო, რომლისთვისაც იტიჰადისტების ათწლიანი მართველობა ოსმალთა იმპერიისათვის პოლიტიკურ გადახრას წარმოადგენდა, რომელიც უნდა დასრულებულიყო, სულთნის ძალაუფლება კი, ისევ აბსოლუტური უნდა გამხდარიყო. და კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შტრიხი – ამ ქედმაღალი ჩინოვნიკისათვის სამხედროთა კასტა მიუღებელი იყო“ [10].

აქ მცირე შენიშვნას გავაკეთებთ ამონარიდთან დაკავშირებით. ცნობილი იტალიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი კარლო სფორცა იმ პერიოდისათვის იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და არა „იტალიური საოკუპაციო ჯარების სარდალი“ ანატოლიაში – როგორც ამას ა. ჟევახოვი აღნიშნავს. სხვათა შორის, კარლო სფორცას იგივე თანამდებობა II მსოფლიო ომის შემდეგაც ეკავა, 1947-1951 წლებში.

კონსტანტინოპოლმა უმალ შეიგრძნო ახალი სიოს დაბერვა. დამათ ფერიდ ფაშას მთავრობა და სულთანი იმდენად მონდომებულნი იყვნენ პირველობის საქმეში პრედენტენტების თავიდან მოშორებით, რომ ექსიტიჰადისტების საწინააღმდეგო მოქმედებებში ისინი ბრიტანელთა ხელშემწყობებად გამოვიდნენ. დადგა თუ არა თანამდებობაზე, დიდი ვეზირი მოკავშირეთა ქვეყნების სამხედრო კომენდანტებს შეხვდა. მან ბრალი დასდო იტიჰადისტებს ოსმალთა იმპერიის ომში ჩათრევის გამო და განაცხადა, რომ „ეს ომი ერთი მუჭა დამნაშავეების ბრალი იყო, რომელშიც თურქეთი ყოველგვარი საჭიროების გარეშე ჩაერთო“. იგი შეპირდა მოკავშირეებს, რომ ყველა მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და იტიჰადისტების წინააღმდეგ საჭირო სადამსჯელო ღონისძიებებს გაატარებდა. სულთან-ხალიფას კი, მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა: როგორმე მოეძებნა საშუალებები საკუთრი სიცოცხლის გადასარჩენად და უზრუნველეყო საკუთარი სიმშვიდე [11, 13]. მისი განკარგულებით დაი-

ნიშნა სამხედრო ტრიბუნალი „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ყოფილი წევრების გასასამართლებლად. სასამართლომ დაუსწრებლად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენები ტრიუმვირატის ლიდერებს – ენვერ, ჯემალ და თალაათ ფაშებს, რომლებსაც ამ მომენტისათვის უკვე მალულად ჰქონდათ დატოვებული იმპერიის საზღვრები.

მუდროსის ზავის დადებასა და მოკავშირეთა ჯარების მიერ ოსმალთა ტერიტორიების ფაქტობრივ ოკუპაციას იმპერიის ტერიტორიაზე ანტანტის ზედამხედველი ინსპექტორების დანიშვნა მოჰყვა, რომლებიც ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვნენ. ოსმალთა იმპერია მხოლოდ ნომინალურად ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობას, სულთანი და მისი კაბინეტი მარიონეტულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ საოკუპაციო ჯარების სარდლობებზე. 1919 წლის 3 იანვარს ბრიტანელთა უმაღლესი სამხედრო კომისარი ადმირალი კელტორფი, შემდეგი შინაარსის შიფროგრამას აგზავნის დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში: „ახლანდელი კაბინეტი ყველა ხელსაყრელ შემთხვევას იყენებს და ახდენს ჩვენდამი კეთილგანმწყობის დემონსტრირებას. მთავრობის მოქმედებების წინააღმდეგ პროტესტით გამოსვლას ვთვლი მიუღებლად და დამამცირებლად... ჩემის აზრით, დაუყოვნებლივ საჭიროა ჩემთვის უფლება-მოსილებების გადმოცემა, რომ იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალეულობის შესახებ ვფლობთ არგუმენტირებულ მტკიცებულებებს, მოვითხოვოთ დაპატიმრება და მათი მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლებისათვის ჩაბარება“ [12, 149]. მინიჭებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე ინგლისელთათვის საინტერესო ექსიტიჰადისტი ლიდერები დაპატიმრებულები და გადასახლებულ იქნენ კუნძულ მალტაზე. ინგლისელთა სურვილის შემთხვევაში, სულთნისა და დიდი ვეზირის უტყვი თანხმობის გამო, მათი სიკვდილით დასჯაც კი იყო შესაძლებელი.

საგრძნობლად შემცირდა ომის შემდგომი იმპერიის ტერიტორიებიც. თუ 1914 წლის მდგომარეობით ოსმალთა იმპერიის ტერიტორიები 1786716 კვ. კილომეტრს შეადგენდა 21 მილიონიანი მოსახლეობით, 1919 წლისათვის იმპერიის ფართობი 732000 კვ. კილომეტრამდე შემცირდა და მოსახლეობამაც მხოლოდ 13 მილიონი ადამიანი შეადგინა. ფაქტია, რომ I მსოფლიო ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიამ თავისი ტერიტორიების 66 და მოსახლეობის 33% დაკარგა... [13] ოსმალთათვის შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და მოვლენათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი იმაზე მიუთითებდა, რომ

ოსმალთა თურქული სახელმწიფო უკანასკნელ დღეებს ითვლიდა... მაგრამ მისმა უდიდებულესობა ისტორიამ სხვანაირად განსაჯა და შემდგომი მოვლენებიც სულ სხვანაირად განვითარდა...

და აქ პოლიტიკურ არენაზე გამოდის ოსმალთა არმიის ახალგაზრდა გენერალი, თურქეთ-იტალიის, ბალკანური ომებისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, I მსოფლიო ომის დასასრულისათვის მე-7 არმიისა და არმიათა ე.წ. „დამრტყმელი ჯგუფის" (Yıldırım) სარდალი, ჰალიპოლისის (დარდანელის) ბრძოლების გმირი, 38 წლის მუსტაფა ქემალ ფაშა, შემდგომში Atatürk, „თურქთამამად" წოდებული, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქი ხალხის კონსოლიდაციაში, თურქეთის, როგორც სახელმწიფოს გადარჩენაში, თურქეთის რესპუბლიკის შექმნასა და თურქების, როგორც ერის ჩამოყალიბებაში.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მიმართებაში წარმოებული პოლიტიკა და გატარებული სამხედრო-პოლიტიკური კურსი, რომელსაც კონტექსტად რუს ბოლშევიკებთან მისი არაერთგვაროვანი და წინაღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობები გასდევდა.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები:

დაიბადა 1881 წელს ქალაქ სალონიკში (დღევანდელი საბერძნეთი). 1896-1899 სწავლობს მონასტირის (დღევანდელი ბითოლა, მაკედონია) სამხედრო სკოლაში, შემდეგ კონსტანტინოპოლის სამხედრო კოლეჯში, რომელსაც წარმატებით ასრულებს 1902 წელს და ენიჭება ოფიცრის სამხედრო წოდება – „კაპიტანი".

1905 წელს ამთავრებს თურქეთის სამხედრო აკადემიას და ენიჭება „მაიორის" წოდება. 1905-1907 წლებში მსახურობს დამასკოში დისლოცირებულ მე-5 არმიაში. 1907 წელს იღებს „უფროსი მაიორის" წოდებას და სამსახურს აგრძელებს მე-3 არმიაში (მონასტირი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასაკით ზუსტად მისი ტოლი იყო ისმაილ ენვერ ფაშაც, იმპერიის მომავალი სამხედრო მინისტრი და იმპერიის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის (Ittihat ve Terakki) ლიდერი, მასაც მონასტირის სამხედრო სკოლა ჰქონდა დამთავრებული და იგიც იმავე წლებში მსახურობდა მე-3 არმიაში შტაბის კაპიტნის თანამდებობაზე [14]. 1911 წლიდან სამსახურს აგრძელებს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. 1911-1912 წლებში მონაწილეობას ღებულობს თურქეთ-იტალიის ომში, 1912 წელსვე – ბალკანურ ომში. 1913 წლიდან ოტომანთა იმპე-

რიის სამხედრო ატაშეა ბულგარეთში. იქვე იღებს ვიცე-პოლკოვნიკის წოდებას. 1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება მე-19 დივიზიაში. 1915 წელს ჰალიპოლისის (დარდანელის) გახმაურებული ოპერაციისას ხელმძღვანელობს მე-19 დივიზიას, რომელიც ოტომანთა მე-5 არმიას იქნა მიწერილი. მისი ხელმძღვანელობით უმძიმეს ბრძოლებში ბრიტანული ავსტრალია-ახალი ზელანდიის ჯარების საარმიო კორპუსის (ANZAC – Australia, New Zealand Army Corps) ძლიერი საზღვაო დესანტი იქნა მოგერიებული და აქედანვე იწყება მისი შეუჩერებელი აღმასვლა სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური კარიერის უმაღლესი ეშელონებისაკენ. ამ ოპერაციასვე უკავშირდება მუსტაფა ქემალის ცნობილი გამოთქმა: „მე არ ვიძლევი შეტევის ბრძანებას, მე სიკვდილის ბრძანებას ვიძლევი“ [15, 188]. აქვე იღებს პოლკოვნიკის წოდებას. ჰალიპოლისის ოპერაციის შემდეგ, 1916 წლის 14 იანვრამდე იგი ედირნეში მსახურობდა. შემდეგ კი მე-2 არმიის მე-16 კორპუსის სარდლად ინიშნება.

1916 წელს მუსტაფა ქემალი უკვე კავკასიის ფრონტზეა. აქვე ხდება იგი ფაშა – იღებს ბრიგადის გენერლის წოდებას და ატარებს მეტ-ნაკლებად წარმატებულ სამხედრო ოპერაციებს მუშთან და ბითლისთან რუსეთის კავკასიის არმიის შენაერთების წინააღმდეგ. 7 აგვისტოს მისი ორი დივიზია იკავებენ მუშსა და ბითლისს [16, 100]. ამ გამარჯვებების გამო კონსტანტინოპოლის მთავრობისა და ენვერ ფაშას გადაწყვეტილებით დაიგეგმა ახალი, ჰიჯაზის არმიის (Hicaz Kuvve-i Seferiyesi) შექმნა და მის სარდლად მუსტაფა ქემალის დანიშვნა. ამ დანიშვნაზე მუსტაფა ქემალმა უარი განაცხადა, რამაც მუსტაფა ქემალსა და ენვერ ფაშას შორის არსებული განხეთქილება კიდევ უფრო გააღრმავა.

1917 წლის ივლისში იგი მე-7 არმის სარდლად ინიშნება, სადაც ამ თანამდებობაზე გენერალი ფევზი ჩაქმაქი შეცვალა. მე-7 არმია არმიათა ე. წ. „დამრტყმელი ჯგუფის“ (Yıldırım) შემადგენლობაში შედიოდა, რომლის სარდლად 1918 წლის დასაწყისიდან გერმანელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი გახდა, რომელმაც თავის მხრივ ამ თანამდებობაზე ასევე გერმანელი გენერალი ერიხ ფონ ფალკენჰაინი შეცვალა [17, 490]. თავისი პრინციპებისა და შეხედულებების გამო ვერც ერთ მათგანთან მუსტაფა ქემალს დადებითი და კოლეგიალური ურთიერთობები ვერ ჩამოუყალიბდა. იგი უარს ამბობს არმიის სარდლობაზე და ბრუნდება კონსტანტინოპოლში. მუსტაფა ქემალი სულთნის ძმის, ვაჰიდედინის ამალაში ირიცხება და მასთან ერ-

თად მიემგზავრება ევროპულ ტურნეში დასავლეთის ფრონტზე. ფრონტის დათვალიერების შემდეგ იგი რწმუნდება, რომ ომი მალე დასრულდება და ეს დასასრული, ოთხთა კავშირისათვის სახარბიელო ნამდვილად არ იქნება, რაზეც პირდაპირ განუცხადა კაიზერ ვილჰელმ II-სა და მის გენერალიტეტს.

1918 წლის ივლისში მეჰმედ V-ის გარდაცვალებისა და მისი ძმის, ვაჰიდედინის სულთნად გახდომის შემდეგ, მუსტაფა ქემალი ისევ მე-7 არმიის სარდლად ინიშნება. იგი პალესტინის ფრონტზე მიემგზავრება. სწორედ აქ მოუსწრო მას მუდროსის ზავმა. მეორე დღეს, 31 ოქტომბერს კი, გენერალი მუსტაფა ქემალი გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მაგივრად Yıldırım-ის არმიათა დამრტყმელი ჯგუფის სარდლად ინიშნება. ნოემბრის დასაწყისში Yıldırım-ის საარმიო გაერთიანება ოფიციალურად დაშლილად ცხადდება და 1918 წლის 13 ნოემბერს გენერალი მუსტაფა ქემალი კონსტანტინოპოლში ბრუნდება...

კონსტანტინოპოლში იგი 1919 წლის 16 მაისამდე დარჩება...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Mondros Armistice, Turkish Greek relations, Istanbul, 2004.
2. Nur Bilge Criss, Istanbul under Allied Occupation 1918-1923. Leiden, Boston; Kőln: Brill, 1999.
3. რევაზ გაჩეჩილაძე, გეოგრაფიული შეცდომები დიპლომატიურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე), კრებულში: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 2013 (2).
4. მიხეილ სვანიძე, ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ნაწილი II, თბილისი, 2002.
5. Ключников Ю. В. И, Сабанин А. В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. 2, Москва, 1926; Константинополь. По секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, [т.] 1-2, Москва, 1925-26; Раздел Азиатской Турции по секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, Москва, 1924.

6. Лазарев М. С., Крушение турецкого господства на Арабском Востоке (1914-1918), Москва, 1960; Киракосян Дж. С, Первая мировая война и Западная Армения, Ереван, 1971; „Հայաստանի ավտոնոմիան“ և Անտանտան: Վավերագրեր իմպերիալիստական պատերազմի շրջանից, Ե., 1926; Հայաստանը միջազգային դիվանագիտության և սովետական արտաքին քաղաքականության փաստաթղթերում (1828-1923) Ե., 1977.
7. Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the bolsheviks (1919-1922). The department of internastionasl relations. Bilkent University. Ankara, 2007. Jane Degras, Soviet documents on foreign policy 1917-1924 (London: Geoffrey Cumberlege Oxford Univesity Press, 1955), Документы внешней политики СССР, III, Москва, 1959.
8. Andrew Mango, Atatürk. John Murray (Publishers), London, 2004.
9. Перинчек Мехмет, Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов, Москва, Лаборатория Книги. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Ирандуст. Движущие силы кемалистской революции, Москва-Ленинград, 1928.
10. Александр Жевахов, Кемаль Ататюрк. Жизнь замечательных людей. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov-Kemal Atatyurk.html.
11. Мустафа Кемаль, Путь новой Турции. 1919-1927, I. Первые шаги национально-освободительного движения, Государственное издательство Литиздат НКИД, 1929.
12. Кямуран Гюрюн, Армянское досье, Перевод Искандера Ахундова, Язычы. Баку. 1993. 371/4172, X/ 09394/2391.
13. Корсун Н. Г, Греко-турецкая война 1919-1922 гг., Москва, Воениздат НКО СССР, 1940. (Военно-историческая библиотека).
14. Iraj Bashiri, Enver Pasha, Istanbul, 2000.
15. US Army Command and General Staff College, p. 89; also quoted in Turkey (2007) by Verity Campbell; Founder and the first president of the Turkish Republic, www Turkish-media.com. Studies in Battle Command by Combat Studies Institute.
16. Kinross, Atatürk: The Rebirth of a Nation.
17. Ana Britannica (1987) Vol. 2 (Ami – Avr): Atatürk, Mustafa Kemal.

Archil Chachkhiani
Doctor of History, Colonel, David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

Mudros Armistice – the Beginning of the End of the Ottoman Empire

Summary

The article concerns the end of the World War I and its results to the Ottoman Empire – the Mudros armistice, its terms and occupation of Constantinople by the Allies. Juridically and principally it meant the unconditional capitulation and this act marked the beginning of the end of the Empire. This document was to end with the government of the „Young Turks" wing of the party of „Union and progress" and with the centuries-old history of the Ottoman Empire. Just at the very moment, Mustafa Kemal Pasha – the young General of the Turkish Army, participant of the war between Turkish-Italian as well as of the Balcan wars and the W W I, the Commander of the 7th army and of so-called army „striking group" (Yıldırım), the hero of the Halipolis (Dardaneli) Battle, who would later be named as Atatürk, father of Turks – came out on the political arena, aged 38 then. He played the decisive role in consolidation of Turks, in saving and preserving Turkey as a state, in creation of Republic of Turkey and in formation of the Turks as a nation.

ედიშერ გვენეტაძე
ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმი და უკრაინის უშიშროების საკითხები

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მსოფლიოში დაიწყო უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ცვლილებები, სახელდობრ, დაშლა დაიწყო დედამიწის 1/6 ნაწილზე გადაჭიმულმა ზესახელმწიფო საბჭოთა კავშირმა, რომლის მოსახლეობა 1988 წლისთვის 286,717 მილიონ ადამიანს შეადგენდა. საბჭოთა კავშირს 40-იანი წლების დასასრულიდან ჰქონდა ბირთვული იარაღის უდიდესი არსენალი. სწორედ აღნიშნული იარაღი წარმოადგენდა მოსკოვის მძლავრ ძალას საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

1985 წელს საბჭოთა კავშირში მიხეილ გორბაჩოვის გუნდის მიერ წამოწყებული ე. წ. „გარდაქმნისა და საჯაროობის" პროცესი ითვალისწინებდა სსრკ-ს და ე. წ. მსოფლიო სოციალისტური სისტემის სოციალურ-პოლიტიკურ მოდერნიზებას და არა მის დაშლას. უდავოა, რომ გორბაჩოვის, შევარდნაძისა და იაკოვლევის მიერ დაწყებულმა ე. წ. „გარდაქმნისა და საჯაროობის" პროცესმა უდიდესი მარცხი განიცადა. ისტორიამ უჩვენა, რომ ამ პოლიტიკოსებს რეფორმების ბოლომდე გატარების არც უნარი, არც ნიჭი და არც პოლიტიკური ნება არ აღმოაჩნდათ. „გარდაქმნის დამწყებნი" აღმოჩდნენ საშუალოზე დაბალი ნიჭის ადამიანები, რომლებიც მსოფლიო დიპლომატიურ არენაზე მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, რაც საბოლოოდ მათი პოლიტიკური მოღვაწეობის სრული კოლაფსით დასრულდა. ამ პოლიტიკოსების „რეფორმატორული" მოღვაწეობის შედეგად 1985-1987 წლებში სსრკ ბიუჯეტის დეფიციტი 4-ჯერ გაიზარდა და 1988 წლის ბოლოსათვის 100 მილიარდი მანეთი შეადგინა

[1, 520]. ეს კი უკვე „ბოროტების იმპერიის“ დასარულს ნიშნავდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთისა და კერძოდ, აშშ-სათვის საბჭოთა კავშირის სწრაფი დაშლის პროცესი მოულოდნელი აღმოჩნდა. ვაშინგტონი ეტყობა მზად არ იყო მოვლენების ასეთი განვითარებისათვის. თეთრი სახლის წარმომადგენლები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს საბჭოეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს.

იმ დროისათვის დასავლეთისათვის უმთავრესი იყო, თუ ვის ხელში აღმოჩნდებოდა საბჭოთა კავშირში არსებული ბირთვული იარაღი, რომელიც განლაგებული იყო რსფსრ (რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის), უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ყაზახეთის სსრ ტერიტორიებზე. თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მსხდომი პოლიტიკური ხელმძღვანელობა თავდაპირველად გაორებულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ამით შეიძლება აიხსნას კიევში 1991 წელს პრეზიდენტ ჯ. ბუშის (უფროსი) წარმოთქმული სიტყვის არსი (მომზადებული კონდოლიზა რაისის მიერ), რომელიც მსოფლიო დიპლომატიასა და პოლიტიკაში ცნობილი გახდა, როგორც „კიევური კოტლეტი“. აშშ უმაღლესი ხელისუფალი აშკარად ფრთხილობდა, როდესაც არაორაზროვნად მიუთითებდა გორბაჩოვისადმი აშკარა მხარდაჭერასა და, ამავე დროს, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებაზე (ბალტიის ქვეყნების გარეშე): „უნდა ვაღიაროთ რომ პრეზიდენტ გორბაჩოვს საოცარი მიღწევები აქვს პოლიტიკის სფეროში: საუბარია მის მიერ გატარებულ „გლასნოსტზე“, პერესტროიკაზე და დემოკრატიზაციის პროცესზე. ამ ყველაფერს კი დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისაკენ და თავისუფალ ეკონომიკურ სისტემამდე მივყავართ. ჩვენ განზრახული გვაქვს, ყველა ახლო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან გორბაჩოვის (სახით) დავამყაროთ“ [2].

უკრაინის მიერ ბირთვულ იარაღზე უარის თქმა ოფიციალურ დოკუმენტებში ცოტათი ადრე გაისმა, სახელდობრ, 1990 წლის 16 ივლისს უკრაინის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციაში უკრაინის სუვერენიტეტის შესახებ. მასში გაცხადებული იყო უკრაინის განზრახვა, ყოფილიყო მომავალში ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც არ მიიღებდა მონაწილეობას სამხედრო ბლოკებში და

ვალდებულებას იღებდა, დაეცვა სამი არაბირთვული პრინციპი: არ გამოეყენებინა, არ ეწარმოებინა და არ განელაგებინა თავის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღი [3].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინა ბირთვული იარაღის თვალსაზრისით მსოფლიოში მესამე ქვეყანა იყო: მის მფლობელობაში რჩებოდა ცივი ომის პერიოდის საბჭოთა არსენალის ნაწილი – შორი რადიუსის 1.900 და მოკლე რადიუსის 2.400 სტრატეგიული ქობინი, რომელთაგან 46 მიმართული იყო აშშ-საკენ. მაშინდელი უკრაინის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული შეიარაღება ბევრად აღემატებოდა საფრანგეთის, ბრიტანეთის და ჩინეთის ანალოგიურ შეიარაღებას.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე საქმეში ჩაერთო დიპლომატია. 1992 წლის 23 მაისს ლისაბონში ხელი მოეწერა დამატებით ოქმს 1991 წლის ხელშეკრულებისა საბჭოთა კავშირ-აშშ-ს შორის სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ (START-I). ახალი რეალობიდან გამომდინარე, ამ ოქმით უკრაინა, ბელორუსია და ყაზახეთი აღიარებულ იქნენ START-I-ის მხარეებად და ეს ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეუერთდნენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებას და ჩაეწერნენ იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც არ ფლობდნენ ბირთვულ იარაღს [4]. ისინი ვალდებულებას კისრულობდნენ, რომ მოეხდინათ მათ ტერიტორიებზე ბაზირებული ბირთვული იარაღის უტილიზაცია ან გატანა რუსეთის ფედერაციაში.,

ისმის კითხვა, არსებობდა თუ არა კიევისათვის ალტერნატივა? როგორც ირკვევა, შეიძლებოდა სხვა გზის გამონახვაც, კერძოდ, მოსკოვთან და ვაშინგტონთან მოლაპარაკებების გზით უკრაინას შეეძლო გარკვეული რაოდენობის ბირთვული ქობინის შენარჩუნება, რაც, როგორც შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა უჩვენა, შეიძლება გამხდარიყო უკრაინის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. მაგრამ ახლად წარმოქმნილი უკრაინის სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტა ამ გზით არ წავიდა. მათ აირჩიეს ამერიკელების მიერ შეთავაზებული გზა, რომელიც ითვალისწინებდა ვაშინგტონის მიერ განიარაღების პროცესის დაფინანსებას 500 მლნ დოლარით. აღნიშნული პროექტი კონ-

გრესს წარუდგინეს სენატორებმა ს. ნანმა და რ. ლუგარმა.

1994 წლის 5 დეკემბერს **„ბუდაპეშტის მემორანდუმს უშიშროების გარანტიების შესახებ“** ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციამ (პრეზიდენტი – ბორის ელცინი), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (პრეზიდენტი – ბილ ქლინთონი), დიდმა ბრიტანეთმა (პრემიერი – ჯონ მეიჯორი) და უკრაინამ (პრეზიდენტი – ლეონიდ კუჩმა). მემორანდუმის მიხედვით აღნიშნული სახელმწიფოები ვადებულნი არიან:

1. ეუთოს დასკვნითი აქტის თანახმად, პატივი სცენ უკრაინის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და არსებულ საზღვრებს.

2. თავი შეიკავონ მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმართ, და რომ არც ერთი მათგანის იარაღი არასოდეს არ იქნება გამოყენებული მის წინააღმდეგ, გარდა თავდაცვის მიზნით ან სხვაგვარად, თანახმად გაეროს წესდებისა.

3. ეუთოს საბოლოო აქტის პრინციპების შესაბამისად, თავი შეიკავონ უკრაინის ეკონომიკური იძულებისაგან

4. დაუყოვნებლივ მიაღწიონ გაეროს უშიშროების საბჭოს ქმედით დახმარებას უკრაინის, როგორც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომლიც არ ფლობს ბირთვულ იარაღს, იმ შემთხვევაში თუ იგი გახდება აგრესიის მსხვერპლი ან აგრესიის ობიექტი ბირთვული იარაღის გამოყენებით.

5. არ გამოიყენონ უკრაინის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი, როგორც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელიც არ ფლობს ბირთვულ იარაღს.

საინტერესოა ამ მოლაპარაკებების მონაწილის, უკრაინის ევროატლანტიკური საბჭოს პრეზიდენტის ვადიმ გრეჩანინოვის მოგონება: „მე ვესწრებოდი ეუთო-ს სხდომას 1994 წელს ბუდაპეშტში, როდესაც უშიშროების გარანტიებს გვაძლევდა რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ, ხოლო შემდეგ საფრანგეთი და ჩინეთი (მაშასადამე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი და „ვეტოს“ უფლების მქონე ხუთივე წევრი – ე. გ.). წარმოიდგინეთ სურათი: მთვრალი ელცინი

ეხვევა ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ლიდერებს. ყოველივე ეს ჩემში იწვევდა არადამაჯერებლობას... ...მაგრამ მოგვიანებით უკვე ყველაზე მთავარი, გარანტია სადღაც დაიკარგა". დაიკარგა იმიტომ, რომ მემორანდუმი ვერ გახდა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი. ცალკეული ქვეყნების მიერ არ მოხდა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და არ შემუშავდა მისი შესრულების მექანიზმები.

ამრიგად, ამ მემორანდუმით თავად კიევმა განაცხადა უარი ყოფილიყო მსოფლიოში ბირთვული იარაღით მესამე ქვეყანა. ბირთვული ძალა უკრაინამ გაცვალა სუვერენიტეტსა და პირობაზე, რომ რუსეთი „თავს შეიკავებდა ძალის გამოყენებისა ან დამუქრებისგან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ".

ისმის კითხვა: სწორად მოიქცა არსებულ სიტუაციაში უკრაინის ხელისუფლება თუ არა? დღევანდელი გადასახედიდან ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კიევის პოლიტიკური ელიტა არსებული საკითხის გადაწყვეტას მოეპყრო ზერელედ და არასახელმწიფოებრივი აზროვნებით.

მაშინდელი უკრაინელი მაღალჩინოსები დღეს თავს იმართლებენ: „ჩვენ ან უნდა განვიარაღებულიყავით, ან უნდა დავბრუნებულიყავით რუსეთის გავლენის ქვეშ. ამით კი მოსკოვი გადააქცევდა ჩვენ სამხედრო შენაერთებს თავისიანად"-ო. ხოლო უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლ. კრავჩუკი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ „ბირთვულ იარაღზე უარის თქმა განპირობებული იყო აუცილებლობით, ვინაიდან კიევს არ ჰქონდა იმის საშუალება, შეენარჩუნებინა რიგით მესამე სტრატეგიული დანიშნულების რაკეტების ჯგუფი" [5]. მაგრამ აქვე ისმის მრავალმნიშვნელოვანი კითხვა: შეეძლო თუ არა უკრაინას ბირთვული იარაღის ნაწილის შენარჩუნება მაინც, რითაც ბევრ რისკს თავიდან აიცილებდა? ჩვენი აზრით შეეძლო, მაგრამ კორუმპირებულმა პოსტკომუნისტურმა ელიტამ ეს არ გააკეთა, რამაც ქვეყანა მიიყვანა კატასტროფულ შედეგებამდე. საკმაოდ რიტორიკულია მსოფლიო პოლიტიკის შესანიშნავი მცოდნის, ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის დასმული კითხვა, რომლითაც ფაქტობრივად გამოაშკარავდა უკრაინის პოლიტიკური ელიტის ნამდვილი სახე – „იქნებოდა კი ყირიმი

დაპყრობილი და აღმოსავლეთ უკრაინა ოკუპირებული, უკრაინელებს რომ შეენახათ თავიანთი ბირთვული პოტენციალის ნაწილი?". საფიქრებელია, ყოფილ პოსტკომუნისტურ ელიტებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ სმენოდათ ცნობილი პოლიტიკური სიბრძნე – „პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები, პოლიტიკაში არსებობენ ინტერესები". ეტყობა ამ ელიტების მთავარი ინტერესები მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური დაინტერესებებით განისაზღვრებოდა და განისაზღვრება.

როგორც უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მასალები მეტყველებენ, თავად უკრაინის პრეზიდენტი ლ. კუჩმაც კი არ ყოფილა ბოლომდე დარწმუნებული ამ მემორანდუმის შესრულებაში. ისტორიის პასუხისმგებლობის წინაშე მდგარმა სასოწარკვეთილმა ექსპრეზიდენტმა იალტის ევროპული სტრატეგიის ყოველწლიურ სამიტზე განაცხადა: „1991 წელს, როდესაც მე ხელი მოვაწერე ბუდაპეშტის შეთანხმებას, უკრაინის უშიშროების გარანტი იყვნენ აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი. მე მეჩვენებოდა, რომ ჩვენ ვიცხოვრებდით, როგორც ღმერთები სავანეში. ჩვენ არმიაც კი არ გვინდოდა რომ გვყოლოდა. მახსოვს როგორ მივედი საავადმყოფოში საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანთან, რომელიც მაშინ ავად გახდა და ვთხოვე, ხელი მოეწერა დამატებით ოქმზე. მიტერანმა მითხრა: „არ ენდოთ მათ. ისინი თქვენ გატყუებენ". მე მას არ დავუჯერე, ვინაიდან ხელში მეჭირა პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. და მართლაც მოგვატყუეს" [7]. აი, პოსტსაბჭოთა კომუნისტური ელიტის სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქვეყნის მართვის უნარი. ანალოგიურს აცხადებდა თითქმის ყოველთვის საქართველო პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რუსეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულებების პოსტფაქტუმ.

იმ დროს ეს შეთანხმება ხელსაყრელად გამოიყურებოდა, მაგრამ ახლა უკრაინის ბევრი კანონმდებელი მწარედ ნანობს მაშინ მიღებულ გადაწყვეტილებას და აღიარებს გარემოებას, რომელიც, მაგალითად, ინდოეთმა და პაკისტანმა კარგად გაითავისეს ათწლეულების განმავლობაში – რომ რაკეტები ყველა ხელშეკრულებაზე უფრო ძლიერი ფაქტორია საკუთარი ტერიტორიის დაცვის საქმეში. „თუ ბირთვული იარაღი გაქვს, შენს ტერიტორიაზე არ შემოიჭრები-

ანო“, – აცხადებს ზოგიერთი რეალპოლიტიკოსი ამჟამად უკრაინაში. მემორანდუმის მუხლების ფაქტობრივი შესრულება (უკრაინის მხრიდან) ჯერ კიდევ 1995 წლის მარტიდან დაიწყო, როცა უკრაინელებმა თავიანთი ბირთვული შეიარაღების პირველი ნაწილი გადააგზავნეს რუსეთში. 1996 წლის 2 ივნისს კი უკრაინამ საბოლოოდ დაკარგა ბირთვული ქვეყნის სტატუსი, როცა უკვე აღარც ერთი ბირთვული რაკეტა აღარ იყო მის ტერიტორიაზე. 1999 წელს კიევმა რუსეთში გაგზავნა ბირთვული იარაღის გადამზიდი პლატფორმების ნაწილი; მეორე ნაწილი გაანადგურა, ხოლო ორი მათგანი ახლაც საავიაციო მუზეუმში არის გამოფენილი. იგივე მოიმოქმედა ბელორუსმა და ყაზახეთმა.

საყოველთაოდ ცნობილია უკრაინაში 2013 წლის შემოდგომიდან განვითარებული მოვლენები, რომლებიც სისხლიან ეპოპეაში გადაიზარდა. ამით ისარგებლა მოსკოვმა, რომელიც მსოფლიოში გეოპოლიტიკური პოზიციების დათმობას არ აპირებს და მოახდინა ყირიმის ანექსია. ყირიმის ანექსირებით კრემლმა, რეალურად, რამდენიმე ხელშეკრულება დაარღვია – მათ შორის გაეროს ქარტია, ევროპის საბჭოს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ქარტია, 1975 წლის ჰელსინკის ხელშეკრულება, 1997 წლის ორმხრივი ხელშეკრულება რუსეთსა და უკრაინას შორის. ამასთან, დაირღვა ახლახან გახანგრძლივებული შეთანხმება, რომელიც რუსეთს შავ ზღვაზე ბაზების ყოლის უფლებას აძლევს, მაგრამ არ ითვალისწინებს დამატებით ათასობით სამხედროს შეყვანას. უფრო მეტიც, – კრემლმა თავისი პოლიტიკით შეძლო უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების ჩართვა სეპარატისტულ პროცესებში და მოახდინა ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ჩამოცილება ერთიანი უკრაინისაგან.

პუტინისეული კრემლი მთელი ძალისხმევით იბრძვის იმისათვის, რომ თავის სასარგებლოდ წარმართოს მიმდინარე ურთულესი გეოპოლიტიკური ბრძოლების პროცესები. მოსკოვი ზოგჯერ ჩასაფრებულის, ზოგჯერ კი ძალის პოზიციიდან ცდილობს თავისი გავლენების განვრცობას. ამის დასტურია რუსეთის მიერ კიევში მიმდინარე პროცესების გამოყენება, რითაც კრემლი საერთაშორისო არენაზე პოლიტიკურ-სამართლებრივი გზით ცდილობს თავის ქმედებების გამართლებას. პროგრესული მსოფლიოს კრიტიკას ასე

პასუხობს ვ. პუტინი: „როდესაც ჩვენ მივუთითებთ, რომ ეს იყო ანტიკონსტიტუციური აქტი (მხედველობაშია იანუკოვიჩის ქვეყნიდან განდევნა – ე. გ.), ჩვენ გვეუბნებიან – არა, ეს იყო რევოლუცია. და თუ ეს რევოლუცია იყო, ეს ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი სახელმწიფო. ისევე როგორც ჩვენთან რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, 1917 წელს. ჰოდა, ასეთ სახელმწიფოსთან ჩვენ არავითარ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოგვიწერია და არავითარი ვალდებულებები მასთან დოკუმენტების შესრულებაზე არ გვიკისრია“ [4].

დასავლეთმა რუსეთს დაუწესა ეკონომიკური სანქციები, მაგრამ იგივე ეკონომიკურმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად გაართულა არსებული გლობალიზაციის ფონზე დასავლეთის მდგომარეობაც. მართალია, ყირიმის ანექსიამ რუსეთის ორ ტრილიონიანი დოლარის ეკონომიკას გარკვეული დანაკარგი მოუტანა (ყირიმის ანექსირების პირდაპირი ფასი, სულ მცირე, 3 მილიარდ დოლარამდეა), მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, ეს სანქციები რა გავლენას იქონიებს თავად ევროკავშირისა და აშშ-ის ეკონომიკებზე.

ფაქტობრივად თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა, რომელშიც ამჟამად აშკარად გამოიკვეთა სამი ძირითადი პოლიტიკური მოთამაშე – აშშ, ევროკავშირი და რუსეთი. ახლო მომავალში ამ ბრძოლაში ჩაებმება ალბათ ჩინეთიც, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით ცდილობს ადგილის დამკვიდრებას „მზის ქვეშ“.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. В. Руковишников, Холодная война, холодной мир, Москва, 2005.
2. https://besarion.wordpress.com/2010/09/23/bush–chicken–kiev/.
3. https://uk.wikisource.org/wiki/Декларація–про–державний–суверенітет–України.
4. http://www.gazeta.ru/science/2014/12/04–a–6329385.shtml.
5. http://www.km.ru/v-rossii/2014/03/01/mezhdunarodnaya-olitika/733609-pochemu-ne-byl-ratifitsirovan-budapeshtskii-memo.

6. http://news.liga.net/news/politics/1823678budapeshtskiy–memorandum–byl–oshibkoy–kuchma.htm.
7. http://zn.ua/POLITICS/kuchma-prezident-francii-preduprezhdal-chto-budapeshtskiy-memorandum-obman-153018–.html.

Edisher Gvenetadze
Associate Professor of the Georgian Technical University

1994 Years Budapest Memorandum and the Ukrainian Security issues

Summary

The paper focuses on the political processes that were developed at the beginning of the third millennium and the end of the second millennium, Ukraine. It is noted that in Ukraine for the end of the 9 years of the world's nuclear warheads to third countries.

Ukraine's newly formed post-communist social and political progress in the country's political elite has failed. Analyzed the 1994 Budapest Memorandum and the developments.

The modern world is going to fight for the establishment of a new world order, in which we can clearly see the three main political players-the US, EU and Russia. Perhaps in the near future China will join in this battle that so far only place in the economic methods that the „under the sun.

თამარ დარჩია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

აშშ-საბჭოთა კავშირის ორმხრივი მოლაპარაკებები ჟენევის სამიტზე

1985 წლის 19-20 ნოემერს, ჟენევაში (შვეიცარია) გაიმართა ორმხრივი შეხვედრა რონალდ რეიგანსა და მიხეილ გორბაჩოვს შორის. ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის სამიტი, სადაც აშშ-სა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. განსახილველი საკითხების მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, რეიგანისთვის, როგორც ის მოგვიანებით აღნიშნავდა, მთავარ მიზანს გორბაჩოვთან პირადი კონტაქტების დამყარება და, შესაძლებლობის ფარგლებში, სამომავლო მოლაპარაკებათა დღის წესრიგის დაგეგმვა წარმოადგენდა [1, 570].

ჟენევის შეხვედრის ფორმატი არ ითვალისწინებდა რაიმე ფორმალური შეთანხმების ხელმოწერას. ის უფრო განიხილებოდა, როგორც საბჭოთა ხელისუფლებასთან მიმდინარე დიალოგის ნაწილი, სადაც ახალი მიმართულებების გამოკვეთა უნდა მომხდარიყო.

საბჭოთა მედია ჟენევის შეხვედრას ძირითადად დადებითად აფასებდა. ვინაიდან აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისა და შეიარაღების კონტროლთან დაკავშირებული მომავალი მოლაპარაკებების პროგრესული მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობა გაჩნდა. პოზიტიურ განწყობასთან ერთად, ხშირად ისმოდა ასევე პესიმისტური განცხადებებიც. ამ მხრივ, განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებდა აშშ-ს პოზიცია ანტიბალისტიკური რაკეტების ხელშეკრულებასა და სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ცალკეული სკეპტიკური გამონათქვამებისა, საბჭოთა პოლიტიკური წრეები მაინც დიდ იმედებს ამყარებდნენ მომავალ სამიტზე, როგორც საერთაშორისო სიტუაციის გაუმჯობესებისკენ მიმართულ კეთილი ნების გამოხატულებაზე.

ჟენევაში გამგზავრებამდე, რეიგანმა ამერიკელ ხალხს სიტყვით მიმართა. მისი განცხადებით, მომავალი შეხვედრა წარმოადგენდა ოცდამეერთე საუკუნეში მშვიდობიანად შებიჯების უნიკალურ შანსს. იგი იმედოვნებდა, რომ მიხეილ გორბაჩოვთან ერთად

წამოიწყებდა ახალ პროცესს, რომელსაც შემდგომში მათი მემკვიდრეებიც ღირსეულად გააგრძელებდნენ. ის აღნიშნავდა, რომ ჟენევის მომავალ სამიტს არა მხოლოდ ომის თავიდან აცილების იმედს, არამედ მშვიდობის განმტკიცების აუცილებლობასაც უკავშირებდა [4, 281]. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, რეიგანი პოზიტიური განწყობით გაემგზავრა ჟენევაში.

ენდრიუს საჰაერო ძალების ბაზიდან აფრენის წინ რეიგანს მოახსენეს, რომ საბჭოელებმა ამერიკელებზე დაქორწინებულ რამდენიმე თავიანთ მოქალაქეს შეერთებულ შტატებში მეუღლეებთან წასვლის ნება დართეს. ერთ ქალბატონს, თურმე ამერიკელი ქმარი 11 წელიწადი არ ენახა. ჩუმი დიპლომატიის პერიოდში (რეიგანი და გორბაჩოვი მიმოწერას აწარმოებდნენ) რეიგანს გორბაჩოვისთვის მიუწერია, რომ იგი მიესალმებოდა დაშორებული ოჯახების გამთლიანებას. ასე რომ, საბჭოელების გადაწყვეტილება ამერიკელების მხრიდან დადებით სიგნალად იქნა აღქმული).

ორი ქვეყნის ლიდერის პირველი შეხვედრა „Villa Fleur d'Eau"-ში გაიმართა. რეიგანი, შეხვედრის ადგილას გორბაჩოვზე ადრე მივიდა და როცა მოახსენეს, გორბაჩოვის მანქანა მოვიდაო, სასწრაფოდ გარეთ გავიდა, კიბეზე ჩაირბინა და კოლეგას შეეგება. გორბაჩოვს მძიმე პალტო ეცვა, რეიგანი, კი უქუდოდ და პიჯაკის ამარა იყო. აღნიშნული ფაქტი პრესამ მაშინვე აიტაცა და, უნდა ითქვას, რეიგანის სასარგებლოდ, ვინაიდან ჩაფუთნულ გორბაჩოვთან შედარებით, იგი უფრო უშუალოდ გამოიყურებოდა. მათი პირველი ხელის ჩამორთმევის დროს, რეიგანმა უმალ გააცნობიერა, რომ რასაც ტეტჩერი და კანადის პრემიერ-მინისტრი ეუბნებოდნენ, სიმართლე გამოდგა – გორბაჩოვი სასიამოვნო პიროვნება ჩანდა. მის გამოხედვაში სითბო იგრძნობოდა და მანერებით კი რეიგანისთვის კარგად ნაცნობ, სიძულვილით აღსავსე საბჭოთა ლიდერებს სრულებითაც არ ჰგავდა.

რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრა, მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო. მას შემდეგ, რაც დელეგაციის სხვა წევრებმა და ოფიციალურმა ფოტოგრაფებმა ოთახი დატოვეს, აშშ-ს პრეზიდენტმა მიმართა საბჭოთა კოლეგას, რომ ახლა მათ უკვე ნამდვილად შეეძლოთ საუბრის დაწყება. რეიგანისთვის საკმაოდ ამაღელვებელი იყო იმ ფაქტის გაცნობიერება, თუ როგორ უნიკალურ სიტუაციაში აღმოჩნდა ეს ორი სილარიბეში გაზრდილი კაცი, ახლა უკვე ორი უძლიერესი ქვეყნის ლიდერი, ორად ორი ადამიანი, რომელთაც მესამე მსოფლიო ომის დაწყება და ამავე დროს, მთელ მსოფლიოში მშვი-

დობის დამკვიდრება ხელეწიფებოდათ. მისი აზრით, საუბარი შეიძლებოდა წარმართულიყო ნებისმიერ აქტუალურ თემაზე, თუმცა მათი ძირითადი მიზანი და საზრუნავი იმ უნდობლობის აღმოფხვრა უნდა ყოფილიყო, რაც ორ ქვეყანას შორის არსებობდა. რადგანაც, განიარაღებაზე მსჯელობა, მაშინ როცა არსებობდა ორმხრივი უნდობლობის მომენტი, სულ ცოტა, არაფრის მომტანი იქნებოდა. რეიგანის აზრით, ქვეყნებს შორის უნდობლობა არსებობდა არა იმიტომ, რომ ისინი ფლობდნენ შეიარაღებას, ქვეყნები სწორედ იმიტომ აწარმოებდნენ შეიარაღებას, რომ მათ შორის არსებობდა უნდობლობა. აშშ-ს პრეზიდენტი სწორედაც რომ ამ უნდობლობის გაქარწყლებას იმედოვნებდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი არ აღიარებდა ამერიკის მმართველობის სისტემას და პირიქით, აშშ-იც არ სცნობდა საბჭოთა წყობილებას, ისინი ვალდებულნი იყვნენ გაეგრძელებინათ წინსვლა მხოლოდ მშვიდობიანი კონკურენციის პირობებში.

გორბაჩოვიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რეიგანთან შეხვედრას. მისი განმარტებით, დაგროვილი პრობლემების შესახებ მას არაერთხელ უსაუბრია უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე, მაგალითად აშშ კონგრესის წევრებთან და აშშ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თუმცა იგი მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტთან შეხვედრას გაცილებით მაღალი პროდუქტიულობის ხარისხი გააჩნდა. გორბაჩოვის განცხადებით, იგი რამდენიმე თვე ემზადებოდა ჟენევის სამიტისთვის, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს რეიგანის თითოეულ განცხადებას და შესაბამისად, მზად იყო მასთან განეხილა ნებისმიერი პრობლემატური საკითხი. მიუხედავად ორ ქვეყანას შორის არსებული უზარმაზარი განსხვავებისა, როგორც გორბაჩოვი შეხვედრისას აღნიშნავდა, მათ შეეძლოთ ურთიერთობები უკეთესობისკენ წარემართათ და ამავე დროს შეენარჩუნებინათ საკუთარი იდეოლოგია, პოლიტიკური სისტემა თუ კულტურა [2, 62].

ჟენევის სამიტზე ორი ლიდერი ერთმანეთს შეხვდა მაშინ, როცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დინამიკა ყველაზე დაბალ ნიშნულს გაუტოლდა. ბოლო ექვსი წლის მანძილზე ბევრი რამ იყო შეცვლილი საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ორი ქვეყნის, ასევე მსოფლიო დონეზე. თავი იჩინა უამრავმა პრობლემამ, რაც შეშფოთების საგანს წარმოადგენდა არა მარტო რეიგანისა და გორბაჩოვისთვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისთვისაც. მხარეები თანხმდებოდნენ, რომ პოლიტიკურ დიალოგს არ გააჩნდა ალტერნატივა. განხილული უნდა ყოფილიყო ქვეყნებს შორის არსებული

პრობლემების გადაჭრის ყველა შესაძლო მექანიზმი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეეძლოთ არსებობა ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში. თუმცა, ეკონომიკური და კომერციული კავშირების არსებობა მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან პოლიტიკური პროცესები თავისთავად წარმოიქმნებოდა მატერიალური საფუძვლებიდან გამომდინარე. გორბაჩოვის განმარტებით, წარსულში მომხდარი სამწუხარო შეცდომების მიუხედავად, (აშშ-ის ემბარგო ხორბალზე), ურთიერთთანამშრომლობის ინტერესი იკვეთებოდა აშშ-ის ბიზნესმენებსა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ წრეებს შორის, რაც ნდობის აღდგენის მექანიზმის მნიშვნელოვან ნაწილად უნდა მიჩნეულიყო.

ორმხრივი ურთიერთობის დინამიურობის გაზრდის მიზნით, გორბაჩოვი ასევე მიიჩნევდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროებსა და საელჩოებს უფრო მეტად აქტიური ურთიერთობები უნდა ჰქონოდათ. ვინაიდან, უმაღლესი დონის შეხვედრები, მნიშვნელოვნად შეუწყობდნენ ხელს ნდობის გამყარების პროცესის დაჩქარებას.

გორბაჩოვი მოუწოდებდა ამერიკულ მხარეს, რომ ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკის შემუშავების პროცესი ყალბი წარმოდგენებისგან გაეთავისუფლებინათ. იგი გულისხმობდა აშშ-ის მმართველ ძალებში არსებულ ილუზიას, რაც გამოწვეული იყო ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარის მიერ გაჟღერებული მოსაზრებებიდან, რომ თითქოს საბჭოთა ეკონომიკა ურთულეს პერიოდს განიცდიდა, რაც გამალებული შეიარაღების პირობებში გააიოლებდა მასზე ზეწოლის შესაძლებლობას და თავისმხრივ აშშ-ს ლავირების საშუალებას მისცემდა საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. ამასთან ერთად, ვინაიდან რეალობა ისეთი იყო, რომ მაღალი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით საბჭოთა კავშირი მკვეთრად ჩამორჩებოდა აშშ-ს, ამ უკანასკნელს უნდა ეჩქარა, რათა მიეღწია სამხედრო უპირატესობისთვის და უკან ჩამოეტოვებინა იმავე მიზნებით მოქმედი საბჭოთა კავშირი.

გორბაჩოვმა განაცხადა, რომ იგი აღიარებდა აშშ-ის წონასა და როლს გლობალურ სივრცეში. საბჭოელები აფასებდნენ ამერიკელების მიღწევებს ტექნოლოგიაში, მომსახურების სფეროსა და სხვა მიმართულებებში, რაც უდავოდ ამერიკელი ხალხის დაუზარელი შრომის შედეგი იყო. დიახ, საბჭოელები პატივს სცემდნენ ამერიკელებს, მიუხედავად პოლიტიკური, იდეოლოგიური და ღირებულებათა განსხვავებისა, მრავალი წლის განმავლობაში მათ მოახერხეს მშვიდო-

ბიანი თანაცხოვრება ომის გარეშე და საწყენი იქნებოდა, თუკი ვერ მოხერხდებოდა ახალი მიდგომების შემუშავება გრძელვადიანი გეგმის პერსპექტივით. ვინაიდან, სწორედ მშვიდობიან თანაცხოვრებას ითხოვდა ხალხი, ჟენევის შეხვედრა, ამ კუთხით, მსოფლიო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. არსებობდა დიდი მოლოდინი, რომ ეს შეხვედრა დადებით იმპულსს მისცემდა შემდგომ პროცესებს [6].

საბჭოთა მხარე ასევე აცხადებდა, რომ აშშ-ში ისევე როგორც საბჭოთა კავშირში არსებობდნენ გარკვეული წრეები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამხედრო თემებთან. ამ ადამიანებისთვის მსგავსი საკითხები საარსებო წყაროს წარმოადგენდა. თუმცა კვლევებით დასტურდებოდა, რომ მაგალითად, იაპონიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მშვენივრად შეეძლოთ თავის გატანა მწირი სამხედრო დანახარჯებითაც. სწორედ სამხედრო სფეროში ჩადებული მცირე ფინანსების ხარჯზე, მათ განიცადეს აღმავლობა ეკონომიკურ სექტორში. საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების თანახმად, ერთი სამუშაო ადგილი სამხედრო სექტორში სამჯერ უფრო ძვირად ანაზღაურებადი იყო, ვიდრე სამოქალაქო სექტორში. ასე რომ, უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა, თუკი ფულის გადინება მოხდებოდა სამოქალაქო სფეროებში. სიტუაცია იმდენად მწვავე იყო, რომ თუკი შეიარაღების კონტროლის ირგვლივ რაიმე სასიკეთო არ იგაღრერდებოდა, ეს ხალხში უკმაყოფილებასა და ნამდვილ იმედგაცრუებას დათესავდა.

გორბაჩოვმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებითაც, რომ აშშ-ს, საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, მსოფლიოს გარშემო სპეციალური ინტერესის ზონები ჰქონდა გამოცხადებული, რაც მის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა.

პასუხად, რეიგანმა გორბაჩოვს 1917 წლიდან დაწყებული საბჭოთა კავშირის აგრესიის გრძელი ისტორია შეახსენა. მას სურდა, სწორად განემარტა, თუ რატომ არ ენდობოდა საბჭოთა ბლოკს თავისუფალი მსოფლიო. (ლანჩის დროს გორბაჩოვმა უსაყვედურა რეიგანს, საბჭოელებს ეჭვის თვალით არ უნდა უყურებდეთო, რეიგანმა კი უპასუხა, რომ ეჭვისთვის ბევრი მიზეზი არსებობდა და მაგალითად იალტაში სტალინის მიერ მიცემული დაპირების ღალატი მოიყვანა, რომ თითქოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავისუფალი არჩევნების საშუალება ექნებოდათ).

რაც შეეხებოდა, სამხედრო ინდუსტრიას, აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ-ს ბიუჯეტიდან გაცილებით მეტი იყო გამოყოფილი ჰუმანიტარული საკითხებისთვის – მოხუცებულთათვის,

უნარშეზღუდულთათვის და სხვა სოციალური საჭიროებებისათვის, ვიდრე მთლიანად სამხედრო ხარჯებისათვის. სამხედრო ბიუჯეტის ორი მესამედი კი იხარჯებოდა ცოცხალ ძალაზე და მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი იხარჯებოდა შეიარაღებასა და აღჭურვაზე. ამავე დროს, სამხედრო ხარჯები მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტის მხოლოდ მცირე პროცენტს შეადგენდა. აშშ-ს შიდა წარმოების ძირითადი ინტერესი მოდიოდა საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქტებზე, მაგალითად ავტო და ავია ინდუსტრიაზე და ა. შ. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით პრეზიდენტი მოხარული იქნებოდა, რომ სამხედრო დანახარჯები კიდევ უფრო შემცირებულიყო, ვინაიდან ეს მხოლოდ წაადგებოდა ქვეყანას [3, 40].

კიდევ ერთი სპეციფიური საკითხი გახლდათ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა – კვლევითი პროგრამა, რომელზეც მუშაობდა აშშ და რომლის მიმართაც უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნდა საბჭოთა კავშირს. ეს იყო ანტი-სარაკეტო ფარი, რომელიც გაანადგურებდა ბირთვულ რაკეტებს მანამდე, სანამ ისინი მიზანს მიაღწევდნენ. რეიგანი აცხადებდა, რომ ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, თუ რამდენად წარმატებული იქნებოდა აღნიშნული პროგრამა, თუმცა დიდი იმედი ჰქონდა, რომ პროექტი გაამართლებდა, ისევე როგორც, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული კვლევა, რომელიც ასევე მიზნად ისახავდა ანალოგიური სიტემის შექმნის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუკი ორივე მხარე გააგრძელებდა კვლევას აღნიშნული მიმართულებით და რომელიმე მაინც მიაღწევდა წარმატებას, ვაშინგტონი იმედს გამოთქვამდა, რომ ინფორმაცია გაზიარებული იქნებოდა იმისთვის, რათა მსოფლიო გათავისუფლებულიყო ბირთვული კატასტროფის შიშისგან, ვინაიდან დარწმუნებით არ შეიძლებოდა იმის განჭვრეტა, თუ ვის ხელში შეიძლებოდა ჩავარდნილიყო ატომური რაკეტების გამშვები პულტი მომავალში.

როგორც მიხეილ გორბაჩოვმა ჟენევაში განაცხადა, საბჭოთა კავშირს პრინციპული მიდგომა ჰქონდა განვითარებადი ქვეყნების და მათი პრობლემების მიმართ. მსოფლიოს ამ ნაწილში მას არ გააჩნდა მონოპოლიები და კომერციული ინტერესები. საბჭოთა კავშირი ასი პროცენტით იყო დამოკიდებული საკუთარ რესურსებზე და ექსპანსიონისტური მიზნებისკენ სამხედრო ძალის გამოყენებით არ მიილტვოდა. კრემლი ასევე არ მისდევდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრებულ პრაქტიკას, როცა მესამე მსოფლიოს ქვეყ-

ნებს აიძულებდნენ, რომ ჯერ მიეღწიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის, ხოლო შემდეგ, კი ცდილობდნენ მათი რესურსებისა და ცოცხალი მუშახელის ხელში ჩაგდებას [5].

რაც შეეხება ავღანეთსა და ეთიოპიას, ვაშინგტონი ხშირად ადანაშაულებდა საბჭოთა კავშირს წყლის ამღვრევაში, თუმცა გორბაჩოვის განცხადებით, მან მხოლოდ რადიოდან შეიტყო ეთიოპიაში მომხდარი რევოლუციის შესახებ. მოსკოვს კარგი ურთიერთობა ჰქონდა იმპერატორ ჰაილე სელასიესთან და შესაბამისად ვერ იდგებოდა გადატრიალების უკან. თუმცა, გასათვალისწინებელი იყო ის მდგომარეობაც, რომ როცა ხალხს სურდა თავისუფლება, კრემლი მხარს უჭერდა „პროგრესულ მსვლელობებს" და ეს არ წარმოადგენდა საიდუმლოს, ვინაიდან არსებობდა პარტიული პროგრამა და არანაირი სხვა საიდუმლო გეგმა მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად, მათ არ გააჩნდათ.

რაც შეეხება ავღანეთს, საბჭოთა კავშირი პრობლემის პოლიტიკური დარეგულირების მომხრე იყო გაეროს ეგიდითა და აშშ-ს აქტიური დახმარებით. თუმცა, როგორც გორბაჩოვი აცხადებდა ვაშინგტონს დახმარების სურვილს ვერ ამჩნევდა, ვინაიდან ჯარების გაყვანის მუდმივი მოწოდებების მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ამერიკელებს აწყობდათ საბჭოელები იქ რაც შეიძლება მეტხანს დარჩენილიყვნენ. მოსკოვი მზად იყო გაეყვანა ავღანეთიდან ჯარები და ხელი შეეწყო ლტოლვილების დაბრუნებისთვის, მხოლოდ მას სურდა ჰქონოდა გარანტია, რომ ადგილი არ ექნებოდა გარედან რაიმე სახის ჩარევას. გორბაჩოვი მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური შერიგების შესაძლებლობა რეალურად არსებობდა და ავღანეთიც, თავის მხრივ, მზად იყო თანამშრომლობისთვის, თუმცა თანამშრომლობა უნდა დაწყებულიყო უკლებლივ ყველა მხარესთან. გორბაჩოვი ასევე აღნიშნავდა, რომ მოსკოვი არ გეგმავდა ავღანეთის გამოყენებას თბილი წყლების პორტების ხელში ჩასაგდებად, სპარსეთის ყურეზე საკუთარი გავლენის გაფართოების მიზნით ან, სხვამხრივ, აშშ-ის ინტერესების ხელის შესაშლელად. მოსკოვი მომხრე იყო ურთიერთობების ყოველმხრივი გამოსწორებისა, კონფლიქტურ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და გარედან რაიმე სახის ჩარევის აცილებისა. აღნიშნულ საკითხებზე შესაძლებელი იყო მოლაპარაკებების გაგრძელება, სადაც ჩართულები იქნებოდნენ ასევე, რეგიონული საკითხების ექსპერტებიც.

რაც შეეხებოდა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების საკითხს, იმისთვის რომ მოლაპარაკებები დაწყებულიყო და მხარეებს

საერთო ენა გამოენახათ, საბჭოთა კავშირი ითხოვდა სტრატეგიული პარიტეტის დაცვას. კომპიუტერული ტექნოლოგიების ხანაში, ერთი მხარე შესაძლებელი იყო დაწინაურებულიყო კოსმოსში და საბჭოთა კავშირი მზად იყო წინ დადგომოდა ნებისმიერ გამოწვევას, თუმცა, მისთვის ცალსახად მიუღებელი იყო, გამალებულ შეიარაღებას კოსმოსში გადაენაცვლა. სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას იგი განიხილავდა, არა როგორც თავდაცვით, არამედ როგორც შეტევით საშუალებას. მისი აზრით ძალზედ რთული იქნებოდა კოსმოსური რაკეტების შემოწმება, რაც უდაოდ ეჭვსა და უნდობლობას დათესავდა ორ ქვეყანას შორის. რას მოიმოქმედებდა დასავლეთი, საბჭოთა კავშირს რომ ემუშავა მსგავსი ტიპის იარაღზე? გორბაჩოვის აზრით, მსოფლიოს სრული პანიკა მოიცავდა. რაც შეეხება ამერიკელების ვარაუდს, რომ მოსკოვიც აწარმოებდა მსგავსი ტიპის კვლევას, გორბაჩოვი ადასტურებდა, რომ ორივე ქვეყანა იკვლევდა კოსმოსს და ამაში გასაკვირი არც არაფერი იყო, თუმცა განსხვავებით ამერიკისგან, რომლის სამხედრო მიზნები აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა ანტი-ბალისტიკური რაკეტების შეთანხმებასთან, საბჭოთა კავშირს მშვიდობიანი ზრახვები ამოძრავებდა,

იმ შემთხვევაში, თუკი სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა მოქმედებაში შევიდოდა, საბჭოთა კავშირი გამოეთიშებოდა შეტევითი იარაღის შემცირების პროცესს და კიდევ უფრო ეფექტური პროგრამით უპასუხებდა ამერიკას. თუმცა, კოსმოსში ამდენი შეიარაღების განთავსებას მხოლოდ სიტუაციის დესტაბილიზაცია, რესურსების უაზრო ფლანგვა და საბოლოო ჯამში პროცესებზე კონტროლის დაკარგვა შეეძლო გამოეწვია. შესაბამისად, იარაღის რაოდენობა მსოფლიოში კი არ შემცირდებოდა, არამედ პირიქით, არნახულად გაიზრდებოდა.

პარიტეტთან დაკავშირებით, რეიგანი მიიჩნევდა, რომ ერთ დროს ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც ფლობდა უპირატესობას ბირთვულ იარაღთან მიმართებაში. თუმცა 1946 წლიდან მან წამოაყენა წინადადება, რომ აღნიშნულ შეიარაღებაზე განხორციელებულიყო საერთაშორისო კონტროლი. 1953-1969 წლებში აშშ-მა დაახლოებით თორმეტი მსგავსი შეთავაზება გააკეთა. სტრატეგიული შეიარაღების ხელშეკრულების (ST-I)-ის ხელმოწერის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა საკუთარი სამხედრო არსენალი 6,000 ბირთვული ქობინით გაამდიდრა, ხოლო ST-II-ის შემდეგ კიდევ 3,850 დაამატა. მაშინ როცა აშშ-მა 2400 ერთეული ქობინი აიღო ევროპიდან, იმ დროს როცა საბჭოთა კავშირი შშ-20 ტიპის რაკეტებით ემუქრე-

ბოდა ევროპას. აშშ-ს არ გააჩნდა იმ რაოდენობის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები, როგორც საბჭოთა კავშირს, თუმცა მისთვის საკადრისი პასუხის გაცემა ნამდვილად შეეძლო. რაც შეეხება სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას, დანამდვილებით არავინ იცოდა, მოხდებოდა თუ არა მისი ამოქმედება, თუმცა მისი გაიგივება შეტევით ძალასთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო. აღნიშნული პროგრამა არ წარმოადგენდა საფრთხეს და უმჯობესი იქნებოდა, თუკი აქტიური მოლაპარაკებები დაიწყებოდა ბირთვული იარაღის განადგურებისა და შესაბამისად ომის საშიშროების თავიდან აცილების თაობაზე.

ავღანეთთან მიმართებაში, რეიგანის განმარტებით მის „ლიდერს" ზურგს უმაგრებდა საბჭოთა კავშირი. ის გახლდათ მოსკოვის მეორე არჩევანი, ვინაიდან პირველმა იმედები არ გაამართლა. საბჭოთა ჯარების შეჭრის შედეგად ლტოლვილთა რაოდენობამ 3 მილიონს მიაღწია. აშშ-მა გაეროს მიმართა წინადადებით, რომ ყველა გარე ძალას დაეტოვებინა ქვეყანა, ხოლო შემდეგ კი მომხდარიყო ისლამური სახელმწიფოების კოალიცია, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა ავღანელი ხალხის მიერ არჩეული მთავრობის ჩამოყალიბებას.

ერთი-ერთზე შეხვედრისას, რეიგნმა გამოთქვა სურვილი გორბაჩოვთან ესაუბრა ადამიანის უფლებების შესახებ. პრეზიდენტმა განმარტა, რომ აშშ-ის რელიგიური წრეები გავლენას ახდენდნენ კონგრესზე ლობისტების მეშვეობით. მას არ სურდა აღნიშნული საკითხის წამოჭრა ძირითად შეხვედრაზე და ასევე იგი არ თხოვდა გორბაჩოვს ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა აღნიშნული საკითხის და კერძოდ ემიგრაციის პრობლემასთან დაკავშირებით. რეიგანი მიესალმებოდა იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ებრაული წარმოშობის მოქალაქეს უფლება მისცეს დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი და შეერთებოდნენ თავიანთ ოჯახებს. თუმცა კვლავაც რჩებოდა საბჭოთა ებრაელების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელთაც სურდათ ისრაელში ემიგრაცია. პრეზიდენტი მიმართავდა გორბაჩოვს, რომ თუკი ის შეძლებდა ცალკეული საქმეების გადაწყვეტას, ამ კეთილ ჟესტს იგი დიდად დააფასებდა და არამც და არამც არ მიაწერდა აშშ-ის განსაკუთრებულ ძალისხმევას. აღნიშნული კეთილი ნების გამოვლინება ასევე სასიკეთოდ წაადგებოდა აშშ-საბჭოთა კავშირის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებასაც, ვინაიდან კონგრესის მხარდაჭერა ამ მიმართულებით ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, ხოლო კონგრესზე კი ამერიკის ებრაულ თემს განსაკუთრებული გავლენა გააჩნდა.

გორბაჩოვის განმარტებით, აშშ-საბჭოთა კავშირის ორხრივ ურთიერთობებში, ადამიანის უფლებათა საკითხები, ხშირად პოლიტიკური ვაჭრობის თემას წარმოადგენდა. აშშ-ს მოქალაქეები ხშირად სტუმრობდნენ საბჭოთა კავშირს. მათ გააჩნდათ ნათესავები უკრაინაში, ბალტიისპირეთში და ა. შ. საბჭოთა კავშირისთვის ეს არ იყო პრობლემა, პირიქით, ის მიესალმებოდა ამგვარი სახის ვიზიტებს. უკანასკნელ პერიოდში შეინიშნებოდა კონტაქტების გაღრმავება რელიგიურ ჯუფებს შორისაც. ბოლო ხუთი წლის მანძილზე 400-ზე მეტი ქორწინება იქნა დარეგისტრირებული აშშ-სა და საბჭოთა მოქალაქეებს შორის და აქედან მხოლოდ ათ წყვილს არ მისცეს ქვეყნის დატოვების უფლება. მთავარი პრობლემა ამ ადამიანებთან მიმართებაში იყო ის, რომ ისინი ფლობდნენ სახელმწიფო საიდუმლოებებს და ამ შემთხვევაში სახელმწიფოს გააჩნდა განსაკუთრებული პასუხიმგებლობა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაკავდებოდნენ სხვა ტიპის სამუშაოთი, რაც გამოიწვევდა მათი ცოდნის ხარისხის, ასე ვთქვათ, მოძველებას, აღნიშნული პრობლემა მათ სასიკეთოდ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო.

პრეზიდენტი რეიგანი შეწუხებული იყო იმ ფაქტით, რომ საბჭოთა კავშირში ებრაელებს, არ ჰქონდათ საშუალება ეცხოვრათ რელიგიური ცხოვრებით, აკრძალული იყო ებრაული ენის სწავლება. ვინ იცის, იქნებ არც კი ეფიქრათ ემიგრაციაზე, მათ მიმართ მეტი ლმობიერება რომ გამოეჩინა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას.

გორბაჩოვმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებში მხოლოდ თეთრი და შავი ფერების წარმოჩენა არ მომხდარიყო. ზოგადი ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად საჭირო იყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რასაც თავისთავად მოჰყვებოდა კონკრეტული ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებაც. გორბაჩოვი მზად იყო გადაეწყვიტა მთელი რიგი მტკივნეული საკითხები, განსაკუთრებით კი პრეზიდენტის მიერ მოწოდებული საქმეები, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანის უფლებების დაცვა გამოყენებული იქნებოდა სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებისთვის, მსგავსი მცდელობების აღკვეთა ავტომატურად მოხდებოდა.

ჟენევის სამიტზე, პრობლემატურ საკითხებთან ერთად, ხაზი გაესვა აგრეთვე საერთო ინტერესებსა და სურვილებს. ორივე ქვეყანა მზად იყო ბირთვული შეიარაღების რაოდენობის შემცირებისთვის და იმედოვნებდა, რომ ერთ დღეს მსოფლიო სრულიად გათავისუფლდებოდა ამ ჭირისგან. სურვილი და მზადყოფნა იყო აგრეთვე

სტრატეგიული სტაბილურობის გაზრდის მიზნით მოლაპარაკებების უფრო მეტი ინტენსივობით გაგრძელებისა, რაც თავისმხრივ, შეამცირებდა საფრთხეებს თითოეული მხარესთან მიმართებაში.

პრეზიდენტი რეიგანი მიიჩნევდა, რომ სტრატეგიულ შეიარაღებაზე დაფუძნებული შეკავების პოლიტიკის მაგიერ, უფრო მეტი ყურადღება თავდაცვითი სისტემების განვითარებაზე უნდა გამახვილებულიყო. კვლევების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგებოდა მსჯელობა თავდაცვითი სისტემების დანერგვის შესახებ. განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენდა, ასევე, ორმხრივი ნდობის გაღრმავება შეიარაღების კონტროლთან დაკავშირებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებებისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესებამისად.

სტრატეგიული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო იყო, აგრეთვე, რეგიონული კონფლიქტების დასრულებაც. ამ საკითხთან მიმართებაში არსებობდა სხვადასხვა მიდგომები და ინტერესები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ლოკალურ კონფლიქტებთან მიმართებაში საჭიროება მოითხოვდა ორმხრივი კონსულტაციების უფრო მეტი ინტენსივობით წარმოებას. აშშ-ს აქტიური ჩართულობა აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში, გორბაჩოვის განმარტებით, არა მარტო აზარალებდა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს, არამედ საერთაშორისო დაძაბულობასაც უწყობდა ხელს. ვინაიდან, რეგიონული კონფლიქტების მოგვარება გარე ძალების ჩარევის გარეშე უნდა მომხდარიყო.

მოლაპარაკებათა დღის წესრიგში იდგა აგრეთვე სხვადასხვა ორმხრივი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელი იყო პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში. ორ მხარეს უნდა გაეღრმავებინა თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერების, სპორტის სფეროებში და ასევე ხელი უნდა შეწყობოდა ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებას.

რეიგანი გორბაჩოვთან გამართულ დისკუსიებს აფასებდა, როგორც ნაყოფიერ და კონსტრუქციულ დიალოგს. ის ფრიად მოხარული იყო, რომ მათ შეხვედრას გაგრძელება მოჰყვებოდა და მოუთმენლად ელოდა გორბაჩოვის ვიზიტს აშშ-ში 1986 წელს და ასევე მის ვიზიტს მოსკოვში 1987 წელს. ჟენევის სამიტის წარმატების ხარისხს განსაზღვრავდა მომავალი თვეები და წლები [7].

ორდღიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, რეიგანი და გორბაჩოვი შეთანხმდნენ, რომ ბირთვული და კოსმოსური შეია-

რაღების შესახებ მოლაპარაკებები უნდა გაძლიერებულიყო 1985 წლის 8 იანვარს გაკეთებული ორმხრივი განცხადების საფუძველზე, რაც გულისხმობდა გამალებული შეიარაღების შეჩერებას დედამიწაზე და მის თავიდან აცილებას კოსმოსში. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, პირველ ნაბიჯად მოიაზრებოდა შეტევითი ბირთვული იარაღის შემცირება 50%-ით, კონკრეტული კატეგორიების მიხედვით, თანაბარი პირობების გათვალისწინებით. ამასთან ერთად, თუკი არც ერთი მხარე არ წამოიწყებდა კოსმოსში გამალებული შეიარაღების გაჩაღებას, საბჭოთა კავშირი მზად იყო მომდევნო ნაბიჯები გადაედგა ბირთვული იარაღის შემცირების კუთხით. ასევე დაიდებოდა ცალკე შუალედური შეთანხმება სახმელეთო, საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების სისტემების შემცირებასა და შეზღუდვაზე, რაც აღნიშნული კლასის რაკეტების ტოტალური განადგურების წინაპირობა იქნებოდა. ზემოაღნიშნული პროცესების ეფექტური კონტროლისთვის, შეიარაღების შეზღუდვის პარალელურად, გაგრძელდებოდა მოლაპარაკებები ამ მიმართულებით, რაც შესაბამისად აისახებოდა დადებულ ხელშეკრულებებში.

ომისა და მშვიდობის საკითხი სამიტის ცენტრალური თემა გახლდათ როგორც პლენარულ შეხვედრებზე, ასევე კერძო საუბრებში. ბირთვული იარაღის რაოდენობა, გამალებული შეიარაღების შეჩერება და განიარაღება გახლდათ ძალზედ მტკივნეული საკითხები, რაც არა მარტო ორი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობას აშფოთებდა. სამწუხაროდ პოზიციათა თანხვედრა ამ მიმართულებით ვერ მოხერხდა. ერთადერთი რაც მოხერხდა იყო საკითხების დეტალური განხილვა და პოზიციების ურთიერთგაცვლა, პრობლემის გადაჭრის სამომავლო მცდელობების პერსპექტივით. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის კუთხით, რეიგანმა და გორბაჩოვმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზადყოფნა მომხდარიყო ქიმიური იარაღის სრული აკრძალვა და საცავების განადგურება. მათ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ამოქმედებულიყო ეფექტური და კონტროლს დაქვემდებარებული საერთაშორისო კონვენცია აღნიშნულ პრობლემაზე.

გორბაჩოვმა და რეიაგანმა ხაზი გაუსვეს აგრეთვე დიალოგის პროცესის გაღრმავების აუცილებლობას სხვადასხვა დონეზე: სახელმწიფოს ლიდერების, საგარეო საქმეთა მინისტრების, სხვადასხვა სამინისტროებისა თუ სააგენტოების ხელმძღვანელების დონეზე.

მიღწეულ იქნა ერთობლივი შეთანხმება აშშ-ს, საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ჩრდილოეთ წყნარი ოკეანის საჰაერო გზების უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით.

გადაწყდა ერთდროულად გახსნილიყო საკონსულოები კიევსა და ნიუ-იორკში.

გარემოს დაცვის კუთხით, გადაწყდა ერთობლივი კვლევების წარმოება და პრაქტიკული ზომების გატარება აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული შეთანხმების მიხედვით. კონსულტაციები თანამშრომლობის კონკრეტულ პროგრამებზე გაიმართებოდა მომდევნო წელს მოსკოვსა და ვაშინგტონში.

შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ მიღწეულ იქნა სამეცნიერო, სამედიცინო და სპორტულ სფეროებში და მომდევნო შეხვედრისთვის დიგეგმა უკვე კონკრეტული პროგრამების განხილვა. შულცმა და შევარდნაძემ ხელი მოაწერეს ახალ გაცვლით პროგრამას კულტურის დარგში.

ხაზი გაესვა თერმობირთვულ კვლევებზე მუშაობის პოტენციურ მნიშვნელობასაც, რაც მიმართული იყო მშვიდობიანი მიზნებისთვის კონტროლირებადი თერმობირთვული სინთეზის გამოყენებისკენ [5].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Anatoly Dobrynin, In Confidence: Moscow's Ambassador to America's Six Cold War Presidents United States of America, 1995.
2. Anderei Grachev, Gorbachev's Gamble; Soviet Foreign Policy and the End of the Cold WarUnited States of America, 2008.
3. Pavel Palazchenko, My years with Gorbachev and Shevardnadze; The Memoir of a Soviet Interpreter United States of America, 1997.
4. რონალდ რეიგანი, ამერიკული ცხოვრება, ავტობიოგრაფია, თბილისი, 2011.
5. Едуард Шеварднадзе, Мой Выбор в зашиту демократии и свободы, Москва, 1991.
6. Ronald Reagan Presidential Library, WH Staff Member and Office Files Matlock Jeck F JR files, series III: US-USSR Summits Shultz-Shevarindnadze Mtg in NY 09/25/1985 – Geneva Files, A,6 Talking Points, Box 45.
7. Ronald Reagan Presidential Library, WH Staff Member and Office Files Matlock Jeck F JR files, series III: US-USSR Summits, Geneva Meeting: Arrangements, logistics etc.Briefing Book.Pres. Reagan's Visit to Geneva, Box 49.
8. Ronald Reagan Presidential Library, WH Staff Member and Office Files,

Matlock Jeck F JR files, series III: US-USSR Summits, Geneva Meeting: Mtg Memorandum / Presidential Mtg with Shevardnadze – Geneva Meeting, Presidential Activities Preceeding Geneva Meeting, Box 52.

Tamar darchia
Doctoral student of the Georgian Technikal University

The U.S. - Soviet Bilateral Talks at Geneva Summit

Summary

On November 19, 1985, U.S. president Ronald Reagan and Soviet General Secretary Mikhail Gorbachev met for the first time, in Geneva, to hold talks on international diplomatic relations and the arms race. Gorbachev later said „We viewed the Geneva meeting realistically, without grand expectations, yet we hoped to lay the foundations for a serious dialogue in the future. They talked about the U.S. Strategic Defense Initiative, which troubled Gorbachev. They acknowledged the suspicion between both countries, the importance of developing trust, and the course ahead.

They agreed to work for a 50 percent reduction in nuclear arms, the elimination of intermediate-range missiles in Europe, and more cultural and diplomatic exchanges. Above all, they gained each-other's respect.

ირინა არაბიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი როდოსის სრულიადმართლმადიდებელთა თათბირზე (1961-1964 წწ.)

სრულიადმართლმადიდებელთა როდოსის თათბირი 1961-1964 წლებში კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო საპატრიარქოს ორგანიზებით სამჯერ შეიკრიბა. მის მიზანს წარმოადგენდა სრულიად მართლმადიდებელთა კრებისწინა თათბირზე განსახილველი საკითხების ნუსხის შემუშავება და ქრისტიანულ სამყაროსთან მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების განსაზღვრა [1, 12].

როდოსის თათბირებს ეკლესიების მეთაურები არ ესწრებოდნენ. I თათბირში 1961 წლის 24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, კონსტანტინოპოლის ეკლესიის გარდა მონაწილეობდნენ: ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიების წარმომადგენლები. ასევე ძველაღმოსავლური ეკლესიების – კოპტების, ეთიოპიელების, სომხების, სირიელ იაკობიტთა, მალაბარელთა დელეგაციები.

ანგლიკანური, ძველკათოლიკური ეკლესიებისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლები თათბირს დამკვირვებლების სტატუსით ესწრებოდნენ. 6 დელეგატი ჰყავდა კათოლიკურ პრესას [1, 13-14].

ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კრებაზე ავტოკეფალური ეკლესიები მიწვეულნი იყვნენ სამ-სამი წარმომადგენლით. როგორც ჩანს, ამ რიცხვის გაზრდა შესაძლებელი იყო, რადგან ზოგიერთი ეკლესიის წარმომადგენელთა რიცხვი ხუთ-ექვსსაც შეადგენდა [1, 13]. ავტონომიური ეკლესიებიდან მიწვეული იყო ორ-ორი დე-

ლეგატი. საქართველოს ეკლესია ამ უკანასკნელთა რიცხვში იყო ჩათვლილი.

1961 წლის 2 სექტემბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ეს წერდა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიათა თათბირისათვის მზადების პერიოდში აღმოჩნდა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ცნობილი არ იყო [2, 1].

პატრიარქმა ალექსიმ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს გამოუგზავნა კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილი წერილების ასლები.

რუსეთის პატრიარქი საქართველოს ეკლესიის შესახებ მსოფლიო პატრიარქს შემდეგ ინფორმაციას აწვდიდა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ძველი ეკლესიების რიცხვს მიეკუთვნება. დაარსებულია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. არსებობის დასაწყისში ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. V ს-ში, ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის კათედრისაგან დამოუკიდებლობა მიიღო... შემდგომში, მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველოს ეკლესია იმართებოდა კათოლიკოს-პატრიარქების მიერ, რომლებსაც საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება ირჩევდა. 1783 წელს მეფე ერეკლეს მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს ეკლესია შევიდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში საეგზარქოსოს საწყისებზე. 1917 წლიდან საქართველოს ეკლესიამ ისევ მოიპოვა დამოუკიდებლობა...“ და ამის შემდეგ მას ლოცვით-კანონიკური ურთიერთობა სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთანაც ჰქონდა. რუსეთის პატრიარქი მსოფლიო პატრიარქს წერდა, რომ აღნიშნული ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებულ გაუგებრობას ნათელს მოჰფენდა [2, 2, 4].

ცნობაში, როგორც ვხედავთ, რუსეთისადმი საქართველოსა და მისი ეკლესიის დაქვემდებარება ნებაყოფლობით აქტადაა წარმოჩენილი, მაგრამ, ამჯერად, ჩვენ ამ ინფორმაციის სხვა მხარე გავინტერესებს.

რუსეთის პატრიარქი საქართველოს ეკლესიის ადრინდელ (V-XVIII სს.) ავტოკეფალიას აღიარებს და 1917 წელს რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის ბატონობისაგან საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებასაც უკანონო ქმედებად არ მიიჩნევს. მაშინ, როცა რუსეთის სინოდი და პატრიარქი ტიხონი (1917-1925) 1917 წელს ქარ-

თველების მიერ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უკანონობად აცხადებდნენ. ამის გამო რუსეთის ეკლესიამ ლოცვით-ევქარისტული კავშირიც კი გაწყვიტა საქართველოს ეკლესიასთან.

დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე, 1932-1952 წწ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ რუსეთის ეკლესიის „ხათრით" აღმოსავლეთის ეკლესიები საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ [3, 103, 104-105].

1943 წელს რუსეთის ეკლესიასთან კავშირი განახლდა, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირობებში საქართველოს ეკლესიას საერთაშორისო ასპარეზზე უფლებების სრულად აღდგენის საშუალება არ მიეცა. აღმოსავლეთის ეკლესიებთან მისი კავშირი ძალიან ეპიზოდური ხასიათის იყო.

რუსეთის პატრიარქ ალექსის მცდელობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე დადებითად ვერ იმოქმედა. მსოფლიო პატრიარქი მას კვლავ ავტონომიურ ეკლესიათა რიგებში ათავსებდა. 1961 წელს როდოსის შეკრებაში საქართველოს ეკლესიას მონაწილეობა არ მიუღია.

კუნძულ როდოსზე შეკრებილმა ეკლესიებმა ამ წელს წინასაეკლესიო თათბირზე განსახილველი საკითხების ნუსხა შემდეგი სახით შეიმუშავეს: დოგმატის განმარტება მართლმადიდებლობის თვალსაზრისით; წმ. წერილი; ძველი აღთქმის წიგნების მნიშვნელობა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის; საღვთისმსახურო ტექსტების გადამუშავება; ეკლესიის ცხოვრებაში ხალხის რაც შეიძლება სრულად მონაწილეობა; მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურების გამარტივებისა და განვითარების გზების ძიება; ტრადიციული ბიზანტიური და საერთოდ, მართლმადიდებლური ხელოვნების (საეკლესიო მუსიკა, ხატწერა, არქიტექტურა, წმ. ჭურჭელი და სამოსელი და სხვა) შესწავლა და განვითარება; მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დასამტკიცებელი წმ. კანონებისა და კანონიკური წესების კოდიფიკაცია; საეკლესიო სამართალი და სამართალწარმოება; სასულიერო იერარქიის შესახებ; საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით მღვდელმთავართა არჩევის წესების შესწავლა; მონაზვნობისა და სამონასტრო ცხოვრების ძველი წესების აღდგენა; მარხვის დღეების განსაზღვრა თანამედროვეობის შესაბამისად; სასულიერო სასწავლებლები; ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი; ადგილობრივ ეკლესიათა სამართალწარმოების შესწავლა და ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის შეძლე-

ბისდაგვარად ერთნაირი პრაქტიკის შემოღება [1, 32-33].

მომავალი საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის დღის წესრიგში იყო აგრეთვე, სასულიერო პირთა გარეგნული სახის განსაზღვრა; საეკლესიო კალენდარი; საერო პირთა მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში; მართლმადიდებელ ეკლესიათა დამოკიდებულება ერთმანეთთან და მათი დამოკიდებულება მსოფლიო საპატრიარქოსთან; დიპტიქის, წმ. მირონის საკითხები; ეკლესიათა დამოუკიდებლობა და ავტონომია, მათი გამოცხადების პირობები; მართლმადიდებლობა და დიასპორა; მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა ქრისტიანულ სამყაროსთან, ძველაღმოსავლურ, კათოლიკურ, რეფორმისტულ ეკლესიებთან; მართლმადიდებლობასთან ახლომდგომი აღმსარებლობის წარმომადგენლებთან ერთობის მიღწევის გზების ძიება (განსაკუთრებით ეპისკოპალურ და ანგლიკანურ ეკლესიებთან); მართლმადიდებელი ეკლესია და ძველკათოლიკეები; მართლმადიდებლობა და ეკუმენური მოძრაობა (მსოფლიო პატრიარქის 1920 წ. ენციკლიკის შესაბამისად); მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ეკუმენური მოძრაობის მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში; მართლმადიდებელ ხალხებში ქრისტიანული კულტურის განვითარებისა და გავრცელების გზების ძიება. ადგილობრივ ეკლესიათა თანამშრომლობა ხალხთა შორის მშვიდობის, თავისუფლების, ძმობისა და სიყვარულის ქრისტიანული იდეის განხორციელების საქმეში [1, 33-36].

წმინდანთა თაყვანისცემის ერთიანი წესების დადგენა; სოციალური საკითხები, ეკლესიისა და ახალგაზრდობის ურთიერთობა, ქორწინება და ოჯახი, შობადობა, ხელოვნური განაყოფიერება, ბავშვების აღზრდა. მართლმადიდებლობის ამოცანები რასობრივი დისკრიმინაციისა და სწრაფი სოციალური ცვლილებების რაიონებში [1, 37].

საზოგადოებისადმი მიმართვის ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, როდოსის თათბირის მონაწილენი მართლმადიდებელი სამყაროს ერთიანობის შეგრძნებით და თავიანთი მუშაობით კმაყოფილნი იყვნენ. მათ ერთხმად დაამტკიცეს მომავალი საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე განსახილველ საკითხთა ნუსხა. მთელ კაცობრიობას მოუწოდეს მშვიდობისა და ერთიანობისაკენ [1, 38-39].

როდოსის II თათბირი 1963 წ. 26 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მონაწილეობდნენ: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის და ჩეხოსლოვაკიის ავტოკეფალური ეკლესიები [1, 41].

საქართველოს ეკლესია არც ამ თათბირს დასწრებია.

თათბირზე განსახილველ ძირითად საკითხს კათოლიკურ ეკლესიასთან მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის შესწავლა წარმოადგენდა. იმსჯელეს, გაეგზავნათ თუ არა წარმომადგენლები ვატიკანის II კრების II სესიაზე დასასწრებად და ასევე განიხილეს მსოფლიო პატრიარქის წინადადება კათოლიკურ ეკლესიასთან თანაბარ საწყისებზე დიალოგის დაწყების შესახებ.

ვატიკანის II კრებაზე დელეგატების გაგზავნას მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყოველ ეკლესიას თავისი აზრის მიხედვით ემოქმედა.

II საკითხი დადებითად გადაწყდა, დაადგინეს, რომაულ-კათოლიკური ეკლესიისათვის თანაბარ საწყისებზე დიალოგის დაწყება შეეთავაზებინათ [1, 43].

როდოსის III თათბირი 1964 წლის 1-17 ნოემბრამდე მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის და ფინეთის ეკლესიები [1, 45-46].

თათბირის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა გზების დასახვა მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის თანაბარ საწყისებზე საღვთისმეტყველო დიალოგის დასაწყებად; ასევე, ძველკათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებთან დიალოგის პირობების მომზადება [1, 54].

მართლმადიდებელი ეკლესიები ხაზს უსვამდნენ, რომ კათოლიკურ ეკლესიასთან მათი დიალოგი თანაბარ პირობებში უნდა განვითარებულიყო, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას რაიმე ვნება არ მიდგომოდა. ეს უნდა ყოფილიყო დიალოგი და არა მონოლოგი კათოლიკურ ეკლესიასთან მართლმადიდებელთა მისაერთებლად.

ამ შეკრებაზე საქართველოს ეკლესიას შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) წარმოადგენდა. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემის დავალებას როდოსის თათბირში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის სტატუსით მიეღო მონაწილეობა, შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია „ძალიან რთულ მორჩილებას“ უწოდებდა [4, 2].

მეუფე ილია როდოსის III თათბირის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემისადმი მოხსენებაში ძალიან დაწვრილებით აღწერს თავისი მისიის ყოველ დღეს. ჩვენ, ამჯერად, ყურადღებას საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობაზე გავამახვილებთ.

ჯერ კიდევ ათენში, კუნძულ როდოსზე ჩასვლამდე, აღმოჩნდა, რომ თათბირის პროგრამაში საქართველოს ეკლესიის შესახებ ცნობები საერთოდ არ იყო შეტანილი. ეპისკოპოსმა ილიამ საკითხის გასარკვევად თათბირის თავმჯდომარეს – კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენელს, მიტროპოლიტ მელიტონს მიმართა (თარჯიმნად ბრიუსელის მიტროპოლიტი ვასილი გაჰყვა). მეუფე მელიტონმა ეს გაუგებრობა იმით ახსნა, რომ საქართველოს ეკლესია არ ესწრებოდა როდოსის I და II თათბირებს და III თათბირშიც მისი მონაწილეობის შესახებ ორგანიზატორებისათვის წინასწარ ცნობილი არ იყო. მან ეპისკოპოს ილიას აღუთქვა, რომ ხარვეზს გამოასწორებდნენ. მიტროპოლიტ მელიტონის ცნობით, კონსტანტინოპოლის ეკლესია დიპტიქში საქართველოს ეკლესიას პოლონეთის ეკლესიის შემდეგ იხსენიებდა. აქედან გამომდინარე, თათბირის მსვლელობისას ხარვეზის გამოსწორება საქართველოს ეკლესიის XII ადგილზე განთავსებას გულისხმობდა (4, 3).

ეპისკოპოსმა ილიამ მიუთითა, რომ არსებობდა დადგენილი პრაქტიკა და დიპტიქი, სადაც საქართველოს ეკლესია VI ადგილზე მოიხსენიებოდა და მოუყვანა ცნობები ისტორიული დოკუმენტებიდან, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური XI ს. 10-ანი წწ. დასაწყისიდან უკვე კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა [4, 3].

მიტროპოლიტმა მელიტონმა აღნიშნა, რომ მას დიპტიქის შეცვლა არ შეეძლო, საპროტესტო წერილს კი მიიღებდა.

საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცრობის ფონზე ეპისკოპოს ილიას თათბირში მონაწილეობის საკითხი დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტა. საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ ის იყო და რჩევას ვერავის კითხავდა.

თათბირში მონაწილეობაზე უარის თქმა, სხვა ეკლესიებისაგან საქართველოს ეკლესიის იზოლაციას კიდევ უფრო გააღრმავებდა. ამასთან, შეიძლებოდა კონსტანტინოპოლის დელეგაციას საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგო კომპანია გაეჩაღებინა. აღნიშნული უარყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით, მეუფე ილიამ გადაწყვიტა, თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიეღო და დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილთან დაკავშირებით საპროტესტო განცხადება დაეწერა.

1 ნოემბერს, საღამოს უკვე კუნძულ როდოსზე, ხარების ტაძარში შედგა საზეიმო სხდომა. საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის სახელით წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში ეპისკოპოსმა ილიამ ისაუბრა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე

საქართველოს ეკლესიის მტკიცედ დგომის შესახებ [4, 2, 5].

თათბირის რეგულარული სხდომები 2 ნოემბერს დაიწყო. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ მუშაობა ბერძნულ, არაბულ და რუსულ ენებზე წარმოებდა [4, 2].

მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელმა მოითხოვა მართლმადიდებელ ეკლესიებს მსოფლიო პატრიარქი მართლმადიდებლობის სახელით რომის პაპისათვის დიალოგის შეთავაზების უფლებით აღეჭურვათ.

წინადადებას დაეთანხმდნენ: ალექსანდრიის, იერუსალიმის, კვიპროსის, ელადისა და ფინეთის ეკლესიათა წარმომადგენლები. საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს: ანტიოქიის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიებმა [4, 5].

სანამ დღის წესრიგის საკითხებს შეეხებოდა, ეპისკოპოსმა ილიამ პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს ეკლესია როდოსის თათბირზე არ იყო მიწვეული დიპტიქში თავისი – VI ადგილის შესაბამისად.

მეუფე ილიამ განაცხადა ისიც, რომ საქართველოს ეკლესიამ თათბირში მონაწილეობა მხოლოდ მართლმადიდებელთა ერთიანობის ინტერესების გათვალისწინებით მიიღო. მაგრამ თუ საქართველოს ეკლესიის უფლებათა იგნორირება შემდეგშიც გაგრძელდებოდა, მსგავს ღონისძიებებში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა სათუო გახდებოდა [4, 6-7].

კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში საქართველოს ეკლესიისათვის მინიჭებული XII ადგილის გამო გამოთქმული პროტესტი როდოსის III თათბირის თავმჯდომარეს წერილობითაც გადაეცა. მასში მოკლედ იყო აღნიშნული საქართველოს ეკლესიის ისტორია, რომ აქ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მილანის ედიქტის გამოცემის (313 წ.) ახლო ხანებში გამოცხადდა და ახლადჩამოყალიბებული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს დაექვემდებარა; დამოუკიდებლობა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაში მოიპოვა. რომ მისი ავტოკეფალიის შესახებ წერს ბერძენი კანონისტი თეოდორე ბალსამონი; რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური 1010 წლიდან კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებს, რომ 1811 წელს რუსეთის თვითმპყრობელობამ უკანონოდ შეაჩერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და 1917 წელს საქართველოს ეკლესიის კრებამ დამოუკიდებლობა აღადგინა [4, 6-7].

თათბირზე განსახილველ ძირითად საკითხთან დაკავშირებით

საქართველოს ეკლესია ეთანხმებოდა როდოსის II თათბირის დადგენილებას კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგის წარმოების საჭიროების შესახებ. მაგრამ თვლიდა, რომ ამ დიალოგისათვის მართლმადიდებლები განსაკუთრებულად უნდა მომზადებულიყვნენ. მათ უნდა სცოდნოდათ ვატიკანის II კრების (1962-1965 წწ.) გადაწყვეტილებანი და დიალოგის წარმოების საფუძვლად გამოეყენებინათ.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის აზრით, ასევე საჭირო იყო დიალოგის დაწყებამდე მართლმადიდებლებს ძირითად საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი აზრი უკვე შემუშავებული ჰქონოდათ. ამისათვის უნდა შექმნილიყო მართლმადიდებელთაშორისი კომისია, რომლის მუშაობის შედეგებსაც ადგილობრივი ეკლესიები განიხილავდნენ და დაამტკიცებდნენ.

რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების აზრი დიალოგის წარმოებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვეოდა [1, 57].

როდოსის III თათბირზე კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგის დაწყების შესახებ ერთიანი აზრი ვერ გამოიმუშავეს, გადაწყვიტეს, დიალოგის შეთავაზება მომავლისთვის გადაედოთ, რადგან „მისი დაწყებისათვის აუცილებელი პირობები ჯერ არ არსებობდა“ [4, 9].

ეპისკოპოს ილიას მოხსენების მიხედვით, ძველკათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებთან ურთიერთობის შესახებ III თათბირზე განსაკუთრებული მსჯელობა არ ყოფილა. მონაწილეებმა დიალოგის შესაძლებლობა აღიარეს და შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო კომისიების შექმნა [4, 10].

16 ნოემბერს თათბირის ოფიციალური ნაწილი დამთავრდა.

ეპისკოპოს ილიას როდოსიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ეფრემ II-მ (1960-1972), ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა იგნორირების გამო, პროტესტით მსოფლიო პატრიარქსაც მიმართა [5, 259-263].

თუმცა ვითარება არც მომდევნო ხანებში შეცვლილა, ამიტომ საქართველოს ეკლესიას სრულიადმართლმადიდებელთა IV თათბირზე 1968 წელს წარმომადგენლები აღარ გაუგზავნია [6].

1980 წელს ელადის საეკლესიო კალენდარში საქართველოს ეკლესია ისევ მსოფლიო საპატრიარქოს შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ეკლესიათა რიგებში იყო მოხსენიებული. მისი მეთაურის ტიტულად მითითებული იყო სრულიად იბერიის კათოლიკოსი და არა – კათოლიკოს-პატრიარქი.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ილია II-მ ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს წერილობით

მიუთითა, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს ყოფილა მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ავტონომიური ერთეული. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ იგი ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა [7, 1-3].

საბერძნეთიდან გამოგზავნილ პასუხში აღნიშნული იყო, რომ ელადის ეკლესია იყენებდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში არსებულ დიპტიქს [8, 29].

1964 წელს დაწყებული საქმე უკვე კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 1990 წელს წარმატებით დააგვირგვინა. ამ წელს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებით მოიხსნა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტონომიურ ეკლესიათა შორის მოხსენიებისა, მაგრამ გადასაწყვეტია დიპტიქში მისი ადგილის საკითხი, რაც ისევ მომავლის საქმედ რჩება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Всеправославные совещания 1961-1968 гг., Материалы и документы, публиковавшиеся в „Журнале Московской Патриархии", Составитель профессор-протоиерей Владимир Сорокин, Санкт-Петербург, 2008.
2. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე № 2838.
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კ. ცინცაძის ფონდი, საქმე №102;
4. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, საქმე № 996 (დედანი დაცულია იქვე, აღწ. 1, საქმე 2901).
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანი, III, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008.
6. Константин Ефимович Скурат, История Православных Поместных Церквей, т. I, Москва, 1994.
7. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე № 4541.
8. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე № 8701.

Irina Arabidze
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi state University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research scientist of the Department of Modern and Contemporary History

Issue of the Autocephaly of the Georgian Church at the Meeting of All Orthodox in Rodos (1961-1964)

Summary

The meetings of all Orthodox in Rodos were held three times in 1961-1964. Their aim was to work out a list of issues and define the ways of relationship with the Christian world before the council of the Orthodox Church.

While preparing the first meeting, in the correspondence of the Patriarch of Russia Alexi and the Ecumenical Patriarch Athenagoras it became clear that the Ecumenical Patriarch had not information about the autocephaly of the Church of Georgia. Patriarch of Russia gave the Ecumenical Patriarch information where the old autocephaly of Georgia (the 5th – 18th centuries), which was restored in 1917, is acknowledged.

At the meetings of Rodos the Church of Georgia was named among autonomous churches. Representative of Georgia was not presented at the first and second meetings. At the third meeting, in 1964, bishop of Shemokmedi Ilia orally and in written form protested because the rights of the Church of Georgia were belittled. As the protest had not any results, the Church of Georgia did not participate at the following meeting. The problem was settled in 1990 when the Ecumenical Patriarch acknowledged the old autocephaly of the Church of Georgia, but to define its place in diptych is the matter of the future.

ნათია ლაცაბიძე

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

რომის კათოლიკურ ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის ისტორიიდან

საქართველოს ეკლესიის ქალკედონური აღმსარებლობა განსაზღვრავდა საქართველოს განსაკუთრებულ კულტურულ ურთიერთობას რომის აღმოსავლეთ იმპერიასთან (ბიზანტიასთან). მე-11 საუკუნის სქიზმის შემდეგ საქართველო აღმოსავლეთის მხარეს აღმოჩნდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. რომის ეკლესია მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეკლესია არ იყო სქიზმის ინიციატორთა შორის, არამედ იგი მხოლოდ მიუერთდა მას. საქართველოს ეკლესია პატივისცემით იყო განწყობილი რომის ეკლესიისადმი და ის არ ებმებოდა აქტიურ ანტილათინურ პოლემიკაში [1, 128]. რომის კათოლიკურ მისიას მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოსათვის განსაკუთრებულად მძიმე პერიოდში, გარკვეული წარმატება ჰქონდა საქართველოში. კათოლიკური ეკლესიის მისიონერებმა საქართველოში მოღვაწეობა XIII ს-ის შუა წლებიდან დაიწყეს. XVI-XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალზე რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა მისიონერებმა მოახერხეს ქართველთა მცირე ნაწილის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა. შემოდიოდნენ (სხვადასხვა დროს) ფრანცისკანელთა, თეატინელთა, კარმელიტთა, კაპუჩინთა და სხვა ორდენების წარმომადგენლები. მათი ენერგიული მოღვაწეობის შედეგად დაარსდა კათოლიკური ეკლესია საქართველოში, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებით იკაფავდა გზას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში ეკლესიებით (საკრებულოები), რომლებიც მათი ქადაგების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მე-19 საუკუნეში სომხებმა, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებაში თავიანთი მომხრეების მეშვეობით, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გამოაცემინეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართველი კათოლიკეები სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში უნდა გადასულიყვნენ, რაც,

თავის მხრივ, დავის საგანი გახდა. ეს დავა გაგრძელდა XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ II-მ წერილი გაუგზავნა რომის პაპს [2, 209]. უწმინდესი კირიონ II ესარჩლებოდა ქართველ კათოლიკეებს, რომელნიც რუსულ-სომხური პოლიტიკის გამო საკუთარ სამშობლოში იდევნებოდნენ. „ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელყოფს ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ხასიათს" [2, 209], – წერდა მისი უწმინდესობა. მართლმადიდებელი ქართველი პატრიარქი გამოესარჩლა რა კათოლიკური აღმსარებლობის ქართველებს, რომის პაპს მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზა.

საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ რომის მისიამ საქართველოში მოქმედება შეწყვიტა. პაპის რწმუნებული, კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ნატალე გაბრიელ მორიონდო იძულებული გახდა, 1921 წლის მარტში საქართველო დაეტოვებინა.

საქართველოსა და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიათა შორის ურთიერთობა 1917-1977 წლებში ეპისტოლარულ ფორმას არ გასცილებია. 1980 წლის 5-6 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც შეხვდა რომის პაპს. უწმინდესისა და უნეტარესის ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ ეს შეხვედრა ძალზე მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები [2].

ამავე ვიზიტის ფარგლებში გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერები დაეშვათ ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე სამუშაოდ. რომის პაპმა მის უწმნდესობას გადასცა ვატიკანის არქივებში დაცული იმ საბუთების მიკროფილმები, რომლებიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა. ეკლესიათა გაყოფის მიუხედავად, კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა ყოველთვის არსებობდა.

პოლონური წარმოშობის ახალმა პაპმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიის და სოციალისტური სისტემის რღვევის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო, კავკასიაში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო. 1992 წლიდან ვატიკანმა ცნო საქართველოს

დამოუკიდებლობა და რამდენიმე თვეში მოავლინა სრულუფლებიანი წარმომადგენელი – წმინდა საყდრის დესპანი. პირველ დესპანად დაინიშნა ფრანგი მღვდელი ჟან-პოლ გობელი. მას დესპანის უფლებებთან ერთად მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება. წმინდა საყდრის სადესპანო გახდა (რიგის მიხედვით) მეათე საელჩო დამოუკიდებელ საქართველოში. 1992 წლიდან აქტიურდება ახალი კატეხუმენალური საკრებულოების საქმიანობა. იქმნება მეორე საკრებულო. მათ დასახმარებლად იტალიიდან და მალტიდან ჩამოდის ორი ოჯახი. ისინი სახლდებიან თბილისში და ეხმარებიან მამა იანსა და მამა ადამს კატეხუმენალური საკრებულოების ფორმირებაში.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და პატრიარქის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის აეროპორტში რომის პაპთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეს ვიზიტი დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოსთვის, ისე მთლიანად კავკასიისთვის. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და რომის პაპმა იოანე პავლე II-მ შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია, მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რომის ეკლესიასა და საქართველოს მართმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში ვითარდება“ [3, 119-120].

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობისა, 2003 წლის 15 სექტემბერს ვატიკანმა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გვერდის ავლით მოინდომა ქართულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებული ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც 27 მუხლისგან შედგებოდა და საქართველოში კათოლიკური ეკლესიის უფლებების გაფართოებისაკენ იყო მიმართული. ვატიკანიდან ხელმოწერის ორგანიზებისათვის მოვლინებული იყო ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი, მთავარეპისკოპოსი ჟან ლუი ტორანი. ამ წამოწყებას წინ აღუდგა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია, ასევე გამოიწვია მოსახლეობის ფართო მასების პროტესტი, რის შემდეგაც

სახელმწიფო იძულებული გახდა მოლაპარაკებები ჩაეშალა. საპატრიარქოსა და საზოგადოების უკმაყოფილება ძირითადად ამ დოკუმენტის გასაიდუმლოებას მოჰყვა.

19 სექტემბერს მასობრივი საპროტესტო აქციებისა და საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად პრეზიდენტმა შევარდნაძემ უკანასკნელ მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა და უარი თქვა, ხელი მოეწერა ვატიკანთან სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებაზე, რომელსაც საქართველოში კათოლიკური ეკლესიის იურიდიული სტატუსი უნდა განესაზღვრა. შეიძლება ითქვას, ამ მოვლენამ გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ ორი ეკლესიის ურთიერთობაზე, გამგზავრების წინ რომის პაპის წარმომადგენელი მთავარეპისკოპოსი იმედგაცრუებული აღნიშნავდა, რომ „ამის გამო მთავარი დაზარალებული [საქართველოს] კათოლიკური საზოგადოებაა, რომელიც კვლავ იურიდიული სტატუსის გარეშე რჩება" [4]. 2003 წელს ვატიკანი მზად იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიისთვის ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქში ტაძარი გადაეცა. მაგრამ ეს პროცესი შეჩერდა წმ. საყდარსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის მომზადებული ხელშეკრულების გაფორმების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების მიზეზით. მიუხედავად ამ ფაქტისა, ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა დადებითად შეიძლება შეფასდეს. რომის კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებულად მფარველობს საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას (საკრებულოებს) სხვადასხვა დროს მათთვის ტაძრების დაბრუნების, დროებითი გაზიარების თუ უსასყიდლოდ გადაცემის თვალსაზრისით.

2010 წლის ნოემბერში, ქართული საკრებულოს წარმომადგენლებმაც ითხოვეს საკულტო ნაგებობის გამოყოფა, მილტონის ხეივანში მყოფი რუსებისაგან დამოუკიდებლად. თავდაპირველად მათ დროებით გადაეცათ ორი ადგილობრივი შენობა, ერთი ქალაქ ემპოლში და ერთიც ქალაქ ფლორენციაში, სტუდიოს ქუჩაზე, სადაც წირვას რომიდან ჩასული ქართველი მღვდელი უძღვებოდა. 2011 წლის იანვარში კი კავკასიის ამ ქვეყნიდან ჩამოსული მამა ანდრიას წყალობით მათ გადაეცათ ქ. ფლორენციის გულში მდებარე წმ. ელისაბედის სახელობის შუასაუკუნეობრივი ეკლესია. ასევე ფლორენციის ეპარქიამ შეუზღუდავი დროით და უანგაროდ გადასცა ემიგრანტების ახალ ქრისტიანულ საკრებულოებს წმიდა გიორგის, წმიდა ელისაბედის, წმიდა იაკობისა და წმიდა ბართოლომეოსის ოთხი კათოლიკური ეკლესია [5].

2011 წლის 29 მაისს ქართულ მართლმადიდებლურ სათვისტომოს ფლორენციაში, სერალის ქუჩაზე მდებარე უძველესი ტაძარი გადასცეს, რომლის ხელმეორე კურთხევაც მიტროპოლიტმა აბრაამ გარმელიამ აღასრულა. რომაული წესით აგებული ეს ტაძარი წმინდა ელისაბედის სახელობისა იყო. ამ დღიდან კი ის წმინდა ნინოს სახელობისაა, რომელშიც ქართულ ენაზე აღესრულება ღვთისმსახურება. პირველივე საზეიმო წირვას ესწრებოდა ფლორენციის საკათედრო ტაძრის დიაკონი, მამა ალესანდრო ბიკი, კურსიის ეკუმენური კომისიის წევრი და ქართულ საკრებულოსთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ქართველებისთვის ნაჩუქარ ხსენებულ ტაძარში მამა ანდრია ლაცაბიძე მსახურობს. რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ საქართველოში მოქმედი კათოლიკური საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასის" თბილისის საბავშვო კომპლექსს „თანხა შემოსწირა მართლმადიდებელი ეკლესიის ასაგებად, რათა მოზარდები საკუთარ რელიგიურ ტრადიციაზე აღიზარდონ" [5].

2014 წლის 13-16 სექტემბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ვატიკანის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, მთავარეპისკოპოსი დომინიკ მამბერტი სტუმრობდა, რომელმაც თავისი ვიზიტი 13 სექტემბერს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მონახულებით დაიწყო. 15 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და მთავაერპისკოპოს დომინიკ მამბერტს შორის შედგა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა საქართველო – წმიდა საყდრის ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი.

მიუხედავად ყველაფრისა მკაფიოდ შეიმჩნევა ორ ეკლესიას შორის ფარული დაპირისპირება, რაც, ძირითადად, კათოლიკურ ეკლესიათა გადაცემის და რესტავრაციის საკითხს ეხება. კათოლიკური თემი საპატრიარქოსგან ხუთი ტაძრის გადმოცემას მოითხოვს. ისინი სამხრეთ კავკასიის კათოლიკურ ადმინისტრაციას გასაბჭოებისას ჩამოართვეს და 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფომ საპატრიარქოს მიაკუთვნა, მანამდე კი მათი ბედი უცნობია. ტაძრები, რომელთაც სადავოდ მოიხსენიებენ ქუთაისში, გორში, ბათუმში, უდესა და ივლიტაში დგას. კათოლიკეებმა ვარდების რევოლუციამდე ქუთაისის კათოლიკური ტაძრის დასაბრუნებლად სასამართლოსაც მიმართეს. მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. საკულტო ნაგებობა კვლავ საპატრიარქოს დარჩა. რომის პაპის წარმომადგენლის თქმით, „სახელმწიფომ კათოლიკეთა საკულტო ნაგებობების პრობლემის მოგვარება ვერ შეძლო." მოხერხდა მხოლოდ ახალციხეში, რაბათის ისტორიულ უბანში მდგარი მეთვრამეტე საუკუნის

ეკლესიის ნანგრევების დაბრუნება. ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა – რაბათის ტაძარი არ იყო მართლმადიდებელთა საკუთრებაში და, ამასთან, იმ პერიოდში სახელმწიფოს ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება სჭირდებოდა. სამი ქვეყანა, რომელმაც აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა აღიარა, კათოლიკურია. საქართველოს პრეზიდენტი რაბათის ტაძრის გადაცემის შემდეგ ვატიკანში გაემგზავრა, იქიდან კი ლათინურ ამერიკაში გაფრინდა. რაბათის კათოლიკური ტაძრის გარშემო ბენედიქტელი დების მონასტერი გაიხსნა [6].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ევროპულ სივრცეში", შრომები, 2010.
2. სერგო ვარდოსანიძე, „საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917–1952 წლებში", თბილისი, 2001.
3. სერგო ვარდოსანიძე, „კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ილია II", თბილისი, 2008.
4. http://www.civil.ge/geo/–print.php?id=4826.
5. ჟურნალი: საბა, №6, №7, 2011.
6. http://www.tabula.ge/ge/story/62285-axali-xelisufleba-dzveli-katolikuri-tadzrebi.
7. მურმან პაპაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.
8. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

Natia Lacabidze

Doctoral Student at Tbilisi Technical University

From the History of Roman Catholic Church and Georgian Orthodox Church Relationship

Summary

Since the schism in 11th century, Georgia took the eastern side, although Georgian Orthodox Church had a special relationship to the

Roman Catholic Church. Catholic missionaries started their activities in our country in the middle of XIII century. In XVI-XVIII centuries the missionaries sent by Roman Pope were able to change religion to the small part of Georgian people occupied by Iran-Turkey. After the violent sovietization of Georgia the Roman's mission stopped its activities. Since 1992, the Vatican recognized the independence of Georgia and in a few months sent the Plenipotentiary Representative – St. nuncio. In 1999 the Pope visited Georgia. Nowadays there is a hidden conflict between the two Churches especially in transferring Catholic Churches and revitalization.

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ინგლისელი მოგზაურის არტურ კანინგეიმის ცნობები თბილისის შესახებ

შესავლის მაგიერ

ლონდონში სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკაში მუშაობისას შეგვხვდა 1872 წელს ლონდონში გამოცემული წიგნი – „მოგზაურობა აღმოსავლეთ კავკასიაში, კასპიისა და შავ ზღვებზე, განსაკუთრებით დაღესტანში და სპარსეთისა და თურქეთის საზღვრებზე 1871 წლის ზაფხულში", ავტორი გენერალ-ლეიტენანტი სერ არტურ თურლოვ კანინგეიმი („Travels in the Eastern Caucasus, on the Caspian and Black Seas, especially in Daghestan, and on the Frontiers of Persia and Turkey during the summer of 1871", London 1872, by Lieut.-Gen. Sir Arthur Thurlow Cunynghame).

სერ არტურ თურლოვ კანინგეიმი (1812-1884) ფართო გაქანების მოგზაური და ავტორია მრავალი წიგნისა, რომლებიც ეფუძნებოდა მის სამხედრო საქმიანობას და მოგზაურობებს ჩინეთში, ამერიკაში, კავკასიასა და სამხრეთ აფრიკაში. ის იყო პოლკოვნიკ სერ დევიდ კანინგეიმის და ლორდ-კანცლერ ედუარდ თურლოვის ქალიშვილის მარიას მეხუთე ვაჟი. იგი თანდათან იმაღლებდა სამხედრო კარიერას – 1830-1835 წწ. იყო ლეიტენანტი, 1845 წელს მაიორი, 1846 წელს ინფანტერიის ვიცე-პოლკოვნიკი; 1849 წელს ამერიკაშია, 1853 წელს ირლანდიაში. 1854 წელს ყირიმის ომისას ის გახდა პოლკოვნიკი. მონაწილეობდა ბრძოლებში ალმასთან, ბალაკლავასთან, ინკერმანთან, სევასტოპოლის ალყისას. 1855 წლის მარტში მიიღო გენერალ-მაიორობა და მაისში უმეთაურა თურქულ დივიზიას, რის გამოც დაიმსახურა თურქეთის სულთნის მადლობა და თურქეთის

გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

1874-78 წლებში სამხრეთ აფრიკაში მეთაურობდა სამხედრო ნაწილებს; იყო კეიპის კოლონიის გუბერნატორი. 1879 წელს გადადგა და დასახლდა ფულჰემში (ინგლისი).

1845 წელს იქორწინა ფელდმარშალ ვიკონტ ჰარდინგის ქალიშვილ ელიზაბეტზე, რომლისგანაც შეეძინა ორი ვაჟი და სამი ქალიშვილი. გარდაიცვალა 1884 წლის 1 აპრილს ადენში გემზე, როცა ბრუნდებოდა ინდოეთში მოგზაურობიდან.

კანინგეიმი საქართველოში იმყოფებოდა 1871 წელს დიდი მთავრის მიხეილის მმართველობისას. მან დაგვიტოვა საინტერესო აღწერილობა როგორც სხვადასხვა პუნქტების (მყინვარი, ბორჯომი, თბილისი, ბეთანია და ა.შ.), ასევე სახელმწიფო სამსახურში მყოფი პიროვნებების. ჩვენ ამჯერად ამოვკრიბეთ და ვთარგმნეთ ცნობები თბილისის შესახებ, რაც დაცულია კანინგეიმის ზემოაღნიშნულ წიგნში გვ.გვ. 255-267.

ტექსტი

ტფილისი ცნობილია როგორც ყველაზე ცხელი ქალაქი რუსეთის დომინიონებში. როცა ტფილისს ახსენებენ, აღნიშნავენ იქაურ ძლიერ სიცხეს. ამ წელსაც ვარაუდობდნენ, რომ ჩვეულებრივზე მაღალი ტემპერატურა იქნებოდა.

ტფილისში შესვლისთანავე გავემართეთ სასტუმრო „ევროპისკენ" [1] და დავიკავეთ ოთახები. აქ ჩვენ აღმოვჩნდით ევროპულ კომფორტსა და ფუფუნებაში, რომელიც დიდი ხანია არ განგვიცდია: ეს უფრო საგრძნობი იყო გადატანილი მძიმე მოგზაურობის შემდეგ. გაგვიკვირდა სასტუმროში რომ შევხვდით იმ ამხანაგებს, რომლებიც ადრე გავიცანით ყირიმში მოგზაურობისას. მათ კვლავ სცადეს შეძლებისდაგვარად ყველაფერში გაეწიათ თანადგომა. გენერალმა **ზედლინსკიმ**, რომელიც მეთაურობდა კავალერიის ბრიგადას, უდეპეშა ამიერკავკასიის არმიის მეთაურს, თავად **მირსკის** [2] და ასევე **ბარონ ნიკოლაის** [3] ჩვენი ჩამოსვლის შესახებ. მათ ჩვენ მაშინვე მიგვიპატიჟეს თავიანთ აგარაკებზე, რომლებიც ქალაქიდან დაშორებულია 12-14 მილით. ამგვარად ყურადღება და სტუმართმოყვარეობა იწყებდა გაგრძელებას კავკასიონის სამხრეთ მხარეშიც.

ქალაქი **ტფილისი** საკმაოდ ვრცელია და ლამაზადაა განლაგებული მაღალი მთების ძირას, მშვენიერი და ცნობილი მდინარის – მტკვრის ნაპირებზე. ის მდებარეობს შავი ზღვის დონიდან 500 ფუ-

ტის სიმაღლეზე. ზაფხულში ზედმეტად ცხელა შემოზღუდულობის გამო, რაც არ უშვებს მთებიდან ნიავს. ასევე ძალზე ცივა ზამთარში. ქალაქი განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობასა და უქონლობას, გარდა მდინარისა, რომელსაც საშინლად აბინძურებს ეს დიდი ქალაქი. ხორცი და პური არაა ჩვენსაზე ძვირი, მაგრამ ხარისხით უფრო დაბალია; ევროპული ფუფუნების საგნების და სხვა ყველანაირი საქონლის ფასები იმდენად მაღალია, რომ ცხოვრება ამ დედაქალაქში ისევე ძვირია, როგორც ლონდონსა თუ პარიზში.

ქალაქი დაყოფილია უბნებად, რომლებიც ხასიათით ყოველმხრივ განსხვავებულია. საუკეთესო ნაწილი დასახლებულია ქვეყნის მეპატრონე გაბატონებული რუსებით. ქალაქის ცენტრში დგას ოპერის დიდებული შენობა [4]; დიდ მოედანზეა [5] ევროპული მაღაზიები, სასტუმროები და ა. შ. იქიდან ძალზე ლამაზი ქუჩა გაუვლის დიდი მთავრის სასახლეს და მიდის ფოსტამდე. ამ ქუჩის ზემოთ არის მრავალი ლამაზად ნაშენი სახლი და საჯარო (სახელმწიფო) დაწესებულებები. მთავრის სასახლე [6] ლამაზი და დიდი შენობაა ქალაქის საუკეთესო ნაწილში. მასზე მიბმულია ვრცელი ბაღები. ყოველივე სრულიად შესაფერია იმ მაღალი მდგომარეობისა, რაც უკავია კავკასიის გენერალ-გუბერნატორს. **დიდი მთავრის** [7] ხელფასი შეადგენდა 70.000 ფუნტს წელიწადში. ეს ბევრია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ზედმეტი იმ საქმიანობისა და ხარჯებისთვის, რასაც მოითხოვდა მისი მაღალი მდგომარეობა და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი სტუმრიანობა. ამბობენ, რომ ის არის ძალზე დიდსულოვანი და მთელ ხელფასს ახარჯებს მმართველობას. ზამთრობით ხშირი სახალხო სანახაობები, ბალები და სადილები სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს. არავინ რჩება, რომ არ განიცადოს მისი ცნობილი სტუმართმოყვარეობა.

სასახლის გადაღმა დგას მუზეუმის შენობა [8]. კოლექციები უდიდეს კრედიტს აძლევენ ქვეყანას. მისი კურატორია დრ. **გუსტავ რადდე** [9]. მუზეუმი ძალზე მეცნიერულადაა მოწყობილი. კავკასიაში არსებული გარეული ცხოველების დაჯგუფება-დახარისხება საგანგებო ქებას იმსახურებს და კარგი იქნებოდა მიებაძათ მისთვის უფრო დიდ მუზეუმებს. დრ. რადდე არის მეტად ენერგიული და მიზანსწრაფული პროფესორი; ის არაჩვეულებრივად კარგად იცნობს ყოველივეს, რაც ამ ქვეყანას ეხება.

ტფილისში არის რამდენიმე კარგი ხიდი, განსაკუთრებით ერთი, თავად **ვორონცოვის** ძეგლთან ახლოს [10], იმ გზაზე, რომელსაც მივყევართ გერმანელთა უბანში [11]....

მეორე, ანუ გერმანული კვარტალი წარსულში დაფუძნდა თამამი მოახალშენე ხალხისთვის სამშენებლო პირობების შექმნით. მათი ყოფნა უზარმაზარ სარგებელს აძლევს რუსეთის პროგრესს. თავისი მდგომარეობით განკარგეს მათ თავისი ქონების მეტი წილი, გარდა სომეხი ბანკირების და სხვა მდიდარი ხალხისა.

არის აგრეთვე წმინდა სომხური კვარტალი, სადაც რუსების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, ისინი გამდიდრდნენ და აყვავდნენ საიმედო და ძლიერი მთავრობის ხელქვეით.

არის კიდევ ერთი უბანი, რომელშიც ყოველი სარწმუნოებისა და საქმიანობის ადამიანები უნდა იყვნენ თავმოყრილი – ებრაელები, სპარსელები და უცხო აღმოსავლელები.

ტფილისი უკვე ძალზე დიდი ქალაქია და ყოველწლიურად იზრდება. მისი მდებარეობა გლობუსზე ცენტრალურია; თუმცა ურთიერთობები არაა ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოყალიბებული, მაინც ცხადია, რომ თავის დროზე ცივილიზაციის სწრაფი მსვლელობით ტფილისი გახდება ამ კავშირების ცენტრი – არა მარტო ინდოეთში ჩვენი პოზიციების ჩრდილო ნაწილში, არამედ მდიდარ ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს ჰინდიკუშისა და ჰიმალაის ქედების ჩრდილოეთით. ეს თითქოს გიჟურ თეორიად ჩანს, მაგრამ მე ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა ნახონ ავღანთა და თურქმანთა ველურმა ტომებმა ცივილიზაციისა და კომერციის სარგებელი; ანდა, რატომ არ უნდა გადაკვეთონ რკინიგზებმა (კაცობრიობის ამ განმანათლებელმა) იქაური ვაკეები და ხეობები, როგორც ეს ხდება ევროპასა და ინდოეთში. ეს შესრულდება ევროპული მეგობრობით და არა შურიანი ომებით. მე შორს ვარ რუსოფობიის გაღვივების სურვილისგან, მაინც მიმაჩნია ამ ნაციის წინსვლა ცენტრალურ აზიაში, რაც დაეხმარება კაცობრიობას და, რა თქმა უნდა, არც თუ მცირედ ჩვენ საკუთარ ერს.

ქონების ფასი ამ ქალაქში იზრდება თვით ქალაქის მონაცემების შესაბამისად. სახლების და შენობების გადასახადი ორმაგია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. მთავრობის სიმყარემ შექმნა უსაფრთხოების ისეთი შეგრძნება, რომ დარწმუნებული ვარ კვადრატული იარდი (=91 სმ – გ. გ.) მიწა ქალაქში, თუკი ცოტა ხნის წინ ღირდა დაახლოებით სამი მანეთი, ახლა ხშირად იყიდება 100-ად. ბევრი საუკეთესო მაღაზია და დაწესებულება გერმანულია, საკმაოდ ბევრი ფრანგული; მაგრამ არცერთი ინგლისური ფირმა არ აღმოჩნდა თამამი, რომ ჩაბმულიყო ამ კონკურენციაში. ეს უფრო გასაკვირია, რადგან არის მოთხოვნილება მრავალ ინგლისურ საქონელზე, რომე-

ლიც შემოდის ამ ქალაქში. ეს მაფიქრებინებს, რომ გზა ხსნილია ჩვენი თანამემამულეებისთვის, რომელსაც სურს მიიღოს იქიდან სარგებელი. მ. ჰერვიუ (Hervieu) – ბ-ნ კოუტსების (Coutts) კორესპონდენტი, აპირებს დიდი ოდენობის ბიზნესის წარმოებას, უმეტესად საგანგებო პარიზული მოდური საქონლით. მათ მე მითხრეს, რომ ჩვენ ვიყავით პირველი ინგლისელები, რომლებმაც ამ წელს იმოგზაურეს კავკასიაში.

ტფილისი არ არის გამაგრებული. მის ჩრდილოეთ მხარეს არის ძალიან ვრცელი არსენალები, სადაც ინახება თითქმის ყველა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, აკაზმულობა (ცხენის – გ. გ.) და კავკასიაში დამზადებული ნაწილებისთვის საჭირო ფორმის ტანსაცმელი. იხმარება მხოლოდ ხის ნახშირი და არა ქვანახშირი. გასულ საუკუნეშიც ტფილისი ცნობილი იყო საუკეთესო თოფისწამლის წარმოებით.

ქალაქში არის რამდენიმე საინტერესო მაღაზია, რომლებსაც ძირითადად სომხები ფლობენ; ესაა მოხერხებულთა ჯგუფი, რომელიც განუწყვეტლივ სამჯერ გიხმობენ, სანამ ბოლოს არ დათანხმდებით რაიმეს წაღებაზე. ისინი ყიდიან ბევრ ძალიან ლამაზად ნაკეთ ვერცხლისა და ოქროს საგნებს; განსაკუთრებით ორნამენტირებულ ჩერქეზულ ქამრებს, რაც უდიდესი პატივით სარგებლობს რუსეთში; ასევე ყიდიან მცირე ნივთებს უამრავი რაოდენობით და იაფად.

მდინარე მტკვარი, რომელიც კვეთს ქალაქს, არის სწრაფი და ცნობილი მდინარე. ის სათავეს იღებს თურქეთის სასაზღვრო მთებში, არც თუ შორს ალექსანდროპოლის [12] ფორტისგან; ამბობენ, რომ მასში მრავლდება ძალზე კარგი დიდი ორაგული, რომელსაც იჭერენ გაზაფხულზე. მე მითხრეს, რომ ისინი შეიძლება თავისუფლად დაიჭირო ცოცხალი სატყუარათი და რომ საუკეთესო სათევზაო ადგილი იყო ქალაქიდან ზემოთ რამდენიმე მილის დაშორებით. უნდა ვაღიარო, რომ რაც მოვისმინე, არ მიმაჩნია სავსებით სარწმუნოდ.

ამ ქალაქის საზოგადო ფაეტონები არ სჯობია ევროპის სხვა ქალაქებისას. თუმცა ისინი კარგად და გემოვნებითაა დამზადებული და თითქმის საყოველთაოდ კარგ ცხენებშებმული. მეეტლეებს ისე აცვიათ, როგორც კერძო მოსამსახურეებს და გამოხატავენ ნდობას იმ მმართველისას, რომელიც განაგებს უწყებას.

მე მსურს საგანგებო ყურადღება მივაქცევინო უცხოელებს „საინსპექციო დეპარტამენტზე“, სადაც ძალზე მისაღებ ფასად შეიძლება შეიძინოთ ამ ქვეყნის ყველანაირი მასშტაბის რუკა. საოცა-

რია მათი სიზუსტე ქვეყნის მთიანობის გათვალისწინებით; მათი შესრულების დონე კარგ რეპუტაციას უქმნის არმიის ტოპოგრაფიულ დეპარტამენტს.

ქალაქი სასტიკად ღელავდა იმპერატორის მოსალოდნელი ვიზიტის [13] მოლოდინში. თუმცა გამოცხადებული გადაწყვეტილების შესრულებამდე სამი დღე რჩებოდა, იმდენად დიდი იყო მოკრძალება და პატივისცემა, რასაც მეფის ყოფნა გამოიწვევდა, რომ არაფერი გამორჩათ, რაც კი მას პატივს მიაგებდა. მოაწყეს 15.000 კაციანი ბანაკი. ამზადებდნენ სასახლეს, სადაც განთავსდებოდა სპარსეთის შაჰის ძმა, რომელიც გამოგზავნილი იყო, რათა იმპერატორისთვის პატივისცემა გამოეხატა. ქვეყნის ყველა გავლენიანი პირი მოწადინებული იყო დასწრებოდა ამ მოვლენას დედაქალაქში. სომხების პატრიარქი, ბერძნული და რომაული სამღვდელოების მეთაურები და ა. შ., ყველანი იქ უნდა ყოფილიყვნენ, რათა მისთვის პატივი ეცათ და თავი დაეხარათ.

ჩვენ პატივი მივაგეთ ამ მხარის გუბერნატორ **ორლოვსკის**. ის იყო სიკეთით სავსე, ძალზე მომგებიანად თავდაჭერილი. მან მოგვაწოდა ყოველგვარი ინფორმაცია სამხრეთისკენ და სპარსეთის საზღვრებისკენ მიმავალი მარშრუტების შესახებ, საითკენაც ახლა მივემართებოდით.

როგორც უკვე ავღნიშნე, დამპატიჟა გენერალმა, თავადმა **მირსკიმ**, ამიერკავკასიის რუსული არმიის სარდალმა თავის აგარაკზე კოჯორში. ჩვენ ორი დღით ვიქირავეთ კარგად გაწყობილი ოთხცხენიანი ფაეტონი; მასში და მეეტლეს მომსახურებაში გადავიხადეთ 16 მანეთი.

დილით პროვინციის გუბერნატორის, **ბარონ ნიკოლაის** (Nicolaef) ადიუტანტმა, ახალგაზრდა თავადმა **შარვაშიძემ** [14] შეგვატყობინა გუბერნატორის მიპატიჟება **ბეთანიაში**, მის ქალაქგარე რეზიდენციაში, რომელიც კოჯორიდან დაახლოებით 7 ვერსზეა.

გზა ტფილისიდან იყო უწყვეტი აღმართი, დაახლოებით 15 ვერსი... კოჯორი ძევს ტფილისზე 4.000 ფუტით მაღლა. მიუხედავად მანძილის სიმცირისა, კლიმატი საგრძნობლად განსხვავდება. კოჯორში ავედით პირველ საათზე და მაშინვე წარგვადგინეს თავად მირსკის ოჯახის ყველა წევრთან. ჩვენ თავი ინგლისურ ოჯახში გვეგონა, იმდენად ემსგავსებოდა ჩვენსას მათი მანერები და ჩვევები. თავად მირსკის ერთადერთი ვაჟი არის ძალზე სასიამოვნო და ჭკვიანი. ის და მისი დები ინგლისურს უნაკლოდ ფლობენ, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ფრანგული იყო საურთიერთო სალაპარაკო. ახლა რუ-

სეთის მმართველი წრეები თავის ოჯახებს შესაბამისად ინგლისურ პრინციპებს აზიარებენ ინგლისელი რეპეტიტორებისა და გუვერნანტკების მეშვეობით; მათ უგანეს ფრანგული აღზრდის სისტემას, რომელიც რამდენიმე წლის წინ ქვეყანაში მოდად იყო ქცეული...

გენერალი თავადი მირსკი აღმოჩნდა ძალიან ახალგაზრდა კაცი იმ მაღალი თანამდებობისთვის, რომელიც მას ეკავა 200.000 ჯარისკაცის მიმართ – ეს იყო მეორე პოზიცია **დიდი მთავრის მიხეილის** [7] შემდეგ. ადრე ის თავადმა **ვორონცოვმა** [10] თავის შტაბში აიყვანა და მონაწილეობდა **შამილის** [15] წინააღმდეგ მრავალ შეტაკებაში. თავისი ნიჭით, სასიამოვნო მანერებით, დიდი ტაქტიანობით ის სამართლიანად აღზევდა. მაგრამ მისი მაღალი თანამდებობის ხელფასი აღმოჩნდა ძალზე მცირე და შეუსაბამო მის ხარჯებთან შედარებით (წელიწადში 2.000 ფუნტი (?)...

ძალიან საინტერესო გამოდგა მსჯელობა კავკასიის მდგომარეობის შესახებ ჩვენი ომის[16] დროს რუსეთთან. მაშინ შამილი (1854) იყო ძლიერების ზენიტში...თურქები დამარცხდნენ ახალქალაქთან და ყარსთან...

მეორე დილას, საუზმის შემდეგ დავემშვიდობეთ მშვენიერ ოჯახს, რომელმაც უცხოელები ასე კეთილად მიგვიღო, და პარასკევ დღეს, 8 სექტემბერს გავემართეთ სტუმრად **ბარონ ნიკოლაისთან** ბეთანიაში... მამული მოიცავს დაახლოებით 1.500 აკრს, რომლის მეტი წილი ტყეს უკავია. მან აღადგინა ძველი ბაღები. იქ არის რამდენიმე საოცარი ძველი შენობა და ქართული ეკლესია; მასში ვხედავთ ქალის სკულპტურულ გამოსახულებას, რომელსაც თვლიან იმერეთისა და საქართველოს დედოფალ **„თამარ“**-ად (Kamora) [17]...

ბარონმა ნიკოლაიმ მოგვცა ყოველგვარი ინფორმაცია ქვეყნის, ასევე ერევნისკენ, არარატისკენ და ალექსანდროპოლისკენ მიმავალი გზების შესახებ. მან უდეპეშა და მისწერა ყველა იმ ადგილების მმართველებს, რომლებიც ჩვენ უნდა მოგვენახულებინა... შემდგომში ჩვენ აშკარად დავინახეთ, რომ ამ გზავნილებისა და დიდი მთავრის ბრძანების გარეშე ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შეგვხვდებოდა...

ორი დღის საინტერესო ექსკურსიის შემდეგ, საღამოს 7 საათზე დავეშვით სასტუმრო „ევროპა“-მდე. ეს სასტუმრო იყო საუკეთესო მას შემდეგ, რაც 21 ივნისს გამოვედით პეშტიდან [18]. აქ იყო ყოველგვარი კომფორტი, ზრდილობა, კარგი სამზარეულო ევროპული შტატით და ზომიერი ფასებით.

მცირე კომენტარები:

[1] სასტუმრო „ევროპა“ მდებარეობდა პუშკინის ქუჩის № 29-ში.

[2] დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი (1825-1899) გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი. იყო კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის ადიუტანტი. იბრძოდა ყირიმში; მონაწილეობდა ღუნიბის აღებაში. რუსეთის მიერ აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის მერე იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. 1864 წელს ჩავიდა სოხუმში რუსეთთან აფხაზეთის შეერთების საქმის მოსაგვარებლად. 1876 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის – დიდმთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის თანაშემწეა. თურქეთთან ომისას მონაწილეობდა ყარსის შტურმში. 1880 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრია. 1882 წლიდან ხარკოვის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი და გენერალ-გუბერნატორი. (სვიატოპოლკ-მირსკი თავადაზნაურული გვარია; მომდინარეობს ბრასლავსკის საერო მოსამართლის პან გრიგორი მირსკისგან – გარდ.1620 წ. მირსკების გვარი შეტანილია ვილენსკის, მინსკის და ხარკოვის გუბერნიათა თავადების საგვარეულო სიაში. იხილე ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 57, სანკტ-პეტერბურგი, 1902).

[3] ბარონი ნიკოლაი, ალექსანდრე პავლეს-ძე (1821-1899). დაამთავრა საიმპერატორო ცარსკოე-სელოს ლიცეუმი და მსახურობდა ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორებთან, შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვთან. გამოიჩინა თავი დარგოსა და დაღესტნის ექსპედიციების დროს. 1848 წელს დაინიშნა მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორად. 1852 წლიდან იყო ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. 1859 წელს მეფისნაცვლის საბჭოს წევრია. 1860 წლიდან ხელმძღვანელობს კავკასიასა და ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს. 1863 წლიდან – სენატორია და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, აგრეთვე საბატონო გლეხთა მომწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. 1875 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრია; 1881-82 წლებში – განათლების მინისტრი; 1884-1894 წლებში სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე. (ნიკოლაი ბარონთა გვარია, წარმოშობით შვედეთიდან. რუსეთის საღერბო დავთარში შეტანილია 1813 წელს – იხ. ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი, სანკტ-პეტერბურგი, 1897, ტ. 41).

[4] ავტორმა იხილა ერევნის (ახლანდელი თავისუფლების – გ.გ.) მოედანზე 1851 წელს არქიტექტორ სკუდიერის პროექტით აგებული რუსული თეატრისა და ოპერის მშვენიერი შენობა, რომელიც, სამწუხაროდ დაიწვა 1874 წელს. ახალი ოპერის შენობა, ე.წ. „სახაზინო თეატრი" (არქიტექტ. ვ. შრეტერი) არსებობს მხოლოდ 1896 წლიდანშენდებოდა 1880 წლიდან.

[5] იგულისხმება დღევანდელი თავისუფლების მოედანი.

[6] ეს გახლავთ 1865-1868 წლებში გადაკეთებულ-გაფართოებული მთავარმართებლის სასახლე (იგივე ყოფილი პიონერთა სასახლე).

[7] მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1832-1909); დიდი მთავარი, ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი. გენერალ-ფელდმარშალი. კავკასიის მეფისნაცვალი, არმიისა და სამხედრო ოლქის სარდალი 1862-1881 წლებში; თურქეთთან ომის დროს 1877-78 წლებში – კავკასიის არმიის მთავარსარდალი.

[8] კავკასიის მუზეუმი დაარსდა 1852 წელს, როგორც სამხარეთმცოდნეო დაწესებულება რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან. 1853 წელს არჩეული მუზეუმის დირექციის თავმჯდომარეა ა. პ. ნიკოლაი. 1864 წელს ის დაიხურა. აღდგენილ იქნა 1865 წელს გუსტავ რადდეს ინიციატივით. საზეიმოდ გაიხსნა 1867 წლის 2 იანვარს. 1869 წელს მუზეუმის დირექციას დაექვემდებარა საჯარო ბიბლიოთეკა. შენობის ავარიულობის გამო დაიხურა 1911 წელს, მაგრამ იქვე დაიწყო ახლის შენება. ამრიგად დაარსდა 1919 წელს საქართველოს მუზეუმი კავკასიის მუზეუმის ბაზაზე, რომელსაც 1947 წელს მიენიჭა სიმონ ჯანაშიას სახელი.

[9] გუსტავ ივანეს ძე რადდე (1831-1903 თბილისი) ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი და გეოგრაფი. 1867 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. 1864-1866 წლებში მოგზაურობის დროს მოპოვებული ექსპონატები მუზეუმს შემატა. მან ბევრი იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და დაგვიტოვა მათი აღწერილობა (სამეგრელო, სვანეთი და სხვა).

[10] მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856) პირველი მეფისნაცვალი საქართველოში 1844-1854 წლებში. მისი ბრინჯაოს ქანდაკება გაიხსნა თბილისში 1867 წლის 25 მარტს დღევანდელი საარბრიუკენის მოედანზე, იმ ხიდის გადაღმა, რომელიც ააგეს 1851 წელს (არქიტექტორი სკუდიერი) და ცნობილი იყო ვორონცოვის სახელით.

[11] საქართველოში გერმანელთა გადმოსახლების იდეა წამოა-

ყენა მთავარმართებელმა ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვმა (1816-1827). პირველი კოლონია დაფუძნდა მდ. იორზე და ეწოდა მარიენ-ფელდი. ახალი მოზღვავება მოხდა 1818 წლის სექტემბერ-ნოემბერ-ში. თბილისიდან სამ ვერსზე სოფელ კუკიასთან დაარსდა კოლონია ნოი-ტიფლისი (ახალი ტფილისი). შემდეგ ის გაფართოვდა ყოფილი მიხეილის, ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირისკენ და 1852 წელს შეუერთდა ქალაქს.

[12] ალექსანდროპოლი ერქვა 1924 წლამდე ქ. ლენინაკანს. ესაა რუსების მიერ 1837 წელს აგებული ციხე-სიმაგრე, რომელიც იცავდა ყარსიდან ტფილისისკენ მიმავალ პირდაპირ გზას, ძველი გუმრის ადგილას. ახლაც გუმრია.

[13] იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II (1818-1881), ნი-კოლოზ I-ის უფროსი შვილი.

[14] ეს გახლავთ გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე (1847-1918). 1869 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოდის თბილისში სახელმწიფო სამსახურში: ხდება ტიტულარული მრჩეველი და საგანგებო დავალებათა მოხელე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსთან – ბარონ ნიკოლაისთან. მან შე-ირთო ნიკოლაისა და სოფიო ჭავჭავაძის ასული მარიამი (მაკა) და გახდა მათი სიძე.

[15] შამილი (1797-1871) – კავკასიელი მთიელების დამოუკი-დებლობისათვის რუსეთის ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთაური (1834-1859), მთიელთა იმამი.

[16] იგულისხმება ყირიმის ომი (1853-1856). 1854 წლის 9 თე-ბერვალს რუსეთმა ომი გამოუცხადა ინგლისსა და საფრანგეთს თურქეთისთვის მხარდაჭერის გამო.

[17] ბეთანიის ტაძარში დაცულია გიორგი III-ის, თამარის და ლაშა გიორგის პორტრეტები. როგორც ვარაუდობენ, მოხატულობა შესრულებული უნდა იყოს 1207 წელს.

[18] პეშტი – უნგრეთის ქალაქი. მისი ამჟამინდელი დედაქალა-ქის ბუდაპეშტის ნაწილი. ერთ ქალაქად გაერთიანდნენ 1872 წელს.

Gia Gelashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior-scientist researcher of the Department Modern and Contemporary History of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

English Traveller Arthur Thurlow Cunynghame about Tbilisi

Summary

The description of Tilisi given by foreign travellers is of great importance. It gives us an opportunity to watch the evolution of the city. One of these persons is Arthur Thurlow Cunynghame (1812-1884), army officer and an extensive traveller and the author of several books based on his military services and travels. He visited Georgia in 1871. The outcome of his journey is the work – „Travels in the Eastern Caucasus, on the Caspian and Black Seas...during the summer of 1871" (London, 1872).

We translated suitable material from Cunynghame's work, where he describes the conditions of Tbilisi, its economic state, its parts, merchandize, museum. He familiarizes us also with noble persons – Emperor's vicegerent in Caucasus Michael Romanow, Baron Nicolai, general Mirsky, Gustav Radde etc.

დოდო ჭუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ხათუნა ქოქრაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველო, ბუნებრია, პირველი მსოფლიო ომის თანამონაწილე გახდა. კავკასიის ფრონტზე ამიერკავკასია მოწინააღმდეგე მხარეებისთვის რჩებოდა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად. ომის განმავლობაში საომარი მოქმედებები წარიმართა საქართველოს კუთვნილ და ძირძველ ისტორიულ ტერიტორიებზე, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, იმერხევში, კოლა-არტაანსა და ოლთისში.

კავკასიის ფრონტზე მოქმედ არმიაში დიდი რაოდენობით ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი იბრძოდა. პირველი მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე საბრძოლველად საქართველოდან 320 ათასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი გაიწვიეს. სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით ეს მაჩვენებელი მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის 14 %-ს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის პროცენტული თანაფარდობის მიხედვით ქართველებმა ორჯერ მეტი ჯარისკაცი მისცეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტებს, ვიდრე მთელმა რუსეთმა.

კავკასიის ფრონტზეც, ისევე როგორც სხვაგან, გამოჩნდა ქართველი მეომრების სიმამაცე. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების გამჭრიახობამ, ნიჭმა, მამაცობამ არაერთ საბრძოლო ოპერა-

ციაში იჩინა თავი. მათი თანამონაწილეობით კავკასიის არმიამ შეძლო არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების დროებით განთავისუფლებაც. განსაკუთრებულად გამოვლინდა ქართველი გენერლებისა და ოფიცრების მხედართმთავრული ნიჭი;

აღნიშნული ომის შედეგად დაემხო ოთხი იმპერია: გერმანიის, რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის. პირველი მსოფლიო ომის შედეგი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა, რასაც ქართველი ხალხის 117 წლის თავდადებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა უძღოდა წინ.

ომის მიერ მიყენებულ უამრავ ტკივილთაგან გამორჩეულია „მოღალატე აჭარლების" წინააღმდეგ რუსეთის არმიისა და პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ გამართული სადამსჯელო კამპანია. ქართველმა ერმა, მისმა საუკეთესო ნაწილმა ყველაფერი გააკეთა „ღალატში"დადანაშაულებულ, საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი და ლტოლვილებად ქცეული აჭარელი ძმების დასახმარებლად. ქვემოთ მოტანილი პირველი დოკუმენტი კარგად ასახავს იმ ისტორიულ რეალობას, რაც ამ მოვლენასთან დაკავშირებით მოხდა.

რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, მასში ქართველი ტყვეების ერთი ნაწილის გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნების პროცესია ასახული. საინტერესოა, რომ ტყვე ქართველებთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. როგორც წყაროდან ირკვევა, ამ პროცესში მას მონაწილეობა მოუღია. ის აირჩიეს ტყვეთა და სამოქალაქო პირთა სპეციალური წარმომადგენლობითი კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც გემით მგზავრობისას ადმინისტრაციული საკითხები უნდა ემართა და ეკონტროლებინა. დოკუმენტში გადმოცემული მგზავრობის დეტალები კარგად ასახავს ომის შემდგომი გერმანია-საქართველოს ურთერთობასაც.

დოკუმენტი I. [1] **რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატ აკაკი ჩხენკელისადმი აჭარლებისა და ბათუმისა** [2] **და ყარსის** [3] **ოლქების სხვა მუსულმანთა დამცველი ჯგუფის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი** (თარგმნილია რუსულიდან).

„ბათუმის ოლქის ფარგლებში წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში ადგილობრივმა სამხედრო ხელისუფლებამ გამოავლინა სრული დაბნეულობა და გაუთვითცნობიერებლობა, რის გამოც თურქებმა სწრაფი შეტევით ორი დღის განმავლობაში დაიკავეს

თითქმის მთელი ოლქი. ამ დროს ჩვენმა ჯარებმა, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობის გაუწევლად, დაიხიეს ბათუმის მთებისკენ, რომელიც გამაგრებულია მიხეილის ციხე-სიმაგრით [4]. ამ რაიონის სარდალმა, გენერალ-მაიორმა გოლშინმა, ვერ გაითვალისწინა რა თურქთა თავდასხმა, არათუ არაფერი გააკეთა რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის საშველად, არამედ განკარგულებაც კი გასცა ციხე-სიმაგრის რაიონიდან ძალადობრივი გზით იქ მცხოვრები ყველა აჭარელი, – მუსულმანი ქართველები, თურქული ჯარის მიერ დაკავებულ მხარეს განედევნათ. ამასთან, ამ მუსულმანების სახლები და ქონება მათსავე თვალწინ იქნა გადაცემული გასაძარცვად და გადასაწვავად, თავად ისინი, მათ შორის ქალებიც, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მათი მხრიდან, ათასგვარი ძალადობის და შეურაცხყოფის მსხვერპლნი შეიქმნენ. ამავე დროს, ბათუმისკენ მიმავალი ჯარის კვალდაკვალ მიდიოდნენ ბედის ანაბრად მიტოვებული ადმინისტრაციის ჩინოვნიკები და ქრისტიანი სომხები – ქალაქ ართვინის [5] მცხოვრებნი. ყველამ მშვიდობიანად მიაღწია ბათუმს და სასამართლო პროცესების დროს ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ადასტურებდნენ ადგილობრივ მუსულმანთა – თანაგრძნობის გამომხატველ, ამაღელვებელ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

ასეთია ამ ავბედითი პროცესების წინაისტორია.

მეორე პერიოდს წარმოადგენს ჩვენი ჯარების შეტევაზე გადასვლა ბათუმისა და ყარსის ოლქების ფარგლებში (ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი, სარიყამიშის ბრძოლის [6] დროიდან მოყოლებული, ასევე დაკავებული იყო თურქების მიერ). ეს პერიოდი, ამ ოლქების მოსახლეობისათვის, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში თურქების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, დიდ უბედურებად იქცა. ჩვენივე ჯარი, რომელიც შედგებოდა თურქესტანიდან, იმიერბაიკალიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული სხვადასხვა ნაწილებისაგან, რომლებიც ნაკლებად იცნობდნენ ადგილობრივი ცხოვრების პირობებს, ხელისუფლებისა და სომხების დამოკიდებულებას მუსულმანების მიმართ, თურქეთსა და თურქების მიერ ოკუპირებულ ჩვენ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქრისტიანთა ხვედრს, სასტიკად უსწორდებოდნენ საბრძოლო შეტევისას გზაზე შეხვედრილ ჩვენ მუსულმან მოსახლეობას.

ძნელია აღწერა ყველა იმ სისატიკის, ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის სურათის, რომლის მსხვერპლიც გახდა აჭარელი მოსახლეობა (აგრეთვე ყარსის მუსულმანი მოსახლეობა). რუსული ჯა-

რის უკუშეტევისას სასტიკმა, დაუმსახურებელმა გასწორებამ, პანიკაში მყოფი მოსახლეობა აიძულა გაქცეულიყო და თავი მთებისა და ტყეებისათვის შეეფარებინა, სადაც შიმშილით იხოცებოდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იყო შემთხვევები, როცა ძაღლები საკუთარი პატრონების გვამით იკვებებოდნენ, ქალები ჩვილ ბავშვებს თოვლში აგდებდნენ, გაყინვით სიკვდილისთვის გამეტებულებს. იმ ქალებზე, რომლებიც გაქცევას ვერ მოასწრებდნენ, ჯერ ძალადობდნენ, შემდეგ კი ხოცავდნენ. ყარსის ოლქში ქალთა საკონცენტრაციო ბანაკებიც კი შეიქმნა, სადაც მათზე ძალადობა ყოველდღიურად ხდებოდა. როგორც აჭარელ, ისე ყარსელ მუსულმანთა მთელი ქონება გაძარცვეს, სახლები დაანგრიეს. აჭარაში, მაგალითად, სპილენძის ერთი ჭურჭელიც კი არ დარჩა. მთელი მუსულმანური მოსახლეობა ეჭვმიტანილი გახდა და მასობრივი დახვრეტების მსხვერპლად იქცა. ეს ყველაფერი კი ხდებოდა გეგმაზომიერად, შეგნებულად, როგორც გარკვეული გეგმის შედეგი, რომელსაც განუხრელად ატარებდა სამხედრო ხელისუფლება. სახელმწიფო სათათბიროს წევრის, აკაკი ჩხენკელის მცდელობებმა, დახმარებოდა მოსახლეობას და საზოგადოების რამდენიმე ფენაში ატეხილმა განგაშმა მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ ხელისუფლება გაღიზიანდა. აი, ამ ხელისუფლებამ, ადგილობრივი ადმინისტრაციის თავდებობის მიუხედავად, დაიწყო აჭარლების და ყარსის მუსულმანთა დადანაშაულება სომეხთა ხოცვა-ჟლეტაში, სომხების მუსულმანთა წინააღმდეგ გაქეზება, საჩივრების შემოსატანად და საპასუხო ძალდობის ჩასადენად. და აი, ასეთ პირობებში შეიქმნა პროსკრიპციული [7] (იმ პირთა სია ძველ რომში, რომლებიც სახალხოდ იყვნენ გამოცხადებულნი კანონგარეშედ პოლიტიკური საქმიანობისთვის) სიები, დაახლოებით 3 000 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებდნენ.

რამდენიმე ნეიტრალური მოწმის ჩვენებით, რომლებიც სრულ ნდობას იმსახურებენ, შემდეგ კი გამოძიების ობიექტური მონაცემებით (ამ პროცესში წანასწარი ძიება არ ყოფილა) დადგინდა, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე თურქების მიმართ ბათუმის და ყარსის ოლქების მუსულმანური მოსახლეობა სრულიად ლოიალური იყო. გენერალ პოროშინის, შემდეგ კი ბრწყინვალე თავადის, გალიცინის გამოძიების მიხედვით, რაც დეპუტატ აკ. ჩხენკელისა და მთავრსარდლის შტაბის დაჟინებით მოხდა, დადგინდა, რომ მუსულმანური მოსახლეობის მხრიდან მასობრივ ღალატს ადგილი არ ჰქონია. საყურადღებოა, რომ მეფე ნიკოლოზ II-ც კი, თავის დეპეშაში ვორონცოვ-

დაშკოვის სახელზე, აჭარის მოსახლეობაში მომხდარს მოიხსენიებდა არა ღალატად, არამედ „უბედურებად". იმავე მონაცემებით დგინდება, რომ არავითარ მტრულ გამოსვლებს ადმინიტრაციულ ჩინოვნიკთა და სამხედროთა წინააღმდეგ, საომარი მოქმედებების დაწყებამდე ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ადმინისტრაციის თითქმის ყველა ჩინოვნიკი ადასტურებდა, რომ ბევრი მოხალისე მუსულმანი აგენტი აძლევდნენ მათ ღირებულ და სანდო, როგორც შემდეგ გაირკვა, ინფორმაციას თურქული ჯარის განლაგების შესახებ. საზღვრისპირა მოსახლეობა, თურქთა თავდასხმის შიშით, მუდმივად ითხოვდა ქვეყნის სიღრმეში გადმოსახლებას, ჯარების მობილიზაციის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა ყველა მოვალეობას ზუსტად ასრულებდა, სატელეგრაფო ხაზის დაცვა მოსახლეობის რაზმების მიერ ხორციელდებოდა ზედმიწევნით, ჯარის ბათუმის ოლქიდან გასვლის მომენტამდე, თურქების ქალაქ ართვინზე თავდასხმის წინაც კი, კერძოდ, 1914 წლის 3-4 ნოემბერს, ამ მოსახლეობის მიერ შეძენილი იქნა დიდი ღირებულების სახაზინო მიწის ნაკვეთები, თანხა სრულად იქნა გადახდილი და ყველა ფინანსური მოვალეობა მოსახლეობის მიერ უსიტყვოდ იქნა შესრულებული. თურქთა ჯარების თავდასხმის დროს დადგენილია თურქთა ტყვეობიდან რუსი სტრაჟნიკის [8], კასიანოვის გათავისუფლების ფაქტი, აგრეთვე მუსულმანთა მიერ გაწეული დახმარება ჩვენი ჯარებისათვის დათოვლილი უღელტეხილებისა და გზების უფასოდ გაწმენდის სახით. ჯარმა უსაფრთხოდ დაიხია უკან ზემო აჭარის მცხოვრებთა დახმარებით.

ყველა აღწერილი დეტალი თითქოსდა უნდა გამორიცხავდეს სასამართლო პროცესს აჭარლებისა და ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანთა მიმართ სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით, მაგრამ ამ საქმისადმი შექმნილი განწყობის გამო, მთავრობაში წინ წამოიწია ამ რეგიონის სომეხი მოსახლეობის საკითხმა, იმის გათვალისწინებით, რაც ამ მოსახლეობას გადახდა. ამ რაიონში თურქული ჯარისა და ეთნიკური ბანდების ოთხთვიანი ყოფნისას მიმდინარეობდა სომეხთა ხოცვა-ჟლეტა. საქმის მონაცემებით უნდა დავასკვნათ, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა დაიწყო თურქეთის ჯარის უკანდახევისას ოლქის ფარგლებიდან, როდესაც ბრძოლისუნარიანი სომეხი ახალგაზრდობა ცდილობდა გაპარულიყო თურქების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან და დახმარებოდა შეტევაზე გადასულ ჩვენ ჯარებს – ამ მკვლელობებს თან ახლდა ძარცვა-გლეჯა და ძალადობა ქალებსა და ცალკეულ პიროვნებებზე. სომეხთა ეკლესიები დარბეულ იქნა. ყველა ამ საშინელებას სომხებში საპასუხო გაბოროტება

უნდა წარმოეშვა ზოგადად მთელი მუსულმანობის მიმართ. ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, ნოყიერი ნიადაგი იყო სხვადასხვა პროვოკაციებისა და ბნელი ძალების საქმიანობისათვის, რომლებსაც ყოველთვის მოსწონდათ მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე გაქეზება, განსაკუთრებით მუსულმანების სომხებზე და პირიქით. ამის ნათელი დასტურია სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის ისტორია. ჩატარდა გამოძიება, მიკერძოებული სამხედრო-სასამართლო ნაწილის მეთაურის, გენარალ მაკულსკის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად სამსახურიდან დათხოვნილია, არღვევდნენ ძიების ჩატარებისას დადგენილ ყველაზე ელემენტარული წესებსაც კი და ყველგან ავლენდნენ მიკერძოებულობას და წინასწარგანწყობას მუსულმანთა წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე, გაღატაკებულმა და შემდგომში მთელი ამ სისასტიკისგან გაბოროტებულმა სომეხმა მოსახლეობამ, რა თქმა უნდა, შური ადგილობრივ მუსულმანებზე იძია. ზემოთქმულის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიტანოთ შემთხვევა, როდესაც არტანუჯის პროცესში, რომელზეც 49 ადამიანს ედებოდა ბრალი, ნეიტრალური მოწმის, ფელდფებელ [9] პოპოვის ჩვენებით დადგინდა, რომ დაპატიმრებული მუსულმანები ამოცნობამდე არტანუჯის მოედანზე გამოჰყავდათ, შემდეგ კი მორეკავდნენ სომხებს და აიძულებდნენ მათ ამა თუ იმ პირების ამოცნობას. ასეთ პროვოკაციულ ხერხებს ძიების წარმოებისას არაერთგზის მიმართავდნენ. ასე ესმოდა მათი როლი ამ საქმეში დეპუტატ ჩხენკელს, რომლის ენერგიული გამოსვლების წყალობით, როგორც სახელმწიფო სათათბიროს, ისე უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანი მოსახლეობა საბოლოო დარბევას გადაურჩა. ასე ესმოდათ მათი როლი საზოგადოებას და ადმინისტრაციის რამდენიმე მიუკერძოებელ ჩინოვნიკს.

საკმარისია გავიხსენოთ სომეხ-თურქთა ისტორიული დამოკიდებულება, რომ მაშინვე დავრწმუნდეთ, რომ საცოდავ სომეხთა ხოცვა-ჟლეტა თურქთა უკანდახევის დროს მოხდა თურქი ჩეტნიკების [10] მიერ. რატომ უნდა ჩაედინათ ეს ჩვენ მუსულმანებს და არა თურქულ ბანდებს, ისიც იმ მომენტში, როდესაც ჩვენი ჯარების ძლევამოსილ შეტევაში ეჭვი არ ეპარებოდათ არა მარტო სომხებს, არამედ მუსულმანებსაც, აუხსნელია როგორც ძიების მონაცემებით, ისე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. სხვაგვარად როგორ შეიძლება ახსნა, მაგალითად, იმავე საქმეში არსებული ამაღელვებელი შემთხვევის ამბავი, რომელიც მთლიანად სომხებით დასახლებულ დაბა ფხიკიურში [11] მოხდა, სადაც ჩვენმა მუსულმანებ-

მა თურქ ჩეტნიკებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სომხების დამცირების მცდელობის გამო და სადაც ამავე მუსულმანებმა ეს სომხები და მათი ქონება საღსალამათი და ხელუხლებელი გადაარჩინეს. ბოლოსდაბოლოს, უცნაური არ არის, რომ ჩვენი ჯარის ბათუმის ოლქში შესვლის პირველი ორი კვირის განმავლობაში, სომხები, ნეიტრალური მოწმეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვენებების თანახმად, იცავდნენ ადგილობრივ მუსულმანებს და ხელისუფლებას უდასტურებდნენ მათ კეთილსაიმედოობას და მხოლოდ გენერალ მაკულსკის კომისიისა და ათასგვარი ბნელი ძალების გამოჩენის შემდეგ უკლებლივ ყველა ადგილობრივი მუსულმანი ძარცვასა და მათ მიმართ ძალადობაში დაადანაშაულეს. ეს ყველაფერი ნათელ მაგალითს წარმოადგენს გენერალ მაკულსკის საგამოძიებო კომისიის ზოგიერთი წევრის დანაშაულებრივი როლისა, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, ფორმალურ პროცესუალურ დარღვევებს უშვებდნენ როგორც ძიების პროცესში, ისე სასამართლო დადგენილებებში. კერძოდ:

1. აზრობრივს, სამხედრო სასამართლოს დადგენილების 342-ე გვერდზე და ამავე დებულების პროექტის III განყოფილების 1350-ე გვერდზე. ძიების მწარმოებელი, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ცვლის სამხედრო გამომძიებელს, ვალდებული იყო დაეცვა სამხედრო გამომძიებლის მოქმედებათა მარეგულირებელი კანონები.

ამასთან, მოცემულ საქმეში, ძიების მწარმოებლები დაშორდნენ კანონის ნორმებს და დანაშაულის ძიების საქმეში ახდენდნენ კანონმდებელთა ყველა ნების იგნორირებას, რაც ხელს უშლიდა სასამართლოს – სწორად განესაჯა ამა თუ იმ პირთა დამნაშავეობა ჩადენილ სისხლის სამართლის საქმეებში.

2. ბევრ განსასჯელს ბრალად დებდნენ მკვლელობასა და ძარცვას, მაშინ, როდესაც ამ დანაშაულთა შედეგად დაზარალებული პირები სრულიად ნათლად და გარკვეულად მიუთითებდნენ მათთვის მოპარულ საგნებს და იმ ადგილებს, სადაც მათი მოკლული ნათესავები იყვნენ დამარხული. სასამართლომ დაადგინა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო საგამოძიებო მოქმედებების სრული არაობიექტურობის შემთხვევები მკვლელობებისა და ძალადობათა ძიების პროცესში. არაობიექტურობა დაშვებული იყო ბოროტმოქმედების ადგილის დათვალიერებისა და ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო შემოწმებებისას, მოკლულ სომეხთა საერთო საფლავების შესწავლისას ექსპერტთა საშუალებით, ამ საფ-

ლავებიდან ამოღებული გვამების გაკვეთის, მათი პიროვნებების, წარმოშობისა და ეროვნებების დადგენის პროცესში და სხვ.

ამ ყველაფერთან ერთად, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სამხედრო სასამართლო ქარტიის 445-450-ე მუხლების ისეთი არსებითი დარღვევა, რომელიც, დიდი სურვილის მიუხედავად, აფერხებს მკვლელობების და ძარცვის არაერთი ბრალდების ობიექტური გამოძიების ყოველგვარ შესაძლებლობას.

ასეთ პირობებში ამ დანაშაულების შესახებ ჩატარებული ყველა განხილვა იძულებულია დაემყაროს დაზარალებულთა ცარიელ სიტყვას.

რამდენად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ დაზარალებულთა განცხადებებს, დანაშაულებრივ მოვლენათა ობიექტური გამოძიების არ არსებობის შემთხვევაში, იმითაც შეიძლება განვსაჯოთ, რომ დაღუპულ სომეხთა საერთო საფლავებზე ჯვარი და ღობეები გაჩნდა მხოლოდ თვენახევრის შემდეგ რუსის ჯარის გამოჩენიდან და ისიც მაშინ, როდესაც სამხედრო გუბერნატორმა უსაყვედურა მათ ახლობლებს წამებულთა საფლავების მიმართ უყურადღებობა.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იწვევდა ადვოკატთა ეჭვებს და ბუნებრივად უბიძგებდა მათ გამოეკვლიათ ამ საფლავების შიგთავსი, რაოდენობა მათში დამარხული სომხებისა, რომელთა მკვლელობაშიც ადანაშაულებდნენ განსასჯელებს.

ასეთი გამოკვლევისა და ნივთმტკიცებათა არარსებობა, ახლაც ბადებს კითხვებს, ჰქონდა კი ადგილი ამ დანაშაულებრივ შემთხვევებს?

3) გამოძიება წინამდებარე საქმეზე, რომლის საფუძველზეც ყველა მსჯავრდებულს წაყენებული აქვს ბრალდება სახელმწიფოს ღალატში, სისხლის სამართლის 103-ე მუხლით, ანუ მოქალაქისთვის ყველაზე საშინელ დანაშაულში, დარღვეულია სასამართლო ქარტიის 514, 515 და 518 მუხლები, რასაც ადასტურებს ბრალდებულთა ახსნა-განმარტებები და თვით საქმის წარმოება.

1. ბრალდებულებს არ წარედგინათ საგამოძიებო მოქმედება, როგორც ეს არის მოთხოვნილი სამხედრო სასამართლო ქარტიის 514-ე მუხლით;

2. ამავე ქარტიის 515-ე მუხლის მიუხედავად, ბრალდებულებს არ მიეცათ შესაძლებლობა მიეთითებინათ რაიმე ახალ გარემოებებზე და საერთოდ, დაეპირისპირებინათ რაიმე მათ მიმართ წაყენებული დანაშაულისადმი;

3. გამოძიებასთან დაკავშირებული ქაღალდები, შეიკრა და აიკინძა არა მათი წარმოების ადგილზე, თავად ძიების განმხორციე-

ლებელთა მიმართ, არამედ ქალაქ თბილისში, იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც მასში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ეს საქმეები დაბეჭდილია კავკასიის არმიის სამხედრო სასამართლო ნაწილის მთავარსარდლის ბეჭდით.

ძიების მწარმოებელთა ასეთი მოქმედებები წარმოადგენს სამხედრო სასამართლო ქარტიის 518-ე მუხლით გათვალისწინებული წესის პირდაპირ დარღვევას.

არსებითად, ეს აუფასურებს მთელ კვლევას და საფუძველშივე სპობს მისი შემსრულებლების მიმართ ნდობას, ბრალდებულებს კი ართმევს დოკუმენტების დაცულობის და საგამოძიებო მასალების ხელშეუხებლობის კანონის მიერ მათთვის მინიჭებულ გარანტიას, დოკუმენტებისა, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავენ არა მხოლოდ ბრალდებულის დანაშაულის მამხილებელ, არამედ მის გამამართლებელ მონაცემებსაც.

4) სასამართლო მოკვლევაზე არაერთი სომეხი მოწმის ჩვენებით დგინდება, რომ უმეტეს ბრალდებულთა ჩხრეკას და ნივთმტკიცებათა ამოღებას ისინი თავად აწარმოებდნენ, ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე და ასეთი გზით მოპოვებული მონაცემები ედო საფუძვლად ქურდობის, ძარცვის და დარბევის ამა თუ იმ კონკრეტულ ბრალდებას. თავად გამომძიებლები ჩხრეკას არ ატარებდნენ და, შესაბამისად, საქმის ეს მხარე, არ იყო სამხედრო სასამართლო ქარტიის 425-444-ე მუხლების შესაბამისად მოწყობილი.

5) მოკვლევის მწარმოებლებმა, რომელთა ხელშიც არის აქამდე ძიების მთელი მონაცემები, სომეხ მოწმეთა ჩვენებებში ვერსად იპოვეს მითითება ბრალდებულებზე, როგორც საქარის ქედზე მომხდარი ბრძოლების მონაწილეებზე. ამ გარემოების დადგენა აუცილებლად უნდა მოხდეს ოფიციალურად არმიის შტაბისგან: 1)ნამდვილად ჰქონდათ თუ არა ბრძოლები ამ ადგილებში ჩვენ ჯარებს ადგილობრივ ჩეტნიკებთან ან თურქეთის რეგულარულ ან არარეგულარულ არმიასთან და 2) დროის რა მონაკვეთში, რა რიცხვებში და როგორ პირობებში მიმდინარეობდა ეს ბრძოლები.

საქმეში ასეთი მონაცემების არარსებობა ხელს უშლიდა სომეხთა განცხადებების ჭეშმარიტების დადგენას, მით უფრო, რომ მიდამოს ტოპოგრაფია – საქარის უღელტეხილის (Сахаринский перевал) დიდი მანძილი ოკრობა-ქედიდან (Окроба-кеть), უდავოდ აჩენს ეჭვს სომეხ მოწმეთა იმ განცხადებების სიმართლეში, რომ თითქოს მათ სროლის ხმა ესმოდათ და ზოგიერთ შემთხვევაში ბრძოლის ველსაც კი ხედავდნენ.

ასეთ პირობებში, წინასწარი მოკვლევის ეს არსებითი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად შეიძლებოდა გამოსწორებულიყო საქარის ქედისა და ართვინის ოლქის სოფელ სვეტის უშუალო დათვალიერების მონაცემებით, მაგრამ ამ მიმართებითაც მოკვლევის მწარმოებლებმა, შემდეგ კი სასამართლომ მოახდინეს სამხედრო სასამართლო ქარტიის 365-ე სტატიაში მითითებული დანაშაულის ადგილის დათვალიერების წესის იგნორირება.

6. დაცვის მხარისათვის სრულიად გაუგებარი იყო, მოკვლევის ნორმალურად წარმართვის შემთხვევაში, როგორ შეიძლებოდა განსასჯელის სკამზე აღმოჩენილიყო ავადმყოფი და დაუძლურებული მოხუცი სალაჰ ჰუსეინ-ოღლი. იგი, როგორც სასამართლო თვალნათლივ დარწმუნდა, დაჩაჩანაკებული და უძლური ბერიკაცია, რომელსაც სხვის დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია. მისნაირ ბრალდებულთა არსებობა (თავად ის სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გარდაიცვალა) განსასჯელთა შორის, კიდევ ერთხელ, გვარწმუნებს, რომ მოცემულ საქმეში უგულვებელყოფილი იყო დანაშაულის გამოძიების ყველაზე ძირითადი წესები, ამასთან, ასეთ აშკარა შემთხვევებშიც კი, არ არსებობდა ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების დასკვნა.

7. სასამართლო მოკვლევით დადგენილია, რომ, ბევრ შემთხვევაში, ძიების მონაცემები უარყოფილი იქნა ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით და ეს ეხებოდა ისეთ გარემოებებსა და ფაქტებს, რომლებიც, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო სცოდნოდათ მოკვლევაზე დაკითხულ პირებს. აქვე, შეუძლებელია არ გაითვალისწინო თარჯიმანთა დანაშაულებრივი როლი. ესენი არიან: აპეტიანი, კარკარიანი, მელქონიანი და პარომაქსიზოვი, რომლებიც ვითომდა მოწმეთა ჩვენებების თარგმანის სახით, მოკვლევის მწარმოებლებს აწვდიდნენ საკუთარი განსჯის ნაყოფს. დასახელებულ თარჯიმანთაგან პირველი, – აპეტიანი, როგორც პოლკოვნიკ პოსტორგუევის ჩვენებამ გამოავლინა (გვ. 79), ჯერ კიდევ ომამდე ახდენდა ხოლმე ადგილობრივი მუსულმანების პროვოცირებას და საერთოდ, მათ მიმართ საეჭვოდ იყო განწყობილი; მეორე თარჯიმანიც, კარკარიანი, დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდა, რადგან მას დედა და ძმა მოუკლეს.

საქმეში დამტკიცებული არ არის არათუ განსასჯელთა მონაწილეობა მათთვის დაბრალებულ დანაშაულში, არამედ თვით ის ფაქტიც, ეს დანაშაულები ნამდვილად იქნა ჩადენილი თუ არა.

ამ საქმეებზე არსებულ ყველა საბრალდებო აქტში, მოკვლევის

ასეთი სახით დაყენებაში გამოსჭვივის აშკარა შეუთავსებლობა საბრალდებო აქტის ისტორიულ ნაწილსა და ბრალდების ფორმულირებაში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის 3-108 სტატიებთან შეუსაბამობა.

თავად ბრალდების ფორმულირებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 3-108-ე მუხლების მიხედვით, ყველგან მითითებულია, რომ ბრალდებულები მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში, მაგრამ რომელში, სად და როდის, თითქმის არცერთ შემთხვევაში მითითებული არ არის, რადგან ეს მონაცემები არც მოკვლევაში არსებობდა. სრულიად გასაგებია, რომ ასეთი ბრალდება, რომელიც შემოზღუდული არ არის არც სივრცით, არც დროით, საშუალებას არ იძლევა მას თუნდაც მოწმის ჩვენება დაუპირისპირო. უმრავლეს შემთხვევაში და სხვა, სისხლის სამართლის ზოგად დანაშაულებში, რომლებიც წარმოიქმნა სახელმწიფო ღალატის ბრალდების დანაშაულის კვალდაკვალ, ასევე არ არის მითითებული მათი ჩადენის ზუსტი დრო.

ამ ფორმალურ საფუძვლებზე აიგო მთელი დაცვა. ყველა ამ არსებითი დარღვევის მიხედვით, დაცვის მიერ დროულად კეთდებოდა როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი განცხადებები, მაგრამ ყოველგვარი წარმატების გარეშე, რაც სამხედრო სასამართლოებში საქმეების უკიდურესად არანორმალურად დაყენების შედეგი იყო, რომლის შემადგენლობაშიც წინასწარგანზრახულად იყვნენ შეყვანილი ტენდენციური და უკიდურესი მრწამსის მატარებელი პიროვნებები. საქმეში დაცვის მხარის ორწლიანი მონაწილეობის განმავლობაში, მისი როლი ყველაზე უმწეო იყო, მდგომარეობა კი ყველაზე შეურაცხმყოფელი, როგორიც შეიძლება ახსოვდეს რუსეთის სისხლის სამართლის პროცესების ისტორიას. დაცვა მუდმივად ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლების გამოყენებას მოცემულ საქმეში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, იმდენად, რამდენადაც საქმეში არ არსებობდა პირობები, რომლებიც ამ მუხლების და ასევე სარედაქციო კომისიის ჟურნალის შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლოს მისცემდნენ საფუძველს ასეთი მძიმე ბრალდება აეგო. დაცვა განუწყვეტლივ მიუთითებდა სასამართლოს, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში განვითარებული მოვლენები, რისი შედეგიც გახდა მუსულმანი მოსახლეობის სამშობლოს ღალატში დადანაშაულება, ისეთ პირობებში ხდებოდა, როცა ქვეყნის ოკუპაციის პერიოდში მტერს საშუალება ჰქონდა ნებისმიერ ბრალდებულზე მოეხდინა ფიზიკური და მორალური ზემოქმედება.

ამჟამად რამდენიმე ასეული სამშობლოს ღალატში ბრალდე-

ბული აჭარელი და ყარსელი მუსულმანი რუსეთის სხვადასხვა ციხეში იხდის სასჯელს. მათ ყოფილ დამცველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა ყოფილი ხელისუფლების აგენტების ამ უდანაშაულო მსხვერპლთა ბედისადმი სერიოზულ ყურადღებას გამოიჩენს.

წარმოგიდგენთ რა, ღრმად პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ, ამ მოხსენებით ბარათს, დამცველთა ჯგუფი გთხოვთ, შუამდგომლობით შეხვიდეთ დროებით მთავრობასთან უდანაშაულო აჭარლებისა და ბათუმისა და ყარსის ოლქის მუსულმანების ამნისტირების შესახებ. ეს ზომა, გარდა სამართლიანობისა და ჰუმანურობის გამოჩენისა ბრალდებულთა და მათი ოჯახების მიმართ, ასევე დაამშვიდებს და დააკმაყოფილებს ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გულისფანცქალით ელოდება სამართლიანობის ამ აქტს დროებითი ხელისუფლების მხრიდან.

დოკუმენტი II. ნაწყვეტი გერმანიაში საქართველოს მისიის უფროსის – ვლადიმერ ახმეტელის წერილიდან აკაკი ჩხენკელისადმი 1919 წლის 9 აგვისტოს:

„ეს ჩვენი გემი – „კრისტიან ნებე" [12] პირველი გემია, რომელიც გერმანიიდან საქონლითა და ტყვეებით დატვირთული შავ ზღვაზე გავიდა.

მთლათ გავისტუმრეთ 1716 სამხედრო ტყვე, აქედან 32 სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქენი არიან, დანარჩენები კი ჩვენები. სომხეთის რესპუბლიკის ტყვეები იმ მოსაზრებით გავგზავნეთ, რომ უკანასკნელები თავიანთ ტყვეებს ამ თვის ბოლოს თუ ენკენისთვის შუა რიცხვებში გზავნიან და თუ სადმე ჩვენი ტყვეები გამოგვრჩნენ, იმათ გავაყოლებთ. სომხის წარმომადგენელს ამის შესახებ პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვით.

გერმანიის სამხედრო სამინისტროს ოფიციალური ცნობით, სხვადასხვა ლაგერებში [13] 2200 ქართველი ტყვე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ცნობა სწორი არ გამოდგა. ჩვენ ყველა ზომები მივიღეთ, რომ არცერთი ტყვე არ გამოგვრჩენოდა. სამხედრო სამინისტროს რკინისგზის მუშაკები ტყვეების მოგროვებაში ენერგიულათ გვეხმარებოდნენ, თუ სადმე ლაგერი არსებობდა, ანდა ოფიციალურ სიაზე იყო ოდესმე აღნიშნული, ყველგან დეპეშები იგზავნებოდა. დეპეშები იგზავნებოდა აგრეთვე მთავრობიდან. მიუხედავად ამისა, როგორც გითხარით, ჰამბურგში 1716 კაცზე მეტმა ვერ მოიყარა თავი. აქედან ათასსამოცამდის წმინდა ქართველია. სამხედრო საავადმყოფოებში დაგვრჩა 15-20 კაცი, რომელთა გაგზავნა შეუძლებელი იყო.

ერთი ათ კაცამდე ისე დარჩა, ზოგმა ცოლი შეირთო და ზოგიც ისე მოეწყო. ყოფილ ავსტრია-უნგრეთის [14] სახელმწიფოდან ასკურავას მეთაურობით სულ 11 კაცი ჩამოვიდა, ჩეხოსლოვაკეთის [15] მთავრობაც კი დავიხმარეთ, მაგრამ მეტის მოგროვება ვერ მოვახერხეთ. ასკურავას ცნობით, ყოფილ ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოში 80-მდე ქართველი ტყვე უნდა იყოს, მაგრამ ისე ყოფილან გაბნეულები, რომ მათი მოგროვება ერთობ შეუძლებელი საქმე იყო. ერთი რამ არის სანუგეშებელი: ყველა ამათგანს პატარა სახსარი ჰქონიათ და თვითონ აპირებენ რუმინიის [16] გზით უკან დაბრუნებას.

გემზე ტყვეების უფროსად ოფიციალურად ბ. ერ. ბერშტეინი დაინიშნა. ოფიციალურ პირის დანიშვნას თვით ანტანტის წარმომადგენლები თხოულობდნენ და ჩვენ ეს პოლიტიკურათ მიზანშეწონილათ დავინახეთ. ოფიციალური პირის გარდა სამხედრო ტყვეებმა აირჩიეს 150 კაცზე ერთი წარმომადგენელი, – რიცხვით შვიდი კაცი. ტყვეთა შვიდ წარმომადგენელს დაემატა ჩვენ მიერ ცივილპერსონებიდან [17] დასახელებული ექვსი კაცი. ცივილებიდან და ტყვეებიდან არჩეულმა წარმომადგენლებმა შეადგინეს ერთი კომისია ანუ საბჭო, როგორც თვითონ უწოდებენ. ეს საბჭო განაგებს გემზე საოჯახო, ჰიგიენურ და ადმინისტრაციულ საქმეებს, საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ. კონსტანტინე გამსახურდია [18]. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ იძულებული გავხდით კომისიის წევრებს, ცივილპერსონებს ერთდროულათ დავუნიშნეთ სასყიდელი 1200 მარკა, ხოლო ტყვეების წარმომადგენლებს 200 მარკა. ცივილპერსონების წარმომადგენლებს სასყიდელის გარდა, ეძლევათ ფოთამდე უსასყიდლო-სასმელ-საჭმელი და მუქთი სამგზავრო ბილეთი. სასყიდელი დაენიშნათ, აგრეთვე, ტყვეებიდან დანიშნულ ფერშლებს, სანიტრებს და მზარეულს, დღეში 3-4 მარკამდის. სასყიდელი აქ ზოგ გაჭირვებულ-წევრებს მივეცით. დიდი ნაწილი, ჩვენ მიერ დანიშნულ სასყიდელს, საქართველოში ჩვენი მთავრობიდან მიიღებს.

სასყიდელი ანუ ჯამაგირი დაენიშნა ექიმს თავისი ფერშლით, 13000 მარკა. ექიმი და ფერშალი გერმანელები არიან და სასყიდელი ეძლევათ აქედან ფოთამდი და ფოთიდან გერმანიამდის. ეს არის ამათი წასვლა-მოსვლის ჯამაგირი და ხარჯი. ჯამაგირიანია, აგრეთვე, რადიოზე მომუშავე გერმანელი, რომელსაც თვიურად 400 მარკა ეძლევა, ვიდრე ფოთიდან უკან არ გამობრუნდება. იმედი გვაქვს, რომ ამავე გემით მოასწრებს უკან გერმანიაში დაბრუნებას. ერთდროული სასყიდელი მივეცით, – 1500 მარკა ერთ სამხედრო კაპი-

ტანს, რომელმაც 11 დღის განმავლობაში ტყვეების ჩასხდომა-დალაგებაში, მათ შორის საწოლ-ადგილების განაწილებაში თავგანწირულათ იმუშავა. ამავე კაპიტანმა შეიმუშავა ვრცელი გეგმა ტყვეთა შორის სასმელ-საჭმელის განაწილების, წესრიგის დაცვის შესახებ და ეს გეგმა ინსტრუქციათ ტყვეთა კომისიას გადაეცა. კიდევ სხვა კერძო ხარჯების განევაც დაგვჭირდა. უსასყიდლოთ საქმის გაკეთება არ ხერხდება, მითუმეტეს, რომ ყველაფერი სწრაფად და თავის დროს უნდა მოსწრებოდა.

პირველ აგვისტოს გემი გასამგზავრებლათ მზათ იყო, საღამოს ექვს საათზე ტყვეთა ლაგერს მიადგა და ტყვეთა ბარგის დალაგება დაიწყო. 2 აგვისტოს დილის ექვსი საათიდან დაიწყო ტყვეების ჩასხმა და ჩაბარგება. ტყვეების ნასხმა-დალაგება მწყობრათ, სრული სიმშვიდით და ნირშეუცვლელად მოხდა. ამას ხელმძღვანელობდა გერმანიის ზემოთ დასახელებული კაპიტანი, გვარათ – კრონი. მთელი ტყვეები 4 კამანდათ იყო განაწილებული. თვითეულ კომანდას თავისი ათის და ოცის თავები ყავდათ. თვითეულ ტყვეს თავისი ადგილის ნომერი ჰქონდა გულზე მიკრული და სხვა და სხვა. ქუჩიდან კომანდებით მოდიოდნენ გემში ჩასაჯდომათ. დილის 9 საათზე ყველა მწყობრათ ჩასხდა და თავთავიანთი ადგილები დაიკავეს. ავათმყოფები (ვინც პატარა შეუძლოთ იყო) მოთავსდნენ მათთვის სპეციალურათ მოწყობილ საავადმყოფო განყოფილებაში. ავათმყოფებისათვის გადაყოფილია 40 კაცის ადგილი. დილის ექვსი საათიდან, გემის მახლობლათ მოტორიან ნავზე ისხდნენ გერმანიის სამხედრო ჯარისკაცები მუზიკით და ტყვეების გასართობათ სხვადასხვა ჰიმნებს უკრავდნენ. როცა ყველა ტყვეები დალაგდენ, 9 საათზე მოუწოდეთ საწოლებიდან მაღლა ბაქანზე ამოსულიყვნენ, ყველა სწრაფათ ზემოთ ამოვიდენ, ყველასთვის ზემოთ საკმარისი და თავისუფალი ალაგი იყო. დაიწყო მისალმების სიტყვების თქმა. ჩვენს გარდა ილაპარაკეს გერმანიის წარმომადგენლებმა, რომელშიაც ხაზგასმულათ აღნიშნეს ჩვენსა და მათ შორის მეგობრული განწყობილება და ბოლოს უსურვეს დამოუკიდებელ საქართველოში მშვიდობით დაბრუნება.

სიტყვა წარმოთქვა ტყვეთა წარმომადგენელმა და დაწვრილებით აღნიშნა საელჩოს და ჩვენი მთავრობის დაუცხრომელი მუშაობა ტყვეთა გამომგზავრების საქმეში. საერთოდ, სიტყვები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე და 1716 საერთო გრიალით წარმატებას უსურვებდა საქართველოს ხალხსა და მთავრობას.

მისალმების შემდეგ გემის კაპიტანმა აუშვა ბაირაღი და გემიც დაიძრა. ამ დროს, ნიშნად სამხედრო სალამისა, ოცდაათმა გერმანი-

ის ჯარისკაცმა, რომლებიც გემის მახლობლათ მწობრად იყვნენ დალაგებულნი, სალიუტები მისცეს. შემდეგ ჩასხედით „კორს უნდ ამეს“ ჩვენთვის საგანგებოთ მომზადებულ მოტორიან ნავში და ათის ვერსის მანძილზე გავაცილეთ გემი. ჩვენთან ერთად გააცილეს თავთავიანთი ნავებით ნაცნობმა და უცნობმა გერმანელებმა. გააცილა სხვათაშორის ბენეტის ოჯახობამ. გულის ამაჩუხჩუხებელ სურათს წარმოადგენდა მთელი ეს მოგზაურობა. ელბის [19] ორთავ ნაპირებიდან, სახლებიდან თუ სახელოსნო-ფაბრიკებიდან, დიდი თუ პატარა გადმომდაგარიყო და სალამის ნიშნად ხელსახოცებს უქნევდნენ გემზე მდგომ ჩვენს ტყვეებს. ზოგიერთები ნაპირებიდან სიტყვებსაც კი ეუბნებოდენ. მესმოდა მხოლოდ საქართველო და ტყვეებისადმი სალამი. სპეციალურად იყვნენ მოსული ფოტოგრაფიული სურათების გადამღებები და გემსა და ტყვეებს ყველა მომენტში იღებდნენ. აქვე გაახლებთ სურათებს. ჩვენი ტყვეების ვაშას ძახილი არემარეს ახმაურებდადა ყველას აღფრთოვანების გრძნობებს იწვევდა. ასე გრძელდებოდა ათი ვერსის მანძილზე მხიარული ხმაურობა და შემდეგში დავშორდით ერთმანეთს თვალცრემლიანი,

სამხედრო ტყვეებმა საკმარისი ფული დაგვიტოვეს. წინდაწინვე დავამზადეთ საკვიტანციო წიგნაკები, ვიცოდით რომ ტყვეებს ცოტაოდენი თავანთი ნაოფლი შემონახული ექნებოდათ და ამას აქ დაგვიტოვებდენ. ვინც რამდენი შემოიტანა, მისდამიხედვით ჩემი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული კვიტანციები მივეცით, რომელსაც საქართველოს წარუდგენენ და იქ ჩვენებურ ფულს შესაფერი კურსით მიიღებენ. სულ დაგვიტოვეს 73,715 მარკა, თითქმის სამოცდათოთხმეტათასამდის...

გერმანიის საგარეო და სამხედრო სამინისტროს მადლობის ნოტა გაუგზავნეთ, ორთავე უწყებამ ტყვეების გაგზავნის საქმეში დიდი სამსახური გაგვიწიეს და სამართლიანათ უღრმესი მადლობის ღირსნი არიან. ჩვენ შორის, რაც დრო გადის, მეგობრული განწყობილება უფრო მეტათ მტკიცდება.

მადლობის ნოტა გაუგზავნეთ აგრეთვე ინტერალაურტეს კომისიას, რომლებმაც არანაკლები სამსახური გაგვიწიეს ტყვეების და საქონლის გაგზავნის საქმეში.

თქვენი მუდამ პატივისმცემელი
ვლადიმერ ახმეტელი

[საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე180, ფურც. 131-136]

მცირე კომენტარები:

[1] დოკუმენტი გამოქვეყნებულია ზაირა გერგედავა-ჭელიძის წიგნში „აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ევოლუცია (1898-1917 წწ.)", (თბილისი, 2002), რუსულ ენაზე. წინამდებარე სტატიის ავტორების მიერ ითარგმნა ქართულ ენაზე და დაერთო კომენტარები.

[2] ბათუმის ოლქი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1878 წელს, საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთმა შემოიერთა ბერლინის 1878 წლის ტრაქტატით. ის აერთიანებდა – ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგებს. 1883 წელს ოლქი გაუქმდა და ოკრუგის სახით ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. 1903 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ცალკე ერთეულად. ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბათუმი.

[3] ყარსის ოლქი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთული რუსეთის იმპერიაში (1878-1917 წწ.), სამხრეთ კავკასიაში. ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ყარსი.

[4] საფორთიფიკაციო ნაგებობა, ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად.

[5] ართვინი – ფეოდალური საქართველოს ისტორიული პროვინციის კლარჯეთის ქალაქი. XVI საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. 1878 წლიდან შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც ოკრუგის ცენტრი. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ხოლო 1921 წლიდან ისევ ოსმალეთის.

[6] პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე რუსეთისა და ოსმალეთის არმიებს შორის გამართული ბრძოლა (9(22).12.1914-4(17).01.1915), დასრულდა რუსეთის არმიის შთამბეჭდავი გამარჯვებით.

[7] სიტყვიდან „პროსკრიპცია" (ლათ.): აკრძალვა, კანონგარეშე გამოცხადება; განდევნა.

[8] სტრაჟნიკი – დაბალი ჩინის პოლიციელი რუსეთის იმპერიაში.

[9] ფელდფებელი – ქვეითი ჯარის, არტილერიის, საინჟინრო ჯარების უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდებულება მეფის რუსეთის, აგრეთვე, ზოგიერთი ქვეყნის არმიებში.

[10] აქ იგულისხმება: მოხალისეთა ჯგუფები, რომლებსაც ოსმალეთის ხელისუფლება იყენებდა მისთვის არასასურველი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ.

[11] დაბა, დასახლებული პუნქტი შავშეთის ტერიტორიაზე.

[12] „კრისტიან ნებე" – გემის სახელწოდება, რომლითაც საქართველოში სამხედრო ტყვეები დააბრუნეს.

[13] იგულისხმება ტყვეთა ბანაკები.

[14] ავსტრია-უნგრეთი – გაერთიანებული მონარქია და მრავალეროვანი სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში (1867-1918). დაიშალა I მსოფლიო ომის შედეგად.

[15] იგულისხმება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, რომელიც შეიქმნა 1918 წლის ნოემბერში ანტანტის მხარდაჭერით, I მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის დაშლის შედეგად.

[16] იგულისხმება რუმინეთი – სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში. როგორცდამოუკიდებელი სახელწიფო აღიარეს სან-სტეფანოსა და ბერლინის კონფერენციების გადაწყვეტილებით (1878). I მსოფლიო ომის დასაწყისში იცავდა ნეიტრალიტეტს, თუმცა 1916 წლიდან ამ ომში ანტანტას დაუჭირა მხარი.

[17] იგულისხმებიან ის სამოქალაქო პირები, რომლებიც ტყვეთა საქართველოში დაბრუნების პროცესში იღებდნენ გარკვეულ მონაწილეობას.

[18] იმ პერიოდში კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში იმყოფებოდა და სამშობლოში აპირებდა დაბრუნებას. ტყვეთა საქართველოში დაბრუნების საკითხში ის ჩაერთო, როგორც სამოქალაქო პირი.

[19] ელბა – დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე. მიედინება ჩეხეთსა და გერმანიაში (გერმ.: Elbe, ჩეხ: Labe).

Dodo Chumburidze
Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, main scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Khatuna Kokrashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Two Documents Connected with the World War I

Summary

Georgia, which was as a part of the Russian Empire, naturally became a participant of the World War I. The South Caucasus was still one of the main strategic directions for confronting sides on the front of the Caucasus. During the war military affairs took place on the ancient lands of Georgia belonging to the country. Mainly in the South-West Georgia, Achara, Shavsheti, Klargeti, Imerkhevi, Kola-Artaani and Oltisi. On the front of the Caucasus, as in other fronts, Georgian solders showed their courage. With the help of their participation the army of the Caucasus could not only maintain, save the South-West Georgia, but could temporarily free territories of historical Chaneti (Lazeti) and other Georgian territories.

Two documents which are connected with the World War I are given in the article. First document reflects the punitive campaign carried by the Russian army and the political leaders against so called „Traitor Acharians". Georgian nation, its best part, did all to help Achara population and Acharians, who were blamed in „betrayal", who were exiled from their native land and who became refuges. First document very well shows the reality connected with these events.

The second document reflects the process how one part of the Georgian captives was returning from Germany in motherland. It is worth to be mentioned that together with the Georgian captives was famous Georgian writer Konstantine Gamsaxurdia. By the demand of the Georgian captives he was involved in the organizational matters of their travel to homeland. The document tells us about the details of the travel which shows well German – Georgian relations of those days.

შორენა მურუსიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

რადიოინტერვიუ გიორგი კვინიტაძესთან

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რადიო „თავისუფლების" არქივში დაცულია გენერალ გიორგი კვინიტაძის ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი. ეს არის ერთადერთი ჩანაწერი, რომელშიც დაფიქსირებულია გიორგი კვინიტაძის ხმა. ინტერვიუ გიორგი კვინიტაძესთან ჩაწერილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, 1968 წლის მაისში. თუმცა საარქივო ფონდში დაცული რადიოგადაცემა თარიღდება 1970 წლით, რადგან რადიომ ის განმეორებით გადმოსცა გიორგი კვინიტაძის გარდაცვალებიდან (1970 წლის 7 აგვისტო) 40 დღის გასვლასთან დაკავშირებით.

გენერალთან რადიოინტერვიუ ჩაიწერა რადიო „თავისუფლების" თანამშრომელმა კარლო ინასარიძემ, რომელიც ოთარ კეთილაძის ფსევდონიმით[10] მუშაობდა რადიოში.

რადიო „თავისუფლების" არქივში დაცულია ამ ინტერვიუს სკრიპტიც, რომელიც აუდიო ჩანაწერისგან სხვაობს. კერძოდ გიორგი კვინიტაძის საუბრი სტილისტურად შესწორებულია, ჩამატებულია ისეთი ტექსტი, რომელიც აუდიო ჩანაწერში არ არის.

გიორგი კვინიტაძის რადიოინტერვიუ, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, აუდიო ჩანაწერიდან არის გაშიფრული. საუბრის ტექსტი ქვეყნდება უცვლელად, შესწორებების გარეშე. ცნობილია, რომ გიორგი კვინიტაძეს ქართულად საუბარი უჭირდა, ეს კარგად ჩანს მისი ინტერვიუდანაც. საუბრისას იგი იყენებს რუსულ სიტყვებს, ტო-

---

[10] რადიო „თავისუფლებში" მუშაობის დროს ემიგრანტების ნაწილი ფსევდონიმებს იყენებდა. ამის მიზეზი იყო საბჭოთა კავშირში დარჩენილი ნათესავების უსაფრთხოება.

პონიმებს რუსულად ასახელებს, უჭირს ზოგიერთი ქართული სიტყვის სწორად წარმოთქმა.

ინტერვიუში გიორგი კვინიტაძე ყვება ქართველ გლეხთან შეხვედრის და მასთან საუბრის ისტორიას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევამ დიდი გავლენა მოახდინა მასზე. იხსენებს 1918 წლის მოვლენებს, როგორ შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ქართველი ოფიცრები. იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ საქართველო რუსეთისგან განსხვავებით, ევროპული სახელმწიფოა და არა აზიური. ინტერვიუს ამთავრებს ქართველებზე და საქართველოზე ლოცვით. როგორც მისი ქალიშვილები წერენ გიორგი კვინიტაძეს ყოველთვის სჯეროდა, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. ეს ნათლად ჩანს მისი რადიოინტერვიუდანაც.

ინტერვიუ გიორგი კვინიტაძესთან

კარლო ინასარიძე: ბატონო გენერალო, ხომ არ მოგვიყობით თქვენი ცხოვრების მთავარ მომენტებს?

გიორგი კვინიტაძე: მე დაბადებული ვარ 1874 წელს, აგვისტოში. დაბადებული ვარ დაღესტანში, როგორც ყველა ჩემი დები, სადაც მამაჩემი [1] მსახურობდა „დაგესტანსკი კონნი პოლკ-ში“.

კარლო ინასარიძე: „დაღესტანის ცხენოსანთა პოლკში“.

გიორგი კვინიტაძე: აი, სად ვიყავით ცხოვრებაში. მამაჩემმა გაატარა ორმოცი წელიწადი იქ, დაღესტანში. მერე იქიდან, როცა მე ვიყავი ექვსი-შვიდი წლის, გადმოვიდა მამაჩემი თბილისში.

კარლო ინასარიძე: ბატონო გენერალო თქვენ შემდეგ მამათქვენმა შეგიყვანათ კადეტთა კორპუსში [2], დაამთავრეთ ის, მონაწილეობა მიიღეთ იაპონია-რუსეთის ომში, 1905 წელში, შემდეგ შედით სამხედრო აკადემიაში [3], დაამთავრეთ ის.

გიორგი კვინიტაძე: როცა მე აკადემია დავათავე სამი წლის შემდეგ, მე მქონდა შვებულება და მე მოვედი თბილისში. დედ-მამა უკვე არა მყავდა. დები, სამი და იყვნენ თბილისში, ყველა სამივე ჩემზე უფროსი.

კარლო ინასარიძე: ბატონო გენერალო, სად ბრძანდებოდით თქვენ, 1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და როგორ შეხვდით საქართველოს დამოუკიდებლობას თქვენ პირადათ?

გიორგი კვინიტაძე: მე ვიყავი ჯერ სამხედრო მინისტრის [4] თანაშემწე და მთავარსარდალი ყველა კავკასიის ჯარებისა [5] იმ რესპუბლიკაში [6]. იმიტომ რომ, როცა მოახლოვდნენ თათრები [7] კარსს [8], მაშინ გენერალ ოდიშელიძე [9] უბრძანა სომხებს დახევა, რადგან დარწმუნდა, რომ სრულებით შეუძლებელია იმისი დაჭერა თათრების წინააღმდეგ [10]. ამის შემდეგ ის იყო გადაყენებული და მე დამნიშნეს.

კარლო ინასარიძე: ჯარების სარდლად [11]

გიორგი კვინიტაძე: სარდლად კავკასიისა.

კარლო ინასარიძე: კავკასიის ჯარების სარდლად.

კარლო ინასარიძე: საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული.

გიორგი კვინიტაძე: არა. აი, მოლაპარაკება გვქონდათ ტრაპიზონში [12] და მერე ბათომში [13] თათარებთან. ის ხელშეკრულება, რომელიც მოხდა ბრესტ-ლიტოვსკში [14], ჩვენ არ გვინდოდა მიღება იმიტომ, რომ არდაგან, ბათუმ ი [15] კარს აძლევს რუსეთი, მისცა, დაუბრუნა თათრებს [16].

კარლო ინასარიძე: საბჭოთა რუსეთმა მისცა, ბოლშევიკებმა მისცა, ლენინის მთავრობამ.

გიორგი კვინიტაძე: ბრესტ ლიტოვსკში. ჩვენ არ მივიღეთ ეს. ერთი შემთხვევა არის თურმე გერმანელები, რომლებს უნდოდათ ჩვენი, შველა, მოითხოვეს, რომ ქართველების წარმომადგენელი ყოფილიყო ბრესტ-ლიტოვსკში. არ წავიდნენ ჩვენები [17].

კარლო ინასარიძე: როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა თქვენ მაშინ ბრძანდებოდით ფრონტზე თუ თბილისში?

გიორგი კვინიტაძე: მე ვიყავი თბილისში, მე ვიყავი სამხედრო მინისტრის თანაშემწე.

კარლო ინასარიძე: და როგორ შეხვდა ბატონო გერენალო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ქართველი ხალხი საერთოდ ქართული ჯარი?

გიორგი კვინიტაძე: როცა გამოცხადდა პარლამენტში ეს ამბავი [18]

კარლო ინასარიძე: დამოუკიდებლობის აქტი

გიორგი კვინიტაძე: აქტი გამოცხადდა და ჩვენ ვთქვათ მოვშორდით სომხებს და თათრებს [19], რომელთაც უნდოდათ გამოცხადება თბილისში, ჩვენ არ დავუშვით ეს [20]. აი სოფლებში რა მოხდა მე არ ვიცი. ოფიცრობაში იყო მშვენიერი აღელვება და სიხარული.

კარლო ინასარიძე: საქართველოს ახალგაზრდა არმია, რომელიც შეიქმნა დამოუკიდებლობის დროს, ასე მედგრად იბრძოდა საქართველოს მაშინდელი საზღვრების დასაცავად. რით ახსნით თქვენ ამ ფაქტს?

გიორგი კვინიტაძე: როცა წაიკითხავთ ჩემს პატარა ბროშურას [21] იქ ნახავთ. ნათქვამია ჩემს მიერ. შემხვდა, კადეტი ვიყავი, 15 წლის, გლეხი, მოდიოდა, ერთი გზა გვქონდა. „სალდათი ხარ?" - ვუთხარ – არა. „რატომ გაკრია პაგონებიო?" ვუთხარი, რომ მოწაფე ვარ სამხედრო სკოლისა. „გაათავო"?, ხო და 7 წელიწადი ვიმსახურო, „მერე იქნები სალდათი"? არა. „მა როგორ", წავალ რუსეთში კიდევ ორი წელიწადი ვისწავლი, მერე ვიქნები აფიცერი. „მერე?". მერე გამიჭირა საქმე. მერე გავარით [22] თუ კარგად ვისამსახურებ გავხდები გენერალი, გავათავებ გავხდები გენერალი, შენ რა, არა. გლეხმა, ქართლის გლეხმა. მეუბნება, რომ „მაშ გახდი გენერალი", შენ რა, „როგორ თუ რა გაგვიძღვები და გავაგდებთ რუსებს". მამამ მითხრა „მერე რაო". ვინ არ იყო ჩვენსა თათრები, თურქები, მონგოლები ყველა იყო და უკანასკნელად გამარჯვება ჩვენ გვჩებოდა, შეიძლება ესეც მოხდეს [23]. და დაუმატა ეს ხალხი გლეხები ამათ დაუჯერე არ გიღალატებენ. საქართველო და საქართველოს ხალხი თავისი ჩვეულებებით, თავისი ადათებით, მოწყობით სახელმწიფოსი არის ევროპელი, არა აზიური. უნდა შევადარო რა არის მოწყობა სახელმწიფოს ევროპისა და აზიისა. აზიაში და ეგრეთვე რუსეთში არსადროს არ არსებობდა ის რასაც ჩვენ ვეძახით ფედერალიზმი. საქართველოში პირიქით გვქონდა ყოველთვის ფედერალიზმი ისე, როგორც მთელ ევროპაში [24]. ამიტომ თავისი მოწყობით ქართველი ხალხი არის ევროპელი და არა აზიური. როგორც გითხარით, რუსებს ქონდათ სხვა: იმათ ფედერალიზმი არასდროს არ ქონდათ. ამიტომაც იმათში უფრო იყო ვთქვათ მიღებული, რომ უფროსი იყოს საშინელი ძალით აღჭურვილი. ჩვენში კი არა: თუ თამარ დროს ნახავთ ბევრჯერ თამარი, ბევრჯერ ელაპარაკებოდა ყველას არა როგორც ხელმწიფე, არა[მედ] როგორც მორჩილი, სამსახური თავის ერისა. ეს შეჩერდა საქართველოში მაგრად ყოველთვის, როგორც ევროპაში. ესე-იგი ჩვენ უფრო მეტად ვართ მზად ვიყოთ დემოკრატიული ქვეყანა, ვიდრე რუსეთი.

კარლო ინასარიძე: და ბატონო გენერალო, ვფიქრობთ ასეთი დემოკრატიული სახელმწიფო ჩვენ გვქონდა ამ დმოუკიდებლობის პერიოდში [25]. ბატონო გენერალო, ეხლა კიდევ ერთი შეკითხვა: რას უსურვებდით თქვენ ასეთი ცნობილი გენერალი, გამოცდილი ადამი-

ანი ჩვენს ქართველ ხალხს და განსაკუთრებით ჩვენს ქართველ მხედრობას?

გიორგი კვინიტაძე: მე ვუსურვებ იმათი ისარგებლონ იმით, რომ შეიძლება, რომ ჩვენ გვყავდეს ბევრი მხედრები, ვისაც ეცოდინებათ სამხედრო მეცნიერება. თუ თქვენ გიყვართ თქვენი სამშობლო, თქვენ იპოვნით, თქვენ საქციელს, როგორ უნდა მოახერხოთ. საქართველო არსებობს. თითქმის ბავშვი ვიყავი, ერთი გვარის შვილი მოდიოდა ჩვენსა გიტარით და იმღერა ერთი ლოცვა. თუ გნებავთ მე ვიტყვი ემსაათში?

კარლო ინასარიძე: ბრძანეთ.

გიორგი კვინიტაძე: ღმერთო! საწყალი გლეხის შვილი ვარ!
სოფლად დავდივარ ობოლი, ბედიგან განწირული!
ღმერთო! მიეცი ჩვენ ქვეყანას ბედი და ბედნიერება!
ღმერთო! მიეცი ჩვენ-ქართველებს სწავლა და მეცნიერება!
ღმერთო! ჩაუდე მათ გულში ძმობა და სიყვარულია!
რომ გაუწიონ ერთმანეთს სამსახური, ერთგული სამსახური!
ეს ლოცვა დამრჩა ბავშვობიდან და ხედავთ არ დამავიწყდა.

კარლო ინასარიძე: დიდი მადლობა ბატონო გენერალო თქვენი ასე შინაარსიანი ინტერიუსათვის.

მცირე კომენტარები:

[1] – გიორგი კვინიტაძის მამა იყო რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკი ივანე კვინიტაძე (1825-1895).

[2] – დაწყებითი სამხედრო განათლება გიორგი კვინიტაძემ მიიღო თბილისის კადეტთა კორპუსიში.

[3] – გიორგი კვინიტაძე 1907-1909 წლებში სწავლობდა რუსეთის იმპერიის ნიკოლაევსკის გენერალური შტაბის აკადემიაში.

[4] – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე.

[5] – გიორგი კვინიტაძე 1918 წლის აპრილში დაინიშნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწედ და ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლად.

[6] – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელი 1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა.

[7] – გულისხმობს თურქებს.

[8] – ყარსი (რუსულად).

[9] – ილია ოდიშელიძე (1865-1925) – გენერალი. მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიაში. იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე. ჩართული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საქმეებში. 1920 წლის 13 დეკემბრიდან 1921 წლის 16 თებერვლამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო.
[10] – საუბარია 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის მიერ კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიების დაკავებაზე.
[11] – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი.
[12] – კავკასიაში ოსმალეთის წინსვლის შესაჩერებლად, ოსმალეთისა და ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენლებს შორის, ტრაპიზონში 1918 წლის 12 მარტიდან 13 აპრილამდე მიმდინარეობდა სამშვიდობო კონფერენცია. ტრაპიზონის კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა.
[13] – ტრაპიზონში შეწყვეტილი სამშვიდობო მოლაპარაკებები განახლდა 1918 წლის 11 მაისს ბათუმის კონფერენციაზე, რომელიც დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. საქართველო იძულებული გახდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიების გარდა ოსმალეთისთვის დაეთმო ახალციხე და ახალქალაქის მაზრებიც.
[14] – საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან (ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი) 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.
[15] – და (რუსულად).
[16] – ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ბათუმისა და ართვინისა ოკრუგები და ყარსის ოლქი.
[17] – ამიერკავკასიის მთავრობამ უარი თქვა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე, რადგან ისინი არ აღიარებდნენ საჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას.
[18] – იგულისხმება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.
[19] – გიორგი კვინიტაძე გულისხმობს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას, რომელშიც საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი იყო გართიანებული.
[20] – სავარაუდოდ გიორგი კვინიტაძე გულისხმობს სომხებისა და აზერბაიჯანელების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. აქ გენერალი ცდება, რადგან აზერბაიჯანელებმა და

სომხებმა დამოუკიდებლობა თბილისში გამოაცხადეს, 1918 წლის 28 მაისს.

[21] – გიორგი კვინიტაძის „ჩემი პასუხი" (ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსულის" შესახებ).

[22] – რუს. ამბობს

[23] – გიორგი კვინიტაძე თავის ბროშურაში „ჩემი პასუხი" ამ ისტორიას ასე ყვება: „ვიყავი 15-16 წლისა, სამხედრო სკოლის მოსწავლე. ერთხელ მივდიოდი ძეგვის მიდამოებში, როცა შემხვდა გლეხი ფარაჯაში. „გამარჯობა", „გაგიმარჯოს". გზა ერთი გვქონდა. მივდიოდით ერთად. „სალდათი ხარ?" - მკითხა. – „არა. სალდათი არა ვარ" – ვუპასუხე. – „მაშ რად გაკვრია პაგონები?" – „სამხედრო სკოლის მოწაფე ვარ". – „როცა სკოლას გაათავებ, სალდათი იქნები?" – „არა, თუ სკოლა გავათავე, გადამიყვანენ რუსეთში და იქ კიდევ ორი წელიწადი სამხედრო საქმეს მასწავლიან". – „მერე რაო?" – მკითხა. – „თუ კარგად გავათავე სწავლა, ოფიცერი ვიქნები". – „მერე რაო?" – კიდევ მკითხა. გამიჭირა საქმე და ვუთხარი: „გენერალი ვიქნები". – „მაშ, კარგად ისწავლე და გახდი გენერალიო" – მითხრა. – „მერე შენ რა, ვიქნები გენერალი თუ არა?" – როგორ თუ რა? – მომიგო უცბად: „გახდები გენერალი, გაგვიძღვები და გავყრით რუსებს". მივედი სახლში და ეს ამბავი ვუამბე მამას, რომელმაც 58 წელი გაატარა რუსის ჯარში. „რა გაგიკვირდა, ჩვენში არა ერთხელ ყოფილა ასეთი ამბავი, როცა ჩვენი სამშობლოდან უფრო მძლავრი მტერი გაგვიგდიაო".

[24] – აქ გიორგი კვინიტაძე გულისხმობს ქართული და ევროპული ფეოდალური ინსტიტუტების მსგავსებას.

[25] – გულისხმობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს.

Shorena Murusidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Radio Interview with Giorgi Kvinitadze

Summary

Radio interview with the Commander-in-Chief of the independent Georgia, General Giorgi Kvinitadze is published in the article. He gave this interview to the Georgian office of the radio „Liberty" in May, 1968 on the occasion of the 50th anniversary of independence Georgia. The audio recording of this interview is preserved at the National Centre of the Manuscripts.

The interview of Giorgi Kvinitadze is an interesting source for those researchers who are interested with the issues of the contemporary history. In his interview Giorgi Kvinitadze recalls the period of announcing independence, those facts that influenced him much. He also tries to ground the viewpoint that Georgia is a country of European style and not the Asian one.

ავთანდილ სონღულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

„ჯაყოს სიზმრები“

თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა რელიეფურად აჩვენა, რომ კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმა-პურსა და თავშესაფარს გთხოვთ, ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებთ თავს. გულუბრყვილობის გამო კარს გაუღებ, ჭერსა და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გალაღდება და გათავხედდება. საკუთარი სახლიდან გაგაგდებს, შენს მამულს, საქონელს მიითვისებს... თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლკარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, სრული უმეცრება და უკანონობა“.

2014 წელს რუსეთში გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციაში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიმიტრი ნიკოლოზის ძე მედოევის წიგნი „Южная Осетия и политика России в закавказъе“, Издателство „Канон“. როგორც ავტორი მიუთითებს, დაბადებულა სტალინირში (ამჟამინდელ ცხინვალში).

ტოპონიმები, გეოგრაფიული სახელწოდებები ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს. ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა. წიგნის ავტორი დაიბადა არა ამჟამინდელ, არამედ უძველეს ქართულ ქალაქ ცხინვალში (შეადარეთ: გოროვანი, ვაშლოვანი, თხინვალი, თერნალი და სხვ.) აქ ჩამოსახლებულმა ოსებმა XX საუ-

კუნის 30-იან წლებში ცხინვალი შეცვალეს სტალინირით. სტალინირ-ი, ანუ სტალინის ოსეთი („ირ“ – ოსეთი). 1961 წლის 24 ნოემბერს ქალაქს დაუბრუნდა ნამდვილი სახელი – ცხინვალი.

წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს, რომლის შეფასებით, მეგობრობა და ძმობა გამჟღავნდა „2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთი გამოვიდა სამხრეთ ოსეთის დასაცავად სააკაშვილის რეჟიმის ვერაგული თვდასხმის დროს. რუსეთის ფედერაცია გახდა დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გარანტი...“ [9, 5-6]. ეჰ, ამხანაგო კარასინ, როდის ყოფილა რომ რუსეთი, თუ საკუთარი ინტერესები არ ამოძრავებს ვინმეს დამოუკიდებლობის გარანტი ყოფილა? ამჟამად თავს შევიკავებთ სააკაშვილის პოლიტიკის შეფასებისაგან, მაგრამ საინტერესოა, რომ თუკი რუსეთს აქვს უფლება კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს დაპყრობილ ჩეჩნეთში და ჯარები შეიყვანოს, მაშინ რატომ არ შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას ძირძველ ქართულ მიწაზე ჩამოსახლებული სეპარატისტების საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედითი ნაბიჯი გადადგას?!

რუსი დიპლომატი იქვე აღნიშნავს, რომ „ჩვენ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, რუსეთის დედაქალაქში კვლავ გამოჩნდა ოსეთის საელჩო – სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა“ [9, 6]. იქნებ აგვიხსნას ამხანაგმა კარასინმა ბუნებაში როდის არსებობდა „სამხრეთ ოსეთის“ ხალხი ან სახელმწიფო და, რომელ სიზმარში ნახა ოსების საელჩო ადრე რუსეთში, რომელიც კვლავ გამოჩენილა? გასაგებია რა როლს ითამაშებს აბაშიძე-კარასინის „დუეტი“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებაში, როდესაც რუსი დიპლომატის გულში ამდენი ბალღამი ტრიალებს. ახლა უკვე მეცნიერ-დიპლომატს – მედოევს მოვუსმინოთ: თურმე „ოსეთის მთიანი მხარეების დამორჩილებას ეშმაკობით ან ძალით ცდილობდნენ ქართლ-იმერეთის ვილაიეთები, რომელიც თავის მხრივ ირანისა და თურქეთის ვასალები იყვნენ“ [9, 10]. გულისამრევი უვიცობა, ან შეგნებული სიცრუე. ქართლისა და იმერეთის სამეფოები ვილაიეთები ყოფილა. სად, რომელი წყაროა წერილობითი ან ზეპირი ქართველების მიერ „ოსეთის“ დაპყრობის მცდელობისა.

შემდეგ მედოევი საუბრობს უძველესი დროიდან ალანთა ქრისტიანობაზე [9, 16]. ავტორს ავიწყდება, ან არ იცის, რომ ქრისტიანობის საშუალებით (X ს.) ქართული ენა გავრცელდა ალანებში. შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებუ-

ლი ტერმინები ოსურში თითქმის ქართულია: ძუარ (ჯვარი), კვირა, მთავარანგელოზი, მარხვა, პარასკევი, მიქელ-გაბრიელი, ქრისტე, მარიამი, წმინდა გიორგი (ვასთირჯი), ილია წინასწარმეტყველი და სხვ. [1, 232]. XVIII საუკუნის 40-იან წლებში რუსეთში გასაგზავნი დელეგაციის შესახებ მედოევი მიიჩნევს, რომ ისინი შერჩეულ იქნენ ოსეთის ხუთი საზოგადოების წარმომადგენელთაგან: დიგორიდან, სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ოსეთის ცენტრალური ნაწილიდან [9, 18]. სად იყო ოსეთის ეს ტერიტორიები საინტერესოა. სინამდვილეში კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ოსების თვითსახელწოდებაა ირონ, დიგორონ. უფრო სწორად, ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ჰქონიათ. რაც შეეხება ეთნონიმს „ოსი" და დღევანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებას – „ოსეთი", ოსები არასდროს არ იცნობდნენ. ჯერ რუსულ ენაში და შემდეგ სხვა ხალხებში ეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) „ოსი" ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნონიმით ოსებს ქართველთა გარდა ფაქტობრივად, არავინ იცნობდა. ოსები ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ალანების ნარჩენ ხალხად მიიჩნევა. ამავე დროს ოსები არც ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან. ოსური ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, XIII საუკუნის შემდეგ ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდა [2, 85-86].

ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით ოსები იყოფიან ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუფად: „ირებად" (ან „ირონებად") და „დიგორებად" (ან დიგორელებად") [3, 80-81].

უფრო მეტიც, გამოჩენილი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის აღიარებით: „... მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ ოსები წარმოშობით არ არიან დაკავშირებული მეზობელ კავკასიელ ხალხებთან. კავკასიაში ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან. კერძოდ, სამხრეთ-რუსეთის ველებიდან. წყაროებში მათ ეწოდებოდათ ალანები. ხოლო ალანები, ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის მოწმობით (ჩვ.წ. - აღ. I საუკუნე) – სკვითური ტომია, რომლებიც ცხოვრობენ აზოვის ზღვისა და დონის მხარეს" [4]. მედოევი ერთ-ერთ სიზმარში საქმეს ისე წარმოაჩენს, რომ თითქოს ბუნებაში არსებობდა რაღაც ოსური სახელმწიფო და მის დაახლოებას რუსეთთან ხელს უშლიდნენ სხვა ძალებთან ერთად ქართველებიც [9, 19-21]. მედოევის მორიგ სიზმარში XVIII საუკუნეში არსებობდა „სამხრეთ ოსეთი", საიდანაც ყოფილა სერგეი ალგუზათი [9, 22].

მინდა შევახსენო „სამხრეთ ოსეთის“ ელჩს, რომ საქართველოში არ არსებობს სხვა უფრო ქართული ტერიტორია, ვიდრე შიდა ქართლია, სადაც ოსების აზრით მათი „სახელმწიფოა“. ოსების მიერ ახლო წარსულში დაკავებული ეს მიწები ქართველთა ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისი იყო. აქ, თუ ოდესმე ოსებს უცხოვრიათ, მაშინ მათ კულტურას უნდა დაეტოვებინა თუნდაც მცირე ნაკვალევი ამ მიწაზე. მაგრამ ის არსად არ არის: ყველაფერი, რაც ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად და ყველაფერი რაც ხელოვნებათმცოდნეების მიერ შემჩნეული და შესწავლილი იქნა მიწის ქვეშ თუ მიწის ზევით – მხოლოდ ქართულია [5, 89].

ოსი ერი თვითგამოირკვა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ოსთა ისტორიული განსახლების ფარგლებში. და როგორი ციინიზმია შექმნა ჩრდილოეთი ოსეთი რუსეთში, ხოლო სამხრეთი ოსეთი – საქართველოში. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სტალინური ნების მანიპულაციებმა პრობლემა არაფრისაგან, ფიქციისაგან წარმოშვეს – შეიქმნა ილუზია იმის არსებობისა, რაც არასოდეს არსებობდა ისტორიულად და რასაც არ ჰქონდა პერსპექტივა არსებობისა მომავალში, არც ფაქტობრივად, არც თეორიულად. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ არსებობა ამიტომაც იყო დამყარებული მხოლოდ ხიშტებზე, ძალადობაზე და ეროვნული ინტერესების პროფანაციაზე [6, 43-44].

საინტერესოა ოსეთის რომელ სახელმწიფოს დელეგაციაზეა ლაპარაკი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას რომ ითხოვდნენ? სიზმრების კულმინაციაა 1751 წელს, როგორ უშლიდნენ ხელს ქართველები ოსების დელეგაციას ოსები რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღოთ [9, 31]. რომელი ოსეთის ან ოსებისათვის უნდა შეეშალა ხელი ქართლისა და კახეთის მეფეებს XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ოსურ-რუსული მოლაპარაკების დროს. რომელ ოსეთზეა ლაპარაკი, ხიზან-მოჯამაგირე ოსებზე? ალბათ საერთოდ არ უნდა ღირდეს ლაპარაკი უმადურ ეთნოსზე და მათ ე. წ. „დიპლომატ – მეცნიერზე“.

მოვუსმინოთ მედოევს: „1751 წლის 29 ოქტომბერს ოსი ელჩები მიიღო საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველმა ვ. მ ბაკუნინმა, რომელიც ითვლებოდა ჩრდილო კავკასიის საკითხების მცოდნედ. მან ელჩების წინ გაშალა 1744 წელს შედგენილი რუკა და სთხოვა აღენიშნათ მასზე ის ადგილები საიდან მოვიდნენ და სად სურდათ გადასახლება. ელჩებმა რუკაზე მიანიშნეს გამოტოვებული ობიექტები – კერძოდ იქ არ იყო ნაჩვენები მდინარე გიზელდონი – და მიუთითეს

დასახლებისათვის მათთვის მისაღები ტერიტორია. ეს იყო ჩრდილო კავკასიაში ფიაგდონისა და არდონის ხეობები, „თავისუფალი მიწები“. მაგრამ კომისიამ ბელგრადის შეთანხმებიდან გამომდინარე შესთავაზა ტერიტორია რუსეთის საზღვართან, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ოსებისათვის. მათ სურდათ მთებთან, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ [9, 32-33].

როგორც ვხედავთ ტყუილში თავად გამოტყდა დიპლომატი. ოსებს შეერთება კი არა რუსეთის ტერიტორიაზე ჩასახლება ნდომებიათ. რამდენადაც ცნობილია დონი – ოსური სიტყვაა და ნიშნავს წყალს. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა მდინარე დონის სახელი. ასევე ოსების ისტორიულ სამშობლოში მდინარეთა სახელწოდებები: გიზელდონი, ფიაგდონი და არდონი. ოსებიდან წარმოშობილს მიიჩნევენ დნეპრისა და დნესტრის სახელებსაც. ზოგიერთი მეცნიერის „ფანტაზია“ კიდევ უფრო შორს მიდის და ლონდონის სახელსაც ოსურ სიტყვად თვლის. ეს მათი საქმეა. დონი, არდონი, ფიაგდონი, ლონდონი... გაუშვი, რაც ქვეყანაზე „დონი“ და სიტყვის ბოლო „დონზე“ მთავრდება იყოს ოსური. ეს ჩვენ არ გვეხება. მითუმეტეს, რომ საქართველოში არ არის არც დონი, არც არდონი, არც გიზელდონი, და საერთოდ ასეთი დაბოლოების ტოპონიმი. და არც შეიძლება იყოს, რადგან ისინი გავრცელებულია მხოლოდ ოსების ისტორიულ ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ ოსეთში.

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ისტორიულად ოსებს საქართველოში არასდროს არ უცხოვრიათ [7, 56].

ავტორმა, რაც წინა გვერდებზე აგვიხსნა, რომ თითქოს ოსეთის რუსეთთან შეერთებაზე იყო ელჩობა ჩასული და ქართველები უშლიდნენ ხელს, რამდენიმე აბზაცის შემდეგ შავით თეთრზე წერს: „ამ ტურის მოლაპარაკებებში ელჩები შეეცადნენ არ წამოეწიათ საკითხი რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, რადგან დაინახეს, რომ გადასახლებაზე საუბარიც კი საკმაოდ რთული აღმოჩნდა .ისინი შეეცადნენ დაერწმუნებინათ ბაკუნინი, რომ მათ იმპერატორთან შეხვედრა-თაყვანისცემისა და მადლიერების გამოსახატავად უნდოდათ“ [9, 33]. „რუსეთი და ოსეთი – განაგრძობს დიპლომატი – დარწმუნდნენ ერთმანეთთან შეხვედრის კანონზომიერებასა და ამ ისტორიული პროცესის აუცილებლობაში. რუსეთის მეშვეობით ოსეთმა მიიღო სასიცოცხლო სივრცე, ხოლო რუსეთმა ოსეთის სახით – ერთგული და საიმედო მოკავშირე მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში“ [9, 38]. პირდაპირ გაგიკვირდება, რა ყოფილა ეს ოსეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. . .

როგორც კი რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შემოაბიჯა, დარიალის ხეობაში კომპაქტურად დასახლებულ „სტრატეგიულ პარტნიორ“ ოსებს პირველი გაკვეთილი ჩაუტარა. აი, რას იგონებს თვითმხილველი: ..ამას წინათ კაპიტან-ისპრავნიკი-ჟამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები. გობში, საიდანაც ძაღლები სვლეპენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა, შიგვე ჩაყარა ადამიანის სიბინძურე და მათ აჭამა. იმავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა“.

რუსი მოხელეები აიძულებდნენ მათ უფასოდ გამოეყვანათ ხარ-ურმები, ცხენები, მიეცათ სურსათ-სანოვაგე, პური, ქერი, ფრინველ-პირუტყვი, ცხენებისათვის თივა და სხვა, ხოლო ფულს არ უხდიდნენ“ [8, 915-916].

სადა აქვთ ჯაყოებს ტვინის გამორეცხვის ამდენი ფანტაზია – საოცრებაა. კუჩუკ-კაინარჯის ზავით ხომ „ერთიანი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანა“ [9, 40]. ჯაყოს კოშმარული სიზმრის თანახმად კი რუსეთის არმია XIX საუკუნის პირველ ნახევარში ახალი ქართველი თავადების „შეკვეთით“ ოსეთზე თავდასხმებს ახორციელებდა“ [9, 40]. „ბრძენი პოლიტიკოსი“ იქვე უმატებს „და ადგილი ჰქონდა ერთიანი ოსეთის გაყოფას ჩრდილოეთად და სამხრეთად 1917 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ“ [9, 40]. სწორედ ამ დროს იტყვიან: „სასაცილოა სატირალი, რომ არ იყოს“.

როდესაც პოსტსაბჭოთა პერიოდს ეხება მედოევი, „გაზაფხულის ფერებში ხატავს“ ოსების თხოვნას დაეხმაროს და შეიერთოს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთი“ [9, 81, 82]. ვისი მიწით შესვლას თხოულობდნენ ჯაყოები რუსეთთან შეერთებას? ჯაყოს კიდევ ერთი საინტერესო სიზმარი: პანკისის ხეობაში ოსების დასახლებას XIV-XV საუკუნით ათარიღებს, რაც ქართველი მეფეების სურვილი ყოფილა. საარქივო დოკუმენტური წყაროების მიხედვით კი „პანკისის ხეობაში ოსების ჩამოსახლება დაიწყო XX საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი თავადებისაგან მიწების ყიდვის შემდეგ“ [10, 20].

„გამოჩენილი ფანტასტი მწერალი“ დიმიტრი მედოევი დასკვნით ნაწილში ისტორიული ფაქტებისადმი შესაშურ „ცოდნას“ ამჟღავნებს. თურმე „1922 წელს სამხრეთ ოსეთი მისი ხალხის საწინააღმდეგოდ ახლად წარმოქმნილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შეუყვანიათ“, რასაც ოსი ხალხი არასდროს არ ცნობდა [9, 197]. ამით ძალდატანებითი ანექსია მომხდარა ოსეთის ეროვნული ტერიტორიის ნაწილისა [9, 198].

კომენტარი მართლაც ზედმეტია. უფალმა შეუნდოს!

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1969.
2. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007.
3. ვ. ითონიშვილი, კავკასია და კავკასიელები, თბილისი, 2007.
4. Куръер юнеско, 1997, №1.
5. П. Закарая, К истории зодчества Шида Картли, в сборнике: „Осетинский вопрос", Тбилиси, 1994.
6. ა. სილაგაძე, საქართველო 92, თბილისი, 1993.
7. А. Тотадзе, Осетины в Грузии, Тбилиси, 1994.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.
9. Д. Медоев, „Южная Осетия и политика России в закавказъе", Москва, 2014.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 37.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical sciences, Professor, IvaneJavakhishvili Tbilisi State University, the Head of the Department of Modern and Contemporary History of the IvaneJavakishvili Institute of History and Ethnology

„Jaqo's Dreams"

Summary

In 2014 there was printedthe extraordinary and plenipotentiary ambassador of so called „South Ossetia" DimitriMedoev's book „South Ossetia and policy of Russia in Transcaucasia" published by „Canon" («Южная Осетия и политика России в Закавказье", Издательство „Канон») in Russian Federation. The introduction belongs to the deputy minister of foreign affairs of Russian Federation GrigoriKarasin.

In the thesis all documentary sources are falsified. The Ossetianssettlement in ShidaKartli in centuries is rejected and Ossetians' historic

motherland is announced to be the part of territory of Georgia, which was artificially called „South Ossetia".

We have tried to estimate objectively the falsification intention in the thesis under review and substantiated the duet of Ossetians living in Kartli and Russian Federation in the frame of occupation sovereign Georgia.

კოკა კუტუბიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მურად შონია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ფრიად საჭირო წიგნი

რ. ღიბრაძისა და ვ. ლაფერაშვილის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო „ინოვაციური ტექნოლოგიები გამოყენებით სოციოლოგიაში" განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან და სასწავლო პროგრამით შედგენილი თხუთმეტი თავისაგან. ყოველი თავის ბოლოს დართული აქვს საკონტროლო კითხვები და ძირითადი ლიტერატურის სია.

წიგნის პირველ ნაწილში განხილულია სოციოლოგიის ფუძემდებლები, ის კლასიკოსები, რომლებმაც დააფუძნეს და ჩამოაყალიბეს სოციოლოგიის მეცნიერება (მოყოლებული ო. კონტიდან, ჰ. სპენსერი, ჯ. ს. მილი, ე. დიურკჰეიმი, მ. ვებერი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოციოლოგიის ფუძემდებელმა ოგიუსტ კონტმა სოციოლოგიის მეცნიერებას იმთავითვე განუსაზღვრა ემპირიული, პრაქტიკულ-გამოყენებითი მისია. მეცნიერული პოზიციებიდან ემპირიულ ფაქტებზე დაკვირვებით, აღწერით, ექსპერიმენტით, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენით, საზოგადოებრივი პროცესებისა და ტენდენციების კვლევით შესაძლებელი უნდა გამხდარიყო მომავლის მეცნიერული პროგნოზირება. სწორედ ასეთი მისია დააკისრა გამოჩენილმა ამერიკელმა სოციოლოგმა რ. მერტონმა, რომელმაც ზოგადთეორიულ და კონკრეტულ სოციოლოგებს შორის გამოჰყო გარდამავალი შუალედური დონის სპეციალური თეორია, რომელსაც გარკვეულ სფეროებში მჭიდროდ უნდა დაეკავშირებინა თეორიული და ემპირიული ანუ გამოყენებითი მხარეები, განეზოგადებინა ემპირიული კვლევების შედეგები და ჩამოეყალიბებინა სპეციალურ-გამოყენებით თეორიებად. ამ მიმართებით წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია გამოყენებითი სოციოლოგიის დანიშნულება, როლი და ფუნქციები სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურაში და გაკეთებულია დასკვნა, რომ გამოყენებითი სოციოლოგია ფორმირ-

დება სოციოლოგიური ცოდნის წიაღში განსხვავებული დონის სოციოლოგებს შორის, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულ მცირემასშტაბიან კვლევებზე პრობლემების მოხსნისა და დარეგულირების მიზნით. აქედან გამომდინარე, გამოყენებითი სოციოლოგია სოციოლოგიურ თეორიებთან ერთად იყენებს ემპირიული კვლევის მეთოდებსა და მეთოდოლოგიას, შეიმუშავებს კვლევის ტექნიკას, პროცედურებსა და ინსტრუმენტალიებს. მეცნიერული კვლევის საერთო არსენალიდან ავტორები გამოჰყოფენ მნიშვნელოვან და ფართოდ გამოყენებად კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: დაკვირვების; ექსპერიმენტის; ჰიპოთეზის; შერჩევითი და მთლიანი დაფარვის; საკვლევლაბორატორიული, დოკუმენტური ანალიზის; წერტილოვან და ოპერატიულ-განმეორებით გამკვლევებს, როგორიცაა: ლონგიტუდური, ტრენდული, პანელური, სოციალური მონიტორინგის მეთოდები. ამასთანავე, განხილავენ კვლევის ისეთ სახეებს და მიდგომებს, როგორიცაა: საძიებელ-პილოტაჟური; აღწერითი და ანალიტიკური; აგრეთვე პრობლემებზე ორიენტირებული: ერთჯერადი გამოყენების, ოპერატიულ და მარკეტინგულ კვლევებს. ფართოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე სოციო-ინჟინერინგული და სოციო-კლინიკური მიდგომები-სტრატეგიები, რომლებიც XXI საუკუნის მულტიდისციპლინარული დარგებია და აერთიანებს როგორც ტექნიკური ინჟინერიის, ბიოლოგიის, მედიცინის, კომპიუტერული მეცნიერების ცოდნასა და გამოცდილებას, რასაც დიდი წარმატება მოაქვს განსაკუთრებით ჯანდაცვის სისტემაში.

წიგნის I ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ ურთიერთობებს და ორგანიზაციულ ქცევას. ძალზედ მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ქცევის აქტუალიზება, მითუმეტეს თანამედროვე ცვალებად და კონკურენტულ გარემოში, ორგანიზაციული საქმიანობის გასაუმჯობესებლად (ორგანიზაციული ქცევა აშშ-სა და დასავლეთის უნივერსიტეტებში სტანდარტული საგანია. 1990-იანი წლებიდან ინჟინრებს ანაცვლებენ ორგანიზაციული თეორეტიკოსებით). ორგანიზაციის მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის პრობლემების შესწავლა უფრო მეტად განამტკიცებს ორგანიზაციული ქცევის შესწავლის მნიშვნელობას უნივერისტეტებსა და წარმოების ყველა სფეროში, სადაც თავმოყრილია ის ძირითადი საკითხები, როგორიცაა: მეცნიერული მენეჯმენტისა და მართვის; ორგანიზაციული იერარქიისა და სტრუქტურის; სამუშაო ძალთა გადანაწილების; ძალაუფლებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, გადაწყვეტილების მიღების, ბრძანებებისა და განკარგულებე-

ბის გაცემისა და შესრულების, ეფექტური კონტროლის მექანიზმების, რომლებიც უმნიშვნელოვანესი ფაქტორებიაა თანამედროვე ორგანიზაციის შიგა მოწყობის მენეჯმენტში.

ავტორების სასახელოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წიგნის II ნაწილში მათ თავი მოუყარეს გამოყენებითი სოციოლოგიის ორგანული ნაწილის ფრიად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებს, როგორიცაა: ინოვაციური ტექნოლოგიების არსი და მნიშვნელობა წარმატებული საქმიანობისთვის. ავტორები განასხვავებენ ტექნიკურ და სოციალურ ინოვაციებს, თუმცა ორივე სახეობის ინოვაციის ავტორი შემოქმედებითი ადამიანია, რომელიც მის წინაშე დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ფიქრობს და საქმიანობს ძველის ახლით შეცვლაზე, განახლებაზე. ტექნოლოგია არის მეცნიერული ცოდნის სისტემატიზირებული გამოყენება პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, ადამიანური მოღვაწეობისა და შემოქმედების ნებისმიერ სფეროში. იგი არის სოციალური მიზნებისა და ამოცანების მიღწევისა და განხორციელების აუცილებელი, ეფექტური და საუკეთესო საშუალება. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მიზნებიდან გამომდინარე, სოციალურ ტექნოლოგიებში დამუშავებულია მთელი რიგი ფაქტორები, რომლის ცოდნა და გამოყენება აუცილებელია ნებისმიერი ეფექტური და წარმატებული საქმიანობისთვის როგორც ინდივიდებში, ისე სოციალურ ჯგუფებსა და ორგანიზაციებში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა – ადამიანებთან ეფექტური მუშაობა, ისეთი ურთიერთობებისა და ატმოსფეროს შექმნა, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი, გახსნილნი, მოტივირებულნი, რომ მთლიანად იყვნენ ჩართულნი თავიანთ საქმიანობაში. მნიშვნელოვანია ადამიანური შესაძლებლობების გამოვლენის ფაქტორი – ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს თანამშრომლების უნარ-ჩვევების, მიდრეკილებებისა და განწყობის გამოვლენა. ყურადღება უნდა მიექცეს – ღირებულებითი ირიენტაციის ფაქტორს, რომელიც არის ადამიანის ქცევის განმაპირობებელი, ადამიანის საქმისადმი დამოკიდებულების, მიდგომების, ხედვების, მიდრეკილებებისა და განწყობების განმსაზღვრელი. აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანთა და სოციალურ ჯგუფებს შორის – დამოკიდებულების ფაქტორი, მისი ჰარმონიზება და ე. წ. „კორპორაციული სულისკვეთების“ გამომუშავება, ინტერესისა და მოლოდინის, მოთხოვნილებისა და აქტიურობის ფაქტორი და სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმატებული საქმიანობისთვის ჩამოყალიბებული თამაშის წესები, რომლებიც კარგად არის წარმოდგენილი წიგნის VII თავში.

მოცემულ წიგნში ყურადღების ცენტრშია ყოველთვის აქტიური, მიზანმიმართული, სიხალისკენ მიდრეკილი ადამანი. ამისათვის შერჩეულია ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური თემები, როგორიცაა: კომუნიკაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ თანამედროვე პირობებში. განხილულია კომუნიკაციის თანამედროვე და ეფექტური საშუალებები და ტექნოლოგიები. მოცემულია კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავების რეკომენდაციები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეორეტიკოსები თანამედროვე მოწინავე ქვეყნების საზოგადიებას ინფორმაციულ საზოგადოებად მიიჩნევენ, შესაბამისად ძალზედ დიდი მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე მსჯელობა. ამ მიმართებით ტრადიციულ საინფორმაციო სისტემებთან ერთად (ფოსტა, პრესა, რადიო-ტელევიზია), აუცილებელია ახალი ოპტიკურბოჭკოვანი ხაზების, მულტიმედიური ტექნოლოგიების, გლობალური კომპიუტერული ქსელებისა და სხვა თანამგზავრული კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ინტელექტუალური სისტემების კონცეფციების ცოდნა, როგორიცაა: ანალიტიკური, დეტერმინირებული, ალბათური, სტრუქტურულ-ანალიტიკური, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები, რასაც მოცემულ შრომაში VIII და IX თავი ეძღვნება.

მოცემულ სახელმძღვანელოში ჯეროვნად არის განხილული ლიდერისა და ლიდერობის საკითხი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ძალაუფლებასთან. განსხვავებულია ლიდერის ფუნქციები, ხელმძღვანელისა და მბრძანებლის ფუნქციბისაგან, დახასიათებულია: მოტივირებული, ტრანსფორმაციული და მორალური ტიპის ლიდერები. ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ლიდერის ფორმირების საკითხს. სოციალურ ტექნოლოგიებში გაწერილი და ჩამოყალიბებულია ლიდერობისთვის საჭირო და აუცილებელი თვისებები, ლიდერად გახდომის გზები და საშუალებები, ლიდერის ძირითადი ფუნქციები. ამ მიმართებით არსებული აპრობირებული ცოდნისა და გამოცდილების მარაგი, რომელიც კარგად არის დალაგებული და გადმოცემული შესაბამისი რეკომენდაციების სახით.

შემდეგი ორი თავი ეძღვნება კონფლიქტური და ექსტრემალური სიტუაციების მართვას. როგორც წესი, კონფლიქტს ვუწოდებთ სიტუაციას, რომელშიც მონაწილე მხარეები შეუთავსებადია, ან აღიქმებიან შეუთავსებლად, რომლის დროსაც ადამიანთა შორის ირღვევა ურთიერთობები და თითქმის ყოველთვის ნეგატიურ კონტექსტში აღიქმება, მაგრამ სოციალურ ტექნოლოგიებში არსებობს

სხვაგვარი მიდგომაც. ცნობილი კონფლიქტოლოგის ჟან ბეიკერ-მილის აზრით „ის ყოველნაირი ზრდის წყაროა და სრულიად აუცილებელი სიცოცხლისათვის“... ისიც უნდა ითქვას, რომ თუ მოხერხდა მისი მართვა, მაშინ იგი დადებითად იმოქმედებს საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე. წიგნში განხილულია და ქვეთავებად არის წარმოდგენილი: კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და ტიპები, რა იწვევს კონფლიქტების ესკალაციას და როგორ შევწყვიტოთ იგი, კონფლიქტის გადაწყვეტის ძირითადი პრინციპები, კონფლიქტის მართვის სტრატეგიები და მოგვარების ხერხები და ბოლოს ყურადღება გამახვილებულია ორ ურთიერთ საპირისპირო კონკურენციის – „მოგება-წაგებისა“ და თანამშრომლობის – „მოგება-მოგების“ პრინციპებზე-სტრატეგიებზე.

რაც შეეხება ფრიად მნიშვნელოვან და საჭირო სფეროს – ექსტრემალური სიტუაციების მართვას, წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავები: რას წარმოადგენს კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციები, რა არის რისკის ფაქტორი და რა კომპონენტებისაგან შედგება რისკის მართვა. კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების დაძლევის გზები და მართვა, როგორია ხელმძღვანელობის როლი კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების მართვაში.

წიგნის შემდგომი თავები ეძღვნება სოციალურ ტექნოლოგიებს მართვის ეფექტურობის ამაღლებასა და ხელმძღვანელის თანამშრომლებთან ურთიერთობის საკითხს. როგორც ცნობილია, უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმატებით მართვაში მაღალი ორგანიზებულობის დონე და ეფექტური საქმიანობის ხარისხი, რასაც ჩვენში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ტექნიკურ თუ ადამიანურ რესურსებზე მსჯელობისას სოციალურ ტექნოლოგიებში უმთავრესი ყურადღება ადამიანურ რესურსებზეა გადატანილი. ნებისმიერი საწარმოსა და ორგანიზაციის წარმატებით საქმიანობის უზრუნველსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესია შესაბამისი პროფესიული უნარჩვევებისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური კადრების შერჩევა, დაკომპლექტება; აზრის თავისუფლება, ორგანიზაციული საერთო მიზნისკენ სწრაფვისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო; ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს წახალისებისა და დაწინაურების შესაძლებლობა და სხვა მნიშვნელოვანი წესები და რეკომენდაციები, რომლებიც ფართოდ არის წარმოდგენილი, სადაც ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ თანამედროვე სოციალურ ტექნოლოგიებში გაზრდილია მოთხოვნები არა მხოლოდ მაღალი ხარისხის ინოვაციური

ტექნოლოგიების დანერგვაზე, არამედ ადამიანის ფაქტორსა და როლზე, სოციალურ-ორგანიზაციული დონის ამაღლებაზე, საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. ამ მიმართებით სოციალურ ტექნოლოგიებში მართვის ეფექტურობისა და მაღალშედეგიანობის მისაღწევად ჩამოყალიბებულია ყველასათვის სავალდებულო „თამაშის წესები", რაც გულისხმობს ორგანიზაციაში ყველა თანამშრომლის ეფექტურ ჩართვას, მათი ინდივიდუალურ-პიროვნული თვისებების აღმოჩენასა და ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებისკენ წარმართვას, რისთვისაც საჭიროა ისეთი საკადრო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ეფექტურად მართვის ხელოვნება დაფუძნებული უნდა იყოს ლიდერისა თუ ხელმძღვანელ-მენეჯერის მართველობის დემოკრატიულ სტილზე, რომელიც ვალდებულია თანამშრომლებს გააცნოს ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები და განუხრელად დაიცვას იგი; იზრუნოს ორგანიზაციის მდგრადობაზე; თანამშრომელთა თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციის უზრუნველყოფაზე; თანამშრომელთა მჭიდრო, ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე; ორგანიზაციული მიზნებისა და ამოცანების გათავისებაზე; არა ეფექტური მუშაკების დელიკატურად განთესვაზე „გამომარგვლის" პროცედურით; წახალისების ეფექტური ფორმის დანერგვაზე; მუდმივი ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს ცოდნის გაღრმავება და კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც ხელმძღვანელ-მენეჯერისთვის, ისე თანამშრომლებისთვის.

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის ხელმძღვანელ-მენეჯერის თანამშრომლებთან ურთიერთობის საკითხს, ხელმძღვანელის მეირ გამოცემულ ბრძანებებს, განკარგულებებსა და დირექტივებს, რომლებიც წიგნის ბოლო XV თავშია მოცემული და ჯეროვნად არის განხილული და ჩამოყალიბებული.

ამგვარად, როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, გამოყენებითი სოციოლოგიის კუთხით დანახული, შერჩეული, გაანალიზებული, ერთ წიგნში თავმოყრილი და სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი ასეთი საჭირო, აქტუალური საკითხები მართლად ინოვაციური და გამორჩეულია ჩვენს სინამდვილეში.

უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ ჩვენს ქვეყანაში სა-

ხელმწიფო დონეზე მხოლოდ ეხლა ექცევა ყურადღება 2014 წლის ნოემბერში ყალიბდება საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და მართვის ტექნოლოგიებში ჩამორჩენის დასაძლევად. ამ მიმართებით აღნიშნული სახელმძღვანელო შეიტანს გარკვეულ წვლილს. აღნიშნული კურსი აუცილებლად უნდა იკითხებოდეს ყველა ფაკულტეტზე (განსაკუთრებით სავალდებულო უნდა იყოს მენეჯმენტის განხრით სტუდენტებისთვის).

Koka Kutubidze
Professor of the Georgian Technical university
Murad Shonia
Professor of the Georgian Technical university

Very Needed Book

Summary

The textbook „Innovative technologies in applied sociology", represented by R. Gibradze and V. Laperasvhili is intended for students of higher educational institutions and consists of two parts and fifteen chapters composed according to academic programme. Control questions and list of basic references are applied to every part in the end.

So, as is mentioned in the introduction to the book, such necessary, topical issues, which are viewed, selected, analyzed from the viewpoint of applied sociology and are collected in one book and represented as a textbook, are really innovative and outstanding in our validity.

It should be noted the circumstance that in our country only today the government starts to pay the attention to this problem. The centre of information technologies has been established in November 2014 for overcoming the lag in introduction of innovative technologies and management technologies. Mentioned textbook will make a certain contribution in this regard. This course must be compulsorily read at every faculty (it is especially necessary for students specialized in management)

ზურაბ კვეტენაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერ-
სიტეტის ასოცირებული პროფესორი*

ისტორიის ალტერნატივის რამდენიმე ასპექტი საქართველოს ისტორიიდან

*მაშ მტკიცედ იდექით თავისუფლებით,
რომლითაც ქრისტემ გვათავისუფლა და კვლავ
ნუღა დაიდგამთ მონობის უღელს.
გალატელთა მიმართ 5:1*

„ისტორიის ფილოსოფიაში" ჰეგელი ალექსანდრე მაკედონელის დაღუპვის შესახებ წერდა: „ალექსანდრეს ბედმა გაუღიმა, რომ დროზე მოკვდა. „ბედი" კი შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ ეს უფრო აუცილებლობა გახლდათ, იმისათვის რომ შემდგომ კაცობრიობას ჭაბუკად შერჩენოდა, იგი ადრე უნდა გარდაცვლილიყო... ალექსანდრემ თავისი საქმე დაამთავრა და თავისი სახე განასრულა, ასე რომ მსოფლიოს მან ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი სანახაობა დაუტოვა, რომლისაც ჩვენს რეფლექსებს მხოლოდ გაფუჭება თუ ძალუძთ" [14, 16]. ამით გენიალურმა მოაზროვნემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ ისტორია არასოდეს არაფერში ცდება, რომ ისტორიაში მნიშვნელოვანი მხოლოდ მომხდარი ფაქტებია და არა ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. მისი მეცნიერული სისტემაც ამ შეუვალ ლოგიზმს ეყრდნობა და კაცობრიობის წამყვან იმპერატივად მოიაზრებს თავისუფლების მარადიულ იდეას, რომელიც ქვეყნად, ისტორიულ გარემოში სულის (გონის) დინამიკის შესაბამისად ვითარდება. ისტორია ესაა სულის (გონის) სხვადასხვაგვარად დაყოფა. ყოფიერების სხვაგვარი სახე. შპენგლერი ასე განმარტავს მას: „ისტორია ესაა სახე, რომლის საშუალებითაც ადამიანის წარმოსახვა ესწრაფვის ამოკრიფოს სამყაროს ცოცხალი ყოფიერების გაგება საკუთარი ცხოვრების მიმართ და ამით მიანიჭოს მას სიღრმისეული სინამდვილე" [18, 10].

მართლაც, ისტორიაში მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როცა

ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის, განსაკუთრებით, ცალკეული ინდივიდების შეფასების დროს ადამიანმა მზერა უნდა მიაპყროს სამყაროს ცოცხალი ყოფიერების დინამიკას, სულის (გონის) დინამიკას და ეპოქის ფსიქოლოგიური წიაღიდან შეაფასოს მოვლენები, რადგან ზოგჯერ ემპირიულ-წყაროთმცოდნეობითი ბაზის მონაცემები ასეთ მოვლენათა შეფასებისას არასაკმარისია.

ისტორიულ მეცნიერებაში, საისტორიო პუბლიცისტიკაში ხშირად ვაწყდებით ისტორიულ მოვლენათა და ინდივიდთა (ისტორიულ პიროვნებათა) წინააღმდეგობრივ შეფასებებს, ზოგჯერ კი მეცნიერულ წრეებში რადიკალურად განსხვავებული პოზიციების გამოკვეთას. არის შემთხვევები, როცა სასურველი ლამის სინამდვილედ საღდება და მთელი მოვლენა ისტორიის ე. წ. ალტერნატივის პათოსით განიხილება; ანუ ყურადღების გადატანა ხდება იმაზე თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო და ეს „უკეთესი ან უარესი იქნებოდა". ეს განსაკუთრებით ახასიათებს პოსტსაბჭოთა მენტალიტეტს. ისმება ისტორიული ფსევდომორფოზის პრობლემა. არსებობს თუ არა ისტორიული ფსევდომორფოზა? ცდება თუ არა ისტორია? აქვს თუ არა აზრი ისტორიის ალტერნატივას? საქართველოს ისტორიაც მრავლად იძლევა ამგვარი კითხვების დასმის საფუძველს. ისტორიის ე. წ. ალტერნატიული ცნობიერების წყალობით ბევრი სახელოვანი ქართველი მამულიშვილი ან „ჩრდილშია" ან კიდევ დღემდე დაუცხრომელი მეცნიერული დავის საგანია.

ასეთ „უცნობ" და „ჩრდილში" მდგომ ქართველთა რიგშია 1393–1407 წწ. მოღვაწე ქართველი მეფე გიორგი VII. ქართულ სამეცნიერო წრეებში (და არა მარტო სამეცნიერო) ფიგურირებს მოსაზრება, რომ შეუპოვარი, თავგანწირვამდე მისული ბრძოლა, რომელიც მეფე გიორგიმ თემურლენგს გაუმართა და, რომელმაც თითქმის ნახევარი საქართველო შეიწირა, რომლის შედეგადაც ერთიანმა ქართულმა სამეფომ დაშლა დაიწყო, იყო პოლიტიკური შეცდომა, რომ წინასწარ საჭირო იყო იმის გამოცნობა, დიპლომატიური ალღო, თუ რა ძალას წარმოადგენდა თემურლენგი, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა მისთვის ხარკის მიცემა; თემურლენგი ამით დაკმაყოფილდებოდა, მით უფრო, თუ საქართველოს სამეფო კარი ჩაკეტავდა კავკასიონის გადმოსასვლელებს და მოკავშირედ გაუხდებოდა არა ოქროს ურდოს ყაენს, არამედ თემურლენგს. ასე მოიქცეოდა ჭეშმარიტი დიპლომატი და საქართველოს ააცილებდა იმ საშინელ ტრაგედიას, რომელიც თემურლენგის რვაგზისმა შემოსევამ მოიტანა. ამგვარი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავთ შირვანის მბრძანე-

ბელი შეიხ იბრაჰიმი, რომელიც ცხრა ტომარა ოქროთი, ცხრა ტომარა ვერცხლით და რვა მონით (რადგან მეცხრედ საკუთარი თავი გამოაცხადა) შეეგება მრისხანე აზიელ დამპყრობელს და ქვეყანა აოხრებას გადაარჩინა.

ვფიქრობთ, გულუბრყვილო-რეალისტურმა მიმართებამ ამ პრობლემისადმი ადვილად შეიძლება შეცდომაში შეგიყვანოს.

რა არის საისტორიო მეცნიერებისათვის უფრო მნიშვნელოვანი – გამოცნობა თუ რა მოხდებოდა გიორგი VII-ის „დიდი დიპლომატობის" საგარეო ორიენტირების „სწორად შეფასების" შემთხვევაში, თუ იმის ახსნა, რით იყო განპირობებული ქართველი მეფის საარაკო, ვაჟკაცური წინააღმდეგობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასმულ პრობლემას შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა პროფესორმა კარლო ტაბატაძემ და მართალი, მეცნიერული სიტყვით ახსნა კიდეც ქართველი ხალხის ბრძოლის მიზეზები თემურლენგის წინააღმდეგ, მაგრამ ისტორიის ალტერნატივის პრობლემა ისტორიის ფილოსოფიის პრობლემაა და ზოგადი ხასიათით გამოირჩევა. ამჯერად ჩვენი მიზანია გიორგი VII-ის მაგალითზე ვაჩვენოთ ალტერნატიული იდეის უპერსპექტივობა და საეჭვო მეცნიერულობა.

ცნობილია, რომ თემურლენგი (1336-1405) ბარლასთა გათურქებული მონღოლური ტომის წარმომადგენელი იყო. მავერანნაჰრში განმტკიცებისა და ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ თანდათან გამოიკვეთა მისი ძირითადი მიზანი – ჩინგიზ ყაენის უზარმაზარი იმპერიის აღდგენა. იგი თავს მონღოლთა უშუალო მემკვიდრედ თვლიდა. ერთი სიტყვით, ისეთი ჭკვიანი სარდლისა და მბრძანებლისათვის, როგორიც თემურლენგი იყო, მიზნები იმთავითვე ნათელი გახდა. შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მარბიელი ლაშქრობები, დიდი სივრცეების დაპყრობა, ხალხების დამორჩილება, სიმდიდრეების ხელში ჩაგდება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელ სავაჭრო-საქარავნო გზებზე გაბატონება და ა. შ. თემურლენგის ამ მიზნების განხორციელებას წინ აღუდგა ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში. ასეთ ვითარებაში კავკასიას, რომელიც მუდამ წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ევროპისა და აზიის უმთავრეს დამაკავშირებელ სტრატეგიულ ღერძს, როგორც თემურლენგისათვის, ისე თოხთამიშისათვის წამყვანი ფუნქცია ენიჭებოდა. ომი ოთხთამიშსა და თემულენგს შორის თითქმის 15 წელი მიმდინარეობდა. სავსებით მართალია პროფესორი მიხეილ ბახტაძე, როცა წერს, რომ ბაგრატ V-მ (გიორგი VII-ის მამამ)

როცა არჩევანი ოქროს ურდოს ყაენზე შეაჩერა, სხვა გამოსავალი არც არსებობდა. თემურლენგთან მარტო ბრძოლა უაზრობა იყო, ხოლო მასთან მოლაპარაკება – ძალიან საეჭვო [19, 139]. მაგრამ მოკამათე მხარე ყოველთვის იტყვის, რომ სწორედ აქ შეცდა ბაგრატი არჩევანში, თორემ გადავრჩებოდით თავსდატეხილ უბედურებას.

ვფიქრობთ, ამ კითხვებს პასუხი გიორგი VII-ის ტახტზე ასვლის (1393 წ) შემდეგ გაეცა. ასეა თუ ისე, მეფე გიორგის „საომარი კამათელი" უკვე მანამ დახვდა გაგორებული, ვიდრე ის ტახტს დაიკავებდა და „ომის დაწყების" მისთვის „დაბრალება" უბრალოდ არამართებულია. მაინც, რამ განაპირობა ჩვენი ბრძოლა აზიელი დამპყრობლის წინააღმდეგ! ამისთვის უპრიანი იქნება მოვუსმინოთ სპარსელ ისტორიკოსს მოინ ად დინ ნათანზს: „საქართველოს მეფეს დანებებისა და მორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ გამუსლიმანების შიშით შეუპოვარ წინაღმდეგობას ეწეოდა და ამ სიჯიეუტეს ათეულ ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა" [5, 681-682].

უნდა აღინიშნოს, რომ თემურმა გამაჰმადიანების წინადადებით ჯერ კიდევ დატყვევებულ ბაგრატ V-ს მიმართა. ახალი ქართლის ცხოვრება გვაუწყებს: „ხოლო დაჰპატიჟა ლანგთემურ რჯული მაჰმადისა, ხოლო მეფემან არა უსმინა და ჰყვა პატიმრად" [1, 684]. დიდი შეგონების შემდეგ თემურმა ბაგრატი მაინც დაიყოლია გამუსლიმანებაზე. შარფ ად დინ ალი იეზდის თქმით: „მისი უდიდებულესობის (თემურის) რჩევა-დარიგებების შედეგად ცდომილის (ბაგრატის) ბნელ არსებაში სწორი გზის მაჩვენებელმა სხივმა ჩაიხედა შემწეობის სარკმლიდან" და ბაგრატი გამუსლიმანდაო" [7, 16]. ბაგრატთან ერთად ისლამის სარწმუნოება მიუღიათ მის თანმხლებ პირებსაც. ნეზამ ად დინი და შარაფ ად დინი გვაწვდიან ინფორმაციას, რომ „იმ ქვეყნის შემწე-ქვეშევრდომთა და ხალხთა უმეტესობამ (რომლებიც ბაგრატს ახლდნენ თან) ჰანიფის სჯულისადმი მიდრეკილება გამოავლინა და ისლამის ნეტარებას ეზიარნენ" [7, 17]. სომეხ ისტორიკოსს თომა მეწოფეცსაც მოვუსმინოთ: „მრავალი საჩუქრით (ნიჭით) მოვიდა იგი (ბაგრატი) მორჩილებად ბილწ მეფისა (თემურისა). ხოლო უკანასკნელმა, ეშმაკის სიბოროტით აღსავსემ აიძულა იგი განმდგარიყო, და თვითონ წავიდა ყარაბაღს – ჩვენთა (სომეხთა) პირველ მეფეთა საზამთრო სადგომს. ხოლო ქართველთა მეფემ, აღივსო რა სულიწმინდის სიბრძნით, მოატყუა იგი (თემური) და სთქვა: მომეც მე დიდი ჯარი, რათა წავიდე ქართლში, დავიჭირო მთელი ის ქვეყანა და თქვენს რჯულზე მოვაქციო, რადგანაც რვა

ენისაგან შესდგება ტომი იგი, და ყველას დაგიმორჩილებ და შენს რჯულზე დავაყენებ“ [2, 17]. გამაჰმადიანების წინადადებით უყენებს ულტიმატუმს თემურლენგი გიორგი VII-საც. „უკეთუ გინდა წაუხდენლობა ქვეყნისა შენისა, მოდი ჩემთანა და გათათრდი... უკეთუ არა მოხვალ, დავასრულებ ჯავრსა ჩემსა შენ ზედა და ქუეყანასა შენსა ზედა, ანუ დავასრულო ცხოვრება შენი და ქუეყანაცა“ [1, 694-695]. საქართველოზე თემურლენგის ლაშქრობას „ისლამის გამშვენიერების“ მოტივაციით ხსნიან ისტორიკოსები მიქაელ პანარეტოსი, მირხონდი, აბდ არ რაზაყ სამარყანდი და სხვები [7, 11].

რისთვის სჭირდება თემურლენგს საქართველოში ქრისტიანობის შეცვლა ქართველთათვის ყველაზე უფრო „მისადაგებული“ ისლამის ფორმით – ჰანიფიზმით? განა თემური – ეს უდიდესი მპყრობელი – მთავარსარდალი ისეთი მიამიტია ტყუილუბრალოდ დაღვაროს სისხლი თუკი დაემორჩილები? თუკი ხელს არ შეუშლი მის პოლიტიკურ მიზანს – სრულიად გააკონტროლოს ევრაზიის დერეფანი. დიახ, თემურლენგი საქართველოსგან მოითხოვს მორჩილებას, ხარკს, კავკასიის გადმოსასვლელების ჩაკეტვას და თოხთამიშ ყაენისათვის ხელის შეშლას ოღონდ... ისლამის, ჰანიფიზმის აღიარებით, ქრისტიანობაზე, მართლმადიდებლობაზე ხელის აღებით, ანუ იმის უარყოფით, რასაც ქართველობა ჰქვია, რასაც ქართველი ჰქვია ანუ ყოველგვარი ქართულის განადგურებით.

ჰანიფიზმის რელიგიური მოძრაობა არაბეთშივე ჩაისახა და დიდი გავრცელება ჰპოვა, უპირატესად, მიწათმოქმედ ტომებში. იგი თავისი არსით ახლოს იდგა ქრისტიანობასთან და ქადაგებდა მონოთეიზმის იდეას. თემურლენგის ვარაუდით, რომელსაც საკმაო რელიგიური განათლება ჰქონდა მიღებული, როგორც ჩანს, ასეთი რელიგია ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში ქრისტიანობის შესაცვლელად [5, 682].

თემურლენგი რელიგიური ფანატიკოსი არასოდეს ყოფილა. აკად. ბარტოლდის თქმით, „იგი შიიტი იყო, სადაც ამის საჭიროება მოითხოვდა, სხვაგან სუნიტების დამცველად გამოდიოდა და, საერთოდ, ისე იქცეოდა, სადაც როგორ დასჭირდებოდა [7, 12]. ასე მოიქცა საქართველოშიც, სადაც დიდ აზიელ დამპყრობელს ქრისტიანობის შეცვლა ისლამი – ჰანიფიზმით იმიტომ კი არ უნდოდა, რომ ისლამი უკეთესია ქრისტიანობაზე, რომ ისლამი „მშვენიერების სასწაულს უმზადებს ადამიანს“, ხოლო ქრისტიანობა „ცდომილების გზაა“, არამედ იმიტომ, რომ ქრისტიანობის ისლამით შეცვლა აქ დაკავშირებული იყო თემურლენგის პოლიტიკურ მიზნებთან. მისთვის

ქრისტიანული სამეფოს არსებობა ისეთ სტრატეგიულ უბანზე, როგორიც კავკასიაა, მიუღებელი იყო. საქართველოს დაპყრობა – დამორჩილება და აქ ჩაღათაელთა ბატონობის გახანგრძლივება მით უფრო შეუძლებელი იყო თუ თემური ადგილობრივ სამამულო სისტემას არ შეცვლიდა მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ფეოდალური მიწისმფლობელობის წესით. ქართული სამამულო სისტემა კი პირდაპირ კავშირში იყო ქრისტიანულ რელიგიასთან [6, 72]. თემურლენგს თავიდან, როგორც ჩანს, ეგონა, რომ ამ პრობლემას აქ ადვილად მოაგვარებდა, მაგრამ წააწყდა ქართველი ერის თავგანწირულ წინააღმდეგობას და ამ ორგანიზებული სამამულო ომის მესაჭე გიორგი VII იყო.

არსებობს მცდარი შეხედულება პოლიტიკური სფეროსგან რელიგიური სფეროს ავტონომიურობის შესახებ, თუმცა ხშირად სამეცნიერო წრეებში იმასაც დასძენენ, რომ რელიგია იდეოლოგიური საფუძვლის როლს ასრულებდა სხვადასხვა ეპოქაში. მაგრამ ამგვარი აზრის ინტერპრეტაცია უპირატესად ისე ხდება, თითქოს რელიგია მარტოოდენ საშუალება იყოს დიდი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, განსაკუთრებით კი შუასაუკუნეობრივი თეოცენტრული მენტალიტეტისა და იდეაციონალური კულტურის ბატონობის პირობებში, რელიგიური პოლიტიკა და პოლიტიკური რელიგია მიზნისა და საშუალების როლს თითქმის იდენტურად განასახიერებდა. ეს კაცობრიობის ტრაგედია, მაგრამ რეალობა იყო. მთელი მსოფლიოს ისტორიაც, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი არის „ღვთისა და კეისრის სამეფოთა აღრევის ისტორია, ღვთის სამეფოს გზების, კეისრის სამეფოს გზებზე გადატანის ისტორია“ [15, 122]. აი, რას წერს დიდი მოაზროვნე „კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიდი ტყუილი სამეფოთა სიცრუე იყო, მასში იმალებოდა მონობის ყველაზე დიდი ძალა. „სამეფოთა“ სიცრუე ისტორიაში იღებდა სხვადასხვა ფორმებს, ხდებოდა მისი ტრანსფორმაცია და მიჰყავდა ადამიანები გაურკვევლობამდე. „დიდი სამეფოს“ ეს ტყუილი არაფერს უტოვებდა ადამიანს მთელი მსოფლიო ისტორიის მანძილზე. ძველი აღმოსავლეთის იმპერიები, რომის იმპერია, პაპების თეოკრატია, რომის საღვთო იმპერია, მოსკოვის სამეფო – მესამე რომი, კომუნისტური სამეფო, მესამე რაიხი: ყველაფერი ეს აღაშფოთებდა და გაურკვევლობაში აგდებდა ადამიანს. ადამიანი მუდამ ეძებდა თავის სამეფოს, შეპყრობილი იყო ოცნებით

სამეფოთა შესახებ და ყველა ძალას ხარჯავდა ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ სამეფო აქცევდა მას მისსავე მონად. ადამიანი ამას ყოველთვის ვერ ამჩნევდა და ტკბილი მონობა არც კი ეგონა მონობა. „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღვთისა". ჩვეულებრივ ეს ფორმულა განიმარტება ღვთის სამეფოსა და კეისრის სამეფოს შერიგების აზრის, კონფლიქტის მოხსნის თვალსაზრისით. მაგრამ ქრისტეს ცხოვრება სწორედ ამით იქნა დაყვანილი უზარმაზარ კონფლიქტურ დაძაბულობამდე. „კეისრის სამეფო" თავისი არსით არასოდეს აღიარებდა „ღვთის სამეფოს" ავტონომიურობას და მუდამ მოითხოვდა მისგან სამსახურს, მუდამ ესწრაფვოდა მის გადაქცევას საკუთარ იარაღად, კეისრის სამეფო ქრისტიანობას მხოლოდ მაშინ იტანდა, როცა იგი მას უერთდებოდა და სამსახურს უწევდა" [15, 84].

ასე იყო ყველგან და ყოველთვის. მუდამ ჭირდა ზღვარის გავლება – სად იწყებოდა პოლიტიკის და მთავრდებოდა რელიგიის სფერო ან კიდევ – პირიქით. ამგვარი ანტინომიურობის შეგრძნება ვერ დაგტოვებს, როდესაც თემურლენგის ისტორიკოსების (და არა მარტო თემურლენგის) წყაროებს ეცნობით, სადაც ისინი საქართველოზე თავდასხმას ისლამის გავრცელების მოტივაციით ხსნიან. ვერ შეძლებ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას ქრისტიანობის შეცვლის გარეშე, ვერ გააკონტროლებ მას. ეს საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების სხვა მესვეურებსაც კარგად ესმოდათ, მაგრამ მასშტაბით ისინი თემურლენგს ან შაჰ აბას I-ს ჩამორჩებოდნენ და ბრძოლების ხასიათიც სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი იყო.

საქართველოს ისტორიაში მრავლად გვაქვს მოწამეობრივი თავდადების მაგალითები: დავითი და კონსტანტინე, ლუარსაბ წამებული, ქეთევან წამებული და ა. შ. მაგრამ ამ გმირთა თავდადებანი არის არა მარტო სამშობლოს წინაშე ღირსეულად ვალის მოხდა, არამედ იმავდროულად სრული გაწყვეტა კავშირისა „კეისრის სამეფოსთან", ნატურალიზმთან, ესაა ერის რჩეულ შვილთა მისტიურ-იმანენტური გზის გამოხატულება. ამ მოწამეებმა „ღვთის სამეფოს" სიმართლე განასახიერეს დედამიწაზე, მაგრამ გიორგი VII-ის მსგავსი გმირები განასახიერებენ „კეისრის სამეფოს" სიმართლეს, რომელშიც „ღვთის სამეფოს" სიმართლე სიმბოლურად ხორციელდება. ქართველი ერის ისტორია არის ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს სახელით ბრძოლის ისტორია, მაგრამ მოწამეობრივი სიკვდილი „დიპლომატიური უკანდახევა" ზოგჯერ არაა საკმარისი ერის სახსნელად. მეფე გიორგი სწორად მოიქცა, როცა მახვილი იშიშვლა მტრის შესამუსრავად, ისტორია არ შემცდარა. სხვანაირად ჩვენ ვერ

გადავრჩებოდით. დღეს ყველა ერთხმად აღიარებს, რომ 1403 წ. ზავი, სადაც ჩაიწერა, რომ თემურლენგი საქართველოს მხრიდან ხარკსა და ჯარის გამოყვანასთან ერთად ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ სამეფოს არსებობის ფაქტს, იყო მნიშვნელოვანი მონაპოვარი და ქართველი ერის გამარჯვება უდიდესი მსხვერპლის ფასად. მაგრამ ამ მონაპოვარის მთავარი გმირი გიორგი VII იყო. ჰეგელის მიერ გენიალურ მაკედონელ მხედართმთავარზე თქმული მნიშვნელოვანწილად მიესადაგება ღირსეულ ქართველ მეფეს: მან თავისი საქმე დაამთავრა და თავისი სახე განასრულა. მან გააკეთა ის, რაც ეპოქის პოტენციურ შესაძლებლობებში იდო. ისტორიამ მას საქართველოში აღმშენებლობითი საქმიანობა კი არა, ქართველი ერის ხმლით დაცვა დააკისრა და პირნათლად შეასრულა კიდეც თავისი ისტორიული მისია.

განა შეიძლება ისტორიამ შეცდომა დაუშვას? შეიძლება ვისაუბროთ პიროვნების, პოლიტიკოსის ცალკეულ შეცდომებზე, მაგრამ ისტორია არ ცდება. 17 წლიანი სამამულო ომი არ შეიძლება იყოს განპირობებული მხოლოდ გიორგი მეფის არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკითა და სუსტი დიპლომატობით; ან კიდევ, უარეს შემთხვევაში, ისტორიული შემთხვევითობით. ისტორიის შემთხვევითობების კრებულად მაღიარებელი შემეცნება არასიღრმისეული, არამეცნიერული, არაკომპეტენტური შემეცნებაა. ისტორია შემთხვევითობის კრებული და ფაქტების გროვა კი არ არის, არამედ აზრიანი პროცესია. აზრი კი სულშია (გონშია). ჰეგელის ამ გენიალური ფორმულის გაბათილება ჯერჯერობით ვერცერთმა ოდნავ სერიოზულმა მოაზროვნემ ვერ შეძლო. ვერ შეძლო იმიტომ, რომ ადამიანი მიეკუთვნება ორი წესრიგის რეალობას: ფიზიკურ-სხეულებრივს და სულიერღვთაებრივს (გონითს) და ისტორიაშიც მისი ამ ორგვარი ბუნების იმანენტური ხაზი ვითარდება.

ისტორიაში მნიშვნელოვანი მხოლოდდამხოლოდ მომხდარი ფაქტებია. ცხადია, ნებისმიერ მეცნიერს აქვს ვარაუდის უფლება. ვარაუდი უნდა გავასხვაოთ ისტორიის ჰიპოთეზური ვარიანტისაგან. მაგრამ ვარაუდიც და ჰიპოთეზური ვარიანტებიც ვერ გამოდგება სიტორიული პიროვნების საბოლოო შეფასების კრიტერიუმად. ისტორიული სინამდვილე უარყოფს ალტერნატივას. ყველა გმირი ჰეგელის თქმით, თავისი დროის მოსახდენ ჭეშმარიტებას ახორციელებს. გიორგი მეფე თავის ეპოქის შვილი იყო და თვისი ეპოქის მოსახდენი ჭეშმარიტება განახორციელა. ამიტომ ისტორიის ნებისმიერმა მონაკვეთმა, მასში მონაწილე პირებმა, რაოდენ უნდა ჭირდეს

მათი მოთავსება ისტორიის სუბიექტურ წარმოდგენასა და თუ ზნეობრივ ნორმებში, არ უნდა შეგვაცვლევინოს აზრი მათზე. ყველაზე სასტიკი არაადამიანური მოვლენაც კი თანამედროვე ისტორიის მსოფლიო ხასიათის გამოვლენაა. ყველა ეპოქის არსი თავისთავადია და მხოლოდ იმის შექმნა ძალუძს, რაც მის პოტენციურ შესაძლებლობებშია. ყოველივე ნამდვილი – გონიერია. იტყოდა ასეთ შემთხვევაში ჰეგელი და კაცობრიობის ისტორიაც გვარწმუნებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში [3, 35].

ისტორია არ შემცდარა გიორგი VII-ის გარდაცვალებაშიც, ის ბრძოლის ველზე უნდა დაღუპულიყო. მისი სიტყვები თემურლენგის მოციქულისადმი, რომელმაც თავისთან ხლებისა და გათათრების ბრძანება მოუტანა ქართველ მეფეს, ზოგადქართული, ზოგადეროვნული, ქართველი კაცის პასუხია ქართული მართლმადიდებლური სამეფოს მოსპობის განზრახვისმდომელ მიზანტროპისადმი: „მეფობისა შენისა არაუმცირეს ვარ, არცა უდარეს. ამდენი ბოროტი გიყოფიეს და არ განსძეხი სისხლითა ჩვენითა. და აწი, ვინაიდან ასეთი სილაღითა მოქადულ ხარ ჩვენდა მომართ მომავალი, მოდი, თუ არა ხარ სეფექალი და დიაცი... რამეთუ სამგზის შენც გიხილავს და სპათა შენთაცა იციან მხეცქმნილობა და გამოცდილება ომსა შინა ჭაბუკთა ქართველთასა. სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოფიეს ჩუენდა მომართ, მაგრამ უვნებლად არცა ჩუენ მიერ წარსულ ხარ“ [1, 688]. ვინ შეჰკადრებდა მრისხანე აზიელ დამპყრობელს ამგვარ რამეს, თუ არა საქართველოს მამაცი, ლეგენდარული მეფე გიორგი VII. ესაა ქართული სული. ესაა მარადიული უწყება იმის შესახებ, რომ ამ ერის გზა არის გზა თავისუფლებისაკენ და მისი დამორჩილება-დამონება ქვეყნიურ შესაძლებლობებს აღემატება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი გვექნებოდა არა სულით თავისუფალი ერის, არამედ თავდახრილი მონების ისტორია, რომელიც ვერ შეძლებდა ვერაფერი ღირებულის შექმნას და თავადაც ვერ შემორჩებოდა ისტორიას.

რა მოხდებოდა, მეფე გიორგის რომ არ ებრძოლა თემურლენგის წინააღმდეგ, რა მოხდებოდა, სიმონ მეფის ცხენს ფეხი რომ არ ჩაფლობოდა ნახიდურთან და ოსმალებს არ დაეტყვევებინათ, რა მოხდებოდა, გიორგი სააკაძეს ლოჭინის ხევში შაჰის წერილი რომ არ ჩაეგდო ხელთ, რა მოხდებოდა, ვატერლოოსთან წვიმა რომ არ დაწყებულიყო და ნაპოლეონს ბლიუხერის მოსვლამდე მოესწრო ველინგტონის განადგურება, რა იქნებოდა, მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერი რომ გულის შეტევით გარდაცვლილიყო (დავუშვათ ამგვა-

რი რამეც, ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება პროგრესულ გერმანელად შესულიყო ისტორიაში) ან კიდევ, ტურუხანსკის მხარეში გადასახლებული, შემდეგ იქედან გამოქცეული და გზაში გაყინული სტალინი „შემთხვევით" მოხუც ცოლ-ქმარს რომ არ ეპოვა, ქოხში არ მიეყვანათ და არ გადაერჩინათ, ვერასოდეს გაცსდება ისტორიული ვარაუდებისა და ჰიპოთეზების (თუ ფანტაზიების არა) სფეროს. იმის ახსნაც კი, რა მოხდა, წარმოადგენს ისტორიის ფილოსოფიის ურთულეს პრობლემას არა თუ იმისა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

გიორგი VII, ჩვენი აზრით, დიდ ქართველ მეფეთა და მამულიშვილთა რიგშია, ის პოპულარიზაციას მოელის. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, ტექნიციზმის, კაპიტალის მომძლავრების, გლობალიზმისა და შეუქცევადი ინტეგრაციული პროცესების ფონზე. ამ გზაზე შეიძლება ერთგვარ „უხერხულობას" ქმნიდეს ქართული საისტორიო მეცნიერების უბადლო ავტორიტეტის – ივანე ჯავახიშვილის შეფასება: „ისევე როგორც ბაგრატ V, გიორგი მეფეც გულადი მებრძოლი იყო, მაგრამ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და მიზანშეწონილი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის უნარი გიორგი მეფეს აკლდა" [7, 16]. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც თავადაა თავისუფლების სიმბოლო ქართულ მეცნიერებაში, არასოდეს უქცევია თავისი შემოქმედება „სახარებად", დოგმად. პირიქით, მან არაერთგზის გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მის მიერ მოძიებულ მასალებს არა აქვს პრეტენზია საბოლოო ჭეშმარიტებაზე და ნებისმიერი ახალი სიტყვა შეიძლება დაიბადოს საისტორიო კვლევისას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სულმნათ მეცნიერს ამ შემთხვევაში არ შეუქმნია ისტორიის ალტერნატიული, ჰიპოთეზური ვარიანტი. ის უფრო შორს არ წასულა, მიმოიხილა ფაქტოლოგიური მასალა და მოკლე შეფასებით შემოიფარგლა.

გიორგი VII-ისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებისა და პოპულარიზაციის გზაზე მთავარი დაბრკოლება, ჩვენი აზრით, თანამედროვე სნობისტური და მისი უკიდურესი ფორმის – პროვინციულ-სნობისტურ ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ. გიორგი მეფეს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ რომ ებრძოლა ამდენი (რაც ცხადია შეუძლებელი იქნებოდა ისტორიული დისტანციის გამო), ქართველებს მასზე დიდი გმირი არ გვეყოლებოდა. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ნებისმიერი პიროვნება, თუნდაც მათი ბრძოლის მასშტაბები სრულიად უმნიშვნელო იყოს, ერთმნიშვნელოვნად ეროვნულ გმირად ცხადდება, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ, მით

უფრო, რომ თანამედროვე ეტაპზე ამას პოლიტიკური დატვირთვა ენიჭება, მაგრამ არ შეიძლება 600-400 წლის წინანდელი ეროვნული გმირები სასკოლო-დიდაქტიკური ტონით იმოძღვრებოდნენ. ამგვარ აზრს არსებობის უფლება, ცხადია აქვს, მაგრამ მასშია არაფერია სიღრმისეული, მეცნიერული, შემოქმედებითი. დროის პრობლემა ისტორიაში ურთულესი პრობლემაა, მას ჩვენ სხვაგან შევეხებით, მაგრამ აქ დავძენთ, რომ ისტორიკოსმა უნდა გაარღვიოს დროის ჭრილი, გათავისუფლდეს ყოველგვარი იდეოლოგიური ზემოქმედებისაგან და ისე შეაფასოს მოვლენები.

ამგვარ პრობლემებზე საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ისტორიის ფილოსოფიას. ის, რომ ისტორიული პიროვნების შეფასებას განსაზღვრავს ამ პიროვნების მოღვაწეობის შედეგები, მართალია ნაწილობრივ. გააჩნია რა შინაარსს ვდებთ ცნებაში „შედეგები". თუ ისტორიის გარეგანი, დეტერმინირებული და ობიექტივირებული ფორმებით შევაფასებთ აღნიშნულ მოვლენებს, თემურლენგის შემოსევების შემდეგ საქართველო წელში ვეღარ გასწორდა და დაიშალა სამეფო-სამთავროებად და საფეოდალოებად, მაგრამ არსებობს „სხვაგვარი შედეგი", ისტორიის იმანენტური შედეგი – გადარჩენა, ხსნა. გიორგი VII-მ იხსნა ქართველი ერი გამუსლიმანებისა და გადაგვარებისაგან. კარგად დავუკვირდეთ შედეგს: ჩრდილო კავკასიაში ფეხი მოიკიდა მაჰმადიანობამ, საქართველოში კი ვერა, რატომ? იმიტომ რომ ვიბრძოლეთ, ვიბრძოლეთ ისე, როგორც უნდა გვებრძოლა და გადავრჩით. და ეს არის კიდეც ყველაზე დიდი შედეგი საქართველოს ლეგენდარული მეფის, გიორგი VII-ის მოღვაწეობისა.

სწორედ ალტერნატიული ისტორიის საზრდო უდევს საფუძვლად კიდევ ერთი დიდი ქართველის, გიორგი სააკაძის პიროვნების ირგვლივ გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს. გიორგი სააკაძის ფენომენთან დაკავშირებით საკმარისია აქცენტი მხოლოდ რეალურად მომხდარ ფაქტებზე გააკეთო და ყველაფერი თავის ადგილას დადგება, მაგრამ ალტერნატიული ისტორიით გატაცება ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ ბევრი ლამის სწორედ ამ ალტერნატიულ ისტორიას წარმოგვიდგენს რეალობად. ისტორიული ვარაუდის წინააღმდეგი, ცხადია, ჩვენ არ ვართ. იგი აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა, მაგრამ პროფესიონალი ისტორიკოსის შეფასებითი კრიტერიუმები რეალურად მომხდარ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს.

გიორგი სააკაძეზე უარყოფითი წყაროები, ცხადია, არსებობს. ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსი, სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი, ევროპელი მისიონერები:

არქანჯელო ლამბერტი, ბართლომეო ფერო, ამბროსიო დუშ ანჟუში იძლევიან ამგვარ ინფორმაციას დიდ მოურავზე. სწორედ ამ წყაროებმა შექმნა უცნაური ისტორიული ანტინომია დიდ მოურავზე. მაგრამ ყველა ეს ბრალმდებელი წყარო სააკაძის ბრალმდებელთა მხრიდან თითქმის უცერემონიოდ, სწორხაზოვნად იქნა მიღებული და გაზიარებული. მაგალითისათვის ავიღოთ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრალდება, რომ გიორგი სააკაძემ საქართველოში უცხო ჯარი შემოიყვანა თუ შემოუძღვა. ამ კითხვას პროფესიონალური პასუხი გასცა პროფესორმა გივი ჯამბურიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველად ასეთი ცნობა გვხვდება სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის თხზულებაში. იგი დაიწერა 1662 წელს. ამ თზხულებაში ვკითხულობთ, რომ მოურავი შაჰს ურჩევდა: „ზაფხული გასულიყო, ზამთარი დამდგარიყო, ტყეში ხეებს ფოთლები გასცვენოდა, რომ სპარსელთა ჯარს გაადვილებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში... რომ ქართველები, რომლებიც გახიზნულები იყვნენ, ჩამოსულიყვენენ თავიანთ ბინებში“ (კ. კუციას თარგმანი, გვ. 22-23) ამავე ნაშრომის მე-17 გვერდზე კი არაქელ თავრიზელი წერს: სააკაძე დაბალი ხალხიდან იყო, რომლებსაც ქართველები გლეხებს უწოდებენ, მისი და, ქართლის დედოფალი კი არის ასული გლეხისა, ვიღაც შინაკანისა“ (მდაბიოსი, გვ. 18) [13]. ისმის კითხვა ვინ მიაწოდა ასეთი ინფორმაცია სომეხ ისტორიკოსს? სააკაძე ხომ აზნაური იყო? ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ამაზე არავინ დაობს. პასუხი მარტივია, სააკაძის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ.

არაქელ თავრიზელის ეს ცნობა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა XVIII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსმა ბერი ეგნატაშვილმა: „პირველ თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ ყაენისათვის ესრეთ, ვითარამედ: ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო და, რასაც გინდა იქო“... (ქ. ცხ. II, გვ. 392-393). ეს ცნობა ბერი ეგნატაშვილისაგან გადაიტანა ვახუშტი ბატონიშვილმა და ასე გავრცელდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ბერი ეგნატაშვილს მოსვლია ერთი შეცდომა. არაქელის ფრაზა „ქართველთა ქვეყანა“ (ამ შემთხვევაში არაქელი კახეთს გულისხმობს) გაიგო ქართლად და გამოუვიდა რომ შაჰი ქართლში შეიჭრა და აიღო თორღა (კახეთის ციხე), ვახუშტიმ კი ბერი ეგნატაშვილის ეს შეცდომა მექანიკურად გაიმეორა. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, რომ ბერი ეგნატაშვილი და მისი მეშვეობით ვახუშტიც არაქელის შრომით სარგებლობდნენ. კახეთში შეჭრა კი სინამდვილეში მოხდა არა ზამთარში, არამედ გაზაფხულზე – 1614 წლის 21 მარტს [13].

ანალოგიური ვითარებაა ე. წ. ნეიტრალური მხარის – ევროპელი მისიონერების თხზულებებშიც. მაგ. არქანჯელო ლამბერტი ერთმანეთში ურევს თეიმურაზ I-ს და ლუარსაბ II-ს, არც სააკაძის გეგმებშია გარკვეული. მეორე იტალიელი მისიონერი ბართლომეო ფერრო წერს, რომ თეიმურაზ მეფემ მარტყოფის აჯანყებაში მიიღო მონაწილეობაო, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამბროსიო დუშ ანჟუში წერს – ქეთევან დედოფალმა კათოლიკობა მიიღოო და ა. შ. არადა ეს ავტორები გვაწვდიან სააკაძეზე დადებითთან ერთად უარყოფით ინფორმაციებს. კერძოდ იმას, რომ სააკაძე განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, პირადი ამბიციები ჰქონდა და ა. შ.

ვერ მივიღებთ, ცხადია, სწორხაზოვნად, უაპელაციოდ მათ ინფორმაციებს, იმიტომ რომ მათში უამრავი ურთიერთგამომრიცხავი, წინააღმდეგობრივი ფაქტია წარმოდგენილი. ისე რომ არცერთ მათგანს ისტორიული სინამდვილე, რეალურად მომხდარი ფაქტი არ უმაგრებს ზურგს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ამ საქმის ყველაზე დიდმა მოწმემ და ავტორიტეტმა შაჰ აბას I-ის კარის ისტორიკოსმა ისქანდერ მუნშმა (ნიშანდობლივია, რომ სააკაძის თანამედროვე არც ერთი ბრალმდებელი ამ ისტორიკოსს საერთოდ არ ახსენებს) არაფერი თქვა სააკაძის მიერ „ქართველების დარბევაზე" კახეთში. რატომ? იმიტომ რომ ამგვარი რამე არ მომხდარა სინამდვილეში. ის, რომ სააკაძე შაჰ აბასს კახეთის ლაშქრობისას თან ახლდა, რეალობაა. ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ის, რომ მან ქართველ კაცს აქ რაიმე დაუშავა ეს ვერასოდეს გასცდება ვარაუდს. ისქანდერ მუნში თეიმურაზ მეფეს აბრალებს კახეთში შაჰის ლაშქრობას. აღნიშნავს, რომ ქართველი მეფის უგუნური პოლიტიკის შედეგია სპარსეთის ჯარის მიერ კახეთის აწიოკება. მის თხრობაში გამუდმებით გაისმის „უმეცრების ცხენზე ამხედრებული თეიმურაზი", „ვისი ბრალითაც", „ვისი მიზეზითაც". სპარსელი იტორიკოსი ყველა დროის „საერთაშორისო ურთიერთობების" ეთიკური განზომილებით ხელმძღვანელობს და არ სურს, აგრესორად წარმოაჩინოს შაჰი და მისი პოლიტიკა, ამიტომაც თეიმურაზს და თავად „კახელთა უმეცარ ბრბოს" აბრალებს საქართველოს უმშვენიერესი კუთხის დარბევას. მოურავი კი არ ფიგურირებს არსად. კაცი, რომელიც შაჰ აბასს ურჩევდა, „ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო და, რასაც გინდა იქო", სპარსელთა ჯარის თითოეული გადაადგილების (მათ შორის მცირე გადაადგილება-მოძრაობის) აღმწერ ისტორიკოსს გამორჩა მხედველობიდან? რა თქმა უნდა – არა. მან არ დაწერა ის, რაც არ ყოფილა. მარტყოფის ბრძოლამდე ისქანდერი არსად არ ახ-

სენებს მოურავს. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ კი... აი, სპარსელი ისტორიკოსის „კომპლიმენტები" სააკაძისადმი: „ხსენება ბედდაბნელებულ და ბოროტ მოურავ ქართვლის სჯულისაგან განდგომისა და აჯანყება-ამბოხებისა" [9, 123] ამგვარი გამონათქვამები მას კიდევ ბევრი აქვს. დავუშვათ მარტყოფამდე მას ამის თქმის საფუძველი არ ჰქონდა. მარტყოფის შემდეგ იმას მაინც არ იტყოდა ისქანდერ მუნში, რომ ეს მოღალატე თავისიანებს არ ინდობდა, არბევდა, აწიოკებდა და ჩვენთან როგორ მოიქცა რა გასაკვირიაო? თეიმურაზს თუ აბრალებს კახეთის აწიოკებას სააკაძეს დაინდობდა? მაგრამ არა! არ დაწერა ის რაც არ ყოფილა. გავრცელებული ხმები, რომ თითქოს სააკაძემ კახეთის აოხრებაში მიიღო მონაწილეობა „დიდი მოურავის" პოლიტიკური მონინააღმდეგეების მიერ გავრცელებული ცილისწამებაა. იგი ვერასოდეს გასცდება ისტორიულ ვარაუდს, რომელსაც არავითარი რეალობა არ უმაგრებს ზურგს.

გიორგი სააკაძეზე უამრავი შეიძლება დაიწეროს. ეს მარადაქტუალური თემაა. ლევან სანიკიძე სავსებით სამართლიანად წერს, რომ ვისაც სააკაძე არ უყვარს, სააკაძეზე საუბარი მაინც უყვარსო.

ჩვენ მიზანს, ამჯერად, ამ საკითხზე მსჯელობის განვრცობა არ შეადგენს. საქართველოს ისტორიაში სხვა ბევრი მაგალითის მოხმობაც შეიძლება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ მხრივ ერეკლე მეორის მოღვაწეობა. ამ შემთხვევაშიც ბევრია ისტორიული ალტერნატივის მოხმობის მცდელობა, არსებობდა თუ არა პროქართული ორიენტაციის ალტერნატივა და ა. შ. ვფიქრობთ, აქაც რეალური ფაქტებია მნიშვნელოვანი. ნიკო ბერძენიშვილმა კითხვას რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა, თავადვე უპასუხა, რუსეთი მაინც მოდიოდაო. ამით ყველაფერია ნათქვამი. რუსეთის შემოსვლა კავკასიაში ისტორიული კანონზომიერება იყო ისევე, როგორც თავის დროზე მონღოლების, სპარსელების, თურქების. ამას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. ერეკლეს დამსახურება კი განუზომელია ქართველი ერის წინაშე. პროფესორი ვახტანგ გურული წერს, რომ შთამომავლობა ერეკლე მეფეს პატივს უნდა მიაგებდეს იმის გამო, რომ იგი საერთაშორისო პოლიტიკისგან განწირული ქვეყნის გადარჩენას ცდილობდა.

ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ვახტანგ VI-ზე განსაკუთრებული თავდასხმაც. ვახტანგმა მართლაც დაუშვა რიგი შეცდომები საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისი მოქმედება გასაგებია. მითუმეტეს, რომ პეტრე I-მა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია სამხრეთის მიმართულებით, კასპიისა და შავი

ზღვების მიმართულებით, რაც ვახტანგს აფიქრებინებდა, რომ რუსეთის იმპერატორი წინსვლას გააგრძელებდა. ვახტანგის შეცდომა დროში გაუთვლელობა იყო. საბოლოოდ რუსეთმა მაინც დაამარცხა ირანი და ოსმალეთი და ამიერკავკასიიდან ფეხი ამოუკვეთა.

კიდევ უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს ისტორიიდან. ისტორიის ალტერნატივით გატაცებას იქამდე მიჰყავს ზოგიერთი ისტორიკოსი, რომ ფიქრობს საქართველოს ისტორია „ხელახლაა დასაწერი", მაგრამ ეს ასე სრულებით არ არის. საქართველოს ისტორია შესანიშნავად დაწერეს უდიდესმა ქართველმა ისტორიკოსებმა ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, მომდევნო თაობის არაერთმა სახელოვანმა პროფესიონალმა. სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა ჩვენი სტატია „საჭიროა თუ არა საქართველოს ისტორიის ხელახლა დაწერა", რომელიც გამოქვეყნდა „ახალი და უახლესი სიტორიის საკითხები" კრებულში (2010 1(7). კვლავაც კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ვარაუდის უფლება ნებისმიერ ისტორიკოსს აქვს, მაგრამ პროფესიონალი ისტორიკოსის შეფასებითი კრიტერიუმები ისტორიულ სინამდვილეს უნდა ეყრდნობოდეს.

2006 წელს ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალებში" (10) გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც ეძღვნება გიორგი VII-ის მოღვაწეობას – „ისტორიის ალტერნატივა და „უცნობი" ქართველი მეფის ქრისტიანული აპოლოგია" ვწერდით, რომ ყინული დაიძრა, სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდა მართალი პათოსი, რომ ბრძოლა იყო ერთადერთი გამოსავალი, ზაზა აბაშიძის საავტორო გადაცემაში „ისტორიანი" ტელევიზიით მართებულად გაშუქდა აღნიშნული პრობლემა. 2005 წელს გამოიცა კალენდარი ხათუნა იოსელიანისა და გიორგი გაბესკირიას ავტორობით – „კიდევაც დაიზრდებიან", რომელსაც ეპიგრაფად გასდევს შემდეგი სიტყვები: „ეძღვნება მამაცი მეომრის, დავით აღმაშენებლის ღირსეულ შთამომავალსა და ქართველთა მიერ სათანადოდ დაუფასებელი მეფის, გიორგი VII-ის მოღვაწეობის 600 წლისთავს". მიუხედავად ამ ფაქტებისა გიორგი VII კვლავ რჩება „უცნობ" დიდ ქართველად. ანალოგიური ვითარებაა სხვა სადავო გმირებთან დამოკიდებულების საკითხშიც. დემოკრატიულ საზოგადოებაში არც არის აუცილებელი ყველა ერთ აზრზე იყოს თუნდაც დიდ ქართველებთან დამოკიდებულების საკითხში, მაგრამ როცა შეფასებებს საფუძვლად ალტერნატიული ისტორია და კიდევ უფრო უარესი მოვლენა – სნობისტური პროვინციალიზმი უდევს, ჩვენი აზრით, მეტი დაფიქრებაა საჭირო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახალი ქართლის ცხოვრება – ქართული მწერლობა, ტ. 6, თბილისი, 1989.
2. თომა მეწოფეცი, ისტორია ლანგ თემურისა და მისი შთამომავლობისა, თარგმანი კარლო კუციასი, თბილისი, 1973.
3. ივ. მენთეშაშვილი, ობიექტური კანონზმიერებისა და ალტერნატივის შესახებ ისტორიაში, ჟურნ. „ისტორია“, თბილისი, 1998.
4. დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 1975.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბილისი, 1979.
6. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი, 1974.
7. ზ. კვეტენაძე, ისტორიის ალტერნატივა და „უცნობი“ ქართველი მეფის ქრისტიანული აპოლოგია, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 10, თბილისი, 2006.
8. ზ. კვეტენაძე, სნობისტური ცნობიერების „უკანასკნელი შეტევა“ დიდ მოურავზე, თბილისი, 2006.
9. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თქრგმნითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბილისი, 1969.
10. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. 2, თბილისი, 1986.
11. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1948.
12. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1967.
13. გ. ჯამბურია, კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის შესახებ, გაზეთში: საქართველოს რესპუბლიკა, 21.01.1998.
14. ფ. ჰეგელი, ისტორიის ფილოსოფია, თარგმანი ნ. ნათაძისა, თბილისი, 2001.
15. Н. Бердяев, Философия свободного духа, Москва, 1994.
16. Хайдер, Битые и время, Ст-Петербург, 2002.
17. Р. Дж. Колингвуд, Идея историй, Москва, 1995.
18. О. Шпенглер, Закат Эвропы, т. 1-2, Минск, 1998-1999.
19. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 2001.

Zurab Kvetenadze
Associate professor of the Technical University of Georgia

Some Aspects of Alternative of History from History of Georgia

Summary

Problem alternative reflections of history it is especially peculiar for post-soviet mentality. What the main thing in the history – what happened and what could be happens? Proceeding from really happened facts, at a single glance the question has to be unambiguous, but the charm alternative of history is frequent is so great that nearly alternative history appears at us.

We tried to show not prospects and unscientific nature of alternative history and possible options on the example of two major figures - he Georgian king George of the VII-th and great Georgian military leader – George Saakadze in estimates historical persons and events. In our opinion estimated criteria of professional historians have to be based on real events.

ბადრი ცხადაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექტნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის ლიტერატურულ-მხატვრული ვარიაცია ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“

(წერილი მეორე)

(შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ანუ კომპარატივისტული მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი იჩქითი ცდა ქართული პოლიტიკური პამფლეტის ისტორიაში)

შესავლის მაგიერ

*დასაბამიდან ქართველებს მეზობლებთან და მსოფლიო ხალხებთან თანაცხოვრებამ არაერთი საკუთარი, საზოგადო, ეროვნული და ზოგადეროვნული სახელდება და ეთნონიმური სახელით მოხსენიება გვარგუნა. მარტო ჩვენს უახლოეს მეზობელთაგან შერქმეული და ზედგამოჭრილი „სახასიათო“ მეტსახელი **„გიჟვრაცუა“** რად ღირს, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველ ენათმეცნიერ-ლექსიკოგრაფებს "ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვატომეული)", საჩოთირობის გამო, არ შეუტანიათ!*

სამწუხაროდ, ვერც მე გავექეცი ამ სტატიის სათაურის მრავალსახეობასა და სიგრძეგანობას, რის გამოც მკითხველს ბოდიშს ვუხდი.

***

სახელმწიფოს მართვა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს დღეს, როცა თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში მძვინვარებს მართვისა და მმართველობის, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის კრიზისები, ზესახელმწიფოთა კონფლიქტური გამოვლინებანი, პოლიტიკური და ეკონომიკური წაჯექ-უკუჯექობანი, სახეზე გვაქვს ლიდერობის მეტ-ნაკლები დეფიციტი, რასაც თითოეულ სახელმწიფოში თან ერთვის ლოკალურად თავჩენილი არაერთი პრობლემა, განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში – კავკასიასა და საქართვე-

ლოში, სადაც ცუდად და ყალბად გაგებული დემოკრატია თუ საპარლამენტო არჩევნები ახალ-ახალ პრობლემას წარმოშობს.

როგორც წინა წერილში ვწერდით [1], ფრანგულ-ევროპულ წარმომავლობის სიტყვა-ტერმინ **პარლამენტ**ს ქართველებმა ქართულად „სალაყბო//სალაყბო ადგილი" შეარქვეს. დღევანდელი ვითარებითაც ქართველი კაცის პარლამენტისადმი სარკაზმული დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ტერმინი და მისი ქართულ ენობრივ სოციოკულტურულ სივრცეში ფუნქციონირება-გააზრება კრიტიკულად აშკარად გადასახედია.

„ქართული დემოკრატიის", გლობალიზაციის, პარლამენტისა და პარლამენტარიზმის შესახებ არაერთი თანამედროვე ქართველი მეცნიერი დაფიქრებულა და ცალკეული წიგნები თუ სამეცნიერო სტატიებიც მიუძღვნიათ: ქართველი ინტელექტუალები, სპეციალისტები – პოლიტოლოგები თუ ეკონომისტები, ისტორიკოსები თუ იურისტები, ფილოლოგები თუ სოციოლოგები, ჟურნალისტები და ფილოსოფოსები... [2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9], განიცდიან და სწუხან საქართველოში დეპუტატების არჩევაზეც, კადრების ვოლუნტარისტულ დამოკიდებულებაზეც, ხელისუფლების პასუხისმგებლობის დაბალ ხარისხზეც, პრემიერისა და პრეზიდენტის ინსტიტუტებზეც, ქართული სახელმწიფოსაგან მეცნიერებისა და მეცნიერული აზრის ნიველირება-ნეიტრალიზაციაზეც, მავანთა პოლიტიკურ-გლობალურ ნაჯექ-უკუჯექობაზეც; ქვეყანაში, სადაც „სამართალი პურს ვერ ჭამს", სადაც თანამდებობებზე დასანიშნ პერსონებისათვისაც არავითარი კომპეტენციის ქონა–კანონზომიერი მოთხოვნა და კრიტერიუმი არ არსებობს, ახალფეხადგმულ საქართველოში ნათლიმამობა და ნეპოტიზმი წალეკვით ემუქრება პროფესიონალიზმს, ეროვნულს, ზოგადეროვნულს, ტრადიციულს. როგორც ჩანს, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს მართვის, ლიდერისა და ლიდერობის, კრედოს, კრიტერიუმების ერთგულების პრობლემა ასჩენია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემატიკას არაერთი სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნია, მკვლევრებს, საგრანტო პროექტებით, შოთა რუსთაველის სახელობის და სხვა ფონდებიც შეუწუხებიათ...

ჩვენი ქვეყნისთვის უცხო და თავსმოხვეული არაქართული საარჩევნო გარემო და განათლების სისტემა – დემოკრატიულად ცხოვრების წესთწყობა – ეგზისტენციალური „დემოკრატიული" ყოფა, სამწუხაროდ, მხოლოდ „სიტყვის თავისუფლების" არსებობით გამოიხატება (მეტ-ნაკლებად), „უხერხემლო პარლამენტი" და ანტიეროვნული პოლიტიკა დღეს ბევრი ქართველი ინტელექტუალის,

ჟურნალისტის, პუბლიცისტისა და მწერლის თვალსაწიერში, სავსებით სამართლიანად, განსჯის, სარკაზმის, სატირის, ირონიის... საქილიკო საგანი გამხდარა.

თანამედროვე ქართველი მწერალი და მეცნიერი რ. მიშველაძე მიიჩნევს, რომ „კაცობრიობა იმიტომ იცვლება და ვითარდება და ცხოვრებაც იმიტომ არის საინტერესო, რომ გონება სრულყოფილი სისტემის ძიებაშია და დღემდე ვერ უპოვიათ“ [10, 8]. მის რომანში „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ სოკრატესა და ჰიპოკრატეს დიალოგისას მკაფიოდ არის დიფერენცირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. კერძოდ, 1. ანგარიშმიუცემლად და გაუაზრებლად ატაცება იმ იდეებისა, რომელთა არსი უტოპიურია და ხალხს ენერგიას ფუჭად აკარგვინებს და 2. როცა სახელმწიფოს სათავეში „მოლაყბე“ და საქმის არმცოდნე ინდივიდი ჩაუდგება [11]. ლიტერატურის კრიტიკოსის, პროფ. ე. ყუფუნია-ცხადაძის შეფასებით, რევაზ მიშველაძის დისკურსი რეალობის ზედმიწევნით ახსნასა და გადმოცემაში ერთგვარი ლოგიკის არსებობასაც გულისხმობს. იგი გვიჩვენებს „მოქმედების“ უპირატესობას „მოლაყბეზე“ და ქვეყნის კრიზისის კავშირს ფუჭი იდეალების მსახურებასთან [11].

ასე რომ, „პოლიტიკური მოლაყბეობა“ ჩვენი ახალფეხადგმული სახელმწიფოს სენია, რომელსაც ფესვები ჩვენი აზროვნების წიაღში აქვს გამჯდარი.

ამჯერად, მეოცე საუკუნის დიდი ქართველი მწერლის საუკუნოვან რომანზე – ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაზე“ შევჩერდებით, იმ რომანზე, რომელიც საბჭოურ პერიოდში დაინერა და როცა ყველა ჩვენგანისათვის დემოკრატია და ევროპული პარლამენტარიზმი მაშინ უცხო ხილი იყო.

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც რომანის, „დათა თუთაშხიას“ ავტორი გვამცნობს, პარლამენტის იდეა 1905 წელს გასჩენიათ ორთაჭალის ციხის პატიმრებს. ამასთან დაკავშირებით რომანის ერთ-ერთი გმირი გრაფი სეგედი 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტთან დაკავშირებით იგონებს: „თვითმპყრობელობა რუსეთის იმპერიის ხალხებს პიროვნების ხელშეუხებლობასთან და სინდისის, სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლებასთან ერთად, პოლიტპატიმართა ამნისტიასაც შეპპირდა. უმალვე აღმოჩნდა, რომ მანიფესტით ცარიზმს დროის მოგება სურდა. **მანიფესტის პარაგრაფები მხოლოდ იმდენად სრულდებოდა, რამდენადაც ამას თვითმპყრობელობისთვის მოჰქონდა სარგებლობა** (გამუქებული ხაზგასმა ყველგან – აქაც და ქვემოთაც – ჩვენია, ბ. ც.). ეს ცნობილი ჭეშმარი-

ტებაა. იქვე გრაფი სეგედი **საკანონმდებლო სათათბიროსაც** (რუს. **დუმა**ს) ახსენებს [12, 539].

რომანის მიხედვით, ორთაჭალის პატიმრები „ამბოხების საორგანიზაციო კომიტეტს“ ირჩევენ [12, 546], ხოლო შემდეგ – პარლამენტს (**შენიშვნა 1:** შდრ. ორთაჭალის ციხეში პრეზიდენტ მ. სააკაშვილის დროინდელი ციხის ბუნტის „ანი და ჰოე“). ამის შესახებ მისი თანამონაწილე შალვა თუხარელი ჰყვება:

„პარლამენტის შექმნა მინდა გიამბოთ, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში პარლამენტი და კლასიონ კვიმსაძე, რატომღაც, ერთად არის ფიქსირებული, მიუხედავად იმისა, რომ კლასიონი პირველი მოწინააღმდეგე იყო **პარლამენტისთვის ძალაუფლების გადაცემისა და მის სხდომებზე ერთის მეტად ფეხი არ მიუდგამს** [12, 59].

შენიშვნა 2: შდრ. ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილისა და მისი თანაპარტიელი პარლამენტარების მსგავსი საქციელი – პარლამენტში არმისვლა და ხელფასის აღება წლების განმავლობაში!

როგორც რომანიდან ვიგებთ, ორთაჭალის ციხის პარლამენტისთვის კანდიდატები, ცხადია, ბევრი იყო. პატიმართა ერთ ნაწილს – აჯანყების მოსურნეს – მეორე – **ოპოზიცია** დაუპირისპირდა. „ოპოზიცია, მოგეხსენებათ, ყველა რევოლუციისა და აჯანყების **აუცილებელი ატრიბუტია, ყოველგვარი სოციალური ძვრისა თუ რეფორმის თანამავალია.** ეს წინააღმდეგობა სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. ჩალაბამ კომიტეტს რამდენიმე ბარათი წარუდგინა, რომლებშიც ვიგინდარები მოალყეებს შინაგან ვითარებას ატყობინებდნენ და ჭკუასაც ასწავლიდნენ, როგორ ჩაეხშოთ ამბოხება. მეორე მხრივ, უკმაყოფილების გულახდილად, საჯაროდ გამოთქმისა და ამბოხების საწინააღმდეგო მოწოდებების შემთხვევებიც არცთუ იშვიათი იყო“. მწერლის თქმით, აი, ზოგი მათგანიც: ციხეში თერძად მომუშავე პატიმარს ხალხი შემოეკრიბა და ამბობდა:

„– კაცო, თვე არ გავა, სამი-ოთხი თუმანი ფული არ გავაკეთო. რაც იყო, ძალიან კარგი იყო. ეხლა, რა, ვითომ უკეთესი ციხე იქნება? ნახე, რა დღეში ჩაგვაგდონ!“ [12, 593].

ასეთი განსხვავებული დამოკიდებულების პატიმარ-ადამიანი ციხეში არაერთი აღმოჩნდა. რა ექნათ ციხეში მყოფ პატიმართა მოთავეებს? და აი, მათ რა გადაწყვიტეს:

რადგან „კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე მასაში აზრთა, შეხედულებათა სხვადასხვაობისა და ძირგამომთხრელი მოქმედებების თაობაზე დიდი კამათი ატყდა და კამათს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა, კომიტეტმა ხმების უმრავლესობით აღიარა ყოველი ადამია-

ნის უფლება საკუთარ აზრზე, შეხედულებაზე, ამბოხების მიმართ დამოკიდებულებაზე. აღნიშნეს ისიც, რომ ესა თუ ის შეხედულება, რაკიღა არსებობს, მაშინ იგი, უთუოდ, გარკვეული ფენის კუთვნილებას წარმოადგენს, და ისიც, რომ ამბოხება ყველა ფენის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მაგრამ უმრავლესობის მიერ მიღებული პროგრამით უნდა წარმართულიყო. ამბოხების მიმართ ყველა ფენის დამოკიდებულების ცოდნა შეუძლებელი ჩანდა, თუ არ დაარსდებოდა სათანადო საბჭო, რომელშიც ცალ-ცალკე ყოველ ერს და ცალ-ცალკე ყოველ ფენას თავისი წარმომადგენელი ეყოლებოდა და სადაც შეხედულებათა დაპირისპირება-შეჩერება განხორციელდებოდა“ [12, 595].

როგორც რომანის ავტორი ჭ. ამირეჯიბი მოგვითხრობს, ასეთ საბჭოდ ციხეში პარლამენტის შექმნა მიიჩნიეს:

თითქოს, ასოციაციურად, ადვილი წარმოსადგენია **პატიმარი – ციხე – პარლამენტი – ციხის პარლამენტარი – ციხის პარლამენტარიზმი**, მაგრამ მოფიქრებასა და იდეას ხომ ხორცშესხმა-განხორციელება სჭირდება?!

„– დავუარსოთ, ბატონო, პარლამენტი! განაცხადა კლასიონ კვიმსაძემ. – **ძალა და უმრავლესობა ჩვენი იქნება მაინც, დადგნენ და ილაყბონ, რა გვენაღლება ნეტავი?! მაგიერში, გვეცოდინება, ვის რა უნდა და ზურგს უკან ისე ადვილად აღარ მოგვიწყობენ ვნებას და ზიანს** [12, 595].

როგორც ჩანს, ადამიანი, მით უფრო ქართველი, ციხის გარეთ თუ შიგნით, ერთნაირად აზროვნებს. იგი მისნაირებს, მაგრამ უმცირესობაში მყოფთ, თავის „კვოტას“ უწესებს – „ძალა და უმრავლესობა ჩვენი იქნება მაინც, დადგნენ და **ილაყბონ,** რა გვენაღლება ნეტავიო“, დასძენს ერთ-ერთი პარლამენტარი ციხისა. **შენიშვნა 3:** ხედავთ? „ილაყბონო“, როგორც ჩანს, ***ქართველი პატიმრებიც პარლამენტს ლაყბობად სახავენ, პარალამენტარს – მოლაყბედ.***

თქმა იყო და საქმეც წამოიწყეს – ერთ-ერთ პატიმარს (ანდრო ჭანეიშვილს) პარლამენტის მოწვევა დაევალა. როგორც მწერალი წერს, „ამ მხრივ მუშაობა კომიტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო დილით, ვისაც დებატების მოსმენა სურდა, კარანტინის საკანში მოისმენდა – საბჭომ იქ დაიდო ბინა“ [12, 595].

როცა განავლის ჭავლით ციხის „პატიმარ-მეზარბაზნეები“ ციხის ზედამხედველთა გათხუპნით იჯერებენ გულს, დათა თუთაშხია, პოქტია და შალვა თუხარელი გადაწყვეტენ: „ჩავიდეთ ერთი, იმ პარლამენტში და ვნახოთ, რას ლაპარაკობენ და ვინ არიან“ [12, 597].

შენიშვნა 4: პარლამენტში ანუ კარანტინში ასამდე მოთათბი-

რე ორატორს უსმენდა და ყოველ მათგანს აგურების სკამი ედგა (აგურების სკამები ჩვენს პარლამენტარებსაც გადაადგილებისას რომ თან ჰქონდეთ, დარწმუნებული ვართ, ნაციონალი დეპუტატი სერგო რატიანი „მაესტროს“ ტელეეთერში ჭიქას არ დაამტვრევდა, აგურის სკამის ფეხების მორღვევით, მასთან მოპაექრე-მედებატე ადრე „მოქალაქე-ნაცმენ“ და ბოლოს „მეოცნებე“ კობა დავითაშვილისაკენ პირდაპირი სროლით გაიწევდა. ღმერთმანი, არც ააცდენდა: ის ხომ სპორტსმენი, ყოფილი წყალბურთელია!

ან: პარლამენტარ-სპორტსმენ ზურაბ (ავთანდილ) ზვიადაურის კარატესნაირი საპარლამენტო ილეთი რად ღირს ნაციონალ აკაკი (კაკო) ბობოხიძის წინააღმდეგ გამოყენებული, „ვინცხა იმისი არ იყოს და...“ (2014. 12. 23??)

ან კიდევ: პარლამენტარისა და „მეოცნების“ ბიძინა გუჯაბიძის პროექტი რომ დაამტკიცეს, იმის შემდეგ უნდა წარმოვიდგინოთ გაცხარებულ გუნებაზე (დებატებში) მყოფნი ჩოხა-ახალუხიანი პარლამენტარები, ალბათ, როგორ დაერეოდნენ ერთმანეთს ხანჯლებით! მანდილოსნების, თუნდაც ხათუნა გოგორიშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილის, ელისო ჩაფიძის, „ბესელკას“ – ჩექმებიანის ეკა ბესელიას, მანანა კობახიძის, თინა ხიდაშლის მცდელობა-ჩარევა მოჩხუბარ პარლამენტართა – ე. წ. „ნაცებსა და ქოცებს“ შორის მანდილის ჩაგდებით, ვფიქრობთ, საქმეს ვერ უშველის! მწერალი ჭ. ამირეჯიბი კი ციხის პარლამენტზე თხრობას არ იშლის, სათქმელი არც მას ელევა და ისევ განაგრძობს: „ორატორი კი, ვითომ არაფერი მომხდარაო, კვლავ თავის აზრს-სიტყვას დამთავრებამდე მიიყვანდა, თუმცა ოპონენტი რეპლიკას მიაგებებდა: – **უვარგისია ის კანონი, ის სამართლებრივი სტატუსკვო, თვით ის იდეოლოგიაც კი, რომელიც თავისივე დამახინჯების საშუალებასა და პირობას თვითვე ქმნის!**“ [12, 597].

შენიშვნა 5: სამწუხარო ისაა, რომ რომანში ციხის პატიმარ-პარლამენტარებს ამ შემთხვევაში უხავო და ხაოიანი პრეზერვატივების აკრძალვისა თუ გამოყენების შესახებ არ დაუძრავთ კრინტი (რას „დაძრავდნენ“, როცა მაშინ ცივილიზებულ მსოფლიოში ასეთი „სიკოები“ არც არსებობდა!), რადგან ეს პრობლემა მათ წინაშე არ იდგა. ამ მხრივ ჩვენი მოქმედი პარლამენტი ევროთემატიკით – „ინოვაციური მიდგომებით“ აშკარად თავს იწონებს!

აღსანიშნავია, რომ ჭ. ამირეჯიბის რომანში ციხის პარლამენტართა ერთ-ერთი ფრაქცია – „ბუნაგის“ სახელწოდებით პირველობას ვერ დაიჩემებდა, რადგან ასეთსავე პოზიციაზე იდგნენ მაშინ „ზა-

ვის აქცია“ და „დეზინფექტორთა“ მარჯვენა ფრთა [10, 598]. დღეს კი ჩვენს პარლამენტში, ძველშიც და ახალშიც, ვერ გაიგებთ, ვის მარცხენა ფრთა უჭირავს, ვის მარჯვენა, ვის განაპირა თუ „კაკალგული“! ეგევე ითქმის საინფორმაციო ტელეარხებსა და დეზინფომატორ ჯიბის ტელევიზიებზე – ზოგ-ზოგის „ტელეკაკაფონიებსა და ტელეყეყეჩ სახეებზე“ – „ნახევარფაბრიკატ სპეცსამსახურის ჟურნალისტებზე“, რომელთა აზრით, „ახალი ამბები მათ სამუშაო ოთახში კეთდება!“ (შდრ. მათი სლოგანი – „ახალი ამბები კეთდება აქ“!).

მოლაყბე ორატორის შესახებ დათა თუთაშხიას მეციხოვნე მეგობარი შალვა თუხარელი დათა თუთაშხიას გასაგონად ასეთ რამეს ამბობს: – **ასეთებს ლაპარაკის საშუალება მიეცი და თუ გინდ პურს ნუ აჭმევ“** – აქაც, ჩვენი აზრით, ავტორისაგან ხაზგასმა პარლამენტარის, როგორც **მოლაყბისა,** თვალში საცემია.

მართალია, დღევანდელ თუ გუშინდელ პარლამენტართა უმეტესობას რომანი „დათა თუთაშხია“ წაკითხული არა აქვს, თუ აქვს – ალაგ-ალაგ (მხოლოდ კინოფილმი თუ უნახავთ), ასეთთა გასაგონად, მათი ცოდნის ასამაღლებლად, ხაზგასმით ვიტყვი, რომ დათა თუთაშხიაც ორთაჭალის ციხეში „ციხის პარლამენტარი“ ხდება, რომელიც „განუყრელ პოქტიასთან ერთად მოთმინებით, გულდასმით უსმენს ორატორებს“ [12, 601].

აღსანიშნავია ისიც, რომ ციხის პარლამენტს ყველა ატრიბუტიკა თუმცა არ ჰქონდა (მაგალითად, ციხის პარლამენტის ჰიმნი), მაგრამ, როგორც ჭ. ამირეჯიბი წერს: „ანდრო ჭანეიშვილი კვლავინდებურად თავმჯდომარის ადგილზე იჯდა და სარეპლიკო ვითარების გამძაფრების შემთხვევებში ზარს აწკარუნებდა – **ზარიც კი გაიჩინესო“**, ირონიით შენიშნავს ავტორი [12, 601].

შენიშვნა 6: სახელმწიფოს ჰიმნი, სხვათაშორის, არც ჩვენს „წინის-წინის-წინის-წინის-წინა“ მოწვევის“ პარლამენტს არ ჰქონდა, ანდა რად უნდოდათ?! „შალახოთი“ ისინიც და ჩვენი მოჭიდავეებიც იოლად გადიოდნენ საჭიდაოდ სპორტულ და საპოლიტიკო „ტატამზე“ უცხოეთში. ეგი კი არა და... რაიონებშიც კი გაჩნდა პოლიტიკური და თვითმმართველობის ტატამები, ყურში ახლაც კი ჩამესმის ერთი ქართლელი ქალბატონის ხმა: „კასპი... ტაატამია, ტატამიიი!“ მოდი და... ნუ დავუჯერებთ!

რას ითხოვდა ჭ. ამირეჯიბის რომანში ციხის პარლამენტში ზემოხსენებული ორატორი?

– **„ჩვენ მოვითხოვთ ყველასთვის თანასწორ პირობებსა და უფლებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში – მივდივართ!“** [12, 601].

შენიშვნა 7: ორთაჭალის ციხის პარლამენტართა ასეთი დემარშით, ცხადია, დღევანდელ პარლამენტარ „ნაცმენებს“ ჭ. ამირეჯიბის რომანი ვერ გააკვირვებს!

„საით, ტარიელ ავთანდილოვიჩ, პირობებისა და უფლებების უარესი უთანასწორობის სხვა სამყაროში?!

– სწორი ბრძანებაა! სიტყვა დაიბრუნა ორატორმა. – დღეს რუსეთის იმპერიაში არ არსებობს მეორე ისეთი ადგილი, სადაც **ასე თავისუფალი იყოს პიროვნება,** ასე **სრული იყოს დემოკრატია**, როგორიც ჩვენთან, აქ, ორთაჭალის საპყრობილეში. **მე ჩვენს პატარა თემობას „ორთაჭალის დემოკრატიას“ დავარქმევდი....**“ [12, 601].

შენიშვნა 8: მე კი, დღევანდელ ქართულ საპარლამენტო ყოფას – ახლანდელსაც და წინარესაც, როგორც ამ წერილის ავტორი, **„ჰავლაბრის დემოკრატიას“** ვუწოდებდი!

ჩვენი შეფასებით, მოკლედ, ორთაჭალის ციხის პარლამენტი ძალიან ჰგავს „ავლაბრის დემოკრატიას“: **თუ ისინი პროფკავშირების დაარსებაზე დებატებს აწყობენ, კვების მუშაკების, სანიტარია-ჰიგიენის მედიცინის ავან-ჩავანზე მსჯელობენ, და მამათმავლების პროფკავშირების დაარსებაზე ზრუნავენ, თანამედროვე პარლამენტი ერთი საუკუნის წინანდელ ორთაჭალის დემოკრატიაზე რით არის ნაკლები? განა წინ არ წავსულვართ? განა ახლაც არ დუღს ჩვენში დემოკრატიული სულისკვეთება და საპარლამენტო კანონშემოქმედება? ან მეზობლის მიერ მეზობლის „ჩაშვება“ და „ეს შენ გეხება“? საქართველოს პარლამენტის სპიკერის დ. უსუფაშვილის პარლამენტში ინოვაციური თემის – „ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის“ მიღება-დამტკიცებაც განა ამას არ მოასწავებს?!**

საინტერესოა, რომ ამის შემდეგ, რომანის მიხედვით, დათა თუთაშხია კომიტეტის სხდომაზე მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა. ჩვენ არ ვიცით, „გაცდენილი საათები“ მას საპატიოდ ჩაუთვალეს თუ პირობითი სასჯელი აკმარეს ციხის პარლამენტარ-პოქტიოებმა, ამის შესახებ ჭ. ამირეჯიბი არაფერს წერს. იმედია, ორთაჭალის პარლამენტი მერე მაინც შეიტანდა ცვლილებას – დასჯა-გაცდენის ამ მუხლს, რომ დასცლოდათ, როგორც ეს ახლა ჩვენს ქართულ პარლამენტშია მიღებული და ის სიახლეც – ჩინოვნიკთა საყოველთაო წახალისება „პრემიებისა“ და სახელფასო დანამატების სახით“ (ზოგ რეგიონში „ნაკურთხი“) რომ სახელდვეს, საკუთარი თავის დეპუტატობაც ამით სახელყვეს, მოსახლეობისათვის ისედაც ყოველივე ნათელი, ნათელყვეს, სამაგიეროდ, სახელმწიფო ბიუჯეტი და ლარის

კურსი კინაღამ გაგვიკუპონეს და ბოლომდე იავარყვეს „ჭამე, ნოდარის“ ფონზე!

ერთი სიტყვით, ძველადაც, ამ ერთი საუკუნის წინ, ორთაჭალის ციხის პარლამენტში საპარლამენტო ცხოვრება დუღდა და გადადუღდა. ავტორ-მთხრობელის თქმით:

ერთმა პარლამენტარმა (პოქტიამ) საზეიმო ცერემონიალის შემდეგ პარლამენტს აგურები აჩუქა (ამის შემდგომ კარანტინში აღარასოდეს ჩასულა).

1. ერთ კვირაში ციხე დაგავ-დაწმინდეს და სანიმუშოდ მოაწესრიგეს.

2. ციხეში ერთი კვირის მანძილზე **უკიდურესი დემოკრატია** დაამყარეს;

შენიშვნა 9: დღესაც ხალხის ოცნებით მოყვანილმა პარლამენტმა და პარლამენტარებმა, დ. უსუფაშვილის თამადობით, მართლაც ამ ორი წლის მანძილზე „**უკიდურესი დემოკრატია** დაამყარეს“. ხუმრობა ხომ არ არის კოჰაბიტაციურ პირობებში „ნაცმენებთან“, „ნაქოცრებთან“, „ნაშევარდნალ“, „ჯაბახანისა და ნაჯაბარ“, „ნაზვიადარ“ და თავად „მრავალსახიობა და მრავალსახეობა მეოცნებეებთან“ ერთად პარლამენტისა და ქვეყნის კოალიციური მართვა!

3. აღსანიშნავია ისიც, რომ რომანში ათი დღის თავზე ციხის პარლამენტმა **კოცისა** და **ცუგოს შეწყნარება დააკმაყოფილა** – გაათავისუფლეს (შდრ. კობა დავითაშვილის დატუქსვა სერგო რატიანთან ტელედებატებში შეხლა-შემოხლის დროს პარლამენტის თავმჯდომარის დ. უსუფაშვილისა და სხვა „თანამეინახეთა“ მიერ).

4. „გამოტანილ იქნა გისოსების მოხსნის დადგენილებაც, მაგრამ სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა, სპეციალური იარაღი იყო საჭირო. ეს **დადგენილება ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა** და გისოსები ადგილს შერჩა“ [12, 604].

შენიშვნა 10: იქნებ ასევე შერჩეს „საპარლამენტო დედაქალაქს“ ქუთაისს ახლანდელი „მოძრავი“ პარლამენტის სახელი, ჰაა?! ამ დადგენილების მსგავსად? ანალოგიისათვის (შდრ. როგორც ცნებები): „მოძრავი პარლამენტი“, „მოძრავი თეატრი“, „მოძრავი დღესასწაულები“, „მოძრავი ქონება“, „მოძრავი სტრიქონი“!

5. როგორც რომანიდან ირკვევა, პარლამენტმა მალე ძალაუფლება სხვას გადასცა, რაც ძალიან განიცადა თურმე კლასიონ კვიმსაძემ. მისი თქმით: „– რა ქენით ეს! ასეთი დაწყობილ-დალაგებული საქმე, და მერე ვის ხელში ჩააგდეთ – **მოლაყბეების, კრუხების ხელში**.... დარდაკას ხელში!?!“ [12, 606]. ერთ-ერთ სხდომაზე კლასი-

ონი, ბოდიშის მოხდით, ხველებით, პარლამენტს ადგილიდან ასე მიმართავს: „– ახლა მაჰმადიანებს თუ ებრაელებს რა უჭირთ, მარა რას გიზამენ ჟანდარმები, თუ იცით? რას გიზამენ და, შემოვარდებიან ერთ დღეს ამ თქვენს **სალაყბო დაწესებულებაში** და მასობრივ წინადაცვეთას მოგიწყობენ ბლაგვი დანებით ყველას....“ [12, 606].

შენიშვნა 11: თავის დროზე „რაღაც გაიმასქნებით განაცებული“ და დღეს სამიოდე წლის „ასაკგაქოცებული“ პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი კახეთში (ყვარელში), საპარლამენტო არჩევნების დღეებში მხარდასაჭერად თუ გადასაბირებლად ძალით მიყვანილ ადგილობრივ ხელჯოხიან დედაბრებს ასე აფრთხილებდა: – თუ მხარს არ დამიჭერთ და „ოცნებას“ მისცემთ ხმას, იციით, რა გელით? შემოვა რუსის ჯარი და ჯგუფურად გაგაუპატიურებენო!

რომანის ავტორ-მთხრობელის მონაყოლით, ორთაჭალის ციხის **პარლამენტართა დიდი უმრავლესობა სხვადასხვა წლებში აღესრულა – სხვადასხვაგვარად დაიღუპა, ზოგი როგორ (ბომბზე აფეთქებით, კატორღით), ზოგი როგორ (შავრაზმელის ხელით მოიკლა** და ა. შ.). რა მოხდა საქართველოს 25-წლიანი საპარლამენტო ცხოვრების გზაზე, რამდენი პარლამენტარი და ნაპარლამენტარი (პრეზიდენტიც! პარტიის თამჯდომარეც! პარტიის ლიდერი) ააფეთქეს, მოკლეს, მოწამლეს, გაზით გაგუდეს, ქუჩაში დახვრიტეს, ოფისში ააფეთქეს?! ბიზნესმენებსა და რიგით მოქალაქეებზე, მიტინგებზე დარბეულ, ჯიხურზე გამავალი ელექტროდენისგან მოკლულებზე რომ არაფერი ვთქვათ!.

დაისმის კითხვა: როგორ დაასრულა სიცოცხლე ორთაჭალის ციხის უდღეურმა პარლამენტმა?

როგორც რომანის ავტორი წერს, ოთხ ივნისს ჟანდარმები შემოცვივდნენ. საცოდავი კლასიონი (პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე) სულს ლევდა, მაგრამ რაღაცნაირად თავს მოერია, ხუთ ივნისს ზეზე ადგა, პალატის კართან აიტუზა. საღამოს გადათვლის დრო იყო. კომენდანტი შემოვიდა, კლასიონი ეცა, ყელში ხელები ნაუჭირა, რაც შეეძლო. უმოწყალოდ სცემეს. გრძნობა დაკარგა, აღარც მოსულიერებულა, წავიდა, საწყალი.

პარლამენტმაც საინტერესოდ შეწყვიტა არსებობა. ტარიელ ავთანდილოვიჩი „ტრიბუნაზე“ იდგა, როცა ჟანდარმებმა ხელი სტაცეს, ჩამოიყვანეს, მიათრევდნენ, მაგრამ არ გაჩუმებულა, დაწყებულ სიტყვას განაგრძობდა:

„– ვაი თქვენდა გულუბრყვილონო! ახლა ხომ მაინც დარწმუნდებით, რომ **დემოკრატიას თავისი აქილევსის ქუსლი აქვს** და ეს

ყველაზე უკეთ **ტირანებმა** იციან!" [12, 608].

შენიშვნა 12: შდრ. მ. სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და „კმარას" – შემდგომ „ვარდების რევოლუციად" წოდებული ხროვის, მათი სიტყვით გუნდის („ჩვენ ერთი გუნდი ვართ!") მიერ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ცალი ფეხსაცმლით დარბაზის დატოვება ახალმოწვეული პარლამენტის პირველი სესიის გახსნისას, ასევე წინა მოწვევის პარლამენტის ყოფილი სპიკერის დავით ბაქრაძის სახუმარო ნათქვამი ერთ-ერთ ტელეინტერვიუში: **„დემოკრატიასაც კი კარგები უნდა!"**

„მაგათი კარგებიო", რამდენჯერ უთქვამს სიმწრით არჩევნებზე მისულ ან არმისულ გულგატეხილ და მოტყუებულ ქართველ ამომრჩეველს.

ჩვენ კი დროა, სტატიის ფინალისაკენ წავიდეთ, ჩვენ მაინც..., რადგან ჩვენს პარლამენტში მოხვედრილი და ახალშობილი დეპუტატების პრაქტიკულ გამოუცდელობას და პოლიტიკურ გაუწაფაობას თუ უმწიფრობას ფინალ-დასასრული არ უჩანს.

ჩვენ მაინც... დავამთავროთ ბოლო შეძახილით: „ნუ დავუფენთ ღორებს მარგალიტებს!"...

და ბოლოს: რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემომოყვანილი ციტატებიდან და ჩვენი რემარკა-შენიშვნებიდან?

მოკლედ ვიტყვით: სამწუხაროდ, ჭ. ამირეჯიბის ოსტატურად აღწერილი „ორთაჭალის ციხის პარლამენტი" და საპარლამენტო ცხოვრება დიდად არ განსხვავდება დღევანდელი ქართული „ჰავლაბრის პარლამენტისაგან". ჩვენი აზრით, საჭიროა, როგორც ტერმინ **პარლამენტის** შეცვლა ადეკვატური ქართული სიტყვა-ტერმინით, ისე ახალი საქართველოს მართვის – ქართული პარლამენტარიზმის, სადეპუტატო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩვენი ერისთვის **„მისაღები გასაღების"** (პარლამენტმა შემოდგომის მიწურულს **ჩვენს მოსასმენად *ორი გასაღები*** რომ შემოგვთავაზა!), საკუთარი გზის გამონახვა, რომლის ძიება სტატიის შესავალში ნახსენები ქართველი მეცნიერებისა და სხვა სპეციალისტების მიერ უკვე დაწყებულია [13].

P. S. პოსტსაბჭოურ საქართველოში ერთი რამ დადებითი მაინც მოხდა. პოლიტიკურმა ცხოვრებამ ძირძველი და იმავდროულად უბერებელი ქართული ენა გაამდიდრდა ახალ-ახალი სიტყვებით – ნეოლოგიზმებითა და ჟარგონებით, აბრევიატურებით, შერქმეული სახელებით (თიკუნით), მეტაფორებით, სპეციფიკური გამონათქვამებით, სკაბრეზით, ფრთიანი და ხატოვანი გამოთქმებით, როგორი-

ცაა თუნდაც: **ჯაბისტი,ზვიადისტი, მხედრიონი, მდედრიონი, შევარდნაძისტი, ნაცი, ნაცმენი, ნაცისტი, ნაცმაცუნა, ნაცმოძი, ქოცი, ქოცნება, ქოცნაცი, თეთრი მელა, დაღლილი ვირი, კობა დე ფიუნესი, ლილიპუტინი, „ჭამე, ნოდარი“, „რკინის ლედი“, პლასტელინა, უპირო, ოკეანედალეულები, „რკინის კაცი“, „ხერხემალი“, „ჩემო თანამეძროხენო“, ჰალსტუხიანი ხვლიკი, ჯიბის ტელევიზია, ალკუპონე, „ქართული დემოკრატიის მამები“, „ქართველი კონჩიტები“, „გიორგი ძლევამოსილი“, „პრეზიდენტ-ვეტომდებელი“, „ნაცბოზბანდა“, „საერთაშორისო მაწანწალა“ (გიგლა ბარამიძის გამონათქვამი აქუბარდიასთან „კავკასიის“ ტელეეთერში. 17.02.2015), „ხაჩიკიანი“, „ისევლე“, „შადრევან პირველი“, „არავისტი“, „შუაშისტი“, „მემარჯვენე“** (მნიშვნელობა ფშაური კილოს მიხედვით), **„გეყო“, „კმარა“, ბიძინისტი, რესპები, ოცნებისტი, „ქოცნებისტები“, მეოცნებე, „არასამთავრობო ხუნვეიბინები“, „მიჭირხვნა“** (ზოგიერთმა „ჩვენმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ“ ზემოიმერულ სიტყვა „მიჯირყვნად“ რომ მონათლა), **„თინეიჯერიზაცია“, „ვარდების რევოლუცია“, „ქამრების შემოჭერის პოლიტიკა“, კოჰაბიტაცია** (ზოგი „ნახევარფაბრიკატი“ ჟურნალისტი და პარლამენტარი „კოაბიტაცია“-ს რომ წერს და ამბობს!), ანეკდოტებით, ხალხური პოეზიით და პოსტკომუნისტური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით და სხვ.

ასევე საუკუნეებს გაჰყვება ცალკეულ პოლიტიკოსთა და პოლიტიკანთა „ინდივიდუალურ სიბრძნეთა ზოგიერთი სიტყვიერ-აზრობრივი (ზოგ შემთხვევაში ჟარგონული) გამონაშუქი“, ე. წ. „საუკუნის ფრაზები“:

1. „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“;
2. „დემოკრატია ლობიოს ჭამა ხომ არ გგონია?“;
3. „სინდისის გარდა, ყველაფერი უნდა გაიყიდოს“;
4. „მე მჭირდება ორი გვამი, მომიტანეთ ეს ორი გვამი. პრემია დიდია“;
5. „ჩვენ დავიჭირეთ პიროვნება თალიბანი“;
6. „თვეში 10 ლარი უნდა ეყოს კარგ დიასახლისს!“;
7. „160 ლარს უნდა ეყოს პენსიონერი“;
8. „ნულოვანი ტოლერანტობა“;
9. „პარტიამ მოსახლეობას „ფოჩიანი კანფეტები“ შესთავაზა“;
10. „მე შემიძლია ბრბო ხალხად ვაქციო!“;
11. „ნატო არა კატო!“
12. „პუტინ, ხუილო“;

13. „სტოპ, რაშა“;

14. პარტიათა სახლწოდებები: „მოქალაქეთა კავშირი“, „ღვთისშვილთა კავშირი“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და სხვ.

15. „შედი ქალო, ბუტკაში“ (ძველი ანეკდოტის რეინკარნაცია და ახლებური პოლიტიკური ინტერპრეტაცია რეინტერპრეტაციის თანხლებით);

16. „ნუ გეშინიათ, თბილისელობო, მშვიდად დაიძინეთ, რუსის ტანკებმა ორჭოსანში გადაუხვიეს“;

17. „ყველა დავდგეთ სადარბაზოებთან კოვზებითა და ჩანგლებით (რუსის ტანკების წინააღმდეგ)“;

18. ნაცქოცი (ყოფილი „ნაციონალი“ „ოცნებაში“ გადასული);

19. თბილისელთა ნაწილის მიერ ტელეკომპანია „იმედისთვის“ „ჟოზეფ+ინას“ შერქმევა: ჯოზეფ კეისა (იოსებ კაკიაშვილის) და ბადრი პატარკაციშვილის მეუღლის აბრევიატურის მიხედვით შედგენილი ახალი სახელდება ტელეკომპანია იმედისა ბ. პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ.

20. „კოკოითი ფანდარასტ“; აქედან წარმომდგარი პოლიტიკური შინაარსის ნელოგიზმები: „ფანდარასტიზაცია“, მიშარასტი“ (ნაციონალი, მ. სააკაშვილის პოლიტიკის მომხრე-მხარდამჭერი), „ფანდარასტი“ (ედუარდ კოკოითის თანამოაზრე ოსები), „ბიძარასტი“ (ბიძინა ივანიშვილის მომხრე-მხარდამჭერი პოლიტიკოსები).

21. სახელმწიფოს ჩამოშლა;

22. უფასო ფული;

23. ჩარეცხილები (ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტმა, მაშინ „ახალგამომცხვარმა“ სიძემ სიმამრის ძმას, თბილისისა და საქართველოს კოლორიტს, შესანიშნავ თამადასა და კინომსახიობს, პირველივე გაცნობისას, სიმამრის ოჯახში, სალხინო სუფრასთან მსხდომთა თვალწინ, უთხრა: „ხომ ჩაგრეცხეთო!“ სიძეც ასეთი უნდა!“);

24. პოლიტიკური პამპულა;

25. „მიშა მაგარია“;

26. „კრიმინალი იქნება და კრიმინალს გაგებით უნდა მოვეკიდოთ“;

27. „კრიმინალი თავს კარგად გრძნობს“;

28. „ჩვენ გვინდა მასწავლებლებს კომფორტი შევუქმნათ“;

29. „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“;

30. „ფქვილის პრინცესა“;

31. „რუსეთი ჩემი მეზობელია“;

32. „მამალი ძროხები ჩამოვიყვანეთ“;

33. და ბოლოს: ჩემი ერთ-ერთი კოლეგის მეცნიერულ-ფორმულებრივი შეფასებები: „ჟამიანობის ცხრა წელი“; პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება „იმ თვითმფრინავს ჰგავს, რომელიც აფრინდა და იცის, სად უნდა დაეშვას, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობის იმ თვითმფრინავისაგან, რომელიც 9 წელი ცაში დაეხეტებოდა და არ იცოდა, სად უნდა დაფრენილიყო“; ან კიდევ: პოლიტიკური ორქელეხიანობა (=კოჰაბიტაცია) – და სხვ.

(**ბოლო მე-13 შენიშვნა**: ზემომოყვანილი ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმებისა და ფრაზეოლოგიზმების მიხედვით განმარტებითი ლექსიკონის შექმნა-სრულყოფაზე ჩვენ, როგორც იტყვიან, ხელი დაგვიბანია, თითოეული ლექსიკური ერთეულის განმარტება და ანბანის მიხედვით დალაგება ლექსიკოგრაფ-ტერმინოლოგებისათვის მიგვინდვია). ეგევე შეიძლება ითქვას უახლესი პოსტკომუნისტური პერიოდის ანეკდოტებისა და ხალხური პოეზიის „შედევრების“ შეკრებასა და ცალკე(ულ) წიგნ[ებ]ად გამოცემაზე.

***

P. S. „ოცნებას კაცი არ მოუკლავსო“ (ასევე იმედსაც!) თქვა ქართველმა კაცმა ანდაზის სახით, მაგრამ იმავე ჩვენმა წინაპარმა ჯერ კიდევ 10 საუკუნის წინ წერილობით ესეც გვისახსოვრა:

„უქმ და ზღვევოან არს ოცნება მინდომითისა გამოთქუმისაჲ, ფრიად უუშურეს ღორთასა მომგებელნი იგი მწჯრესა შინა *მენწუბარისა* ცხორებისანი [14, 175].

და სულ ბოლოს: როდემდე დარჩება ქართველი კაცი ნაცმენებთან და ოცნებასთან (და მათნაირებთან) პირისპირ, როდემდე იქნება ღორთა მომგები „მენწუბარი“ – პოლიტიკურ წუმპესა შინა მცხოვრები, ვფიქრობ, მაინც ჩვენი გადასაწყვეტია!

ახალი პოლიტიკური პარტიების მოსვლით, გა[და]საწყვეტი გადაწყვეტილებების მოლოდინის იმედით, როგორც 21-ე საუკუნის **ქრონოგრაფი**, მკითხველთან დროებით ვწყვეტ საპოლემიკო-სასტატიო დისკუსიას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბ. ცხადაძე, პარლამენტის გააზრებისათვის ქართულ სოციოლინგვისტურ სივრცეში, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(15), 2014.
2. ი. კვესელავა, საქართველოს საკონსტიტუციო ვარიაციები (მონოგრაფია), თბილისი, 2014.
3. ი. კვესელავა, საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები", თბილისი, 2014.
4. გ. მაისაშვილი, „ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის (შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა, სოციალური სოლიდარობა)", თბილისი, 2004.
5. რ. ასათიანი, საით მიდის საქართველო? (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი), თბილისი, 2014.
6. ზ. ხონელიძე, საქართველოს არჩევანი. პროექტი: სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი), თბილისი, 2014.
7. ი. კუტუბიძე, „კაცობრიობის მომავალი გლობალიზებულ სამყაროში (ტენდენციები და პერსპექტივები), თბილისი, 2013.
8. ი. ბაჩიაშვილი, ერი და დრო ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო (ფილოსოფიური და ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები), წიგნი 1, თბილისი, 2014.
9. ბ. ცხადაძე, ქართული სახელმწიფო, კაცობრიობა და გლობალიზაცია მეცნიერულ თვალსაწიერში, ჟურნალში: „ბიზნეს-ინჟინერინგი", თბილისი, 2014, №2.
10. რ. მიშველაძე, ჩურჩულს გადაჩვეული კაცი (რომანი), ს. სიგუას რედაქციით, თბილისი, 2010.
11. ე. ცხადაძე, რედაქტორის ბედი საქართველოში (იბეჭდება), თბილისი, 2015.
12. ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, თბილისი, 2003.
13. ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე, პარლამენტის გააზრებისათვის ქართულ პუბლიცისტურ ტექსტებსა და მწერლობაში. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მსოფლიო და კავკასია", თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013 წლის მაისი. იხ. მასალები.
14. ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, გამოსცა *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტფილისი, 1920.

Badri Tskhadadze
linguist, Professor of Georgian Technical University, Doctor of Philology

A literary and Art Variation Preceding the Present-day Georgian Parliament and Parliamentarism in the Novel „Data Tutashkhia" by Ch. Amirejibi

Summary

In the article, by demonstration-comparison of Ch. Amirejibi's novel „Data Tutashkhia" the „lights-and-shades" of Georgian parliament and parliamentarism of the present day and recent past are shown. In the author's opinion it is necessary to replace the term **parliament** with a proper Georgian name and find new, our own ways of governing the Georgian state, new ways of Georgian parliamentarism, deputies' and president's elections acceptable for people, the search for which has already begun by Georgian researchers and specialists.

გახსენება

რამაზ ცუხიშვილი – 50

მას შემდეგ 18 წელი წელი გავიდა...

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა რამაზის უეცარი, ტრაგიკული გარდაცვალება.

ახლგაზრდა ისტორიკოსის, მეცნიერისა და მკვლევრის მოულოდნელი გარდაცვალება ყველა მისი ახლობლისთვის უდავოდ დიდი დანაკლისი აღმოჩნდა.

რამაზ კუკურის ძე ცუხიშვილი 1965 წლის 1 იანვარს საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში დაიბადა.

დედა – ნანული ერაძე გამორჩეული და ღირსეული დიასახლისი იყო (გარდაიცვალა 2011 წელს), მამა – კუკური (რომან) ცუხიშვილი მექანიზატორი, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობით არის დასაქმებული.

რამაზის გარდა ოჯახს კიდევ ჰყავს ორი შვილი: მარინე, სპეციალობით ექიმი გახლავთ, ხოლო თემური სამართალმცოდნე, ორივე დაოჯახებული და თავიანთი საქმის მცოდნენი არიან.

რამაზს დარჩა მეუღლე – ხათუნა ასანიძე და ერთი შვილი – მა-

რიამ ცუხიშვილი, რომელიც ამჟამად არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი და ეუფლება გერმანულ ენას (მარიამი მამის გარდაცვალების დროს იყო 1 წლის და 2 თვის).

ცუხიშვილების გვარი დასაბამს იღებს დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე და როგორც გამოკვლევამ ცხადყო, სწორედ სოფელი ჩიხა არის ამ გვარის დაბადების ადგილი.

რამაზს თავიდანვე ყველაზე მეტად საქართველოს და მსოფლიოს ისტორია იზიდავდა.

საჩხერის რაიონი (ამჟამად მუნიციპალიტეტი) მდიდარია ისტორიული, ქრისტიანული, არქეოლოგიური და კულტურული ძეგლებით, რაც კიდევ მეტ სტიმულს აძლევდა მომავალ მეცნიერსა და ისტორიკოსს ძირფესვიანად შეესწავლა საჩხერის და ზოგადად, საქართველოს ქარტეხილებით აღსავსე ისტორია და ემოღვაწა სწორედ ამ მიმართულებით.

გარდა საოჯახო საქმეებისა, ის დადიოდა ახლო-მახლო მდებარე ისტორიულ-ქრისტიანული ადგილების მოსანახულებლად, ცდილობდა მათ მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისგან შეეტყო მათი წარსული და შემდეგ გაეცოცხლებინა ფურცლებზე.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ეზიარა რწმენის სამჭედლოს. მართალია, სოფელში სასულიერო პირი არ იყო, მართალია არც ტაძრები მოქმედებდა, მაგრამ რაც მთავარია, ის ეცნობოდა მცხეთურ ხელნაწერებს, ეცნობოდა საჩხერის სარაიონო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებულ იმ ლიტერატურას, რომელიც უღვივებდა ინტერესს და სიყვარულს მართლმადიდებლობისა და ეროვნულ ფასეულობათა მიმართ.

ამის გარდა, რომ ჩვენი უბნის მკვიდრი და საოცრად განსწავლული ადამიანი ბატონი აკაკი (კაკო) მაჭარაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა რაიონის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რამაზს აძლევდა რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს, თუ სად უნდა მოეძებნა სასურველი ინფორმაცია, რა ლიტერატურით უნდა ესარგებლათ მისი თაობის ახალგაზრდებს, რამაც თავისი უაღრესად დადებითი შედეგი გამოიღო ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლის თვითშეგნების ამაღლებაზე (სამწუხაროდ, რამაზის საფლავის ქვას ბატონ კაკო მაჭარაშვილის მიერ დაწერილი ეპიტაფია ამშვენებს...).

რამაზი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი, ის არ ჰგავდა სხვებს, მისი მთავარი საზრუნავი არ იყო ამა სოფლის ყოველდღიური, ყო-

ფითი ინტერესები, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს აქვთ. მასში იდო რაღაც განსაკუთრებით ამაღლებული და სუფთა, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ რამაზი გაჩენილი იყო მეცნიერული კვლევა-ძიების, მასწავლებლობისა და ზნეობრივ ფასეულობათა დაცვისათვის, რაც კიდევაც აღასრულა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

დამეთანხმებით იმაშიც, რომ 30 წელი არაფრის მთქმელია მავანთათვის, მაგრამ რამაზმა ამ მოკლე ხანში შეძლო მოეპოვებინა დამსახურებული და ღირსეული სიყვარული და პატივისცემა ყველა იმ ადამიანის გულში, ვისთანაც კი ჰქონია ურთიერთობა, თუნდაც 5 წუთით მაინც.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როდესაც დაინტერესდა არგვეთის საერისთავოს და მასთან ერთად სოფ. ჩიხას ისტორიით, იმ ხანად რამაზის კვლევის არეალი მოდინახეს ციხის წარსულით შემოიფარგლა. რის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის მიერ მომზადებული საგაზეთო სტატიები, რომლებიც საჩხერის სარაიონო გაზეთის „ახალი ცხოვრება" 1987 წლის ივნის-აგვისტოს ნომრებში დაიბეჭდა (სულ 4 ნაწილად).

წერილებში განხილულია მოდინახეს ციხის შესახებ საისტორიო გადმოცემებსა და დოკუმენტებში დაცული მასალები, ფაქტები მოხმობილი აქვს ქართლის ცხოვრების ვახუშტი ბაგრატიონისეული „აღწერიდან...", ასევე სხვა მეცნიერთა (ლ. ასათიანი, ჯ. ნადირაძე და სხვ.) ნააზრევი წერეთელთა გვარის მოდინახესთან კავშირ-ურთიერთობებზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ (1990 წ.) რამაზ ცუხიშვილი ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ დაამტკიცა მისი სადისერტაციო თემა სათაურით „ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ." დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელად დაინიშნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ტაბაღუა (1919-2004 წწ.).

ოფიციალური ოპონენტები გახლდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი (1926-2010 წწ.) და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვახტანგ გურული. სადისერტაციო თემაში განხილულია ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1920 წლებში, რომელიც არის პირველი

მსოფლიო ომის შემდეგი საერთაშორისო ურთიერთობის ორგანული შემადგენელი ნაწილი.

დისერტაციის აქტუალობა სამი მთავარი ნიშნით გამოიხატება. ესენია: 1. მეცნიერული, 2. პოლიტიკური და 3. შემეცნებით-კულტურული. პირველი და უმთავრესი არის მეცნიერული, მასზე დგას დანარჩენი ორი, რომლებიც ატარებენ პრაქტიკულ ხასიათს: დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოჩნდება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ორიენტაციის კურსი, მეტადრე ინგლის-საქართველოს ურთიერთობანი.

დისერტანტი ავტორეფერატში აღნიშნავს, რომ: „ჩვენთვის საინტერესო საკითხი, როგორც კონკრეტული მეცნიერული პრობლემა, სპეციალური კვლევის საგნად არც საბჭოთა პერიოდში, არც ბოლო წლებში ჯერ არავის გაუხდია. მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიქმნა არაერთი ნაშრომი, სადაც აღნიშნული თემა ამა თუ იმ მიმართებაში არის განხილული, მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნიმუშები მათთვის დამახასიათებელი ტენდეციურობის მეოხებით, ბუნებრივია ვერ პასუხობს თანამდეროვე სტანდარტებს და, შეიძლება ითქვას, სრულყოფილ მეცნიერულ ღირებულებებს მოკლებულია. ამდენად, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში დღემდე შეუსწავლელია და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ეძღვნება და მიზნად ისახავს მდიდარი და მრავალფეროვანი საისტორიო მასალების საფუძველზე ორი ქვეყნის ურთიერთობის ძირითადი საკითხების ობიექტურ მეცნიერულ გაშუქებას“.

სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებული გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

ჩვენ შეგვეძლო ნაშრომის ძირითად და წამყვან მახასიათებლებზე გვესაუბრა, მაგრამ უახლოეს მომავალში იგეგმება რამაზ ცუხიშვილის წიგნად გამოცემული დისერტაციის – „ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ.“ (1995 წ.) და ერთადერთი და უკანასკნელი მონოგრაფიის „ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში 1918-1921 წწ.“ (1996 წ.) ერთ წიგ-

ნად გამოცემა, სადაც შევა მისი ავტორობით გამოქვეყნებული სხვა წერილებიც. მას მიმოწერა ჰქონდა ლონდონში მცხოვრებ პროფესორ თამარ დუგლაძესთან, ასევე ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებთან.

ალბათ რამდენი ჩანაფიქრი, ოცნება და განუხორციელებელი იდეა ჩაიფერფლა, რამდენი საქმე და საკეთებელი დაიმარხა 1996 წლის 1 დეკემბერს...

რამაზ ცუხიშვილის ტრაგიკულმა აღსასრულმა უდროოდ დაუსვა წერტილი მისი ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას, მათ შორის მის მოღვაწეობას სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე, რაც უდავოდ დიდ ნაყოფს გამოიღებდა.

მამუკა ცუხიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, განათლებისა და მეცნიერების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge